

იოსებ გუგუშვილი

# მოდერნიზმი

გამომცემლობა  
„საბჭოთა საქართველო“  
თბილისი  
1966

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს იოსებ მკედლიშვილის ნაწარმოებების შედარებით სრულ კრებულს. მკითხველი გაეცნობა მწერლის მოთხრობებს, პიესებსა და ეთნოგრაფიულ წერილებს, რომლებიც პერიოდულად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. პიესა „ოიანა-ბუიანა“ კი წარმატებით იღვმებოდა ქართულ სცენაზე.

## იოსებ მჭედლიშვილი

(1888 — 1950)

იოსებ მჭედლიშვილი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ჩუმი, უპრეტენზიო წარმომადგენელია, თუმცა მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია: ის იყო პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, მთარგმნელი, ფოლკლორისტი.

ი. მჭედლიშვილმა ლიტერატურული მოღვაწეობა ლექსებით დაიწყო რუსეთის ორი დიდი რევოლუციის შუა პერიოდში, როცა რეაქციის მძიმე ბურჟუაზი სწორი გზის პოვნა მეტად ძნელი იყო და ახალგაზრდა პოეტაც ადვილად მოექცა მაშინდელი ლიტერატურული გავლენების სფეროში. ერთ ლექსში იგი თვითონვე ამბობს:

რომელი ღმერთის შვილი ვარ? ჯერ ვერ მოვსულვარ ცნობასა,

ხან ვტირი, ხანაც ვხარხარებ! რათა? მითხარით, ძმობასა!

მართლაც, პოეტის იმდროინდელ ლექსებში ერთმანეთს ენაცვლება თავისუფლების რწმენა და ამქვეყნიური ცხოვრებისაგან განდგომის სურვილი, ბრძოლისა და უიმედობის განწყობილებანი. ერთგან პოეტი ჩივის: „თურმე ვცდებოდი, როდესაც მწამდა ძმათ სიყვარული და წმინდა სახეო“, მაგრამ მეორეგან იგი თავისუფლებისაკენ მოუწოდებს თანამოძმეებს და გულს ასეთი სტრიქონებით იმხნეებს:

მჩაგვრელის ფეხით ნასრესო გულო,  
ვაი-ვიში და ცრემლი იკმარე!  
განა ცა მუდამ ნისლებში არის,  
რომ შენ სულ ჰკენესი დღე-ღამ, ცისმარე?!  
შენ ვაჟკაცი ხარ და ვით ვაჟკაცმა,  
შემოიხიე სულარა მწარე  
და ვინც შენ გიძღვნა უბედო ბედი,  
თვითონ იმასვე გადააფარე!

ი. მჭედლიშვილს, როგორც პოეტს, ერთ დროს დიდად აფასებდნენ და ი. გრიშაშვილის გვერდითაც კი აყენებდნენ. ქართული ლექსის კულტურის დღევანდელ დონესთან შეფარდებათ ასეთი შეფასება, ცხადია, გადაჭარბებული გვეჩვენება, მაგრამ მაინც ფაქტია, რომ თავის დროზე მკითხველ საზოგადოებას მოსწონდა მისი ლექსები. დღეს, ალბათ, ბევრმა არც კი იცის, რომ ი. მჭედლიშვილს ეკუთვნის ხალხური სიმღერის „ურმულის“ ტექსტი. მისივე „თქმულება შოთა რუსთაველზე“ საფუძვლად დაედო დ. არაყიშვილის ცნობილი ოპერის ლიბრეტოს.

ი. მჭედლიშვილმა თავიდანვე წარმატებით სცადა კალამი აგრეთვე პროზასა და დრამატურგიაშიც, დღევანდელი მკითხველისათვის კი იგი ძირითადად სწორედ ამ მხრივ არის საინტერესო.

ი. მჭედლიშვილი დიდხანს ცხოვრობდა მშობლიურ სოფელ კაკაბეთში. ტრიალებდა ხალხში, იწერდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ქართული ხალხური თეატრის ისტორიით, აგროვებდა მასალებს ბერიკობის, ყეენობის და სხვა ხალხური სანახაობა-დღესასწაულების შესახებ. შემდგომში ეს მასალა მწერალმა საფუძვლად დაუდო ისტორიულ თემაზე აგებულ პიესას „ოიანა-ბუიანას“.

თუ თავის პიესებში („ოიანა-ბუიანა“, „გიორგი მესამე“ და სხვა) ი. მჭედლიშვილი ძირითადად ისტორიულ თემატიკას მიმართავს, მისი მოთხრობები მეტწილად თანამედროვეობას ეხება. მეცხვარეთა ყოფა-ცხოვრებას გვიხატავს ვრცელი მოთხ-

რობა „თეთრი მდინარე“, რომელშიც დახატულია მწყემსთა საინტერესო სახეები, მათი ხიფათიანი ცხოვრება რევოლუციამდე და საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. მოთხრობა „შევარდენი“ გვიჩვენებს საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვას უპატრონო ბავშვთა აღზრდისა და სწორ გზაზე დაყენებისათვის.

ი. მჭედლიშვილის მოთხრობებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნადირობის თემას. ამ თემაზე დაწერილი ნაწარმოებები გაერთიანებულია ციკლში „მონადირის დღიურიდან“. აქ ავტორი მიმზადველად მოგვითხრობს ნადირობის ეპიზოდებს, ამ გზით გვაცნობს ჩვენი ფაუნის სხვადასხვა წარმომადგენელს, გვიხატავს ბუნების მშვენიერ სურათებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მონადირული ცხოვრების ცოდნა დაეხმარა მწერალს, შესანიშნავად ეთარგმნა ი. ტურგენევის „მონადირის ჩანაწერები“.

ი. მჭედლიშვილის თხრობის მანერა უშუალო და ძალდაუტანებელია, მისი ენა ლაღია და ბუნებრივი, გამოირჩევა მდიდარი ლექსიკით, ხალხური იდიომებით. ამ მხრივ იგი საგანგებო შესწავლისა და დაფასების ღირსია.

ი. მჭედლიშვილის მოღვაწეობის დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ შევეხებით აგრეთვე მის დამსახურებას ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციის საქმეში. მან 1927 წელს კახელი გლეხებისაგან შეადგინა მომღერალთა გუნდი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო რუსთაველის თეატრში გამართულ კონცერტში და დიდი მოწონება დაიმსახურა. გუნდში მღეროდნენ ხალხური სიმღერების განთქმული შემსრულებლები: დედას ლევანა, მიხა ჭილაური და სხვანი. შემდგომში მიხა ჭილაურის გუნდს არა ერთ კონცერტში მიუღია მონაწილეობა და დაუტკბია მსმენელი. ამ გუნდმა დავიწყების ხავსი გადააცალა ბევრ დიდებულ ხალხურ სიმღერას, რაშიაც თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის ი. მჭედლიშვილსაც.

ი. მჭედლიშვილი გარდაიცვალა 1950 წელს, 62 წლის ასაკში.

მწერლის სიცოცხლეში მისი ნაწერები გამოდიოდა მხოლოდ მომცრო კრებულების სახით, მისი გარდაცვალების

შემდეგ კი დღემდე აღარ გამოცემულა. წინამდებარე კრებულში შედარებით სრულად არის წარმოდგენილი ი. მჭედლიშვილის პროზაული, დრამატული და ეთნოგრაფიული ნაწერების რჩეული ნაწილი. ზოგიერთი ნაწარმოების ტექსტში შეტანილია მცირე რედაქციული ცვლილებანი და ორთოგრაფიული შესწორებანი.



აქოთნი იმუნა





## შ ე ვ ა რ დ ე ნ ი

სამოქალაქო ომი ჯერ არ იყო გათავებული.

თეთრები კვლავ სისხლიან საქმეებს ატრიალებდნენ და საბჭოთა ქვეყანაც ჯერ არ ჩამდგარიყო მშვიდობიან კალაპოტში. ათასნაირი ხალხი ირეოდა ქუჩებში და ყველას ნერვიულობა ეტყობოდა როგორც სიარულში, ისე ლაპარაკში.

სხვებთან ერთად მეც ტრამვაის გაჩერებასთან ვიდექ. ჩემს პირდაპირ, ქუჩის გადაღმა, ერთ შავად გაქონილ, თმააბურძგენილ ბავშვს მოვკარი თვალი. ასე ცხრა წლისა იქნებოდა. მისმა უცნაურმა მანქვა-გრეხამ მეც გამართო. ფეხშიშველა, თავშიშველა, ნახევრად ტანშიშველა დატანტალებდა, იგრიხებოდა, ხტოდა და თან რაღაცა სიმღერას მღეროდა.

სახესა და ტანზე შორიდანაც კარგად ემჩნეოდა, რა ღრმად იყო ჩამკვდარი შიგ დიდი ხნის ჭუჭყი.

შემეცოდა, სიბრალულის ფიქრებმა წამიღეს. „ვინ იცის, ვინ არის?“ — ვამბობდი გუნებაში.

ამ ფიქრებით ვუყურებდი იმ თმააბურძგენილ ბავშვს, რომელიც ჯოჯოხეთიდან ამომძვრალი ჭინკა გეგონებოდათ.

ამ ბიჭის თვალთვალში რომ ვიყავ. უეცრად ვილაცის საქმიანობა ვიგრძენ ჩემს ჯიბესთან; არ მივიხედე, ხელუკულმა ვწვდი და ხელში შემრჩა სწორედ ისეთივე თმააბურძგენილი, თავიდან ფეხებამდე შავად გაქონილი, ფეხშიშველი და ნახევრად ტანშიშველი ცხრა წლის ბიჭი.

თან შეპყრობილს ვეჯაჯგურებოდი და თან იმ ბიჭისკენ ვიყურებოდი. მაგრამ ის ისე უეცრად გამქრალიყო, ველარ გამოვერკვიე, თვითონ ის დავიჭირე, რომელსაც ვუყურებდი, თუ სხვა იყო.

ამ დროს მომეშველა მილიციელი.

მან ბავშვი ჩამომართვა და მკითხა:

— ხომ არაფერი ამოგაცალათ?

— არა, — ვუპასუხე მე. ბავშვი ტირილითა და ჭიჭყინით გაჰყვა მილიციელს.

მილიციელმა იგი მიიყვანა სამილიციო უბანში, სადაც მაწანწალას ისე დახვდნენ, თითქოს შინ მიიყვანესო. შინაური, თითქოს მშობლიური ლაპარაკითა და ხუმრობით გაართეს იგი. შემდეგ სახელი გამოჰკითხეს და გაიგეს, რომ ანტოშკა ჰქვია.

შემდეგ პური აჭამეს.

იმ ღამეს იქ დააძინეს და მეორე დღეს სხვებთან ერთად წაიყვანეს სადგურზე. იქ მატარებელში ჩასხეს და სადღაც გააქროლეს.

ანტოშკას ძალიან მოეწონა ეს ყველაფერი, გაერთო და დაინტერესდა კიდევ, თუ სად მიდიოდნენ; რამდენიმეჯერ შეეკითხა კიდევ მცველებს, მაგრამ არავინ მისცა პასუხი.

— მივალთ და გაიგებთ, — ეუბნებოდნენ.

ანტოშკა ფანჯარასთან მოთავსდა და გაქანებული მატარებლის დან ხარბად გაჰყურებდა ტრიალ მინდვრებს, ტყეებსა და სოფლებს, რომელთაც დიდი გულმოდგინებით და აღტაცებით ათვალიერებდა.

კარგა მანძილზე რომ გასცილდნენ ქალაქს, უეცრად წამოიძახა: — საშკა, უყურე ცხვრებს! — და საშკასკენ მიბრუნდა, მაგრამ საშკა იქ არ იყო. მოაგონდა, რომ იგი ქალაქში დატოვა და დაფიქრდა, დალონდა; მერე აღარც გაუღიმნია, სულ მოწყენილი თვალთ ვადაპყურებდა მინდვრებს და რაღაცას ფიქრობდა.

ერთ დიდ სადგურში ყველანი ძირს ჩაიყვანეს და სადგურის დიდ დარბაზში შეიყვანეს, სადაც დიდსავე მაგიდაზე ჩარიგებული იყო კერძით საესე თეფშები და მათლაფები. კუბრში ამოვლებულმა ყარაჩმა ბავშვებმა ერთმანეთს შეხედეს და ტუჩები გააცმაცუნეს.

ამ დროს გაისმა უფროსის ხმა:

— დასხედით თითო კერძთან თითო-თითოდ.

იგრიალეს და მაგიდას შავი ტარბივით დაედო შავი ბავშვე-

ბის ბრბო. მათი დასხდომა და ჭამის დაწყება ერთი იყო. მათლაფიდან რომ სკამდნენ კერძს, თეფშზე ზედაც იყვნენ გადაფარებულნი მარცხენა ხელით და პურზეც ზედ იყვნენ წაწოლილნი გულისპირით, არავინ აგვაცალოსო.

ანტოშკა ძალიან მშვიერი იყო. ხელად შეთქვლიფა თავისი კერძი, გამობრა უკანასკნელი ძვალი და წასწვდა მეზობლისას. ელვის სისწრაფით ააცალა მას ხორცის ნაჭერი. მეზობელი წამოხტა და ის-ის იყო უნდა სწვდომოდა ყელში ანტოშკას, რომ უფროსმა დიდი ნაჭერი მიაჩეჩა ხელში:

— აჰა, ჭამე!

მეზობელს ჭერ გაუკვირდა, მერე გაელიმა და კმაყოფილი სახით ჩამოართვა ნაჭერი, შემდეგ დაჭდა. ანტოშკას მოტაცებული ნაჭერი ხელიდან გაუვარდა და შურით დაუწყო ყურება მეზობელს, რომელმაც სამაგიეროდ მშვენიერი ლუკმა მიიღო.

— შენც გინდა? — ჰკითხა უფროსმა ანტოშკას.

ანტოშკამ დარცხვენილი თავი დახარა და პასუხი არ მისცა, ხოლო უფროსმა ერთი კარგი ნაჭერი მასაც მიუმტა.

— ჭამეთ, გაძებით, — უთხრა დაყვავებით.

ამის დანახვაზე ბავშვებმა ხელი აუშვეს მკლავებში მომწყვდეულ საკმელს და სრული ნდობით შეხედეს ერთმანეთს. მოტაცების შიშმა სამუდამოდ გაიარა და ცოტა ხნის შემდეგ ერთმანეთსაც კი შესთავაზეს კერძი.

ბოლოს სუფრიდან აიშალნენ.

— აბა მატარებელში ჩასხედით! — გაისმა ისევ უფროსის ხმა და ბავშვებმა იტყვილეს, როგორც ტალახში ნაყარმა გოჭებმა, და შეგრიალდნენ თავიანთ ვაგონში.

უფროსმა საჩქაროდ გადაათვალიერა, ჩამოითვალა, — არავინ აკლდა. ეს კარგი ნიშანი იყო.

მატარებელი დაიძრა და ანტოშკა ისევ ფანჯარასთან მიჯდა. ისევ გაჰყურებდა გაუთავებელ მინდვრებს, რომელნიც მწვანე ზღვად ღელავდნენ.

ანტოშკამ ოცნება დაიწყო, მაგრამ უეცრად მოაგონდა საშკა, ნეტავი ისიც აქ მყავდესო, ამოიოხრა მან ისეთი სიძლიერით, თითქო მატარებელს მუხრუჭი მოუჭირესო.

მატარებელი მართლაც დადგა.

ყველანი ჩამოაყვანეს, ჩასხეს ავტოში და გააქროლეს. ეს მგზავრობა უფრო გასართობი და საამური გამოდგა მათთვის. ათასი სალაპარაკო გაუჩნდათ და კაცი გამოარკვევდა, თუ ვინ რის მცოდნე იყო, რის მნახველი.

ყაყანისა და ქივილ-ხივილის შემდეგ სიმღერაც დაიწყეს. სიმღერა ჭერ არეული იყო, ერთმანეთს ვერც ხმა შეუწყეს, ვერც კილო, ვერაფერს გამოიტანდა კაცი იქიდან, მაგრამ თუ კარგა დააკვირდებოდა, დაინახავდა, როგორ ნელ-ნელა შეეწყო ხმები ერთმანეთს, როგორ ნელ-ნელა შეითხზა ახალი სიმღერა.

ისინი მღეროდნენ:

ჩვენ ვის გაუჩნდით, არ ვიცით,  
ვიციტ კი, გავჩნდით ზიანად,  
მაგრამ ვინ გვიზამს მშობლობას,  
ვინ გვაქცევს ადამიანად?  
ჰეი, გამოჩნდი, მშობელო,  
გულთბილად, სახემზიანად —  
მაშინ სულ შენი ვიქნებით  
ჩვენ საკვდილ-სიცოცხლიანად!

ეს უკვე დაწმენდილი, ახლად შეთხზული, ნახევრად მხიარული და ნახევრად ნაღვლიანი სიმღერა გულში გამთბარი წივილით ამოდიოდა ბავშვების ყელიდან და ვრცელი მინდვრების უსაზღვრო მდუმარება გულში იხუტებდა მას.

სადღაც შორს. რკინიგზიდან ასი კილომეტრის დაშორებით, სოფელი იდგა ბექობზე და გადააჰყურებდა ყანებით და მწვანე ტყეებით გადაჭიმულ ოკეანეს. ამ სოფელს სოფელი ერქვა, მაგრამ უფრო ქალაქსა ჰგავდა მკვიდრად ნაგები ქვის შენობებით.

ბავშვები შეიყვანეს განსაკუთრებით მათთვის გამზადებულ უზარმაზარ შენობაში, მაგრამ ჭერ ბინაში არ შეუშვეს; კარებთანვე დაჰხადეს თავისი ტანისამოსი და შერეკეს აბანოში. იქ კარგა ლაზათიანად გაბანეს, გაასუფთავეს, გაკრიჭეს და ჩააცვეს ახალი, სუფთა ტანსაცმელი.

შემდეგ წაიყვანეს თავიანთ ოთახებში.

ყველას თავისი საწოლა უჩვენეს და დაარიგეს, არ შეგეცვალოს შენი არაფერიო.

ანტოშკამ იმდენი რამე ნახა, დაიბნა, არ იცოდა, რომელი რას ნიშნავდა. რა არ იყო აქ: სათამაშოები, საკრავები, ჭადრაკი, წიგნები, სურათები, ხის ცხენები, თოფები და კიდევ ვინ ჩამოსთვლის? შემდეგ სკოლაც აჩვენეს და აუხსნეს, რომ აქ ისწავლიან წერა-კითხვას და სხვადასხვა მეცნიერებას.

ყველაფერი ძალიან მოეწონა ანტოშკას, მაგრამ ყველაზე მეტად მოეწონა ოთახის ჭერში ჩამოკიდებული თვითმფრინავი.

ღვიდა ტერეზამ, რომელმაც ჩაიბარა ეს ბავშვები, ხმამაღლა წაუკითხა ყველას ჭერში ჩამოკიდებული „შევარდენის“ წარწერა.

— შევარდენი! — წამოიძახა სიხარულით ანტოშკამ და დიდხანს, დიდხანს შეჰყურებდა მას.

— ამასაც გვასწავლით? — ჰკითხა ღვიდა ტერეზას ანტოშკამ მოწინებით.

— უეჭველად, — მიუგო ტერეზამ.

ანტოშკა სიხარულით შეხტა და რამდენჯერმე გაიმეორა:

— შევარდენი! შევარდენი!..

ბავშვებს ვახშამი აჭამეს და დააძინეს.

ასეთ სუფთა საწოლში წოლა ანტოშკას არასოდეს არ ახსოვს. არც შიოდა, არც სწყუროდა, თოვლივით თეთრსა და სპეტაკ სარეცელში იწვა, მაგრამ არ ეძინა. სულ ჩარხივით ტრიალებდა ლოგინში და რაღაცას ოხრავდა. რამდენჯერმე წამოდგა კიდევ, მივიდა სარკმელთან და ნიდაყვებდაყრდნობილი დიდხანს იყურებოდა სივრცეში. მერე ამოიოხრა და ისევ ჩაწვა ლოგინში.

რა აწუხებდა? დედა? დაკარგული ბედნიერება თუ ქუჩაში შიშველ-ტიტველი სიარულის მითოვება? არც დედა ახსოვს. არც მამა, არც ბედნიერება.

რამდენიმეჯერ კიდევ ამოიოხრა და ჩათვლიმა. ცოტა ხნის

შემდეგ უეცრად წამოიძახა: — საშკა! ფრთხილად, საშკა! — წამოიწია კიდეც. მერმე ისევ მიდო ბალიშზე თავი და მიიძინა.

ყველას ეძინა. ზოგი აბრეშუმის ქიასავით ეგდო თავის საწოლზე მიკრუნჩხული, ზოგი გულდაღმა იყო თავით წარგული ბალიშში, ზოგიც ისე იწვა, გეგონებოდათ, ოთხზე დგასო, ზოგსაც, როგორც ქუჩაში იცოდნენ, საბანი არ დაეჭურნა და მკლავებში კი ღრმად შეეყო თავი.

ყველას ეძინა გულის ძილით.

გარეთ, ღამის გულდია ცაზე თავი მოიყარეს პირქუშმა, ელვითა და ჭექით გატენილმა ღრუბლებმა. ნიაგმა ღრენით გადაუსვა ხელი დაყურსულ ყანებს, მიაჩნ-მოაჩნია მწვანე ოკეანე მინდვრებისა და უზარმაზარი, წყლით გამძღარი ღრუბლები ზედ იმ შენობის თავზე მოჰყარა, სადაც ეძინათ ოდეს-ღაც უპატრონო ბავშვებს.

მაგრამ არა! სულ ამოაა შენი მძვინვარება, ბუნებავ! ეხლა შენ უძლური ხარ ამათ წინააღმდეგ: მათ ველარც შენი ჭექა-ქუხილი შეაკრთობს და ველარც შენი ღვართქაფი. მათ პატრონი ჰყავს და იმის ნებას აღარ მოგცემს, შენი მსახვრალი ხელი შეახო.

დიდხანს ირუხრუხა, იგრვეინა, აფრქვია ცოფი და ბრაზი კოკისპირულად და ამოოდ დამაშვრალი წავიდა, გადიკარგა შორს, სადღაც ცისა და მიწის ვიწროებში ჩაინთქა.

მიწყნარდა ყოველივე.

ბავშვებს ისევ ისე ეძინათ.

მხოლოდ ანტოშკამ რაღაც ამოიზმუველა ერთხელ, ეტყობოდა, სიზმარში რაღაც არასასიამოვნოს ხედავდა.

ვითომ იგი ისევ ქუჩაშია გამოსული, გათხუპნული, ჭუჭყიანი, ნაფლეთებში გახვეული, ვიღაცას ხელს უყოფს ჯიბეში. მის პირდაპირ საშკაა, მისი ამხანაგი, ორი თუ სამი ღლის მშვიერი, და ის აქეზებს, ამოაცალეო. ანტოშკას თვითონ არ უნდა ფული, მას არ ჰშია, არც ეხალისება სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფა, მაგრამ მშვიერი ამხანაგის სიბრალული აბედვინებს. ჩაყო ხელი და უკვე თითებით იგრძნო, რომ ხელი ფულს წააელო. ამ დროს ის ვიღაცა უცნობი სტაცებს ხელსა და შეჰკივლა ანტოშკამ:

— ჩემთვის არ მინდა! პატიოსნებას გეფიცებით, ჩემთვის არ მინდა! — ყვირილით წამოხტა იგი და მეზობლის საწოლს წააწყდა.

— რა ამბავია? — იკითხა დეიდა ტერეზამ, რომელიც იმ წამსვე გამოვიდა თავისი ოთახიდან.

ანტონშკა გონს მოვიდა და თვალები მაგრა მოიფშვნიტა.

— სიზმარი ნახე? — ჰკითხა ისევ დეიდა ტერეზამ და ალერსიანად მოეხვია. შემდეგ მაგრა ჩაიკრა გულში და დიდხანს, დიდხანს ჰყავდა ჩაბლუჯული წაბლისფერთმიანი, ხუჭუჭა ბიჭი.

ანტონშკამ თითქოს პირველად იგრძნო დედის ალერსი, მაგრა ჩაეკრა გულში ტერეზას, არ სურდა მოშორებოდა, მის კალთაში უნდოდა ძილი, თავისი დედა იპოვნა, დიდი ხნის დაკარგული დედა.

— დაიძინე, ჩემო პაწაწა, დაიძინე, — უთხრა ტერეზამ ალერსით.

ანტონშკამ ასე იფიქრა, თავი მოვაბეზრეო, და გასწია თავისი საწოლისაკენ.

ბავშვი დაწვა და დეიდა ტერეზამაც შეიხურა თავისი ოთახის კარი.

ანტონშკას ძალიან მოეწონა ჰაეროვლანი, რომელსაც ეწერა „შევარდენი“. იმდენი უყურა, იმდენი უარა გარს, რომ დეიდა ტერეზამ მოუტანა სხვა და დაუდო წინ.

ამის შემდეგ ანტონშკას თავი მალლა აღარ აუღია; სულ ჰაეროვლანს აკეთებდა, სულ მას დასტრიალებდა თავს.

გაკვეთილების დროსაც მერხში ჰქონდა შემალული თავისი გამოჭრილი პატარა „შევარდენი“ და როცა მასწავლებლის ყურადღება სხვაგან წავიდოდა, ის გამოიღებდა ჰაეროვლანს. ნიბარუნ-მოაბრუნებდა და ფიქრობდა, თუ როგორ მოეწყო ისე, რომ მართლა ამუშავებულიყო.

გაკვეთილების შემდეგაც ამ ფიქრში იყო.

ერთხელ დეიდა ტერეზამ საწოლებს დაუარა, უწესრიგობა არსად იყოსო. ყველაფერი კარგად დახვდა, ყველა საწოლზე წაიკითხა გვარიც და სახელიც მისი მფლობელისა, მაგრამ ანტონშკას საწოლს მარტო სახელი ეწერა.

— ანტონშკა, — დაუძახა დეიდა ტერეზამ, — გვარი არ გაქვს, ბიჭო?

— გვარი? — დაფიქრდა ანტოშკა და შემდეგ დაუმატა: -- ჩემი გვარი არ ვიცი...

— მერე? ხომ შეგიძლია ახალი გვარი გამოიგონო შენ თვითონ? რას აირჩევდი?

— შევარდენს! — წამოიძახა ანტოშკამ.

დღედა ტერეზას გულთანად გაეცინა და სიხარულით წააწე-რა მის საწოლს „შევარდენი“.

ამის შემდეგ ანტოშკას ამხანაგები „შევარდენს“ უფრო ხშირად ეძახდნენ, ვიდრე ანტოშკას და, საერთოდ, სულ „შევარდენის“ სახელი გაისმოდა.

ანტოშკა გამოირჩეოდა ნიჭით, სილამაზით, მოფიქრებით, მოხერხებით, სინდისით და პატიოსნებით, რომ იტყვიან, სიამოვნების კუნწულააო, სწორედ ის იყო. სრული ნდობა მოიპოვა როგორც დეიდა ტერეზასაგან, ისე სხვებისგან და ამხანაგებში ხომ მეთაურის როლსა თამაშობდა; გაიზარდა, გასრულდა ჰკუთითა და ტანით, უკვე დიდი ადამიანის საქმე-ებსაც ავალებდნენ. შემდეგ გათამამდა, პიონერობა გავათავე და კომკავშირში ჩამწერეთო.

ერთხელ დეიდა ტერეზას ფიქრად მოუფიქრა თავისი თექვსმეტი წლის ქალიშვილი თეკლე მოსკოვს გაეგზავნა. გაცილებ-ბა რკინიგზის სადგურამდე ანტოშკას დაავალა.

— სანამ ბილეთი არ აუღო, მატარებელში არ ჩასვა, თავი არ გაანებო, — უთხრა ტერეზამ ანტოშკას.

— რა სწავლება მინდა, დეიდა ტერეზა, — ამაყად უპასუხა ანტოშკამ.

ანტოშკამ სადგურზე მიიყვანა თეკლე, ჩასვა მატარებელში და პირნათლად დაბრუნდა თავის ადგილას.

„საქმე ძალიან კარგაა! — გაიფიქრა დეიდა ტერეზამ, — ანტოშკას სრულიად დაავიწყდა თავისი წარსული და იგი მას აღარასოდეს დაუბრუნდება“.

ახლა შეიძლება უკვე მის მშობლებზე ლაპარაკი, ვინაობის გამოკითხვა, მაგრამ ერთი რამ აშინებდა მაინც დეიდა ტერეზას: სადგურიდან დაბრუნებულ ანტოშკას რაღაც სევდა აწვა გულზე, ხშირად ოხრავდა და ვერ გამოეცნო მისი მიზეზი.

იქნებ თავისი წარსული მოაგონდა, დედა, მამა, — ვარაუ-



დობდა დეიდა ტერეზა. ამის გამო ფრთხილად, დროის შერჩევით, მშობლიური მიდგომით უსაყვედურა ანტოშკას დეიდა ტერეზამ.

— ყველაფერში კარგი ბიჭი ხარ, ჩემო თმახუჭუჭა, მაგრამ ერთი რამე არ მომწონს შენი.

— რა? — ჰკითხა ანტოშკამ გაოცებით.

— ისა, რომ აქამდე ვერ მოგიგონია, ვინ იყვნენ შენი მშობლები.

— ჩემი მშობლები? — დაფიქრდა იგი, შემდეგ უეცრად ასწია თავი და ამაყად თქვა: — დეიდა ტერეზა, ჩემი მშობლები საბჭოთა ხელისუფლებაა. ვინდა უნდა მოვიგონო? განა უკეთესი მშობლები ჰყავს ვისმე? ამის მეტი სხვა არც მშობელი მინდა და არც პატრონი.

— ძალიან კარგი! სწორია! მაგრამ რათ ოხრავ ამ ბოლო დროს? მე ვიფიქრე, ხომ არ მოაგონდა-მეთქი თავისი უწინდელი მშობლები, რომელთაც, ვინ უწყის, რა ბედი ეწვია!

— არა, დეიდა ტერეზა, არავითარი მშობლები არ მაგონდება და არ ვოხრავ მათთვის.

ამის შემდეგ უფრო აშკარად შეეტყო სევდიანობა ანტოშკას. უფრო ნაკლებად თამაშობდა ამხანაგებში. დადარბაისლდა, მეტისმეტად დადინჯდა.

რალაცისათვის დასჭირდა დეიდა ტერეზა. უეცრად შევარდა მის ოთახში, მაგრამ დეიდა ტერეზა იქ არ იყო, სამაგიეროდ თვალი მოჰკრა მაგიდაზე ერთ ბლუჯა ფულს. უეცრივ გაშეშდა, გულში ელდასავით გაურბინა რალაც ბოროტმა ფიქრმა, აცახცახდა და ათრთოლდა.

ერთი ნაბიჯი წადგა წინ, შიგ ყაყრანტოში მოაწვა ის ფიქრი, რომელიც ჩასძახოდა, აიღეო. ის-ის იყო, უნდა დაეტაცნა ფულისათვის ხელი, რომ გული უეცრად გადაუბრუნდა კეთილისაკენ და მძიმე-მძიმედ გამობრუნდა უკან.

ნეტავ რად უნდა ფული? ნუთუ ძველმა ჩვეულებამ წასძლია? ან აკლია რამე?

ისევ თავის საქმეებს შეუდგა ანტოშკა. ჰაეროპლანს აკეთებდა, ჩაჰკირკიტებდა და ხანდახან უცნაურად შეჩერდებოდა. ერთი შეხედვით იფიქრებდით, რალაცა ნაწილის ახალ გამო-

გონებაზე ფიქრობსო, მაგრამ თუ ცოტას დაუფიქრებოდით, მიხვდებოდით, რომ იმის ფიქრს „შევარდენის“ ნაწილებთან არაფერი ჰქონდა საერთო, მით უმეტეს, რომ ამოიოხრებდა და განზე გადასდებდა ხოლმე მას.

ღეიდა ტერეზას გუჟანი ჰქონდა, რომ ამისი მიზეზი თეკლეს წასვლა იყო მოსკოვს.

მაგრამ ერთი საკვირველი ამბავი მოხდა ამის შემდეგ- როდესაც ბავშვებმა დაიძინეს და ღეიდა ტერეზამაც სრულიად მშვიდობიანად მისცა ძილს თავი, ანტონშკას რაღაცა ეშმაკი შეუჭდა, წამოაყენა იგი ფეხზე და უცნაური გადაწყვეტილება გამოატანინა.

მან ფეხაკრეფით ჩამოუარა ყველა საწოლს, კარგად გასინჯა, ყველას ღრმად ეძინა თუ არა და, როცა დარწმუნდა, რომ ძილი ღრმა იყო, ნელის ნაბიჯით გასწია ღეიდა ტერეზას ოთახისაკენ.

სახეზე აღარ ეტყობოდა ადამიანობა, თვალები უელავდა და სწორედ ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, როგორცა აქვთ ხოლმე ბოროტმოქმედებს, კაცის დასახრჩობად რომ მიდიან.

რა მოხდა? რამ შეცვალა ასე უეცრად ეს მშვენიერი და სამაგალითო ბავშვი, რომლითაც ამაყობდა მთელი თავშესაფარი?

ანტონშკამ ნელა, დიდი სიფრთხილით შეაღო კარი ღეიდა ტერეზასთან და უკან გამობრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ მივიდა კართან და შეიქვერიტა: ნახა, რომ ტერეზას მშვიდად ეძინა.

ღეიდა ტერეზას რომ დახედა, ცოტა გააყრუოლა და შედგა. შემდეგ რაღაც მოიფიქრა და უეცრად გადაწყვიტა: ამ გადაწყვეტილებამ შუბლი შეუჭრა. მეტისმეტად საჩქაროდ მივიდა მაგიდასთან, უჯრას ხელი წააელო, უნდა გამოეწია, მაგრამ ამ ღროს თვალი მოჰკრა ტერეზას საწოლის თავზე ჩამოკიდებულ მის დიდ საკვოიჯეს და უჯრას თავი გაანება. აილო საკვოიჯეი, მაგიდაზე დადო და თითონ საჩქაროდ გამოვიდა ოთახიდან.

ელვის სისწრაფით ჩაიკვა თავისი ტანისამოსი, ისკუპა ფანჯრიდან და ღამის ბინდბუნდში გაქრა.

დედა ტერეზამ კი სიზმარში ღრმად ამოიოხრა, მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ისევ მიიძინა.

მეტად შავბნელი და კუმატი ღღე გაუთენდა ტერეზას. თითო-თითოდ ჩამოუარა დეიდა ტერეზამ ბავშვებს, თითო-თითოდ გადაუსვა თავზე ხელი, ლაპარაკში ჩაურთავდა: „წუხელის ხომ არ დაგინახავს, ვინ იყო ჩემთან? ალბათ რაღაც საქმე ჰქონდა და მძინარე არ გამაღვიძა“. შემდეგ დაუმატებდა: დილას კარი ღია დამხვდაო, ხოლო ფულის მოპარვაზე არაფერს ამბობდა.

ყველაზე ჰქონდა ეჭვი, გარდა ანტოშკასი, ამიტომ ყველაზე ბოლოს ანტოშკა მოიკითხა და დახე უბედურებას! ანტოშკა იქ აღარ აღმოჩნდა.

ორივე ხელი შემოიკრა დეიდა ტერეზამ თავში და ზარდაცემული შევიდა თავის ოთახში. ამოდენა ამაგმა, ამოდენა შრომამ მუქთად ჩაუარა და იმედების ხუხულაც ერთის შებერვით დაენგრა. თუ ანტოშკას შეეძლო ჩაედინა ეს, მაშ რაღა იმედი უნდა ჰქონოდა სხვებისა? უეჭველია, ქუჩის ბავშვში ქუჩამ დაილაპარაკა. ეგრევე დაემართება ყველა ბავშვს. აქამდე კი დეიდა ტერეზა სრულიად დანდობილი იყო იმ იმედზე, რომ ოდესღაც ქურდბაცაცები, კაცური ცხოვრებიდან სრულიად გადავარდნილები, ადამიანად აქცია. ამის შემდეგ რაღა დარჩენია დეიდა ტერეზას? უნდა კარჩაკეტილში დაიძინოს და ხელი სულ ჭიბეზე ედოს, არავინ არაფერი ამომაცალოსო!

მაგრამ გაკვირვებულსა და განცვიფრებულ დეიდა ტერეზას შორს, ძალიან შორს, გულის ერთ კუნჭულში ერთი იმედის სხივი მაინც უფარფატებდა: ვინ იცის, იქნებ არც ისეა საქმე, როგორც მგონიაო.

დეიდა ტერეზამ მაშინვე გაგზავნა კაცები ავტომობილთა არტელის ეზოში, საიდანაც მგზავრები მიდიოდნენ რკინიგზის სადგურისაკენ, რათა გამოერკვიათ ასეთი და ასეთი ბავშვის ამბავი. იმის იმედიც ჰქონდა დეიდა ტერეზას, სადმე ახლო იპოვნიდნენ ანტოშკას.

მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდა. შემდეგ დეპეშა დაუკრა რკინიგზის სადგურს, ასეთი და ასეთი ბავშვი გამოგვექცა და პონა შეგვატყობინეთო.

ამის შემდეგ დეიდა ტერეზას ხასიათი გამოეცვალა. თავის გულისწყრომას, უზომო მწუხარებას არავის აგებინებდა. არც ის გააგებინა ვისმე, თუ ანტოშკამ ფული ამოაცალა მას. მაგრამ ალერსში და მოპყრობაში მაინც ის აღარ იყო, რაც იყო წინათ.

ხშირად გაუელვებდა ხოლმე აზრი, რომელიმე ბავშვზე დაეყუდებინა გული, დედის სიყვარულის ნიღაბი მასზე დაეყარნა, მაგრამ გაახსენდებოდა თუ არა ანტოშკა, ფიქრი მაშინვე გულიდან გადაუვარდებოდა და შიგ ძმარნარევი წყალივით ჩაუღვებოდა რაღაც გაურკვეველობა.

რამდენჯერმე წასვლაც მოიწადინა ამ სამსახურიდან. მაგრამ სამშობლოს მოვალეობა, მისთვის ზრუნვა და შრომა აკავებდა. ანტოშკაზე ფიქრმა უძილობა შესძინა, უძილობისაგან თავის ტკივილი დასჩემდა, თავის ტკივილმა ძარღვები აუშალა და ბოლოს ჩავარდა ლოგინად.

დეიდა ტერეზა საავადმყოფოში დააწვინეს და მის მაგიერად დანიშნეს მისი თანაშემწე სოფიო. სოფიო წინათ ბავშვებს არ უყვარდათ, მაგრამ როცა მარტო სოფიო დარჩა და ბავშვებს მხოლოდ მასთან ჰქონდათ უშუალოდ საქმე, უფრო ახლო გაიცინეს და უფრო მეტად შეეჩავრათ იგი. ახლა უფრო მეტად დაათვასეს დეიდა ტერეზა და სულ მის ხსენებაში იყვნენ.

სოფიო რაღაც უცნაური ქალი გამოდგა. ბავშვებს ყვირილსა და ხტუნვას უკრძალავდა, დეიდა ტერეზა კი, პირიქით, თუ დაიყვირებდა ვინმე, ეტყოდა: უფრო ძალიან დაიყვირე, ფილტვები გაგიმაგრდებაო; თუ ვინმე შეხტებოდა, შეარცხვენდა:

— ჰაი, შე უშნო, მაგაზე მალლა ვერ უნდა შეხტეო, — და იქამდე ახტუნებდა, სანამ არ მოსწყინდებოდათ.

სოფიო კი ყველაფერს უკრძალავდა, უყვიროდა ბავშვებს და ისინიც უფრო უარესს სჩადიოდნენ.

მართალია დეიდა ტერეზა საავადმყოფოში ცოტა მომჯობინდა, მაგრამ იქვე გადასწყვიტა, გამოსვლისას აღარ დაბრუ-

ნებულიყო თავის ადგილას. როდესაც იქიდან განთავისუფლებისათვის დაწერილ განცხადებას ხელი მოაწერა, ისე ღრმად ამოიოხრა, რომ გული თან ამოაყოლა.

საავადმყოფოდან გამოწერეს.

სანამ განცხადებას შეიტანდა, მაინც შეიარა თავის ბავშვებთან და გზადაგზა ფიქრობდა, თუ როგორ ეთქვა თავისი წასვლის მიზეზი მათთვის. ვერ გამოეძებნა ხერხი. ათასი ფიქრი ათასს ელობებოდა და ერთმანეთში ირეოდნენ აზრები.

ამასობაში დაღონებული მიუახლოვდა ბავშვთა თავშესაფრის ეზოს, საიდანაც მას უეცრად შემოესმა ყურისგამპკრელი და გრძელი დაძახილი:

— დეიდა ტერეზა!

ეს დაძახილი სიხარულისა და აღტაცებისა იყო. იგი ამოდინდა დიდი გრძნობით საესე პატარა გულიდან და ამ დაძახილმა სიხარულის კორიანტელივით შეატრიალა ბავშვების კერა.

ატყდა თავბრულამხვევი წივილ-კივილი, ზოგი კისერზე ეკიდებოდა დეიდა ტერეზას, ზოგი ზურგზე, ზოგი წელზე შემოეჭდო და ზოგნიც სიხარულისაგან ერთ ადგილას ხტოდნენ.

დეიდა ტერეზა კი დედაბოძივით იდგა ბავშვებში. ბავშვები დაიღალნენ სიხარულით, დეიდა ტერეზამაც ყველას გადაუსვა თავზე ხელი, რამაც სრულიად დაამშვიდა ისინი, თვითონაც დამშვიდდა, მაგრამ მოაგონდა, რომ მათ შორის ანტოშკა აღარ იყო და ისევ დაღონდა. ისიც მოაგონდა, რომ ამ ბავშვებთან განშორებისათვის დაწერილი განცხადება საკვოიაცში ედო და ცრემლი დაეკიდა წამწამებზე. გული შუა გაეყო, არ იცოდა რა ექნა.

სწორედ ამ დროს მოესმა ერთი პატარა ბიჭის — თხუნელას ხმა:

— დეიდა ტერეზა! დეიდა ტერეზა!

— რა იყო, ბიჭო, — მიეგება დეიდა ტერეზა.

— მახარობელი ვარ, მახარობელი! — დაიყვირა მან.

— რისა, თხუნელა, რისა?

— ანტოშკა მოვიდა! — მიახალა მან სიხარულით და ჰინკასავით შეხტა მალლა: — აგერ! — გაიშვირა ხელი გარეთკენ.

— ანტოშკა! — წამოიძახა ყველამ სიხარულით და მღიმარე სახეები ისე გაირინდნენ, რომ დახატულები გეგონებოდათ.

დღეიდა ტერეზას შუბლი გაეხსნა, მისი თითო თვალიდან ათმა მზემ გამოაშუქა და ყველა სხივებით მიბრუნდა იქით, საიდანაც ანტოშკა უნდა შემოსულიყო.

ანტოშკა მორცხვი ღომილით და ნელა შემოვიდა. დღეიდა ტერეზა რომ დაინახა, გაქანდა, ყელზე ჩამოეკიდა და კოცნა დაუწყო:

— მაპატიე, დღეიდა ტერეზა! მაპატიე!

შემდეგ კარებისკენ მიბრუნდა და დაიძახა:

— მოდი!

მის დაძახილზე მძიმე-მძიმედ შემოვიდა ერთი თავით ფეხებამდე მჭვარტლში და ჭუჭყში გაქონილი ბავშვი, რომელსაც მხოლოდ თვალის ქუთუთოებშილა ეტყობოდა თეთრი მოხაზულობა. ფეხშიშველას თმა სასაცილოდ ჰქონდა აბურ-ძგნული და საფლავიდან ამოღებული გეგონებოდათ.

მის დანახვაზე ერთხმად ასტეხეს სიცილი ბავშვებმა.

— რას იცინით? — წარმოთქვა ხმამალა ანტოშკამ, — ვის დასცინით? ეს გუშინდელი სახეა ჩვენი, აი რა ვიყავით ჩვენ. ეს საშინელებაა, მაგრამ მაინც არ უნდა დასცინოთ, რადგანაც იგი წარსული არის ჩვენი.

— ყოჩაღ, ანტოშკა, — თქვა სიხარულის ცრემლმორეულმა დღეიდა ტერეზამ.

— კი არ უნდა გაიცინოთ ამის დანახვაზე, — განაგრძო ანტოშკამ, — უნდა იფიქროთ ამის გარდაქმნაზე და ჩვენსკენ მოქცევაზე.

— შენ გენაცვალოს დღეიდა ტერეზა! — ჩაურია ტერეზამ.

— დღეიდა ტერეზა! — მოუბრუნდა ანტოშკა ყინჩად: — მე თქვენ ფული მოგპარეთ და გავიპარე. ამისათვის გთხოვთ პატიებას. მე ეს მხოლოდ იმისათვის ჩავიდინე, რომ ეს ჩემი ამხანაგი საშკა მეპოვნა და მომეყვანა. განა შეიძლებოდა, მე აქ ვყოფილიყავ ბედნიერი და ეს იქ დამეტოვებინა უბედური?

— შენ გენაცვალე! — ჩაურთო კიდევ დღეიდა ტერეზამ.

— მე, უეჭველია, დიდი კაცი გავიზრდები, — განაგრძო ისევ ანტოშკამ, — ჩემი მარჯვენით ვიშოვი ფულს და გადაგიხდით ვალს.

— ჩემო გვრიტო, — მიუალერსა აღმზრდელმა, — შენ ვალი

უკვე გადახდილი გაქვს გონივრული და კეთილშობილური გრძნობით, მაგრამ რა საჭირო იყო გაპარვა, განა ჩემთვის რომ ვეთქვა, არ დაგეხმარებოდი, არ გაგიწევდი თანაგრძნობას?

— ეს შეცდომა მომივიდა და მპატიეთ. ხოლო აი ეს ჩემი ამხანაგი უნდა მიიღოთ ჩვენთან.

— სიამოვნებით! — წარმოთქვა დეიდა ტერეზამ და კიდევ აათვალ-ჩაათვალიერა საშკა, რომელიც ყოველი ამ ამბისაგან გაკვირვებული და გაოცებული კეტივით გაშეშებული იდგა.

დეიდა ტერეზამ საკვოიადან ამოიღო განცხადება, ოთხად გადახია იგი და საშკას გაუძღვა წინ საბანაო ოთახისაკენ.

სწორედ კომკავშირის ოცი წლისთავის დღესასწაულისათვის ემზადებოდა საბჭოთა ქვეყანა, რომ მე ქუთაისიდან ვაპირებდი გადმოფრენას თბილისში.

აეროდრომზე რომ მივედი, ვნახე, რომ ჩვენი თვითმფრინავის გარშემო ერთი ახალგაზრდა ტრიალებს. მშვენიერი, ამოლტილი, ულვაშამოღანებული ყმაწვილი თვალსა და გულს მტაცებდა. რომ ვაკვირდებოდი, გული მითქვამდა, რომ ეს ყმაწვილი სადღაც მყავდა ნანახი, მაგრამ სად — ვერ მომეგონა.

ჩავსხედით.

მან მანქანა მოსხლიტა მიწას და შესრიალდა ცის ლაქვარდში. მისი მოხდენილი მიხერა-მოხერა მანქანაში მართობდა და სულ ვფიქრობდი, როგორმე მომეგონა, სად მყავდა ნახული.

სურამის მთების თავზე სქლად იღო ღრუბლები და ჩვენ სწორედ ამ ღრუბლებზე ისე მიგვასრიალებდა ეს მშვენიერი ყმაწვილი, როგორც თოვლის ფიფქზე.

ერთი-ორჯერ შევეკითხე — ვინა ბრძანდებით-მეთქი, მაგრამ პროპლერის გრიალში ვერც იმან გაიგო ჩემი კითხვა და ვერც მე მისი პასუხი.

შემდეგ თავი გავანებე და თბილისის აეროდრომზე რომ დავეშვით, გულმა არ მომითმინა, კიდევ ვკითხე:

— უკაცრავად, ყმაწვილო, თქვენ ძალიან მეცნობით და ვერ მომიგონია, თუ ვინა ხართ, ან სად მინახავხართ.

— მე კომკავშირელი შევარდენი გახლავართ, — მომიგო მან, მაგრამ ეს ჩემთვის არავითარი ახსნა არ იყო.

იმანაც შემატყუო ესა და დამაკვირდა: გაელიმა, თავი დახარა, კიდეე გაილიმა და შემდეგ მითხრა:

— მე გიცნობთ თქვენ.

— საიდან? — ვკითხე მე.

— საიდან? — თქვა მან, შემდეგ მკლავში წამავლო ხელი ძმურად, განზე გამიყვანა და მითხრა: — სწორად მითხარით, რამდენი გედოთ მაშინ ჯიბეში ფული, როდესაც მე შიგ ხელს გიყოფდით ამოსაცლელად?

თქვა თუ არა ეს, მაშინვე მივხვდი, რომ ეს ის მაწანწალა იყო, მე რომ დავიჭირე ერთხელ.

— ვალი უნდა გადაგიხადოთ, რამდენი გედოთ-მეთქი ჯიბეში? უეჭველია, რომ არ დაგეჭირეთ, ამოგაცლიდით, — თქვა მან სიცილით.

— გეფიცებით სინდისს, — ვუთხარი გულწრფელად, — გეფიცებით სინდისს, რომ მაშინ სამი შაურის მეტი ფული არ მქონდა, ისიც მხოლოდ ტრამეის ვაგონში ჩასაჯდომად მინდოდა. თუ მაკადრებთ და მომცემთ, ავიღებ.

— არა. სამ შაურს კი არ გაკადრებთ, მაგრამ მეტი კი გეკუთვნით, რადგანაც თქვენ გახდით მიზეზი ჩემი დროზე გაბედნიერებისა.

— მერე შევარდენია თქვენი გვარი? — ვკითხე ბოლოს.

— შევარდენი მე თვითონ დავირქვი, რადგანაც თვითმფრინავი შემიყვარდა ბავშვობიდანვე და სულ მას ჩავკირკიტებდი.

— სასიამოვნოა.

— ახლა მალე გადავალ სამხედრო გამანადგურებელზე და თუ მტერი გაბედავს ჩემი საყვარელი სამშობლოს წინააღმდეგ ხმის ამოღებას, თვითმფრინავი „შევარდენი“ უსახელოდ არ დაიღუპება სამშობლოსათვის ბრძოლაში.

— ყოჩაღ, ახალგაზრდავ! ყოველი გონიერი და სამშობლოს მოყვარული მიბაძავს შენს მაგალითს, — ვუთხარი მე.

ამ დროს მოვიდა მანქანა. რაკი მანქანაში უნდა ჩავმჯდა-



რიყავ ქალაქში წასასვლელად, საჩქაროდ გადავკოცნე იგი და მივბრუნდი მანქანისაკენ.

— საშუა! — დაუძახა მან შოფერს, — ეს ამხანაგი შენს გვერდით დაისვი, — შერე მე ამიხსნა: — ეგ საშუაც ჩემო მაშინდელი ამხანაგია, თქვენ რომ პირველად შეგხვდით. ახლა ტანკისტია და ავტოზე ვამუშავებთ.

მანქანამ თბილისისაკენ გამაქანა დატვირთული საამურო შთაბეჭდილებებით.

## თეთრი მდინარე

### I

მაისი ირხეოდა მწვანე ზღვად მინდვრებში, როდესაც ქიზიყიდან დაიძრა ცხვარი და ძროხა თრიალეთისაკენ.

მსწრაფლ მოსწყდა ცხვრის ფარას წინიდან ვილაცა და სოფელში მხიარულად შეაჭენა ცხენი.

ცნობისმოყვარე ბავშვები მოგროვდნენ გზის ნაპირებზე და ძაღლებმა ასტეხეს ღავლაღვი.

გაირბინა მხედარმა ორლობეში და მის განარბენზე მტვერილა დარჩა ხანგრძლივად დასანახავი... ცოტა ხნის შემდეგ კი მის კვალზე დაიწყო დენა თეთრმა მდინარემ.

მხედარი შეჩერდა სოფლის შუა, ღუქნის წინ თავმოყრილ გლეხებთან.

— აბრიკოს გაუმარჯოს! აბრიკოს გაუმარჯოს! — დააყარეს აქეთ-იქიდან გლეხებმა.

აბრიკოც თბილი ღიმილით პასუხობდა ყველას. მისი შეოფლიანებული ცხენი წაღმა-უკუღმა დგებოდა, ლაგამსა ღრღნიდა, ღეჭდა. ტოტსა სცემდა დედამიწას, წისქვილის ქვასავით ზრუნავდა, მოსასხლეტად იწვევდა და არ აცდიდა. პატრონს ხანგრძლივად ელაპარაკნა ვისთანმე.

აბრიკოს მწითურ სახეზე თუჯისა და ფოლადის სიმტკიცე ვარვარებდა. უხდებოდა კოხტა, წყლისფერი მოკლე ჩოხა შავი ახალუხით. თავზე მჭიდროდ ეხურა მოთელილი კრაველის თუშური ქუდი, რომელიც სულ ვერა ჰფარავდა ყორანისით შავ, ხუჭუჭა ქოჩორს. ძლიერი და ღონიერი ასხმულობის ტანზე უშველებელი ვერცხლის ხანჯალი ისეთ შთაბეჭდილებასა

სტოვებდა, თითქო მსუბუქი რამ არტყიაო. მხარილივ გადარტყმული ჰქონდა ორი სავაზნე და ბერდანის თოფი.

მისი შავი და ბრტყელი წარბები დინჯად დაჰყურებდნენ შავივე კუპრის მდულარე ორ მორევს, რომელთაც ზედ იმსიგრძე წამწამები გადაჰფარებოდა, რომ ზედ საქანელა ჩამოიბმებოდა. ხოლო ახლადამოგრუზული უღვაშების ორი შავი ფრთა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ცხვირში მერცხლის ბარტყი უძვრებო...

როცა გაიღიმებდა, ბაგეებს იქით მოჩანდა დიდმარცვლიანი სიმინდის თეთრი ტარო.

თავმომწონე ჯეილი გულკეთილი ღიმილით უპასუხებდა გლეხებს კითხვებზე და თან ქურდულად ვილაცას უთვალთვალეზდა ორსართულიანი სახლის აივანზე. ყველა შეატყობდა, რომ იმ სახლიდან ვილაცას მოელოდა. ვილაცას ეკუთვნოდა მისი მკვერავი გული.

სწორედ ამ დროს იმ ორსართულიანი სახლის პირდაპირ დუქნიდან სრულიად მოულოდნელად გამოვიდა ქაზუმა თათარი, რომელიც ერთ დროს ამხანაგად ჰყავდა მას მთაში.

ქაზუმას დანახვამ სახე აუტკიცა აბრიკოს და ისეთი ფერი მისცა, როგორიცაა აქვს ხოლმე მზის ამოსვლას, ქარიან ამინდს რომ მოასწავებს. რათა? იმიტომ, რომ მან ერთი ამბავი მოაგონა აბრიკოს.

ერთხელ ჯეილი ბიჭი სისხლის სიჭარბემ შეაწუხა მთაში ყოფნის დროს და ქაზუმას ლამაზ ცოლს, გულხანუმას, ხელი მოუტაცუნა. რა თქმა უნდა, ნამუსშენახული თათრის ქალისაგან ამით აბრიკომ ვერაფერი იკიჟნა და საყვედურები კი ბევრი მიიღო. გულხანუმამ, როგორც იტყვიან, კაკალი დაამტვრია თავზე, ოღონდ ისე კი, რომ ვერაფერს გაიგო.

ამის გამო შერცხვა აბრიკოს იმ ადგილისა, სადაც იმ წუთას იდგა და იმისაც, რისთვისაც იდგა. ამას გარდა ისიც ეთაკილა, რომ მეგობრული სალამ-ქალამი გაუბა ქაზუმამ, რომელსაც დიდი ქურდის სახელი ჰქონდა გავარდნილი ხალხში...

მზესავით გამობრწყინდა ამ დროს ორსართულიანი სახლის აივანზე ვილაც ახალგაზრდა, ცნობისმოყვარე, ლამაზი ქალი და, აბრიკო რომ დაინახა, ისევ შებრუნდა სახლში. ცოტა ხნის

შემდეგ ქათმებს საკენკი გამოუტანა და დაუძახა. თან საკენკს უყრიდა, თან შუბლქვეშიდან სინჯავდა აბრიკოს და რადგან აბრიკოსმაც აღარ მოაშორა თავისი ბულაქამეჩის ბრიალა თვალები, ქალმა გადაიკისკისა და გაიქცა.

ცხენი ისევ ბორგავდა, ყალუზე დგებოდა, გაფრენა უნდოდა, მაგრამ აბრიკო არ უშვებდა და არც თვალს არიდებდა იმ კარებს, რომლის იქითაც მოემწყვცდა მშვენიერი არსება.

— მოგეწონა, შე ყურუმსალო?! — უთხრა ეშმაკური ღიმილით შიბაქამ. აბრიკომ თავი გაიქნია, ტუჩები გააცმაცუნა, თითქოს ყაურმიანი თითი გაილოკაო და შემდეგ მიუბრუნდა შიბაქას:

— რას მეუბნები შენა?

— გინდა ეგ საქმე გაგიკეთო?

— რა საქმე უნდა გამიკეთო, შე შიბაქავ, შენა!

— ვიცი, შენ ეგ გოგო კაი ხანია შეგულებული გყავ, ისიც ვიცი, იმასაც ჰყვებარ შეგულებული, რაღა ლაპარაკი უნდა, კვერი გამომცხვარია და ამოხდაღა უნდა.

— ამიტომ შენ გინდა ამამიხადო?

— რა გაფუჭდება: შენც იხეირებ, მეც.

— როგორა, შიბაქა?

— აგრე, რომა სამაჭანკლო ორიოდე თოხლს წაგაძრობ-ყე.

— ორიოდე თოხლს უმაგისოდაც გიფეშქაშებ, ოლონდ ჭერ იგრე არა მაქვს საქმე, შენისთანა ბიჭების დახმარება დამჭირდეს: კაცი ვიყო, თავზე ქუდი მეხუროს და მაჭანკლის გარიგებული ქალი შევირთო?!

— მა როგორ გინდა-ყე?

— ერთ მშვენიერ დღეს ქორივით დავეცემი და წავიღებ.

— მაგას ის არა სჯობია მშვიდობიანად და ტკბილად...

— არა! მოტაცებული უფრო გემრიელია! — გააწყვეტინა აბრიკომ.

— დიდი ქონებაც იმიტომა გაქვს, რომ სულ მოტაცებაზე გიჭირავს თვალი, — თქვა შიბაქამ, მაგრამ აბრიკომ ეს ვერ გაიგო, რადგან ამ დროს მიაღვა მას ვეფხოს ფარა, ხოლო ორსართულიანი სახლის გასწვრივ, მოდობილის ბოლოში თვალი მოჰკრა თვითონ ვეფხოს, რომელმაც სწრაფად შეუხვია შინისაკენ.

აბრიკომ ვეფხოს დანახვაზე ფიცხლავ მიუშვა აღვირი ცხენსა და გაფრინდა.

ცხვრის პატრონებმა: აბრიკომ, ვეფხომ და შაქრო ბეგმა, რომელნიც ამხანაგები იყვნენ და თრიალეთს ერთად მიდიოდნენ, შინ შეიარეს, ხოლო ცხვარს გააყოლეს ყინტორა ბიჭი, ლოქო, ყაზრო, ციგრიბუგრია, ციცილიბა და სხვები...

ჰოდა, ვეფხომ სწრაფად შეუხვია მოლობილზე და, როცა იქიდან გზაზე მიმავალ ცხვარს გახედა და ყაზროს ჩონგურს მოჰკრა ყური, თავისი წარსული მოაგონდა.

ვეფხოს მამას, მიტროს, მთელი ქვეყანა იცნობდა, როგორც დიდსა და სახელგანთქმულ მესაქონლეს. ათი ათასი სული ცხვრის პატრონი იყო.

მიტროს ორი ძმა ჰყავდა: ნიკო და ილიკო.

მიტრო მეცხვარეობას ეწეოდა, ნიკო და ილიკო მეურნეობას.

მიტროს სამი ვაჟი ჰყავდა და ერთი ქალი. ქალი სიბერის დროს გაუჩნდა და სულ პატარა დარჩა სიკვდილის შემდეგ.

მეცხვარეობის ნიჭი ძმებში მხოლოდ ვეფხოს გამოჰყვა და ამიტომ მამამ მხოლოდ ვეფხო გაიყოლა ცხვარში.

ვეფხო რომ ოცდაერთი წლისა გახდა, მიტრო მოკვდა. ჯარშიც სწორედ მაშინ წაიყვანეს ვეფხო.

მიტროს მაგივრად ცხვარში წავიდა მისი ძმა ილიკო, ვეფხოს ბიძა. მაგრამ ილიკო ბუნებით მეცხვარე არ იყო და რამდენიმე თვეში ცხვარი სულ დაელუპა.

ამის გამო გაიყარნენ ძმები.

გაყრის დროს ვეფხოს მამის წილთან ერთად თავისი საჯოხეც მისცეს, სულ ოცდაათი ცხვარი. ეს ოცდაათი ცხვარი ვეფხოს ძმებმა მის დაბრუნებამდე შაქრო ბეგს მიაბარეს.

შაქრო ბეგმა პირნათლად შეუნახა ვეფხოს ოცდაათი ცხვარი, ხოლო ყოველწლიური დოლი და სხვა შემოსავალი თვით ცხვარსა და ვეფხოს ოჯახს მოახმარა.

ჯარისკაცობიდან დაბრუნებისას ვეფხო მაშინვე ცხვარს ეცა.

შაქრო ბეგმა გადაუთვალა ოცდაათი ცხვარი, მაგრამ ვეფხო სულ მასთან დადიოდა. ერთ კვიმატ ღამეს ალაზნის გაღმიდან

ჭარ-ბელაქანთან მოვარდა დიდოელი ყაჩაღების ბრბო და აუარებელი ცხვარი გარეკა.

შაქრო ბეგმა ცოტაოდენი გადაარჩინა და იმ ცოტაოდენში ხუთი ცხვარი ვეფხოსი იყო.

რილასთვის ყოფილიყო ვეფხო ცხვარში?

ამიტომ აიკრა გუდა-ნაბადი, გაიგლო ხუთი ცხვარი წინ და მივიდა შინ.

მისი დედა და ძმები დალონდნენ, დამმარდნენ, მოიხრუკენენ დარდისაგან. პატარა მისამ ტირილი მორთო.

ამის შემდეგ ვეფხომ სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. მაგრამ ვერ ეხერხებოდა: სულ ცხვარი აგონდებოდა, სულ მთისა და მინდვრებისაყენ იყურებოდა. ზოგიერთხელ წამოიხამდა ნაბადს წვიმაში, გავიღოდა გარეთ, მიწვებოდა ჯაგის ძირას თავისი კავიანი ჯოხით და სიამოვნებით შეჰყურებდა თავის ხუთ ცხვარს, რომელიც სწორედ აი ამ მოღობილში სძოვდა ხოლმე, ახლა რომ ამოიარა.

ამით იკლავდა მეცხვარეობის უნს, სურვილს, სიყვარულს.

ერთხელ გაზაფხულზე, როდესაც აი ასე ამოიარა სხვისა ცხვარმა, რომელსაც ყაზრო მოსდევდა, ვეფხომ ყური მოჰკრა:

წუთისოფელო, ტიალო,  
შენამც დაგიდგეს თვალიო,  
ვეფხოსა მათურაშვილსა  
ცეცხლზე დაუსხი წყალიო.  
გაზაფხულ იყო მაშინა,  
მკვდრეთით დგებოდა მკვდარიო,  
ვარდ-ყვავილთ კაბას იცვამდა  
ნაზამთრი მთა და ბარიო.  
მათურაშვილი ვეფხოი  
ალაზნის გაღმა არიო,  
არა ჰშორდება ყოჩებსა,  
იქა ჰყავ თავის ცხვარიო.  
მზე რო ჩავიდა ღამეში,  
დაუდგა ავი დარიო:  
ჭარა-ბელაქანით მოვარდა

დიდოელ ყაჩაღთ ღვარით,  
 ვილაცამ თოფი გამოჰკრა,  
 ვეფხოს თავს დასცა ზარით,  
 უთოფო მათურაშვილი  
 ქვას უშენს განამწარიო.  
 ვაიმე, ჩემო ყოჩებო,  
 საით წაიღეთ რქანიო!  
 მაცადეთ, დიდოელებო,  
 მამიბრუნდება ხანიო,  
 მეც გადავიგდებ ბერდინკას,  
 მამემატება ჯანიო—  
 მაგ ყაჩაღობის გულისთვის  
 თავს დაგანგრიოთ ბანიო.

ამის გაგონებაზე ვეფხოს გული აუჩქროლდა, ცხვირი აეწვა და ცრემლი ველარ შეიმავრა.

— ამაზე მეტს ველარ მოვითმენ! — თქვა მან და, როგორც გალიაში დამწყვდეული ჩიტი გაზაფხულისას, აფართხალდა: აქეთ ეცა, იქით ეცა, ხუთი ცხვარი კიდევ იყიდა, შაქრო ბეგ-მაც კარგი დოლის აღების გამო ათი ცხვარი „ასესხა“ და ვეფხო გამოცოცხლდა: აიკიდა თოფი და თავისი ოცი ცხვრით გაუამხანაგდა შაქრო ბეგს. თვალი აღარ მოაშორა ცხვრებს — დღედაღამ სულ კუდში სდია და ხუთი წლის შემდეგ ისევ მეცხვარე გახდა. ძმებს მატყლი მიაწოდა, ყველის გუდებით აავსო ოჯახი, თავის პატარა დას, მაისას, მზითვეი მოუმზადა და ბოლოს ცოლი შეირთო. მაგრამ, როგორც გლეხები იტყოდნენ, ცხვარი თავის თავსაც ერჩივნა და ცოლ-შვილსაც. ამიტომ ზოგი ცხვრის ღმერთს ეძახდა, ზოგი — ცხვრის გიჟს...

ყოველივე ამის მოგონებებმა ისე გაუარა თვალწინ ვეფხოს, როგორც ცხვრის ფარამ და ამ ფიქრებით შევიდა კიდევ სახლში.

მაისამ უთხრა, შენმა ამხანაგმა აბრიკომ ცხენით აიარაო, და დაწყებული ლაპარაკი აბრიკოსკენ მიაბრუნა. ამან აბრიკოს წარსულიც გაახსენა ვეფხოს.

სწორედ იმ ხანებში, როცა ვეფხო დაბრუნდა ჯარისკაცო-

ბიდან, აბრიკო ლოჭოს მამასთან, ჩალხანასთან იყო მოჯამაგირედ. ჩალხანას ლოჭოს მეტი არავინ ჰყავდა. უამრავი ცხვარი ჰყავდა, თვლა კი არ იცოდა. მხოლოდ ისეთი მესხიერება ჰქონდა, რომ ერთი გადახედვით შეატყობდა, თუ აკლდა რამე. ჰოდა, იმ დროს ჩალხანასთან იყო აბრიკო მოჯამაგირედ. ლოჭო კარგი მოჭიდავე იყო, გულადი, თოფის სროლაც კარგი იცოდა, მაგრამ მამა ბედოვლათს ეძახდა, ცხვრის ძალა არ ესმის, დამლუპავსო.

მართლაც, მოკვდა თუ არა ჩალხანა, ლოჭომ მამის ქონებას ვერ უგდო ყური და ის უამრავი ცხვარი სულ დაეღუპა. ამიო ისარგებლა მოჯამაგირე აბრიკომ და სამოციოდე ცხვარი ჩუმად გარეკა შირაქიდან ალაზნაგალმა და შაქრო ბეგს მიაბარა: შენი ჭირიმე, სანამ ყველი გამივა ჩალხანასთან, შემინახეო.

გაკოტრებული და გაძარცული ლოჭო სოფლის მეურნეობისათვის არ გამოდგა. აბრიკო კი შაქრო ბეგთან გადავიდა და მეცხვარე გახდა. იმათთან მივიდა ლოჭოც: თუ გინდათ მოჯამაგირედ დაგიდგებით, თუ გინდათ მარტო ლუკმა პური მაჭამეთ და თქვენი ერთგული ვიქნებიო.

მეცხვარეებმაც იგი მუდმივ მოჯამაგირედ აიყვანეს, ოღონდ უჯამაგიროდ. ამიტომ ხან ერთთან იყო ხოლმე, ხან მეორესთან, ხან მესამესთან და ხან ყველასთან ერთად. როგორც უბრძანებდნენ, ისე იქცეოდა და იყო განუყრელი მათთან.

ჩალხანას სიკიდილის შემდეგ შაქრო ბეგთან გადასახლები-სას კარგ ბედში ჩავარდა აბრიკო.

იმჯამად ხუთი ათასამდე ცხვარი ჰყვანდა შაქრო ბეგს და თავის შვილს, კოხტიას, მესაქონლეობის კურსი დაამთავრებინა. ამის გამო სიხარულით ფეხზე აღარ იდგა იგი. ჩემი შვილი მესაქონლეობის „კურსოვნიკია“ და ხუთი ათას ცხვარს ხუთმეტ ათასად მიქცევსო. შვილი დააყენა ცხვარში და თვითონ შინ წავიდა დასასვენებლად.

კოხტიასაც ისე ეგონა — ხუთს ხუთმეტად ვაქცევო.

მაგრამ მარტო დოლის აღების დროს „კურსოვნიკმა“ ორი ათასი ბატკანი დაღუპა. შემდეგ ზამთარში გაუჭირდა საქმე და ფარა ისე შეუთხელდა, რომ თითებზე ჩამოითვლებოდა.



სამაგიეროდ ერთი საქმე გააკეთა ძალიან კარგი: აბრიკოს წერა-კითხვა ასწავლა, გუდით წიგნები უზიდა წასაკითხად შინიდან და თვითონაც ბევრი მეცნიერული შრომები წაიკითხა. ხოლო მესამე გაზაფხულზე ხუთასამდე სული ცხვარიღა ჩააბარა კოხტიამ მამას.

— იმიტომ გასწავლე მაგოდენა წიგნები, რო ცხვარი დამიღუპე-მეთქი?! — დაუყვირა მამამ.

კოხტია გაწითლებული იდგა, ტუჩებს ამზადებდა რალაციის სათქმელად, მაგრამ ვერაფერს ამბობდა.

შაქრო ბეგმა წიგნებით სავსე გულა შორს გადაუტყორცნა შვილსა და უთხრა:

— წადი, მომშორდი შენი წიგნებით და თვალთ აღარ დამენახო.

ამის შემდეგ შაქრო ბეგი ისევ თვითონ წავიდა ცხვარში და აბრიკო მალ-მალ ეტყოდა ხოლმე: ღმერთმა უშველოს შენს შვილს, წიგნის კითხვა მასწავლა, ჭვეყნის ავ-კარგი გამაგებინა და ისეთს გზაზე შემაყენა, რომ ეხლა ჩემითაც ბევრ რასმე გავიგებო.

შაქრო ბეგმა შინ შეუხვია და შინაურებს აუწყა ცხვრის გავლა სოფელზე. შინაურებმა უკვე იცოდნენ, გარეთ იდგნენ და უყურებდნენ შეუწყვეტლივ მიმავალ ცხვარს, რომლის მტვრისაგანაც სოფელი ბუღში იყო გახვეული.

— ვინა გყავს ამხანაგებად? — ჰკითხა „კურსოვნიკმა“ კოხტიამ, რომელიც ორიოდე დღით ჩამოსულიყო თბილისიდან.

— აბრიკო და ვეფხო, — მიუგო მან.

— დღესვე აპირებ შენც წასვლას?

— არა, — მიუგო მამამ კოხტიას, — სამიოდე დღე მოგვიგვიანდება, მანამ ცხვარი მიივლ-მაივლის კაკაბეთის ბოლომდე...

მაგრამ სულ სხვა ფიქრების ბურაო ბურღავდა ტვინიდან გულამდე შინ მობრუნებულ აბრიკოს. ფიქრობდა და ნაფიქრების მოსამკელად ლესავდა ჭკუას, კუმშავდა ღონეს.

— რაც იქნება, იქნება! — თქვა მან, მოახტა ცხენსა და გავიდა გზაზე.

მაისის მიწურულის სადამოხანი იყო. სწორედ ის დრო, როდესაც კურდღელი გამოდის ველზე და ხოხობი ყივის ტყის პირებში. ამ დროს იციან გარეთ გამოსვლა მზეთუნახავებმაც. წყვილ-წყვილად გამოიფინნენ სოფლის ორღობებში და შარავზაზე მოსეირნე ქალები. მათ შორის იყო ის მშვენიერიც, რომელსაც აბრიკომ შორიდანვე ჩააბარა თავისი გული. აი ამ დროს, როგორც გრიგალი, საიდანღაც გაჩნდა თქარათქურით აბრიკო. მიუახლოვდა იმ წყვილს, ერთი რომელთაგანიც იყო მისი გულის მფლობელი, გადმოხტა ცხენიდან და მიმართა მშვენიერს:

— მაისავ! დეე, წავიდეს ეგ შენი მეგობარი ქალი და შეატყობინოს შენს ძმას და ჩემს ამხანაგს, რომ მე მოგიტაცეთ. თუ შენი ძმები ამისთვის მომკლავენ — ახი იყოს ჩემზე. თუ არა და, შენ ჩემი უნდა იყო. სხვანაირად აღარ შეიძლება ჩემი სიცოცხლე.

თქვა თუ არა, დაავლო მაისას ხელი, აიტაცა ცხენზე, მერცხლის ბარტყივით მიიკრა მქშინავ გულზე და გაჰკურცხლა, ელდასავით გაქრა.

მაისას მოტაცების ამბავი ქუხილივით გავარდა სოფელში. ატყდა ყრიაშული, ყიჟინა, წივილ-კივილი და შეხლა-შემოხლა.

ერთხანად ძალიან დაფიქრდა ვეფხო. სამჯერ გამოიტანა მარნიდან უნავიერი და სამჯერვე ისევ უკან შეიტანა — არ იცოდა, რა ექნა, მაგრამ ბოლოს გადასწყვიტა: დაუძახა პატარა ძმებს, შეკაზმეს ცხენები, შეიარაღდნენ და გამოეკიდნენ მომტაცებელს:

— თუ ჩვენი დის ცოლად წაყვანა უნდოდა, სიტყვა დეადამიანური გზა არ იყო!

მდევარმა გაირბინა სოფელი და როგორც ტბაზე გადარბენილმა ნიავმა ჭავლი; ისე წამოაყენა ათასნაირი მითქმა-მოთქმა, ლაპარაკი, ქორები; მართალი და ტყუილი აირია ერთმან-

ეთში. შეითხზა ზღაპრები, ახალი ამბები და არაკები მღევარზე, მტაცებელზე და თვით მნახველებზედაც...

მაგრამ დილით, როცა ერთი პირი ძილი წყალსაც მოუვა ხოლმე და მაისას ძმები ალაზნგაღმა გავიდნენ აბრიკოს დასაჭერად, მათი სახლის კარებთან თქარათქურით მოვარდა აბრიკო.

— ვეფხოუ! — დაუძახა მაისას ძმას, მაგრამ ხმა არავინ გასცა, მხოლოდ ჯაჭვიდან აშვეებული ძაღლი გამოვარდა, რომელსაც მაისამ მოუაღერსა, კისრის ბუნჩულა ბალანში ხელი წაავლო, წაიყვანა და ჯაჭვზევე დააბა.

აბრიკოც ჩამოხტა ცხენიდან, ეზოში შეიყვანა იგი, ლედვს მიაბა და ჩოხის კალთები გაიბერტყა.

— მოდი, აბრიკო, მოდი, — უთხრა მაისამ, როცა ძაღლი დააბა.

აბრიკო ბოძივით იდგა ცხენის გვერდით და არ იცოდა, რა ექნა.

მაშინ თვითონ მივიდა მაისა, წაავლო ჩოხის კალთაზე ხელი და გაუძღვა წინ.

თავდაღუნული შეიყვანა იგი მაისამ სახლში.

— დედი!

— შვილო მაისა! — გაუკვირდა დედას და თვალები დააჭყიტა, როცა მის გვერდით დაინახა აბრიკოც.

— სად არიან ჩემი ძმები, დედი?

— აბრიკოს დასაჭერად წამოვიდნენ.

— აბრიკოს დასაჭერად?... აბრიკო მე დავიჭირე, დედი, და ისე კარგა დავიჭირე, რომ ველარსად წამივა.

დილიდანვე ხმა გავარდა სოფელში, აბრიკომ ქალი ისევ უკან მიიყვანაო. ახლა ამაზე შეიქმნა ჭორები, ზღაპრები, ამბები და შაირებიც კი:

აბრიკო და მაისაო  
ვეფხოვსას სმენ ჩაისაო...

— სად არის აბრიკო? — იკითხა ერთმა.

— ცხენი ისევ მაისაანთ კარწინ უბია, — უპასუხა მეორემ.

და ცნობისმოყვარე ხალხი თავს იყრიდა მაისაანთ ეზოსთან სინამდვილის გასაგებად.

მართლა ისევ მაისაანთ კარწინ ება აბრიკოს ცხენი, რომელიც ყოველ ცნობისმოყვარეს ყურების დაჭოტვითა და თვალების ბრიალით გადახედავდა ხოლმე ზევიდან.

— შექამენ ი ბიჭები, თუ მოუსწრეს სახლში, — იძახდნენ დედაკაცები.

— შექამენ არა, ნაზუქი ხომ არ არის!.. რათ უნდა შექამონ; კაცი თავისი ფეხით მისულა, — იძახდნენ კაცები.

მზე კარგა წამოვიდა.

მაისაანთ კარი კი ისევ ისე იყო ჩაკეტილი, თითქო შიგ რალაცა ხდებო, გარედან ვერავინ ბედავდა შიგ შესვლას და იქიდანაც არავინ გამოდიოდა გარეთ ამბის გამოსატანად.

— რალაცა მოხდება!.. — თქვა შიბაქამ.

— არაფერიც არ მოხდება, — უპასუხა გვერდით მდგომმა ნამცვივნიიანთ საბამ: — თუ კკუა აქვთ, მშვიდობიანად და კეთილად დაბოლოვდება საქმე, თუ არა და... ერთი-ორჯერ გავარდება თოფი და გათავდება ყველაფერი.

— ჰოო, სწორეთ მეც მაგას მოგახსენებ-ყე, რალაცა უნდა მახდეს-მეთქი, — დააკანონა შიბაქამ თავისი მოსაზრება. ამ დროს მოვარდა ნმა.

— მოდიანო.

მაისას ძმებს სოფლის ბოლოშივე გაეგოთ, რომ მათი ოჯახის გამძარცვავე მათსავე ოჯახში იმყოფებოდა და თოფები მომარჯვებული ექირათ. ეს ამბავი ყველას გასაკვირად შინ მყოფთაც გაეგოთ. გაიხსნა კარი და მაისას დედა გამოვიდა გარეთ, ცოფიანებივით მიცვენილებს ხელი დაუქნია და მშვილად გამოსძახა აივნიდან:

— შვილო ვეფხო, დამშვიდდით, დედა გენაცვალთ, და გაიგონეთ ჩემი სიტყვა: თქვენი და მაისა ასე მოგახსენებთ: — თუ სიყვარულსა და ცოლ-ქმრობას შეურაცხყოფას ეძახით, მაშინ მეც მომკალით და აბრიკოცაო.

ძმებმა ხელები ჩამოუშვეს, ერთმანეთს შეხედეს და გაიცინეს.

ამ დროს გაიღო მეორედაც კარი და მაისამ ჩოხის კალთით გამოიყვანა გარეთ აბრიკო.

— ვეფხო, — მიმართა მან ძმებს, — აი ეს კაცი ჩემთვის დღეიდან იგივეა, რაც მამაჩვენი იყო დედაჩვენისთვის, ამიტომ არავის ნება არა აქვს მას ჩვენი ოჯახის მტერი დაუძახოს.

აბრიკომაც თავი მალლა ასწია და ამაყად თქვა:

— ნება მომეცი, გადავკოცნო ჩემი ცოლის ძმები.

— რაკი აგრეა, გადავკოცნოთ, — თქვა ვეფხომაც და გაიმართა გულიანი ხვევნა-კოცნა დამოყვრებულთა.

ხლართი გაიხსნა. საშინელების მოლოდინში შეკუმშული გული ხალხისა გაიშალა, გამხიარულდა და ტკბილად დაიდვარა შარაზე, სოფლის ორღობეებში, ხოლო ჰაერში წაიღო საამო სუნნელება მაისის დასასრულისა.

იმავე წამს წააქციეს ორი ჰედლია.

დაუძახეს ნათესავენს, ნაცნობებს, ხალხს, გაშალეს ნოყიერი სუფრა, მიულოცეს დანიშნულთ ბედნიერება, ჩაარტყეს „ქახური მრავალყამიერი“, „ჩაკრულა“, „ნუმც გაიხაროს მტერმა“... და ზარბაზანივით გაისმოდა თამადის სადღეგრძელოები...

მეორე დღეს ნაქეიფარი აბრიკო ფიცხლავ მოახტა თავის ძუაგამოკვანძულ არაბულას და ასძახა ვეფხოს:

— სიმამრიშვილო, აბა მე მივალ ცხვარში და შენც ნუ დაიგვიანებ.

— აბრიკო, რაკი აგრე სახელდახელო სიძე გამიხდის, სანამ მოვალ, შენთვის ჩამიბარებია ცხვარი. არაფერსა გთხოვ, ყოჩებს გაუფრთხილდი... ცხვრის ჯიში, ხომ იცი...

— ვიცი, ვიცი... ყოჩებზე ჰკიდა!

— იმამ გამარჯვებით!

— გამარჯვებით! — ასწია ხელი მალლა აბრიკომ, მიაბრუნა ცხენი, მაგრად დაიხურა თავზე ქუდი, შემოჰკრა ქუსლი და გაფრინდა.

თავისავე ცხენის კუდივით გამოკვანძული აბრიკო მუშტით იჭდა არაბულაზე და ტყვიასავით მიჰქროდა. მის თავზე წინ წაშვერილი თოფის ტუჩი ნიაცხე რაღაცას უსტვენდა და ხუჭუჭი თმა მაისის ბუჩქებივით ირხეოდა ჰაერზე.

ცხვარი გასცდა მახარე მუხას, გაიარა ბაღიაურის მინდვრები, კაკბეთის ბოლო, გავიდა ივრის ქალაში და ივრის ხიდს იქით გაიშალა დასაბანაკებლად.

აქ წამოეწია აბრიკო.

სალამო ხანი იყო.

ივრის ხიდის გვერდით მოჩანდა საყარაულო სახლი, რომელშიც აუარებელი „სტრაენიკები“ ფუსფუსებდნენ.

ცხვრის დანახვაზე ორი „სტრაენიკი“ ჩამოვიდა საყარაულო შენობის კიბეზე და მეცხვარეებისაკენ გაემართა.

— „ურიადნიკმა“ გურკომ გამომგზავნა: თოფის ნება გაქვს? — უთხრეს აბრიკოს.

— ყაზრო! — დაუძახა აბრიკომ: — წელან რო ბატკანი რჩებოდა უკან, გამოჰგვარე ამ „სტრაენიკებს“ და „ურიადნიკ“ გურკოსთან გაატანე ფეშქაშად.

„სტრაენიკებმა“ ჩაიცივნეს და ხმა აღარ ამოიღეს.

ხოლო აშკარა შეიქნა, რომ იქ დაბანაკება არ შეიძლებოდა.

— აქ ნუ დავდგებით: — თქვა აბრიკომ და ცხვარი ისევ შარაზე გაიყვანეს.

დაღამდა.

აზამბურის შეფენილების ერთ-ერთ უბეში დაგუბდა თეთრი მდინარე.

ბიჭებმა ცეცხლი დაანთეს, ზედ ყაურმა შედგეს და, სანამ ყაურმა გაკეთდებოდა, სთხოვეს „გულდამწვარ“ ყაზროს, ჩონგურზე შაირი ეთქვა. ყაზროს „გულდამწვარს“ ეძახდნენ, რადგანაც ვილაცის მშვენიერ თვალს ნაპერწკალი ჩაეგდო მის გულში, რის გამოც საკმლის უწყვეტი ხრჩოლივით ამოდიოდა მისი გულიდან სასიყვარულო შაირები.

— ჰა. დაუკარ... რამდენ ხანს უნდები გამართვას! — ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდან.

ყაზრომ როგორც იყო მომართა ჩონგური, გაიხარისა მკერდზე და დასძახა:

ამოვიარე ბარები,  
თრიალეთსა მყავ ცხვარია,  
გავიარ-გამოვიარე,

ღრუბლებს გავაბი მხარია,  
მაგრამ სადა ხარ, ლამაზო,  
უშენოდ გული მკვდარია...

აქ სიმღერა შეწყვიტა ყაზრომ და სიტყვების მაგივრობა:  
თითებით გადაიტანა ჩონგურის სიმებზე.  
შემდეგ ისევ განაგრძო:

უკვდავებისა ნაკადო,  
მოჰდიხარ ოქროს მილითა—  
შენთანამც ყოფნით გამაძლო,  
შენთანამც წოლა-ძილითა!  
შენისამც ნამგლის ყანა მქნა,  
ზედ ფხაზე შაგეჭრებოდი,  
ვერცხლისამც თასად მაქცია,  
შარბათით აგვესებოდი,  
ან სათითე მქნა ოქროსი,  
ზედ თითზე დაგეცმებოდი,  
ანამც მქნა ვარდი-ყვავილი,  
ცხვირ-პირზე დაგეყრებოდი.  
ან ვიყო მოვის პერანგი,  
გულ-მკერდზე დაგადნებოდი,  
ან შენი ნანდაური მქნა,  
გულს ჯავრად ჩაგეჭრებოდი,  
ანამც ძმა ვიყო მოწილე—  
ცოცხალს არ გაგეყრებოდი!...

— ჰაი, ყოჩაღ! — თქვეს ბიჭებმა და ლოჭომ ყაურმა  
გადმოდგა. გაფინეს მწვეანეზე სუფრად ხურჯინი, ზედ დაყარეს  
საჯზე გამომცხვარი ლავაში და თორმეტიოდე ხელი ჩაეშვა  
ქვაბში.

ივახშმეს.

ვახშმის შემდეგ განრიგდნენ თეოზე და მიწყნარდა ყველა-  
ფერი.

იყო მაისის ღამის მარწყვიანი სუნნელებით შედედებული

სიჩუმე, რომელსაც ზოგჯერ სძეკავდა ძაღლების ყეფა და არღვევდა ცხვრის ადამიანური ხველა.

შუალამისას ერთი მუხლით შედგა ყველაფერი და მაისას ფიქრებში დამშვიდებულ აბრიკოს გულში ჩაეკრა ტკბილი სიზმარი, მაგრამ შუალამეს რომ გადასცდა ჟამი, ძაღლებმა ასტეხეს თავგანწირული ყეფა. ვილაცა წამოხტა და დაიძახა:

— ცხვარი მიუდით!

წამოცვივდნენ ბიჭები.

თავზარდაცემული აბრიკო ქუდმოგლეჯილი დაეშვა მინდვრისაკენ.

— სად მიხვალ, შე ოჯახდასაქცევო, ყაჩაღებს ცხვარი მიუდით და შენ გარბინარ?... — მიიძახა ვილაცამ მას.

მაგრამ აბრიკომ ყური არ ათხოვა, გადირბინა პატარა ნაჩხატი და ნახნავში ჩაკუნტდა. ნახნავიდან იგი ნათლად ხედავდა ფარის თეთრ ნაგლეჯს, რომელსაც მიარბენინებდა ოთხი შავი ლანდი. ამ ლანდებს დაუმისნა თოფი, და როდესაც გავარდა, აბრიკომ ადგილი იცვალა... კიდევ... კიდევ.. კიდევ... და ატყდა სროლა ორივე მხრიდან. შემდეგ უეცრად შეწყდა. გაჩუმდნენ ძაღლებიც. ჩამოწვა საშინელებით სავსე სიჩუმე.

სიჩუმემ ცისკრამდე მიატურა ღამე.

— ყაზრო! — გატეხა ვილაცამ ყანყრატო, — ყაზრო, შე ღმერთძაღლო!

— უუ! — გაისმა მორთოლვარე ამოძახილი ყაზროსი.

— მგონი აბრიკო მოკლეს, ბიჭო... — ვილაცამ დაიგმინა. და ისევ მიჩუმდა ყველაფერი.

ცხვრის ფარის მონასხლეტი, რომელსაც ოთხი ლანდი მიერეკებოდა, ისევ შეუერთდა ფარას.

იქიქრიბანდა.

ბიჭებს გული მოეცათ დღის მოახლოვებაზე და ერთმანეთს გადასძახეს.

შეიყარნენ ერთად.

— აბრიკო? — იკითხეს მათ.

ამ დროს გამოჩნდა აბრიკოც.

— ცოცხალი ყოფილა! — გაეხარდათ და ასტეხეს სიცილი, ყაყანი.



— მაგრამ ვინ იყო, რომ დაიგმინა? — იკითხა ერთმა.

— მოვნახოთ!

თქვეს და მონახეს.

ერთ ყაჩაღს მოხვედროდა აბრიკოს ტყვია.

ყაჩაღი არა ჰგავდა ყაჩაღს. არც თათარი იყო, არც ქართველი. აბრიკო დაფიქრდა, თმა აებურძგნა უცნაური ყაჩაღის გეამზე და აქეთ-იქით მიიხედა.

— რა დროს ფიქრია, — შესძახა ლოკომ, — მოდი გვიშველე, ჩქარა გავთხაროთ საფლავი.

საჩქაროდ გათხარეს სამარე, ჩააგდეს შიგ მკვდარი, მიაყარეს მიწა და ყაზრომ დიდი ქვა მიაგდო ზედ: იყო და არა იყო-რაო.

აბრიკომ თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო შიში ამ უცნაური ყაჩაღის მოკვლაზე. მაგრამ შიშმა ისევ მალე დაფუჟა თავისი თავი, ცხვარი ისევ შეაყენეს შარაზე და ისევ გაიშალა თეთრი მდინარე. თეთრი მდინარე, რომელიც ხან პირალმა შეეფინებოდა, ხან თავქვე დაეშვებოდა, მაგრამ ზევეითაც და ქვევეითაც მიდიოდა დინჯად, ერთნაირად, აუშფოთებლად და უდარდელად.

მდინარეს წინ მიუძღოდნენ ყოჩები და ბოტები.

შუაში მიდიოდნენ აკიდებული ვირები, ხოლო სულ უკან — ცხენების ჯოგი.

აზამბურის მალლობიდან გახედა აბრიკომ სილნალიდან დაკლავნილად მომავალ შარას, რომელზედაც თრიალეთისაკენ გაუთავებლად მიდიოდა ცხვრისა და ძროხის, ცხენებისა და სახედრების განუწყვეტელი მდინარე და წამოიძახა:

— თეთრი მდინარე!

მისი ფარა წინ მიდიოდა, მას უკან მისდევდა შაქრო ბეგი, შაქრო ბეგს — ვეფხო, ვეფხოს — სხვები და შირაქში ჯერ ისევ ზღვა იდგა ფარებისა.

თეთრი მდინარე!

როდის დაიწყო ამ მდინარემ აქეთკენ დენა?

რაც აღამიანმა დახსომება იცის, სულ ასეა.

პომპეუსის დროსაც ასე მოდიოდა ეს მდინარე, ფარნაოზის დროსაც, მურვან-ყრუს დროსაც, თემურის დროსაც, შაჰ-

აბასის დროსაც და ვერც აღა-მაჰმად-ხანმა შესწყვიტა იგი.

შემდეგში?

შეწყდება როდისმე მდინარე? მაშინ ხომ ადამიანის სიცოცხლეს უნდა შეწყდეს! მაშინ ხომ ცხოვრებაც უნდა გაიყინოს!...

თეთრი მდინარე!

ამ სიცოცხლის მდინარის ნაპირებთან იყრის თავს ყველა მსუენავი. მეველეები დგანან გზის ნაპირებზე და ხარბად მისჩერებიან მოძრავ მატყლს, ცოტა მიზეზია საჭირო, თუნდ ერთი ციკნის გადახტომა ნახნავისაკენ, ყანისკენ, თუ ყორული-საკენ, რომ შედგნენ შარაზე და ფარას წააძრონ ერთი ბატკანი.

„სტრაჟნიკიც“ უღვაშში იღიმება, ტუჩებს აცმაცუნებს და შარს დაეძებს, რომ თუ ბატკანი არა, ერთი კვერი ყველი მაინც დაჰთაროს მეცხვარეს, ყაჩაღიც იქვე ზის გზის ნაპირებთან და ელის ღამეს. მას უფრო დიდი მიზნები აქვს: მოსხლეთს ორმოციოდეს და გამდიდრდება. შეიძლება ისე მოახლიტოს ეს ორმოციოდე, პატრონმა ვერც კი გაიგოს: რას შეატყობს ამ ზღვაში ერთი წვეთის დაკარგვას!

თეთრი მდინარე!

მგელიც აქვეა. მიწის ფერი მიწაზე გართხმულა და თუ კარგი ჭიშის ძაღლი არა, ვერავინ შეამჩნევს, ისიც რომ ამ მდინარიდან იღებს საარსებო ლუკმას! ისიც ხომ ამითა ცოცხლობს!

აქვეა სახელის მოყვარულიც, მხედრობის ეინი და თავმოწონება. ცხენის ჯოგს მისჩერებია იგი და ნატრობს: როგორ მოვახერხო, რომ აი ის დაწინწკლული, ლურჯხალებიანი ცხენი, თავი რომ ჭეირანსავით მალლა უჭირავს, ხელთ ვიგდო და გავიჭირითო.

თეთრი მდინარე!

მის ნაპირებზე მოუტანია ჩვენს დაღბაურასაც სიღარიბის ტომრები. სახეღარი გრძელი თოკით დაუბამს პალოზე და თვითონ შესდგომია საქმეს. მიმავალი ცხვარი, ჯაგებში რომ ძვრება მიფარებული ბალახის მოსაძოვნად, მატყლს სტოვებს ეკალზე და ამას აგროვებს დაღბაურა, ტომრებს ავსებს და საღამოთი დატვირთული ბრუნდება შინ.

ქმარმა სიღარიბისა, სიშიშვლისა და ორი პატარა ობოლი ბავშვის მეტი არა დაუტოვა რა ქვეყანაზე დალბაურს, მაგრამ ის ეხლა თითქმის საშუალოზე უკეთა ცხოვრობს სოფელში და შვილებსაც ასწავლა სკოლაში. საიდან? რასაკვირველია, თეთრი მდინარიდან!

თეთრი მდინარე!

დალბაურა გზაში წინდასა ქსოვს და სულ გამრავლებასა ნატრულობს ცხვრისას. ორ თვეში იმდენ მატყლს მოაგროვებს, რომ მეორე გაზაფხულამდე ეყოფა საქსოვად. ხოლო თუ შემოდგომაზე ცხვარი გაუპარსავი დაბრუნდა მთიდან, საფე-იქროსაც გახსნის, დაუძახებს მეზობელ გოგონებს, მოაქსო-ვინებს ფარდაგებს, ხურჯინებს, საცალოებს, საჩოხეებს, მოიმაღლიერებს ყველას და სოფელში იმგვარის ჭიხვინით გაივლის, ასე გონია, რაც მთაში ცხვარი წავიდა, სულ ამისიაო.

თეთრი მდინარე!

მიდის თეთრი მდინარე, ხან დაგუბდება, ხან გაიშლება. თან მისდევს სალამურის ქვითინ-კაკანი, ჩონგურის ხმა, შაირები, ბაიათები, სიმღერები, ცხენების ჭიხვინი, ცხვრისა და ძროხის ბლავილი, ვირების ყროყინი, მხედრების გაჯირით-გამოჯირითე-ბა, შოლტის ტყლაშუნი, საერთო ყიყინა და ყოველივე ეს გახვეულა შარავზის მტვერში.

თეთრი მდინარე!

მისმა მერუეებმა—მწყემსებმა—იციან, რა არის დასვენე-ბა? იციან კვირა? იციან, რა არის უქმე დღე? იციან ღამე მშვი-დად ძილი და უდარდებლობა? არა, წლიდან წლამდე ტყავისა და ნაბდის ამარა ყრიან ტალახში, ქარიშხალში, თოვლ-ჭყაპში. ყინვაში, ანდა გაზაფხულის თუ ზაფხულის მწვანეზე სიამო-ვნებით ეწევიან თავგანწირული შრომის უღელს სოფლისა და ქალაქის საბედნიეროდ.

თეთრი მდინარე!

მეორე საღამოს, შებინდებისას, მიადგა თეთრი მდინარე ლოჭინის ხევს და იქ დაბანაკდა. მოღლილმა აბრიკომ ერთ-ერთი ჯაგის ძირას მიიძინა.

სიზმარში იმ უცნაური ყაჩაღის გვამი ნახა, რომელმაც პირველად მოჰგვარა შიში თავის სიცოცხლეში და კანკალი აუვარდა. ვიღაცას რაღაცას ეკითხებოდა, ედავებოდა, ეჩხუბებოდა და ის-ის იყო, ხანჯალი უნდა ეძრო, რომ შემოესმა წიოკობა. ქარიშხალმა გამოაღვიძა იგი. ყველაფერი არეულ-დარეული იყო. მარტყოფის მთებში დიდი წვიმა ყოფილიყო, მოვარდნილ ლოჭინს ერთი საწყალი მეცხვარის ფარა წაელო და, როდესაც პატრონმა ნახა, რომ აღარც ერთი ცხვარი აღარ ჰყავს, იძრო თავისი ხანჯალი და გაირჭო მუცელში.

ბუნება, თითქოს ზვარაკს ელოდაო, მოიწმინდა. გამობრწყინდა მაისის მზე, ხოლო მგლოვიარე აბრიკო მწუხარედ შეუძღვა თავის ფარას თბილისში: ამხანაგზე დამწუხრებული შავი ფიჭვივით მისცურავდა იგი თეთრი მდინარის ტალღებზე ქალაქის ქუჩებში.

## II

კრწანისის ხიდზე ცხვარი ისე ჰედვით გადიოდა, როგორც ვიწრო ბერლარაში დიდი ნაკადი. აბრიკო გაბეცებული იყო: ხან წინიდან მოექცეოდა ფარას, ხან უკანიდან და ხარბი ვაჭრებიც არ ასვენებდნენ, ფეხზე ამდგარ რუმბებივით დასდევდნენ უკან.

— ძმაოჯან, „მიხუაჯან“, მოგვყიდე რამეო.

აბრიკოც გზაში დავარდნილ ცხვრებს ჩალის ფასად აძლევდა, მაგრამ მუდამ გამორჩენას დაჩვეული, გაიძვერა ვაჭრები მაინც ძვირობდნენ.

— ჰათ, კარგით, თქვე დმერთაღლებო! ოღონდ მომშორდით და რამდენიც გინდათ, მომეცით, — უთხრა აბრიკომ და რაღაც გროშებში მიცემული ცხვრები ისე გარეკეს ვაჭრებმა, თითქო კიდეც ამაღლიანო.

ცხვარი კოჯრის გზაზე გავიდა.

აბრიკო ისევ წინიდან მოექცა ფარას და ქალაქს რომ გასცილდნენ, თეთრ ღუქანთან ნახა, რომ ერთი ყველაზე საუკეთესო ყოჩი აკლია...

— ყოჩი! — დაიძახა მან, — არ გეყურებათ. ყოჩი ყოჩი აკლია!... მიდექ-მოდექით, მიიხედ-მოიხედეთ.

მაგრამ თვითონვე მიხვდა, რა ამბავიც იყო მის თავს.

— ჩემი ყოჩი! — დაიყვირა კიდევ მან და ისე მაგრა დაიკრა მკერდზე მუშტი, თითქო უნდა ჩაინგრიოსო.

აბრიკოს შეეძლო ოთხმოცი ყაჩაღისათვის გაეცა პასუხი, გამოსდგომოდა, შებრძოლებოდა, სისხლი დაედვარა, თავი გაეწირა, მაგრამ ეხლა? ეხლა რა ქნას? კლდეს ხომ არ ახლის თავს? ვის ეძგეროს? ვისზე ამოიყაროს ჭავრი?... და სიბრაზისაგან ხელზე იკბინა.

— ქალაქში მომპარეს! მიკიტნებმა და ვაჭრებმა მომპარეს! კინტოებმა მომპარეს! ჯიბგირებმა გამქურდეს. დამავსეს, დამაქციეს! — ყვიროდა ბრაზისაგან ალეწილი აბრიკო.

მაგრამ სიბრაზით საქმეს რა ეშველებოდა.

ამიტომ, უეცრად მოსხლიტა ცხენი თეთრი დუქნის მალლობებს და ისარივით ჩაეშვა თბილისში...

შემოიარა ავლაბრის უბნები, ყველა სამიკიტნოები, მაგრამ ყველგან დასციენს „მიხუას“. ერთ ვიღაც გვერდზექუდმოქცეულს ისე მაგრა გადაჰკრა მათრაზი მასხარად ავღებისათვის, რომ ხმაამოუღებლივ დაეშვა იგი ძირს. ამით მაინც მოიფხანა აბრიკომ გული. შემდეგ ისევ ისარივით გაეშურა ცხვრისკენ და ის ველარ გაიგო, რომ პოლიცია დაედევნა უკან.

აბრიკო ცხვართან დაბრუნდა და პოლიციამ მისი გზა-კვალი ვერ გაიგნო...

ცხვარმა კოჭრიდან სამადლოსაკენ გაუხვია, ჰანდგალანში გაიშალა საბალახოდ, იქიდან სამადლოში გაიარა, ალგეთებს გასცილდა მარცხნივ, გავიდა ბედენის ძირში, მარჯვნივ, დაცერავდა ბედენაანთ გომებთან და ძოვნივთ ჩავიდა ბარმახში. ხიდიდან პირდაპირ ჭოჭიანის საძოვრებს გაჰყვა ჯამამდე და ავიდა ქოროლდის ძირში.

მწყემსები დაბინავდნენ ოსმალეთის საზღვართან ერთი დღის მანძილზე, ჩამოჰხადეს ვირებს, დაანთეს ცეცხლი და საჯს გადააკრეს თავთუხის ქალაღღივით თეთრი ლავაში.

აბრიკო ბურანში იყო ისევ. ისე მოძრაობდა, თითქო თავის თავს სიზმარში ხედავსო, დააბრაცუნებდა უგულოდ, უსიცოცხლოდ, დონდლედ, ნაროშლად. აღარაფერს ყურადღებას აღარ აქცევდა. მხოლოდ ზოგჯერ მორეკდა მოზარდ ყოჩებს. თვალებს უსინჯავდა, შუბლს უზომავდა და ეფერებოდა:

თქვენ გენაცვალეთ, ყოჩებო,  
არ დამაობლოთ თქვენაცა.  
თქვენა ხართ ჩემი სიცოცხლის  
დაგუბებაც და ღენაცა.

მერე ყინტორა ბიქს გაატანდა და ეტყოდა: პატარა ყოჩები  
ჯერ დედლებში არ გაურიოო.

### III

ერთი თვე რომ გავიდა, საკვირველი ამოცანა გაიხლართა აბრიკოს წინ. ვილაც ვანკა „სტრაჟნიკი“ მივიდა მათ ბინაზე და გამოუცხადა:

— „ურიადნიკ“ გურკოს გამოგზავნილი ვარ და მინდა გავიგო, ცხვარი ხომ არავის გამოუტარებია აქეთ ოსმალეთის საზღვრებიდანაო.

— არა, — უპასუხა აბრიკომ და დააკვირდა „სტრაჟნიკს“.

— შენ ის არა ხარ, ამ ერთი თვის წინათ ივრის ხიდთან რომ ბატკანი გაგატანე გურკოსთან?

— ის გახლავარ.

— ეგეც ის გურკოა, იქ რო იყო?

— ის გახლავთ, ეხლა აქ გადმოიყვანეს, არტანში.

— არა, ძმავ, აქეთ გავლილი ცხვარი არ მინახავს, — უთხრა აბრიკომ და ერთი დიდი კვერი ყველი გაუწოდა.

— ეს ჩემს მაგივრად მიართვი ურიადნიკ გურკოს.

„სტრაჟნიკმა“ წყნარად ჩამოართვა იგი და ჩაღო ხურჯინში.

— ესეც შენ, — უთხრა კიდევ აბრიკომ და ახლა პატარა კვერი ყველი გაუწოდა მას.

„სტრაჟნიკს“ სახე გაუბრწყინდა, ყველი ჩამოართვა, მალე-  
ლობა უთხრა და წავიდა.

საღორის ბოდსავით გულხელდაკრეფილმა აბრიკომ მანამ-  
დე არ მოაშორა მიმავალ „სტრაჟნიკს“ თვალი, სანამ გორას არ  
მოეფარა იგი. შემდეგ ხელებითა და მხრების აჩმუჩენით გაპო-  
ხატა გაკვირვება და შევიდა ქოხში.

არც იმ ღამეს დაეძინა აბრიკოს, არც მეორე ღამეს. მესამე  
დღეს კი ვეფხო ამოვიდა სოფლიდან და ცოტა დამშვიდდა.

მწყემსები ჰიკვივებით წაესივნენ ვეფხოს და დაუწყეს  
შინაური ამბების გამოკითხვა.

აბრიკოსაც მოაგონდა მაისა და ერთი მუხლი შინისაკენ  
გასწია გულმა. გურკო რომ მოაგონდა, ისევ შედგა. ბოლოს  
მაინც მაისამ დასძლია და უთხრა ბიჭებს: რაკი ვეფხო ამოვიდა,  
რამდენიმე დღით შინ წავალო, — და დაარიგა მწყემსები: —  
მგელი და აფთარი ისე არ არის საშიში, როგორც ადამიანი.  
ამიტომ ძალიან დიდი თვალყური გქონდეთ ყაჩაღებზეო.

წამოავლო თოფს ხელი და გავიდა გარეთ.

— ეხლავე მიხვალ, კაცო?

— არა, — მიუგო აბრიკომ, — ამაღამ წავინადირებ ამ  
მთებში. ცარიელი ხელით ხომ არ მივალ სახლში. იქნება რამე-  
ბეწვეული მიუტანო მაისას. აბა, თვალყური გეჭიროთ.

გაიმეორა დარიგება. ყაზრომ ლექსით გააცილა:

აბრიკო სახელიანი,  
სარდალი მწყემსებისაო,  
იგრე არიგებს მწყემსებსა,  
როგორც დედ-მამა შვილსაო.

შინიდან ამოტანილმა ამბებმა ზოგი დააღონა, ზოგი წაახა-  
ლისა, მაგრამ ერთმაცა და მეორემაც დაშალა საერთო საქმი-  
სადმი სიმტკიცე, გულისყური, ზოგი საკუთარ დარდში გაერთო,  
ზოგი მხიარულებაში და ამასობაში ისე შემოღამდა, რომ ვერც  
ხეირიანად დაათვალიერეს ფარები, ვერც კარგა შემოიქუჩეს,  
ვერც ის შეამჩნიეს, რომ თრიალეთის სიმაღლიდან ირგვლივ  
ჩამოშვებულ კლდეებს აღმოჰხდნენ შავი, კუმეტი ღრუბლები

შეთქმულელებივით და შეიკრა ქერი. ეს შავი და პირქუში ღრუბლების ქერი, რომლის ზევითაც დაგუბებული იყო ზღვა, შუალამისას ჩამოტეხა მრისხანე მეხმა და ქვეყანას წარღვნა მოედინა.

დააწიოკა ძაღლები.

თვალთ დაუბნელდა ადამიანს და ყველაფერმა მოძებნა სორო.

ქარიშხლის ამოვარდნისთანავე ცხვარი ცეცხლს ეცა, მის ირგვლივ შემქიდროვდა და ბოლოს ზედ შესდგა — ფეხით გააქრო იგი, ხოლო შემდეგ წყალმა წაიღო.

ქოხის ირგვლივ შემოჭრული ცხვარი ღამის წყვედიადში ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს სულ აქ არისო. მაგრამ გათენებისას ცარიელი ღრუბლები განზე გავიდნენ და ნათელი შეიქმნა, რომ ფარების მხოლოდ პატარა ნაწილიღა დარჩენილიყო ბინასთან.

ამ დროს მოვიდა აბრიკო და მაშინვე იკითხა:

— ცხვარი სულ აქა გყავთ?!

ბიჭებს თავზარი დაეცათ ამ კითხვაზე.

მიიხედ-მოიხედეს. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ. სულ მოირბინეს ახლო-მახლო მიდამოები, რომლის იქითაც ცხვარი აღარ მიდიოდა და შეძრწუნებულები დაბრუნდნენ ბინაზე.

— არ გრცხვენიათ, ერთ ღამეს გაგანებეთ თავი და სულ დამიღუპეთ ცხვარი?! — გაჯავრდა აბრიკო: — ყაჩაღის ხელი ურევია აქ... ლოჭო, ვეფხო! შეკაზმეთ ცხენები! აბა ჩქარა! — თქვა მან და გამოუყარა თავის ცხენს ბორკილი...

საჩქაროდ შეკაზმეს ბედაურები.

— კვალი უნდა ვიპოვნოთ, — თქვა ვეფხო.

— კვალი?... — დაფიქრდა აბრიკო, — თუ წვიმამდე გარეკეს, კვალს ვერ ვიპოვნით. ნიაღვარი გარეცხავდა, 'მაგრამ... მაინც უნდა მოვძებნოთ კვალი... — თქვა ბოლოს და სამივენი სხვადასხვა მხარეს წავიდნენ.

ვეფხო გუმბრისკენ წავიდა. ლოჭო ბალდადისაკენ და აბრიკო ოსმალეთის საზღვრებისაკენ.

თითოეულმა მათგანმა დააცხავა თავისი მიმართულება, მაგრამ კვალს ისევ აბრიკომ მიაგნო. ერთმა მესხმა უთხრა,



რამდენიმე ხანია ოთხი აქაური თათარი და ერთიც ერევნელი ვაჭარი, სახელად ბარხუდარა, ცხვრის ფარებს ზვერავენდნო. ამასთან ისიც დაუმატა, აქაურებში ერთი ოსმალოც ვერაო.

აბრიკო მიხვდა ყველაფერს. მოსხლიტა ცხენი საზღვრისკენ და რამდენიმე წუთში მიადგა კვალს. კვალი ნაწვიმარზე კარგად ეტყობოდა და მიდიოდა ოსმალეთისკენ.

კარგა მანძილზე მიჰყვა კვალს, რომელიც ერთ ალაგას გზიდან იკარგებოდა და შემდეგ მდინარეში ჩადიოდა, რათა პატრონებს ვერ ეპოვნათ, მაგრამ აბრიკო მდინარეში გავიდა და ისევ იპოვნა კვალი.

„მარტო წავიდე თუ დავბრუნდე უკან?“ — შეეკითხა იგი თავის თავს. მაგრამ ბოლოს ასე დაასკვნა: ოსმალეთამდე კაი მანძილია, ღღეს ვერ ჩაუწევვენ, მოვასწრებ ამხანაგების ნახვას და მათაც გავიყოლებო.

ყველა მაძიებელი შეთქმულივით ერთდროულად დაბრუნდა ბინაზე. აბრიკომ ყველას აუხსნა მიგნების ამბავი, სამთ ორი ბიჭიც მიიმატეს და ხუთი ისარი შხულით წავიდა ოტომანთა იმპერიის საზღვრისკენ.

ყოველგვარი უბედურების, შეხლა-შემოხლისა და ბრძოლის წინდაწინვე გათვალისწინებით და მოლოდინით წამოეწივნენ დატაცებულ ცხვარს ოსმალეთის საზღვართან. მაგრამ უცნაური გარემოება ნახეს: არც ერთი ადამიანი არც წინიდან მიუძლოდა ფარას, არც უკანიდან.

— ჩვენი კი არის ეს ცხვარი? — იკითხა ვეფხომ.

— შენს ყოჩებს ველარა სცნობ, გამჩენძალლო?! ავე შენი საყოჩეებიც, — თქვა აბრიკომ და მტვერში შემურული ცხვარი გამოაბრუნეს.

ცხვარი ისე მოუდიოდათ უკან, როგორც დატაცებული სუყველას გული უძგარუნებდა. ან ეხლა გამოვარდება საიდანმე თოფი, ან ეხლაო. მაგრამ შიშმა გაიარა და გაბედვით გაუტლაშუნეს შოლტი.

— საით მიგიდის! — დაუძახა აბრიკომ, — შეაბრუნე ბილიკებზე. აქეთ გზა ვიცი და უვალზე გადავიაროთ.

— რათა, კაცო, ხომ დავეიტანჯებით?

— რათა და იმიტომ. ახლა რომ გადაგვიდგეს შარაზე და

გვითხრას, ვისი ცხვარია და სად მიგიდითო, რა უნდა ვუპასუხოთ? ან როგორ უნდა დავაჯეროთ, რომ ეს ცხვარი ჩვენია და არა მოტაცებული?!

— ჰოო... — გაიგეს მწყემსებმა აბრიკოს აზრი.

— ჰოო და აბა ჩქარა!

შეუყენეს ცხვარი ვიწრო ბილიკებს.

თეთრი ნაწლავებით დაიხლართა ბილიკებით დაქნილი მთის ფერდობები ცხვრის წალიკებისაგან. ამ ბილიკებით საჩქაროდ გამოხდნენ პირაქეთში, გამოიარეს მტკვარი, რაშიაც გაირეცხა ცხვარი და გამოვიდნენ სამშვიდოს.

მწყემსები თავიანთი ნაპოვნით უკვე სათავიანთოში იყვნენ, რომ მართლა ვიდაც ოთხი ჯინჯილქუდიანი ტილა წაუძღვა არტაანიდან ცხენოსანი „სტრაქნიკების“ გუნდს, რომელსაც „ურიადნიკი“ გურკო მეთაურობდა.

„სტრაქნიკები“ გულდაგულ მივიდნენ იმ ადგილას, სადაც ტილებმა გაანებეს ცხვარს თავი, მაგრამ იქ ველარაფერი ნახეს. დაიარეს ღელეები, ხევები, მინდვრები, მაგრამ ამაოდ. ერთი მბლავანიც ვერ იპოვნეს.

— აქ გავანებეთ თავი, — თქვა ერთმა ტილამ.

გურკო დაღონდა: მალ-მალ ამოიღებდა ჯიბიდან დეპეშას და ისევ ჩაიდებდა. მაგრამ გულის დასაჯერებლად კიდევ შემოიარეს იქაურობა და, რომ კიდევ ვერაფერი ნახეს საიმედო, მრისხანედ იკითხა „ურიადნიკმა“:

— სად არის ბარხუდარა?

— ბარხუდარა საზღვარზე გადავიდა და იქ ელოდება საქმეს, — უთხრეს ტილებმა.

— ჰმ! — წაიზმუყუნა გურკომ, მაგრამ იმედი გაცრუებული იყო. მხოლოდ ერთი გლეხი დაიჭირეს და დაუწყეს გამოკითხვა.

— ცხვრის ფარა არ გინახავს?

— როგორ არა, მინახავს.

— მერე?

— მერე არ ვიცი, ერთი ის ვიცი, რომ არტაანიდან მორეკეს და აქ გაანებეს თავი.

— ტყუილია. არტაანიდან კი არა, ოსმალეთიდან გადმო-

რეკეს ყაჩაღებმა. აი დეპეშა: ოსმალეთის ხელისუფლებამ გეტხოვს დავიჭიროთ და უკანვე დავაბრუნოთ ოსმალეთში. დეპეშაში ნიშნებიც არის ნაჩვენები. ყოჩები ქართული ჯიშისანი არიან და ფარაც აგეთივეო... არ დაგინახავს, მაშ. ამგვარი ცხვარი?

— არა, მე მხოლოდ არტაანიდან მორეკილი ცხვარი ვნახე და... ეს კი რომ მართლა ქართული ჯიშის იყო... მორეკეს და აქ გაანებეს თავი.

— სტყუი! — შეუყვირა ერთმა ტილამ, — ალბათ ქურდი ხარ, რომ ქურდებს ინახავ.

— არა, ქურდი არა ვარ, არც ვინახავ ქურდებს... არც შემინახია როდისმე. მე მიწის მუშა ვარ და ყველა მიცნობს, შეგიძლიათ ჰკითხოთ ხალხს!..

ყველანი დაფიქრდნენ.

— უკან ხომ არ გარეკეს! — წამოსცდა ერთ მათგანს.

— რაო? — დაცქვიტა ყურები „ურიადნიკმა“. მაგრამ ტილამ საქმე გამოასწორა:

— არაფერი, უკანვე ხომ არ გარეკეს-მეთქი ოსმალეთში.

მართლაცდა, ტილას თქმისა არ იყოს, პატრონებმა ცხვარი უკან მირეკეს ბინაზე, რის გამოც გახარებული მწყემსები, გამარჯვებისა და სიხარულის აღსანიშნავად, თოფის სროლით ეგებებოდნენ თეთრ მღინარეს.

#### IV

მართალია, გურკო პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნდა საზღვრიდან, მაგრამ ამის შემდეგ აღარც აბრიკო იყო კარგ გუნებაზე. დღე და ღამე აღარ ეძინა.

— შინ არ წახვალ, აბრიკო? — ჰკითხა ვეფხომ.

— არა.

— რატომ?

— სანამ იმას არ მოვიშორებ, ფეხს ვერ მოვიცვლი აქედან.

— ვისა?

— ვისა და ა — იმას, ავი სულივით რომ ამედევნა უკან. ვეფხო მიხვდა და გაჩუმდა.

შე ჩავიდა და დასავლეთის ცას ბუქლა ვარსკვლავი დააჩდა  
შუბლზე. ის ვარსკვლავიც ჩავიდა. სხვა ვარსკვლავებიც  
გამოჩნდნენ, ისინიც ჩავიდნენ და აბრიკო სულ იმასა ფიქრობ-  
და, თუ როგორ მოეშორებინა ავი სული, ხელმწიფის ნიშნები  
რომ ეკერა მხრებზე.

სულ ამისთანა ფიქრებში მიცურავდნენ ლამეები და ლამეე-  
ბის ზურგზე კი გაცურდა კარგა ხანი. ბოლოს ცოტაოდნად  
დაავიწყდა აბრიკოს გურკო და გამხიარულდა, მით უმეტეს:  
რომ ჭიშიანი ყოჩები წამოეზარდნენ, დაუვაუკაცდნენ.

— ქორწილი უნდა გაქამოთ, ბიჭებო! — წამოიძახა ერთ-  
ხელ აბრიკომ.

ბიჭებს ეგონათ, თავის ქორწილში გვპატაყვებსო. მით  
უმეტეს, რომ შემოდგომა სექტემბერსა ჰქონდა გამოკრული  
ყურში და ბარში დაბრუნების დრო ახლოვდებოდა.

მაგრამ სულ სხვა ქორწილი ედო აბრიკოს გულში.

ორი ჰედილა დაკლა.

დაუძახა შაქრო ბეგს, დონიკას, ეშხაბაშიანთ დიდფეხას,  
თავის ამხანაგებს და სწორედ აჰ დროს ამოვიდა ბაკურიანის  
აგარაკიდან შაქრო ბეგის „კურსოენიკი“ შვილი კონსტიატ-  
კონსტიამ ვილაცა ბიჭი მიიყვანა.

— ვინ არის ეგ? — ჰკითხა მამამ.

— იპონიის ომის ინვალიდია, დაჭრილია და მუშაობა არ  
შეუძლიან...

— მერე?

— მერე და... წალვერში გავიცანინი... შემეცოდა... მას ოდეს-  
მე მატყლის ჩოდრობა სცოდნია.

— მერე?

— მერე და იქნება გამოგადგეს რამეში... უპატრონოა,  
არავინ ჰყავს დედამიწის ზურგზე...

— არა! — გადაჭრით მოსხლიტა პირიდან შაქრო ბეგმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ქალაქში ნაგდებია, საროსკიპოებში  
იქნება ნატარი და, ვინ იცის, რა არა სჭირს. მაგას ცხვრის  
ძუძუებში არ შევავოფინებ ხელს — რძეს გამიფუჭებს!

— რძეს როგორ გაგიფუჭებს!

— „კურსოვნიკი“ შენა ხარ და მე უნდა აგიხსნა, შე მამაძაღლო?! — შეუყვირა შაქრო ბეგმა თავის შვილს.

ამასობაში ბიჭებმა გაათავეს ქედღილების გამოშავნვა-დაჩეხვა და აშიშინდა მწვალები. ჰაერი გაიჟლინთა ყაურმის სუნით. ქარხნის ბუხარივითა ხრჩოლაედა წივი.

— რა ამბავი გაქვს დღეს, აბრიკო? — ჰკითხეს სტუმრებმა.

— ქორწილი მაქვს, ქორწილი!

— ვისი, შე ღმერთძაღლო, რო არავენა ჩანს საქორწილო აქ?! —

— მერე დაგანახვებთ, ჯერ მოიმზიარულეთ!

და მოიმზიარულეს.

ვინდა არ აიგდეს მასხარად, ვისი საიდუმლოებალა არ გაქექეს.

შაქრო ბეგს ნეტარი ღიმილი უკრთოდა შემკვარტლულ სახეზე, მაგრამ ხუმრობაში უფრო გაუნეტარდა იგი და თვალები ისე ეუუტებოდა, როგორც კატას მზეში.

— აი, ბიჭებო, — თქვა აბრიკომ შაქრო ბეგზე, — ამ კაცს, რაც მე თავი შემისწავლია, სულ ამოდენას ვხედავ: ამაზე მეტად არც იზრდება, არც პატარავდება, არც ბერდება, არც ჯეღდება და ეს ყუყუნა ღიმილიც არა შორდება.

ამ დროს მოვიდა ციცილიბა.

— ოჰ, ციცილიბა! — წასწვდა ახლა ამას აბრიკო, — აბა უყურეთ, თავვის ყანას არა ჰგავს ეს გამჩინძაღლი?!

— თავვის ყანას კი არა, პატარა ხეკაკუნას, — თქვა ლოჭომ.

— შენც ვის დასცინი, შე ვირგლავ, შენა, — წამოიხარხარეს აქეთ-იქიდან და ასე აღარ დასტოვეს არც ერთი ამხანაგი გაუკილავი.

შემდეგ შემოუსხდნენ საქმელსა და კარგა რომ გამოძლნენ, აბრიკომ სხვა გასართობი იპოვა: ბინის მოშორებით ცხვრები დადიოდნენ, მათ ზურგზე და რქებზე შროშნები ისხდნენ. ამ შროშნებს დაუწყეს რიგრიგად თოფის სროლა. სროლაში პრიზებიც დანიშნეს: ვინც ცხვარს მოარტყამდა, არც მოკლულის ხორცს შეაჭმევდნენ და ორ დღესაც მშვიერი იქნებოდა, ვინც ააცდენდა — თოფი ჩამოერთმეოდა, ხოლო ვინც შროშანს მოარტყამდა, მტრის წინააღმდეგ პარველი უნდა მდგარიყო.

მთელი ერთი საათი აგრიალეს თოფი და არც შროშანს ააცდინეს, არც ცხვარი მოკლეს და ვაზნები კი ტყუილად დასწვეს. რაკი შეატყო აბრიკომ მისი სავაზნე დაილია, სხვა გასართობი გამონახა.

— აბა, ბიჭებო, ჭიდაობა! — დაიძახა მან.

პირველად ყინტორა და ქორიაფთხინე აჭიდა.

მოპირდაპირეებმა ერთმანეთი გადაკოცნეს და ცოტა გათამაშების შემდეგ დაიძრნენ. თავიდანვე ქორიაფთხინემ დარია ხელი: ჭყიმივით წაიღო ყინტორა. რამდენჯერმე დაამუხლისთავა და გარეთა სარმით წაადღავა კიდეც. შეშინებულა ყინტორა მოეთრია და შემდეგ ერთი უბრალო სარმაც ველარ გაბედა. ამ მოთრევით ჭიდაობას ყოველგვარი გემო და იშტა დაეკარგა, რის გამოც ცოტა ხნის შემდეგ გააშველეს.

მეორე წყვილმა ძან გაამხიარულა სტუმრები.

ჭიდაობდნენ გუმბათა და ჭიჭყინა. ორივე თაოსნობას ჩემულობდა ჭიდაობაში: ხან ერთი დაეცემოდა მუხლებზე, ხან მეორე; ხან ერთი ჩააგრებდა შუა სარმას, ხან მეორე; ხან ერთი ტრიალებდა კისრულზე, ხან მეორე; ხან ერთი გაუძვრებოდა ლაჯებში ზურგიდან დაშხლავს, ხან მეორე და ყოველივე ეს გაგრძელდა სულ სამ წუთს — ერთმა დასცა მეორე.

ამას მოჰყვა მესამე წყვილი, მესამეს — მეოთხე და ბოლოს ლოკომ გამოიწვია ყველანი.

ზოგის თანხმობა და წყრომა, ზოგის ყოყმანი და რყევა აირია ერთმანეთში და ატყდა ყაყანი.

— რა გაყაყანებო! — დაიძახა აბრიკომ. — არა გრცხვენინანო! უარს ეუბნებით? რისა გეშინიანო! მიწას სად წაუხვალთ! ქვესკნელს ხომ არ ჩასცვივით?! აბა, დაემზადენით ყველანი!

შერცხვათ და ხმაამოულებლივ შეუდგნენ გადაცმას. ლოკომ მუხასავით იდგა შუა წრეში გულხელდაკრეფილი და ელოდა.

— აბა ვინ გამოდიხართ პირველი! — დაიძახა მან.

გავიდა ქორიაფთხინე.

ლოკომ სტაცა თუ არა ხელი, მაშინვე გაართხა იგი კისრულთ მიწაზე. ძან ფართხალებდა ქორიაფთხინე, არ უნდოდა ზურგი დაეკრა მიწისთვის, მაგრამ ლოკოს მძლავრმა ხელებმა ხბოს ტყავით გააკრა იგი.

თითქმის სუყველა კისრულით გაღაბა ლოქომ. ყველანი ხედავდნენ, რომ მან არც ვარეთა სარმა იცოდა, არც შიგნითა, არც თეძო, არც მუხრუჭი, არც სხვა ფანდები, მაგრამ ვერც ერთ თავიანთ ხერხს ვერ უყენებდნენ მის კისრულს...

ლოქომ რომ ჩამოათავა და, ძმობის ნიშნად, ყველა დალახულებს ჩამოუარა დასაკოცნად, წამოხტა აბრიკო და დაეტაკა ვეფხოს:

— აღე, სიმამრიშვილო, უნდა თხის კურკლები აგაკრეფინო ზურგით.

წამოაყენა ძალად ვეფხო, დიდხანს აჯანჯლარა იგი, დიდხანს არბენინა წრეში დაღუნული და თითქმის ყველა წყვილის ჭიდაობას, თვით ლოქოსაც დააჯავრა; ხან წაექცა ვეფხოს, ხან წააქცია და აცინა მოხუცები.

როცა მოიღალნენ და ჭიდაობა გაათავეს, აბრიკომ მოიყვანა თავისი ახალგაზრდა საქორწილე ყოჩი.

— აი ვისი ქორწილი მქონდა! — თქვა მან, — ეს იმ ყოჩის ნაფერია, რომელიც დავკარგე, თუ უკეთესი არა, იმაზე ნაკლები არ დადგება. ვეფხო, წადი მოაყვა შენი ყოჩი — ვაჭიდაოთ!

ვეფხომ მოიყვანა თავისი ყოჩი.

ყოჩები ერთმანეთს დაეტაკნენ.

მოჭიდავეთა რქების ჭანა-ჭუხი შორს გაისმოდა და სკიმა-ვდა მაყურებელთა ძარღვებს. ისე მაგრა ეძგერებოდნენ ხოლმე ერთმანეთს, რომ დაძგერების დროს წინა ფეხებით ნიადაგს სცილდებოდნენ.

ყოჩებმა დიდხანს იჭიდეს, მაგრამ ვერ დასჯაბნეს ერთმანეთი.

— ძან კარგი ყოჩი დადგება, ძან! — თქვეს სტუმრებმა და გააშველეს

სტუმრები საღამოთი დაიშალნენ და აბრიკომ კოხტაა მამასთან გააცილა. ამასობაში დაღამდა.

მზე დაწვა, ვარსკვლავნი შობა,  
მსგავსები, ღვიძლი ძმებივით,  
და გაიფინენ ლურჯ ცაზე  
ოქროსფერ წიწილეებივით.

აბრიკომ სტუმრები რომ გააცილა, იქიდან სხვისა ბინები-საკენ შეუხვია და იქ გაიგო, რომ „ურიალნიკი“ გურკო რაღაცას დაეძებდა.

ბიჭებმა უთხრეს, გაჯავრებული დადიოდა „სტრაჟნიკებით“ და ვილაცის ცხენსა კითხულობდაო.

— რაღაცას აპირებს გურკო! — თქვა აბრიკომ და საჩქაროდ გასწია თავის ბინისაკენ.

ეს ამბავი მწყემსებს გამოუცხადა და ყველას ხოხობის სიფრთხილე დაავალა. თვითონაც გაიმახვილა ყური და არაბულას ბორკილი აღარ მოაშორა ფეხიდან.

— რა ვქნა, როგორ მოვიშორო გურკო? — თქვა მან, — რომ ვერსად შევხვდი ისეთ ალაგას! მაგრამ დღეს თუ ხვალ ავიშლებით ბარში წასასვლელად და თავშიც ქვა უხლია გურკოსაც, მის აქ გამომგზავნსაც... თუმცა ეხლა კია საქმე... ცხვარი როცა დაიძვრება აქედან, მაშინ იციან ყაჩაღებმა დაფაცურება... ძალიან სიფრთხილე გვმართებს... ჩემთვისაც კი მოხერხებული დროა, გავაგორო სადმე: გავასლანებ ტყვიასა და მერე მდიოს... ხელად ქიზიყს მოვექცევი...

ორი კვირა კიდევ მოიცადეს და ამ ორ კვირაში ორ დღეს არა სძინებია აბრიკოს ხეირიანად. სულ ხიფათის მოლოდინში იყო და თვითონაც გურკოს სახიფათოდ იჯდა იმ გზის ნაპირებში, სადაც მას უნდა გაეელო. შუალამის შემდეგ წავიდოდა ხოლმე გურკოზე სანადაროდ. უკანასკნელად შუალამეს გადააცდინა, რადგანაც ჩონგურზე დაძახილი ლექსებით გაართო ყაზრომ, ლექსები რომ შემოეხარჯა ყაზროს, ახლა სალამურს გადაეწოდა, გამოიღო ბუდიდან, ჩაპბერა და ჩააკაცანა მწყემსური.

თრიალეთის სუსხიან ღამეში კაფიეთად გაისმოდა მისი კაკანი და მსმენელთა ყურადღების ძაფზე ერთიანდებოდა ცა და ქვეყანა. ყურს უგდებდნენ ცეცხლის ირგვლივ დამსხდარი მწყემსები, ყურს უგდებდა ცა, დედამიწა და ცხვრის დაგუბებული მდინარე, რომელიც ზოგჯერ თუ ჩაახველებდა ნახად. სათუთად, პატარძალივით. ყურს უგდებდნენ აგრეთვე შორს.



შორს, ღამის წყვილიაღში წასული და მუდამ თოვლის თეთრი მიტკლით თავწაყრული მთები, რომელთა საიდუმლო ქარაევანი საუკუნეების ირგვლივ დგას გაყინულ ფერხულივით...

სალამურმა ძალიან შორს გაიტაცა ბიჭები, მაგრამ აბრიკოს მტერი მაინც არ დაავიწყდა. შუალამისას წავიდა იგი მტრისაკენ სამტროდ, მაგრამ მტერიც ძალიან გაუფრთხილდა თავს. ორმა კვირამ ისე გაიარა, ისე დაიძრა ცხვარი თრიალეთიდან, რომ აღარაფერი ამბავი აღარ მომხდარა.

სანამ თბილისს არ გასცდნენ, აბრიკომ თავი არ გაანება ცხვარს. მხოლოდ ვაზიანში დაწინაურდა იგი და ჩქარის ნაბიჯით გასწია იქით, სადაც მაისას ძლიერი თვალების ბრწყინვაზე იშლებოდნენ და ჰყვოდნენ აბრიკოს მომავლის იმედები.

ორი დღის შემდეგ აბრიკო ცხვარს მალაროს შეფენილებაში ამოეგება სოფლიდან. იმ მიდამოებში მიატარ-მოატარა მახარეს მუხამდე, სანამ წვიმა არ მოვიდა. როცა წვიმამ კარგა დაღვრიჭა გზის მტვერში გაგანგლული ცხვარი, არეული ფარები გადააჩრია: დედალი თოხლი ცალკე, მამალი თოხლი ცალკე, ჰედილა ცალკე, ყბაშავა ცალკე, თვალშავა ცალკე, ყოჩები ცალკე და ნოტო-ნოტო ჩაატარა ცხვარი სოფლებში. ცნობის-მოყვარე დედაკაცები გადადგნენ კარებში, ეზოებში და იძახდნენ:

— უი ქა, რა თოვლივით თეთრი ცხვარია! როგორ დაურჩევიათ! ყველას თავისი მწყემსი მიუძღვის... — თანაც კითხულობდნენ, თუ ვისი იყო იგი.

თეთრი მდინარე!

## V

ცხრა თვის შემდეგ მაისას მუცლიდან გამობრწყინდა ისეთივე ვარსკვლავი, როგორიც თვითონ იყო. სამი თვის შემდეგ კი, სწორედ იმ დღეს, როდესაც აბრიკომ მაისა მოიტაცა, მონათლეს იგი და დაარქვეს ციკო. ამავე დღეს აიარა მთისაკენ ცხვარმა, მაგრამ არტაანისკენ აღარ წავიდა, ყარსისკენ გაუხვია და ეს ზაფხული იქ გაატარა.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, რომ იტყვიან,

სწორედ ასე იყო აბრიკოს თავსაც. როცა დაბინავდნენ, აბრიკო ერთი ბალიკის პირად იყო მიგდებული და საბალახოდ გაშლილი ცხვრის ყურებაში თვლემას ჩაენტქა. ამ დროს ვილაც ცხენიანმა მწყემსებმა ჩამოიარეს და ხმამაღლა ლაპარაკობდნენ. ერთი მწყემსი რაღაცას ედავებოდა მეორეს და ლაპარაკში თქვა: არ იქნება ურიგო „სტრაენიკებს“ გამოუცხადო.

— გურკო? — წამოხტა აბრიკო, — აქაც ის წყეული გურკოა?.. აი დასწყევლოს ღმერთმა!.. სადღა წავიდე ისეთ ადგილას, რომ ის იქ არ იყოს!.. მართლაც რომ ბოროტი სულივით ამედევნა ეგ ჯიშაღლი და თუ როგორმე არ მოვიშორე, ჩემი ცხოვრება აღარ შეიძლება.

ბინაზე დაღონებული მივიდა.

ერთი-ორჯერ ჰკითხეს მწყემსებმა, რათა ხარ დაღონებულიო, მაგრამ არავის ხმა არ გასცა. მან ასე გადასწყვიტა, გურკო ისე მოეშორებინა თავიდან, რომ მის მეტს არავისა სცოდნოდა. დაადგა კიდევ ამ გზას.

დღედაღამ სულ „სტრაენიკების“ საყარაულოსთან იდგა. ეს საყარაულო არ იყო ძალიან შორს მწყემსების ბინებიდან. „ურიადნიკი“ ყოველდღე გამოდიოდა საყარაულოდან და „სტრაენიკებით“ ხან ერთ მხარეს წავიდოდა, ხან მეორეს. აბრიკომ „ურიადნიკის“ სახე, მისი გარეგნობა კარგა შეისწავლა, ხოლო ნამდვილი გურკოს სახე არც ახსოვდა, არც აინტერესებდა. საკმარისი იყო ის, რომ „ურიადნიკს“ სცნობდა მის მედღეზე.

ამის შემდეგ ცოტა ხანი გაუშვა ისე, რომ აბრიკოს არსებობაც აღარა ხსომებოდათ.

ერთ მშვენიერ დღეს „ურიადნიკი“ სარაყამიშში წავიდა. აბრიკომ ამას შეასწრო თვალი და იფიქრა, იქიდან ხომ ისევ უკან უნდა დაბრუნდესო, და ტყავგადმობრუნებული ტყავისავე წოწოლა ქუდით ჩაჯდა გზის ნაპირზე, ერთი კლდის ხეტქილში.

აბრიკოს ბედზე, „ურიადნიკი“ საღამოთი დაბრუნდა უკან ერთი „სტრაენიკით“.

მშვიდად მომავალ „ურიადნიკს“ ზედ ძუძუს თავზე დაასვა ტყვია მეცხვარემ და მეორე „სტრაენიკი“ კიდევ ისე დასჭრა,

რომ იქიდან ფეხს ველარ მოიცივლიდა. მან ტყავი გადააბრუნა, ტყავის ქუდი მიწაში ჩაფლა, მის მაგიერ თუ შური ქუდი დაიღო თავზე და მშვიდად წავიდა ბინისაკენ.

— ცხვარი სულ აქ არის? — იკითხა მან, როცა დაბრუნდა.

— აქ არის! რად დაიგვიანე? ან სად იყავ? — ჰკითხეს მწყემსებმა.

— რალაცნაირად დამაკლდა თვალში ყოჩი და მის ძებნას გავეყე... მაგრამ აქა ყოფილა... — იცრუა აბრიკომ და ამით დაფარა ყველაფერი.

მესამე დღეს მწყემსებმა გაიგეს „ურიადნიკის“ მოკვლის ამბავი: „სტრაჟნიკები“ დადიოდნენ ბინიდან ბინაში და კითხულობდნენ, „ურიადნიკის“ მკვლელი ხომ არავის გინახავთ, ვინც იმის კვალზე შეგვაყენებს, ან გამოგვიჩენს, დიდ საჩუქარს მიიღებს ხელმწიფისაგანო, მაგრამ ვინ რა იცოდა აბრიკოს მეტმა.

— რაო, რას ამბობენ ი „სტრაჟნიკები?“ — იკითხა აბრიკომ.

— რა ვიცი, ვილაც „ურიადნიკი“ პეტუშკოვი მოუკლავთ ყაჩაღებსა და მკვლელს დაეძებენ.

— პეტუშკოვი თუ გურკო?! — გაიკვირვა აბრიკომ, მაგრამ წამოთქმული შეცდომის გასასწორებლად თავზე ხელი შემოირტყა, — მე კიდევ სულ გურკო მაგონდება. ასე მგონია ყველგან ის იყოს... დასწყევლოს ღმერთმა!... მაშ „ურიადნიკი“ მოუკლავთ?...

— ჰო, მოუკლავთ.

— ვისა?

— რა ვიცი, ეს „სტრაჟნიკებიც“ სწორედ მკვლელს დაეძებენ...

— ის მამაძაღლი! ვინ მოჰკლავდა ნეტა?!

გაიქნია თავი და ისე გაუარა გვერდით „სტრაჟნიკებს“, თითქოს აბრამის ბატკანიაო.

„როგორ მომივიდა ესა, რომ იმის მაგივრად სხვა მოვკალ? როგორ მომივიდა!... მაგრამ ახია ამაზე — რად იყო „ურიადნიკი“!... მართალია, ჩემთვის ჯერ არაფერი დაუშავებია, მაგრამ

ვინ დაიფიცავს, რომ ისიც ისე არ აწვალებდა სხვებს, როგორც მე გურკო?!“—ფიქრობდა გულში აბრიკო და ამ ფიქრში ნახსენებ სიტყვაზე — „გურკო“ აქეთ-იქეთ იყურებოდა, არავინ გაიგოსო.

ამ ამბავმა სრულიად უმტკივნეულოდ და უზარალოდ ჩაიარა. თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აბრიკომ მოსვენების მაგიერ უფრო მეტი მოუსვენრობა მოიმკო პეტუშკოვის მოკვლით.

ყოველ შემთხვევაში, ცხვარი უკლებლივ და უვნებლად დაბრუნდა ბარში.

აქ, პირველ ხანებში, ცოტაოდნად დამშვიდდა აბრიკო. შემდეგ კი ახალი ამბავი დაიწყო ახალი ხიფათებით.

საქმე ის არის, რომ 1904 წლის ოქტომბერში იაპონიასთან ომში დამარცხების შემდეგ, რუსის ხალხმა სიტყვისა და პრესის თავისუფლება გამოჰგლიჯა რუსეთის იმპერატორს, მაგრამ ეს თავისუფლება ძალიან სახიფათო გამოდგა ხელისუფლებისათვის, რომელიც იძულებული შეიქმნა თავის გადასარჩენად უკანვე წაერთმია ხალხისათვის ის, რაც მან ბრძოლით მოიპოვა. ამიტომ, 1905 წლის დეკემბერში თავისი თავი დიქტატორად გამოაცხადა მეფემ, რომელიც რუსეთის სამშობლოს მოყვარულთა და ქრისტეს სჯულის მოსავეთ აუწყებდა: ჩემმა ერმა ვერ გამოიყენა ჩემ მიერ მოცემული თავისუფლება და ძველი მდგომარეობა უნდა აღდგენილ იქნას, რადგანაც თვით მეფის მთავრობა არის პროგრესიული და არა სოციალისტური პარტიებით...

ბრძოლა დაიწყო ხალხსა და მთავრობას შორის.

სწორედ ამ დროს ალაზნის მიდამოებში დადგა პატარა რაზმი კაი ხნის ყაჩაღის, მიხა მწერლიშვილისა, რომელსაც ხალხი მეორე არსენას ეძახდა და საგმირო ლექსებით ამკობდა...

რეაქციამ გაიმარჯვა. გამარჯვებულმა დევნა დაუწყო მიხა მწერლიშვილის რაზმს, რომელიც უმეტეს ნაწილად აბრიკოს ბინას აფარებდა თავს.

ამიტომ აბრიკოს ბინა მიზანში ამოიღეს „სტრაჟნიკებმა“ და მთელი წლის განმავლობაში მოსვენება აღარა ჰქონდა მას, მხოლოდ 1907 წელს მიწყნარდა რეაქციის ბობოქარი გული და აბრიკოც უფრო დამშვიდებით უმასპინძლდებოდა მიხას.

მაისის დასაწყისი იდგა და ცხვარი ისევ მთისაქენ ეშაღებოდა.

შეზინდებისას მივიდა აბრიკო ბინაზე და მშვიდად უთხრა ყინტორას:

— ყინტორ, წადი, ჩემი ფარიდან გამოიყვა ერთი ქედილა და სანამ მოვალ, დაკალით, ზოგი ცივად მოხარშეთ, ზოგი ჩააყაურმეთ.

— რათ გინდა? — ჰკითხეს მწყემსებმა.

— ბიჭები უნდა მოვიდნენ.

— ბიჭები?

— დიახ, ბიჭები.

ყინტორა მაშინვე მიხვდა, ვინ „ბიჭებზე“ ლაპარაკობდა აბრიკო და გაიქცა ქედილას მოსაყვანად.

აბრიკო წავიდა.

მწყემსებმა ქედილა დაკლეს, გაატყავეს და დიდი ცეცხლი დაანთეს. ცოტა ხნის შემდეგ მოუძღვა აბრიკო „ბიჭებს“ და დაუძახა ლოქოს.

ლოქო მოვიდა.

— ლოქო, შენ, ციგრი-ბუგრიმ და ციციბამ აიღეთ თოფები და ყველა მოსავალ გზაში ჩადექით სათითაოდ: თუ ვინიცობაა გამოჩნდეს ვინმე, „სტრაჟნიკი“ იქნება იგი თუ უბრალო კაცი, ერთხელ დაცალეთ თოფი. აბა ჩქარა!

ბიჭებმა დაავლეს ხელი თოფს და წავიდნენ.

სტუმრებმა ივანშმეს, შემდეგ მოისმინეს ყაზროს ლექსი ჩონგურზე, რომელიც ასე თავდებოდა:

ჩვენიც დადგება დრო-ჟამი,  
ჩვენი დღეც გათენდება,  
დაჩაგრულების მნათობი  
გულ-მკერდში ჩაგვეკვრებაო.

დაბოლოს ყველამ დაიძინა, მხოლოდ აბრიკო იღვა ფარების თავე და დარაჯობდა მძინარით.

დილით აბრიკო თავის მიერ განრიგებულ ყარაულებთან წავიდა. ერთ რაზმელს ყველაზე ადრე გამოეღვიძა. მას თვალები ავად უქანკალებდა და ლაპარაკში სულ იკბინებოდა.

ამ დროს ხევგალმიდან ვიღაც მწყემსი გორიგორ ჩამოდიოდა ხევში და მხარზე ჯოხგადებული თან ბაიათსა მღეროდა.

— რა ხანია კაცი აღარ მომიკლავს, — თქვა თვალებკანკალამ და გაუხწორა თოფი გორიდან ხევში ჩამავალ მწყემსს.

— რამ გაგაგიჟა, შე ოჯახდასაქცევო, სიკეთის მაგიერია! — აუტაცა თოფს ხელი ვეფხომ.

— რა იყო, კაცო, იქნებ ვერ ვართყამ, დაიცა, უნდა ვცადო, სროლა ხომ არ დამავიწყდა.

— ჭიჭი ხარ? აგერ ხე, თუ ცდა გინდა.

— ხე... ხე... ხეს რო ვესროლო, მერე უნდა ვირბინო და ვსინჯო, მოხვდა თუ არა—მეთქი და ის კაცი თვითონ დაიყვირებს.

— გაუშვი თოფი! — შეპყვირა ვეფხომ.

— რა ამბავია?! — წამოვარდა უეცრად მიხა. მას აპყვენენ ყველანი.

მოვიდა აბრიკოც.

ვეფხომ აუხანა მიხას ამბავი და ამ ახსნამ ისეთი მრისხანება ამოზიდა მიხას გულიდან, რომ ხმა აღარ ამოუღია თვალებკანკალას.

აბრიკომ პური აქამა კიდევ და ისე გაისტუმრა რაზმელები.

მიმავალთ თვალი არ მოაშორა, სანამ ტყეს არ შეეფარნენ. შემდეგ გორაკზე შედგა იგი და დიდხანს იყურა იქით, საითაც ისინი შთაინთქნენ.

ჩამოწვა მყუდრო სიჩუმე; რამდენიმე ხნის შემდეგ შორეულ ტყიდან მხოლოდ ერთხელ მოარაკუნა თოფის გასროლამ.

— რად გავარდა თოფი? — იკითხა აბრიკომ და კიდევ დიდხანს ეჭირა იქითკენ ყური, მაგრამ თოფი აღარ გავარდნილა.

აბრიკო წავიდა ბინაზე და, როდესაც რაზმელები მეორე დღეს კიდე მივიდნენ მასთან, თვალბეჭანკალა მათ შორის აღარ იყო.

## VI

რევოლუციის ამბებში გართულ აბრიკოს დაავიწყდა ცხვრის ჯიშზე გატაცებული ზრუნვა და თვით „ურიადნიკი“ გურკოც, მაგრამ როცა რეაქციამ მთლად დაიპყრო თავისი წინანდელი კალაპოტი, აბრიკოს ისევ მოაგონდა წმინდა მოვალეობა მეცხვარისა და დაიწყო ჯიშზე ზრუნვა.

— აი ეს ოჯახდასაქცევი ლოქო უთვალავი ცხვრის პატრონი იყო, ცხვარში დაბერდა და მაინც ვერ ისწავლა კარგისა და ავის გარჩევა. აი აგრე შემთხვევით თუ მოუვა საქმე სწორედ, თორემ ნამდვილი ძალა თვითონაც არ იცის. გაყიდვისა თუ გაჩუქების დროს იგეთს დაადებს თითს, რომელიც მთელი ფარის თვალია. — ამბობდა ხოლმე აბრიკო ლოქოზე, რომელსაც ხან ერთი ამხანაგი გააგდებდა უვიცობისათვის, ხან მეორე. მაგრამ დროადრო მაინც უკანვე იღებდნენ, რადგან უპატრონო იყო, უქონელი და ამასთანავე მისი გამოყენება შეიძლებოდა: გამბედავი, ღონიერი, ყოჩაღი და კარგი თოფის მსროლელი ხშირად სჭირდებოდათ.

— როცა საქმეს აკეთებინებ, ამისი კუდი ხელში უნდა გეჭიროს, თორემ გაგიფუჭებს რამეს, — იტყოდა ხოლმე ვეფხოც. — ჯიში! მამა კარგი ჰყავდა, ჩალხანას მეცხვარეობას ქვეყანა ნატრობდა. მის ნიქს ყველა შეხაროდა, და ამას რაღა ღმერთი გაუწყრა!

— ეგ რო მაგითანა არა ყოფილიყო...

— რა?

— ისა, რომ... — აბრიკომ ხმამაღლა აღარა თქვა, მხოლოდ გულში დაასრულა „მე დღეს ამოდენა ცხვარი არ მეყოლებოდაო“. ამიტომ მაინც სინდისი ნებას არ აძლევდა ლოქო სულ გაეგდო.

— რა ქნას საწყალმა. მაგის ბრალი ხომ არ არის. განგებით გაჩნდა აგეთი, მაგრამ...

ჯიში?!

— მამას არა ჰგავს, დედასკეა, დედასკე! — დაასკვნა აბრიკომ.

გადაყოლილი იყო აბრიკო ჭიშხე. ცხენის ჯოგი სულ დარჩეული ჰყავდა. სულ ჭიშიანი ცხენები, უჭიშოს ჯოგში არ დააყენებდა, მაშინვე გაჰყიდდა, ან გაასაჩუქრებდა ნათლულებში, ნათლიმამებში, მოყვრებში.

— რად გინდა მაგდენი ჭიშიანები, გაყიდე, ფულს აიღებ, სუყველაზე ხომ არ შეჰდები! — ეტყოდნენ.

— მართლაცდა, მეც არ ვიცი, რად მინდა, რომ სულ უჭიშოებსა ვყიდი. ჭიშიანებს კი ვიტოვებ... — იტყოდა აბრიკოც და მისი უბედურებაც სწორედ ის იყო, რომ ყველა მის ჭიშიან ცხენებსა და ჭიშიან ცხვარს ეტანებოდა, რის გამოც ღამე თოფთან ჩახუტულს ეძინა და ცხენსაც ფეხიდან ბორკილს არ ამორებდა!

გაიარა ღიდმა ხანმა.

ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ მოხდა, ბევრი კაკალო დაიმტვრა აბრიკოს თავზე, მაგრამ უკანასკნელი ამბავი ყველაფერსა სჯობდა.

საქმე ის არის, რომ დავიწყებული „ურიადნიკი“ გურკო ამ უკანასკნელ გაზაფხულზე ისევ მოვევლინა ქიზიყს. მისი დანახვა აბრიკოს არ ესიამოვნა, უფრო მეტად არ ესიამოვნა ბარხუდარას დანახვა, მაგრამ ყველაზე უფრო მეტად არ ექაშენიკა ის, რომ ბარხუდარა მასთან მივიდა ბინაზე.

ბარხუდარას „გარიბანდის“ ქული ეხურა, შავი ხუჭუჭი თმა ჰქონდა და ქართულს ავლაბრულად ლაპარაკობდა. ბარხუდარა ყოჩს შეევაჭრა აბრიკოს, ერევანში უნდა ვაჭიდო ხოლმეო, აბრიკომ ცერად შეხედა.

— ფული — რამდენიც გინდა! — უთხრა ბარხუდარამ.

— არა, მე შორეულ კაცს ჩემ ყოჩს ვერ გავატან! — მოუჭრა მოკლედ აბრიკომ და ყველი გაწურა პარკში.

ბარხუდარას ამის პასუხად რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ აბრიკომ უცბად გაუშვა პარკი ხელიდან, ხელები ჩონჩის კალთაზე შეიწმინდა, აიღო თოფი და ჭალისაკენ ისე გაიქცა, რომ ბარხუდარას შეეშინდა: საჩქაროდ შეჰდა ცხენზე და უკან აღარ მოუხედნია.



მეორე დღეს აბრიკომ ცხენით გაიარა „სტრაჟნიკების“ საყარაულოსკენ და თვალი მოჰკრა ბარხუდარას, რომელიც „ურიადნიკ“ გურკოს რაღაცაზე საიდუმლოდ ელაპარაკებოდა. მათი საიდუმლო ლაპარაკი აბრიკოს ემცხეთა და თითზე იკბინა, აქ რაღაც ამბავიაო.

ბარხუდარამ ერთი კონა ქალაღდის ფული მისცა „ურიადნიკს“, რომელიც პირჯვრის წერით რაღაცას მტკიცედ დაჰპირდა.

ამის შემდეგ აბრიკოსთან მივიდა ბინაზე ვანკა „სტრაჟნიკი“ და ყოჩს შეევაჰრა. აბრიკო მაშინვე მიუხვდა „ურიადნიკ“ გურკოს მოციქულს და უთხრა:

— რა „სტრაჟნიკის“ საქმეა ყოჩი!

მაშინ ვანკამ უთხრა: „ურიადნიკს“ აქაური კაციისთვის უნდა და უარს ნუ მეტყვიო.

რაკი „აქაური კაცი“ ჩაუმატა ვანკამ, აბრიკო ძირისძირობამდე მიხვდა ბარხუდარას ქსელებს და ისე გაჩუმდა, თითქოს სიჩუმით თანხმობას გამოთქვამსო.

— ჰა, მომყიდი?..

— არა! — შიარტყა მოკლედ და რომ ხმა აღარ გაეცა ამის შესახებ, აბრიკომ ჩვეულებრივად დასტაცა ხელი თოფს და საჩქაროდ გასწია ცხვრისაკენ.

ამის შემდეგ აბრიკოს აღარც ვანკა „სტრაჟნიკი“ უნახავს, აღარც ბარხუდარა და აღარც თვით „ურიადნიკი“ გურკო.

ორი კვირის შემდეგ აბრიკო რაზმელებს შეხვდა ალაზნის ჭალაში და ასე უთხრა: კვირას ხალხი მყავს სოფლიდან დაბარებული, ცხენები უნდა გავხედნო და თქვენც მოღით, ისეთს არავის დავიბარებ, ჩვენი ურთიერთობა ბოროტად გაიტანოს გარეთ და ამასთან ერთი კაი დროც გავატაროთო.

მართლაც, კვირა დილით ადრე ჩამოვიდა სოფლიდან ხალხი და ახლო-მახლო ბინებმაც აბრიკოსას მოიყარეს თავი.

აქ იყო ნამცვივნიანთა საბა, ცხენების ხედნაში გამოცდილი, პატროსნებით სავსე, ჭკვიანი, გულკეთილი და საამური შესახედაობის მოხუცი, რომელიც ამხანაგებს განუმარტავდა გახედნის ხერხებს.

გააკეთეს ქამანდები, გადააბეს ერთმანეთს მიწით სავსე ტომრები გასახედნავებისთვის და გააბეს თოკებიც.

ამ დროს მოვიდნენ რაზმელებიც.

რალაც აუხსნელი სიხარულითა და სიყვარულით შეხვდნენ გლეხები მწერლიშვილს, რომელიც მეტისმეტად ასიამოვნა ნამცვივნიიანთ საბას ნახვამ. საბას ერთ ღამესა ჰყოლოდა მიხა დამალული თავის სახლში, როდესაც 1906 წელს „სტრაჟნიკები“ ეძებდნენ თურმე.

— როგორა ხართ, საბავ? — ჰკითხა მიხამ და ჩოხის კალთები ჩამოიშალა.

— როგორ უნდა ვიყო, შენი ჰირიმე, ერთი ზურგწამხდარი ვირის მეტი არა მყავს რა და ხან ერთსა ვშველი, ხან მეორეს... ასე ვირჩენ თავს.

— სხვა აღარავინა გყავს?

— ა, ის ერთი ბებერი დედაკაცი მიგდია და ი პატარა ბიჭი, მაშინ რო დაცანცალებდა — წინტალა.

— რამდენი წლისაა?

— ჩვიდმეტისა.

— ჩვიდმეტისა? — ჩაერია აბრიკო.

— ჰო, ჩვიდმეტისა.

აბრიკო დაფიქრდა... დაფიქრდა, როცა მიხასთან ლაპარაკი გაათავა, ცალკე უთხრა:

— საბავ, შენ პატიოსანი კაცი ხარ, გამრჯე, ალბათ შვილიც შენ გემგვანება, არ გეწყინოს და მოდი მომეცი მოჯამაგირედ, ვასმევ, ვაჰმევ, ჩავაცმევ და სამ-ოთხ წელიწადში ცხვრის პატრონს გავხდი.

— თუ მაგ სიკეთეს მიზამ, გველის ფხაში გავძვრები შენთვის, — გაეხარდა საბას.

ამ დროს მოვიდა წინტალაც.

— აბა, როგორი ჩვიდმეტი წლისაა — ათისაც არ იქნება, — თქვა ერთმა გლეხმა.

— ჯიში აქვთ ეგეთი, ჯიში! — აუხსნა საბამ.

— თუ აგრეა, ხომ მაღალი უნდა იყოს შენსავით?

— არა, ეს მე არა მგავს: იქით ჰგავს დედისკენ. დედაც აგეთია—ორმოცდაათი წლისა ხდება და ქონდარზე მაღალი ვერ გაიზარდა.

ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ ძაღლებმა ასტეხეს ღვედავი, საჩქაროდ ამბავიც მოიტანეს, „სტრაჟნიკები“ მოდიანო.

წამოიშალნენ რაზმელები.

მაგრამ აბრიკომ დაარიგა: შორს არსად წახვიდეთ, შამბებში გაძვერით და ტყის პირში მომიცადეთ, მათ მალე გავისტუმრებო.

რაზმელებმა გომები ისაფრეს და ტყის პირში გადავიდნენ. მოვიდნენ „სტრაჟნიკები“. ორნი იყვნენ, თვით „ურიადნიკი“ გურკო და ერთი სხვა, რომელსაც თვალები მჭადის ქუქრუტანებს უგავდა.

დაუპატიებლები ჩამოხტნენ.

დაღონდნენ გლეხები.

აბრიკომ არამკითხე სტუმრები ქოხში დასხა და თვითონ გლეხებთან გავიდა განზე: დიდხანს ეჩურჩულა მათ საიღუმლოდ, ბოლოს გაამხიარულა დაღონებულები და დაბრუნდა ქოხში.

— შენ ეი! — შესძახა ნაწყენმა „ურიადნიკმა“, — ისე თავისუფლად გრძნობ თავს, თითქოს წითელრაზმელებს და მეფის ყოველგვარ მტრებს არ ინახავდე.

— რაო?

— რაო კი არა, წითელრაზმელებს ინახავთ!

— წითელრაზმელებს კი არა, ახლა მწვანე რაზმელები მომიგონეთ, — უთხრა ბრიყვულად აბრიკომ.

— თავსაც იმართლებ? ისე მექცევი, თითქოს ძალა არა მქონდეს!

— ძალა გაქვს, მაგრამ მე აქ რა შუაში ვარ!

— ყაჩაღებს ინახავთ, ქურდობთ! ამას წინათ ლაგოდების ფოსტა გაძარცვეს, განა თქვენ კული არა გაქვთ მათთან? აბრიკო აკანკალდა, მაგრამ თავი შეიკავა და მოახსენა დინჯად:

— ბატონო „ურიადნიკო“! თუ ნებას მომცემთ, ჩემი ჯოგიდან გამოვიყვან ერთ ცხენს და გისახსოვრებთ. აი ეს ხალხი იმიტომ მყავს დაბარებული, რომ გაუხედნავეები დავიჭიროთ, რომელიც მოგეწონოთ, ის ინებეთ.

„ურიადნიკს“ ეამა, მაგრამ თავისი მაინც არ დაივიწყა.

— მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, არ დაგვენმაროთ ფოსტის მტაცებელთა აღმოჩენაში.

— დახმარებას ყოველთვის გაგიწევთ... — უთხრა აბრიკომ და გადაპყვილა აქეთ-იქეთ ბიჭებს ჯოგის მოსარეკად.

მორეკეს ჯოგი.

ცხენების ტალღა ხალხის ხან ერთ კედელს ეცა, ხან მეორეს.

დაიჭირეს ერთი.

დააკრეს ზურგზე მიწით სავსე ტომრები და გაუშვეს. გაუხედნავის დაფეთება სიცილით ხოცავდა მაყურებელთ.

„ურიადნიკი“ ისე გაერთო, რომ ერთხანად დაავიწყდა თავისი მოვალეობა, გულიანად გადაიხარხარა და მეგობრად უჩვენა თავი აბრიკოსს.

დაიჭირეს ახლა მეორე, მესამე და შემდეგ დაიჭირეს ხუთი წლის ისეთი კვიცი, რომელსაც ნაპერწკლები სცვიოდა თვალებიდან და ტოტით გულ-ღვიძლს აცლიდა დედამიწას.

— ეგ მომწონს! — თქვა „ურიადნიკმა“.

— ეგ მოგწონს? ძალიან კარგი! მოგართმევ! — თქვა აბრიკოსმ და დარიგებისამებრ შეატყობინა რაზმელებს, რომელნიც აქეთ-იქიდან წამოეპარნენ ქოხში მყოფთ.

მათ მოახლოებაზე აბრიკო „ურიადნიკს“ ეცა, ლოჭო მის „სტრაენიკს“. ორივე გათოკეს.

„ურიადნიკს“ გააძრეს ტანისამოსი და დედიშობილა დააკრეს იმ გაუხედნავს, რომელიც მას მოეწონა.

დააკრეს და გაუშვეს.

გაცოფებული ცხენი ეცა ქალებს, ღიჟებს, ჩინჩხვრებს, მდინარეს, კლდე-ღრეს და რამდენიმე საათის შემდეგ ცარიელი დაბრუნდა ჯოგთან.

გურკო ნაფლეთებად მოთესა მან ალაზნის პირებში ისე, რომ მისი პოვნა და ცნობა ძალიან ძნელი იყო. ხოლო მეორე „სტრაენიკი“ რაზმელებმა წაიყვანეს შორს, შორს, უდაბურ ქალაში და იქ „ურიადნიკის“ ტანისამოსთან ერთად ჩაფლეს მიწაში.

— თქვენ! — გადმოსძახა მიმავალმა მიხამ გლეხებს, — თქვენ არაფერი ბრალი არ მიგიძღვით! თუ ვინიცობაა ეს ამბავი გახშიანდეს, ხელისუფლებას უთხარით, ჩვენ მოგვკითხოს!

მათი ცხენებიც თან გაიყოლეს.

ხელისუფლება გააფთრდა. ალაზნის ქალებში ყოველი ბუჩქის ძირასა და ყოველი ხის ქვეშ არა მხოლოდ ბერდანიანი

„სტრაჟნიკი“, არამედ მთელი ჯარები დააყენეს ტყვიამფრქვევებით, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ. ბოლოს დიდი თავგანწირვისა და შიგნიდან მოსყიდვის წყალობით, ერთ ტაფობში მოიმწყვდიეს მიხა მწერლიშვილი, რომელსაც ცხენი დაეფლო ნაშეში და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლის შემდეგ თვითონვე მოიკლა თავი.

ამის შემდეგ ცხრა წელიწადი ეძებეს აბრიკოს ირგვლივ გურკოს ლეში, მაგრამ ვერაფერს მიაგნეს. ბოლოს, მსოფლიო ომში გართულ ხელისუფლებას მიაგვიწყდა იგი.

## VII

მსოფლიო ომი მძვინვარებდა და ომისაგან ნატყუები რუსეთის იმპერიალიზმი ძლივსა ფეთქავდა. აბრიკო წელში ნელ-ნელა სწორდებოდა, „სტრაჟნიკები“ — ეს შემოდგომის ბუზები—რალაც განგებით ძან აღარ იკბინებოდნენ... ყველაფერი დავიწყებას მიეცა. 1916 წლის მაისი იყო, როდესაც ცხვარი ახლად დაიძრა შირაქიდან თრიალეთისაკენ.

აბრიკო უკვე ივრის ჭალასთან იყო მისული.

იქ იყო ყველა მისი ამხანაგი.

ივრის ხიდს რომ მიაღწიეს, გომბორის მთებში, თიანეთსა და ბორბალოს მიდამოებში დიდი ჭექა-ქუხილი იდგა, აშკარა იყო, იქ წვიმა კოკისპირულად ასხამდა და იორი ყელთამდე სავსე მოდიოდა. ადიდებულ მდინარეს თან მოჰქონდა ხეები, წისქვილები და დამხრჩვეალი ცხოველები.

შაქრო ბეგის ცხვარი ხიდს გასცდა.

აბრიკოსი უკან იყო ჩამორჩენილი.

ნათქვამია: ადამიანი, რომელიც ფათერაკს ამზადებს სხვისთვის, თვითონაც მსხვერპლი გახდება ფათერაკისათ. სწორედ აბრიკოსსაც აქ წამოეწია ფათერაკი.

უცბად მივარდა წინტალა და შეატყობინა აბრიკოს: ლოქომ დაიძახა, რომ ყაჩაღებმა შაქრო ბეგის ცხვარი წაასხეს და თვითონ შაქროც წაიყვანესო.

თავზარი დაეცა აბრიკოს.

— ვეფხო! წამოღი ჩქარა, ვუშველოთ ამხანაგს, თორემ მოკლავენ სადმე!

ორივენი ცხენებზე შესხდნენ.

— ყინტორაე! — დაუძახა ვეფხომ, — წადი, შენ „სტრაენიკებს“ შეატყობინე, მოგვეშველონ!

— არ გვინდა! — შეყვირა აბრიკომ, — ისინი მხოლოდ „ბაშფორტს“ მოგვთხოვენ... სად გინახავს „სტრაენიკის“ ნაშველი კაცი!

მაგრამ საით წასულიყვნენ, არ იცოდნენ.

აბრიკომ ცოტა ხანს შეიკრა შუბლი და შემდეგ წამოიძახა:

— მომყე უკან!

შემოჰკრა ცხენს ლაჯი და ჭალის პირპირ გაეშვა შურდულივით.

ორი ერთიმეორის მომდევნო ისარი მიაჩრდევდა ივრის პირებზე აყოტილ შამბიანს.

აბრიკომ იცოდა, რომ ხიდგაღმა მოსხლეტილი ცხვარი გაირეკებოდა მხოლოდ ივრის ნაპირებისაკენ, სადაც ხევ-ხუვ გადავნიტ ტყეს შეაფარებდნენ, იქიდან ვაშლოვანში გავიდოდნენ და ვაშლოვანიდან ყაზახში გადაარეკდნენ. ამიტომ დროზე უყელა ვაშლოვანთან და მტაცებლებს წინიდან მოექცა.

— ვეფხო! შენ ნუ შემოხვალ მდინარეში, თუ მე დავიღუპე, შენ მაინც გადარჩი, თუ გავედი, მე რო წინიდან დავუწყო სროლა, შენ უკნიდან მიაყოლე, ბოძივით ნუ დადგები, ისაფრე რამე, თორემ მოგკლავენ, — თქვა და ჩააგდო ცხენი მდინარეში.

ტალღები აჯაგრული გარეული ტახებივით გარბოდა ჭყვილით თავქვე. შიგ ცხვირილა უჩანდა ცხენს, რომლის ფაფარსაც არწივივით ჩასჭიდებოდა აბრიკო და ერთიმეორეს შეტყუებებული ორი თავი მისცურავდა გაღმისაკენ. ორივე თავი რამდენიმეჯერ ჩაიძირა წყალში და დიდი დავიდარაბის შემდეგ გავიდნენ გაღმა.

შეშინებული ცხენი კანკალებდა და ფრუტუნით დაჰყურებდა მდინარეს, თანაც ტანს იბერტყავდა.

აბრიკომაც გაიწურა ჩოხა. კლდის ძირში ცოტა მოითქვა სული და შეუდგა ზვერვას.

ცხვარი უკვე მდინარის ყელში ჩამოდიოდა.

აბრიკომ გამოიღო თოფი ტყავის ბუდიდან, დაისხა ვაზნები თითებშუა და დაჰგება მიზანი.

გავარდა თოფი.

გალმიდანაც გამოვარდა ვეფხოს თოფი და გაიმართა სროლა.

ყაჩაღები აირივნენ და დაიბნენ.

ამ დროს გაჩნდა ლოჭოც.

უკან დასდევნებოდა მტაცებელთ.

იქიდანაც გამოვარდა თოფი და სულ დაეფანტათ დავთრები ყაჩაღებს.

შაქრო ბეგსაც არ დაჰკარგოდა გონი; რაკი პირველმა ტყვიამ აცნობა ამხანაგების მისვლა, წაწვა მიწაზე, რათა ამხანაგებს მისთვის არ მიერთყათ ტყვია, ან თვით გამწვავებულ ყაჩაღებს არ მოეკლათ ჯავრის ამოსაყრელად.

როცა გაჰკირდა საქმე, ყაჩაღებმა თავს უშველეს, მხოლოდ ორი კაცი დასტოვეს ბრძოლის ველზე.

— დახოცილებს რა ვუყოთ? — იკითხა ვეფხომ.

— თქვენ ცხვარი გარეკეთ, ამათ მე მოვუვლი, — თქვა აბრიკომ და გადაუძახა ერთ გვამს იორში. ახლა მეორეს წაავლო ხელი ფეხში, მაგრამ ეუცხოვა: „სტრაჟნიკის“ ჩექმა ეცვა და, რომ დააკვირდა, იცნო ვანკა „სტრაჟნიკი“.

— გურკო მოგკალით; მაგრამ მისი ხელი ისევ ყელში გვიჭერს—თქვა და იმასაც გადაუძახა იორში. შემდეგ მიუბრუნდა ბიჭებს და უთხრა:

— აბა, ჩქარა, თორემ ხიფათი მოგველის, — ლოჭო! — დაუძახა ლოჭოს, — გაფრინდი შენა და იმ ბიჭებს წამოეწიე, შარაზე დარჩენილი ცხვარი ჩქარა გადააცილონ აზამბურს.

ლოჭო გაფრინდა. მან, შაქრო ბეგმა და ვეფხომ გორს მიფარებით გადარეკეს ცხვარი აზამბურის ტბასთან, საიდანაც გადასჭრეს წიწმატიანი და ბალბიანთან შეეყარნენ ერთმანეთს.

იქ ცოტა დამშვიდდა აბრიკო და დამშვიდებულმა თქვა:

— „სტრაჟნიკი“ და ყაჩაღი?! მაგრამ შენ რაღად უნდოდი, შენ, — მიუბრუნდა შაქრო ბეგს, — შენ რომელიღა ჯიშიანი ყოჩი იყავი, რო მიუდიოდი, ჰა?

— რა ვიცი, რა ვიცი, — თქვა შაქრო ბეგმა.

ეს წელიწადი მესხეთის თრიალეთში გაატარეს, მაგრამ არ იყო კარგი წელიწადი. ჯერ ერთი, მოჯამაგირე ყინტარასა სცე-

მა აბრიკომ და გაავლო. გაგდების დროს კუთვნილი არ მისცა. ზარალი უფრო მეტი მომეცი, ვიდრე სარგებელი შენი მოჯამაგრობითაო. ამის გამო ყინტორამ წააძახა აბრიკოს: შენ იგეთი ხალხი გინდა მოჯამაგირედ, როგორიც ლოჭოა, თავისი მამის ქონებას არ შეგედავა და მუქთად გემსახურებო. არც წინტალას დააყარა ხეირი აბრიკომ, მასთანაც დიდი უსიამოვნება მოუვიდა, მაგრამ მისი მამის საბას ხათრით არა სცემა. ამას დაერთო კიდევ თურქული, დაიხოცა ცხვარი და გაიგეშა მგელი. ამას კიდევ ის უბედურება მიემატა, რომ ლოჭო გახდა ავად. ექიმი არამცთუ მთაში, სოფლებშიაც არ იყო. ქალაქი შორს იყო და ამასთანავე ლოჭო იმედოვნებდა: ცოტასა მჩხვლეტს, დღეს თუ ხვალ გაივლის, მამაჩემი როდის დადიოდა ექიმთან, რომ მე წავიდეო. მაგრამ ჩხვლეტამ არამცთუ გაუარა, პირიქით — უმატა.

— რა მაქ, ე ოხერი, ამ გვერდში, რო აღარ მანებებს თავს, — თქვა მან. შემდეგ შეიყო თითი ნეკნებ ქვეშ, დაუწყო სინჯვა და ბოლოს უეცრად დაიძახა:

— ვიპოვნე, ვიპოვნე!

— რა იპოვნე?

რალაც ძვალს მიაღო თითი.

— იქნებ ტყვიაც არის შიგ დამდგარი, — ამბობდა იგი, — მაგრამ ტყვია რომ ჯერ არ მამხვედრია, საიდან გაჩნდა ე ოხერი, — უკვირდა თვითონვე, — თუმცა, ვინ იცის, იქნებ მამხვდა და ვერ გავიგე, — დაასვენა თვითონ და ბოლოს გადასწყვიტა თავის თავისთვის თვით გაეწია დასტაქრობა.

— რამდენი თხა დამიკლავს, რამდენი ყაჩაღი მიმისაკლავებია და ამას ვერ გამოვიღებ ჩემი გვერდიდან? — თქვა ლოჭომ, გაიძრო ხანჯალი, გაიჭრა გვერდი და შეიყო შიგ თითი.

— ვიპოვნე, ვიპოვნე! — დაიყვირა კიდევ და გამოსწია ნაწლავის ყური.

ცოტა ხანს შემდეგ ნაწლავის ყური გაუცივდა.

აუტყდა უარესი ტკივილი და ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

თრიალეთის მიდამოებში, სადაც ცხრაწყარო სამოთხეობს ქვეყანათა შორის და სადაც ბუნება ადამიანის თვალთათვის და



გულთათვის უზენაესი ნეტარებაა, სადაც თეთრი მდინარე გუბდება და იშლება ყოველ გაზაფხულობით, სადაც რძისა და მაწვნის, კარაქისა და ყველის ნოყიერება სუნნელებს ათასგვარ ბალახებში — გათხარეს სამარე და პატრონთაგან დაუტირებელი ლოჭო მიაბარეს მიწას.

რამდენი დამარხულა ასე!

რამდენი ამგვარი სამარეა გათხრილი თრიალეთის მიდამოებში!

მათი საფლავებით შემოკენჭილ მიწაზე ამოდის ნოყიერი ბალახი და შემდეგ თეთრ მდინარედ მიდის იგი სამიკიტნოებში, სასადილოებში, ყოველნაირ ღუქნებში და სავაჭროებში, რომელნიც კვებავენ ქვეყანას, მოსავენ ხალხს და განიკითხავენ გლახაკთ...

შებინდებისას დაბრუნდნენ ბიჭები ლოჭოს დასაფლავებიდან ბინაზე, მხოლოდ შაქრო ბეგილა დარჩა იქ.

ლამის წყვდიადიდან ამოქშენილი ნიავე ისე დაჰქროლებდა ხოლმე მისი ჯინჯლიანი ქუდის ბანჯგვლებს, მის ჭალარა უღვაშებს, თითქო უნდა ფიქრები წარუღლოსო, მაგრამ რა წაიღებდა იმ უზარმაზარ ფიქრს, რომელსაც თვით შაქრო ბეგი წარმოადგენდა.

—ნიორივით ჩავფალით მიწაში ადამიანი, — ამბობდა იგი, — ჩავფალით და ერთი ცრემლიც არავის გადმოუგდია. აი, აბრიკო ამისი მამის ქონებით გამდიდრდა; გამდიდრებასაც რომ თავი დაეანებოთ, ამისი მამისაგან ისწავლა მეცხვარეობა, ჭკუა; ამასაც რომ თავი დაეანებოთ, ისეთი ერთგული, თავდადებული, გამტანი და გამბედავი იყო იგი ყველასი და ისე დამშვიდებით, ისე არხეინად კი დაბრუნდნენ ბიჭები, თითქოს ხვალაცა ნახავენო, მართლაცა და, კაცმა. რო თქვას, ვნახავ კვლავ როდისმე? ვნახავთ! — დაიიმედა შაქრო ბეგმა, — ვნახავთ საიქიოში და იმ თავგანწირვას, იმ ერთგულებას, იმ ადამიანობას. იმ ძმობასა და სიყვარულს იქ დავუფასებთ გაათქეცებული სიყვარულით.

## VIII

წინტალამ ვერ გაამართლა აბრიკოს იმედები: ვერც ერთი საქმე ვერ მიანდო ისე, რომ არ გაეფუჭებინა და ათი წელი ისე

გავიდა, წინტალა მეცხვარედ ვერ იქცა. ვერც მამის ოჯახში შეიტანა რამე, ვერც რა თვითონ შეიძინა და აბრიკოც ძალიან მოიმდღურა უფრო იმიტომ, რომ წლიური თავისი კუთვნილი ჩუმად გაჰქონდა ბაზარში, ჰყიდდა და ფულს რაღაცას უშვრებოდა, რაღაცაში ხარჯავდა.

— მეტს ველარ გაგიძლებ, — უთხრა აბრიკომ და საბას ხათრით, თუმც ალარ ერგებოდა, გადუთვალა ათი ცხვარი და გაისტუმრა, — როგორც გინდოდეს, ისე მოიხმარეო.

საბას ეს ამბავი ძალიან ეწყინა.

— რა ვქნა, შენი ჭირი მე, — უთხრა აბრიკომ, — ზო ხედავ, ათი წელიწადია, ვერც რა შენ გასარგებლა, ვერც თვითონ შეიძინა რამე და მეც შამალონა თავისი ბედოვლათობით. ზარალის მეტი ვერა ვნახე რა მაგ კაცში, მოვტყუვდი. მეგონა ათ ცხვარში ასი ცხვრისას გავაკეთებინებ-მეთქი წელიწადში.

— ომში მაინც წაეყვანათ ეგ მახინჯი, ეგა, — თქვა დამძარბულმა საბამ და გაბრუნდა უკან.

საბამ ძაან გააბიზბრუა წინტალა შინ მისვლისას, მაგრამ ის ისე უგდებდა მამის ლაპარაკს ყურს, თითქო ჩალის ფასადაც არ უღირსო.

— ათი წელიწადი მაგიტომ იყავ მოჯამაგირედ, რომ ათი ცხვარი ძლივს მოიყვანე სახლში?

— ეგეც უნდა გავყიდო, — უთხრა მამას თითქოს ჯათით.

— რას ამბობ, შე კალთაბლერტიავ, შენა! — დაუყვირა საბამ, მაგრამ წინტალამ ყური არ ათხოვა და მოშორდა.

მოჯამაგირეობას დათაკილებული წინტალა უფრო შორს წავიდა.

ბიჭებში ეთქვა, აბრიკოს ქალი ციკო მინდა ცოლად შევიერთოო, როცა აბრიკოსთან ვიყავ მოჯამაგირედ, ხშირ-ხშირად მივდიოდი იმათსა და იგეთნაირობა იყო ჩვენს შორის, რომ პირდაპირ დაიმედებული ვართ.

ამის გამო ცხვარი მართლა სულ გაყიდა.

კარგა ჩაიცვა, კარგა დაიხურა და რამდენიმეჯერ იქეიფა კიდევ.

დიდი ყვირილითა და თოფის სროლით ჩაიარა ციკოაანთ

კარწინ. მაგრამ ციკო იმდენად გამოუცდელი და გულუბრყვი-  
ლო იყო, რომ არ იცოდა, თუ რისთვის ხდებოდა ეს ამბავი.

წინტალა რალაცნაირად „დარწმუნდა“, რომ ამით დიდი  
ყურადღება მიიქცია ციკოსი, ისიც „დაიჭერა“, რომ დიდი  
პატივისცემა დაიმსახურა და მაქანკალიც გაუგზავნა.

მაქანკლად შიბაქა გაგზავნა.

მაგრამ შემადრწუნებელი პასუხი მოუტანა შიბაქამ.

წინტალა განაწყენდა. მაგრამ იმის მეტი კვლავ ვერაფერი  
გააკეთა, რომ კიდევ იქეიფა, ჩაიარა ციკოაანთკენ და თოფი  
გაისროლა.

— შენ გამოგზავნე, ბიჭო, მაქანკალი? — ჰკითხა აბრიკომ  
წინტალას.

— ჰო!

— მერე რა პასუხი მოგიტანა?

ღვინით გაქციბული წინტალა გალურჯდა, გაყვითლდა და  
ხმაამოუღებლივ გაშორდა აბრიკოსს.

1917 წელი დაიწყო.

წინტალა ყოველდღე ადიოდ-ჩამოდიოდა ციკოაანთ სახ-  
ლის წინ, მაგრამ ეს ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, როგორც  
მაგალითად, კაცს რომ ზურგზე ბუზი აჯდეს და არ კი იცოდეს.  
ციკოსაც ეს ამბავი არც ავად ესმოდა, არც კარგად.

წინტალას კი ეს გარემოება საზარელი დაუნდობლობით  
ღრღნიდა და ჭამდა, ისედაც შეჭმულსა და ჯიშისაგან დაპატა-  
რავებულს.

ბევრი იღონა, ბევრი იფიქრა და ბოლოს მიაგნო საშველს.

აბრიკოს შეუთვალა, შენი ქალი მომეცი, თორემ, ხომ იცი,  
რა საიდუმლო ვიცი შენი და რა შემიძლიან: საკმარისია ერთი  
სიტყვა დაგაყრანტალო, რომ ციმბირი აქეთკენ დაგრჩესო.

შეიძლება წინტალა ამას არც იზამდა, შეიძლება ეს მხო-  
ლოდ შესაშინებლადაც თქვა, მაგრამ ისიც ხომ შეიძლებოდა —  
ეთქვა?! ამიტომ აბრიკოს სიბრაზეს ნემსებმა დაუწყეს  
ჩხვლეტა მთელ ტანში. თვალები სისხლით აევსო, ენა დაება  
და საჩქაროდ ვერაფერი თქვა, მხოლოდ ნერწყვი ისე მანგრად  
ჩაყლაპა, თითქოს გულზე დამდგარი ლუკმა იყო.

„წინტალა უნდა მოვიშორო როგორმე, თორემ დამღუ-

პავს... — თქვა აბრიკომ გულში და კიდევ დაუმატა, — სად წამომეწია გურკო? რა გამოდგა ის ტაბლადლი! ცოცხალმა დამტანჯა და მკვდარიც არ მასვენებს. არა, წინტალა უეჭველად უნდა მოვიშორო, ისიც „ურიადნიკის“ კვალზე უნდა გაიგზავნოს... სანამ ის ცოცხალია, მშვიდობიანად ძილი არ მიწერია“...

მიუხედავად ასეთი გადაწყვეტილებისა, მაინც მშვიდობიანი სიტყვა გაუგზავნა წინტალას:

— მოდი, შვილო, ჩემთან, მოვილაპარაკოთ... ქალს შეგახვედრებ, ერთმანეთი ნახეთ, თუ თანხმობა იქნება, მე ნებაყოფლობას ვერ დავუდგები წინაო...

თან კი გეგმებს აწყობდა, თუ სად და როგორ ჩაეფლო იგი მიწაში.

ამავე ხანებში სოფლად ვიღაც ახალგაზრდა უეცრად წამოიზარდა. ის რამდენიმეჯერ წაიყვანეს ომში, მაგრამ ყოველთვის გამოიპარა: მე არავისთან საომარი არა მაქვს, რადგანაც ჩემი მტერი არც ოსმალეთის საზღვრებთან არის და არც ვარშავის იქით, არამედ ის აქვე იმყოფება ჩემს მეზობლად, ჩემს გვერდითაო. რა მოსაზრებით და რა საბუთით ამბობდა ამას, არავინ იცოდა, ვერც გაეგოთ.

შან ახალი ეპოქის მოახლოვებაზე ლაპარაკით გლეხების ყურადღება მიიპყრო. ამასთანავე თავისი უცნაურობით აკვირვებდა ხალხს. ყურს მაინც დიდის ინტერესით უგდებდნენ.

— აბრიკოს ქალს დიდი ვინმე პრაფესორი თუ წაიყვანს, თორემ ჩვენისთანა გლეხი სად შაწვდება, — თქვა ლაპარაკის დროს გლეხმა.

ჩითახომ ჩაიცინა.

— რას იცინი?

— რად აგრე და არა იგრე, რომ დაბღვლერძილმა მეცხვარემ წაიყვანოს! იმისი მამაც ხომ მეცხვარეა?

რალა პასუხის გაცემა შეიძლებოდა ამაზე?

სიჩუმის შემდეგ ლაპარაკი სხვაზე გადაიტანეს და ერთმა თქვა:

— გერმანიამ გაანადგურა ქვეყნიერება, იმისი მამრევი აღარავინ იქნება?

ჩითახომ ამაზეც ეშმაკურად ჩაიცინა, ასე გონია ყველაფერი იცისო.

— რას იცინი, ტყუილია?

— ვინც ბოლოს გაიმარჯვებს, ის გაიმარჯვებს.

— ჰე-ჰეა! რა ბრძნულად ლაპარაკობ! — დასცინა ერთმა.

მაგრამ ჩითახო არაფრად აგდებდა დაცინვას.

მარტის პირველი დღეები იყო.

აბრიკო ხალხის მოსატყუებლად წინტალას დასიძებაზე ხმამაღლა ლაპარაკობდა, გულში კი სულ სხვა განზრახვა ჰქონდა.

— საბავ, გამომიგზავნე შენი შვილი, შვილსა მთხოვს და უნდა მოველაპარაკო, — უთხრა აბრიკომ.

— ა — პა — პა — პა — პა! მე ნუ გამრევ მაგ საქმეში, — გაასავსავა ხელი მოხუცმა საბამ, — მერე შენი ქალი ჩემ ბედოვლათ წინტალას უნდა მისცე? ხომ დაგლუპავს! ჩემი შვილია, მაგრამ ტყუილს ვერ ვიტყვი, კარგია-მეთქი, არ ჩადგე ჩემს ცოდროში და მართლა არ მისცე ქალი.

— არა უშავს რა, საბავ, ახალგაზრდობაში ყველანი ბედოვლათები ვიყავით. ჩვენი თავიც ნუ დაგვავიწყლებს, დაცოლ-შვილდება, დადულდება და მოჰკვიანდება.

— თუ მაგრე ფიქრობ, მე ნულარაფერს მკითხავ, შენი შვილი ხომ შენია, ჩემიც შენი იყოს. ოღონდ მე ნურაფერში გამრევ, — თქვა საბამ და წავიდა.

მესამე დღისთვის ჰყავდა აბრიკოს დაბარებული წინტალა.

აბრიკო თავისი გეგმებით ელოდებოდა ამ დღეს, წინტალა თავისით. მაგრამ ერთისთვის კირი მეორესთვის ლხინიაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი. ორი სულ სხვადასხვანაირი საქმე ემზადებოდა ურთიერთთან შესახვედრად.

სწორედ ამ დღით, რომლის დამეც უძილობაში გაათენა წინტალამ სანეტარო და სამოლოდინო ფიქრებით, ჩითახოს ქალაქიდან გაზეთი მოუვიდა და მთელ სოფელს ტარბივით მოედო რუსეთის მეფის ჩამოგდების ამბავი.

ყველა გაიძახდა, დაეცა რუსთ მეფე და ჟანდარმებს, პოლიციას, „სტრაჟნიკებს“ ძალა აღარა აქვთო.

სალამოთი წინტალა მაინც მივიდა აბრიკოსთან და გზიდან დაუძახა.

აბრიკო გავიდა გარეთ.

— ვინა ხარ?

— წინტალა ვარ, წინტალა!

— მერე რა გინდა?

— შენ რო დამიბარე...

— ჰო, მოდი, მოდი, — უთხრა აბრიკომ და წინტალა შევიდა ეზოში.

— მალლა ამოდი, მალლა, — ჩასძახა აივნიდან აბრიკომ. წინტალა აივანზე ავიდა.

— შენ გინდა ჩემი ქალი? — ჰკითხა ტკბილად აბრიკომ.

— ჰო...

— ჰოთ! აჰა, მაშ მიიდე! — უთხრა კბილების გაღრმობით და ისე მაგრა გაჰკრა სილა, რომ წინტალა აივნიდან ძირს გადავარდა.

თავზარდაცემულმა ძირს დაცემის დროს შიშისაგან ტკივილები ვერ იგრძნო, ფიცხლავ წამოხტა და სადღაც გაქრა.

ამის შემდეგ აბრიკოს იგი აღარც ავად უნახავს, აღარც კარგად და აღარც მოჰგონებია.

## IX

რუსეთის მეფე ჩამოაგდეს ტახტიდან.

„სტრაჟნიკის“ ხსენება გაქრა და აქამდე ჩადენილი ცოდვები აბრიკოსი ჩაბარდა მარადიულ დავიწყებას.

აბრიკომ თავისუფლად ამოისუნთქა.

გავიდა დიდი ხანი და ერთხელ აბრიკომ უცნაური სიზმარი ნახა. ვითომ იგი ახალი მთავრობის კაცმა სადღაც ჩაამწყვდია და ამ დროს მისი ცხვარი და ცხენის ჯოგი გარეკეს ყაჩაღებმა. გიჟივით წამოხტა აბრიკო და ნახა, რომ ერთი შესანიშნავი ჭიშიანი ულაყი აკლდა მის ჯოგს.

აბრიკომ მაშინვე გუმანი მიიტანა თავის ყონალ ქაზუმაზე, რომელმაც ყველა ქურდის გზა-კვალი იცოდა და თვითონაც ამ ხელობის ქურუმი ბრძანდებოდა.

ქარაშოტივით მივარდა აბრიკო ქაზუმას ბინაზე.

ქაზუმა იქ არ დახვდა, მაგრამ რაც დახვდა, იმან მეტისმეტად გააკვირვა: წინტალა იჯდა მის ქონში და მისსავე ცოლს გულ-ხანუმას ელაპარაკებოდა.

მეხივით მივარდნილი აბრიკო უეცრად შეჩერდა და შეშინებულ წინტალას ბურთივით ატაკა სიტყვა:

— რა გინდა აქ, შე ღმერთძაღლო!

— თხა უნდა ვიყიდო ქაზუმასაგან.

— სად არის ქაზუმა?

— თხის მოსაყვანად წავიდა და ეხლავე მოვა... აგე მოდის კიდევ, — თქვა კანკალით წინტალამ. ქაზუმა მართლა მოდიოდა.

— სალამ ალეიქუმ!

— ალეიქუმ სალამ! — მიეგებნენ ერთმანეთს.

— დაბზანდი, შენი ჯირიმე; კონალ აბრიკო, დაბზანდი.

— აპა — პა — პა — პა! დაბრძანებისთვის არ მცალიან, — უთხრა აბრიკომ და ზედვე დააყოლა: — ქაზუმ, რისთვის არის აქ მოსული წინტალა?

— ერთი თხა უნდა მოქსა, შენი ჯირიმე.

— მართალს ამბობ?

— შენდა დღუილს გითხრამს ქაზუმა?

— თხა რო ნდომებოდა, იქ ვერ იშოვიდა სოფელში? ამ სიშორეზე რათ წამოვიდოდა თხის გულისათვის?!

— რა ვისი, შენი ჯირიმე, ეს კასი მოვიდა, გითხრა, ერთი თხა მომესი — მოქსა... სხვა არაფერი ვისი.

აბრიკომ ნაბიჯი წინ წადგა და მათრახი აღმართა დასაბრტყმელად.

— თქვი სწორედ... თორემ...

— რათა ეგრე, შენი ჯირიმე! მე შენი ეგეთი კარდაში იყავი, რო ქსემა? ქაზუმამ შენი პური ჯამა, შენ ქაზუმას პური და მარილი ჯამა და მერე იგეთი რა ეშმაკი გამოვიდა შენ ჯგუაში, რომ დაივისხსა ჩუენი ზმობა?!

— რომელი ძმობა? ისა, რო ცხენი მომპარეთ და გინდაბ მიათუჩეჩოთ?

— სხენი?!.. ოო, ეგრე უთხარ, შენ კაი კასო!.. მათრახი რათ გინდა... შენი სხენი...

— რა, იცი რამე?

— არ ვისი, შენი ჯირიმე... ერთი ის ვისი, ვილასა თათარი ერთი სხენი ამ დილით აქეთ ზაილე პანკისისაკენ. ოლონდ ის არ ვისი, მაგისი ილო, სუხვისა ილო, შენი ილო — ბნელაში კარგა ვერ დაინახე, შენი ჯირიმე... მაგრამ მე ერთი კაი ზმური სიდეცა უთხრამ შენთან. ეხლავე ზადი ჩქარა პანკისშიდა, თორო, თუ შენი სხენი პანსკისდან იქით ზავიდა, მერე, იამან! შენი თვალი ველარ ნახოს!

აბრიკომ თათრის გულწრფელი რჩევა გულწრფელად მიიღო.

შემოჰკრა ცხენს ქუსლი და დაიკარგა ჭალეებში.

პანკისთან წამოეწია იგი ქურდს, ცხენდაცხენ ესროლა თოფი, მაგრამ ააცდინა. ქურდმა ცხენი შარაზე გაუშვა და თვითონ ტყეს ეცა...

გულხანუმამ თავის ქმარს ქაზუმას სულ კაკალი დაამტვრია თავზე: ვაეკაცი ხარ, უღვაში გაქვს, მაგ სიგრძე ხანჯალი გყიღია და აბრიკოს ყველაფერი მოუთმინეო.

ქაზუმა კი ჰკვიანად იჯდა. გუდიდან ჩამოსხმულ მაწონს ჰამდა და მხოლოდ ათასში ერთხელ იტყოდა:

— გაჩუმდი, შე სულელო დედაკაცო, შენ რომ ჰკვა გქონდეს, გრძელი თმა არ გექნებოდა, ჩემი კარდაში აბრიკოსთან დავას შენ ვინა გყითხავსო.

აბრიკომ თავისი ულაცი წამოიყვანა და ისევ ქაზუმას ბინაზე ჩამოიარა. წინტალა იქ აღარ დახვდა.

— მაპატიე, ქაზუმ, ტყუილად დაგაბრალე, მაგრამ მაინც მადლობელი ვარ, რადგანაც ისევ შენ მაპოვნინე ცხენი, — უთხრა აბრიკომ.

— რა უღოთ, შენი ჯირიმე, კასი-კასია და შაიზლება იაღლიშ მოვიდეს... აბა, ეხლა შენ ერთი კაი ბური ჯამა, — უთხრა ქაზუმამ და დაუძახა გულხანუმს.

გულხანუმამ ბუზღუნით გაშალა სუფრა, მოიტანა გუდის მაწონი, ყველი და საჯზე გამომცხვარი ლავაში.

პური ჭამეს, ილაპარაკეს, შემდეგ დადლილმა აბრიკომ



ცხენები ქაზუმას ჩააბარა პატივისცემის ნიშნად და თვითონ დაიძინა.

სამხრობამდე ეძინა.

გულხანუმა მძინარე აბრიკოს მალ-მალ გაუვლიდა ხოლმე და სულ მუშტებს უღერებდა.

გამოეღვიძა თუ არა, ქაზუმამ მაშინვე პირნათლად ჩააბარა ანაბარი და გულზე ხელის დადებით თავი დაბლა დაუკრა.

— სალამათ კალ! — უთხრა აბრიკომ ცხენზე შეჯდომისას.

— ოღრუ ოლსუმ! — უპასუხა ქაზუმამ და გაშორდნენ.

ჯიშიანი ულაყის პოენის გამო მზესავით იყო გაბრწყინებული აბრიკო, მაგრამ ამეებად ღირს ჯიში?

ალბათ.

თუ ჯიში არაფრად ღირს, რათ მოჰპარეს თბილისში ყოჩი? ჯიში!

ბუჩქი ხომ ყველა ბუჩქია, მაგრამ არც ერთი ჯიშის ბუჩქს არ უვლიან ისე, არც ერთი ჯიშის ბუჩქს არ ელოლიაგებინან იმდენს, რამდენსაც ჩინეთის ბუჩქს, ჩაის რომ ეძახიან. მერე იცით, რამდენი დავიდაარაბა მოუნდა ამ ბუჩქის ჩვენში გადმო-რგეას?!

ჯიში!

ჭიაც ხომ ყველგან ჭიაა! რამდენი ჭია დაცოცავს დედამიწაზე! რამდენი ჭია ჭამს ხის ფოთოლს! რამდენი შრომა და წვალება იხარჯება ამ ჭიების მოსასპობად? მაგრამ არის ისეთი ჯიშის ჭია, რომელიც საუკეთესო ტანსაცმელითა მოსავს კაცობრიობას და რომლის თესლიც მაღალი ჭკუის მოხერხებით გამოაძვრინეს ჩინეთის დიდი კედლის იქიდან.

ჯიში!

ჯიში რომ არაფერს ნიშნავდეს, გლეხი რქაწითელისა და საფერავის მაგიერ ძახველას დასჯერდებოდა ტყეში და საქართველოს ღვინოც განთქმული აღარ იქნებოდა.

ჯიში!

ყველაზე დიდი ლანძღვა საქონელშიც და ადამიანებშიც ჯიშის ლანძღვაა.

ჯიში!

ჯიშისა უარმყოფელსა ჳირი მიუვა კარზედაო, — ამბობს ხალხი.

ამ დროს რუსეთში იშვა და გაიზარდა ოქტომბრის რევოლუცია.

ეს რევოლუცია პეტროგრადში შეიბუღებლა ხალხთა, მუშათა, გლეხთა და პატარა ერთა თავისუფლების ლოზუნგებით. მან ცეცხლი და მახვილი წაიმძღვარა წინ, გაიშალა და გაფართოვდა. ამ ცეცხლის ტალღა მოსკოვიდან კავკასიონის ქედამდე მოცურდა და დაგუბდა.

საქართველოში კი მკაცრი ზამთარი იდგა.

თოვლისა და ყინვის მუზარადით ჩამდგარი მთების ჯაჭვი პირქუშად დაჰყურებდა ჩრდილოეთიდან ალაზნის ველს და აბრიკოს სამი-ოთხი ცხვარი გაჰქონდა დღეში ფარეხიდან უსულოდ. დახოცილებს ატყავებდა და ხორცს ყვავებს უყრიდა.

თებერვალი იდგა. იდგა და არ იძვრებოდა. მხოლოდ შიგადაშიგ ამოვარდებოდა ხოლმე ქარი და, თუ სადმე იქნებოდა მშრალი ადგილი, ნამქერს მიაყრიდა. ცხვრის გარეთ გამორეკვა არ შეიძლებოდა. მეცხვარეებს ცხადლივ თუ სიზმრად სულ ავშანი და შოროქანი აგონდებოდათ და სულ კი თოვლით იყო ისევ გადალესილი ქვეყანა. ელოდნენ დარებს. დარი არსად ჩანდა და იყო გლოვა მეცხვარეების ბინაზე.

მხოლოდ ჩითახო დადიოდა სოფელში მხიარული.

მისი სახე მოწმენდილი იყო და ყველას იმედიანად ელაპარაკებოდა ახალი ცხოვრების დაწყებაზე, ხალხთა ახალ ბედნიერებაზე.

ამ დროს მოადგა საქართველოს წითელი ტალღა.

ლაგოდებიდან მოვიდა ხმა, ბოლშევიკები მოდიანო.

აკანკალდნენ მეცხვარეები.

შეშფოთდნენ სოფლებიც.

შეირყა ყველაფერი.

— მოდიან, უშველეთ თავს! — გაისმა აქეთ-იქიდან.

წითელი ჯარი უკვე შემოდიოდა წნორისწყალში.

დამფრთხალი ხალხი ცხერის ფარასავეით გარბოდა.

— სად მიხვალ, წინტალ? — ჰკითხა ჩითახომ წინტალას, ყინტორა ბიჭს, და სხვებს, რომელნიც გარბოდნენ.

— ბოლშევიკები მოდიან და თავს უნდა ვუშველოთ, — იხუვლეს ერთხმად.

— მოიცათ, ერთ სიტყვას გეტყვით მხოლოდ, — თქვა ჩითახომ და შეაჩერა ლტოლვილები.

— რად მირბიხართ?

— აკი გითხარით, ბოლშევიკები მოდიან და ყველაფერს წაგვართმევენ.

— რა მდიდრები თქვენა ხართ! რა გაქეთ, რა უნდა წაგართვან!

— წაგვართმევენ კია და მერე დაუმტკიცე, რომ მდიდრები არა ვართ! — თქვეს მათ.

ჩითახოს ამაზე გულიანად განეცინა და ერთი ამბავი მოაგონდა.

მონადირემ დაინახა დამფრთხალი კურდღლები და ჰკითხა:

— რამ დაგაფრთხინათ, კურდღლებო?

კურდღლებმა უპასუხეს:

— გავიგეთ, ნალბანდი მოსულა მინდვრებში და აქლემებსა სჭედავს, დაჭედვისა შეგვეშინდა და გამოვიქეციითო.

— მერე თქვენ რომელი აქლემები იყავით, რომ დაჭედვისა შეგეშინდათ?

— ეე, ჩემო ძმაო, — უპასუხეს კურდღლებმა, — დაგვჭედავს კია და მერე წადი და უმტკიცე, რომ აქლემები არა ვართო!

— წამოდით უკან, — უთხრა ბოლოს ჩითახომ, — ბოლშევიკები სწორედ იმისთვის მოდიან, რომ მდიდრებს წაართვან და ღარიბებს მისცენ.

ეს აზრი წინტალასაც მოეწონა, ყინტორა ბიჭსაც და ბევრ იმისთანა სხვებსაც.

— ჰო, მართალია, — წამოიძახა ყველაზე წინ წინტალამ. ყველანი საჩქაროდ მიბრუნდნენ და ძმურად შეეგებნენ წითელ ჯარს.

გასაბჭოების პირველ დღიდანვე გასაკვირველი აქტივობა და უნარი გამოიჩინა წინტალამ. ჩითახო თბილისს წავიდა, ხოლო მან იმდენი იძრომიალა, რომ რევეკომის თავმჯდომარედ აცოცდა სოფელში.

— რევეკომის თავმჯდომარე გიბარებთ! — მოახსენეს აბრიკოს ერთ მშვენიერ დღეს.

აბრიკო წავიდა და ნახა, რომ ეს რევეკომის თავმჯდომარე არის წინტალა.

— ჰმ... ჰმ! — პირმოკუმულად ამოიოხრა აბრიკომ, — რა გნებავს? — ჰკითხა მან ბოლოს.

— ეხლა არა მცალიან, ხვალ გამოიარე, — უთხრა წინტალამ და აბრიკო დაღონებული დაბრუნდა უკან.

მენშევიკების უნებისყოფო მთავრობის შემდეგ საქართველოში მოვიდა ნებისყოფითა და სიმტკიცით სავსე საბჭოთა ხელისუფლება.

საბჭოთა ხელისუფლება დამყარებული იყო ისეთ ხალხზე, რომელსაც მშვიერი კუჭისა და თავისი მარჯვენის მეტი არა გააჩნდა რა დედამიწის ზურგზე.

ესენი იყვნენ მუშები, გლეხები, მოჯამაგირეები.

ამ უქონელი ხალხის საქმე კეთდებოდა უქონელივე ხალხის მიერ, მაგრამ საჭირო იყო უქონელი ხალხის საქმეში მქონებელი ხალხის ჩაბმაც.

ამიტომ წინტალამ თითი აბრიკოს დაადო.

ცხენი დასჭირდა — აბრიკოსთან გაგზავნა მილიციელი სათხოვნელად.

პური დასჭირდა — აბრიკოსთან გაგზავნა კაცი სასყიდლად.

საკლავი დასჭირდა — ისევ აბრიკო და პირდაპირ შარავზა გახადა იგი.

როგორც იყო მაისამდე გაუძლო აბრიკომ წინტალას და, რაკი მაისში ცხვარი ისევ მთაში გარეკეს, ცოტა დაისვენა იქ.

წინტალამაც მოისვენა: საცინკლო აღარავისთან ჰქონდა, მთელი თავისი ენერგია სოფლის საქმეებზე დააგროვა და განსაცვიფრებელი უნარი გამოიჩინა.

თვითონ წერა-კითხვის უცოდინარი იყო, კომუნისტური პარტიის დავალებით კი უნდა ცხოვრებაში გაეტარებინა ლოზუნგი: „წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია“. ამან ფრთები შეასხა მას. საჩქაროდ მობილიზაცია უყო მასწავლებლებს, ყველანაირ წიგნის მკოდნეთ და სხვებთან ერთად თავის თავსაც უყო „წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაცია“.

— ე გამჩენძალლი, — თქვა შიბაქამ, — ვინ იტყოდა, თუ ამდენ ბაშარას გამოიჩენდა! ლამის პაპაჩემიც ააყენოს საფლავიდან და იმასაც ასწავლოს-ყე.

ამ ხანებში ყინტორა ბიჭიც მასთან იყო. დიდი მისვლამოსვლა ჰქონდათ ერთმანეთში.

რაკი თავისი თავი გაანათლა წინტალამ, საჯაროდ სიტყვების წარმოთქმაც დაიწყო.

— ამხანაგებო! სწორედ ღარიბებისა და დაჩაგრულების ხელისუფლება დამყარდა საქართველოში. ამ ხელისუფლების ირგვლივ უნდა შექუჩდნენ ყველანი, მუშა, გლეხი, მოჯამაგირე. ყველა დაჩაგრულებმა უნდა ერთმანეთს ხელი მივცეთ და დასავლეთ ევროპის მუშებთან ერთად დავამხოთ კაპიტალისტები, რომელნიც ჩვენ სისხლსა სწოვენ, როგორც წურბელა...

— ჰე-ჰეი! გამშვებძალლმა სად ისწავლა ამდენი! — იძახდნენ გლეხები.

ქოხ-სამკითხველოც გახსნა სოფელში, გამოიწერა გაზეთები, ინტელიგენციაში მოკრიფა შეწირულების სახით წიგნები, ჩააბა მასები მუშაობაში და ამოძრავა ახალგაზრდობაც.

ყოველ კვირას წარმოდგენა მიდიოდა ეკლესიაში და თვითონ სულ პირველ რიგში იჯდა ხოლმე, სწორედ ამ წარმოდგენებიდან დაიწყო მისი ცოდვებიც. გვერდში ერთი საწყალი გლეხის ლამაზი ქალი უჯდა და რალაცნაირად, თავისდა უნებურად მოჰხვია ხელი. ხალხმა ცუდად შეხედა და ყინტორაც ჩამოშორდა.

— რას მებუტები, უინტორ?

— რათა ჰქენ ეგ საქმე?

— მითომ რა დიდი ამბავი მომხდარა!

— მაგ პატარა ამბისათვის რომ ინანო!

აქ წინტალა დაფიქრდა და ხმა აღარ ამოიღო.

ამ ამბავმა ჩაიარა და ისევ საქმეში გაერთო წინტალა.

გახსნა კოოპერატივი.

რაიონის კომიტეტმა მოუწონა საქმეები და ცუდი არავინა თქვა მასზე.

წინტალამ შიბაქასთან ბიჭი გაგზავნა, თხა გამომიგზავნე და ჯამაგირის დროს რამდენსაც მოგვთხოვ, მოგართმევთო.

შიბაქამ სიხარულით მისცა თხა.

ამის შემდეგ წინტალამ ჯამაგირი ორჯერაც მიიღო, მაგრამ შიბაქა აღარ მოაგონდა.

— რატო ფულს არ მაძლევ, შე გამჩენდალო-ყე. — უთხრა შიბაქამ.

— განა იმიტომ ჩავწერე საწყლებში, რო რაღაც კლექი თხის ფულს გადამახდევინო? მერე ჩემთვის ხომ არ გამოგართვი ი თხა! ხო ნახე, პარტიის კომიტეტი მყავდა.

შიბაქამ ხმა აღარ ამოიღო, გულში შეიგინა და წავიდა.

ამასობაში მთიდან ცხვარი ჩამოვიდა.

ამ დროს გზის გაფართოვება გამოაცხადა წინტალამ.

ხალხს დაუქაზა, ორღობეები გააწევიანა და გზაზე ქვა დააყრევინა.

პირველად აბრიკოს მიუგზავნა კაცი: გამოდი, შენი ურმით გზაზე იმუშავეო.

ორ დღეს ამუშავა აბრიკო, რომელიც ბრაზისაგან კვდებოდა, რომ წინტალას ემორჩილებოდა.

— ერთ კვირას უნდა იმუშაო, — უთხრა წინტალამ.

— რას ამბობ, შე ღმერთდალო, ხო სულ დამელუპა ცხვარი! — იუარა აბრიკომ.

— შენი ცხვრის დარდი არა მაქვს, ეს გზა უნდა გაკეთდეს ერთ კვირაში.

— წავალ და ორ ცხვარს გამოგიგზავნი, სხვა ვინმე ამუშავე ჩემს მაგიერ.

— ორი ცხვარი ცოტაა, ხუთი რო იყოს... რა არი ხუთი ცხვარი შენთვის საერთო საქმეზე!

— კარგი, კარგი, ხუთს გამოგიგზავნი — უთხრა აბრიკომ და წავიდა.

ამის შემდეგ აბრიკო სოფელში აღარ მისულა, ხოლო ცხვრები სხვას გაატანა წინტალასთან.

ამნაირად დაეჩვია წინტალა ცხვრის ხორცს.

რაწამს დასჭირდებოდა ქეიფი, მაშინვე აბრიკოსთან გაგზავნიდა კაცს, ბეგარაზე უნდა გამოხვიდეო, აბრიკოც დააბარებდა: აჰა ცხვრები წაიყვა და სხვა ამუშავე ჩემს მაგიერადაო.

ხუთი წელიწადი სულ ამ დღეში იყო მეცხვარე.

მაგრამ, როცა აბრიკო სოფლიდან ძალიან შორს იყო, აღარც შინაურებს ინდობდა წინტალა. როგორც შიბაქას, ისე სხვებს ნისიად ართმევდა ქათმებს, ინდაურებს, ყველს და სხვა რამერუმებს. შემდეგ ნისია „ავიწყდებოდა“ და ამის გამო იდგნენ დედაკაცები და იწყევლებოდნენ:

— შხამად ამოუვიდეს ჩემი ქათმები!

— ტაბლაზე მოხმარდეს ჩემი ბატკანი!

ყინტორა ბიჭი კი ტრაბახობდა:

— ცოტაც მაიცათ და მე მაგას ისეთ ნისიას შევაჭმევ, რომ ველარასოდეს ველარ მაინელოს.

— შენ მოჯამაგირეების საქმე გაბარია. ეგლე შენთვის და ჩემს საქმეში ნუ ერევი.

— ჩავერევი კიდევ და თვალსაც მოვთხრი, ვანა იმიტომ მივიდეს პარტიაში, რო თავს წახვიდე, გლეხებს „პრისტავით“ ელაპარაკო და ქრთამიც აიღო?... წინტალ, ფრთხილად!

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრა მაგ ტყუილებით, ყინტორ.

— დიახ ტყუილები! დაიმშვიდე გული! მითომ ისიც ტყუილია, რომ შენა და კუაცამ მარინეს ქმარი მოუკალით...

— გაჩუმდი, შე პროვოკატორო!

— პროვოკატორი ვინც არის, გავიგებთ.

— როგორ იმუქრება კიდეც, ეს ყინტორა ესა! შენ ეს მითხარ, მოჯამაგირეთა საქმე როგორა გაქვს!

— ძალიან კარგა! შენსავით ქრთამებს არ ვიღებ, არავის ვატყუებ, პატრონებს კი არ ვაჩაგვრინებ მოჯამაგირეებს, მტკიცედ ვიცავ მათს ინტერესებს და კრებებსაც თავის დროზე ვიწვევ, შენა?

— მე თავი გამანებე!

— ეხლა თავს გაგანებებ, მაგრამ...

— მაგრამ?

— „მაგრამ“ მე ვიცი.

ყინტორა მუქარით წავიდა.

გზაში აბრიკო შეხვდა.

— გამარჯობა, ყინტორ! — ისეთი გადამეტებული პატივისცემით უთხრა ეს აბრიკომ, რომ დაცივნვას ჰგავდა.

— გაგიმარჯოს, — უთხრა წვერმოტეხილი ენით ყინტორამ და დაუმატა, — ალბათ ის დრო გერჩინა, აბრიკო, მე რო შენი მოჯამაგირე ვიყავ. როცა გინდოდა, გამაგდებდი, რასაც გინდოდა მომცემდი და თუ გუნებაზე იქნებოდი, მცემდი კიდეც.

— არა! ის დრო არა სჯობდა, მაგრამ არც ასე არ ვარგა, რომ წელიწადში ათ მოჯამაგირეს ვიცვლი.

— მერე რათ იცვლი რო?...

— თქვენ იგეთი კანონი გამოიგონეთ, რომ ველარ გამამიცვნია, მე ვარ მოჯამაგირე, თუ ის, ვისაც მოჯამაგირედ ვიჭერ. პირველი ერთი-ორი დღე კარგად იქცევიან, შემდეგ კი, რაკი დაესწრებიან ხოლმე კრებას, ჩემს ჰკვაზე ველარ გამიტარებია, თანაც მემუქრებიან: კავშირს ვეტყვით — ამას ვიზამთ, იმას ვიზამთო, ახლა კიდევ წამდაუწუმ კრებებზე მათი სიარული...

— მაშ როგორ გინდა!

— როგორ უნდა მინდოდეს... თქვენი ნებაა, — თქვა აბრიკომ ცბიერ თანხმობით და გაშორდა.

ეს მერვედ მიდიოდა აბრიკო მთაში მას შემდეგ, რაც წინტალა დიდი კაცი გახდა და სწორედ იმისთვის, რომ მას ასც-



დენოდა. ცხვარი სოფლის მოშორებით აატარა, მაგრამ წინ-  
ტალასა და კუაყას თვალს ვერაფერი დაემალებოდა. ზედ  
სოფლის თავში უყელეს.

— თითო-ორიოლა ჰქედილა უნდა დაგვიტოვო, საერთო  
საქმისათვის გვჭირდება ხოლმე. — უთხრა წინტალამ.

— თქვენი ნება არ არის? ინებეთ.

რაკი „ნებართვა“ აიღო წინტალამ, თვითონ ამოიჩნია  
ცხვრები და ბიქს გაატანა მინდორში.

— დახე მაგ რჩულძაღლს, რა კარგები აარჩია! — თქვეს  
მეცხვარეებმა, როცა წავიდნენ.

— კაცმა რო თქვას, ორ-ორი ცხვარი რა არის, მაგრამ...

— არა, განა ცხვარსა ვჩივი, — გააწყვეტინა აბრიკოს  
ვეფხომ, — ცხვარს ჯანი გავარდეს, მაგრამ საქმე ის არი, ვის  
მიჰყავ, ან რას მოახმარებს. საკვირველია კიდევ იცით რა?  
გაზეთებს რომ ვკითხულობ და ვაკვირდები, მთავრობა მეც-  
ხვარეებისათვის არაფერსა ზოგავს: სულო და გულო, რა  
გინდა, რო არ მოგვცეს; ოღონდ მაითხოვე, მაგრამ ეს წინ-  
ტალა...

— ეგეც არაფერი! — ჩაიქნია ხელი შაქრო ბეგმა და გაუდ-  
გნენ გზას.

მეცხვარეებმა თბილისში გავლის დროს ველარ იცნეს ქუ-  
ჩები.

— შარშან აქ ტრამვაი არ დადიოდა, — თქვა ერთმა.

— იქნებ სხვა გზაზე წამოვედით.

— არა, კაცო, ისევ ის გზაა, ოღონდ აი სახლები დაუნგ-  
რევიათ, ქუჩა გაუგანივრებიან და ტრამვაის გზაც გაუყვა-  
ნიათ.

— მართალია, — დაადასტურა მესამემ, — შარშან, აი  
ამ ალაგას დუქნები იყო და ეხლა ბალი გაუშენებიათ.

— ჰეი პა-პა-პა! რამოდენა შენობა აუგიათ!

და ამგვარი შეძახილებით გასცდნენ თბილისს.

როცა კარგა დაბინავდნენ მთაში, აბრიკო ერთი-ორი  
დღით ჩამოვიდა თბილისის საზოგადოება „მწყემსში“ მანქა-  
ნებისა და ცხვრის საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად.

სრულიად შემთხვევით შეხვდა ჩითახოს.

გაეხარდათ ერთმანეთის ნახვა ერთი სოფლის შვილებს.

— კაცო, ჩითახო, — უთხრა აბრიკომ, — შენც ხომ კომუნისტი ხარ, შე ღმერთბაღლო, და წინტალაც. მაგრამ შენ უფრო გენდობი, ვიდრე იმას. მართალი უნდა გითხრა: კომუნისტების კანონი კარგა არ ვიცი და რაც ვიცი, ის ჭკვაში არ მიჭდება. მაგრამ თანახმა ვარ თქვენ დაგიჯეროთ, ოღონდ კარგობა იყოს, ოღონდ წინტალას ნუ გაათელინებ ჩემ თავს.

— რას ეძახი შენ კარგობას?

— აკი გითხარი, წინტალას ნუ გაათელინებ-მეთქი ჩემ თავს.

— ეგ არის კარგობა? პირიქით: იქნება ის იყოს კარგობა, რომ წინტალამ გაგთელოს?

— რათა, შე ღმერთბაღლო!

— რათა და რევოლუციის ცეცხლი გუზგუზებს...

— შენი ჰირიმე! იგუზგუზოს, ოღონდ მაგ ცეცხლზე იგეთ კაცებს ნუ მიაყუდებთ, რომ პირადი მტრობისა და ღვარძლის მკადები გამოცხვეს.

— პირიქით...

— პირიქით კი არა, პირაქეთებზე გელაპარაკების რასაც შე ვამბობ, ყველაფერი მართალია, გამოცდილების სასწორზე აწონილ-დაწონილი და ზურგით ნატარია... ღმერთს გეფიცები!..

— შენი კიდევ ვერაფერი გამიგია: მა ღმერთს ხან ლანძღავ, ხან იფიცავ!

— მაგას რა ჭკუა აქვს! ენა რბილია, ხან აგრე იტყვის, ხან იგრე. ერთიც და მეორეც თავის გზაზე თვითონ წავა. ოღონდ შენ ის მითხარ, რა ვუყო ამ წინტალას?

-- წინტალა რამდენადაც მახსოვს ჭკვიანი ბიჭია...

— ისემც... რა ვქნა, რა გითხრა! შე ღმერთბაღლო, იმდენ ჭკვას ქალმის ტყლაპშიც გამოვწურავ... ჩითახო, მიშველე რამე, თორემ არ ვიცი რას ვიზამ!

— არ მესმის, რა გინდა?

— რა არ გესმის, შე ღმერთბაღლო, აგე ამ სახლს. რომ ხედავ, — მიუთითა აბრიკომ მაღალ სახლზე, — იმ სახლში

სარკესავით კრიალა იატაკი იქნება, იქ რო ჯაჭვებით დამაბათ და სულ კოპტონი მაქამოთ, ბოლმისაგან გავსკდები, ჯაჭვებს დაეწყებე და მე იქ დამდგომი არა ვარ. თუ ცხვარს არ უყურე, თუ ცხვარს არ ვლიე უკან, არ შემიძლიან. აი რამდენიმე ათასი სული ცხვარი მყავს, სულ თქვენთვის მომიცია, ოღონდ მას ნუ დააშრობთ, ოღონდ მას ნუ მომაშორებთ, ოღონდ მას ნუ გააწყალებინებთ წინტალას.

— მითომ გულწრფელად ლაპარაკობ მაგას? დავიჯერო?

— უნდა დაიჯერო.

— მაშ უარი თქვი შენს ცხვარზე, შეიტანე იგი კოლექტივში და...

— რათაო, შეილოსა, რალა მაინცდამაინც მე უნდა გავხდე პირველი მერცხალი!

ჩითახოს გაეცინა და აბრიკომ განაგრძო:

— აი როცა სუყველაფერს საერთოს გახდით და კერძო აღარაფერი იქნება, მეც მაშინ თქვენი მოჯამაგირე ვიქნები, ოღონდ მანამდე ისე ნუ დაიჭერთ საქმეს, რომ ცხვარში მოჯამაგირედ დაგჭირდეთ და ცხვარი კი აღარ გყავდეთ. გაიგე?

— რა წვერმოტეხილი ნემსით მკერავ! სიტყვებით კარგებსა ლაპარაკობ, მაგრამ...

— მაგრამები არ ვიცი, გაუფრთხილდით სახელმწიფოს ქონებას და იმის ნამდვილ მომვლელებსაც.

— გაწყენინა რამე წინტალამ?

— წყენით კი რა უნდა მაწყენინოს, იმისგან რა მეწყენება, მაგრამ ლამის გამანადგუროს და ჩემი ქონება ხომ ეხლა თქვენია!

— რა საჭიროა მაგრე თქმა: „თქვენი მოჯამაგირე ვიქნები“, „ჩემი ქონება თქვენია“. შენ შენი თავის მოჯამაგირე ხარ და შენს ქონებას არავის დაუთმობ... წაგართო რამე წინტალამ?

— წამართო რომელია?

— მაგისთვის ნუ დაემღუბები, — გააწყვეტინა ჩითახომ, ჩვენ საქვეყნო საქმეს ვაკეთებთ და ამისთვის ზოგჯერ ზოგიერთების მიმართ უკანონობა ხდება. მაგრამ მალე დამყარდება ხალხთა მუდმივი ბედნიერება — სოციალიზმი.

— იფ! რა კარგი ლაპარაკებია! მაგრამ რაღა მაინცაღამა-  
ინც მე გამოვდექ სოციალიზმის გაკეთებისათვის საჭირო?!

— განა სხვებისაგან კი არა ყიდულობს წინტალა ცხვარ-  
სა?..

— ყიდულობს კი არა! მართმევს, ზედ მდგება.

— რათა?

— იმიტომ, რომ წინა დროში ქალი მთხოვა, არ მივეცი  
და ეხლა შურს ძიობს.

— მართლა? თუ ეგ მართალია, პარტიიდან გამოვრიც-  
ხავთ და დავსჯით კიდეც.

— როდის?

— სულ მალე.

— რა ვიცი, ძან კი გასუქდა და!

— სხვებს როგორ ექცევა?

— სხვებისა რა მოგახსენო და მე კი პირდაპირ მგლურად  
მექცევა. ამას ჯანი გავარდეს, ოღონდ საჭიშეს ნუ გაგვიქრობს.  
შეიძლება მთავრობამ სულაც არ იცის წინტალას ამბები...  
მაგრამ მაინც უნდა გითხრათ, რომ თუ თქვენ გინდათ კერძო  
საკუთრების მოსპობა, უნდა მოსპოთ კერძო შურიცა და  
მტრობაც.

— მოვსპობთ, მოვსპობთ! არაფერი გამოგვრჩება კომუ-  
ნისტებს!.. შენ, ჩემო აბრიკო, კაი ვაუჟაცი ხარ, მაგრამ შენ-  
ში ისე ღრმად არის ძირგამდგარი და გამაგრებული ბურჟუა-  
ზიული მესაკუთრეობის მსოფლმხედველობა, რომ ბევრ ჩემ  
ნათქვამს ვერც გაიგებ, ვერც შეიგნებ...

— ვიპ! როდის აქეთ გახდი ეგეთი ფილოსოფოსი, რომ  
შენი ნათქვამიც ვერ გავიგო! შე პირძაღლო, შენ ის ჩითახო  
არა ხარ, ფეტვის მკვადით რომ გქონდა კბილები გადაცვე-  
თილი?

— დიახ, ისა ვარ.

— ისა ხარ და თქვი, თქვი — ყველაფერს გავიგებ.

— ჰოდა აკი გეუბნები. მაგრამ კიდეც გიმეორებ, ჩემ  
ნათქვამს ან ვერ შეიგნებ, ან დასცინებ. იმიტომ კი არა, ღირ-  
სი იყოს შენი დაცივნისა...

— შენა თქვი, კაცო, თქვი! ჩემთვის არ გემეტება?! ჩემ

ხელში გაჩნდი, ჩემ ხელში შაიბუმბლე ჭათარის ბარტყივით, პატივი მიცია შენთვის წარსულში და რა ბეწვის ხილად ჩაგიტყდება ე პატარა სიტყვა, რო გამაგებინო რამე!.. რა გწაღიანთ მაინც?

— მოკლედ რომ გითხრა, ჩვენ ისეთი შრომის სუფევა, ისეთი სიყვარული და სათნოება უნდა დავამყაროთ ხალხთა შორის ქვეყანაზე, რომ შოთას თქმისა არ იყოს, თხა და მგელი ერთადა სძოვდეს.

— რა ვიცი, შე რჯულძაღლო, თქვენ იგეთი საქმე მოახდინეთ, რომ თხა და მგელი კი არა, თხებიც აღარა სძოვენ ერთად! ბებია კაი მოზლაპრე გყავდა და შეიძლება შენც იმისი რამე გამოგყვა, მაგრამ ზღაპარი საქმე როდია!..

— აკი გითხარი, ვერ გაიგებ-მეთქი.

— შენ თვითონ ვერ გაგიგია, შე პირძაღლო, თორემ მე კარგად მესმის. მე ისიც მესმის, რომ შენი ახალგაზრდა სისხლი იგავ-არაკებისა და ყარამანიანის თუ ამირანიანის დევებთან იბრძვის. ამ ცარიელ ჰაერში.

— შენ რომ ჩემზე გამოცდილი ხარ ცხოვრებაში, ვიცი, მაგრამ შენგან მაინც დაცინვა არ შეჰფერის ჩემს საქმიანსა და საბუთიან ლაპარაკს.

— კი არ დაგცინი, მე ჩემს სიმართლეს ვამბობ და თუ შენ დამიმტკიცებ, რომ მე ვცდები, ხოლო შენ სინამდვილის მაგარ ნიადაგზე გიღვა ფეხი, მაშინ დავიჯერებ... რატომაც არ დავიჯერებ!..

— არა, არ დავიჯერებ, შენი დაჯერება ძალიან ძნელია, მით უმეტეს ეხლა, როდესაც საქმე ჯერ კარგად ვერ არის მოწესრიგებულ. ეხლა შენ ბევრი საბუთი გაქვს უსაყვედურო ხელისუფლებასაც, პარტიასაც.

— ეგ მართალია!

— მართალია, მაგრამ როცა ხელისუფლება საერთაშორისო დიდ საქმეებს მოაგვარებს და შემდეგ დაუბრუნდება შინაურ წვრილმანებს.

— თუ ძმა ხარ! — გააწყვეტინა აბრიკომ, — განა ცხვარი, ძროხა და ცხენის ჯოგი წვრილმანებია?! რა უნდა ჰამოთ,

რა უნდა ჩაიცივათ ტანთ, რაზე უნდა შესხათ წითელი ჯარი, თუ ესენი არ გეყოლებათ?!

— მართალია, და აკი მაგიტომ მიეჭეცა ყურადღება...

— რა ვიცი, წინტალამ კი ლამის ძირი გამაგდებინოს და!

— შენი სიტყვა, ჩემი სიტყვის პასუხი არ არის.

— არც შენი სიტყვაა ჩემი სიტყვის პასუხი... მაშ ეგრე უნდა მტანჯოს წინტალამ?

— რა თქმა უნდა, კერძო ინტერესებისათვის ადამიანის წვალება არ ვარგა, გეტყობათ, ერთმანეთთან პირადი მტრობა გაქვთ. მაგრამ როგორც ვითხარ, კომუნისტები ყოველგვარ კერძოსა და პირადს მოვსპობთ. პირადი მტრობა და შური კი იქნება მანამდე, სანამ კერძო საკუთრება არსებობს. ჩვენ ამ კერძო საკუთრებას მოვსპობთ (აქ აბრიკომ თავი მოიფხანა) — დადგება ისეთი დრო, როდესაც წართმევა და მოტაცება შეუძლებელი იქნება, როდესაც კოლექტიური და კომუნისტური ცხოვრება ნაშრომს გააერთიანებს, ვისღა უნდა მოსტაცო ან მოტაცებული სადღა უნდა წაიღო, ან რისთვის მოგინდება მოტაცება, როდესაც ყველაფერი გულუხვად გვექნება?

— შენ გენაცვალე, თუ ეგრე იქნება...

— ხოლო ამჟამად თუ ვერ იქცევა წინტალა წესიერად, პარტია გამოიძიებს და უღირსს რკინის ცოცხით გადააჭვის...

— სანამ პარტია იმას გადააჭვის, ცხვრის ჯიშს გამიჭრობს და მერე ნაგავი ვისთვის რა სანუგეშო იქნება?! ნაგავი მხოლოდ აყროლდება და ახლა სუნით დაგვახრჩობს. ჯიში ხომ იცი, რასა ნიშნავს. ჯიშზეა დამყარებული ყოველი მეცხვარეობის, მეჯოგეობის, მეღორეობის, თუ მექათამეობის ბედ-იღბალი. ამ ბედ-იღბალზე კი დამყარებულია ყოველი სახელმწიფოს კეთილდღეობა, არსებობა.

— ჩითახო! — მოესმა ამ დროს ჩითახოს გვერდიდან. — ორმოცი ტრაქტორი გელოდება სოფლებზე გადასაცემად და ჩქარა მიხედე საქმეს!

— გულს ნუ გაიტეხ, აბრიკო. გულს ნუ გაიტეხს საქმე რო არა მქონდეს, დიდხანს გელაპარაკებოდი, მაგრამ რა ვქნა, წუთით მოცლა არა მაქვს... მშვიდობით იყავი!

როცა მთიდან დაბრუნდნენ მეცხვარეები და წინტალაც სილნალს მილიოდა საქმეებისათვის, იორლა ცხენით მოუნდა გაკივიკივება და მიაყენა კაცი აბრიკოს. აბრიკომ უარი უთხრა, ცხენი შინ არა მყავსო.

გაბრაზებული წინტალა თვითონ წავიდა, მოსინჯა მისი ეზო-კარი და ცხენი იპოვნა.

— აკი შინ არა გყავდა! — უთხრა წინტალამ.

— შერე რა გნებავს, რომ შინა მყავს!

— რა მნებავს და შემიკაზმე ეხლავე, საქმეებზე მივდივარ სილნალს.

— ბატონს ჩემსას გაუმარჯოს! შენ იგეთი ვინ მიგდიხარ, რომ აბრიკომ თავისი საკუთარი ცხენი თვითონ შეგიკაზმოს?! — უნდა შემიკაზმო, დიახ!

— შეგიკაზმო ცხენს კი არა და აი რას შეგიკაზმავ! — თქვა და გაუშალა ხელუკუღმა სილა. წინტალა ძირს დაეცა... აბრიკო დაიჭირეს.

ჭკვიანად გაჰყვა იგი მილიციელებს.

იგი ჯერ თემკომის შენობაში დაამწყვდიეს და შემდეგ სილნალს გაგზავნეს. მისი ცხვარი კი საფონდოდ მიიღო თემკომმა.

დაპატიმრებულ აბრიკოს ათასგვარი ფიქრები ერეოდა თავში:

— რად არის აბრიკო ციხეში? რა აქვს საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო, რომ ამისათვის დასაჯონ? არაფერი. მხოლოდ რაღაც არ მოსწონს აბრიკოს... რაღაც ვერ არის ისე, რომ სულ კარგად იგრძნოს მან თავი.

— იქნებ ხელისუფლებას არ უნდა რომ მე მქონდეს რამე? განაგრძობდა ის გულში. — ნეტაი არაფერი მქონდეს! ნეტაი არ მომენაგრა ცხვარი, ცხენების ჯოგი, სახლი, კარი! რათ მინდოდა, თუკი მაგისტრის დავისჯებოდი! მამაჩემი რო გაცოცხლდეს, ხომ გაგიჟდება, რომ მისი შვილი ზის და დღე-

დალამ ნატრობს, ნეტაი ქონება არ მქონდესო?! ნეტაი არაფერი მქონდეს! მეც ნამცვივნიანთ საბას ბიჭივით ვიქნებოდნი. ხელისუფლება მაშინ ჩემს მხარეზე იქნებოდა! რა ბედნიერი ვიქნებოდი?!

ამ დროს სოფლიდან ამოვიდა ციკო და მამა ნახა.

სხვათა შორის ციკომ შეატყობინა, რომ მისი ცხვარი საფონდოდ გადაეცა თემკომს.

აბრიკო დარდისაგან დაბოროილდა, გაშრა, გაფითრდა და ველარაფერი თქვა.

ციკო კიდევ დიდხანს ელაპარაკა ცივად და შემდეგ გამოემშვიდობა.

— აბა ეს რაღასა ჰგავს?! — თქვა აბრიკომ თავისთვის — ეს კიდევ სულ ვერ გამიგია. ნუთუ სახელმწიფოსთვის სახეიროა, რომ მეც ნამცვივნიანთ წინტალასავით არაფერი მქონდეს?! ყველა რომ აგეთი ვიყოთ, გადასახადი ვიღამ მისცეს სახელმწიფოს? ან რამ უნდა შეინახოს სახელმწიფო? მაშინ ხომ ყველა მას დავაწვებით კისერზე? ვერაფერი ვერ გამიგია რა?.. მაგრამ არა, აქ სახელმწიფო და ხელისუფლება არაფერს შუაა. ეს ყველაფერი სულ წინტალების ბრალია...

ოოჰ, წინტალავ!

დაირტყა გულზე ხელი.

ასე გაატარა აბრიკომ რამდენიმე თვე ციხეში. ფიქრობდა აღმა-დაღმა, გარდიგარდმო და ირიბად, მაგრამ მისი ერთი ფიქრი ეწინააღმდეგებოდა მეორეს და ვერ გაეგო ნამდვილი არსი ახალი ცხოვრებისა. მისი სამოცდაათობმეტი წლის ბუნება, ერთის მხრივ, რომ განცვიფრებული იყო ახალი ეპოქის აღმშენებლობით, მეორეს მხრივ, ვერ ეგუებოდა მას და ქანაობდა, ირხეოდა ბუნდოვანობის ბეწვზე.

ბოლოს თითქო ისევ ძველმა ბუნებამ სძლია, მოუნდა მინდვრები, მთები და ცხვარი. სწორედ ამ დროს, სრულიად მოულოდნელად გაანთავისუფლეს იგი... ისე გაანთავისუფლეს, რომ საქმე არც კი გამოიძიეს.



სახლში რომ მივიდა, ნახა, რომ მისი კარმიდამო გავერანებულა: მშვენიერი ბაღის ღობეების ნასახიც აღარ დაჰხვდა, სასოფლოდ ექციათ იგი და მისი ოჯახი მხოლოდ ოთხ კედელს შორისა იყო მოქცეული. აღარც ცხვარი, აღარც ცხენი... და ტახტის ქვეშ რომ შეიხედა, აღარც ერთი გულა ყველი აღარ დახვდა იქ.

— ოთხ მაგათი!... — შეიგინა მან, — ეხლა რომ ხელთ ჩამივარდნენ, სათითაოდ დავგლეჯდი, დავფლეთდი ჩემი კბილებით, დავლექდი და გამოვავფურთხებდი!..

— ვისა, მამაჩემო? — ჰკითხა ციკომ.

— ვისა და იმათ, პტყელ-პტყელებს რო ლაპარაკობდნენ ბედნიერებაზე!

— არაფერი არც გასაჯავრებელი გაქვს, მამაჩემო, და არც დასამღური, რადგანაც ბოლშევიკები არავის არაფერს უმაღავენ და აშკარად ამბობენ, რომ კულაკობა უნდა მოიშპოს და კერძო საკუთრება განსაზოგავდესო...

— მერე? იმიტომ ჩემი ცხვრითა და ქონებით უნდა ააშენონ სადღაც რაღაც ქარხნები, ფაბრიკები, რკინიგზები, სკოლები და ათი ათასი სხვა ჯანდაბები?! აბა, თუ ბიჭები არიან, თავიანთ ჯიბიდან გააკეთონ ეგ, მე რას მამადგენ!

ციკოს ოღნავ გაეცინა და უსაყვედურა მამას, შენ ისევ შენსას გაიძახი და ვერ გაგიგია, რომ კულაკი ხარ და სწორედ ისე გექცევიან, როგორც იმათ კანონებში სწერიაო.

აბრიკომ კიდევ შეიგინა და ჩაჰკიდა თავი...

ვანთავისუფლებული აბრიკო უუნაგირო და ყელზე საბელ-შეწყვეტილი ცხენივით დადიოდა ირაოდ.

ამხანად ცოტა შეისვენა კიდევ, რადგანაც მოსავლელი და სადარღებელი აღარა ჰყავდა რა. წინტალასაც აღარ შეუწუხებია იგი.

მაგრამ ბოლოს ისევ გაიღვიძა მასში კერძო საკუთრების ვეფხემა. მოუნდა ცხვარი, მისი წინ გაძლოლა, მინდვრებში ხეტიალი, ლაფში გღება, ტყეები, ღრეები და წავიდა შაქრო ბეგთან ბინაზე.

— შაქრო, — უთხრა მან, — მთელი დედამიწის ზურგზე

ერთი ბეწვიც აღარ არის ჩემი. არაფერსა გთხოვ, მხოლოდ მოჯამაგირედ მიმიღე და წლის ბოლოს რამდენიც გინდა, მომეცი ცხვარი.

— ვაი შენ, ჩემო თავო! — შეჰყვირა შაქრო ბეგმა, — შენა და მოჯამაგირედ დაგიყენო ამ სიბერის დროს?! მე შენ სხვა-ნაირად მოგიხერხებ საქმეს.

და შაქრო ბეგმა საჩქაროდ შეყარა ერთად მეცხვარეები, რომელთაც უსაქონლო აბრიკოს გაუმართეს ოჩხარი.

თამადად თვით შაქრო ბეგი დააყენეს. სვამდნენ და ჭამდნენ, თან ტრაბახობდნენ, თუ ვის რამდენი ცხვარი ჰყავს, რამდენი ღორი, რამდენი ძროხა, რამდენი კამეჩი, რამდენი ცხენი... ხოლო თამადა რომ წამოდგებოდა ფეხზე, წესისამებრ ყველანი ისე გაჩუმდებოდნენ, თითქო ალაღმა წამოუქროლა ჩიტებსაო. თამადა იტყოდა სიტყვას, მორჩილად მოისმენდნენ და სადღეგრძელოს სიმღერას მიაყოლებდნენ...

კარგა რომ შეზარბოშდნენ, მეცხვარეებმა არ დაზოგეს თავისი ქონება ძველი ამხანაგისათვის და საღამოთი აბრიკო ხუთასი სული ცხვრის პატრონი გახდა, დაიდო თავზე ჭინჭილიანი ქული, გაიდო კავიანი ჯოხი მხარზე და გასწია ალაზნის ნაპირებისაკენ.

ბუნება ისევ მიეგება თავის პირმშო შვილს ათიათასი მწვანე ტაშის ცემით.

როცა ცოტა მოსულიერდა აბრიკო, წინტალამ ისევ მიაყენა კაცი.

გაიმართა ისევ ძველი კინკლაობა.

აბრიკოც ისევ დადონდა.

— კაცო, — ფიქრობდა იგი, — ქალაქად გინდა თუ სოფლად, ციხეში თუ გარეთ, სრულიად ახალი ცხოვრება იკიდებს ფეხს. აი მალე შირაქის არხიც დასრულდება. ლამის ელექტრონის სანთელი ჩემს ფარეხშიც დავანთო, მაგრამ ეს ცალმხრივ რო ეგეთი შენებაა, მეორე მხრივ რაღაა ეს შეძლებული ხალხის შევიწროება!... ვერაფერი გამიგია!

გაიჭნია თავი და დაირტყა გულზე ხელი:

— ოხ, წინტალავ, შე ჭიშხალლო!..

აღმოსავლეთით ნამგზავრი  
მზე დასავლეთში ჩავიდა,  
ბუნებამ გლოვა მიიღო  
და შეიმოსა შავითა.  
მხეცთა დატოვეს ბუნაგი,  
შესაფარები თავისა,  
ალარსად ჩიტი ჭიკჭიკებს,  
ალარც ყორანი ჩხავისა,  
მწყემსნიც მივიდნენ სოფლადა,  
არსად ხმა ისმის მგზავრისა...

და ამ დროს კიდევ ერთად შეიკრიბნენ მეცხვარეები, შემო-  
უსხდნენ ალაზნის პირად გაჩაღებულ ცეცხლსა და იგონებდნენ  
წარსულს: რამდენი მტერი გაუნადგურებია აბრიკოს, რამდენი  
ყაჩაღისთვის გაუსლაპებია ტყვია! მოაგონდა „ურიადნიკი“  
გურკო, „ურიადნიკი“ პეტუშკოვი, მაგრამ... რა გახდა ეს წინ-  
ტალა!

— ოოო, წინტალაზე ნუ ილაპარაკებთ! — ამოიოხრეს  
ერთხმად და გაჩუმდნენ.

ფშატისა და ვერხვის შეშას ტკაცატყუცი გაჰქონდა ცეცხლ-  
ზე. შორს, ქაზუმას ბინიდან კი მოისმოდა თათრული სალამუ-  
რი... სალამური გაჩუმდა და ახლა ბაითმა ამოიკაკანა.

დიდხანს უსმინეს.

შემდეგ განრიგდნენ თეოზე.

ბნელოდა.

ძაღლები დარბოდნენ, ჰყეფდნენ და ღმუოდნენ.

ამ ღმუილში რაღაც საშინელს გრძნობდა აბრიკო.

ათასი ფიქრის ქარაშოტები ირეოდა აბრიკოს თავში, მაგრამ  
უეცრად ჰქეჟა-ჰუხილი ატყდა. მალე წვიმამ კოკისპირულად  
დაასხა და ნიაღვრებმა გადარეცხეს მისი დარდიანი ფიქრები.

წვიმამ დილით გადიღო და აბრიკო სახლში წავიდა.

ის-ის იყო, უნდა დამჯდარიყო, რომ შემოესმა:

— აბრიკო!

აბრიკო გარეთ გავიდა და დაინახა წინტალა; ის ცხენით  
იყო, კეხზე პორტფელი ჰქონდა ჩამოკიდებული და უკან  
თოფიანი მილიციელი ედგა, ისიც ცხენით.

— მე შენ რამდენჯერ გითხარ, შენი სახლის წინ ბოგირა გაწმინდე, რა წყალმა ქვეშ გაიაროს-მეთქი, — უთხრა ბრძანების კილოთი წინტალამ.

— არა, ამის მეტად არ გითქვამს. ან რა თქმა მინდა შენი: არ ვიცი, რომ, როცა წყალი ქვეშ ველარ გადის, ზევიდან გზას გააფუჭებს?! ამის მეტი შენ არაფერი გითქვამს ჩემთვის... შარზე ნუ დგებარ.

ხმაურობაზე ცოკოც გავიდა გარეთ.

— როგორ თუ არ მითქვამს?! — შეჰყვირა თამამად წინტალამ.

— არ გითქვამს-მეთქი! ან რათ უნდა გეთქვა, როდესაც ბოგირი სულ გაწმენდილი იყო და მხოლოდ წუხელ გამოუჩურთნია ნიაღვარს ჩალაბულით.

— მატყუებ კიდეც!

— გატყუებ, შენ ნუ მომიკვდები, დიდკაცობად ჩამეთვლება შენი მოტყუილება, — უთხრა აბრიკომ და კიდე დაუმატა, — ცას ხომ ვერ მივაფარებდი ხელს, წვიმა ნუ მოგყავს-მეთქი. მოვიდა და ვერც ნიაღვრებს დავუდგებოდი წინ. მე რა ვქნა!

— რა ჰქნა და თავში ქვა უნდა იხალო. ამდენს გელაპარაკები და ვერაფერი შეგასმინე. ვერაფერი გაგაკეთებინე.

— მეხი კი დაგაყარე მაგ თავში! რა ვერ გამაკეთებინე. შენოდენას სიზმარშიაც გავაკეთებ.

— როგორ მიბედავ მაგას!

— რომელი გუბერნატორი მიგდიხარ, რომ ვერ გაგიბედო!

— რაო? გუბერნატორიო? სადა ჰხედავ შენ აქ გუბერნატორს?! ამხანაგო მილიციელო, — უთხრა წინტალამ მილიციელს, — წამოიყვანე ეხლავე კანცელარიაში!

— წინტალ! — შეჰყვირა აბრიკომ და ხელი უტაცა ცხენს აღვირში ლაყუჩებთან, — სად უნდა წამიყვანო!

— კანცელარიაში, კანცელარიაში მობრძანდი! იქ მოვილაპარაკებთ, — გაუმეორა ამაყად წინტალამ.

— წინტალ, შე ღმერთადლო! რატო არ დამეხსნები? რატო არ მომასვენებ! — ეუბნებოდა აბრიკო და ბრაზისაგან გაჭარხალებული უფრო მაგრა ბლუჩავდა აღვირს.

— გაუშვი აღვირი! რას მაყურებ? მე შენი არ მეშინიან!

— არ გეშინიან?

— არა!

— აი, თუ არ გეშინიან!

შეკვივლა აბრიკომ და ელვის სისწრაფით გადმოიღო იგი ცხენიდან, ასწია მალლა და დაახეთქა ძირს.

ციკომ წივილ-კივილი ასტეხა. მოცვიოდნენ კაცები.

მილიციელმა თოფს იტაცა ხელი, მაგრამ სანამ ზურგიდან მოიხსნიდა, აბრიკო იმასაც სწვდა და დაიკირა.

— თოფს თავი გაანებე, თორემ, შენზე ნაკლებ არ ვიცი მაგისი მოხმარება, — უთხრა დამშვიდებულმა აბრიკომ, — მე თვითონ წამოვალ ჩემის ფეხით, არც მეშინიან, არცა მცხვენიან, — და მშვიდად გაუძღვა მილიციელს.

წინტალა წყლით მოაბრუნეს, შემდეგ წაიყვანეს და დააწვი-  
ნეს.

ამ ამბავმა სხვადასხვა მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხალხში: ზოგი იძახდა: აბრიკოს დახვრეტენო, ზოგიც: არაფერსაც არ უზამენო და პირიქით, საქმეს გამოიძიებენ და თვითონ წინტალას მოელის საფრთხეო.

მაგრამ აბრიკოს აღარაფრის დარდი აღარა ჰქონდა.

მისთვის სულერთი იყო, რასაც უზამდნენ.

## XII

აბრიკო სოფელში დიდხანს აღარ გააჩერეს.

მილიციის უფროსმა საჩქაროდ წაიყვანა იგი სიღნაღს.

გზაში აბრიკოს სულ შეეცვალა აზრები, ძირიან-ფესვიანად მოხდა მასში გარდატეხა.

აქამდე მას სჯეროდა, რომ ამ ხალხთან რაღაცას საერთოს ჰპოვებდა. როგორც ჩითახო დაჰპირდა, წინტალას გამოგდება-  
საც ელოდა, მაგრამ სამწუხაროდ, სულ წინააღმდეგი ხდებოდა.

რალა დარჩენოდა ამის შემდეგ?

„სიცოცხლე დამპალ ჩალადაც აღარ ღირს“, — ამბობდა იგი გულში.

მიიყვანეს სიღნაღს.

სამილიციო შენობის ეზოში მიაბა ცხენი მილიციის უფროსმა და თვითონ საღლაც გავიდა. მილიციელმა უფროსის ოთახში შეიყვანა აბრიკო და უკანვე გამობრუნდა.

ოთახში არავინ იყო. დაღონებულმა აბრიკომ ნელ-ნელა შეავლო ოთახს თვალი.

უფროსის სავარძელთან, მალა რამდენიმე შაშხანა თოფი დაინახა თავისი სავაზნეებით. იარაღის დანახვაზე აბრიკოს უეცრად გაუბრწყინდა თვალები. გასწორდა წელში, გაცოცხლდა. მოვიდა გონს, აქი-იქით მიმოიხედა საჩქაროდ, ნახა არავინ იყო და სწვდა შაშხანას.

ორი თოფი გადაიკიდა ზურგზე, შეირტყა წელზე ყველა საეაზნეები, შეიღო უბეში რევოლვერი და გავარდა გარეთ.

გარეთ მილიციელმა უცბად ვედარ იცნო, ხოლო როდესაც იცნო, დაიბნა და შეშინებულმა ჰკითხა:

— ვინ მოგცა შენ მაგისი ნება? — მაგრამ ამის მეტის თქმა აღარ დააცალა, — თოფი წაჰგლიჯა ხელიდან და თვით ისიც მაგრა გადაუძახა მოაჯირიდან, რომ ხმა აღარ ამოუღია.

აბრიკო მსწრაფლ მოახტა მილიციის უფროსის ცხენს, რომელიც იქვე იდგა შეკაზმული, გავარდა ქუჩაში, გაირბინა ქალაქი და შეეფარა ნუკრიანის ტყეს.

ატყდა დანდგარი მილიციის ეზოში.

გამოუდგა მღევარი, მაგრამ...

მღევარი უშედეგოდ დაბრუნდა უკან.

აბრიკო ნუკრიანის ტყიდან მეორე ღამეს ჰიან ტყეში გადავიდა და თავისი სოფლის საზღვრებს აღარა შორდებოდა, რადგან იქ ეგულებოდა ის ადამიანი, რომელმაც ამ დღემდე მიიყვანა.

პირველ ღამეს მშვიერი იყო.

მეორე ღამესაც.

მესამე ღამეს კი ვედარ მოითმინა და მოძებნა თავისი ყონალი ქაზუმა.

ქაზუმა ძალიან მეგობრულად დახვდა.

პური აჰამა, ცხენი მოუბალახა და შემდეგ ღამე დარჩენაც სთხოვა. მაგრამ მან მტკიცე უარი სთქვა:

— არა მცალიანო.

შემდეგ შეჯდა ცხენზე და შეერქო წყვდიადით მოცულ ქალებს.

სწორედ ამ ხანებში პარტიის წევრების წმენდა დაიწყო სოფელში. წმენდა მიდიოდა თემკომის შენობის მოშორებით, სახალხო სახლში.

ყინტორა დიდ ამბავში იყო: ხალხს მოუწოდებდა წინტალას ბნელი საქმეების გაბედულად გამოაშკარაებისაკენ.

წინტალას წმენდას აუარებელი ხალხი დაესწრო, მთელი სოფელი დიდინაპატარიანად იქ იყო.

წმენდას ხელმძღვანელობდა ჩითახო.

ჯერი მიდგა წინტალაზე და დაუძახეს კიდეც.

წინტალა გავიდა.

მის დანახვაზე ხალხმა აურზაური ასტეხა, მაგრამ ჩითახომ წესრიგი მოითხოვა და ხალხი დამშვიდდა.

— ჩემი ციკანი! — გაისმა შიბაქას ხმა დაწყნარებულ ხალხში და ატყდა სიცილი.

ჩითახომ ისევ დაამშვიდა ხალხი და წინტალას თავისი პიოგრაფია ათქმევინა.

წინტალას არეული ლაპარაკი სიცილს იწვევდა ხალხში, მაგრამ როგორც იყო დაასრულა თავისი ავტობიოგრაფია და დაჯდა.

ამის შემდეგ დაიწყეს გლეხებმა სათითაოდ გამოსვლა წინტალას წინააღმდეგ. მხოლოდ სამმა კაცმა ილაპარაკა მის მხარეზე. დანარჩენებმა სულ წინააღმდეგი ილაპარაკეს.

გამოირკვა, რომ წინტალას ქრთამი აუღია. საკუთრად ცხვარიც გაუჩენია ვიღაც ნათესავის სახელზე. მას თურმე მხარს უჭერდა თანაშემწე კუაცა. წინტალამ ბანკიდან ფული წაიღო „მანქანების მოსატანად“, მაგრამ როდესაც ანგარიში მოსთხოვეს, განაცხადა: მანქანები არ იყო და ფული პარტიულ საქმეებზე დამეხარჯაო. ეს „პარტიული საქმეები“ წინტალამ ვერ დაასახელა.

შემდეგ ილაპარაკეს მეცხვარეებმაც.

მთელი ცოდვები წინ გადაუშალეს მას და ახსენეს აბრიკოც-როცა წმენდა დასრულდა და სათქმელი აღარავისა ჰქონდა, კომისიამ რამდენიმე წუთით შეწყვიტა მუშაობა და მოლაპარაკების შემდეგ, ჩითახომ ხალხს განაჩენი გამოუცხადა:

„ამხანაგებო!

როგორც დაინახეთ, აქ გამოირკვა, რომ ჩვენი პარტიული ამხანაგები, რომელნიც შემოპარულან პარტიაში, პირველში თურმე, ემსახურებოდნენ ბოლშევიკების კომუნისტურ-ლენინურ ხაზს, მაგრამ როდესაც განმტკიცებულან და გამაგრებულან ადგილებზე, ფრთხილად და ეშმაკურად მიდრეკილან თავიანთ ნამდვილი ბუნებისაკენ: აუღიათ ქრთამი, გაუფლანგიანთ სახელმწიფო ფული, მოუტყუებიათ გლეხები პარტიის სახელით, გაუმართნიათ კულაკებთან კინკლაობა პირადი ინტერესებისათვის და პარტიაც, გლეხობაც, ლენინური ხაზიც თავის კერძო სურვილების საშუალებად მიუჩნევიან.

ამხანაგებო! ეს პირდაპირ შეუწყნარებელია აქამდე რას აკეთებდით? რატომ არავინ ამოიღო ამის შესახებ ხმა?

ამხანაგებო!

ასეთ ხალხს ჩვენს რიგებში ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს!..

სწორედ იმ დროს, როდესაც გახურებული წმენდა იყო, შუალამისას ქარიშხალივით შეიჭრა აბრიკო სოფელში.

თემკომის შენობასთან მივარდა თოფმომარჯვებული, მაგრამ იქ ჰაპანება არ იყო. მხოლოდ ერთი დედაკაცი იდგა ღამის აჩრდილივით შენობის წინ და იმასა ჰკითხა, წინტალა სად იქნებაო.

დედაკაცმა აუხსნა: წელან შინ მიდიოდა, მაგრამ ეხლა წმენდაზე იქნება სახალხო სახლშიო.

აბრიკომ არ იცოდა, რა იყო წმენდა.

ამიტომ წინტალათკენ აფრინა ცხენი.

ლობიდან დაუძახა წინტალას, მაგრამ ვიღაცა ბიჭი გამოვიდა და გააგონა.

— ერთ წუთას საქმე მაქვს, წინტალას უთხარი, გამოვიდეს, ღორის დამკარგავია და გკითხულობს-თქო.



თან კი თოფი მარჯვედ ექირა.  
ბიჭი შევიდა და ისევ გამოვიდა.

— ამხანაგო!

— აქა ვარ! — გააგონა აბრიკომ.

— წინტალა წმენდაზე წასულა და ამაღამ ძალიან გვიან მოვაო.

ეს უცნაური სიტყვა კიდევ ვერ გაიგო აბრიკომ და არც გამოეკიდა, იფიქრა: ბოლშევიკებს ბევრი რამ უცნაური აქვთ და, სულერთია, ყველაფერს ვერ გავიგებო.

— პარტიულ მიტინგზე იქნება, — თქვა და საქმე სახვალის-ოდ გადასდო.

ყაჩაღმა ისევ ჭალისაკენ ქნა პირი, როგორც სოფელში წუთიერად მოვარდნილმა ნადირმა, და მაისაანთ სახლი დაინახა, მის თვალწინ გაიარა მაისას მოტაცების წუთებმა, პირველმა კოცნამ, ხალხის ალიაქოთმა და ყველაფრის მშვიდობიანად დასრულებამ.

გულმა ველარ მოუთმინა და თავის სახლისაკენ ჩაიარა. მისი ძალი გამოვარდა ყეფით. გული შეეკუმშა, ჟრუანტელმა დაუარა და ფანჯრის მინის იქით ოდნავ მბეჭუტავ ლამფასთან ციკოს მოჰკრა თვალი. გულმა გასწია, მაგრამ არ შეჩერდა. პირიქით, ცხენს მათრახი გადაჰკრა და გულზე მაგრა დაირტყა ხელი:

— დედას გიტირებ, წინტალავ! დედას გიტირებ!

მესამე დღეს ისევ აფთარივით მივიდა შუალამისას აბრიკო სოფელში. თემკომის შენობასთან ისევ სიციარიელე დახვდა, მაგრამ ბოლოს დაინახა, ერთი გლეხი შიაბრაკუნებდა ბნელაში და ჰკითხა:

— ძმობილო, არ იცი, სად იქნება ეხლა თემკომი?

— თემკომი?

— ჰო, წინტალა.

— წინტალა თემკომი აღარ არი: პარტიიდან გააგდეს და იმის მაგივრად ეხლა ყინტორაა.

— მე წინტალა მინდა, წინტალა! სად ვნახავ, არ იცი?

— არ ვიცი... შეიძლება შინ იყოს.. ვინა ხარ, ძმობილო?

— შორეული ნათესავი ვარ იმისი... — და მოსწყვიტა ცხენი.

აბრიკო წინტალას სახლისაკენ გაფრინდა, როცა მიუახლოვდა, ყური დაუგდო, იქიდან მკაფიოდ გამოისმოდა სიმღერა.

რა ვქნა, რა გიყო, რომ შეგიყვარო!

მე პროლეტარმა სად წაგიყვანო?!

აბრიკო ხან ერთი მხრიდან მიადგა ღობეს, ხან მეორე მხრიდან, მაგრამ სუფრაზე მსხდომები ვერ დაინახა, მით უმეტეს ვერ დაინახა წინტალა, რომ მიზანში ამოელო, ბოლოს დაუძახა.

ვილაც უცბო კაცმა გამოიხედა და გააგონა:

— ვის ეძებ, ამხანაგო, მოდი, ღვინო დაგვილიე.

— ღვინისთვის არა მცალიან. ერთი სიტყვა მაქვს სათქმელი წინტალასთან, დაუძახეთ, გარეთ გამოვიდეს, — უთხრა აბრიკომ.

— კაცო, რა განზე დგეხარ! მოდი და ერთი სიტყვაც უთხარ, ორიც.

— ძალიან მეჩქარება, ძმობილო! აგრე უთხარ, ღორის პატრონია და ცოტა ხანს გამოდი-თქო.

— რა ვქნა, ლაპარაკზე მეცნობი და კარგა კი ველარ მიცვნიხარ.

ეს რომ თქვა უცნობმა, აბრიკოს არ ეამა და საჩქაროდ მიაძახა:

— კოტორელი კაცი ვარ, შენ რას გეცნობი, აგრე უთხარი წინტალას, თუ ხვალე ღორი ვერ ვიპოვნე, მოგნახავ-თქო. თქვა აბრიკომ და გაბრუნდა ისევ.

კიაურის ტყეებისაკენ გაეშურა იგი.

ერთ ალაგას შედგა. ერთ წუთას იფიქრა, ისევ უკან დაბრუნდა, მაგრამ რაღაცამ შეაჩერა. შემდეგ ღრმად ამოიოხრა და წარმოთქვა:

— უყურე წინტალას ბედს! აქამდე ვერ გავაქრე!

უიმედობით გაბრუებულმა გეზი შეიცვალა და უცბად გაბრუნდა ქაზუმას ბინისაკენ.

ქაზუმა ბინაზე არ დახვდა.

გულხანუმამ მიიღო იგი.

თავაზიანად მოექცა. არასოდეს ასე თავაზიანად არ მოქცევია, აბრიკოს გაუკვირდა კიდევ. მაგრამ ეს იმას მიაწერა, რომ ქაზუმამ იქ არ იყო და დიასანლისს ქაზუმას მაგივრობაც ხომ უნდა გაეწია! ამიტომ საკვირვლად აღარ ჩათვალა გულხანუმას ზედმეტი თავაზიანობა.

გულხანუმამ პური აჭამა და უთხრა:

— სოტა დაიზინე, კარდაშ აბრიკო, მე შენი და სხენი თვალი დაიჭირე, თუ შენი ღუშმანი ნახო, გითხრამ... შენთან სოლო, ზუხელ არ დაიზინე, დღეს არ დაიზინე... იამან!

აბრიკო მართლა ძალიან დაღლილი იყო, ამასთანავე უძილო. პური რომ ჭამა, უფრო მოუნდა ძილი.

პიენდო დედაკაცის სიტყვას და მიღო საძილედ თავი.

დაეძინა.

კარგა ღრმად რომ შევიდა ძილში, გაიხსნა სიზმრების ქვეყანა და შირაქის ველიდან თრიალეთამდე გაება თეთრი მდინარე. ამ თეთრი მდინარის ნაპირები გაივსო მშვიერ-მწყურვალნი, შიშველ-ტიტველი ხალხით, რომელნიც მისი ტალღებიდან იღებდნენ წმინდა საზრდოს და მადლობას უძღვნიდნენ მწყემსთ, ჭიშის შემნახველთ!

„დღეე, ნურც ერთი ცხვარი ნულარ იქნება ჩემი, ოღონდ არ დაშრეს ეს მდინარე, თეთრი მდინარე, ჩემი საყვარელი მდინარე“, — გაიფიქრა სიზმარში აბრიკომ.

ამ დროს ფაცი-ფუციით რაღაცას დაეძებდა გულხანუმა. იპოვნა კიდევც.

დიდი ცული, რომლითაც შეშასა სჭრიდნენ და ხანდახან ხარის ძვლებსაც ამტვრევდნენ ხოლმე. რაღაცნაირად მოსინჯა ხელში და ფრთხილად, ფეხაკრეფით შევიდა ქოხში.

დიდხანს აღარ დაფიქრებულა.

უცბად ასწია მალლა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დასთხლიშა თავში მძინარე აბრიკოს.

— ვაი დედასა! — შეჰყვირა მან და წამოვარდა ზეზე, მაგრამ დაკლული ქათამივით მიაწყდა ქაზუმას ქონის დედაბოდს.

— ისე ვკვდები, მტერი ვერ წავიმძღვარე წინ... — თქვა ბოლოს და საზარელი ამოგმინვის შემდეგ სამუდამოდ დახუჭა თვალი...

## მონადირის დღიურიდან

### ნადირთა სახეფოფი

მშვენიერი მაისი იდგა.

მონადირეებმა მითხრეს, ქაობის ბევრი კოკორინა გაჩენი-  
ლაო. საამისო ადგილები მეგულებოდა ქალაში.

მაგრამ ქალაში რომ ჩავეღ, ღამის მეხრეებმა მითხრეს, კო-  
კორინა რა ნადირაა, ქალაში ერთი ლეკვებიანი მგელი ყოველ  
დილითა გვხვდება საკორეების თავში, თუ ბიჭი ხარ, ის მოკა-  
ლიო.

ერთმა მეხრემ კიდევ გზა მასწავლა: აქ ერთი მელორეა,  
გიგა ჰქვია, იმან კარგად იცის იმ მგლის ასავალ-დასავალიო.

წამიყვანა გიგასთან.

მე და გიგა შევთანხმდით.

მოიკიდა თავისი დანჯღრეული თოფი და გამომყვა. მიჩვე-  
ნა ის ადგილები, სადაც მგელი თავისი ლეკვებით ბევრჯერ  
უნახავთ მეხრეებს. მითხრა, ამაღამ დავეუსხდეთო.

-- რა დროს უფრო გამოდის, არ იცი? — ვკითხე გიგას.

— უფრო ხშირად დილით.

— მაშ რა საჭიროა ღამე აქ ჯდომა, ხომ შეგეკვამა მუმღმა?!

— მართალს ამბობ, — დაეთანხმა იგი და დაუმატა: —  
დილაზე, მრავალი რომ ამოვა, წამოვიდეთო.

— ასე მოვიქცეთ, — ვუთხარი გიგას.

ღამე მელორეებთან გავატარე, ღორების ტრუხუნმა, ქშუ-  
ტუნმა და კრუსუნმა არ დამაძინა.

მრავალი რომ ამოვიდა, გიგამ ამხანაგს გადააბარა თავისი

მოვალეობა. მე ცანგალას თოფის ბუდე დავუღე წინ, ფეხი არ მოიკვალაო-მეთქი და წავედი.

მინდვრებში ქინძის სუნი იდგა. ქინძის სუნს ათასი სხვა სურნელება ემატებოდა მაისის ღამის სიგრილეში და ისეთი საამური იყო სუნთქვა, რომ ვერა ძლებოდა ფილტვები.

ტყეს რომ მივუახლოვდით, კოტის ხმა შემოგვესმა და ჩალის პირებში სატაცურის სუნი ვიგრძენით.

შევედით ტყეში, სადაც შუა ადგილას აღმა-დაღმა ველია. გიგამ მითხრა: მე თავში დავჯდები, შენ ბოლოში; ან შენთან გამოვა, ან ჩემთანო.

რაკი ერთმანეთს დაეშორდით, ჩაეჯექ ერთი კუნლის ძირში, საიდანაც მშვენივრად მოჩანდა ველი მთელი თოფის მანძილზე, ველის ბოლოში ბუწქარიანი და ჩალიანი ნაპირიდან პატარა ბილიკი შედიოდა ღიქიანში. სწორედ ამ ბილიკს დავუმიზნე ჩემი ყურადღება. რალაცნაირად მეგონა, რომ მგელი იქიდან უნდა გამოსულიყო.

განთიადი არ იყო ჯერ.

დაურღვეველი სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ ტყის იქით მკვირცხლად მორბოდა იორი, რომლის ღუღუნიც მკაფიოდ ისმოდა.

დიდხანს ვიბორგე კუნლის ძირში, მაგრამ ვერ მოვეწყე. ადგილი გადავინაცვლე და, როდესაც კარგად გავსწორდი, უკვე გათენებულიყო, შუა ველზე კურდღლები გამოსულიყვნენ ტყიდან და თამაშობდნენ. აქა-იქ ტყის პირებში ხობის ყვილიც გაისმა.

იმ ადგილას, სადაც ვიწრო ბილიკი შედიოდა ჩალანარვე წვრილიანში, რალაცამ ჩალები გაატოკა. დიდხანს ვუყურე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ჩალები კი ისევ ტოკავდნენ.

მოლოდინისაგან ძარღვები ისე მქონდა დაჭიმული, რომ მთელ ტანზე ჩქმეტა დამიწყო. ვცდილობდი არ გავტოკებულყავ, რომ მომავალი ნადირი არ დამეფრთხო, მაგრამ მოთმინებიდან გამოვყავდი ჩქმეტას. ოღნავ ავიჩეჩ-დავიჩეჩდი ხოლმე მხრებს, რათა ცოტად მაინც დამეამებინა ჩქმეტა; მაგრამ ვატყობდი, რომ უფრო უარესი მომდიოდა.

ბოლოს ერთი მაგრად მოვიფხანე ზურგი. ილღიები, მაგ-

რამ ისე, რომ იმ ადგილისათვის, სადაც ჩალები ტოკავდნენ, თვალი მაინც არ მომიშორებია.

კარგად გათენდა.

ჩალების მოძრაობა ნაპირამდე გამოვიდა. ის ჩალებიც ატოკდნენ, რომლებიც ველის პირად იდგნენ, მაგრამ რა ატოკებდა, არა ჩანდა, — რასაც ველოდი, იმას ვერ ვხედავდი.

საკვირველია, ვფიქრობდი მე, ნუთუ ისე დაბალია ის ნადირი, რომელიც ასე ღონიერად ატოკებს?

ბოლოს ჩალები გაჩერდნენ და ბალახებმა დაიწყეს ტოკვა-ველზე. ცოტა წამოვიწიე და დავინახე, რომ რაღაც ეკლიან ბურთს თოკივით მსხვილი და ნახშირივით შავი ეხვევა გარს. ეკლაცნება ზედ, თან აქეთ მოდიან. სულ ტიტველაზე რომ გამოვიდნენ, დავინახე, ზღარბს დაეჭირა შავი გველი. იმ სიმსხო იყო გველი, რომ ზღარბი პირს კარგა ვერ ავლებდა წელში. გველი გაეშვებოდა ხოლმე, ზღარბი ისევ დაიჭერდა, გველი აიკლაცნებოდა, დასწვდებოდა ტუჩებში, უკბენდა, მაგრამ ეს კბენა სრულებით არ ანელებდა ზღარბის ბრძოლას, ის ისევე სტაცებდა წელში პირს, გველი ისევე ჰკბენდა, მაგრამ კბენა არავითარ გავლენას არ ახდენდა ზღარბზე.

ბოლოს, როგორც იყო, მაგრა ჩასკიდა ზღარბმა კბილი გველს წელში და მოიკრუნჩხა. ბევრი იკლაცნა, ბევრი იფხლაცუნა გველმა, მაგრამ ვეღარსად უკბინა, ვეღარც გაეშვა.

დიდხანს იკლაცნა ასე.

ეტყობოდა შუა წელში ევლო კბილი ზღარბს. ისე ღონიერად იკლაცნებოდა გველი, რომ ზღარბს ჩემსკენ მოაგორებდა. მერე ისევ უკან გააგორა და ბოლოს დავინახე, როგორ გადაწყდა შუაზე გველი, ნახევარი ცალკე იკლაცნებოდა, ნახევარი — ცალკე.

შემდეგ გაიშალა ზღარბი, წამოხტა და ჯერ ერთი ნახევარი შექამა, მერე მეორე.

ამ სურათის გამო ვეღარა ვგრძნობდი ტანზე ჩქმეტას, ხოლო როცა ყველაფერი გამოირკვა, კვანძი გაიხსნა და ინტერესით გათავდა, მაშინ ხელახლა ვიგრძენი ჩქმეტა, მაგრამ უფრო მეტად, ვიდრე წინათ.

დავიხედე წინ და რასა ვხედავ: ჩემი თოფის ლულაზე გარ-

ბიან და გამორბიან ჭიანჭველები. ვხედავ, ზედ ჭიანჭველების ბუდეზე დავმჯდარვარ, ალბათ, მათი სახლი დამიზიანებია და ერთი ომი გაუმართავთ ჩემთვის. ისეთი ფუსფუსი აქვთ, ისეთი მოძრაობა, როგორც ომის დროს ხოლმე. რიგი მიდის, რიგი მოდის, თითქოს ვიღაცას რაღაცას ატყობინებენ და ახლომახლოდან ითხოვენ დახმარებას.

წამოვხტი უცებ. გავშორდი საჩქაროდ იმ ადგილს, გადავინაცვლე, სადაც ჭიანჭველები არ იყვნენ, გავიძრე მთლად ტანისამოსი, ვიბერტყავ, ვისვამ შიშველ ტანზე ხელსა, მაგრამ ვერ ვიცილი გააფთრებულ ჭიანჭველებს. ცოტა ხანს შემდეგ, ჩემს ფეხებთან საიდანღაც გაჩნდნენ ჭიანჭველები. დავაკვირდი და ვხედავ: სწორედ იმ მხრიდან, სადაც მე ვიჯექ, ჭიანჭველების მთელი ეშელონები მოდიან. ეტყობათ, მტერს ფეხდაფეხ სდევენ, მე გაცხარებით ვიბერტყავ, ისინი ისევ მეხვევიან. კიდევ გადავინაცვლე.

ამ დროს მოვიდა გიგაც.

— რას შვრები, სოსო? — მეუბნება გაკვირვებული.

— მიშველე, გიგავ, ჭიანჭველებმა შემჭამეს.

კიდევ გადავინაცვლე ადგილი და სწორედ იმ დროს, როდესაც სულ გავიცალე ჭიანჭველები, ავისრისე ტანზე და ტანთ ვიცვამდი, დავინახე, რომ კიდევ შემოაჰქენეს ფეხებიდან ზევით ახალმა რაზმებმა.

მოვტეხე თელის ტოტი, დავკუმშე და ეს რაზმი ჩავიწმინდე ჩექმებიდან, შემდეგ დავკარით ფეხი ორივემ და ისე გამოვიქეცი, გეგონებოდათ, მღვეარი მისდევთო.

მივედით ივრის პირად, სადაც იორი ტყეს ერტყმის ქამარივით, ხოლო იორს გაღმა მინდვრებიდაა.

დავსხედით მდინარის პირად და სულ თვალებს ვაცეცებ დედამიწაზე. აქაც არ მომაგნონ-მეთქი ჭიანჭველებმა, თან მათგან დაკბენილ სხეულს ხელების მოსმით ვიამებ.

მიწას რომ დავჩერებოდი ჭიანჭველებისაგან შეშინებული, გიგა წამოხტა და მეუბნება:

— მოვეფარნეთ, მგელია.

მოვეფარნით ბუჩქებს.

— სად არის, ბიჭო, მგელი? — ვკითხე გიგას.



— აბა იორს გაღმა გახედე, ხედავ?

— ვხედავ, მაგრამ ის ხომ ძაღლია.

გიგა ცოტა დაეჭვდა. კარგა დააკვირდა და შემდეგ გადაჭრით მითხრა:

— ძაღლი კი არა, მგელიაო.

მართლაც ძნელი გამოსაცნობი იყო. თუ ცოტა მიბრუნდებოდა, მგელსა ჰგავდა; თუ პირდაპირ მოდიოდა ჩვენკენ, ძაღლი გეგონებოდათ. ამასთანავე ის გვაეჭვებდა, რომ მეტისმეტად გაბერილი იყო და ისე დინჯად მოდიოდა მზიან დღეში, თითქოს პატრონს ჩამორჩენიაო.

— ძაღლია, კაცო! — ვუთხარი გიგას ხმამაღლა.

— დასწყევლოს გამჩენმა, მეც ველარ გამომიცვნია, — ისევ დაეჭვდა გიგა.

— მგელს რა უნდა ამ შუადღისას მინდოროში. მერე ისე დინჯად მოდის, ასე გონია ცხვარს მიუძღოდეს წინ.

— ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ მაინც მგელია, — კიდევ გადაჭრით თქვა გიგამ.

ამ დროს ოთხფეხმა ჩამოირბინა ივრის ნაპირი, მივიდა წყალთან და დადგა. დიდხანს იდგა, თითქოს ფიქრობს, გავიდე წყალში თუ არაო. ბოლოს გადასწყვიტა და ნელ-ნელა შემოსტოპა წყალში.

სულ ახლოს მოვიდა ჩვენთან.

ისე იყო გაბერილი, გეგონებოდათ რუმბიაო.

— მაკე მგელია, ბიჭო, — მეუბნება გიგა.

— მაკე მგელი კი არა, მეცხვარის ძაღლსა ჰგავს. ალბათ, მთაში მიმავალ ცხვარს ჩამორჩა, — ვარწმუნებ მე.

ისე ახლოა ოთხფეხი, რომ აშკარად ესმის ჩვენი ლაპარაკი, მაგრამ აინუნშიაც არ მოსდის ეს — დგას არხეინად, ეს მაეჭვებს უფრო.

— აბა, თუ მგელი არ არის და ვნახავთ! — თქვა გიგამა და გაუწოდა თოფი.

— ძაღლია, კაცო, ნუ ესვრი! — გავაფრთხილე. მაგრამ ამ დროს გავარდა კიდევ გიგას თოფი. ოთხფეხი ერთხელ მოტრიალდა და დაეცა.

ისე უეცრად დაეცა და ისე უეცრად გაშეშდა, რომ გავვი-

კვირდა: ასე უცხად არც ერთი ნადირი არ კვდება. ახლო რომ მივედით, უფრო განვცვიფრდით; ცოცხალი იყო და ფეხის გაქნევის არაქათი კი არა ჰქონდა. ხოლო ის ნათლად გამოიჩინა, რომ ძალი კი არა, ნამდვილი მგელი იყო.

გიგამ მეორე ტყვია ჩაღო თოფში და მეორე შიგ თავში დასცა. მგელმა ფეხები ერთხელ გაიქნია, მერე გაიძვინა, თითქო გაიზმორაო, შემდეგ მძიმე-მძიმედ გაიქიმა და მოკვდა.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ რათ არის ასე გაბერილი? — ვუთხარი გიგას.

— მაკეა-მეთქი, აკი ვთქვი. აი, ახლავე ცოცხლებს გადმოვყრევენებ მუცლიდან ლეკვებს. ჯილდოს მივიღებ, — თქვა გიგამ, ამოიღო დიდი დანა და საჩქაროდ გაუჭრა მუცელი, მაგრამ რის ლეკვები! რა ლეკვები! სულ მთელ-მთელი ინდაურები და ბატები ამოვაწყეთ იქიდან.

მას დაეცარიელებინა რომელიღაც გლეხის საქათმე.

იმ გლეხთან ერთად მეც, ჭიანჭველებისაგან დამარცხებულს, გიგამ ამ მგელზე ამომყარა ჯავრი.

### ორი უხევედრა

ბევრი რამ გამიგია მგლებზე, მაგრამ ჯერ არც თვითონ მინახავს და არც ვიცნობ ისეთ კაცს, რომელსაც ენახოს მგლების თავდასხმა ადამიანებზე, ან მათ მიერ შექმული კაცი. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მგელი კაცს არ ერჩოდეს, ან არ ყოფილიყოს შემთხვევა, რომ მგლებს კაცი შეეკამოთ.

მაგრამ რამდენადაც მე ვიცნობ მგლებს, რამდენადაც მე მათთან შეხვედრა მქონია, ისინი მეტად ქსუ და მშიშარები არიან, თუმცა შეუბოვარნი და მეტად თავხედნი მძუნვისა და შიმშილის დროს.

ჩემს პატარაობაში, როცა მწყემსებთან ვიყავი ივრის ქალაში, ხშირად ვხვდებოდი მგლებს, ბევრჯერ სასწაულებრივი ამბებიც ხდებოდა: მივდივარ ქალაში, რამდენიმე მგელი ერთად ჩატუცქულა და დიდი ცნობისმოყვარეობით გვაღევენებს თვალყურს. ვუყვირით, ვუჯავრდებით, ვემუქრებით, მაგრამ

თქვენც არ მომიკვდეთ! ისინი ადგილიდან ფეხს არ იცვლიან.

— მძუნავს...

ამბობს ერთი ჩვენთაგანი და ფეხაკრეფით ვშორდებით მათ.

იმ დროს თოფი იშვიათი ხილი იყო, და თუ იყო, ისიც კაჟიანი. ამიტომ ხშირად მოხდებოდა, რომ შუალამისას მგლები ძროხას გამოფაშვავდნენ; ზედ წავადგებოდი ხოლმე, მაგრამ მათი თავდასხმა ადამიანზე მე, როგორც მოგახსენეთ, არც მინახავს, არც გამიგია.

სწორედ ახალი წლის დღეები იყო.

ძალიან მკაცრი ზამთარი იდგა.

ცხვარი და ძროხა ბინებს არ სცილდებოდა. დღისით ხშირად ვხედავდით მგლის ხროვებს და ღამით გულს აწყალებდა მათი საზარელი ღმუილი, რის გამოც ძაღლებს ერთ წუთსაც არ ჰქონდათ მოსვენება.

თავგანწირვით იწვევდა ფარეხში მგელი, მაგრამ ძაღლებს მაინც ვერა სტეხდა მათი თავდასხმა.

დილა რომ გათენდა, მეხივით გავარდა ერთი ამბავი, — ყველა ბინის მწყემსები ერთმანეთს გადასძახოდნენ: ექვთიმინათ ფარეხში მგელი ჩავარდნილაო.

ექვთიმეანთ ფარეხთან ბიჭები დიდი კომბლებით მიცვივდნენ.

მგელი ღამე ჩავარდნილიყო ფარეხში სათვალიდან და ათასამდე ცხვარი ფუტკარივით სულ ერთ კუთხეში იყო მიკუნჭული და ერთმანეთზე იდგნენ რამდენიმე სართულად.

შეგროვდნენ მწყემსები და ერთი გაუთავებელი ყაყანი იდგა, დაობდნენ: ზოგი მოითხოვდა მგლის ცოცხლად დაჭერას, ზოგი რჩეობდა სათვალიდან თოფით მოკვლას და ზოგიც, ვინ იცის, რას. ბოლოს თოფით მოკვლა გადაწყდა. მოიკითხეს თოფი და სამოცამდე ბინაში ერთი ძლივს აღმოჩნდა, ისიც კაჟიანი.

თოფიანი დიდის ტრახახითა და სიამაყით მობრძანდა. ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს იარაღის უკანასკნელი სიტყვა ამას ჰქილია ზურგზეო. მან თოფს ფაღია გაუსინჯა, კაჟი გაუსწორა, საპირიწამლეც უნახა და ამაყად შედ-

გა ბანზე. ხან ერთი სათვალღიდან ჩაუმიზნა თოფი, ხან მეორიდან, ხან მესამიდან, მაგრამ მგელი სათოფედ ვერ ჩაიგდო. როგორც იყო, ბოლოს თვალი შეავლო, თურმე ფარეხში ჩავარდნამდე რომ გაბედული იყო, ჩავარდნის შემდეგ გაქსუვდა და შიშით შიმშილის გრძნობა დაჰკარგა: აქეთ-იქით აწყდებოდა კედლებს და გამოსასვლელ გზას ეძებდა.

ჩვენმა მეთოფურმა ერთხელ დააცემინა ჩახმახი, არ გაუვარდა თოფი, მეორედ დააცემინა, არც მეორედ გაუვარდა, არც მესამედ. საპირწამლეს მშრალი წამალი დააყარა, არც მაშინ გაუვარდა: აქეთ-იქიდან დაუყვირეს, მუგუზალი დაადგო. ეს თოფიანმა იწყინა, გადაიკიდა თოფი მხარზე, მიბრუნდა და წავიდა თავის ბინაში.

მგელმა რომ იგრძნო, გარშემორტყმულია და ხალხი ყაყანებს, უფრო გახელდა. რამდენიმეჯერ სცადა სათვალღიდან ამოხტომა, მაგრამ ვერ ამოუწია.

თოფით იმედგაცრუებულებმა სხვა ღონისძიებას მიმართეს. ერთმა ახალგაზრდამ დაიძახა:

— კარებში დავდგები, გააღეთ კარი და ხანჯლის წვერზე ავაგებ, როცა გამოვარდნას დააპირებსო.

ყველას მოეწონა ეს აზრი.

ახალგაზრდამ ხანჯალი ამოიღო და ფარეხის კარში ჩაუდგა. ხანჯლის იმედით გაამაყებულმა კარს ფეხი ჰკრა და შეაღო.

შუქი ეცა თუ არა მგელს, მაშინვე კარისკენ იბრუნა პირი. ჯერ ჩვენ გონს არც კი ვიყავით მოსული და მგელი ისევ ფარეხში გვეგონა, რომ ხანჯლიანი ახალგაზრდა ფარეხის კართან ეგდო გაშხლართული.

— მგელი არა ჩანს, კაცო! — დაიძახა ვიღაცამ სათვალღიდან.

— სადმე იქნება მიკუნჭული, — უპასუხა მეორემ მეორე სათვალღიდან.

— რალაც გავარდა მგონი გარეთ, — თქვა მესამემ მესამე სათვალღიდან.

ამ დროს მოისმა ყვირილი:

— მგელი კი არა, მგელს კაცი გაუფუჭებია, გვიშველეთო. მართლაც, შიგ ყანყარატოში სძგერებოდა მგელი ხანჯლიან

ახალგაზრდას და ისე უცებ, რომ ფიქრი და დაყვირებაც კი ველარ მოესწრო.

ძლივს მოღანღალდა მოხუცი სოლოლა ბუზარიაშვილიც და ეს ამბავი რომ გაიგო, მუხლებში ხელი წაიშინა: განა ფარეხის კარში ჩამდგარი კაცი ხანჯლით მგელს მოჰკლავდაო?

აი ეს არის ერთადერთი მაგალითი ჩემს სიცოცხლეში და ერთადერთი დღე, როდესაც ჩემი თვალით ვნახე მგლისგან გაფუჭებული ადამიანი.

ეს დღე მწუხარებისა და შიშის ზარის დღე იყო მწყემსებისათვის. ყველაზე მეტად სწუხდა მოხუცი მწყემსი სოლოლა, რომელიც ლანძღავდა ახალგაზრდებს და ეუბნებოდა: დედის წინ მარბენალ კვიცს მგელი შეჭამს, რატომ მე არ მკითხეთ, რასა სჩადიოდითო.

მალე დაღამდა.

თეთრად გაღესილი ქვეყნიერება თვალსა ჰკვეთდა და ღლიდა ადამიანს თავისი ერთფერობით. თეთრად გაყინულ დედამიწას კავკასიონის მთებიდან გადმობნედა სრულმა მთვარემ და მგლებმა ისევ ალყა დაარტყეს მწყემსების ბინას.

ღმუოდნენ ირგვლივ მგლები და ღმუოდნენ ძაღლებიც, თითქოს ტიროდნენ და გლოვობდნენ ადამიანის მსხვერპლს.

მაგრამ არ გასულა ორი-სამი დღე და იმავე ფარეხში კიდევ ჩავარდა მგელი. ახლა კი იკადრეს სოლოლას მოძებნა, იპოვეს, მოიყვანეს და რჩევა ჰკითხეს:

— პაპავ, როგორ მოვიქცეთო.

სოლოლამ ფარეხს შეუარა.

ფარეხის კარი გარედან მაგრა გადააფრდულა და შემდეგ დაუძახეს ლეგასა და ასანას. ლეგა ჩვენი ძაღლი იყო, ასანა ექვთიმისშვილებისა. ორივენი განთქმული იყვნენ მგლის დაჭერაში. ყურდაჭრილებს ლომების შეხედულება ჰქონდათ. ლეგას კუდი მოჭრილი ჰქონდა, ხოლო ასანას ჩონგურის თავით დაჭახრაკებული ეჭირა.

ყელზე ორივეს ჩანგლები ჰქონდათ.

როცა მგელი და ძაღლი, ან თვითონ ძაღლები ერთმანეთს დაეტაკებინან, უეჭველად მკერდი უნდა ჰქრან ერთმანეთს და კისერში ჩაავლონ პირი. სწორედ ამის საწინააღმდეგოდა ჰქონდათ ორივეს ჩანგლები.

სოლოლას განკარგულებით ორივე ძალდი ფარეხში ჩააგ-  
დეს სათვალდიან.

გაათრებული ძალები რომ დაეტაკენ გაათრებულ  
მგელს, უკეთესი სანახავი აღარ შეიძლება იყოს. სამი ოთხ-  
უხეი ერთ მთლიან გორგალს წარმოადგენდა, რომელიც ხან  
იავში მოექცეოდა ფარეხს და ხან ბოლოში.

ასე იგორეს მანამდე, სანამ არ დაახრჩეს მგელი. როცა  
დაახრჩეს, დიდხანს სინჯეს ძალებმა: გარს უარეს, სუნეს და  
ბოლოს, როცა დარწმუნდნენ, რომ მკვდარი იყო, ერთი ერთის  
მხრიდან დაკუნტდა, მეორე მეორეს მხრიდან ჭირისუფლები-  
ვით და ენაგადმოგდებულები დაჰყურებდნენ შუაში გაჭიმულ  
მგელს.

როცა ჩვენც დავაჯერეთ გული, რომ მგელი დახრჩობი-  
ლია, გვალეთ ფარეხის კარი. ცხვარი ოთხსართულად იდგა  
ფარეხის ბოლოში და ისე უძრავად იყო, რომ ძლივს მოვიყვა-  
ნეთ გონზე.

\* \* \*

ეს იყო 1937 წლის ნოემბერში.

თორმეტნი შევიკრიბენით და აზერბაიჯანისაკენ სანადი-  
როდ გავწიეთ.

ჩავედით ლიაკის სადგურში.

იქ გვითხრეს, ოცდახუთ კილომეტრზე არის სოფელი  
ქეთევანა, სადაც ხობები ბუზებივით ირევაო.

დავიჭირავეთ ორი ფურგუნი და წავედით.

ყველას დიდი იმედი გვქონდა ხობისა, მაგრამ ბუმბუ-  
ლიც არ გვინახავს მისი.

ხობის ნაცვლად ღორისა და მგლის კვალი ვნახეთ, მაგ-  
რამ თვალთ არც თვითონ ღორი დაგვინახავს და არც მგელი.  
ზოგი რამ კი მაინც დავხოცეთ. ორი დღის სიარულით მოქან-  
ცულები სადამო ხანს სადგურისაკენ წამოვედით. ფურგუნე-  
ბი გზაზე მოდიოდნენ, ჩვენ გზის ორივე მხარეს მოვდევედით  
ნადირობით.

ერთი სოფელი გავიარეთ და დაღამდა.

შუა გზა იქნებოდა.

რაკი თვალი ველარა სჭრიდა და ნადირობა აღარ შეიძლებოდა, ფურგუნებში ჩავსხედით. ექვსი კაცი წინა ფურგუნში, ექვსი უკანაში. მე უკანაში ვიყავი.

ათას სასაცილო ამბავს ყვებოდნენ ბიჭები და ორივე ფურგუნს გაუთავებელი სიცილ-ხარხარი მიჰქონდა სადგურ ლიაკისაკენ.

ჩვენს ფეხებთან ნანადირევი ეყარა და ზემოდან ეწყო ჩვენი თოფები, უკვე ბუდეებში ჩალაგებული და მივიწყებულიც.

მხოლოდ ჩემი თოფი იღო უბუდოდ ყველაზე ზევით და კარგად მახსოვდა, რომ ვაზნებიც ისევ შიგ ეწყო ექვსი ნომერი საფანტით გატენილი.

ბუნდოვნად მახსოვს, რომ გვერდით და უკან სანადირო ძაღლები მოგვედევნენ. შემდეგ ეს ძაღლები კარგა ხანს აღარ დამინახია.

ბინდბუნდი მუქდებოდა. მხოლოდ თეთრი გზალა ირჩეოდა აქა-იქ გარკვევით. გზის ერთ მხარეზე დაბალი ტყის წვრილიანი მოსდევდა, ისეთი წვრილიანი, სადაც ცხენიანი კაცი ვერ დაიმალება.

ისევ სიცილ-ხარხარში ვიყავით, რომ ჩვენი ფურგუნის ბოლოზე ფეხჩაქიდებით მსხდომმა ამხანაგებმა დაიძახეს:

— მგლები, მგლებიო!

მგლების ხსენებაზე მსწრაფლ დავსტაცე თოფს ხელი და დავინახე, რომ ფურგუნს უკანიდან ორი რალაც დაბალი და გრძელი ეტანება.

გონს ვერ მოვედი.

ჯერ ერთი, ჩვენი ძაღლები მომაგონდა, ფურგუნებს რომ მოსდევდნენ და მერე კიდევ ჩემს სიცოცხლეში არ მენახა მგლების თავდასხმა ადამიანებზე, ისიც ნოემბერში, როდესაც აზერბაიჯანის მინდვრებში გაზაფხულის მსგავსი ამინდები ედგა და ბროწეულის ტყეებში კიდევ შეიძლებოდა საზრდოს ბლომად შოვნა. ამიტომ, რანაირად შემეძლო უცბად დამეჯერებინა ამხანაგების ყვირილი: მგლები, მგლებიო!

ამას ისიც დაემატა, რომ ბინდბუნდში კარგა ვერ გავარჩიე და წამოვიძახე:

— არ გამაბრჩევოთ, ძაღლი არ მომაკვლევინოთ-მეთქი.

— არა, კაცო! მგლებია! ესროლე! — გაიმეორეს მათ.

უგულოდ ვესროლე მომავალი ფურგუნიდან და, როცა თოფი გავარდა, ორი მხეცი წვრილიანს ეცა. მაშინ დავრწმუნდი, რომ ესენი ძაღლები არ იყვნენ.

მაგრამ მგლები კი იყვნენ?

რამ გააბედვინა ამ ღროს მგლებს სიმღერით მიმავალ ადამიანებზე თავდასხმა?

ჩემთვის ძნელი გამოსაცნობია!

## ცოფიანი მგელი

(ნამღვილი ამბავი)

ბიძაჩემი დათა ახალგაზრდობაში მარჯვე ვაჟკაცი ყოფილა. ეს იქნებოდა დაახლოებით 1885 წელს.

— დათა ძროხაში გავგზავნეთ, — ასე იწყებდა ხოლმე მამაჩემი კაკაბეთში ცოფიანი მგლის ჩამოვარდნის ამბავს, — და ცხენით ჭერი გავატანეთ.

მაშინ ძროხა გვედგა სათიბში, ფშავლების სოფელ თარაქს ქვემოთ, მდინარე თარაქის გვერდით; ტყეში.

მკათათვე იყო.

მე ჩემი უმცროსი ძმის, ტიტეს თაობაზე, რომელმაც ყაჩაღი მოჰკლა და ასამართლებდნენ, ქოდალოს ვიყავ წასასვლელი.

ამიტომ ჩემი შავი ულაყი ამოვაყვანინე კალოდან, ხოლო ჩალისფერი ცხენი დათამ წაიყვანა.

მეორე დღეს კალო უნდა მომცდარიყო, რაკი შინ არც ერთი ცხენი აღარ იქნებოდა. დათას დავალებული ჰქონდა მეორე დღესვე დაებრუნებინა მთიდან ცხენი და მეც მეტს არ დავიგვიანებდი ქოდალოში.

რაკი მეორე დღეს კალო არ ჩაიშლებოდა, კალოზე აღარ დავრჩი, მე და ჩემი ცოლი შინ ამოვედით.



ვახშმობა რომ გადავიდა, დასაძინებლად დავემზადეთ და ამ დროს სოფელში ყანდაურის მხრიდან რაღაც ალიაქოთი, ძაღლების ღმუილი და ადამიანების წიოკი შეიქნა.

პირველად ძაღლებმა ღმუილი დაიწყეს სოფელ ვერხვიანში, რომელიც კაკაბეთსა და ყანდაურას აბამს ერთმანეთს.

ვერხვიანელი ძაღლების ღმუილს კაკაბელი ძაღლებიც შეუერთდნენ და ენა ვერ იტყვის, თუ რა საშინელი, ჟრუანტელის მომგვრელი ზანზარი იდგა სოფელში.

ხან ერთ ალაგას ატყდებოდა ხალხის წიოკი, ხან მეორე ალაგას. მაგრამ საკვირველი ის იყო: ერთ ეზოში რომ აწიოკდებოდა ხალხი, თვალის დახამხამებაზე სულ შორს და სხვა მხარეში იფეთქებდა ხოლმე ალიაქოთი. ისე რომ, ერთი აწიოკებული კი არ გეგონებოდათ, იტყოდით, ყველა კუთხიდან შეესია მტერი სოფელსაო.

ჩვენ გარეთ გვქონდა ლოგინი გაშლილი, საჩხვში. შავი ცხენიც იქვე ება თონის წინ და ეს აურზაური რომ ატყდა, ქალს ვუთხარი, შინ შევიდეთ-მეთქი.

— მე არაფრისა არ მეშინიან, — მითხრა მან დაციხვით.

ამ დროს ჩვენი ვენახის ბოლოში ატყდა წივილ-კივილი და ხმაც გავიგეთ:

— მოვიდა მგელი!

— ეგ კარგი მგელი არ უნდა იყოს, — ვუთხარ ცოლს და სახლში შევედი. მერე ლოგინის შემოსატანად გავედი საჩიხში და გავიგე, რომ ჩვენი სახლის პირდაპირ, ტეტიაანთ ვენახის მაღალ ღობეზე რაღაცა შემოხტა, მაგრამ ღობეს ვერ ამოუწია ფერდობიდან და ისევ უკან გადავარდა.

ლოგინს ხელი ვუშვი და მაშინვე უკან შემოვბრუნდი. კარი გავაღე, უკან მოვექეცი და იქითკენ მივაპყრე თვალები, საიდანაც ღობეს რაღაც შემოახტა. მაგრამ მე რომ ღობისკენ ვიყურებოდი, ის უკვე ამოსულიყო ჩვენს ფერდობზე, ცხენის წინ გამოირბინა, იმას ზედ არ შეხედა და ელდასავით დაეცა ლოგინს, ლოგინზე წაწვა და, რამდენადაც კი დაინახებოდა, ბალიში გადააბრუნა.

ამ დროს გამოვიდა ჩემი ძაღლი, ეცა მგელს. მგელმა მოიქნია და ძაღლი ძირს დააწყვიტა. მგელი ისევ დაეცა ლოგინს,

ძალი კიდევ ეცა, მგელმა გადააწყვიტა იგი იქით და კარები-საკენ გამოქანდა. ამ დროს ნახევრად ღია კარი მაგრად მივა-ჯახუნე და მგელი გაიქცა.

ამის შემდეგ ჩვენს ძალსაც ღმუილი აღარ შეუწყვიტნია. გათენებამდე ისეთი წვილ-კვილი და ქრიამული იდგა, რომ მეორედ მოსვლა გეგონებოდათ.

თურმე ჩვენს კალოზედაც მივარდა მგელი.

ერთი ქვრივი დედაკაცი გვყავდა, მაზნაური. ჩვენ შემო-გვეკედლა და ერთი ჩოკინა ვაჩუქეთ. ჩოკინა მოწულში ჰყავ-და. თურმე იქით ეზოში რომ წვილ-კვილი შექნეს, ის გაიქ-ცა, ოხერმა მგელმა ჩოკინა არ შემიქამოსო.

მისი მისვლა მოწულთან და მგლის დატაკება ერთი იყო. საწყლისათვის ლოყა მოეგლიჯა მთლიანად...

გარიყრაჟისას მიწყნარდა ყველაფერი და ძაღლებმაც ღმუილი შეწყვიტეს. ხალხი გარეთ გამოვიდა და მათი ყაყა-ნით ორღობეები აივსო. ყველა თავის ამბავს ყვებოდა.

მგელს სოფელში ოცამდე კაცი დაეგლიჯნა.

ოთიანთ სოსიკომ გვიამბო:

— გუთანზე მივდიოდი, ხელში გუთნის გასაღები და ლურ-სმნები მეჭირა; ექვთიმიაანთ მოსახვევთან რომ მიველ, წინ შემეჩეხა და მეძგერაო. გამწარებულმა, რადგან სხვა იარაღი აღარ მქონდა, ლურსმანი ისე მაგრად დავაქირე, რომ თავში ძირამდე ჩავურჭე, ხოლო არ ვიცი ტვინში ჩავიდა თუ ტყავ-ტყავ წავიდა ქალაზეო.

აუარებელ ამგვარ შემთხვევას ამბობდნენ გლეხები და ყველა ასკვნიდა, ეს მგელი უეჭველად ცოფიანი იყოო.

რაკი გავიგე, მაზნაური დაეგლიჯნა, ჩავედი კალოზე და იქიდან ქოდალოს წაველ.

საღამოს რომ დავბრუნდი, წინა დღის წასული დათაც ჩამოსულიყო მთიდან და მგლის ტყავს ართხობდა ეზოში.

— რა არის, ბიჭო, ეგ, მოკვდა რამე? — ვკითხე დათიკოს.

— არა. ერთი მგელი მოვკალი დილას და იმისი ტყავია.

რაღაც საკვირველი მგელი კია! — დაუმატა მან და გვიამბო ამ უცნაური მგლის ამბავი:

„დილა-სისხამი იყო; საქონელი ავშალე გასადილავებლად და უკან რომ დავბრუნდი, დავინახე, ქედა ძაღლს რაღაცა ამოედო ქვეშ და სთეთქეავდა. ერთი ლეკვი გვეყავდა, იმისი გათეთქვა უყვარდა ხოლმე ხანდახან ქედას გართობისათვის. ვიფიქრე, ლეკვსა სთეთქემს-მეთქი და გავიქეცი. მაგრამ სანამ მივიდოდი, დავინახე, რომ ახლა ქედა ამოიღო იმ რაღაცამ ქვეშ, რომელიც უზარმაზარი ტანისა იყო, და მივხვდი, რომ ეს ლეკვი კი არა, სხვა რაღაც საზარელი იყო.

ახლო რომ მივედი, ვნახე, ვეებერთელა მგელი და ძაღლი ერთმანეთს თავგანწირვითა ჰკმუჯნიდნენ. მაშინვე შევეარდი ქოხში თოფის გამოსატანად, მაგრამ, თოფი რომ გამოვიტანე, მგელი იქ აღარ დამხვდა.

ქედა ძაღლი ოთხზე იწევა, ენა მკლავის სიგრძელ ჰქონდა გადმოგდებული და თვალდაუხამხამებლად მისჩერებოდა მაყვლის ბუჩქს, რომელიც ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზე იქნებოდა ტყის პირში.

გამიკვირდა, ასე უეცრად როგორ მოეშვა მგელი ქედას, ან რატომ უკან არ გამოუდგა ძაღლი. ვათვალისწინებდი აქეთ-იქით და ბოლოს, ქედასაკენ რომ ვქენი პირი, უეცრად წამოხტა ძაღლი, მეგონა მე უნდა მეცეს-მეთქი, გამოქანდა ჩემკენ და გვერდი ისე მაგრად გამკრა, კინალამ წავიქეცი. მივიხედე და ჩემს ზურგთან ისევ დაეტაკნენ ერთმანეთს ძაღლი და მგელი. თურმე, ნუ იტყვი, ძაღლისაკენ რომ ვქენი პირი, მაყვლის ბარდიდან გამოძვრა მგელი და ზურგში უნდა მცემოდა, მაგრამ ქედა მომეშველა.

ძალიან აიხორხლენ ძაღლი და მგელი, ისე ჩაეგრიხნენ და ჩაეწვნენ ერთმანეთს, რომ თოფის ხმარება ძნელი იყო, შესაძლო იყო მგლის მაგივრად ძაღლი მომეკლა. ამიტომ თოფი ისევ ქოხში შევიტანე და ხელი დავტაცე ქოხზე მიყუდებულ დიდ კომბალს.

დავუწყე ცემა მგელს.

რადგან ისევ ქედამ ამოიღო ქვეშ მგელი, ველარც კომბალს ვუყენებდი დასარტყმელად და დიდხანს თეთქვა იგი

ძალმა. ბოლოს ისე დაიღალა ქედა, რომ თავი გაანება და ახლა ის შეძერა მაყვლებში.

რაკი მგელი მარტო დარჩა, დავუშინე ჯოხი, ვუყაპუნებდი რაც ძალი და ღონე მქონდა, მაგრამ უეცრად მგელმა ჯოხს პირი მიტაცა და ისე მაგრად დაიჭირა, რომ ვეღარ წავართვი: თან ეჭირა და თან ნელ-ნელა ჯოხს პირით ჩემკენ მოსდევდა.

ცოტაოდენი შევფიქრებინდი, თავგზა ამებნა. აღარ ვიცოდი რა მექნა: გამეშვა ჯოხი და გავქცეოდი, მგელს როგორ გავექცეოდი, არ გამეშვა და მიახლოვდებოდა.

ის-ის იყო, უნდა მწვდომოდა მარჯვენა მკლავში, რომ უეცრად მაყვლიდან ისკუბა ქედამ და მგელს დაეტაკა ზურგში. ისე მაგრა აიტაცა შესვენებულმა ძალმა მგელი ძალა, რომ ჯოხი ხელიდან გამოიტაცა.

საკვირველი ძალ-ღონით დაახეთქა ქედამ მგელი ძირს, ამოიღო კიდევ ქვეშ და შიგ ყელში ჩაავლო პირი. თითქოს სასიკვდილო ძარღვი უპოვნაო, წაუჭირა მაგრად და გაირინდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ მგელმა ენა მთლად გადმოაგდო და თვალები დახუჭა. დამხრჩვალ კიდევ რამდენჯერმე გაიქნია ქედამ და, როცა დარწმუნდა, რომ ცოცხალი აღარ იყო, ზედ გადააბოტა, გადმოვიდა და გვერდით დაუჯდა.

ძალმა დაახრჩო მგელი.

გახარებულმა მკლავი მოვხვიე ჩემს მხსნელ ქედას, მოვუალერსე, დავუკოცნე თვალები; მერე წყალი დავალევინე და ამის შემდეგ შეძერა იგი მაყვლის ბარდში, საიდანაც საღამომდე აღარ გამოსულა.

მგელი რომ ხეზე ჩამოვები გასატყავებლად, გადილავებული საქონელი ბინაზე დაბრუნდა. ხელი კარგად დავიბანე და საქონელი დავწველეთ. დაწველის შემდეგ ისევ გავრეკეთ ცივის ძირისაკენ საბალახოდ და მე მგლის გატყავებას შევეუღექ.

როცა სულ გავატყავე და თავრიელს ვაცლიდი, უცბათ გრძელ ლურსმანს წავაწყდი თავში. გამოვიღე, კარგა გავსინჯე, ვატრიალე ხელში ეს ლურსმანი და ვერ გამომეცნო, თუ რა განგებით უნდა ჰქონოდა მგელს ლურსმანი თავში.

— რა უყავ ის ლურსმანი? — ვკითხე დათას.

— აქა მაქვს, — სთქვა მან და გუდიდან ამოიღო ხელსახოცში გახვეული ლურსმანი, რომლის სიგრძე ერთი ციდა იქნებოდა.

დაეუძახეთ ოთიაანთ სოსიკოს.

მოვიდა და ვუჩვენეთ ლურსმანი.

სოსიკომ იცნო მის მიერ მგლის თავში ჩარჭობილი ლურსმანი და ტირილი დაიწყო. მას უკვე მორეული ჰქონდა ცოფი და აცაბაცად ლაპარაკობდა.

აქედან დადასტურდა, რომ დათას ის ცოფიანი მგელი მოეკლა, რომელიც ყანდაურის ტყიდან კაკაბეთში გადმოვარდა.

რამდენიმე დღის შემდეგ კაკაბეთის სხვადასხვა უბნებში გაისმა არა ცოფიანი მგლისა, არამედ ცოფიანი ადამიანების საზარელი ღმუილი. ისინიც ისე ღმუოდნენ, როგორც მგლები ღმუიან ხოლმე.

ქოდალოდან ექიმი მოვიდა, მაგრამ მაშინ საქართველოში ცოფის წამალი არ იყო. ექიმმა თქვა, მაგათი მორჩენა მხოლოდ რუსეთში შეიძლებაო, მაგრამ რუსეთში არავინ წასულა.

ცოფიანები ბნელ ბოსლებში შეიყვანეს, იქ მაგრად მიაბეს ბოძებზე და ასე იღმუვლეს დაბმულებმა მანამდე, სანამ არ დაიხოცნენ.

— ქედა ძალლი? არ გაცოფდა? — ვკითხე მამაჩემს.

— ქედა ძალლს ცოფის წამალი ვაჭამეთ, — მომიგო მამაჩემმა და თან ამიხსნა: — არის შინაური წამალი, ცოფის ჭიას ეძახიან. ეს ჭიები კანაფა ბალახის მტერიან თავებზე სხდებიან, მათ დაიჭერენ, გაახმობენ, ან დანაყავენ, ან დაჭტქევენ ხოლმე და იმას აჭმევენ დაცოფილს.

— დათა ძიაც მაგით მოარჩინეთ? — ვკითხე კიდევ მამაჩემს.

— ჰო, — მომიგო მან.

ვინ იცის, იქნებ ეს წამალი მართლა წამალი იყოს. მაგრამ უფრო მართალი ის იქნება, ჩემის აზრით, რომ მგლის ცოფი არც ბიძაჩემის სისხლს მოხვედრია და არც ძაღლისას, რომელსაც ამის შემდეგ თურმე უვლიდნენ, როგორც დიდად პატივცემულ ვაჟკაცს.

1935 წელს, მკათათვეში, კაკაბეთს ვიყავი დასასვენებლად. ერთად თავმოყრილი გლეხები ვლაპარაკობდით ნადირობაზე და სხვათა შორის ვამბობდი, რომ მგლისაგან შექმული კაცი არ მინახავს-მეთქი.

სწორედ ამ დროს დისპანსერიდან მოსულმა გლეხმა თქვა: ამ წუთას ყანდაურიდან ჩამოიყვანეს თოთხმეტი წლის ბიჭი, რომელიც მგელს დაუგლეჯნია დილასაო.

მაშინვე გავიქეცი დისპანსერში.

მგლისაგან დაგლეჯილს თავს უხვევდნენ და, როცა ვკითხე, როგორ იყო საქმე, მიაშბე-მეთქი, ველარაფერი მითხრა, ხოლო მისმა დედამ მიაშბო:

„ღორები გავატანეთ, შვილო, დილას ტყეში ამ ჩემს ბიჭს და იქვე, ჩვენი სახლის წინ, ორღობეში რომ გავიდნენ, ღორები ვილაცის ხბორებს შეერივნენ.

— დედი! დედი! აგე, მგელსა ჰხედავ ხბორებში? — დამიძახა მან და სახრით გამოუდგა მგელს, რომელიც მართლა ხბორებში ჰკვიანად მიდიოდა. მე დავუყვირე: — დაეხსენ, არ გეცეს-მეთქი, ამან უკვე გადაჰკრა სახრე. სახრის დაკვრის უმაღვე მოუბრუნდა და თავპირში ეცა ბიჭს, ძლივს გავაგდებინეთ. ჩვენ ბიჭს წავეხვივნეთ და მგელი კი გაიქცა.

მართლაც, ბავშვს თავის ქალა სულ მთლად დაგლეჯილი ჰქონდა. საჩქარო დახმარების შემდეგ დაცოფილი ბადიაურს იქნა გაგზავნილი თბილისში ჩასაყვანად.

## ქ ა ლ ლ ი

როდესაც უნდათ დიდი ერთგულება გამოსთქვან, იტყვიან ხოლმე, ძალღვივით ერთგულიაო.

ძალღის ერთგულებაზე ბევრი ანდაზა, ბევრი ბრძნული გამოთქმა და ამბებიც კი არის.

ძალღი მართლაც ძალიან დიდი ერთგულია ადამიანისა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მონადირეთა ცხოვრებაში. მონადირის განუყრელი მეგობარია ძალღი. უძაღლოდ მონადირე —

მონადირე არ არის. მონადირისათვის ძალი მოქმედების დედა-ღერძია, გამყოლი, ზოგჯერ წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი, მშველელი და უერთგულესი თანაშემწე.

ჩემს ძალს ცანგალა დავარქვი.

მართლაც ნამდვილი ცანგალაა — ცქვიტი, ხალისიანი, პატარა ტანის სეტერი, მთლად წაბლისფერი, ფუნჩულა გრძელბეწვიანი.

— ცანგალ!

დავუძახებ თუ არა, მაშინვე შემოვარდება ჩემთან ოთახში და შიგ თვალებში მომასუტერდება, გარინდებული მიყურებს, თან ბრძანებას ელას.

— ცანგალ, სანადიროდ წავიდეთ! — ვეუბნები და ის ალერსით კუდს იქნევს, წკმუტუნებს. ესმის ჩემი ლაპარაკი, მაგრამ ხუმრობა ჰგონია. ხოლო თუ თოფს წამოგავლებ ხელს, სიხარულისგან დატრიალდება, შემომახტება ზედ რამდენჯერმე და შემდეგ გარბის წინ. გული ფეხს უსწრებს.

ქუჩაში რომ გავალთ, ხან უკან გამომყვება, ხან გვერდით, ხანაც წინ ირბენს — როგორც ვუბრძანებ.

— რა მშვენიერი ძაღლია! რა კარგი ძაღლია! რა ჰქვია? — მეკითხება ვიღაც უცნობი ქალი და თან ხელს უსვამს თავზე პირუტყვს, რომელიც, თითქოს ზრდილობისათვის, ალერსიანად შეჰყურებს უცნობს და კუდს იქნევს.

თითქოს ეს ძაღლი ხდება მიზეზი ჩვენი გაცნობისა. ქალი განაგრძობს შეკითხვებს და ვერ შორდება ძაღლს.

— ცანგალა? მშვენიერი და თავისებური სახელი გამოგიძენიათ, — მეუბნება ქალი და განაგრძობს:

— რაზედ ნადირობთ? სად ნადირობთ?

მეც ვუპასუხებ და ამ პასუხებში ვფრთხილობ მეტი არ მომივიდეს, როგორც მონადირეებს სჩვევიათ.

— სად ვნადირობთ? — ვეუბნები უცნობს, — ყველგან: აღმოსავლეთში, დასავლეთში, ჩრდილოეთში, სამხრეთში — ეგ იმაზეა, თუ როდის და რა დროს ვნადირობთ. ამჟამად მე მწყერზე გახლდით.

— თქვენი სახელი?

— სოსო. — თქვენი?

— ციცი!

— ციცი? — ვეკითხები გაკვირვებული და ვუმატებ, — თქვენც მშვენიერი და ნაზი სახელი გქონიათ.

ციცი იღიმება და ცოტა ხნის შემდეგ მეკითხება:

— მე მაინტერესებს, როგორ ნადირობთ მწყერზე.

— ვიამბობთ.

მწყერი აპრილში მოფრინდება ხოლმე ჩვენში, თიბათვეში კვერცხს სდებს და მკათათვეში უკვე ბარტყები ჰყავს გამოჩეკილი. აგვისტოში უკვე დაფრენილები არიან და ფეტვის შემოსვლის დროს ძალზე სუქდებიან.

— აპრილში არ ნადირობთ?

— არა, — ვუპასუხე მე, — აპრილში ცოლოა. ჯერ ერთი, მოსავლისათვის არ არის ხეირი, რადგან მწყერი ჯეჯილებში პურის მავნებელი მწერებით იკვებება და ამ დროს კვერცხის დებას იწყებს.

ტყუილად კი არ გამოუთქვამს ქართველ ხალხს ამაზე მშვენიერი ლექსი:

ყანაზედა მივდიოდი,  
ამიფრინდა თვალწინ მწყერი,  
სახრე ვტყორცნე, მოვახვედრე,  
წავაგლიჯე თავ-კისერი.  
წინ დავხედე, ბუდე ვნახე,  
შიგ ბარტყები სულ შიშვლები,  
ძიგძიგობდნენ, ჰყიპინობდნენ  
საცოდავად ის ობლები,  
თითქოს ასე მაყვედრიდნენ:  
შე უღვთო და შე უწყალო!  
რისთვის უმტრე დედაჩვენსა,  
რას ერჩოდი, რომ მოკალო!

აგვისტოში კი, როცა ფეტვი იწევა, ყოველმხრივ სახეიროა მასზე ნადირობა.

მწყერი ბელურაზე მოზრდილი, მეტად მშვენიერი, მიწისფერი ფრინველია. არასოდეს ხეზე არ ჯდება და სწორედ ამი-



სათვის უთქვამთ: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისიო“. იგი დაგოგავს ბალახებში, ჭეჭილებში, ყანებში, განსაკუთრებით უყვარს ფეტვი და ძურწას მსგავსი ბალახია, ნუგბარის თესლი.

ძალდი გაცეცხლებული დარბის ძურწებში თუ ნაფეტვარში. თან ეძებს და თან ჩემსკენ გამოიხედავს ხოლმე — მოდის თუ არა, ან ძალიან ხომ არ დავშორდიო.

უეცრად შედგა და გაქვევებული დგას.

ჯერ ოთხსავე ფეხზე დგას ძალდი, შემდეგ ვატყობ, რომ იქ, მის წინ, მწყერი განაბული ზის.

აშკარაა, მწყერი ხედავს ძალდს, მაგრამ ჰგონია დაემალა მას და ადგილიდან არ იძვრის. ამ დროს მეც მივალ ახლოს, გავუსწორდები და ვეტყვი:

— ეცი!

ძალდი წინ წაიწევს და ააფრენს. აფრენის დროს ერთს წიწილასავით დაიწვილებს ხოლმე, თითქოს ამით თავს უშველაო, მაგრამ გაიტკაცუნებს მონადირის თოფი და მწყერი ჩამოვარდება.

— საწყალი! — წამოიძახა ციციმ.

— დიახ, საწყალი, მაგრამ თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა გატაცება იცის ნადირობამ, თვით ძალდიც ხშირად ისე გაერთობა ხოლმე, რომ თუ არ დავუსტივინე, ვავიწყდები.

— ძალდი?

— ძალდი მთავარი მოქმედი პირია ნადირობაში. შესაძლოა მთელი მინდორი გადაქსელოთ ფეხით, მაგრამ უძალლოდ არც ერთი მწყერი არ ავიფრინდეთ. ფეხის ხმაზე იგი ლამაზად და სწრაფად გაგოგდება ხოლმე ბალახებში და, როდესაც ვერც ერთს ვერ ააფრენთ, წამოიძახებთ:

— ამ მხარეში ერთი მწყერიც არ არისო.

— სიამოვნებით მოგისმენდით კიდევ, — მეუბნება ციცი და ვატყობ, რომ მას დიდი ინტერესი დაებადა ნადირობისადმი.

### კაკაბუზი ნადირობა

კაკაბუზი ჩვენს ფრინველთა შორის ერთ-ერთი უმშვენიერესთაგანია. იგი მტრედზე ოდნავ დიდია და მტრედივით ოჯახო-

ბით ანუ ბუდობით ცხოვრობს; ძალიან უყვარს ციკაბო კლდე-  
ებში ბუდობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ნაფრთხობია.

ლამდამობით კაკბები მიუვალ ადგილებში, სალ კლდეებში,  
ღრმა ხეცებში ან ნაქცევებში იმყოფებიან საფრთხის თავიდან  
ასაცდენად, ხოლო დილდილაობით კაკანიტ გაიშლებიან  
ხოლმე მინდვრებში, სადაც ბალახის თესლით, ხორბლეულითა  
და წვრილი კენჭებით იკვებებიან.

ექვსნი ჩავედით აზერბაიჯანში და კოვლიარის სადგურიდან  
ფურგუნით გავწიეთ მტკვრის ნაპირისაკენ, რომელიც რკინი-  
გზის აღმოსავლეთით 12 კილომეტრზე იმყოფება.

მტკვრის ნაპირებს რომ გადავხედეთ, შარაზე გავიშალე-  
ნით, შარა შემდეგ უფრო გაგანიერდა და როდესაც ხეცებში  
ჩავეშვით, დავიფანტენით. უცებ აბრიალდა ჩემს მიახლოვება-  
ზე ერთი გუნდი კაკბებისა და ერთად აფრენილები გზაში სამ  
ნოტოდ<sup>1</sup> გაიყვნენ, სხვადასხვა მხარეს წავიდნენ. ამან უფრო  
მეტად დაგვაშორა ერთმანეთს მონადირეები და ძაღლისთვი-  
საც ადვილი შეიქნა კაკბებთან მისვლა.

კარგად ვადევნე თვალი გაფრენილებს.

წამოფრინდნენ თუ არა, იქვე გადაველნენ გორის თავს  
ისეთნაირად, იფიქრებდით, აქვე დასხდნენო, მაგრამ სერზე  
რომ შევირბინე საჩქაროდ, დავინახე, ახლა მეორე გორის  
თავს გადაველნენ ისეთნაირადვე, და კიდევ რომ დავაკვირდი,  
ვნახე, რომ მესამე გორის ფრიალო ნაპირს შემოუხვიეს  
მტკვრის მხრიდან.

ჩავედი ხევში. სადღაც თოფი გავარდა.

როცა ხევში ხარ, ვერ გამოარკვევ ადვილად, თუ საიდან  
ისმის თოფის ხმა, ხოლო ორი წუთის შემდეგ დავინახე, რომ  
გორის თავზე კაკბების გუნდი გადმოეშვა. აშკარაა, მათ შემამ-  
ჩნიეს და ორად გაიყვნენ: სხვადასხვა მხარეს წავიდნენ.

„რაკი მონადირეებმა გუნდები დაშალეს, ახლა ისინი თი-  
თო-თითოდ გაიშალნენ ბალახებში და ძაღლი ადვილად იპოვ-  
ნის“, — ვიფიქრე და გორის ყურეებს შევყევი.

მართლაც უეცრად შედგა ძაღლი და რაღაცას დააშტერდა.

<sup>1</sup> ნოტო — მწკრივი.

მერე დიდხანს ვუყურე, მინდოდა დამენახა, თუ რას უყუ-  
რებდა ძალლი, მაგრამ ტიტველ, ქვიშიან მინდორზე არაფერი  
ჩანდა.

— ეცი, ცანგალ! — ვუთხარი ძალლს.

ძალლი ნაბულით წავიდა წინ, მერე ძებნა დაიწყო, იარა,  
იარა და კლდის ყურეებში ჩავიდა, ვიფიქრე არაფერია-მეთ-  
ქი, და თოფი მხარზე გავიდე.

ძალლი ღელეში ჩავიდა და, რომ არ დაბრუნდა, დავუს-  
ტვინე. წორედ ამ დროს ააფრინა ძალლმა კაკაბი. გავიქეცი,  
სანამ მივიდოდი, მეორეც აფრინდა.

ამ ადგილებში ძალიან დიდი გვალვა ყოფილიყო.

ნამცეცი ბალახი არსად იყო, გარდა იმ ადგილებისა,  
სადაც წყაროები გამოდის. ამიტომ უძნელდებოდა ძალლს მათ-  
თან მისვლა. ტიტველზე შორს გვხედავდნენ და ძალლს ყნოსვა  
ვერაფერს შევლიდა. ერთი გორის ფერდს შევუდექი და თავი  
რომ აეყავი სერზე, მეორე ფერდზე აფრინდა კაკაბი. კლდის  
პირს რომ გამოუსწორდა, მაშინ ჩამოვაგდე. იგი ჩალებში ჩა-  
ვარდა. ძალლი ელვასავით გადაეშვა ჩალებში და, რომ გადავი-  
ხედე, ვნახე, რომ ძალლი ძალიან ღრმად ჩაეარდნილა: კლდეს  
ექვსი მეტრი სიმაღლე ექნება ძალლამდე, ხოლო ძალლს ქვე-  
ვით კიდევ კლდე არის, რომელიც პირდაპირ მტკვარშია ჩაშვე-  
ბული.

ძალლს უკვე კაკბის დარდი აღარა ჰქონდა, იგი გრძნობდა,  
რომ სახიფათო ალაგას ჩაეარდა. მეც დამავიწყდა კაკაბი, იმას-  
ლა ვფიქრობდი, თუ როგორ ამომეყვანა ძალლი.

კლდის ნაპირას მდგარ ჩალებს მოვკიდე ხელი და კონდახის  
ქიმით კიბის გაკეთებას შევუდექ. გავაკეთე ერთი საფეხური  
და, ფეხი რომ ჩავდგი, ჩაინგრა. დავრჩი ჩალებზე ჩამოკიდე-  
ბული. ჩემდა საბედნიეროდ, ჩალები მეტად გრძელძირკვიან-  
ნი და მაგარი გამოდგა და მათი საშუალებით ისევ ზევით ავ-  
ბობლდი. დაბლა კი ცანგალა ისევ წკმუტუნებდა: ხან ერთ კი-  
დეს მოდგებოდა შემოსახტომად, ხან მეორეს, მაგრამ ჩემამდე  
ვერ აღწევდა.

დაბლა მტკვარი მიდუღუნებს დინჯად და უღარდელად,  
შუაზე ცანგალა წკმუტუნებს და სულ მაღლა, კლდის ნაპირ-

ზე მე ვარ შეწუხებული, შემფოთებული მით უფრო, რომ ჩემი ძახილი ამხანაგებისადმი ამაოდ იკარგება ხევებში და კლდეებში.

ხუმრობა საქმეა? ორასი კილომეტრის მანძილზე წამოველ, ერთი კაკაბი ძლივს მოვკალ, მოკლული დავკარგე, მე ვილუპე-ბი, ძალლიც მელუპება და დევნა ხომ მეტია და მეტი.

საგონებელში ჩავეარდი. ყველა მხრიდან მოვსინჯე კლდე. კლდის ერთ მხარეს, მეტად დაქანებულ ფერდზე, თითქმის ჩაქცეულზე, ერთი მაღალი ქაცვი იდგა. ქაცვში შვინდ-ლარწას მსგავსი გრძელი მცენარე ამოსულიყო. ამ ორთავე მცენარის საშუალებით ჩავთხარე კლდე თოფის კონდახის ქიმით ისე, რომ გრძელი მცენარე თოკად მქონოდა და თან საფეხურები გამეკეთებინა.

მიპრიანა ბედმა და მანძილამდე რომ ჩავისაფეხურე. შემოხტა ცანგალა და ფეხზე მომეხვია წინა ფეხებით. შვინდლარ-წა რომ არ გაწყვეტილიყო, ქაცვსაც მოვჭიდე ხელი და ფეხით ამოვითრიე ძალლი ქაცვამდე. ქაცვიდან ჭერ ძალლი ავსვი ზევით და მერე დავიწყე ბობღვა. ახლა ცანგალა სწუხდა ჩემთვის. რამდენჯერმე კლდეზე გადმოაწყო ფეხები ჩემთან გადმოსახტომად, მაგრამ მე გავუჭავრდი და ზევით ასვლას დავეუჩქარე.

როცა უკანასკნელ ჩალას წავეავლე ხელი და ნაპირზე ავბობლდი, ძალლი სიხარულით ისე მაგრად შემომახტა, რომ კინაღამ უკანვე კლდეში გადამაგდო.

უნდა გავჭავრებულიყავ, მაგრამ მისი სიხარული მეც გავიზიარე და კლდის ნაპირებს მოვშორდი

ჩავეყვი ფერდობებს, ღელეებს და ერთ ალაგას, ქანჩახში, საიდანაც ჩალის თავები და ხის ამოშვერილი კენწეროები ჩანდა, შურდულის ქვასავით ჩაეშვა კაკაბი და კი არ დაჭდა, არამედ, ისე მაგრად დაეცა დედამიწაზე, რომ დაცემის ხმა გავიგონე.

გავვოცდი, მაგრამ გაოცება გაიფანტა, როდესაც მის შემდეგ ისარივით გადმოიშხუვლა ქორმა. თურმე ქორი მოსდევდა უკან და, რა წამს კაკაბმა თავშესაფარი დაინახა, შიგ ჩაერკო.

ქორმა, რაკი მსხვერპლი დაჰკარგა, მალა დაიწყო ტრი-  
ალი.

ცანგალამაც იუცხოვა კაკბის ასე ჩავარდნა ჩალებში და  
ნელ-ნელა ჩაჰყვა ჩალიან ფერღობებს. მეც ჩავყევ, ჩავცდი  
კიდეც იმ ადგილს, სადაც კაკაბი ჩაეცა. ძალმა დიდხანს იარა  
ჩალიან წარაფებში, და, კარგა ხანი რომ გავიდა, კაკაბი შორს  
აფრინდა, ჩემს თავზე უნდა გადმოეფრინა, მაგრამ მალე შემამ-  
ჩნია და ამერიდა. სწორედ იქეთკენ მიუხვია, სადაც ქორი ტრი-  
ალებდა. ჰკრა თუ არა ქორმა თვალი, ხელახლა დაედევნა კა-  
კაბს. კაკაბი ისევ მოტრიალდა და პირდაპირ ჩემსკენ გამოე-  
შურა. თითქოს მხედავდა და შეგნებით მოდიოდა ჩემსკენ  
თხოვნით, დავხმარებოდი, მფარველობა გამეწია.

მართლაც: ამ სურათმა ძალიან შემაცოდა კაკაბი და გამო-  
ვესარჩლე: თოფი ვესროლე ქორს, მაგრამ დახეთ ბედს! ისევ  
კაკაბს მოვარტყი, ქორი კი რამდენჯერმე ჰაერში დარიახდა<sup>1</sup>,  
შემდეგ ცის ლაჟვარდისაკენ შეტრიალდა და უვნებლად წა-  
ვიდა.

სალამოყამს ხუთნი მივედით ფურგუნთან. აქ გამოჩნდა  
ყველა ჩვენთაგანის ვაჟკაცობა.

ერთს შვიდი მოეკლა, მეორეს — ექვსი, მესამეს — ხუთი,  
მეოთხეს — ოთხი. მე ერთი კაკაბით მივედი. მეექვსე ამხანა-  
გი ჯერ არ მოსულიყო.

უკვე ბინდლებოდა და ვლონდებოლით ამხანაგის მოუსე-  
ლელობით. ათასი რამ შეიძლება კაცმა იფიქროს: ან კლდეში  
ჩავარდა, ან, ვინ იცის, კიდეც რა მოუვიდა?

ამიტომ წამოვავლე თოფს ხელი და შევეუდექი ფერღობს,  
გადავცდი თუ არა პირველ გორაკს, მოსახვევში ამოფრინდა  
ერთი კაკაბი — ჩამოვავდე, ამოფრინდა მეორე — ისიც ჩამო-  
ვავდე. ამ დროს ვილაცამ თოფი გაატკაცუნა გორაკის გადაღმა.

ორი კაკაბის ალებაც გამეხარდა და ამხანაგის პოვნაც.

კოტა ხნის შემდეგ ისიც მოვიდა.

სამწუხაროდ, ვერაფერი მოეკლა.

ყველანი ფურგუნთან შევიკრიბებით.

---

<sup>1</sup> დარიახდა — დატრიალდა, შეტორტმანდა.

ამხანაგის ხელცარიელად დატოვება ორი დღის ნადირობიდან იმისთვისაც სირცხვილი იყო, ჩვენთვისაც. ლევანს ყველაზე მეტი ჰქონდა მოკლული. მან თავისი ნანადირევი გაუნაწილა ამხანაგს და შებინდებისას გაუუდექით გზას კოვლიარის სადგურისაკენ.

### რად ღამაბრალეს?..

ხოხობზე ნადირობა გაიხსნა.

შევიყარენით მონადირენი და სადგურზე გავედით. იქ იყვნენ გიგოც, გოლაც, ლევანიც, სოლეიმანიცა და სხვებიც.

სადგური გაქედილი იყო მონადირეებით. რომელიმე საბრძოლო პუნქტი გეგონებოდათ, სადაც თავი მოეყარნა თოფიარალით და გულა-ნაბადით შექურვილ ხალხს.

ისმოდა ხარხარი, ყაყანი და ძაღლების ხან ღრენა, ხან ჩხუბი და ჩხუბს მოსდევდა პატრონთა ყვირილი.

თითქმის ყველა კახეთისაკენ აპირებდა, რადგან კახეთი ახლოც იყო და კაი ხნის ნაკრძალიც, რის წყალობითაც უეჭველად ხოხბები საკმაოდ იქნებოდნენ გამრავლებული.

ბილეთების სასყიდლად ჭერში მდგომი ჩვენი ამხანაგი მოვიდა, გვაცნობა, კახეთის მატარებელზე ბილეთები აღარ იყიდება, რადგან ძალიან ბევრი წამსვლელია და მატარებელი გადატვირთულიაო.

ეს ამბავი ძალიან გვეწყინა, მაგრამ რაღას ვიზამდით, გადაწყვიტეთ: რომელ მატარებელზეც კი ვიშოვიდით ბილეთს, საითაც უნდა მიდენილიყო იგი, — წავსულიყავით.

ვიშოვნეთ ბილეთები ბაქოს მატარებელზე, ჩავსხედით და წავედით.

ბიჭებმა გზაში გადაწყვიტეს, ძეგამში ჩამოვსულიყავით. მათი აზრით, ძეგამი იმით იყო ხელსაყრელი, რომ იქიდან არც ისე ძალიან შორს იყო მტკვრის ნაპირები, სადაც, ჩვენი აზრით, ხოხობიც შეგვხვდებოდა, კურდღელიც და კაკაბიც.

ძეგამის სადგურზე გათენებას მოვუცადეთ და როცა გათენდა, მშრალი ხევის ორივე მხარეს გავშალეთ შარი, ორ კილომეტრზე მაინც გაიშალა ჩვენი შარი და ასე ჩავედით

მტკვრის ნაპირებამდე, მაგრამ არც ერთ ჩვენთაგანს არც კურდღელი უნახავს, არც რაიმე ფრინველი.

მხოლოდ მტკვრის ნაპირებთან აფრინდა ერთი გუნდი კაკბებისა და იმ სიშორედ წავიდა, რომ ველარც კი ვივარაუდეთ, სად დასხდებოდნენ.

იქ ერთად შევიკრიბენით და ერთმანეთს გავუზიარეთ ჩვენი შთაბეჭდილებანი. ზოგმა თურმე კაკბების აუარებელი ნაქეჩი ნახა.

ცოტა ხანს ვითათბირეთ და ისევ გავიშალენით.

ფერდობს რომ დავეშვით, ხევებიდან ერთი კურდღელი გადმოხტა და გოლასაკენ გაიქცა: გოლამ ესროლა. კურდღელმა მიუხვია და ლევანისაკენ წავიდა. ლევანმაც ესროლა, კურდღელი ხევგალმა გავარდა და იქ სოლეიმანმა ესროლა. სოლეიმანიდანაც გამოიქცა და გაბომ ესროლა. გაბოსაგან კურდღელი ისევ გოლასაკენ გაიქცა. გოლამ კიდევ ესროლა და ახლა ჩემსკენ გამოიქცა. მეც ვესროლე, კურდღელი უფრო სწრაფად გაიქცა ისევ ხევისაკენ. ხევის პირში გიგომ ესროლა და კურდღელი წყალში ჩავარდა.

— ვინ მოჰკლა? — გაისმა კითხვები.

— სოსომ, — წამოიძახა გიგომ.

— არა, კაცო, ჩემს შემდეგ გიგომ ესროლა, — ავირიდე ცილი.

— სოსომ მოჰკლა, სოსომ! — გაისმა ერთხმად. — თითქოს შეთქმულები არიანო, ისე მწყობრად ამტკიცებდნენ თავიანთ აზრს.

— კაცო, — ვცხარობდი მე. — როცა ჩემი თოფი გავარდა. კურდღელი უფრო სწრაფად გაიქცა...

— მართალია, — გააწყვეტინა ლევანმა და დაუმატა, — მაგის მიზეზი სწორედ ის არის, რომ შენი თოფი მოხვდა.

— მერე? გიგომ რომ ესროლა და კურდღელი წყალში გადაყირავდა, ის რაღა იყო?

— სულ ერთია, მე რომ არ მესროლნა, მაინც გადაყირავდებოდა წყალში, — აგვიხსნა გიგომ.

— რას ამბობ, კაცო?!..

— რას ვამბობ და სიმართლეს, შენი ნათოფარი თავის დასახრჩობადლა წამოვიდა ჩემკენ.

ყველამ გაიცინა, მხოლოდ მე შევიკარი წყენით შუბლი.

— არა, ეგ ვიხუმრე, — თქვა გიგომ, — ნამდვილად კი კურდღელი შენი მოკლულია. აიკიდე.

— არა, მე მაგ კურდღელს ზურგზე არ ავიკიდებ, — ვიუარე და გავშორდი ჩემ წინ გაჭიმულ კურდღელს.

შემდეგ ყველამ ერთხმად დამიმტკიცეს, რომ კურდღელი ჩემი მოკლული იყო და უარი თქვეს ჩემი კურდღლის აღებაზე. ამასთანავე უეცრად ერთხმად, შეთქმულებივით წავიდნენ აქეთ-იქით.

მარტო დავრჩი კურდღელთან და დავფიქრდი.

„დამცინიან ამხანაგები, თუ მართლა მე მოვკალი?“...

ვამბობდი გულში და გულითადი ჭირისუფალივით დიდხანს ვადექი კურდღელს თავზე.

ბოლოს, როდესაც მიმოვიხედე და ვნახე, რომ აღარც ერთი ამხანაგი აღარ არის, ავიკიდე კურდღელი და ხევიდან მალლა ავედი.

ამხანაგები ძალიან შორს წასულიყვნენ. ველარც ხმა მივადინე და ველარც დავეწიე.

მზე დასავლეთისაკენ დაეშვა და შუბის ტარზე დადგა. სადგურში დაბრუნების დრო იყო. ამიტომ მივანებე ყველაფერს თავი და ნელ-ნელა შევუდექი გზას სადგურისაკენ.

მინდვრებზე მივდიოდი. ვფიქრობდი: თუ გზაში მოვკალი რამე, ამ კურდღელს სადგურში ამხანაგებს მივუგდებ-მეთქი.

წინ ცანგალა მიფუსფუსებდა ძებნით და მეც თოფმომარჯვებული მივდევი უკან.

უცბად, ერთი ნარჩიტა მომაფრინდა უკანიდან და მხარზე დამაჯდა. გაოცებულმა მივლრიჯე თავი ნარჩიტასაკენ და იგი აფრინდა. სწორედ ამ დროს ცანგალა მოცუნტულებდა ჩემკენ. იმის კუდს უკან დაჯდა ნარჩიტა დაბალში.

ეს რა საკვირველებაა-მეთქი, ვიფიქრე და გავიქეცი უცნაური ნარჩიტას სანახავად. ახლოს რომ მიველ, დავინახე, დაბალში იჯდა ფრთებგადაფაფრული, ყბა დაეღო, თავისი მწვეტი ენა მთლად გადმოეგდო და ჭაქანებდა.



ჩემს მიახლოებაზე ისევ აფრინდა.

მისი აფრენა და ალალის გამოსრიალება ერთი იყო.

მაშინ მივხვდი, რომ ალალს მოელაღნა იგი და თურმე განწირვის წუთში თავი შემომათარა. მე ვერ გამოვდექი კარგი თავშესაფარი მისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ჩქარა ავაფრინე მოქანცული, ვერც თოფის სროლა მოვასწარი, რომ ან მომეკლა ალალი, ან დამეფრთხო.

გაიმართა ჰაერში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ალალსა და ნარჩიტას შორის.

ალალი რომ წამოეწეოდა, ნარჩიტა უკან გამოუხსლტებოდა, მიბრუნდებოდა ალალი, გაეშვებოდა ისარივით მისკენ, წამოეწეოდა და გეგონებოდათ აი, აი ჩაავლებს კლანქსო, მაგრამ ნარჩიტა უეცრად ზევით აუხსლტებოდა. ახლა ზევით აუსრიალდებოდა ალალი, წამოეწეოდა, მაგრამ რალაც განგებით ნარჩიტა ახლა ქვევით დაუხსლტებოდა.

ასეთი ბრძოლით მიაღწიეს იმ მინდვრებამდე, სადაც მსხვილფეხა საქონელი იყო საძოვარზე, ნარჩიტა უეცრად ისარივით დაეშვა თავქვე და რომელიღაც ძროხას ამოეფარა ქვეშ, ხოლო ალალი გაწბილებული გაფრინდა ჭალებისაკენ.

ამ სურათმა დამაფიქრა, თოფი მხარ-ილლივ გადავიკიდეთან მივდიოდი მინდორზე, თან ვწუხდი, რომ ვერ მოვახერხებ იმ მტაცებლის მოკვლა, რომელიც ყოველ მოახლოებაზე ნარჩიტასთან ბრჭყალებს გაიწვდიდა ხოლმე მისკენ, მე კი ბრაზისაგან ვიხრჩობოდი, რომ თოფის მანძილზე არ იყო, თოფს ვერ მიუწვდენდი...

ათასმა ფიქრმა გამიბრუა თავი. ზოგმა ცაში ამიტაცა, ზოგმა უღრან ტყეში შემეყვანა, სადაც მგელი შესაქმელად მისდევს ირემს, ან შველს, ან ჯიხვს, ან ფსიტს, ან კურდღელს; ზოგმა ზღვაში ჩამახედა, სადაც იგივე ამბავია, და მომდიოდა ბრაზი ყველა მტაცებელზე...

ამ ფიქრებში ვიყავი. უეცრად მინდორზე კურდღელი წამოხტა, მაშინვე გაფრთხნენ ჩემი თავიდან ყველანაირი ფიქრები, რაკი თოფი მხარ-ილლივ მქონდა დაკიდებული, ვერ მოვასწარი სროლა, მით უმეტეს, რომ კურდღელს ცანგალა გაელევნა.

ოთხიოდე ნაბიჯი რომ გადავდგი, მეორე კურდღელი წამოხტა. ვესროლე, მაგრამ არ მოხვდა, მეორეც ვესროლე და კურდღელი გადატრიალდა, გავიქეცი, დაწვდი კურდღელს ასაღებად, მაგრამ უეცრად წამოხტა და გაიქცა. ეტყობოდა ფეხებში ჰქონდა მოხვედრილი და შორს ვერ გამექცეოდა, ამიტომ გამოვუდექი; რომ იგრძნო, მომეწიაო, ბარდში შეძვრა. ხან აქედან მოვუარე ბარდს, ხან იქედან, თან თვალს არ ვაშორებდი, არ გამეპაროს-მეთქი. თოფის ლულით მივწი-მოვწიე მაყვალს და, რომ დავინახე, კბილების დაღრაქუნებით მაგრად წაგეკარ თოფის ტუჩი, თანაც გავწყერი, სადღა მიძვრები, შე სატიალე-მეთქი. ისე ვბრაზობდი, თითქოს კანონად მოვითხოვდი, თოფის გავარდნისთანავე თვითონვე მოსულიყო ჩემთან, იმასაც ვეალებდი, დაჭრილი კი არ გაქცეულიყო, წამოწოლილიყო და მოეცადნა: მოდი, ამიღეო.

სადგურზე შევიყარენით საღამოუამს ამხანაგები და ერთმანეთს ვუზიარებდით ჩვენი დღევანდელი დღის შთაბეჭდილებებს, რომ მატარებლის გამოსვლის ზარი დარეკეს.

— ყოჩაღ, სოსო, ორი კურდღელი მოგიკლავს! — შემაქო ერთმა ნაცნობმა, რომელიც შემთხვევით ვნახე სადგურზე.

— მე ერთი მოვკალი მხოლოდ, — ავუხსენი ნაცნობს, — ეს მეორე კი ამ ჩემი კოლექტივის წევრებმა მოჰკლეს და მე დამაბრალებს სრულიად უსაბუთოდ და დაუმსახურებლად.

ნაცნობმა გაკვირვებით შემომხედა და ჩემი კოლექტივის წევრებიც ისე არხეინად იდგნენ, თითქოს ჩვენზე არა ლაპარაკობსო. ამის გამო ჩემს ნაცნობს ნათქვამი ხუმრობა ეგონა და ზრდილობის გულისათვის გაიცინა.

— რა? არა გჯერა? — ვთქვი გაბრაზებულმა. მერე მოვიხსენი კურდღელი და მივეუგდე ამხანაგებს: — ვისაც გინდოდეთ, წამოიღეთ-მეთქი.

— რასა სჩადი, კაცო, — გაჯავრდნენ ისინი, — კურდღელი მოჰკალი, მთელი დღე ზურგით ატარე და ამ სიკეთის დროს აგდებ?!

ამ დროს გაისმა კიდევ მატარებლის ხმა. მართლა დამენანა ჩემი მთელი დღის ამაგი და კურდღელი ისევ ავიკიდე.

ერთი კარგი მეზობელი მყავდა, ავდექი და იმას გავუგზავნე,

ეს ჩემმა ამხანაგებმა მოკლეს და თქვენთან გამომატანეს პატივ-საცემად-მეთქი. ეს ჩემი აზრი რალაცნაირად ეუცხოვა ჩემს მეზობელს. იფიქრა, მკვდარი ხომ არ არის სადმე ნაპოვნო, და უკანვე გამომიგზავნა ასეთი ზრდილობიანი ბოდიშით: „კურდღლის ხორცს აღარ გიახლებით ამ ბოლო დროსაო“.

### ხოხობი

აზერბაიჯანის შემდეგ შირაქში მომიხდა წასვლა.

იქ ერთი კარგი მონადირე გავიცანი. მას შაქრო ჰქვია და ისე კარგად იცის შირაქის მიდამოები, რომ ბნელ ღამეშიაც არ აერევა გზა.

შირაქი მომწყვდეულია მდინარე ალაზნისა და ივრის ჩახვეულ მკლავებში.

წითელწყაროს რომ ვასცდებით სამხრეთისაკენ და გადასდგებით სოფელ ჭაფარიძის გორებზე, თქვენ წინ გაიშლება შირაქის მიდამოები — ზოგან ტაშივით სწორი მინდვრებით. ზოგან წვერიდან დასხმული კვერცხების მსგავსად ჩამწყრივებული გორებით.

იქ, სადაც იორი და ალაზანი ერთდებიან, მეცხვარეების ბინებია, რომელთა ცხვრის ფარასაც შირაქის ნოყიერი მინდორ-გორაკები ჰკვებენ. ხოლო ალაზანგაღმა იწყება ტყიანი და ჩალა-წარათიანი საინგილო, ქარ-ბელაქანი, უმდიდრესი ქვეყანა — ხილით, ტყით, პურითა და ნადირით...

გავედით თუ არა ალაზანგაღმა, ძალდი კვალს დაადგა. გაბმული ძუძუმაყვალა ძალსაც უშლის მუშაობას და ჩვენც გვაბრკოლებს. ხოხბისათვის კი, პირიქით, ხსნა იგი.

რა მშვენიერი ფრინველია ხოხობი, განსაკუთრებით — მამალი! გრიალით აფრინდება ხოლმე. თან მიფრინავს და თან ლუყლუყი გააქვს. დაჯდომის დროს ბოლოს აიქნევს, მერე ყინწს წაიგრძელებს და გაიქცევა. უეჭველად რომელიმე ბუჩქის ძირას გაჩერდება, კარგა დაზვერავს და, თუ მშვიდობიანობაა, საკენკს მოძებნის, აქა-იქ მიწასაც გაჰქექს ქათამივით და ქიალუას ამოჰკრავს ნისკარტით.

მაგრამ ჭიშვიანი ძალდის ყნოსვას იგი ვერ დაემალება: დაად-

გება თუ არა მის კვალს ძალღი, იგრძნობს ხოხობი და ისე დაეკრება მიწას, რომ თვალწინ მჯდომსაც ვერ შეამჩნევ.

კვალზე მისული ძალღი ნაბულს გააკეთებს.

მონადირე მიხვდება, რომ იქ, ახლოს, ხოხობია.

ამიტომ თოფი მზად უჭირავს.

ძალღი ვერ ხედავს, ყნოსვით გრძნობს და ნაბულზე დგას. ამ დროს ხოხობი შორს მიგოგავს, როცა ძალღს ეუბნები — „ეცი!“ ის დაახტება იმ ადგილს, სადაც ფრინველი ეგულება, მაგრამ არაფერი აფრინდება, შემდეგ გაჰყვება კვალს და ან ისევ ნაბულს გააკეთებს, ან აუფრინდება ფრინველი.

ჩემს ძალღს ხასიათად სჭირს: როცა ფრინველს ვერა ხედავს, ოთხფეხზე უკეთებს ნაბულს. ხოლო თუ ხედავს, უეჭველად ასწევს წინა მარჯვენა ფეხს.

ასწია წინა მარჯვენა და ვგრძნობ, რომ საცაა წამოფრინდება, მაგრამ უეცრად ძალღი ფეხს დასდგამს და ნაბულითვე წავა წინ. ისევ დადგება, ისევ ასწევს წინა ფეხს.

— ეცი.

ძალღი გადახტება და გრიალით ავარდება მაღლა ხოხობი, გაიტკაცუნებს თოფი და მშვენიერი ფრინველი ისარივით ჩაეშება ჩალებში.

არხეინად გასწევთ დარწმუნებული, რომ მას აიღებთ იქ, სადაც ჩაეცა. მაგრამ ხედავთ, რომ ძალღი გასცდა იმ ადგილს, სადაც ხოხობი ჩამოვარდა. მირბის ძალღი, ჩალებიდან იგი ძუძუმეყვალათი მოდებულ მინდორზე გადის და თქვენც მისდევთ, ხან მაყვლის გრძელი რქა წამოგედებათ ფეხებში და ყირაზე გადაივლით, ხან ასკილი გაგეკაწრავთ ლოყას, ხან კუნელი დაგეტაკებათ თავისი გრძელი ეკლით, ხან კვრინჩხი, ან ხეშავი და ძალღიც ამ დღეშია: ხან სად გაებმება, ხან სად. ბოლოს ძალღი ერთ ადგილზე დატრიალდება და მიხვდებით, რომ მან დაიჭირა ხოხობი, რომელსაც მხოლოდ ფრთა ჰქონია მოტეხილი.

ხოხობის კვალმა ალაზნის პირზე ჩაგვიყვანა ღიჭებში.

კვალს გაყოლილი ძალიან გავშორდი შაქროს და უცნობ ადგილას ველარ ვგებულობდი, საით უნდა წავსულიყავი. მივა-

დექი ერთ ღიქიანს, რომელშიაც სინათლე ისე გამოდიოდა, რომ მეორე მხარეს უეჭველად ველი უნდა ყოფილიყო.

ღიქებისა, ასკილებისა და მაყვლების ეკლიან ხლართებში როგორც იყო გავძვერი და ვნახე; რომ მეორე მხარეს ველი კი არა, ჩალა იყო.

ძალდი რალაცას დააკვირდა ჩალებში და როცა ვუთხარ „ნახე, ნახე“-მეთქი, უეცრად ჩემს წინ ხუთიოდე ღორმა იფხუ-კუნა და სქელი ჩალა გაარღვია. ჩალაზე ეტყობოდა, როგორ შირბოდნენ ისინი; ცოტა ხნის შემდეგ დავინახე, როგორ შეირბინეს დაბლობიდან ფერდობზე შავმა ღორებმა. მათ ელვის უმალ გადაირბინეს ფერდობის ზურგი და ტყეში მიიმალნენ.

ვიდექ გაშეშებული მეცა და ჩემი ძალდიც.

რა უნდა მექნა? ორივე ლულაში ხოხბის საფანტი მქონდა. რას დააკლებდა საფანტი გარეულ ღორს!

ყოველ შემთხვევისათვის, ერთ ლულაში ტყვია ჩავდე, მეორეში ხოხბის საფანტით გატენილი ვაზნა.

გამოვეყ ჩალის პირს და უეცრად შედგა ძალდი. ვშიშობდი, ღორი არ წამოდგეს-მეთქი და მზად მქონდა თითი ტყვიანი ლულისათვის.

ღორის მოლოდინში მამალი ხოხობი წამოფრინდა.

გაიტყაცუნა თოფმა და ხოხობი გაჩეხილი ჩამოვარდა.

გამიკვირდა. არც ისე ახლოს იყო, რომ საფანტს ხოხობი გაეჩეხა, მაგრამ როდესაც ვაზნა გავსინჯე, აღმოჩნდა, რომ ხოხობისათვის ტყვია მესროლნა.

ეს უფრო ძალიან გამიკვირდა.

ხშირად საფანტსაც ავაცდენ ხოლმე და როგორ მოხდა, რომ ტყვია მოვარტყი გაფრენილ ხოხობს?

ხოხობსაც სცოდნია შეგუება, გაწრთვნა, გაეშმაკება ისევე, როგორც ყველა ცხოველს.

ნადირობა რომ დავასრულებთ და ალაზნანგაღმა გამოვედით, წითელწყაროსაკენა ვქენი პირი. გზაში შემომიღამდა, სოფელ სამწყაროსთან.

სამწყაროდან მწყემსების ბინა ახლოს იყო და სოფელში აღარ შევედით, ბინისაკენ გავწიეთ. ღამე მეკამეჩეობის ფერ-

მაში გავატარეთ და დილით ბიჭებმა გვითხრეს, აქ ახლოც ბევრია ხოხობიო.

გამიკვირდა.

იქ ახლოს არც ტყე იყო, არც მაყვლიანი, არც ჭაგიანი, არც მაღალბალახიანი, ან კაქახიანი მინდორი და სად უნდა ყოფილიყო ხოხობი?

მხოლოდ ერთი კილომეტრის მოშორებით ორი პატარა ჩალიანი კორუმი მოჩანდა.

ამ ჩალიანში არის ხოხობიო, — გვითხრეს ბიჭებმა.

— მერე? ნადირობდა ვინმე? — ვკითხე.

— ამ ათი დღის წინათაც იყვნენ მონადირეები, მთელ დღეს გაჰქონდა ძაგა-ძუგი თოფს.

— მერე, კაცო, მანდ რა იმდენი ფრინველი უნდა ყოფილიყო, რომ მათ გადარჩენოდათ. სად შეინახავდა ფრინველოთაჲს?

— არიან, არიან! — ერთხმად მომიჭრა ყველამ და ერთმადამიდასტურა კიდევ: — გუშინ სამი ავაფრინეო.

— თუ გუშინ მართლა ნახეთ, ისევ მანდ იქნებიან, — ვთქვიმე, — მანდ იქნებიან, რადგან გარშემო რვა კილომეტრ მანძილზე სულ მოხნულია, ტიტველა, და ამ სიშორეზე ვერ გაფრინდება: ქორი, ძერა, ადამიანი, — ყველა მისი მტერია.

წავედით.

ჩალაში წყალი არ არის და მონადირისათვის ადვილი სავალია, მხოლოდ საქმეს ის აჭირვებს, რომ მაღალი ჩალაა და, თუ აფრინდა, შესაძლოა თოფი ვერც ესროლო. ზოგიერთ ალაგას, სადაც ჩალა კამეჩებს გაუტეხიათ, სასროლი მანძილია. ყოველ შემთხვევაში არის ისეთი პირობები, რომელშიაც შეუძლია ფრინველს თავი შეინახოს.

ამყარად ეტყობა, რომ ზაფხულში, როცა ყანები მაღალია, ალაზნის ჭალებიდან გამოდის აქამდე ხოხობი, სჩეკს კვერცხებს, აფრენს წიწილებს და აქვე რჩება.

გადავსერეთ ჩალების ორივე კორუმი, მაგრამ ძაღლებმა ვერაფერს მიაგნეს. ნაპირზე რომ გავედით, ჩემმა ძაღლმა გაფაციცებული ძებნა დაიწყო. ეძებდა ტიტველაზე. მწყერიც კი ვერ დაემალებოდა იქ ადამიანის თვალს. მაგრამ ძაღლი უეც-

რად შეჩერდა ნაბულზე, წინა ფეხიც ასწია, და მიკვირდა, რა უნდა ყოფილიყო იქ. შაქროს დავუძახე. აბა, ამ ძაღლს უყურე, ნეტა. რას უკეთებს ნაბულს ამ ტიტველაზე-მეთქი.

ამის თქმა და ხოხობის აფრენა ერთი იყო.

ანაზღად აფრენილს ორივემ ვესროლეთ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მოვარტყით. რაკი დავრწმუნდით, იქ ხოხობი იყო, სულ გადავთელეთ იქაურობა, ძაღლებმაც ბევრი ეძებეს, მაგრამ ველარც ერთი ვერ ავაფრინეთ.

ეს არაფერი.

უფრო უცნაური რამ შეგვემთხვა ამ ჩაღების ცოტა მოშორებით.

ერთი კილომეტრის მოშორებით მწყემსების მეურნეობას სდგომია კომბოსტო, პამიდორი, კიტრი და საზამთრო. იქვე გვერდზე ხეხილებია ჩაყრილი. კომბოსტო, საზამთრო და პამიდორი სულ ამოუგდიათ კამეჩებს და ტიტველი, შავი მიწაღარის. ხეხილებშილა დარჩენილა ძალიან დაბალი, კლანჭა ბალახი. ბალახი ისე დაბალია, რომ ტოროლას დაინახავს კაცი.

ბიჭებმა გვითხრეს, მანდ კურდღელი უნდა იყოსო.

წავედით.

ხეხილიანში რომ შევედით, ჩემმა ძაღლმა მაშინვე გააკეთა ნაბული, მაგრამ ვერაფერი ააფრინა. შემდეგ გაცხარებით დაიწყო ძებნა. ჩემი ამხანაგის ძაღლიც დაადგა კვალს. ეტყობოდა, რალაც პატარა ტანის ფრინველი იმალებოდა ამ ბალახებში.

ორი ძაღლი და ორი მონადირე დავდივართ ამ პატარა ბაღჩაში. თითქმის აღარც ერთი ბალახის ძირი აღარ გვრჩება გაუთელავი, მაგრამ ვერაფერს ვაფრინთ.

— მწყერი იქნება, შაქრო! — ვეუბნები ამხანაგს და თანაც ვუმატებ: — ალბათ იმ სიღრმედ ჩაძვრა მიწაში, რომ ჩვენ მას ველარ მივაგნებთ.

ძაღლს ვეძახი და მივდივარ ცალკე. თავს ვანებებ. გადავდივარ ტიტველაზე, რადგან კურდღელმა ხშირად ტიტველაზედაც იცის წოლა.

— ჩემი ძაღლის ამბავი ვიცი, — მეუბნება შაქრო, — რომ არაფერი იყოს, ეს ასე არ ჩააცივდებოდაო. — თან ფეხდაფეხ მისდევს ძაღლს.

კარგა მანძილზე რომ მოვშორდი შაქროს, თოფი გავარდა. მივიხედე და დავინახე, როგორ შესრიალდა ჰაერში ხოხობი, იგი ძალიან მაღლა ავიდა და კუდბაწარასავით გასწია ჩალიანი კორუმისაკენ. თავზე გადმომიარა. მეც ვესროლე, მაგრამ ის მშვიდობიანად ჩაეშვა ჩალებში.

გაჭირვება მიჩვენე, გაქცევას გიჩვენებო, ნათქვამია. თურმე ყოველი გაჭირვება კაცსა სწრთენის, ჰქნის და ამაგრებს. ბევრი დევნისაგან ისე იყვნენ ამ ჩალის ხოხბებიც გაწვრთნილები და გაეშმაკებულები, რომ ას კვადრატულ მეტრზე, თითქმის ტიტველაში, ორმა გაწრთენილმა მექებარმა და ორმა მონადირემ მთელი საათის განმავლობაში ვერ ავაფრინეთ.

ისევ ალაზნთან გავედით.

ალაზნის პირას შაქროს ხოხობი აუფრინდა. ორჯერ ესროლა, მაგრამ სრულიად უვნებლად წავიდა იგი. რადგან ტყე ძალიან შორს იყო, ხოხობი ძალიან მაღლა ავიდა და ისარივით გასწია ტყისაკენ, ბუზისტოლალა ჩანდა; ტყეს რომ მიაღწია, ისე ყოჩაღად მიფრინავდა, გეგონებოდათ, არც ერთი საფანტი არა აქვს მოხვედრილიო, მაგრამ მიაღწია თუ არა რამდენიმე მეტრით მაღალ ვერხვებს, უცბად დაყირავდა და მკვდარი ჩაეცა ბალახებში.

ვინ იცის, რამდენი მიდის ასე. ჩვენ გვგონია ცოცხალი წაგვივიდაო, მაგრამ ნამდვილად, ჩვენთვის უსარგებლოდ, მელეებისა და ტურების ლუკმად კვდება.

## ორი მონადირე

(სოფ. ვერგეთში გაგონილი არჩილ ქისტაურისაგან)

ჯახოთას მეძახიან. ჩემი სიცოცხლე ჯიხვების დევნაში დავლიე, დავბერდი. აღარც მუხლი მიჭრის, აღარც თვალი, მაგრამ მაინც ვერავინ მიმასწრებს ხოლმე ჯიხვებზე.

ყველაზე კარგა მე ვიცი, საცაა ჯიხვების საყარი; ყველაზე კარგა მე ვიცი, როდის და სად უნდა გამოვიდნენ ისინი ბალახზე. ყველაზე კარგა მე ვიცი, როდის რანაირი წყალი უნდა



დალიოს ჯიხემა და ყველაზე კარგა მე ვიცი აყუდებულ კლდე-ებზე ასვლა და გორის ფხაში ჩაჯდომაც ისე, რომ ჯიხეს თვი-თონაც გორის ფხა ვეგონო.

მხოლოდ ერთი მონადირეა, რომელიც მეცილება, მეტოქე-ბა და ხშირად ხელს მიშლის. ზოგჯერ ის ჩემზე უფრო ჩქარია, მოხერხებულიც, ჩემზე უკეთაც იცის კლდეებზე სიარული, უკეთაც ხედავს და იმითაც მჯობია, რომ სუნის დაყრა იცის. საშინლად მძულს ეს მონადირე და გაუთავებლად მწყურია მისი სისხლი.

როცა კი სანადიროდ წავალ, სულ მისი მეშინია, იმ მონა-დირისა, იმან არ მომასწროს-მეთქი.

პირველი სხივი ყოველთვის მყინვარს უნდა დაადგეს გვირ-გვინად თავზე. ჰოდა, მყინვარი რომ გვირგვინს დაიდგამს, ავღ-გები და ნელ-ნელა შეეყვები ხოლმე აყირავებულ მთებს.

მყინვარის თავზე დაფრქვეული შუქი ქვევით მოდის, მე — ზევით. ან გზაში შევხვდებით ერთმანეთს, ან მყინვარი უეც-რად ილღიებიდან ამოიძრობს ნისლების გრძელ-გრძელ თავსა-ბურავებს და შიგ ისე ღრმად შეეხვევა, რომ აყუდებული ფერ-დო დაუსრულებელი გვგონია. ან კიდევ თვალს ისე ეჩვენება, თითქოს მახლობელ ქედს იქით მთები აღარ იყოს...

სალამომდე მივდივარ.

ხან დავყირავდები ხევში, ხან ავყირავდები ფერდობზე, გავ-ხედავ მთის შიბს, მგონია ახლო, მაგრამ მივდივარ, მივდივარ და ისევ შორსაა.

სალამომდე ვიარე.

მშვენიერად ვიცი, რომ დილაზე აქ უეჭველად უნდა ჩამო-ვიდნენ ჯიხეები. მაგრამ საიდან იქნება მაშინ ნიავი? ძნელი გასაგებია. მყინვარის ბუნებას კაცი ვერ გამოიცნობს წინდაწინ: ხან საიდან დაუბერავს ნიავი და ხან საიდან. თუ ჯიხეებიდან ჩემკენ უბერავს, ხელცარიელი არ წამოვალ, ხოლო თუ ჩემი მხრიდან მოექცა ნიავი, სუნს დამაყრიან და იქ აღარათფერი გა-მოვა. ახლა, თუ ის მეორე მონადირეც იქ დამხვდა, — მთლად დავინავსები.

ბევრი ვზომე, ბევრი ვისაზრე და ისეთ ადგილას დავჯექი კლდის პირში, რომ საიდანაც უნდა ყოფილიყო ნიავი, მაინც ვერ დამაყრიდნენ სუნს.

ჩაეჭვქე ნაპრალში. თოფს ტუჩი ისე გავაყოფინე ლოდებში, ვერც ერთი ფხიზელი თვალი ვერ შემამჩნევდა.

ლამე მყინვარმა თავი აიხადა. დამყურებდა ასე. დამყურებდა და თავისი მკაცრი მზერით ცივად მნუსხავდა: განუწყვეტლივ მოსისინებდა მისი მწვერვალისა და ზამთრისებური ცივი ნიავი.

ხან მიტრიალდა ნიავი, ხან მოტრიალდა და ძთლად რომ გატიტვლდა მყინვარი, ნიავი ჩადგა.

გაიტრუნა ყველაფერი.

მე, თუ თავახდილია, გათენებასაც მყინვარზე ვიგებ და დამეებასაც; მყინვარი მუდამ მიწევდა და მუდამ გამიწევს საათის მაგივრობას.

ყველაზე ადრე მყინვარი გაახელს თვალს. ყველაზე გვიან მყინვარი დახუჭავს ხოლმე თვალს. მყინვარის წვერიდან ჩამოდის დღე და მყინვარის წვერიდანვე მიდის იგი.

შეიღიმა თუ არა მყინვარი, გავემზადე. ვიცი, რომ ახლა გზაში მოდიან ჭიხვები; ერთი — ერთი კლდიდან გადმოხტება. მეორე — მეორედან და ერთად შეიყრებიან. წინ ყოჩს გამოიმძღვარებენ და მოდიან... შიგადაშიგ დადგებიან, ყურს დაუგდებენ, მიიხედ-მოიხედავენ და... კიდევ მოდიან.

სერზე გადმოდგა ბოტი. ცოტა ხანს შემდეგ მეორემ ამოყო თავი, მერე მესამემ, მეოთხემ და დადგნენ.

კარგა ხანს იდგნენ.

ყოჩი ყველაზე მაღლა იდგა.

კარგა რომ დახვერეს იქაურობა, ისევ ყოჩი წამოვიდა წინ. ხან მიუხვიეს, ხან მოუხვიეს, მერე პატარა ზურგს ჩაეფარნენ და ცოტა ხნის შემდეგ ფერდობზე გამოვიდნენ.

ერთი ავიდა და მაღლა დაწვა ბრტყელ ქვაზე. სხვები ბალახს დასწვდნენ. წოლელა აქეთ-იქით იყურებოდა, განუწყვეტლივ ზეერავდა.

ვზივარ დინჯად, არხეინად და ვიცი, რომ ცოტა ხანს შემდეგ ბალახმა ისინი ჩემთან უნდა მორეკოს. თუმცა დამშვიდებული ვარ, მაინც თვალს ერთ წუთსაც არ ვაშორებ, თანაც გულში მიხარია, რომ ჩქარის ნაბიჯით მოსდევენ ბალახს.

საცაა თოფის მანძილზე მოვლენ.

მაგრამ უეცრად წამოხტა ქვაზე მწოლარე, დაუსტვინა და მის დასტვენაზე ელდანაკრავებივით დაფრთხნენ ჭიხვები. ფერ-ლი შეირბინეს, ზურგი გადაირბინეს, იქიდან მეორე მთის ქედს გადაევლნენ თავზე და შორს, თითებივით ცაში აშვერილ მწვერვალებში შეიხიზნენ, გაქრნენ.

მეორე მონადირე ხომ არ დაინახეს?

ვიფიქრე ჩემთვის გულში და ფრთხილად გავყავ კლდეები-დან თავი. გადავიხედე თუ არა, ორმოციოდე ნაბიჯის მანძილ-ზე წამოდგა მიწაზე გაკრული მეორე მონადირე — მგელი.

### ნაღირობა შველზე

უეცრად დიდი თოვლი დასდო და გაჰყინა კიდეც.

ბიჭებმა თქვეს: ახლა ისე ადვილად მიაგნებ შვლის კვალს, თითქოს შინის გზას ადგეო.

მოვიყარეთ თავი და წავედით.

ცივგომბორის მთავარ ქედს ტოტები აქვს: ზოგი სამხრე-თისაკენ, ზოგიც ჩრდილო-დასავლეთისაკენ.

ჩვენ სამხრეთის ფერდობს შევუღდექით და სერზე რომ ავე-დით, გადავხედეთ ალაზნის ველს, მის გაღმა ატყორცნილ დაღესტანისა და თუშ-ფშავ-ხევსურეთის მწვერვალებს.

თოვლს მივარღვევდით ჩუმად. მზე ბრწყინავდა, თუმცა ძა-ლა აღარა ჰქონდა.

სერიდან ისევ დაბლა დავეშვით, სადაც ნაქცევებში მლაშე წყლებიც არის და მლაშე წყლის ბალახებიც.

შვლებსაც და ირმებსაც ძალიან უყვართ მლაშე წყლები და მლაშობში მოსული ბალახიც. ამიტომ ხშირად მის ახლომახ-ლოებში იციან დატრიალება.

დაბლა, კისისხევის გაღმა-გამოღმა, დიდი, ულრანი და გაუ-ვალი ტყეებია წიფლისა, წარათიანი და ლედე-ლუდიანი აღმართ-დაღმართები.

შევუღდექით თუ არა მგზავრობას, დაიწყეს ბიჭებმა მოყო-ლა თავგადასავლისა. ზოგი ტრაბახობდა, იკვეხნიდა, ზოგიც აშკარა ტყუილს ამბობდა და გვაცინებდა, გვართობდა, გზის სიძნელეს გვიადვილებდა, თითქოს სიგრძესაც ამოკლებდა.

ერთმა რაღაც ვითომ სასაცილო ამბავი გვითხრა, დიდხანს ილაპარაკა და ბოლოს დიდი რიხით დაასრულა ამბავი, ისე დაასრულა, თითქოს დიდ ხარხარსაც მოელოდა ჩვენგან, მაგრამ შენც არ მომიკვდე! კრინტიც არ დაგვიძრავს! მივდიოდით ისე, იტყოდით, პირში წყალი უყენიათო. ამაზე მოამბემ აგვხედ-დაგვხედა და ჩაიზმუკუნა თავისთვის:

— დახე ამ შეჩვენებულებს! ამდენი ვიყბედე და ერთმა მაინც არ უნდა გაიცინოს?

— ხა-ხა-ხა-ხა-ხა! — გადავიხარხარეთ უეცრად ყველამ ერთად და შემდეგ ისევ ერთად გავჩუმდით.

— შეხე ამათ, — გაბრაზდა ისევ მოამბე, — თითქოს კლასში ისხდნენ და მასწავლებლის ხელის დაქნევაზე ამბობდნენ გაკვეთილს ერთად. როგორაა თქვენი საქმე. — მოგვიბრუნდა ბოლოს ჩვენ.

— ახლა მე მიგდეთ ყური, — თქვა მეორემ, — შენ ტყუილი თქვი, მე მართალს მოგახსენებთ.

— ვნახოთ, — გაისმა აქეთ-იქიდან.

— არაფერი მინდა, ერთი ირემი მომაკვლევიანა, — წამოიძახა ვილაკამ.

— ციხეში ჯდომა მოგინდა? — უთხრა ამხანაგმა, რომელიც ამბავს დაგვიბრდა.

— ირმის გულისთვის ციხეში?

— დიახ, დიახ, ციხეში! მაგის ამბავი უნდა გითხრათ...

— რა ამბავი: რკით დაიჭირე თუ ფეხით ირემი?

— ყური დამიგდეთ, გაიგებთ, — თქვა მან და დაიწყო:

— ერწოდან დავყე იორსა და ჭიოტაანთ კარში გავედი. ეს იყო აგვისტოში, ჭიოტაანთ კარში ერთი გლეხი გაბოტილი იდგა და საბჭოს თავმჯდომარეს ეჩხუბებოდა:

— მაშ ეგრე უნდა წამახდინო, კაცო?

— ვინ გაგაჯავრა, ბუთლა, ვინა?

— ვინა და ირმეშმა.

— რას ამბობ, კაცო, როგორ თუ ირმეშმა.

— სიმინდი გამოიხრეს და მოკვლის ნება კი არა მაქვს, — ცხარობდა გლეხი.

— ჰოო, — დაუდასტურა საბჭოს თავმჯდომარემ, — მარ-

თალია, მოკვლის ნება არა გაქვს. თუ მოჰკლავ, ციხეში ჩაჯდება.

— მაშ რა ვქნა? წამახდინონ?

— ჯობით გარეკე, ჯობით.

— აქამდე რო წამახდინეს? ახლა გინდა გარეკე და გინდა არა. წუხელ დამე ყოფილან.

— დიდია წანახედი? — ჰკითხა თავმჯდომარემ.

— ერთი ათიოდე ირემი მაინც ყოფილა და პატარა იქნება წანახედი?

— კარგი და წადი, დაუძახე კაცებს. დავატაროთ და ვნახოთ ი შენი წანახედი.

გლეხმა საჩქაროდ შეკრიბა კაცები, წინ გაიმძღვარა საბჭოს თავმჯდომარე და წავიდნენ წანახედის სანახავად.

მართლა ათიოდე ირემის ნავალი იქნებოდა სიმინდში, სულ ტარო ექვამათ.

— მაშ ეს საქნელია? — ჯავრობდა გლეხი.

— რა ვქნა, შენი ჰირიმე, მწყემსი არა ჰყავს, რომ გავუჯავრდე და რა გიყო? თუ გინდა შენ დაგაყენებ ირმების მწყემსად, — უთხრა საბჭოს თავმჯდომარემ.

— განა ცუდად ამბობსო! — მოეწონა ერთ გლეხთაგანს, — აქ ბევრი სიმინდია წახდენილი. არ იქნება ურიგო, მწყემსი დავუნიშნოთ ირმებს.

— როგორა, კაცო? ჩემი უღელში შებმული ხარებისათვის ვერ მომივლია და ირმებს სად უნდა ვდიო ამ გაუვალ ტყეებში!

— ტყეში რა გინდა: სიმინდებში იარე და, როცა ჩამოვიდნენ, გარეკე. ამ საქმეში ჯამაგირი გექნება.

ბუთლას ესიამოვნა ეს აზრი, მაგრამ მაინც თავისას გაიძახოდა, ამ წანახედს რა ვუყოთო.

— მაგას გიზღავთ, — უთხრა საბჭოს თავმჯდომარემ და დაავალა გლეხებს: შეამოწმეთ წანახედიო.

გლეხებმა კიდევ დაიარეს სიმინდი და საბჭომ საერთო ბედლიდან უზღა გლეხს დანაკლისი. ამასთანავე ირმების მწყემსადაც დანიშნეს ბუთლა.

— ბიჭოსი — თქვა გახარებულმა გლეხმა, — ცოტა აღრე

მაინც წახედინათ ი დალოცვილებს! წანახელიც ავინაზლაურე და ჯამაგირშიც ჩავდექი.

— ეგ მართალია მართალია!..

დაუდასტურა ყველამ. ამ დროს მივედით კიდეც იმ ადგილას, საიდანაც სანადირო ადგილი იწყებოდა.

თუმცა ჰყინავდა, მაინც ოფლი გამდიოდა ღედე-ღუდეებში სიარულით. შევქუჩდით ერთად და მოვილაპარაკეთ, საიდან და როგორ უნდა დაგვეწყო მორეკვა, ან ვინ სად უნდა ჩამჭდარიყო.

ხევის პირად ერთ ალაგას დიდი წვრილიანი იყო, ამასთანავე კარგ მანძილზე გაყოლებული ვაკე, რომელსაც უეცრად მოსხლექილი ფერდობებით დაჰყურებდნენ მთები.

ამ ფერდობებზე აქა-იქ მლაშეები გამოჟონავდა. მლაშობების დაყოლება პატარა ხრამები წარაფებში ჩალიოდა და იქ, სადაც წარაფიანი თავდებოდა, ფართობის ყელი ვიწრო იყო.

ამ ყელში ჩაგვსხეს ხუთნი, ერთმანეთს თოფის მანძილზე დაშორებული.

მე მერგო ჩაჯდომა ერთ მაღლობზე, რომელიც წითლის ტყით იყო დახურული. მაღლობს ხევის მხრიდან დაქანებული ფერდობი ჰქონდა.

ქარს ერთი დიდი წიფელი წაექცია, იმ წიფელს მოვესაფრე და თვალი დავიჭირე ხევის მხრისაკენ. იმედი მქონდა, წარაფებიდან გამოსულ შველს აქ უნდა ამოველო, ვინაიდან ზოგიერთი მრეკავეები ხევისაც გამოჰყვებოდნენ. თოვლმა გამყინა. ფეხები გამებერა თითქოს, რომ ვტოკავდი, ნემსებივით მჩხვლექდა შიგ და ცოტაოდენი კბილების კაწკაწიც ამიტყდა.

მრეკავეები ჯერ ისევ შორს იყვნენ. მათი ხმა ბუნდად ისმოდა. ბოლოს, როცა მოახლოვდნენ, მოვემზადე, მაგრამ ხელები ისე გამყინოდა, რომ თოფს ხეირიანად ველარ ვიჭერდი. სიცივისაგან შეწუხებული მხოლოდ იმასლა ვნატრობდი, ჩქარა გათავებულიყო ეს მორეკვა, რომ ავმდგარიყავ.

ამ ნატერაში რომ ვლულავდი თვალს, უეცრად დავინახე, რომ პირდაპირ ფერდობიდან ამოსული შველი დგას. ყელი ლამაზად აქვს მოღერებული და დაცქვეტილი ყურებით იმ მხარეს მისჩერებია, საიდანაც ხმაურობა ისმის.

ყველაფერი დამავიწყდა სიხარულით: ყინვაც, სიცივეც, ხელიცა და ფეხიც. თოვლიანი წიფლის ზურგზე იღო თოფი და ხელგბი უბეში მეწყო. თოფს გასწორებაც აღარ უნდოდა, სწორედ იქითკენ იყურებოდა მისი ტუჩი.

ფრთხილად მივაყუდე კონდახს მკერდი, გავასწორე და ვესროლე.

შველი რა ადგილასაც იდგა იმ ადგილას ჩაიკრიფა.

მე არ ავდექი ფეხზე, რადგან მომრეკები ჯერ არ მოსულიყვნენ ჩვენთან და შესაძლო იყო კიდევ მოგვეწყდომოდა ნადირი.

ამან უფრო გამიწვრილა გული.

ახლო ისმოდა მათი ყვირილი, მაგრამ კი არ მოდიოდნენ. მე ნანადირევი მქონდა და ამიტომ აღარ მაინტერესებდა მათი შორეკვა. მხოლოდ სხვა ამხანაგების თოფის ხმას ველოდი და მომრეკთა მალე მოსვლას.

თოფი აღარ გავარდა და მომრეკები უკვე ჩვენკენ წამოვიდნენ. მე ავდექი. იმდენად ვიყავ გაყინული, რომ ფეხზე ძლივს დავდექი. ცოტა გადავიხარე იქით, ახლა აქეთ, ბოლოს გავჩანჩალდი, გავხურდე-მეთქი, და ამ დროს დამიძახა ერთმა ამხანაგმა:

— აბა, რას ესროლე, თოფი, კაცო?

— შველს ვესროლე და მგონი ემანდ უნდა ეგდოს, — გაუუშვირე თითი იქით, საითაც შველი მეგულებოდა.

ამხანაგი წინ გამიძღვა და მეც უკან მივეყე.

მივედით და ვნახეთ მოკლული შველი.

მოკლულის იქით ცოტა ვაკე იყო და მერე ფერდა. ვნახეთ, რომ მოკლული შველის იქით სისხლის კვალი მიდიოდა.

— ეს სისხლის კვალი რაღაა? დაჭრილი ხომ არ მოვიდა შენთან. იქნებ სხვამ მოარტყა და მოკვდა? — თქვა ამხანაგმა.

— ჩემს მეტს არავის უსროლია, სხვა როგორ მოჰკლავდა, — ეთქვი ამაყად და გავყე კვალს.

ფერდოს რომ გადავხედე, შევკვივლე გახარებულმა:

— მეორეც! ორი მომიკლავს ერთ სროლაზე.

ყველანი ჩემთან მოგროვდნენ. ზოგს უკვირდა, ზოგს უხაროდა და ზოგიც დამცინოდა: მოლამ რომ ჯაგში ქვა გადააგდო და კურღლეული მოჰკლა, იმისი ამბავი დაგმართიაო.

მართლაცდა მოლას ამბავი იყო. ერთი შველი კიდეც მეს-  
მის. მაგრამ ერთ სროლაზე ორი? — საკვირველია!

— როგორ?

აი თურმე როგორ.

შვლებმა ტყუპად იციან დგომა. დამფრთხალნი ტყუპად  
ისე გაჩერდნენ, რომ ერთი მეგონა. თოფი კარგი გამოდგა,  
ტყვიამ ერთში გაიარა და მეორეში დადგა. მეორემ ცოტა გაქ-  
ცევა შესძლო და ფერდობზე დაგორებულმა სული განუტევა.

## იხვეპხე

იხვები სხვადასხვა ჯიშისა და სხვადასხვა ზომისანი არიან.  
საკვირველია ერთი გარემოება; მიუხედავად იმისა, რომ  
ეს სხვადასხვა ჯიშისა და ზომის იხვები ერთ ოჯახს ეკუთვნიან,  
მანც ცალ-ცალკე დაფრინავენ. ასევეა ყვავებისა თუ გვირი-  
ტების მოდგმის ფრინველები. მაგალითად, ყვავები, ყორნები,  
ჭილყვავები — ერთი ოჯახის ფრინველები არიან, როგორც  
ქედნები, ღორქედნები, მტრედები და გვირიტები, მაგრამ ერთ-  
მანეთს არ ეკარებიან, ცალ-ცალკე დაფრინავენ. თუ ზოგჯერ  
ერთმანეთის სიახლოვეს უხდებათ ყოფნა, ეს მხოლოდ იმი-  
ტომ, რომ ერთნაირი საკვებით ირჩენენ თავს.

უჯარას ქვევით, ბაქოსკენ, არის პატარა სადგური მიუსუს-  
ლი, ამ სადგურიდან სამხრეთისაკენ — ჭაობები და ტბები. ამ  
ტბებზე ბლომად ფრინავენ ყველანაირი ჭურის იხვები, ბატე-  
ბი და გედებიც კი ზამთრობით, როდესაც ყინვები იწყება  
ჩრდილოეთში.

მატარებელი თბილისიდან დილის რვა საათზე ჩადის მიუ-  
სუსლიში, სწორედ იმ დროს, როდესაც თენდება.

ჩამოვედით მე და ჩემი ამხანაგი მატარებლიდან და გავეწი-  
ეთ ჭაობებისაკენ.

ჭაობებს რომ მივუახლოვდით, ჩემი ძალღი გადახტა ტბაში  
და იმოდენა იხვი აიშალა, რომ მზეს დააბნელებდა.

მერე ყველანაირი ჭურის იხვი: რა ზომისას იტყოდით, არა  
ყოფილიყო იქ.

მაგრამ ძალიან შორსა ფრინდებოდნენ.



შევედი ქაობში. წყალი მუხლებამდე იყო, ხოლო თუ შორს წახვიდოდი — უფრო ღრმა.

სიღრმეც რომ არაფრად ჩავთვალოთ, ჩექმაში წყალი შემივიდა და ყინვაში ძალიან ძნელია წყალში ყოფნა. ამასთანავე ამ ადგილებში ერთ კეწეწ ფიჩხსაც ვერ იშოვი, ცეცხლი დაანთო და გათბე.

ამიტომ გამოსვლა ვარჩიე, რომ ცოტა შევმთბარიყავი, ჩექმებიდანაც წყალი გამოწურულიყო. ჩქარის ნაბიჯით გავსწიე ტბის ანუ ქაობის პირდაპირ. ჩემი ძაღლის დანახვაზე გუნდ-გუნდად იშლებოდნენ ჩალებიდან იხვები. ამიტომ ვარჩიე ძაღლი უკან მიმეყოლა. მოვიქციე იგი ზურგში, წავიკუზე და ამით ვანიშნე, იმასაც ჩემსავით ფრთხილად ევლო.

სამხრეთის მხრიდან რომ მოვექეცი ტბას, სადღაც თოფი გავარდა. ეს ალბათ ჩემი ამხანაგი იყო, რომელიც ტბასთან მისვლისას დამშორდა.

დიდხანს ვიარე წაკუზულმა, მაგრამ არც ერთი გუნდი არ აფრინდა ისე ახლო, თოფი მესროლნა. მივდიოდით წაკუზულები ჩუმად მე და ჩემი ძაღლი ქაობის პირდაპირ.

ერთ ალაგას დავინახე, რომ ჩალები ძალიან შეტოკდა, მაგრამ არაფერი აფრინდა. რომ დაგაკვირდი, ჩალების ტოკვის ხაზი წავიდა ჩემგან, გზაში მას მეორე ხაზიც მიემატა, ჯერ უღლივ მიდიოდა ჩალების რხევის ხაზი, მერე უკანიდან შეუერთდა მეორე პირველს და დიდხანს, დიდხანს იტოკეს ჩალებმა ერთ ხაზზე, ერთი მიმართულებით.

„რა უნდა იყოს?“ — ვიფიქრე გულში. მეც დავდექ და ძაღლიც. დიდხანს ვუყურე ჩალების რხევის მიხედვით უცნაური ნადირების მოძრაობას. ვუყურე მანამდე, სანამ თვალმიუწვდენელი არ გახდა იგი.

გზა კვლავ განვაგრძე.

მივდიოდით ისე ჩუმად, რომ მეც არ მესმოდა ჩემი ფეხის ხმა.

უეცრად ცანგალა წინ გახტა და რაღაცას დააკვირდა.

მე შევაჩერე ოდნავი დასტვენით.

ჩემ წინ ჩალები იყო ტბის პირად, ხოლო ტბის ერთი პატა-

რა ყურე ისე იყო გაწეული მინდვრებისკენ, იტყოდით, ტბას ერთი ფეხი გაუშვერიაო.

ამ გაშვერილი ფეხის აქეთა ნაპირზე ვიყავი მე. წინ ჩაღები მეფარა, რომელთა თითებშიც მშვენივრად მოჩანდა გაშვერილი ფეხის მეორე კიდე. იქაც ჩაღები იდგა ნაპირზე და ჩაღებს იქით მინდორი მოსჩანდა ოდნავ.

სწორედ ამ ნაპირისაკენ დაიწყო დაჭიმული მზერა ცანგალამ.

მინდორზე არაფერი ჩანდა. ჩაღების ძირშიც არაფერი გაიჩიოდა.

ამ დროს თავზე გადამიარეს ინდაურებმა, მაგრამ იმდენად ვიყავ გართული გაშვერილი ფეხის მეორე ნაპირით, რომ ინდაურები ვერ შევნიშნე დროზე. მხოლოდ ის დავინახე, როგორ დაეშვნენ ისინი იქვე მინდორზე, ტბიდან დაახლოებით ნახევარი კილომეტრის მანძილზე.

გაიარა ცოტაოდენმა ხანმა, მეც და ცანგალაც უძრავად ვისხედით. უეცრად ცანგალამ უფრო ძალიან აცქვიტა ყურები, მეც უფრო მეტად დავკვიმე ყურადღება, მაგრამ ვერაფერს ვხედავდი ვერც მინდორზე, ვერც წყალში.

ცანგალა შეტოკდა, უნდოდა წყალი გაეტოპა, მაგრამ მუნჯად ვანიშნე, დაწოლილიყო. სწორედ ამ დროს ისკუპა რაღაცამ წყალში; დავინახე, როგორ გატოკდნენ ჩაღები და როგორ გაადინა წყალში ტყაპანი. ჩაღის ძირებიდან იხვები აფრინდნენ. წყალში გადამხტარი ნადირი ძაღლისტოლა უნდა ყოფილიყო და აშკარაა, მას იხვის დაჭერა უნდოდა.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ წყლიდან ნაპირზე გაცურდა მელია, რომელსაც პირში არაფერი ეჭირა. უეჭველია, მას ჩაღებმა შეუშალეს ხელი და ვერ დაიჭირა იხვი.

მე ისევ ხმაგაკმენდილი ვიჯექი და ცანგალას არ ვუშვებდი მელიისკენ. თოფის სროლაც ამოა იქნებოდა, რადგან იგი დიდ მანძილზე იყო.

მელია გავიდა ველზე გაზუნგლული, უკან მოიხედა, შემდეგ გაიბერტყა წუწები, ზუნგლები, ხან მიბრუნდა, ხან მობრუნდა, ხან ფეხი აილოკა, ხან კუდი გამოილოკა და შემდეგ წყალივით გალივლივდა.

საით წავიდა, აღარ ვიცი.

მე ავდექი, წელში სრულიად გავიშალე და ტბის გაშვერილ ფეხს მოვუარე. მემრე გავები ჭყანტობებში, ქაობებში, ჩალებში და სიცივეც გავიტეხინე. მიუხედავად იმისა, რომ ჩექმები ამევსო წყლით, აღარაფრად ვიძინევი ზამთრის ყინვას და მთელი ყურადღება იქითკენ მქონდა დაჭიმული, აფრენილი იხვი არ წამსვლოდა, მაგრამ ვერაფერს გავხდი. ფრთხილად დავდიოდი, მაგრამ სიფრთხილაც ვერას მშველოდა: ძალიან შორს იგებდნენ ჩემს ფეხის ხმას იხვები.

მაგრამ მოხდა ერთი საკვირველება.

როდესაც მე შორს ვუყურებდი აფრენილ იხვებს, ცანგალამ ჩემი თვალის წინ გაჭიმა ნაბული და რომ დავუყვირე „ეცი“-მეთქი, ჩემს ხმაზე ორი გარეული ღორი წამოხტა.

ელვის სისწრაფით შეცვივდნენ ჩალებში.

შემეძლო, მაგრამ არ ვესროლე თოფი, რადგანაც იხვია საფანტით გატენილი ვაზნები მეწყო შიგ. მაინც გამოვუდექი ღორებს და მაღალი ჩალები რომ გავარღვიე. დავინახე, ტბის პირდაპირ როგორ მიჩბოდა ორი შავი ღორი. წინ დიდი მიჩბოდა, ხოლო უკან მისდევდა მომცრო ტანისა. ეს სწორედ ისინი იყვნენ, ჩალას რომ მიარღვევდნენ წელან.

— ფუი, გატიალდი! — გავჯავრდი გულში, — რამდენი რამ ვნახე და ხელში კი არაფერი მიჭირავს-მეთქი, ვუსაყვედურებდი რაღაცას, ვიღაცას, ველავდი, ვშფოთავდი, თან წელმოწყვეტილივით განვაგრძობდი სიარულს. შუადღე გადავიდა და მე კი ჯერ თოფი არ გამესროლნა.

წყალში სიარულმა გული დამწყვიტა, იმედი დამიკარგა და ტბის სამხრეთის მხრიდან ისევ სამხრეთისაკენ გავუხვიე, სადაც მტკვარი მიდის. დამავიწყდა ყველაფერი: დამავიწყდა, რომ სადგურს ვშორდებოდი, დამავიწყდა, რომ ამხანაგიც სადღაც მივატოვე და მივდიოდი...

ამ დროს ჩემს უკან ვილაცის თოფმა გაიტკაცუნა და იმავ წამს დავინახე, როგორ დაყირავდა ჰაერში იხვი.

მაშინვე მივტრიალდი, გულმა კვლავ იქით გამწია და ცანგალაც გაიქცა თოფის ხმაზე. დავუძახე და მოვაბრუნე. ერთის წუთით გადაქანებული გული ესევ გადმომიბრუნდა, რადგან

ჯდომა აღარ შემეძლო დასვენებულს, ჯდომა კი აუცილებლად საჭიროა, ამასთანავე დიდხანს: რაკი აქ თოფი გავარდა და ადამიანიც ჩანს, იხვი ძნელადლა მოფრინდება, თუ კარგად დამალული არა ხარ.

კიდევ გავარდა თოფი. ცანგალა გაიქცა. ჩემმა ძახილმა ვერ გასჭრა და ველარ შეაქავა იგი. ამიტომ მომიხდა ცდა, სანამ იგი თავისით დაბრუნდებოდა უკან. ხოლო იქიდან წასვლა კი აუცილებლად გადაწყვეტილი მქონდა.

ამიტომ ვიყურებოდი იქით, საითაც უნდა წავსულიყავ. მინდორი ვრცელი და უდაბური იყო. მტკვარს გაღმა მთები მოსჩანდა, ხოლო მტკვარის ნაპირებში ჩალებისა და ტყეების მსგავსი სახეები. თვალი მთის წვერიდან დაჰყვა ფერდობებს, ჩამოვიდა ძირს, მტკვართან, გამოსცდა მტკვარს და დიდი, ბუნდოვანი ბორცვების გამოსწვრივ მინდორზე დავინახე: რაღაც ბატკნების მსგავსი ცხოველები დადიოდნენ და შიგადაშიგ ფრთებს მარაოსავით გაიშლიდნენ და ისევ შეიკეცავდნენ ხოლმე. კარგა რომ დავაკვირდი, გავარჩიე: ესენი იყვნენ სწორედ ინდაურები, რომელთაც წელან თავს გადამიარეს.

გადავწყვიტე, როგორმე მივპაროდი, მაგრამ სავალალო ის იყო, რომ მეტისმეტად ტიტველ მინდორზე ისხდნენ, არსაიდან მისაპარი არა ჰქონდათ.

ამ დროს მოვიდა ჩემთან ცანგალა. გავუჩავრდი, შემდეგ წავიკუზე და უკან დავიდევნე. ვიფიქრე, ჩრდილოეთიდან რომ რაღაც ჩინჩხვრები მოსჩანს, შესაძლოა აქედან დიდ მანძილად მეჩვენება, მაგრამ ახლო რომ მივიდე, თოფის მანძილად აღმოჩნდეს-მეთქი.

მოვეუარე ჩინჩხვრებიდან.

ეს ჩინჩხვრები, შორიდან რომ ჩინჩხვრებად მეჩვენა, ახლოს უბრალო დაბალ კაჭახებად წარმომიდგა. ამიტომ სულ მუცლით ხოხვა მომიხდა. როგორც იყო მივხობდი ჩინჩხვრებამდე, გავინაპირე კიდევ თავი შიგ და იმაზე იქით წასვლა აღარც შეიძლებოდა, რადგან ფრინველები დამინახავდნენ.

ცოტა შევისვენე. როგორც იტყვიან, ქარი ამოვიღე, და შემდეგ დიდის სიფრთხილით ავიყელყელავე. ფრინველები

თუმც ახლო იყვნენ ჩემთან, მაგრამ მაინც თოფის მანძილი არ იყო. სროლა ტყუილი იქნებოდა.

ჩავვარდი საგონებელში: უზარმაზარი ფრინველები დადიოდნენ ჩემს წინ, მაგრამ სროლა მაინც ფუჭი იქნებოდა.

ცანგალამაც წამოიყვალა და გაიქცა.

ვგრძნობდი, რომ ისიც იმას უყურებდა, რასაც მე. უყურებდა და კუდს ალივლივებდა ოდნავ. შემდეგ წინა ფეხიც ასწია და ისეთი სახე მიიღო, როგორც ნაბულზე მდგომმა და ასე ნაბულზევე გაშეშდა შემდეგ. ახლა უფრო ჩემმა ძაღლმა დამაინტერესა, ვიდრე ფრინველებმა. ამიტომ თვალი გავაყოლე ცანგალას თვალსა და მისმა თვალთახედვის ისარმა ფრინველებთან არ მიმიყვანა.

ფრინველების ცოტა დაშორებით, ასე სამოც ნაბიჯზე, რაღაც უცნაური ცხოველი თუ ფრინველი მიბობდავდა მიწაზე. თავი სწორედ ისე ჰქონდა ზევით, მაღალ კისერზე, როგორც თვით იმ ფრინველებს, მხოლოდ განსხვავება ის იყო, რომ ეს მთლად წითელი იყო, ისინი კი რუხ-მოთეთრონი. ამ ფრინველს ბოლოც უცნაური ჰქონდა, რაღაც სამკუთხიანი კუნძივით მისთრევდა მიწაზე.

დიდხანს იბობლა ამ ფრინველმა მიწაზე და როცა მიუახლოვდა ინდაურებს ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზე, უეცრად შეიცვალა სახე, თავი ჩამოუშვა, მიბრუნდა და გველივით გალივლივდა მიწაზე ფრინველებისაკენ.

რაკი ფრინველებმა საფრთხე იგრძნეს, მძიმედ გაშალეს ფრთები, მერე ბელურების მსგავსად გადახტნენ, გადახობდნენ მიწაზე, გაიქცნენ და, სანამ მძიმე ტანს აიტანდნენ ჰაერში, უცნაურმა ცხოველმა მიასწრო, შეხტა ჰაერში და ერთი დაიქირა.

წამოვხტი და გაქანდა ცანგალაც.

— მობრუნდი, — დავუყვირე ცანგალას, მაგრამ არ გამიგონა. ჩემს ხმაზე ნადირმა ინდაურს თავი გაანება და გაიქცა. ეს იყო მელა. მან მოასწრო ფრინველი ისე დაეზიანებინა ერთი პირის წაყლებით, რომ გაშვებულმა დიდხანს ვერ მოახერხა აფრენა.

ძალდი ორად გაიყო: არ იცოდა, რომელს გამოსდგომოდა.

მეც დავიბენ: არ ვიცოდი, რომლისთვის მესროლნა თოფი. შე-  
იქნა ორი კურდღლის დაჭერის ამბავი. მაგრამ ჩემდა საბედ-  
ნიეროდ, მელა მალე მიიშალა და ცანგალა ისევ შეშინებულსა  
და დაბორილებულ ინდაურს მოუბრუნდა. ინდაური ჰაერში  
შეიშარტა, ის-ის იყო უნდა გაფრენილიყო, მაგრამ ცანგალაც  
შეხტა მელასავით და იმანაც ჰაერში დაიჭირა იგი. შემდეგ  
დაიქნია და, სანამ მივიდოდი, მოკლა.

— თათა! — ვუთხარ ძაღლს. მან პირი გაუშვა.

უზარმაზარი ფრინველი ეგდო ჩემ წინ და ჩემს სიხარულს  
საზღვარი აღარა ჰქონდა.

სრულიად დავმშვიდდი, რაკი ბედმა მიპრიანა და ცარიელი  
ხელით დაბრუნება არ მომიხდა შინ. გადავიკიდე ინდაური  
მხარზე და დავბრუნდი სადგურისაკენ. ტბის პირებში ისევ  
ფრთხილად გავიარე, შესაძლოა შემთხვევა მექნეს და იხვიც  
მოვეკლა-მეთქი, თოფი ისე უბრალოდ მეჭირა ხელში, ყოველ  
შემთხვევისათვის.■

გავიარე ტბის ნაპირები, კიდევ ბევრი იხვები აფრინდნენ,  
მაგრამ შორს. ჩემი ძაღლის დანახვაზე გუნდი და გუნდი სხვა-  
დასხვა ჯურის იხვები იშლებოდა, მაგრამ არც ერთი არ იყო  
ახლოს.

— ჯანდაბას თქვენი თავი, — ნიშნს ვუგებდი გულში იხ-  
ვებს, — თქვენზე ნაკლები ნადირი არა მკიდია ზურგზე-მეთქი.

მატარებლის ჩამოსვლის დროც მოახლოვდა, გავეშურე  
სადგურისაკენ, რადგან ვიცოდი, ამ დროისათვის ჩემი ამხანა-  
გიც იქ მოვიდოდა.

მართლაც, უკვე იქ დამხვდა და საჩაიეში თბილ ჩაის შეეჭ-  
ტეოდა. გვერდზე შვიდი კაი მოზრდილი იხვი ედო.

— ყოჩაღ, — წამოვიძახე შესვლისთანავე, — კარგად გი-  
ნადირნია!

— მე კი არა, ბიჭო, შენ გინადირნია კარგა! — მომიგო მან  
და სინჯვა დაუწყო ინდაურს.

— უჰ, რამოდენაა! სად მოჰკალ, კაცო, როგორ მოჰკალ?  
ათი წელიწადია, ლამის გადავყვე და მაინც ვერ მოვეკალ; ვე-  
რასგზით ვერ მივუღეჭ. ვერც ჰაერში მივუწვდინე თოფი... რო-  
გორ მოჰკალ?

გაწბილებული ვსდუმდი. ტყუილი მეტქვა, — ყველამ იცის. ტყუილს რა მოკლე ფეხები აქვს, მართალი კიდევ სამარცხვინო იყო ჩემთვის: მთელ დღეს ვიარე, თოფი არ გამისვრია და როგორ მეტქვა, რაც ნანადირევი მაქვს მელიისა და ცანგალას მიერ არის-მეთქი დაჭერილი?...

— მითხარ, კაცო, — განაგრძო დაუცხრომლად ამხანაგმა, — მითხარ, მასწავლე, როგორ მიუღე, რა მანძილზე ესროლე...

— კარგია, კაცო, ერთი შენცა, ლაპარაკის ხალისიც აღარა მაქვს...

— მოკლელა თქვი.

— მოკლელ ის არის, რომ ინდაური მკილია ზურგზე — მორჩა და გათავდა.

— შენ რაღაც საექვოდ უარობ...

— თუ ძმა ხარ, უთხარი, ჩაი მეც მომიტანონ, — გადაუვღდე სიტყვა ბანზე, მეგონა თავს გამანებებდა. მაგრამ მან ჩაი მოატანინა და ისევ ინდაურზე დამიწყო ლაპარაკი.

ამ დროს სხვა მონადირეებიც შემოვიდნენ.

ამათაც დამიწყეს გამოკითხვა, მაგრამ პასუხს არავის ვაძლევდი სწორად: ბანზე ვისროდი სიტყვას. ბოლოს ისე შევწუხდი, რომ იძულებული გავხდი სიმართლე მეტქვა.

## ფ ს ი ტ ი

ფსიტი გარეული თხაა; იგი არაფრით არ განსხვავდება შინაური თხისაგან, მხოლოდ ბუნებამ თავდაცვის მეტი უნარიანობა მისცა, რადგან გარეულს ბევრი მტერი ჰყავს: მგელი, აფთარი, ფოცხვერი, ვეფხვი.

კარგი სანახავია თხა, როდესაც იგი ფეხმოუდგმელ კლდეს გაეკვრება ხოლმე და ისე გაივლის, როგორც კარგი ჭამბაზი გაჭიმულ თოკზე. გარეულ თხას, ანუ ფსიტს, ეს ახირება, მოქნილობა და სიმარღე უფრო მეტი აქვს.

სანადიროდ მივდივართ მე და შაქრო. შაქროს ბევრჯერ უნადირნია ფსიტებზე, ამიტომ სულ ამაზე მელაპარაკება.

ჩვენი ცხენები ხან ჩაყირავდებიან ხევებში, ხან აყირავდ-

ბიან, ხან ქვეშ მოვექცევით მთებს, კლდეებს, ხან ზურგზე, ხან მწვერვალზე. თან თავს ვირთობთ ლაპარაკით, სანამ სანადირო ადგილებამდე მივალთ.

— ფსიტზე წაველ სანადიროდ, — მიაშობს შაქრო, — მარტო ვიყავი, აგერ, ხომ ხედავ კავკასიონის ქედს, თეთრზურგა აქლემების ქარავანივით რომ მოდის ქვევით. იქ ბევრი იცის ფსიტიც და ჭიხვიც. ფსიტს თხასავით უყვარს კლდეებზე ხტომა და ბუჩქების კორტნა. ალბათ კლდის პირებში იზრდება ისეთი ბალახი, რომელსაც ძალიან ეტანება იგი.

მარტო წავედი სანადიროდ ფსიტზე.

მარტო იმით არის კარგი ნადირობა ამ ნადირზე, რომ არავისთან დაილაპარაკებ, ფეხაკრეფით ივლი და საქმბარიც არავინ გეყოლება, თორემ თუ ამხანაგი გყავს, ერთმანეთის ძებნას უნდებით, გულისყური ნადირისაკენ კი არა, ერთმანეთისაკენა გაქვთ, ძალიან არ დავშორდეთ ერთმანეთსაო.

ჰოდა, მარტო წავედი.

ღამე ეწვიმა და მიწა კარგა იყო დამბალი. მიპარვას აადვილებს, როცა ნაწვიმარია.

თხილის ტყეები გადავიარე. გადაველ წაბლიანში. სული კბილით მეჭირა, ან ახლა წავაწყდები დათვს, ან ახლა-მეთქი. მაგრამ ჭერ არ იყო ჩამოცვენილი წაბლი, ამიტომ უხიფათოდ ავცდი წაბლის ტყეებს, გადავედი ნაქცევებში, და ისე მივდიოდი ფერდაზე, თითქოს ზურგზე ფქვილით გატენილი საცალო ჰკიდიაო.

ღიდ აღმართს რომ ავცდი, გავივაკე ტყეში. ვაკე მალე თავდებოდა და ისევ ფერდობი იწყებოდა, მხოლოდ ტიტველა და ნახრეში. ნახრეშის წვერებზე ერთნაირი ბალახი იზრდება. ძალიან უყვარს ფსიტს. მგონი ეს ბალახი მწკლარტე, მჟავე და მლაშე უნდა იყოს. ეს ფერდობიც ძალიან არის აყუდებულნი, ალაგ-ალაგ მოსხლეტილი და ჩაწოლილი.

გავყავი თუ არა თავი ვაკე ტყიდან, დავინახე, როგორ ელვასავით გაეკრა და გადირბინა ფერდობი ფსიტმა. ძნელი გამოსაცნობია, როგორ გაიგო ჩემი იქ ყოფნა: დამინახა, თუ ფეხის ხმა შეესმა. მიწა სველი და დამბალი იყო, ამასთანავე ძალიან ფრთხილად მივდიოდი, თვითონ მეც არ მესმოდა ჩემი ფეხის



ხმა და იმას როგორ უნდა გაეგო ორი თოფის მანძილზე? დამინახა? ესეც საკვირველია, ჯერ ტყიდან არ გავსულიყავ.

ელვასავით გაქცეულს მეც ელვასავით გავადევნე თვალი და დავინახე, როგორ ჭინკასავით გადადიოდა ერთი კლდიდან მეორეზე და შემდეგ სულ გადიქარგა.

წაეწექი და საგონებელს მივეცი თავი.  
როგორ მივუდგე?

ვიარო თუ ვიჭდე აქ? ეტყობა აქ ახლოა მათი საყარი.  
დიდხანს ვიჯექი. ნადირი კი არსად ჩანდა.

ბოლოს ავდექი, ათასჯერ უფრო ფრთხილად, ვიდრე წელან, გადავდგი ნაბიჯი, ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ვაკვირდებოდი ხრეშებს, ბუჩქებს და ფრიალოებს.

შუადღისას ცოტა ჩამოცხა და ისევ ფერღობის ყელში ჩავჯექი.

სულ შორს ვიყურებოდი და, როცა მოვიღალე შორს ყურებით, თვალი უეცრად დაეშვა დაბლა. ჩემს წინ ბექის გადაღმა დაეაკვირდი წიფლის ძირსა და რაღაცნაირად მეცნო სამი ნაწოლი. ავდექი ფრთხილად. მივედი ახლოს და ვიცან: ფსიტების ნაყარი იყო. აშკარაა, იქა ყრილან და იქიდანვე გასულან საბალახოდ. ცოტა ხანს შემდეგ ცოტა იქითაც გადავინაცვლე და ვნახე, რომ ორი კიდეც იქა წოლილიყო, მაშინვე ჩავჯექი წიფლის ძირკვებში, ახორხლილი გველებივით რომ ამოშვერილიყვნენ მიწიდან.

ჩავჯექი ძირკვებში და გულმა ისე დამიწყო ძგარაძგური, თითქოს უკვე გრძნობს ფსიტების მოახლოვებასო, მაგრამ ამოდ. ცოტა ხნის შემდეგ დავრწმუნდი, რომ პირიქით, კი არ მოდიან, აქა ყრილან, უგრძენიათ ჩემი აქ გაჩენა, აშლილან და გაპარულან.

დაღონებულმა თავი მივადე ძირკვზე. თითქოს დავისვენე მღელვარებისაგან და ცოტა ხნის შემდეგ კი სრულიად დავმშვიდდი იმედგადაწყვეტილივით. ის იყო, ჩათვლემაც კი გავიფიქრე, რომ უეცრად რაღაცამ ზღართანნი გაადინა ჩემ წინ, ავიხედე და ვხედავ, ორმოცდაათ ნაბიჯზე წამოდგა ფსიტი. სწრაფად მიბრუნდა იგი და კლდისაკენ დაიწყო ყურება. ისე დაქო-

ტილი და გარინდებული იყურებოდა, რომ იგი ჩემთვის ნადირი კი აღარ იყო, რაღაც საიდუმლოებად იქცა.

რამდენჯერმე, როგორც შეშინებულმა ცხოველმა იცის, ცხვირი დააცემინა, მაგრამ კლდისთვის თვალი მაინც არ მოუშორებია. რაკი ის ჩემთვის ნადირი აღარ იყო და ცნობისმოყვარეობამ დაძლია, მეც იმის თვალთახედვის გასწვრივ გავხედე ფერდობს და ჯერ ის დავინახე, თუ კლდიდან კენჭები როგორ დაგორდა, ხოლო შემდეგ. კარგა რომ დავაკვირდი, შეგნიშნე — პატარა ნაქცევის ზურგზე კავკასიური ვეფხვი.

ამის დანახვა და იმის მიხვედრა, თუ ვის გაექცა პირველი ფსიტი, ერთი იყო.

ვეფხვი უაზროდ იყურებოდა აქეთ-იქით და ეტყობოდა, რომ ნადირი თვალიდან დაეკარგა. ცოტა ხანს იწვა იმედგაცრუებული. შემდეგ ადგა და ზარმაცად წავიდა.

ფსიტმა თვალი არ მოაშორა იმ ადგილს, სანამ სულ არ დაიკარგა იქიდან ვეფხვი.

როცა სულ წავიდა, მაშინ გატოკდა. ხან აქეთ მოიხედა, ხან იქით, მერე უკან ფეხი გაიქნია წიხლივით, შემდეგ მივიდა წიფელთან, ლოყით გაექეპა ზედ, მერმე რქების წვეტები მიაბჯინა, თითქო წელანდელ ნატკენს იამბდსო. მერმე ერთხელ კიდევ გაიხედა ფერდობისაკენ და, როცა დარწმუნდა, რომ საფრთხე აღარ იყო, უკანა ფეხის ჩლიქით ყბა მოიფხანა და დაფიქრდა.

ახლა იგი ჩემთვის ისევ ნადირად იქცა. რადგანაც ჩემიდან იქით იყურებოდა და ჩემი დანახვა არ შეეძლო, კარგად წამოვჯექ და კარგად დაეუჭირე თოფი დაარხეინებულმა.

თოფი გავარდა.

თვალი კარგა გავაყოლე მიზანს და აშკარად დავინახე, რომ მარჯვნიდან ცერად მოხვდა ფერდში. ამიტომ ტყვია გულმუცელში უნდა შესულიყო.

თოფის გრიალი და ფსიტის შურდულივით გავარდნა ერთი იყო. გაქცეულს თვალი გავაყოლე და თვითონაც გამოვუდექ.

რამდენიმე მანძილზე ვაკე ისევ მოსხლეტილი ფერდობით იყო დაშვებული. ამ მოსხლეტილი ფერდობის პირად ერთი უზარმაზარი რცხილა იყო გარდიგარდმოდ გაწოლილი ისე.

რომ ტანის შუამდე ნაპირზე იწვა, ხოლო დანარჩენი ფერდობისაკენ ჰქონდა მიღრეცილი, რომელიც დაბლა ხევს გადაჰყურებდა. იმ ხემდე ვხედავდი, შემდეგ კი დამეკარგა თვალიდან. ვიფიქრე, ფერდაზე დაგორდა-მეთქი, მაგრამ დაგორების ნიშნები არსად ჩანდა. შემდეგ ვთქვი, ალბათ გადახტა-მეთქი.

ჩაველი ხევში.

ხან პირაღმა ავყე, ხან თავდაღმა, მაგრამ არავითარი კვალი არსად ეტყობოდა. ყოვლად შეუძლებელი იყო, დაჭრილს სისხლის კვალი მაინც არ დაემჩნია.

უკანვე აველ.

სადაც თოფი ვესროლე, იქიდან მოვსინჯე კვალი.

წელან თუ პირდაპირ ფსიტს მივდევდი, ეხლა მის სისხლს გავყე. სისხლმა ფერდობის ნაპირზე გაწოლილ რცხილასთან მიმიყვანა და ისევ შეწყდა. ისევ ის აზრი დამეზადა: გადახტებოდა-მეთქი. დავიწყე ისევ ნახტომის ძებნა, ბევრი ვეძებე, მაგრამ ვერაფერს მივაგენ.

ისევ რცხილასთან ავედი. ხან მარცხნიდან მოვუარე, ხან მარჯვნიდან, მაგრამ კვალი ისევ იქ წყდებოდა.

ფსიტის გადახტომა ვივარაუდე და ახლა ქვევიდან მოვუარე რცხილას. რცხილის აშვერილი კენწეროს ქვეშ ერთგან რაღაც სველი ადგილი შევნიშნე.

დავაკვირდი, სისხლი იყო.

გამიკვირდა.

სად უნდა გამქრალიყო იქიდან ფსიტი?

ან როგორ მოხდა, რომ იმ ერთ ადგილას დაიღვარა სისხლი და იქიდან კვალი აღარსად წავიდა? ან ჩანაირად გაჩნდა იმ ერთ ადგილას ამდენი სისხლი ისე, რომ მისი ფეხის კვალი არ ამჩნევია?

სწორედ ამ ფიქრებში ვიყავი, რომ მალლიდან დამეცა სისხლის წვეთი.

ავიხედე მალლა, არაფერი ჩანდა.

ვუყურე, ვუყურე და ცოტა ხნის შემდეგ ხშირი ფოთლები ჩამოიარა სისხლის წვეთმა და დამეცა თავზე.

ფეხი გადავინაცვლე.

აქედან შევხედე, იქიდან შევხედე რცხილის ტოტებს და

შალა, ხის ტანის ახლო ტოტზე რქით გადმოკიდებული ფსიტი  
დავინახე.

თურმე რქით გადმოკიდება ფსიტისა თუ ჯიხვისათვის სიკვ-  
დილისაგან გაქცევის უკანასკნელი ღონისძიება ყოფილა.

„შვიდნი წავიდნენ... შვიდნივე  
ვეფხვის გამტყორცნი ნეკითა,  
შემოუარეს ფრიალოს  
გორ-შიბებით და ბეჭითა.  
ჯიხვი გადმოდგა კლდის პირას,  
შეშინებული რეკითა.  
შვიდთავ ესროლეს შვიდ-შვიდი,  
არც ერთი არ მოეკიდა, —  
ესროლა ბერმა პაპამა,  
ჯიხვი რქით გადმოეკიდა“.

— ადასტურებს ხალხიც.

## გუნების წიაღში

თელავიდან კურდღელაურს რომ ჩასცდებით და მარჯვნივ გადაუხვევთ, შემდეგ პირდაპირი გზა მიდის შაქრიანისაკენ.

ამ გზაზე მივდიოდი პურისა და სიმინდის ყანების სურნელებით გაბრუებული. თიბათვის ნიაფი ოდნავ არხევდა გზის ორივე ნაპირებში ჩაწოლილი ყანების ზღვას. ცოტა მანძილი რომ გავიარე, ვხედავ — ყანის პირას ერთ ჯაგზე ჯოხოლა ჩიტი ჯდება და ვერ დამჯდარა, ისეთ წიოკობაშია, თითქოს ქვეყანა ილუპება და შველას ითხოვსო. კარგა რომ დავაკვირდი, შევატყე, ჯაგში ჩაფრინდებოდა, რალაცას ჩაუნისკარტებდა და ისევ ამოფრინდებოდა.

მივუახლოვდი. ჩიტი არ ფრთხებოდა. მინდოდა დამენახა, რას ებრძოდა იგი, მაგრამ ის, რასაც ებრძოდა, ბალახებში იყო ჩამალული და ვერა ვხედავდი. სულ ახლოს მივედი, თითქმის ორი-სამი ნაბიჯის მანძილზე. ჩიტი მაინც არა ფრთხებოდა — პირიქით, იმედის თვალით შემომყურებდა.

თოფი მომარჯვებული მქონდა. სულ ახლოს მივედი, თოფის ლულით ბალახები მივწი-მოვწიე და შემაჯრეოლა სანახაობამ: ჯოხოლა ჩიტის ბუდეში ბარტყები ფუსფუსებდნენ, მათ თავს დიდი გველი წასდგომოდა, რამდენიმე ბარტყი ჩაეყლაპა და ბუდეში ორილა იყო.

ვესროლე თოფი გველს.

ჩიტი დაწყნარდა. ჯერ ჯაგის კენწეროზე დაჯდა, მერე დაბლა ტოტზე, შემდეგ იქვე ნარის თავზე და ბოლოს ჩაფრინდა თავის ბუდეში ბარტყებთან.

გველი მოვკალ და ჩიტის ყურთასმენის წამლები განვაშიც  
გათავდა. მე გზა განვაგრძე.

უცებ ჩემ წინ მელამ გადაირბინა და პურის ყანაში შეერია.  
ყანებშორის დარჩენილ ყამირებზე გაბმული ლიქებიდან აფრინ-  
და დედალი ხოხობი. ჭერ კუდბაწარასავით წავიდა იგი პირდა-  
პირ, შემდეგ ისევ მოუხვია და იქვე ჩაჯდა, საიდანაც აფრინდა.  
შევედი ყანაში და ვიპოვნე მელიის განარბენი: მისგან წაქცე-  
ული ყანა ისევ ფეხზე დგებოდა. მივყევ კვალს, რამაც ხოხბის  
ბუდესთან მიმიყვანა, მაგრამ მელას მაინც დანაშაულზე ველარ  
წავასწარ: ნადირი ჩემზე ფრთხილი და ყურმახვილი გამოდგა,  
მას უკვე დაეყლაპა ხოხბის კვერცხები და ჩემი ფეხის ხმაზე  
გაპარულიყო. მხოლოდ ერთი კვერცხილა დარჩენოდა გადაუ-  
ყლაპავი.

ისევ გზაზე გავედი.

მზე კარგა მალლა წამოვიდა.

ჩამოცხა. გზის პირად ერთი დიდი, ტოტებგაშვერილი მუ-  
ხა იდგა და მშვენიერი ჩრდილი ჰქონდა. მიველ და მუხის ქვეშ  
დავჯექ დასასვენებლად. ზურგი მუხას მივაყრდენ და თვალი  
მოვხუჭე. უეცრად საიდანაც მოფრინდა ჰრელნაცარა დიდი  
ბუზი და ზედ ცხვირზე დამაჯდა. მიკბინა, ხელი გავიქნიე და  
დავაფრთხე. მაგრამ ახლა შუბლზე დამაჯდა, იქედანაც გავაგ-  
დე, ახლა ლოყაზე დამაჯდა, იქედანაც ვაფრინე, გაბრაზებულ-  
მა სილა შემოვიკარ, მაგრამ ვერ მოვკალ; შორს გამიფრინდა და  
იქვე ტოტზე გაბმულ ობობას ქსელში გაება.

საიდანაც საჩქაროდ გამოვარდა თეთრზურგიანი შავი  
ობობა, მალალი. დაკლაკნილი ფეხებით, მივარდა ბუზს და დი-  
დი სისწრაფით შეახვია იგი ძაფებში. ეშმაკმა იცის, რომელი  
კოჭის ძაფიდან ამოჰქონდა იმდენი!

როცა დარწმუნდა, ბუზი ველარსად წაუვიდოდა, ცოტა  
ხანს ისევ თავის კუთხეში მიიმალა. ალბათ კიდევ ელოდა  
მსხვერპლს, მაგრამ როცა ეს მსხვერპლი აღარ გამოჩნდა, თავის  
კუთხიდან დინჯად გამოვიდა და ბუზს დაუწყო წუნა.

ბუზი ისევ ცოცხალი იყო და ტკივილებისაგან ბზუოდა.  
ისეთ ხმას გამოსცემდა, თითქოს მუნჯსა სცემენო.

შემეცოდა ბუზი!

აი რა ყოფილა: მე რომ მომეკლა — არაფერი, ხოლო როცა  
ობობამ დაუწყო წუწნა, შემეცოდა.

ვინ იცის, რამდენი საიდუმლოებაა ბუნების წიაღში!

### ფუტკარი

ახალი გაჭრილი იყო ქერები და სათიბები ისევა ჰყვაროდა.  
ბოლოში რომ გავიდნენ მომკელები, პირალმა შემოყვინნ  
და მომკილი დაათეულეს. ნამკალზე აქა-იქ ნედლი ბალახი  
მშვენიერ სუნს გამოსცემდა. შიგადაშიგ ნამჯაში მშვენიერი ყვა-  
ვილები გამოჩნდნენ, რომელნიც აქამდე ქერის ყანასა ჰქონ-  
და დაჩრდილული.

სოსანა მეტისმეტად ხუმარა, ხალისიანი და ფხიზელი გლე-  
ხი იყო მომკელთა შორის. მეთერთმეტე ძნა რომ დაადო უკა-  
ნასკნელ ათეულს ზევიდან, მობრუნდა, რაღაცას დააშტერდა  
და შემდეგ ჩაკუნტდა.

— რაღაცა იპოვნა, — თქვეს გლეხებმა და გასწიეს ჰალის  
პირში, ვერხვის ქვეშ ჩრდილში დასასვენებლად.

ჩრდილში მისულებმა ზოგმა წყალი მოიყუდა კოკურით,  
ზოგმა სამკლავეების შემოხსნა იწყო. ყველაფერზე ეტყობოდა,  
რომ მკას მორჩნენ და თიბათვის ბოლონდელი დიდი დღეც თავ-  
დებოდა.

ჰალიდან კაეშნიანად ისმოდა ლორქქედანას ლულუნი:

— გუული... გუული...

— ნეტავ რას უყურებს ამდენხანს სოსანა, — თქვა ერთმა.

— გავიგებთო, — უპასუხეს.

სოსანამ უეცრად რაღაცას სტაცა ყვავილზე ხელი, მუჭაში  
მოიმწყვდია, შემდეგ საჩქაროდ ბერვა დაუწყო. თითქოს ხე-  
ლები დაეწვაო, რამდენიმე წამს უბერა და მუჭიდან რაღაცა  
გაუშვა.

ჰაერში არაფერი ჩანდა, მაგრამ სოსანამ ისე გააყოლა თვა-  
ლი, თითქო იდუმალი და უხილავი ძაფი გააბა ჰალის შუაგულ-  
ში დევებივით აყუდებულ ვერხვებასაკენო.

დიღხანს ადევნა თვალი, მერე დიღხანსა საზრა რაღაცა და  
მძიმე ნაბიჯით წავიდა ამხანაგებისაკენ.

— რა ჩრდილებს ათამაშებდი, ბიჭო, ჰაერში! — ჰკითხა სოსანას გოლამ.

— არა გნებავს, შენც იცოდე იმისთანა ჩრდილების თამაში?

— რა ჩრდილებისა?

— ფუტკარი დავიჭირე.

— მერე? რას უბერავდი! ასე გონია, ცეცხლი ეკიდება ხელებზეო.

— დავაბორიელე.

— დააბორიელე?

— ჰო, დაბორიელებულმა პირდაპირ იცის წასვლა თავის ბინისკენ.

— ჰოო... — მიხვდნენ გლეხები.

— თუნდა სანაძლეოს დავდებ, რომ თაფლი გაჭამოთ ამაღამ, — თქვა სოსანამ.

— რათა ამაღამ, განა ეხლა არ შეიძლება?

— დღისით ვერა... ნესტრით დაგვასიებენ... ღამე უფრო აღვილია, — თქვა სოსანამ და მოძებნა საამისო ხელსაწყო.

მოსალამურდა.

სამწუხაროდ, იმეამად არც ცული ჰქონდა იქ, არც ნაჯახი, ჭრაქიც თიბათვეში არავის არ მოაგონდებოდა მინდორში წასაღებად.

მთვარეც ჯერ არ იყო გადაბრუნებული და ქვეყანა ვარსკვლავების ამარა დარჩენილიყო.

— არა! — თქვა სოსანამ, — უნდა უეჭველად ვიშოვოთ სანათი.

— იცი, რა გითხრა? — თქვა ერთმა, — შავს ნავთში ამოვავლოთ ჩვარი და...

— ჰო, ჩირალდანი, ჩირალდანი, — სიტყვა მიაშველა მეორემ.

— ჩირალდნები გავაკეთოთ, — დაასკვნეს ბოლოს.

დაამზადეს საჩირალდნოდ ჩვრები, შავი ნავთი და სანამ დაღამდებოდა, სოსანამ მოიფიქრა მოეწყო წინასწარი მოკვლევა.

— ღამე ხომ არ დავუწყებთ ძებნას, — თქვა მან: — ნათ-



ქვამია, ეშმაკები ტიკებს ალბობდნენ და ღვინო არსად იყო. ჩვენ ყველაფერი დავამზადეთ და ფუტკარი კი ჯერ არ ვიცით, სად არის.

— მართლაცდა, რატო იგრე მოგვდის, — შემოჰკრა ტაში მესამე გლახმა, — ამალამ ბნელაში ხომ არ დავიწყებთ ძებნას... წინწინ თუ არ გვეცოდინება, რას მივაგნებთ...

ამიტომ სოსანას ერთი ცხვირმოტეხილი წალდი უშოვნეს. და გაგზავნეს.

დანარჩენები მწვანეზე წამოწვენენ.

სოსანამ პირდაპირ გააბა კვალი იმ ხეების კენწეროების გასწვრივ, საითაც დაბორიალებული ფუტკარი გაფრინდა; მიდიოდა და სულ ზევით იყურებოდა, ხეებს შეჰყურებდა კენწეროებში, რადგანაც ფუტკარმა ხის კენწეროში იცის ხოლმე დაბუღება, მიუვალ ალაგას. არც ერთი ფულურო ხე არ გამოჩნა შეუთვალეირებელი.

თითქმის უნდა გასცდენოდა ჰალასა, რომ ერთი უზარმაზარი ვერხვის ფულუროდან გუგუნი მოესმა.

— ვიპოვნე! — წამოიძახა გახარებულმა სოსანამ და სიხარულით შემოურბინა ხეს. ხე ძალიან სქელი იყო და მაღალი.

თვალნათლივ რომ მოესინჯა ყველაფერი, ვერხვზე ავიდა. სათვალე ვერ უპოვნა. თუმც გუგუნი განუწყვეტლივ ისმოდა, ფუტკრის არც გამოსვლა ჩანდა და არც შესვლა.

კიდევ აცოცდა ზევით, მაგრამ სათვალეს კიდევ ვერ მიაგნო, ვერც ფუტკრის მოძრაობა დაინახა.

იმაზე ზევით ასვლა კი აღარ შეიძლებოდა, რადგან ხეს ტოტები აღარა ჰქონდა. ხელის ჩასაჭიდი რომ გაეკეთებინა, წალდი მოიშველია. დაჰკრა თუ არა წალდი ხეს, უეცრად აუარებელი კრაზანა გამოფრინდა დაჩვრეტილი ვერხვის გულიდან. დაესიენ სოსანას.

თავზარდაცემული სოსანა ისარივით ჩამოენთო ძირს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა.

კარგა ხანს სდიეს კრაზანებმა და ბოლოს, როცა თავი სულ გაანებეს, ერთი მუხის ძირას მიდგა აქაქანებული.

ნაკბენები ძალზე უბზუოდა, ეწვოდა და სტეხდა.

ეთაკილებოდა, დამარცხებული და შერცხვენილი მისული-

ყო ამხანაგებთან, მით უმეტეს, რომ დაიკვება, კაცი არ ვიყო, თუ ამაღამ თათლი არ გაქამეთო.

წუხდა სოსანა, რადგან მზე ჩასასვლელზე იყო და თუ შებინდებამდე ვერ იპოვნიდა ფუტკრის საბუღარს, მერე აღარაფერი ეშველებოდა მის საქმეს.

ფიქრებისაგან და კრაზანების კბენისაგან გაბრუებულს რაღაც ბზუილი შემოესმა. ეს ბზუილი წელანდელს არა ჰგვანდა.

მიიხედ-მოიხედა. ხან ერთ მუხას მიაღო ყური, ხან მეორეს და ბოლოს, მზის ჩასვლისას, ნათლად დაინახა, როგორ შედიოდნენ მუხის უზარმაზარ კაბთან სათვალეში ფუტკრები.

სიხარულისაგან ყველაფერი დაავიწყდა სოსანას: კრაზანის ნაკბენებიც და ძირს ჩამოვარდნაც. მაგრამ გასაკვირველი და გასახარელი იყო კიდევ ისა, რომ სქელტანიანი მუხის განიერ კაბში, სწორედ იქ, სადაც ფუტკრები შედიოდნენ, თავი ჰქონდა ჩადებული ერთ უზარმაზარ ნაღწეს, რომლის საშუალებითაც ზედ ასვლა შეიძლებოდა.

ამან დააფიქრა სოსანა.

— ალბათ ვინმემ დაამზადა და ისიც ჩემსავით ამაღამ აპირებს თათლის გამოქრას. როგორ მოვიქცე? დავასწრო თუ მოვუცადო?

ამ ფიქრით ამხანაგებისაკენ გასწია.

— ჰა, რა ჰქენ, სოსან? მიაგენ რასმე? — ჰკითხეს სოსანას მოლოდინით გულგაწყალბულმა ამხანაგებმა.

— მიგნებით კი მივაგენ, მაგრამ ვაი ამ მიგნებას!

— რაო?

— რაღაც არ მომწონს, — თქვა სოსანამ და სიტყვას კბილი დაადგა.

— ჰა, თქვი. კაცო, რა სული დაგვალევიწე! — შეჰყვირეს გლეხებმა.

— მეც ვერ მივმხვდარვარ, თქვენ რა უნდა გითხრათ, — მიუგო სოსანამ.

— ხომ იპოვნე? რაღას ვერ მიმხვდარხარ?

სოსანამ უამბო კრაზანების თავდასხმა და ფუტკრის მიგნება, მაგრამ თან ამოოხვრით დაატანა: — კაპში ხეა მიყუღებული, ალბათ სხვამაც იპოვნა და ამაღამ მივა ისიც გამოსაქრელად.

— მაგაზე რა გადარდებს, შე კაი კაცო, სანახევრო იყოს: იმას თუ უპოვნია, შენც გიპოვნია, ნაპოვნი მუღამ შუაზე იყოფა.

— მერე, ვინ იცის რა კაცია, გაგიყოფს?

წასვლით მაინც წავედით.

ზოგმა თანხმობა განაცხადა და ზოგმაც დაიყოყმანა.

ორმა მოხუცმა ნამგალი მკლავზე გადიკიდა და შინისკენ გასწია: ჩვენდროულა კაცს ეგენი არ შეფერის და ახალგაზრდებმა რაც გინდოდეთ. ისა ჰქენითო.

შებინდებისას სოსანა წინ გაუძღვა თავის ამხანაგებს და გაუდგნენ გზას მუხისაკენ, სადაც ფუტკარი იყო. გაიარეს ფშატიანი, კვრინჩხიანი, ღიჭიანი ბარდები. აქ გზა აერია სოსანას და ისევ უკან მობრუნდა. პატარა ფშაში გავიდნენ, მის პირ-პირ ბილიკს მიჰყვნენ და ნაციხართან ავიდნენ. ნაციხარიდან გზა მოკლედ გადასჭრა სიმინდებზე და ყურძნიან ბაღში გავიდნენ.

აქედან კარგა ინიშნა გზა სოსანამ.

რაკი დანიშნულ ალაგს მიუახლოვდნენ, ლაპარაკი შესწყვიტეს და ფეხაკრეფით იწყეს სიარული.

— სოსან, — უთხრა ერთმა გლეხმა, — ჩუმაღ მივიდეთ და დავზვეროთ, ვნახოთ, ვინ მოვა.

— სჯობია, — თქვა სოსანამ — სჯობია ჩუმაღა ვნახოთ. ვინ არის ჩვენი მონახევრე, თუ მარტო იქნება, მივიდეთ თუ არა და... ერთი სიტყვით, ვნახოთ.

დათათბირდნენ და წავიდნენ ისევ ფეხაკრეფით.

საშინელი სიჩუმე სუფევდა.

მხოლოდ ამ ოთხი თუ ხუთი კაცის ფრთხილი ფეხის ხმა და ფაჩიფუჩი არღვევდა სიჩუმეს. მათს სიფრთხილეს კიდევ ის უშლიდა ხელს, რომ მუშლი ეხვეოდათ და ხან ერთი გაილაწუნებდა სილას ლოყაში, ხან მეორე.

მივიდნენ.

ის მუხა განმარტოებით იდგა.

სოსანამ ლიქწამოსხმული ბარდებიდან დაანახვა ამხანაგებს ფუტკრის სამყოფელი.

— აგე, ის არის და გავკმინდოთ ხმა, ვნახოთ — ვინ მოვათაფლის გამოსაქრელად.

ამის მეტი ხმა მათ აღარ ამოუღიათ.

ჩასაფრდნენ და მუნჯებით ისხდნენ. მხოლოდ ხელებს ისვამდნენ ლოყებზე კოლოების მოსაგერიებლად.

კარგა ხანი რომ გავიდა, გვერდშემტვრეულმა მთვარემ ამოანათა.

სიხარულის ნიშნად ერთმანეთს შეხედეს გლეხებმა: მთვარე კიდეც ყოფილაო.

კარგა ზევით წამოვიდა მთვარე.

საღლაც დაიკვილა კოტმა.

ის-ის იყო, სოსანა უნდა ამდგარიყო და შესდგომოდნენ საქმეს, რომ ვილაცამ წაილაპარაკა მუხის გადაღმა.

— „მოდიან“ — გაიფიქრეს გლეხებმა და ისევ გაინაბნენ.

კარგა ხანს გასტანა სიჩუმემ.

აშკარაა, ვილაცა იყო და სწორედ ისიც ისევე ფრთხილობდა, როგორც ესენი. „მაგრამ ის რაღად უნდა ფრთხილობდეს?“ — ფიქრობდა სოსანა.

კოტა ხანმა კიდეც გაიარა და რაღაცამ გაიტკაცუნა, ეტყობა გამხმარ ტოტს დაადგა ფეხი. ისევ შეჩერდა. კიდეც წაილაპარაკა და კარგახანს ჩამოდგა ისევ სიჩუმე. შემდეგ გამოჩნდა ვილაც მუხის იქიდან. წაკუზულივით იდგა იგი შავად.

შემდეგ მძიმე-მძიმედ მივიდა მუხასთან, გაიხედ-გამოიხედა, მერე აათვალიერ-ჩაათვალიერა მუხაზე მიყუდებული ნალეწი და შეუდგა საქმეს: ნალეწს მოხვია მკლავები და ხვნიშით დაიწყო ბობღვა ზევით. შუამდე რომ აბობღდა, უეცრად მოსწყდა და ბრაგვანი მოიღო ძირს.

კიდეც გაიხედ-გამოიხედა.

ისევ შეუდგა საქმეს.

დიდის წვალებითა და ხვნიშით აბობღდა კაპამდე, კაპში ჩადებულ ნალეწს მოსჭიდა ხელი და თვითონაც ჩაჭდა კაპში.

თითქოს იგრძნესო საფრთხე, შეტოკდა ფულუროში შებუ-  
ღრული ფუტკარი და მისი ბზუილი მკაფიოდ გაისმა ღამის  
სიჩუმეში. გაისმა ღონიერი დარტყმაც, მაგრამ ცულისა კი  
არა — ხელისა. ხელს უზაგუნებდა და ხელის ბაგუნს ბურტყუ-  
ნიც ააყოლა.

— დათვია! — დაიძახა სოსანამ და წამოცვივდნენ ყველანი.  
ერთ-ერთმა გამზადებულ ჭინქს ცეცხლი მოუკიდა და მაშ-  
ხალა აანთო.

გაიგო თუ არა ადამიანის ხმა, დათვი პანტასავით მოსწყდა  
თავის ადგილს და ბრაგვანი გაადინა ძირს.

დიდხანს ისმოდა მისი ლაწალუწი მუხნარში.

გლეხები მივიდნენ მუხასთან. მაშხალის სინათლეზე კარ-  
გა ჩანდა, როგორ ირეოდა სათვალესთან ფუტკარი.

— ძნელია ახლა გამოჭრა, — თქვა სოსანამ.

ჩააქრეს მაშხალა და დაუცადეს ფუტკარის შესვლას ფულუ-  
როში, მაგრამ ფუტკარს აღარ მოუსვენია ამის შემდეგ. გათე-  
ნება მოახლოვებული იყო.

— ხომ სულერთია დათვის ლუკმაა ეს ფუტკარი, გამოვჭ-  
რათ, — თქვა ერთმა.

— გამოვჭრათ, — დასთანხმდნენ სხვებიც.

სოსანა ავიდა კაპთან. დაპკრა წალდი ერთხელ, ორჯერ, სამ-  
ჯერ და მთელი ფუტკარი გარეთ გამოვიდა.

ატყდა თავგანწირული ბრძოლა. მაშხალები აანთეს. ფუტ-  
კრებს ბოლით იგერიებდნენ, მაგრამ ფუტკრები აღარც ბოლს  
ეპუებოდნენ: ხან ერთი შეპყვირებდა, ხან მეორე, ხან მესამე.  
სოსანა კი ურახუნებდა წალდს.

მუხა მაგარი აღმოჩნდა და ისე გაუთენდათ, რომ გამოჭრა  
ვერ მოასწრეს. ფუტკარი უფრო გაცხარდა გათენებისას. გამ-  
წარებული სოსანაც გამწარებული ურახუნებდა წალდს, თან  
იგინებოდა, რომ შიგ ნუჟრში გაუკეთებიათ სათვალე, ნუჟრი  
კი მაგარია.

წალდის ჩაკუნზე საიდანლაც ისე გაჩნდა ტყის მცველი, რომ  
სანამ არ შეპყვირა, „რასა სჩადითო“, ვერ გაიგეს.

— თქვენ არ იცით, რომ ფუტკარის გამოჭრა აკრძალუ-  
ლია?! — დატუქსა ტყის მცველმა გლეხები.

ყველამ პირი დაადო.

— მაშ არ იცით, რომ აკრძალულია ფუტკრის გამოკრა? —  
კიდევ განრისხდა ტყის მცველი.

— როგორ არ ვიცით, მაგრამ საქმე სხვანაირად არის, —  
თქვა სოსანამ.

— როგორ სხვანაირად, ციხეში წახვალთ...

— არა, ციხეში არ წავალთ...

— მითომ რატომაო?

— სამი დღე და ღამეა ვყარაულობთ ამ მუხას...

— რომ გამოგეკრათ, არა?

— არა, თაფლის გამოღება არ გვინდოდა, დათვი უნდა მო-  
გვეკლა, — იმართლა თავი სიცრუით სოსანამ და განაგრძო: —  
ის ოხერი ძალიან მოწადინებულია ამ ფუტკრის დავსებას,  
გვინდოდა მოგვეკლა, მაგრამ დროზე გაგვიგო.

— ეს მაშხალები რაღად გინდოდათ, თუ დათვის მოკვლა  
გინდოდათ?

— დაჭრილს მოვძებნიდით ბნელაში.

— მერე, რით უნდა მოგეკლათ. წალდით? ტყუილს მოკლე  
ფეხი აქვს.

რაკი სათქმელი აღარა ჰქონდა რა, სოსანამ თავი დალუნა,  
ჩაიციხა და პატიება თხოვა. თანაც დაუმატა:

— მაგ ოხერს რაკი ვერ მივუღდექ მოსაკლავად და ეგვეც  
თავგადადებულია იმ ფუტკრის შესასვლეპად, ვთქვი, ბარემ რა-  
ღა იმან შეჭამოს, ჩვენ შევჭამოთ-მეთქი.

— მაინც თავს იმართლებ, — დაუყვირა მცველმა.

— თავს კი არ ვიმართლებ, მაგრამ გვაპატიე.

— მეორედ აღარა გნახოთ აქა, — მოუჭრა მოკლედ ტყის  
მცველმა.

— ჩვენ კი აღარა გვნახავ, მაგრამ ის დათვი მაგ ფუტკარს  
შეუჭმელს არ გაუშვებს.

— არხეინადა ბრძანდებოდეთ, იმის წამალიც ვიცი! —  
დაიკეხა ტყის მცველმა.

წასასვლელად მოემზადნენ გლეხები. სოსანას ცნობისმო-  
ყვარებამ სძლია და ჰკითხა ტყის მცველს:

— ძმობილო, აი ეს ნალეწი შენ ხომ არ მიაყუდე ამ მუხის კაპზე ასასვლელად?

— მე კი არ მივაყუდე, თვითონ დათვმა მიაყუდა. როცა მაგას აკეთებდა, დავინახე, მაგრამ მაშინ თოფი არა მქონდა თან, მერე კი, რამდენიც თოფით ჩაეუჭეჭე, აღარ მოვიდა.

— დახე მაგ შეჩვენებულს! — შემოჰკრეს გაკვირვების ტაში და წავიდნენ.

### პატარა ვეზაბური

წიგნი მოგვივიდა ქალაქიდან მოხევეებს. ერეკლე მეფე იტყობინებოდა: სამშობლოს მტერი მოადგა და მთიულეთის იმედი მაქვს, მომეშველენითო.

მაშინვე ვაფრინეთ გზირები და გაისმა სოფელ-სოფელ ყვილი. ღამე ჩირალიც დავანთეთ მაღალ კოშკებზე და შევატყობინეთ ყველა სოფელს ჩვენთან ჩამოსვლა.

მეორე ღღესვე დროშების ჟღარუნით მოვიდნენ მოხევეები, თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარნი. სიტყვა ისიტყვა მოხუცმა ქავთარმა და წინ გაგვიძღვა.

ყინვალში ხევისურები შეგვხვდნენ.

შევერთდით და სიმღერით გავწიეთ ქალაქისაკენ.

გაეგოთ სხვებსაც და გზადაგზა გვიერთდებოდნენ: ზოგი ცხენით, ზოგი ფეხით, ზოგიც ურმით.

არაგვიდან ბევრნი ვიყავით; სხვა მხრიდან თაღლითობა თქვეს ბატონებისა, ეურჩებიან ერეკლეს და არ უნდათ ჭარის გამოყვანაო.

ქავთარმა გულზე ხელი დაიკრიფა და გვითხრა:

— ვაი დედასა! რა დროსა გვღალატობენ! მაგრამ თუ ცოცხალი მოველ, არც შინაური მტრის ჯავრს შეეკვამ.

ქალაქში დიდი სიყვარულით დაგვხვდა ერეკლე.

სასახლეს რომ ვუახლოვდებოდით, ქავთარმა დროშა ახალგაზრდებს ჩააბარა და თვითონ უკან მიიმალა, თავი დალუნა; მეფემ მალე არ მიპოვნოსო.

როცა ერეკლემ მოგვიკითხა ყველანი და მე მხარზე ხელი დამკრა, როგორა ხარ, ჩემო პატარა ვეზაგუროო, უეცრად ქავთარი მოიკითხა:

— სად არის ჩემი ქავთარი?

— აქ იყო, შენი ჭირიმე, და უკან ჩამოგვრჩა.

— რადა? იმანაც ხომ არ მოინდომა ჩემი ღალატი?

— არა, ბატონო, აქა ვარ, — წამოიძახა ქავთარმა უკანა რიგებიდან.

— მოდი წინ, რად დამალულხარ უკან? — უთხრა მეფემ.

— ახალგაზრდებმა მაჯობეს, დიღო ბატონო, მთაში. თოფიც ჩემზე კარგა მოარტყეს, ფარიც ჩემზე კარგა ააგეს, თანაც მისაყვედურეს: მეფესთან მუდამ შენ წარსდგები ხოლმე წინა და ბრძოლაშიც წინ არ გვიშვებო.

— მოდი აქ, — დაუძახა მეფემ.

ქავთარი ზღაზვნით მივიდა მეფესთან.

— რომელი ახალგაზრდა გისაყვედურებს მაინც?

— სუყველა, ვინც თქვენ წინა დგა, დიღო ბატონო!

მეფემ გადახედა ახალგაზრდებს და გადასძახა:

— თქვენი საყვედურის ჭირიმე, ბიჭებო, მაგრამ...

მეფე ცოტა ხანს დაფიქრდა და ყველანი ისე გავიტრუნენით ლოდინში, რას იტყვის ერეკლეო, რომ საკუთარი გულისცემა გვესმოდა.

— დიღო ბატონო! — გატეხა სიჩუმე ქავთარმა, — მოდი, ეგ თქვენი „მაგრამ“ მტერსა ვთხლიშოთ ცხვირპირში და ახალგაზრდები გაუშვათ წინ: გამოიცილებიან, ისწავლიან და ჩვენს ადგილს დაიჭერენ.

— ძალიან კარგი! — დათანხმდა მეფე.

სასახლიდან მეფესთან ერთად წავედით ბრძოლის ველისკენ. კრწანისის ველზე ერეკლემ საჩქაროდ გამოარჩია სამი ახალგაზრდა და უთხრა:

— შეირბინეთ ახლავე ტაბახმელაზე და გადახედეთ მტერს, კარგა გასინჯეთ, ბევრია თუ ცოტა.

ბიჭები მოასხდნენ ცხენსა და გასწიეს ტაბახმელისკენ.

— შენა, ჩემო პატარა ვეშაგურო, როგორა მყევხარ?

— რათ მეძახით პატარას, ბატონო? ბრძოლებში დავბერდი, ჩემი ხნისა ქვაც აღარა გორავს რიყეზე, — ვუთხარი საყვედური მეფეს და თავი დავღუნე.

— იმიტომ, ჩემო პატარა ვეშაგურო, რომ შენ მუდამ მო-



ხუცი და მუდამ ახალგაზრდა ხარ. ორმოცი წელიწადია ჩემ წინა ტრიალებ და სულ ასეთი ხარ: აღარც დაბერდი, აღარც გაჭეილდი.

გამეცინა და ვერაფერი ვუთხარი, მხოლოდ ჩემთვის წავიბურტყუნე: რა ვიცი. ვიფიქრე. ახალგაზრდებში ხომ არა მთელის-მეთქი.

ერეკლემ, სანამ სამი ახალგაზრდა დაბრუნდებოდა, მებრძოლთ ადგილსამყოფელი ცხენით შემოიარა, ყველგან თავისი ბრძანება დააგდო და ისევ ჩვენთან მოვიდა.

ამ დროს დაბრუნდნენ მოამბენიც.

— აბა, მითხარით, რა ნახეთ? მრავალია მტერი თუ მცირე?

— დიღო ბატონო, — მოახსენეს მოამბეებმა, — მტერი ისე მრავალრიცხოვანია, რომ ტყეში ფოთოლი დაითვლება, ის კი — არა.

— ცდებით, მშიშარებო, — უთხრა მეფემ, როდესაც შეატყო, რომ ამ ამბავმა მებრძოლთა რაზმი დააღონა, დააფიქრა და შეაქროთ.

— აბა თუ არა ცდებით, გავგზავნოთ პატარა ვეშაგური და იმანა ნახოს, თუ მაგდენია მტერი, — თქვა მეფემ და დამავალა ამბის გაგება.

მაშინვე გავფრინდი, გადავხედე ტაბახმელიდან მტრის ბანაკს და მტრის სიმრავლემ ყრუანტელი მომგვარა ტანში. მთელი მარაბდის ველი სოღანლულამდე და ყუმისის ტბიდან მარნეულამდე სულ შავად იყო დაფარული.

გამწარებულმა რამდენიმეჯერ მაგრად ჩავყლაპე ნერწყვი და გამოვეშურე ამბის მოსატანად მეფესთან.

მეფესთან რომ მიველ, დიდხანს არაფრად ჩამაგდო, თითქოს აღარც უნდა ამბავი გაიგოსო. შემდეგ ისე, ვითომ სხვათა შორის, მოაგონდა:

— აბა, მართალი გვითხარ, პატარა ვეშაგურო, რა ნახე? — მითხრა მეფემ უეცრად.

მე დამცინავი ღიმილით გადავიგრიხ-გადმოვიგრიხე წელში და მოვახსენე:

— იქ რა არის, მაგაზე მეტი დაგვიმარცხებია-მეთქი.

ჯარი გამხნევდა. ყველას შუბლი გაეხსნა და სიმღერაკ დაიწყო.

ერეკლემ დაუძახა ქავთარს:

— ჩემო მოხუცო ქავთარ, მოდი აქ ჩემთან.

ქავთარი მივიდა. მეფემ მოახსენა:

— ისევ შენ უნდა წახვიდე წინა, თორემ ახალგაზრდა თვლი ერთის ადგილას ასსა ხედავსო.

ბრძოლისათვის რომ გაეწყვნენ რაზმები, ერეკლემ დამიმარტოხელა და მკითხა:

— ახლა სწორად მითხარი, მართლა ბევრია მტერი თუ ცოტა?

— მართლა ბევრია, შენი ჭირიმე, — ვუპასუხე და თანაც დასტური დავეცი ახალგაზრდების ცნობას, — ტყეში ფოთოლი დაითვლება, ისინი კი — არა, მაგრამ თანაც დავუმატე: — საქმე ბევრის დამარცხებაა, თორემ ცოტას ყველა დაამარცხებსმეთქი.

მეფეს გაუხარდა ჩემი სიმხნევე და ხელი მხარზე გადამდო:

— როცა გავიმარჯვებთ, რასაცა მთხოვ, მოგცემ, — თან გულისტივილით მითხრა: — ძალიან უნდა ვეცადნეთ, ჩემო პატარა ვეშაგურო, თორემ შვილებმაც მიღალატეს და თავადებმაცაო.

ბრძოლა დაიწყო. მთელი დღე-ღამე ხელჩართულ ბრძოლაში სულ დაგვიწყდა მებრძოლნი. მაინც ორი დღის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ მტერი დავამარცხეთ. ამბავი მოვიდა, ალა-მაჰმად-ხანი აიყარა და უკან მიდისო. ჩვენ ძალიან ცოტალა დავრჩით.

ამ დროს თურმე ვილაც მოღალატემ ტყვეები გადააპარა ტაბახმელიდან ალა-მაჰმად-ხანთან და შეატყობინა: ერთი მუქა ქართველებილა დარჩნენ, მობრუნდიო.

მართლაც მობრუნდა მტერი და ხელახლა დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. ისე დაგვეღალა ხმლის ქნევით მაჯა, რომ მკლავში ძალა აღარა გვქონდა: მკლავს ძლივსლა ვიქნევდით.

მოვიკრიფე უკანასკნელი ძალა და გადავეშვი მტრის ურ-

დოში. მაგრამ ამ დროს კვირისტაეში მომხვდა მტრის ტყვია და წავიქეცი.

ჩემს გარშემო აუარებელი მკვდრები ეყარა. უნდა კიდევ წამომეწია თავი, მაგრამ ამ დროს ვილაცის ცხენმა წაიბორძიკა ჩემზე. მერე აღარათფერი მახსოვს, რა მოხდა. მხოლოდ მეორე დღეს მოველი გონზე. დიდი ხნის უძილოს დამვიწყებოდა ტკივილი, დამძინებოდა და, რომ გამოვიღვიძე, მაშინლა ვიგრძენი ტკივილი.

მაგრამ ჩემს გარშემო რომ სანახავი ვნახე, ტკივილი ისევ დამავიწყდა. მკვდარი მკვდარზე ეგდო. მკვდრებს შორის დავინახე ქავთარი, ქავთარის იქით კიდევ რამდენიმე ნაცნობი არაგველი, არაგველებში ვილაც სპარსელი ჩამდგარიყო და მკვდრებსა სძარცვავდა. ხოლო თუ ცოცხალსა ნახავდა ვისმე, ხმლით მოჰკლავდა.

მომავონდა ჩემი თოფი.

მივიხედ-მოვიხედე და ვიპოვნე.

ჩემ გვერდით ეგდო და, ჩემდა საბედნიეროდ, გატენილი იყო. როცა მკვდრების მძარცველი სპარსელი იქით მიბრუნდა, წამოვიწიე, გავუწოდე ჩემი ძიგლიგი და, რომ გატყვრა, სპარსელმა სამჯერ გადაიარა. ყირაზე.

გულს მომეფონა.

აღარავინ იყო. დაქრილმა კრილობა გავიწმინდე ჩოხის კალთით, პერანგით შევიხვიე და ბარდებში შევბობლდი. რამდენი ვიარე და რის ვაივაგლახით ავაწიე ხევს.

ერეკლე მეფე ანანურში დამხვდა.

ციხის კედელს მისჩერებოდა, ხოლო მის შორიახლოს ვილაც დედაკაცი მოთქმითა ტიროდა.

— დიდო ბატონო, — ხმამალა მივმართე მეფეს, მაგრამ მან ხმა არ გამცა. რამდენიმეჯერ შევეკითხე კიდევ, მერე ვთხოვე, — მობრუნდი, შემოგვხედე-მეთქი და, როცა საქმე გავუქირე, წყრომით გადმომიგდო პასუხი:

— აღამიანის დანახვა აღარ მინდაო.

„ეს იმიტომ, — გავიფიქრე გუნებაში, — რომ ბევრმა ისეთმა უღალატა, რომლისგანაც ამას არ იფიქრებდა“.

იქვე ვილაც მოხვევემ გამოთქვა ლექსი ერეკლეზე:

მე აღარ ენახავ თბალისსა.  
იქ აღარ მიმიხარიან.  
მე მთიულეთში დავრჩები.  
ერთგული ყმანი არიან,  
ან არა, წავალ კახეთსა,  
თელავი მიყვარს ძალიან.  
არ დამიფასდა ამაგი,  
დროს გავატარებ გლოვაში,  
თუ მოვკვდი, მაშინ დავრჩები  
თუშ-ფშავ-ხევსურთა ხსოვნაში.

მალე მოკრიბა ჯარი ერეკლემ. მეც ისევ გავმთელდი და ჩავედით თბილისს, მაგრამ მტერი იქ აღარ დაგვხვდა: შეშინებოდა და გაპარულიყო.

ტყუილად მაინც არ მოგვაცდინა. განჯას გვიკრა თავი და ალა-მაჰმად-ხანის ჯავრი განჯის ხანზე ვიყარეთ, აკი ალა-მაჰმად-ხანის მომხრე იყო. ამის შემდეგ ერეკლე მეფეს დიდხანს აღარ უცოცხლია.

მკვდარი ფშავ-ხევსურეთში დავიტირეთ.

მისი სიკვდილის შემდეგ რუსის თვითმპყრობელობა შემოვიდა საქართველოში. მთის ხალხმა არც რუსის მეფეს მოუხარა თავი.

მთიულეთს მოედო აჯანყება.

მოვიდნენ ჩემთან ყმაწვილი კაცები და მითხრეს:

— პაპავ, შენც წამოდიო!

— ვინა გყავთ, ბიჭო, წინამძღოლი?

— ბიძინა ერისთავი.

— არა, შეილო, ეგ თავადი მოგატყუებთ. მაგან ერეკლესაც უღალატა-მეთქი, — ვუთხარი ახალგაზრდებს, მაგრამ არ დამიჯერეს, ბურთი ჩამჩარეს პირში: ეგ სიტყვა აღარ გაგვაგონო.

გავჩუმდი, არ მჯეროდა ბიძინა ერისთავის წინამძღოლობა. მაგრამ მაინც ჩემიანებს არ ჩამოვრჩი, მეთვალყურესავით გავყე.

— ფრთხილად. ბიჭებო, არ მოტყუვდეთ, — ვაფრთხილებ-

დი გზადგზა, თან კი ბურტყუნით მივსდევდი ახალგაზრდა არწივებს.

დაწყვეტილ ხევში რომ შევედით, აქეთ-იქიდან და უკანიდან აგვიტეხეს სროლა. მთლიანად მოსპეს აჯანყებულთა რაზმი ჩასაფრებულებმა, წინდაწინვე მომზადებულებმა. არც იმათ დავაყარეთ ხეირი, მაგრამ ცოცხალი მარტო მე წამოველ.

გავტენე ჩემი ძიგლიგი და დავადექ ბიძინა ერისთავის კვალს. დიდხანს ვდიე, მაგრამ ვერსად მოვხელე, ვერსად დავკარი თვალი.

მლეთში მითხრეს: დღეს კობს მიემგზავრება ცხენითაო. შევირბინე მაშინვე ბილიკები და ვიწროში ჩავუჯექ. წინ-წინ ამოიარა ჩაფარმა. აქეთ-იქით იყურებოდა, თავის ბატონისათვის გზის მშვიდობიანობას ამოწმებდა. კარგა ხანი რომ გავიდა მისი ავლის შემდეგ, გამოჩნდა თვითონ ბიძინა ერისთავი.

ნაპრალეებში გავაყოფინე ჩემს ძიგლიგს ტუჩი და რომ დავაცემინე, თოფი არ გამივარდა. ვთქვი:

ტილო ჩემო ძიგლიგო,  
აღარ გაქვს ჩემი ხათრია;  
რას ეფერები თავადსა,  
მაგის სიკვდილი მადლია.

კიდეც დავაცემინე, მაგრამ კიდეც არ გავარდა. თავადმა შემიტყო, და რაკი შემიტყო, გონს მოსვლა აღარ ვაცალე, გადავხტი ხმლით. მაგრამ არც ის დამხვდა ცუდად. ერთხელ დამასწრო, მეორედ კი — გიხაროდეს, გაუგმირე მაჯა და გავაგდებინე ხელიდან ხმალი.

— მოხვევების სისხლი გმართებს, წყეულო! — შევეძახე და ჩვენებური ხმალი ხანჯალივით გავუტარე გულში.

ჩემკენ გადმოიქცა ვიწრო ბილიკზე.

ბილიკის პირი მომემზღვლა და დავცურდი ქვევით, არაგვის ტალღებისაკენ. გავყე არაგვის ტალღას და მერე ტყეს შევეფარე.





## ოიანა-ბუიანა

(ისტორიული ტრაგიკომედია 4 მოქმედებად და 7 სურათად)

### მოქმედნი პირნი:

რევაზ — მოურავი ქიზიყისა.

ოიანა-ბუიანა — მეფის მასხარა, ქიზიყელი გლეხი, ბერიკების სულძღვანელი.

ხიხო, კიკო, რიკო  
დოყო, ბოყო, როყოყო } ბერიკები.

ბერიკა ტახი, ბერიკა ვირო, ბერიკა ქალი, ბერიკა სიძე, ბერიკა პატარძალი, აბდულ-მირზა, ბეგო მაწუნწარას ძე — ჯამბაზი (ოიანა-ბუიანას მიერ გაზრდილი ობოლი ქიზიყელი გლეხი).

მეძაე-მანანა — რევანის ძმების მიერ ქუთაისში ნაყიდი მონა-ქალი.

სანთო — ოიანა-ბუიანას ასული.

თაფლო — რევანის შინაყმა ქალი.

ბაძო — თავისუფალი გლეხი.

ზაზო — ბაძოს მოხუცი მამა.

უთრუთ — რევანის შინაყმა გლეხი.

სიდო — უთრუთის დედა.

თადე — პატარა ტანის გლეხი.

სანდრია — ყმა, მეჩონგურე ბიჭი.

მოტირალი დედაკაცები — ხალხიდან.

ტიბერი — აზნაური, რევანის ციხე-კოშკის უფროსი.

ფეშანგი — თავადებული ახალგაზრდა თავადი, გარყვნილი და მოქიშქე რევანისა.

ზაქარია და ოთარი — რევანის ძმები.

ბატონიშვილი — მეფის პირშუო, ბატონი კახეთისა, ხალხის მიერ ცხვარიკამიად წოდებული.

კაშარგელი — აზნაური მეფის საიდუმლო აგენტი რევანის წინააღმდეგ.

კილიფთარი — ბატონიშვილის მოსამართლე.

ორი შიკრიკი — ბატონიშვილისა.

დარაჯი, ქალათი, თორდა, მედოლე ლეკი, შავი კაცი (მოქიდავე), იფრინდა, დიდებულინი, თავადები, მოხელენი, გლეხები, ყმები, ყმა ქალები და სხვანი.

მოქმედება მიმდინარეობს ქიზიყში



## მოქმედება პირველი

ქოდალო. რევანის ციხე-კოშკში. დილა-ბინდია, შორიდან მოისმის  
ოლოლის ხმები, ბერიკები ასახიერებენ ხალხურ თქმულებას ოლოლზე-  
ციხის კარებში დგას დარაჯი.

— მეხბორევ...

— უუუ...

— იპოვნე?

— ვერა, ვერაა..

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

დარაჯი — საკვირველია, ამ დროს ოლოლის ძახილი არ  
გამიგონია ჩემს სიცოცხლეში. მაგრამ სიცილი რაღაა?  
ავი სულელები ხომ არ არიან! საცაა მზე უნდა ამოვიდეს  
და რა უნდათ ამ დროს ავ სულელებს?.. ციხეს მივხედო.  
არავინ გამეპაროს, თორემ ბატონები სულს თვალები-  
დან ამომჩიჩქნიან.

(თან ათვალიერებს, თან თავისთვის ლილინებს)

მამაჩემიც სდარაჯობდა ამ ციხეს,

ციხეში კი იმისი ძმა ტყვეობდა.

მეც, ვინ იცის, იმნაირ ტყვეს ვდარაჯობ,

ვის გულშიაც ჩემი ძმობა მზეობდა...

გარედან — ხა, ხა, ხა, ხა, ხა.

დარაჯი — კიდევ... ვინ უნდა იყვნენ?

ხმები გარედან — (როგორც ბაყაყებმა იციან გეზეში):

— გატეხილია, გატეხილია.

ყუაში, ყუაში..

დარაჯი — ეს ბაყაყები რაღაა?

ხ მ ე ბ ი — დამპალა...

— ლაყეა...

(შემორბიან ერთმანეთს ბერიკები. წინ მოუძღვით ტახი. ჯამბაზ-ბეგოს აქეთ-იქიდან ხელს თავში აჭერენ და ყვირიან — „დამპალა, ლაყეა“. ხიხოს მოჰყავს აკიდებული ვირი. ნიღბოსნები არიან).

ხ ი ხ ო — ჰაცე, ვირო! (დაარტყამს სახრეს).

ვ ი რ ი — ეი, რატო იგრე მართლა ვირსავით მცემ!

ხ ი ხ ო — მაშ კარგი და მუტრუქსავით დაგადებ! (კიდევ დაარტყამს).

ვ ი რ ი — ეჰეი, ფრთხილად, თორემ თუ გიჩვილე ბატონთან!...

ბ ე რ ი კ ე ბ ი — ხა, ხა, ხა, ხა, ხა. (ტახი დააკაუნებს).

ხ ი ხ ო — შენ ეი, ტურუხანავ! (მიღის ტახისაკენ).

ტ ა ხ ი — მე თავი დამანებე, თორემ სათითესავით წამოგიცვამ ეშვზე.

დ ა რ ა ჯ ი — ვინა ხართ თქვენ?

ხ ი ხ ო — ჩვენა? მოხუცი ზაზო და მანდილოსნები სათვალავში არ ჩაიგდება. დანარჩენებს კი ეხლავ გაგაცნობ (მიიღებს ნულზე თითს) — ხიხო! (მერე გააცნობს სხვებს) — კიკო, რიკო. ეს ერთი დასტა. ეხლა მეორე: დოყო, ბოყო, როყოყო და ესეც ბეგო მაწუნწარას ძე. ვირსა და ტახს შენც კარგად იცნობ — დანარჩენები წარამარა ხალხია. მხოლოდ ოიანა-ბუიანაღა გვაკლია.

დ ა რ ა ჯ ი — მე თქვენ გიჩვენებთ ოიანა-ბუიანასა! გამშორდით აქედან!

ხ ი ხ ო — აეყუდე მაგ ციხის კარებს. პატიმარი არ გაგეპაროს!.. ბიჭებო, აგე, აგე, აგე! ხედავთ? მოდის!

კ ი კ ო — არა, მობობლავს.

რ ი კ ო — მოჭივივივებს.

ხ ი ხ ო — რა უნდა იყოს?

კ ი კ ო — ზღარბია.

რ ი კ ო — ტურაა.

დ ო ყ ო — ტურა კი არა, კიბორჩხალაა.

ბ ო ყ ო — თხუნელაა, თხუნელა.

რ ო ყ ო ყ ო — რას ამბობთ კაცო, ეგ ხომ ჭიანჭველების ხელმწიფეა.

ხ ი ხ ო — ხელმწიფე კი არა, ახლა დედოფალი მომიგონეთ —  
მუტრუკია.

(შემოდის ტიბეირა).

კ ი კ ო — შაიმუნი ყოფილა.

ტ ი ბ ე რ ა — რაო?

(ბერიკები ვითომ ვერ დაინახავენ ტიბეირას, ზურგს შეაქცევენ, შე-  
ქუჩლებიან ერთად და რალაცას აშენებენ ქაერში).

ხ ი ხ ო — ვაშენებთ!

კ ი კ ო — ვაშენებთ!

რ ი კ ო — ვაშენებთ!

დ ო ყ ო — თარაზო!

ბ ო ყ ო — აჰა!

რ ო ყ ო ყ ო — შიმშა!

ბ ო ყ ო — აჰა!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — აშენდი კედლო, დაუნგრეველო!

ხ ი ხ ო — ავიდა!

კ ი კ ო — ავიდა!

რ ი კ ო — ავიდა!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — (მღერიან)

მანავისა ციხეო,  
ალარ ჩამონგრეო,  
ზურაბის დატანებით  
თავი გაიმკვიდრეო...  
დედისერთა ზურაბო,  
უნდა დაგადულაბო!

დ ო ყ ო — კირი!

ბ ო ყ ო — აჰა!

რ ო ყ ო ყ ო — აგური!

ბ ო ყ ო — აჰა! -

ხ ი ხ ო — ავაშენეთ, ავაშენეთ!

დ ო ყ ო — ქვა მომაწოდე.

ბ ო ყ ო — რომელი?

დ ო ყ ო — ნიშა-ნიკორა და საყურეებიანი! ქვა არ იცი?... მო-  
მაწოდე!

(შეადგებიან ერთმანეთს მხრებზე, ვითომ მეორე სართულს აშენებენ)  
ყ ვ ე ლ ა ნ ი — (მღერთან)

დედისერთა ზურაბო,  
უნდა დაგადულაბო!

ხ ი ხ ო — მეორე სართული ადის.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ავიდა! ავიდა! აშენდა! (ჩამოცვივიან უეცრად)  
ვააა... დაინგრა (მღერთან) ვაიმე, აშენებული დაგვენგრა  
კედელი, ვაიმე!

ტ ი ბ ე ი რ ა — ნეტა რა ააშენეს, ან რა დაენგრათ? ნაცრის  
ნასახიცი კი არსადა ჩანს, რომ ნაცარქექიები მაინც  
ვუწოდო.

ზ ა ზ ო — ვაიმე, ვაიმე... ეს რა გიყებში ჩავვარდი! ამათი იმე-  
დით ეს ქალებიც კი ამედევნენ და ესენი... განა რასმე  
გამიკეთებენ ბატონთან?!

ტ ი ბ ე ი რ ა — რის გაკეთება შეუძლიანთ ამ თავიდან ფეხე-  
ბამდე მასხარებს.

ხ ი ხ ო — (ვითომ მხოლოდ ესლა შეამჩნია ტიბეირა) აბა ეს ვინდა  
არის. ნემსიყლაპიასავით რომ წამოგვადგა თავზე. ცოტა  
იქით დადექ, თვალში არ ჩამივარდე!

კ ი კ ო — ერთი უყურეთ; სათულე დეემტვრევა ყასაბს ამის  
გატყავებანზე.

რ ი კ ო — ბიჭებო, საქათმიდან გამომძვრალ ტურასავით არ მი-  
ურბის თვალეები?

დ ო ყ ო — ქუდი ქამა-სოკოს მიუგავს!

ბ ო ყ ო — ხმალი რა საქანლის კირკალივით ჰკილია!

რ ო ყ ო ყ ო — რამსიგძე ფრჩხილები აქვს! რწყილებს ხომ არ  
ატყავებდი სალორეში, ძმობილო?

ტ ი ბ ე ი რ ა — დახე ამათა!

(ტახი დააკაუნებს).

ხ ი ხ ო — არ შეიძლება, მაგ ფრჩხილებით შენს ბატონს რე-  
ვაზს ქავილები დაუამო?

ტ ი ბ ე ი რ ა — ბატონზე ჩუმად, თორემ!..

კ ი კ ო — თორემ რა უნდა მიყო, ჩამოხვეტილ ჩურჩხელასა  
გევხარ!

ტ ი ბ ე რ ა — ჰაი, თქვე შეჩვენებულეზო! (მაოახს ასწევს, ტახი წინ გუბენს და დაუკაუნებს.) მასხრები რომ არა იყოთ, გველის ფხაში გაგაძვრენდით!

კ ი კ ო — ო-ჰოჰო-ჰო-ჰო! რა გაბრაზება სცოდნია აი ამ ხიხოს. ღიპივით! (დაარტყამს ღიპზე ხელს ხიხოს).

ხ ი ხ ო — ვაიმე, დედავ, მუცელი!

კ ი კ ო — მუცელი, შენ ნუ მომიკვდები, სულ ვარიების ჭ-მით გექნება განებივრებული!

ხ ი ხ ო — მუცელი, დედავ, მუცელი!

კ ი კ ო — საწყალი!.. რა დაგემართა?

ხ ი ხ ო — ორსულადა ვყოფილვარ და... მუცელი!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჰარიქათ, ბებია!.. გავაჩენინოთ!

ხ ი ხ ო — არ მინდა, შიგ იყოს!

(წააქევენ და აჩენინებენ წიხლის დაკვირვით).

კ ი კ ო — გააჩინე!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გააჩინე!

ხ ი ხ ო — ვაიმე, დედავ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გააჩინე!

ხ ი ხ ო — გაიჭედა, კაცო, ვაიმე!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გააჩინე! გააჩინე!

ხ ი ხ ო — დავიწვი და დავიხრაკე, დედავ. ნულა ეწევით. კაცო, ძირხვენა ხომ არ არი! ვაიმე!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჩნდება, ჩნდება!

ხ ი ხ ო — გული წამივიდა... ვაიმე!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჰა-ტა-ტა-ტა-ტა! ჩნდება, ჩნდება, — გაჩნდა!

ჰუ, რა მწარე გაჩნდა! შავი ბოლოკი!

(გამოიღებენ შავ ბოლოკს).

ხ ი ხ ო — (გახარებული წამოხტება) მართლა მწარე გაჩნდა? მაშ სუფრაზე მიაართვით ბატონს...

ტ ი ბ ე რ ა — კიდევ წასწვდით ბატონსა? (ტახი დააკაუნებს).

ბ ო ყ ო — ბიჭებო, აგე მართლა მოდის.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მოდის...

დ ო ყ ო — რა პირქუშად მოდის! გაჯავრებული მოდის, გავი-ჰარნეთ და სანამ სიბრაზის ოფოფები არ ფაუფრინდებიან, ნუ შევხვდებით.

(ფეხაკრეფით გადიან).

ტიბეირა — მეც გავეცლები. (ღარაჯს) თუ მიკითხოს ბატონმა, მოახსენე, ციხე-კოშკს ჩამოუვლის და აქვე გეახლებათ-თქო. (გაღის).

ღარაჯი — (მღერის) „მამაჩემიც სღარაჯობდა ამ ციხეს“...  
(შემოდის რევაზი).

რევაზ — არავინ მოსულა?

ღარაჯი — ტიბეირა გახლდათ, ბატონო, ციხე-კოშკს ჩამოუვლის და გეახლებათ.

(შემოდის ფეშანგი).

რევაზ — აქ რას დადიხარ?

ფეშანგი — ქალს მოვკარ თვალი!

რევაზი — საკუთარ ცოლს ვერ უპატრონე და სხვებს დასდეგ?

ფეშანგი — მე რას მედავები, თავადო. სადავო შენს ძმასთან გაქვს, ზაქარიასთან. გაყრილობაში მას მეტი ერგო მიწაც და ყმაც.

რევაზ — კიდეც რას იტყვი?

ფეშანგი — მე აღარაფერს, მხოლოდ ზაქარია მოგახსენებს: საქართველოს მივემხრობი და რევაზს დავამხობო.

რევაზ — მეფეს როგორ მიემხრობა, როცა თვითონ დამაქერინა მისი გამოგზავნილი ოიანა-ბუიანა.

ფეშანგი — მაშ რაღად შეიფარა იმავე მეფის გამოგზავნილი აზნაური კამარგელი შენს წინააღმდეგ?

რევაზ — შენ ვისზე ამბობ, შე ფაშატი ცხენის ბუზალაკო, როცა შენ უფრო უმსგავსი მტერი ხარ ჩემი!

ფეშანგი — შენს ჯავრს შენივე ძმა ამომყრის, შენსკე წამოვიდა... აგერ, მობრძანდება კიდეც... იმას მიე ეგ პასუხები. (გაღის).

რევაზ — ჩემს გასაბმელ ბადესა ქსოვენ ჩემს სახლში. მაგრამ სანამ მოქსოვენ, ყველას გაუუჭეკეყ თავსა. (შემოდის ზაქარია.) ეს ციხე-კოშკი მე მერგო, აღარ მომშორდებით?

ზაქარია — განა იმიტომ მოვატყუე ბატონიშვილი და იმიტომ დაგეხმარე მეფის წახდენაში, რომ ეგეც გეთქვა ჩემთვის?

რევაზ — მეტის ღირსი ხარ!

ზ ა ქ ა რ ი ა — რაღა?

რ ე ვ ა ზ — იმად, რომ მოწილე გამიხდი სამოურავოსი..

ზ ა ქ ა რ ი ა — საკუთრად გნებავდა, არა?

რ ე ვ ა ზ — მნებავდა და მნებავს კიდევ!

ზ ა ქ ა რ ი ა — მაშ იძრე ხმალი!

რ ე ვ ა ზ — დიახაც, ამის მეტი სხვა სამართალი არ არის ჩვენს შორის, ან შენ, ან მე! (იძრობენ ხმალს, შემოესწრებათ ტიბეირა).

ტ ი ბ ე ი რ ა — დიდებულნო! რასა სჩადით?.. ღვიძლი ძმები ხართ!.. სირცხვილია!.. (ჩაღვება შუაში.) მე მომკალით, ოღონდ გაშველდით!

რ ე ვ ა ზ — ოჰ, ჩემ სახლს იქით შემომხვედროდი! ან დედაჩემის შვილი არ იყო!

ზ ა ქ ა რ ი ა — შენც რომ არ იყო დედაჩემის შვილი...

რ ე ვ ა ზ — გაგათავებდი!

ზ ა ქ ა რ ი ა — სულ ლუკმა-ლუკმად გაქცევდი! (გაღის).

რ ე ვ ა ზ — ტიბეირ, ამოიყვა აქ კამარგელი.

ტ ი ბ ე ი რ ა — თორღვა! (შემოდის თორღვა) გამოიყვა კამარგელი. (თორღვა შედის ციხეში).

რ ე ვ ა ზ — ტიბეირ!

ტ ე ბ ე ი რ ა — რას მიბრძანებ, დიდო ბატონო?

რ ე ვ ა ზ — შენ ერთგული აზნაური ხარ ჩემი?

ტ ი ბ ე ი რ ა — დიახ, ბატონო.

რ ე ვ ა ზ — მაშ როგორ მოხდა, რომ მტერი შემოგვეპარა გალავანში?

ტ ი ბ ე ი რ ა — მაპატიე, დიდო ბატონო, შეუცდომელი ღმერთიც არ არის.

რ ე ვ ა ზ — აბა პირდაპირ მიყურე... შენს თვალებში მარტის დღესავით ქანაობს გული.

ტ ი ბ ე ი რ ა — თვალებზე რომ შეიძლებოდეს, ბატონო, ადამიანის დაფასება, მეძავ მანანას ანგელოზად ჩავთვლიდით. ჩემზე ერთგულს სხვას ვერ იშოვნე ამ ქვეყანაში..

(თორღვას გამოჰყავს კამარგელი).

თ ო რ ღ ვ ა — კამარგელი, დიდო ბატონო.

რ ე ვ ა ზ — ტახტის აზნაურო... კამარგელ...

კამარგელი — რა გნებავს?

რევაზ — ამ წიგნსა სცნობ?

კამარგელი — მერმე?

რევაზ — ეს წიგნი საქართველოს მეფის მიერ არის მოწერილი ოსესთან და შიგა სწერია: მოიძხრე თავადიშვილნი, აზნაურნი, თავისუფალი გლეხები და ყმები, რომ დავამხოთ ქედმაღალი და ურჩი დიდებული ქიზიყისა რევაზიო, შენ მოიტანე ეს წიგნი?

კამარგელი — დიახ, მე მოვიტანე!

რევაზ — ისე ამაყად კისრულობ, თითქოს სიკეთე მოგეტანოს ჩემთვის.

კამარგელი — სწორედ ეს არის საამაყო, რომ სიკეთე არ მოგიტანე!

რევაზ — რაკი ასეა, შენისთანა ამაყების აღგილიც მაქვს. ოსე, რომელთანაც მოწერილია ეს წიგნი, უკვე მოვსპე. მასთან ერთად გავანადგურე ყველა ჩემი მტერი და შენი გზაც იქით არის! წაიყვათ და ისე გააქრეთ, თითქოს არც კი ყოფილიყოს.

კამარგელი — ოოხ, შე მტარვალო! გაუმადლო სვავო! ქვეყნისა და ხალხის მოლალატევ! მაწამე, მაწამე, მაგრამ იცოდე: საქართველოს მეფე არ შეგარჩენს ლალატ! (კამარგელი ძალით გაჰყავთ, რევაზს მოელანდება მეფე).

მეფის ლანდი — მოლალატევ!

რევაზ — ტყუილად მელანდები, (დაცინვით) საქართველოს მბრძანებლო! მე შენი არ მეშინიან! შენ მოურავობა ჩამომართვი და შენი ცხვარიჭამია შვილი გამოგზავნე კახეთის ბატონად, მაგრამ ისე ავუბნევე თვალებს, საკუთარი თავისაც ველარაფერი გაიგოს.

მეფის ლანდი — განანებ!

რევაზ — უჩემობამ წაგახდინა თუ არა? რატომ არ დაუდექ შაჰინშაჰს მარტო? (მეფის ლანდი გაქრება, რევაზი დაფიქრდება...) მაგრამ რომ გამოასწოროს მეფემ თავისი საქმეები და შვილების გულიც მიიბრუნოს? მაშინ? მაშინ საქმე გამიძნელდება... არა! მე ბატონობას (შემოდის ტაბერია) ვერავეინ წამართმევს, და კამარგელის გზა მო-



- ღალატეთა გზაა! (ტიბეირას) შენ ამბობ ერთგული ვარო?
- ტიბეირა — დიახ, ბატონო!
- რევაზ — მაშ ის რა იყო, ბატონიშვილის წვეულებაზე რომ შენ დაგასახელა თამადად ფეშანგიმ?
- ტიბეირა — იმან დამასახელა და ჩემი რა ბრალია!
- რევაზ — ფეშანგიმ მითხრა, ტიბეირამ დამარიგაო. ბატონობას მეცილები, აზნაურო? სულ მათიტელასავით დაგაგლეჯ მაგ წვერებს!
- ტიბეირა — მაპატიე, ბატონო, მე უბრალო ვარ!
- რევაზ — მოყვრის პატივისცემა ვიცი, მაგრამ არც მტრობაში ჩამოვუფარდები ვისმე. (გაღის).
- ტიბეირა — როდემდის უნდა იყოს ასე? მაპაჩემიც ამ დღეში იყო? პაპაჩემიც? როდემდისლა უნდა იყოს ასეთი უკუღმართი ეს წუთისოფელი? ვაჰ სოფელო, რაშიგან ხარ... რას გვაბრუნებ, რა ზნე გქირსა?
- (თორღვას შემოაქვს კამარგელის თავი).
- თორღვა — აი, ბატონო, გავათავე ჩემი საქმე.
- ტიბეირა — ნუ დამანახვებ, თორღვა, ნუ... მჭერა! წაიღე და რევაზის პირდაპირ ჩამოაცვი მარგილს. დეე, იმან უყუროს და დასტკბეს. (თორღვა გაღის), გაიგებს ვინმე, რა ხდება მზის ყოველ ამოსვლამდე ამ გაღავანში? (დაინახავს ისევ რევაზს) ვაი ჩემს თავს! ისევ მობრუნდა. ნეტავ რა მოაგონდა?.. რისთვის მობრუნდა?
- (შემოდის რევაზი).
- რევაზი — ტიბეირა!
- ტიბეირა — ბრძანე, ბატონო.
- (ამ ღროს აქეთ-იქიდან შემოპყოფენ თავს ბერიკები, რევაზი ჭერ ვერ ხედავს).
- რევაზ — გაზაფხულის დღესასწაულზე ბატონიშვილის გასართობად საქობოდან ბერიკები მყავს დაბარებული.
- (ბერიკები შემოდინან).
- ბერიკები — ხა-ხა-ხა-ხა-ხა.
- ტიბეირა — ესენი თქვენზე აღრე გეახლნენ, დიდო ბატონო.
- ხიხო — არა-მეთქი!

კ ი კ ო — „არა“ კი არა — ჰო! სწორედ იქ იწვებოდა, იქ!

ხ ი ხ ო — სადა?

კ ი კ ო — რუმბებთან!

ხ ი ხ ო — რუმბებთან კი არა — მეძავ მანანასთან.

კ ი კ ო — არა!

ხ ი ხ ო — ჰოო-მეთქი!

კ ი კ ო — არა, რუმბებთან!

ხ ი ხ ო — მეძავ მანანასთან!

(ეტაკებიან ერთმანეთს. თან სცემენ, თან იძახიან „რუმბებთან“, „მეძავ მანანასთან“).

რ ო ყ ო ყ ო ხ ა-ხ ა-ხ ა-ხ ა-ხ ა... ძიძგი-ძიძგი მამალა, შენ იცი და მაგანა!

რ ე ვ ა ზ — რასა სჩადით, თქვე მასხარებო, თქვენა?

ხ ი ხ ო და კ ი კ ო — არაფერს, მხოლოდ ვჩხუბობთ.

რ ე ვ ა ზ — რისთვის?

ხ ი ხ ო — ეს ამბობს, რუმბებთან ეძინებოდა წუხელისაო.

კ ი კ ო — ეგ კიდევ გაიძახის, მეძავ მანანასთანაო.

რ ე ვ ა ზ — ვისა?

ხ ი ხ ო — ვისა და ჩვენს ჩინებულ ბატონს, რევაზსა.

რ ე ვ ა ზ — ჰა-ჰაი, თქვე მასხარ-ფშუტებო, თქვენა! იმიტომ დაგიძახეთ, ისევ მე დამცინოთ? სულ მათრახით აგაჭრელვებთ!

ხ ი ხ ო — უკაცრავად! უმაგისოდაც საკმაოდა ვართ ჭრელვები! ამიტომ აუჭრელვებლად წავალათ უკან, წავიდეთ, ბიჭებო!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — წავიდეთ! (მიღიან).

რ ე ვ ა ზ — მოიცათ! (მობრუნდებიან) მასხარად აგდება და დაცინვა შეიძლება... მხოლოდ ბატონის მტრებისა, თქვენ კი მე დამცინით... აღარ გაბედლოთ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გვესმის, ბატონო.

რ ე ვ ა ზ — აბა შემომხედეთ, ვინა ხართ!

ხ ი ხ ო — არავინაც არა ვართ!

რ ე ვ ა ზ — როგორ თუ არავინაც არა ხართ? კიდევ დამცინით?

ხ ი ხ ო — არა, ბატონო, შენ კი არ დაგცინით, ჩვენს თავს

დავცინით: არავეინაც არა ვართ -- ჩვენა ვართ მხოლოდ ბერიკის უტვინო ფეხები.

რ ე ვ ა ზ ი — თავი სადღაა?

ხ ი ხ ო — აი იმ ციხეშია დამწყვდეული: ოიანა-ბუიანა. ხა-რიტონა გლესს რომ ეძახდნენ წინათ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გაანთავისუფლე!

რ ე ვ ა ზ — იმიტომ მომიმწყვდიეთ ამ ციხის კართან?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გაანთავისუფლე, ბატონო!

ხ ი ხ ო — უიმისოდ ვერაფერს ვითამაშებთ — გაანთავისუფლე!

რ ე ვ ა ზ — ძან ბევრსა მთხოვთ!

ხ ი ხ ო — ძან ბევრსა გთხოვთ და თუ არ მოგვცემ, ვერ ვითამაშებთ; უიმისოდ უთავონი ვართ... წავიდეთ, ბიჭებო.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — წავიდეთ. (გაღიან).

რ ე ვ ა ზ ი — ბატონიშვილმა იცის, რომ მისთვის გასართობ სანახაობას ვაწყობ და ესენი რომ მართლა წავიდნენ, შევრცხვები კაცი. არა სჯობია გავანთავისუფლო ოიანა-ბუიანა? (ეშახის) არ გეყურებათ? მობრუნდით! მობრუნდით!

(ბერიკები ისევ შემოდიან).

ხ ი ხ ო — რას გვიბრძანებ, დიღო ბატონო?

რ ე ვ ა ზ — გავათავისუფლებ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჰაე-ჰაე-ჰაე-ჰაე!

(ასტეხენ ყვირილს, იხლიან ნიღბებს და ცაში ისერიან, თითქოს ქორმა წიწილა წაიღო, და ბოლოს ერთ ადგილს დააფრინდებიან ყველანი).

რ ე ვ ა ზ ი — რა მოგივიდათ, გაგიჟდით?

ხ ი ხ ო — არა, ყვეს კაკალი გავაგდებინეთ.

რ ე ვ ა ზ ი — დახე ამათა! მაინც დამცინიან... ვინ არის ეს მოხუცი?

ხ ი ხ ო — ახალგაზრდა ბერიკა გახლავთ. ოთხმოცდა ხუთ წელიწადში ერთხელ გამოდის ხოლმე საბერიკაოდ.

კ ი კ ო — დიახ, დიახ, მაგან სიბერეში გაიქნია კული და მხოლოდ ერთი კაკალია აქვს ჩამოსაგდები.

ზ ა ზ ო — დიღო ბატონო! (ჩაუვარდება ფეხებში).

რ ე ვ ა ზ — გიციობ, მოხუცო. ისიც ვიცი, რისთვისაც ში-  
გორდები ფეხქვეშ, მაგრამ ვერ გავანთავისუფლებ  
შენს შვილს ბაძოს. მას რომ თავისუფლების ფასი  
სცოდნოდა — თავისუფალი იყო. მან მოახლე გოგო  
მომტაცა ძალით...

(თაფლო მანდილს მოიხდის და მივა თავდახრით).

თ ა ფ ლ ო — არა, ბატონო, ძალით კი არა, ჩემი ნებთ გავყე-  
გაანთავისუფლე, ბატონო, ბაძო, და გამანთავისუფლე  
მეც... ძალიან გეხვეწები... ძალიან... (ჩაუფარდება ფეხქვეშ).

რ ე ვ ა ზ — მისი. განთავისუფლება მხოლოდ ათასი კირმანა-  
ულით შეიძლება.

ზ ა ზ ო — სადა მაქვს, ბატონო!

ს ა ნ თ ო — გაათავისუფლე, ბატონო!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გაათავისუფლე...

რ ე ვ ა ზ — როგორ წამომიარეს აქეთ-იქიდან... ის მანდილო-  
სანი ვინდაა?

ბ ე გ ო — ოიანა-ბუიანას ქალი გახლავთ, სანთო.

რ ე ვ ა ზ — სანთო? მშვენიერი გოგონა ჰყოლია!.. მამაშენს  
გავათავისუფლებ.

ს ა ნ თ ო და ყ ვ ე ლ ა ნ ი — გაათავისუფლე: ბატონო, ბა-  
ძოც.

რ ე ვ ა ზ — მაგის განთავისუფლებაზე შემდეგ ვიფიქრებ. გა-  
ზაფხულის დღესასწაულები რომ გათავდება, ახლა კი  
წადით სახალვათო კოშკში, ჩამოჰხადეთ თქვენს ვირს  
ბარგიბარხანა და მოემზადენით ოიანა-ბუიანას შესახ-  
ვედრად. (ბერიკები გაღიან) ტიბუირ, გამოიყვანე ციხიდან  
ოიანა-ბუიანა.

ტ ი ბ ე რ ა — ბატონი ბრძანდები (გაღის).

რ ე ვ ა ზ — ჩემს სასარგებლოდ გამოვიყენებ მასხარას.

(ცოტა ხნის შემდეგ გამოდის მასხარა ოიანა-ბუიანა. ისე გამოდის,  
როგორც ბნელიდან სინათლეში გამოდიან ხოლმე — ბრმასავით. ხელში  
უჭირავს პურის ცომისაგან შეთთხნილი თავისი პირვანდელი სასაცილო  
სახე).

მ ა ს ხ ა რ ა — ვინა ხართ ადამიანი!.. ვინ იცით ამბავი ჩემი  
ობოლი ქალისა, ჩემი სანთოსი?.. ექვს თვეზე მეტია,

უპატრონოდ დავტოვე... ვერაფერს ვხედავ ბნელიანი თვალებით სინათლეში... ვინა ხარ შენა?

რ ე ვ ა ზ — ველარ მიცნობ?

მ ა ს ხ ა რ ა — ვერა! (დააკვირდება.) მაგრამ რო გაკვირდები, მაგონდება: შარშან ერთი დიდი თავადი კამეჩივით დაეწაფა სავსე ქვევრსა და შიგ ჩავარდა — იმას მავონებ. ის ხომ არა ხარ?

რ ე ვ ა ზ — (თავისთვის, გაბრაზებული) შეჩვენებული! ციხის კარს არ გამოსცილებია და იქიდანვე დამცინის. (მასხარას) შენ პეი, წინდაუხედავად რომ ლაპარაკობ! როგორც გატყობ, კარგა ვერ მიცნობ კიდევ!

მ ა ს ხ ა რ ა — (ვითომ ეხლა იცნო) შენა ხარ რევაზ, მოურავო ქიზიყისა? გიცნობ, გიცნობ!

რ ე ვ ა ზ — ეგ რა გიჭირავს ხელში?

მ ა ს ხ ა რ ა — ჩემი პირუანდელი სახეა. იმ ტალახისაგან შევთითხნე, პურად რომ მიგზავნიდი საკანში.

რ ე ვ ა ზ — რად გინდა მერე?

მ ა ს ხ ა რ ა — საჭიროა: კაცმა თავისი თავის არც უწინდელი და არც მერმინდელი სახე არ უნდა დაივიწყოს. მეც იმიტომ გავაკეთე: უნდა სარკეში შევიხედო და თუ წინანდელს აღარა ვგევარ... რა გინდა ჩემგან?

რ ე ვ ა ზ ი — არაფერი. თავისუფალი ხარ.

მ ა ს ხ ა რ ა — თავისუფალი?

რ ე ვ ა ზ ი — დიახ, თავისუფალი.

მ ა ს ხ ა რ ა — მადლობას მოგახსენებ.

რ ე ვ ა ზ — უკეთესის თქმა არ შეგეძლო?

მ ა ს ხ ა რ ა — რაცა ვთქვი, ისიც იმიტომ კი არა, გამანთავისუფლე, იმიტომ, რომ ამდენხანს ციხეში ჯდომით დამასვენე... თავისუფალი რომ ვყოფილიყავი, ასჯერ მაინც მომიხდებოდა ქოდალოდან ტფილისს ჩასვლა შენი ლატის...

რ ე ვ ა ზ — ხმა! გაგანთავისუფლე, მაგრამ ერთის პირობით: ლალატზე კრინტი არ დასძრავ!

მ ა ს ხ ა რ ა — ნეტაი ჩემს თავისუფლებას!

რ ე ვ ა ზ ი — გესმის?

- მასხარა -- მესმის, ბატონო, მაგრამ განა ქვეყანამ არ იცის, რომ ხალხი გაჰყიდეს და მეფობა გინდოდა?
- რევაზ — ხმა ჩაიწყვიტე, შე ბენიავე, შენა!
- მასხარა — უკაცრავად: დიდი ხნის დასვენებული ენა ლალობს სუფთა ჰაერზე.
- რევაზი — ბეშტიავ! ლაგამი მაგრა უნდა ამოსდო მაგ მოლალურს ენასა და ხალხში გასვლამდე ისე გასწურო, რომ მეტი სათქმელი აღარა დაგჩივს რა!
- მასხარა — აკი თავისუფალი ხარო!
- რევაზ — თავისუფლებას რომ საზღვარი არა ჰქონდეს, ხვლიკი ბელეს დაეუფლებოდა, ამიტომ ჩემს მიერ მოცემულ საზღვრებში უნდა ჩასტიო შენი ენა და მოიქნო ისე, როგორც მე მსურს. ოხუნჯობის ნება გაქვს, მაგრამ ბატონის მხილება... არ გაჰბედო.
- მასხარა — სადა ბატონო, სადა?
- რევაზი — გაზაფხულის ღღესასწაულზე. ბატონიშვილისთვის ბერიკობა უნდა მოაწყო.
- მასხარა — ბატებმა ჭამონ...
- რევაზ — ვინა?
- მასხარა — კლანჭა ბალახი.
- რევაზ — არ დაგავიწყდეს... გესმის, რას გეუბნები?
- მასხარა — მესმის... შენი შიშისაგან ყველაფერი მესმის.
- რევაზი — რამე თუ წამოგცდა ჩემი განდგომის შესახებ, მარგილზე ჩამოგაგებ ჭათმის თავსავით.
- მასხარა — ეგ მჯერა, ნამდვილად მჯერა.
- რევაზ — გჯერა და ჩემი ყოველი წარსული...
- მასხარა — ქებით მოვიხსენიო, არა?
- რევაზი — დიახ, დიახ!
- მასხარა — და ისე გამოგიყვანო. თითქოს ანგელოზი იყო, არა?
- რევაზი — მოიტა ხელი!
- მასხარა — არა, ხელს ვერ მოგცემ... ამ ხელით სხვადასხვა მცოცავეებსა ვჰყვლეთდი ჩემს ტანზე საპყრობილესი... ქუჭყიანია.
- რევაზი — რა მწარე ენა გაქვს!
- მასხარა — არც შენ ბრძანდები თაფლივით ტკბილი.

რ ე ვ ა ზ ი — ხუმრობა იქით გადავდოთ და თუ ჩემი ერთგულება გინდა..

მ ა ს ხ ა რ ა — კიდეც მავალეზ რასმე?

რ ე ვ ა ზ ი — ბევრს არაფერს: ჩემი გაყრილი ძმების მომხრე თავად ფეშანგს ისე უნდა უკბინო, აღარ დაუამდეს.

მ ა ს ხ ა რ ა — დიდი სიამოვნებით. მოიტა ხელი! (მისცემს ხელს) მაგრამ რომ გადავიმტერო?

რ ე ვ ა ზ ი — ჩემს იქით ნურაფრისა გეშინიან.

მ ა ს ხ ა რ ა — სიტყვას მაძლევ?

რ ე ვ ა ზ — აჰა ულვაში. (გამოიძრობს ულვას და მისცემს.) საცა გაგიკირდეს, ახსენე ჩემი სახელი და იქ გავჩნდები... წადი, გამოიტანე შენი ბარგი, სახალვათო კოშკში გელიან შენი სოფლელი ბერიკები. (ჩვეაზი გადის).

მ ა ს ხ ა რ ა — რა ეშმაკის კერძად მინდა ეს უნამუსო ძაღლის ბალანი (დაავდებს ძირს რევაზის ულვას და ფეხით შედგება). თავისუფლებას კი... გამოვიყენებ (შედის ციხეში. შემოდიან ბეგო და სანთო).

ბ ე გ ო — რატო არ გამოუშვა ნეტა აქამდე?

ს ა ნ თ ო — მოგვატყუეს ალბათ... წავიდეთ, ის თავადი მაინც ვნახოთ...

ბ ე გ ო — ვინ თავადი?

ს ა ნ თ ო — რა სასაცილოდ მიყურებდა! თან მიყურებდა, თანაც ტუჩებს აცმატუნებდა მსუნაგ კატასავით... არ იცი? ფეშანგი?

ბ ე გ ო — სანთო! ხუმრობ თუ მართლა აპყოლიხარ იმ თავადსა?

ს ა ნ თ ო — ვინ იცის? იქნებ ვხუმრობ, მაგრამ ხანდახან დიდი საქმე ხუმრობით იწყება ხოლმე... მამაჩემი არ გამოუშვან და არც ის თავადი ვნახო?..

ბ ე გ ო — ერიჰაა...

ს ა ნ თ ო — რა გიკვირს? ახალგაზრდა გოგო ვარ, ახალგაზრდა ბიჭია, ცოტაოდენს გავასულელებ.

ბ ე გ ო — იმან რომ გავასულელოს?

ს ა ნ თ ო — აგერ მე მათვალეირებს. აბა, ერთი გვერდზე გავუვლი და შენ უყურე, რას იზამს... (გავა ბტუნვით).

ბ ე გ ო — რა დროს ეგენია, ქალო... ეს დასაქცევი: ან ჩემი გამოჯაერება უნდა, ან მართლა გასულელდა... მაგრამ რა კარგია, რომ ჩემთან არის ხოლმე!

(სანთო ისევ შემოვარდება შეშინებულს).

ს ა ნ თ ო — ბეგო, მიშველე! დამინახა თუ არა, პირდაპირ ჩემს-  
კენ წამოვიდა (ბეგოს მიეკვრება გვერდზე და იყურება ფეშან-  
გისაკენ).

ბ ე გ ო — აი, ეგრე იყავ... ჩემთან არა სჯობია? ხელს ველა-  
რავინ გახლებს.

(შემოდის ფეშანგი)

ფ ე შ ა ნ გ ი — მანდ ვის ელით?

ბ ე გ ო — შენს წასვლას!

(სანთო მოსწყდება ბეგოს და გაიქცევა).

ბ ე გ ო — ისევ გაფრინდა...

ფ ე შ ა ნ გ ი — რა კარგი ჩასაკნატუნებელია! (გასდევს სანთოს  
კვალს).

ბ ე გ ო — ვილაცა მოდის ციხიდან.

(გამოდის მასხარა გულანბლით).

მ ა ს ხ ა რ ა — ბეგო!

ბ ე გ ო — ჩემო ხარიტონ! (გადაეხვევიან).

მ ა ს ხ ა რ ა — როგორა ხარ, მეგობარო, ჩემო გაზრდილო?

ბ ე გ ო — ისევ ძველებურად: ვაითა და ვიშით.

მ ა ს ხ ა რ ა — ქვეყანა როგორღაა?

ბ ე გ ო — ისიც ძველებურად: ისევ დაბეზლება, მექრთამეობა,  
მდაბალთ ჩაგვრა და მაღალთ კინკლაობა.

მ ა ს ხ ა რ ა — სად არიან რევუზის ძმები: ოთარი და ზაქარია.

ბ ე გ ო — ხელთ იგდეს არეული დრო და გაიყარნენ, მაგრამ  
ჯერ ისევ ქოდალოში იმყოფებიან. ოთარს სიღნაღი ერ-  
გო, ზაქარიას — ჭერემი და რევუზს — ქოდალო. ყმების  
გაყოფაზე კინალამ ერთმანეთი დახანჯლეს. რევუზს მეფო-  
ბის იმედი ჰქონდა, მაგრამ გაუცრუვდა.

მ ა ს ხ ა რ ა — გარყენილი და ბედოვლათი ფეშანგი?

ბ ე გ ო — კონკილასავითა ქანაობს სასისხლოდ გადამტერე-  
ბულ რევუზსა და მის ძმებს შორის. ცოლი გაექცა და  
კახპებს დასდევს... აღარავის ასვენებს... მაგრამ შენა?  
შენ როგორა ხარ, ჩემო გამზრდელი?



- მ ა ს ხ ა რ ა — რა მიჭირს: საკმარისად დავეჭვიანდი ციხეში.  
მაგრამ მიაბზე, რა მოხდა ჩვენი დაშორების შემდეგ?
- ბ ე გ ო — როდესაც ქალაქიდან ბატონიშვილთან დახმარების  
სათხოვნად გამოგზავნილი რევაზმა დაგიჭირა, ჩვენ, რამ-  
დენიმე ახალგაზრდამ, მაინც ჩვენი არ დავიშალეთ და  
წავედით მისაშველებლად...
- მ ა ს ხ ა რ ა — ყოჩაღ, ბეგო, ყოჩაღ!
- ბ ე გ ო — ბრძოლის ველი მოვრწყეთ სისხლით, ყველა ბრძო-  
ლაში ვიყავით და ბოლოს, როცა მეფემ მთიულეთისაკე-  
ნა ჰქნა პირი და ქალაქი იცლებოდა, ავლაბრის ხიდთან  
შემომესმა შენი სანთოს ხმა...
- მ ა ს ხ ა რ ა — სანთო ცოცხალია? მითხარი ჩქარა!
- ბ ე გ ო — მოგახსენებ... შემომესმა სანთოს ხმა — შევლასა  
მთხოვდა. მეფეს მოვახსენე და მან მითხრა: რადაც უნდა  
დაგიჯდეს, უშველე რამე, სანამ შაჰი ქალაქში შემოვთა,  
იმწამსვე შემოვისვი ცხენწინ და გამოვფრინდი ქიზი-  
ყისაკენ.
- მ ა ს ხ ა რ ა — სად არის ეხლა? მითხარი ჩქარა.
- ბ ე გ ო — ჩვენთან არის.
- მ ა ს ხ ა რ ა — წამიყვა, წამიყვა, წამიყვა!
- ბ ე გ ო — მაგრამ...
- მ ა ს ხ ა რ ა — რა?
- ბ ე გ ო — არაფერი... თვალყური გეჭიროს: ფეშანგი უთვალ-  
თვალეზს.
- მ ა ს ხ ა რ ა — ფეშანგი! ფეშანგს ისეთ მახათს გაუყური გვერ-  
დებში, ვეღარასოდეს ვეღარ გამოიძროს. წავიდეთ!  
(შემორბის სანთო).
- ს ა ნ თ ო — მამაჩემო!
- მ ა ს ხ ა რ ა — შვილო! (გადაეხვევიან ერთმანეთს).
- ბ ე გ ო — ნეტავი მეც გამომაცდევინა შვილის სიყვარული და!..  
(გახარებული გლუხაკობა მიდის სანახაობისაკენ. ბანებზე გადმომ-  
დგარან ქალები, დედაკაეები და ბავშვები).
- ხ მ ე ბ ი — გამოუშვიათ, ბიჭებო, გამოუშვიათ.  
ოიანა-ბუიანა, გამოუშვიათ!
- პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი — ააჰა! ძლივს არ გამოცხვა ობლის

კვერი! ჩვენი ხარტონა გლეხი გამოუშვიათ!

(შემოდის ტიბერია).

ტიბერია — როგორ უხარიანთ გლეხებს მასხარას განთავისუფლება? ნეტა რად უყვართ ასე? (დაინახავს ფეშანგს) ფეშანგიც მოდის. მაგან ჯერ დამასახელა თამადად, მერმე დამაბეზლა ბატონთან, ტიბერიამ დამარიგაო. ძალიან კარგი, ძალიან კარგი, (ფეშანგს) ფეშანგ. ჩქარა გადმოდი, რა უკან გრჩება ფეხები.

(შემოდის ფეშანგი).

ფეშანგი — ისე მელაპარაკები, თითქოს მე აზნაური ვიყო და შენ თავადი. ძალიან გაგათამამა რევაზმა.

ტიბერია — შენ კი არ გამათამამე?

ფეშანგი — როგორ?

ტიბერია — რათ დამასახელე თამადად ბატონიშვილის წვეულებაზე, აზნაური?

ფეშანგი — შენი პატივისცემა მინდოდა.

ტიბერია — ჰოდა, ავი მოგახსენებ...

ფეშანგი — შენ კი უსინდისოდ მომექეცი: წამოლექ და გამანადგურე; არც ნიჭი მაქვს თამალობისა და არც ვიკისრებ აზნაური იქ, სადაც რევაზი ბრძანდებო.

ტიბერია — რაც იყო — იყო, დაივიწყე. მაგრამ რათა ხარ დღეს უხალისოდ?

ფეშანგი — მე და ჩემმა ღმერთმა, გული არ მომწევს სანახაობისათვის.

ტიბერია — რატომო?

ფეშანგი — იმიტომო, რომ რევაზი იქ იქნება და სადაც ის არის, იქ მე კარგად ვერ ვდგევარ ფეხზე: გული მიელავს, თავბრუ მეხვევა და მებნევა დავთრები.

ტიბერია — მიაფურთხე ყველაფერს. გავიცინებთ, გავიღრიჭებთ. ცისა და მიწის ქორწილსა ვნახავთ.

ფეშანგი — მაინც რომ მართალს მეუბნები. (გამხიარულდება) უყურე, მოშაირე და მეძავი მანანაც მისუნსულებს სანახაობაზე. შაირებს იტყვის, საჩუქრებს მიიღებს და მუშტარსაც იშოვის. (შემოდის მანანა ურმით) სალამი მანანას.

მ ა ნ ა ნ ა — საურმე გზა გაფუჭებულია და ხევში არ ჩავცვივ-  
დეთ (გაირბენს და გავა).

ფ ე შ ა ნ გ ი — რა გაცეთილია!

ბ მ ე ბ ი — ბატონიშვილი მობრძანდება!

(ტიბეირა და ფეშანგი გადიან. შემოდიან გლეხები, ხალხი).

გ ლ ე ხ ე ბ ი — (ჩუმად ერთმანეთს) ჩვენი ცხვარიქამია ბატონი-  
შვილი მობრძანდება,

— თითო ქამაზე თითო ცხვარი არ ჰყოფნის.

— ჩუმად!

(შემოდის ბატონიშვილი. მის შემოსვლაზე გლეხები ქუდებს ძირს დაჰყ-  
რიან და გულხელდაკრეფილნი დაიხრებიან საღმის ნიშნად).

ხ ა ლ ხ ი — სიცოცხლე და დღეგრძელობა ბატონიშვილს.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — აბა სად არის თეატრონი, ქილიფთარ?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — აქეთ, ბატონიშვილო.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მაშ ქაან გამაცინებენ?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — უეჭველად.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — რა კარგი იქნება! ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! რა ხა-  
ნია აღარ გამიცინია, ვინ მოუყვანია რევაზს, ქილიფთარ?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — მამაშენის ბენია მოუყვანია ქალაქიდან  
ოიანა-ბუიანა.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ჰა-ჰა-ჰა-ჰა! რამდენს ვიცინებთ. ხომ არ  
მატყუებ, ქილიფთარ?..

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — რასა ბრძანებ, ბატონიშვილო! მოსამართლე  
გახლავარ და განა მოსამართლე ტყუილს იტყვის?

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — როგორ არ იტყვის, ქილიფთარ, მოსა-  
მართლეზე მეტი ტყუილი ვინ იცის! მაგრამ მე დამავიწყ-  
და, რომ შენ მოსამართლე ხარ.

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — შენ კი არა, ბატონიშვილო, ხანდახან მეც  
დამავიწყდება ხოლმე. მაგრამ რა უშავს?

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მაშ ჩემთვის მოიყვანა რევაზმა ქალა-  
ქიდან მასხარა?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — დიახ, ბატონიშვილო.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — აი პატივისცემაც ასეთი უნდა! ამიტომ  
რევაზს ხატებს ვაჩუქებ და ქიზიყის მოურავობასაც და-  
ვუბრუნებ, მამაჩემმა რომ ჩამოართვა... ხომ არა ვტყუი,  
ქილიფთარ?

ქილიფთარ — არა, ბატონიშვილო, ქრისტიანულ სიმართ-  
ლეს ბრძანებ.

ბატონიშვილი — ჰო, მაშ!.. ჰა?

ქილიფთარ — არაფერი.

ბატონიშვილი — აბა, საით წავიდეთ, ქილიფთარ? წინ  
გამიძეხი.

ქილიფთარ — აქეთ, ბატონიშვილო.

ბატონიშვილი — რა კარგი იქნება ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! თავი  
არ გამანებო, ქილიფთარ, აბაშიძიანთ იმიტომ გამომატა-  
ნეს შენი თავი იმერეთიდან, რომ ყური მიგდო (გალიან).

სახალვათო კოშკში

(მასხარა ბერიკებს არიგებს. ნილაბახდილები არიან. ნილები ხელში  
უჭირავთ და ასწორებენ).

მასხარა — გაიგეთ, რა გითხარით?

ყველანი — გავიგეთ, მაშ!

მასხარა — აბა, რა გაიგეთ?

ხიხო — ყველაფერი ისე უნდა გავაკეთოთ, როგორც გვას-  
წავლენ.

მასხარა — ბრაქალა! კარგა გაგიგიათ. ხომ დაისწავლეთ  
კიდევ?

ყველანი — მაშ! მაშ!

მასხარა — არ მომატყუოთ და თხლეშეჭამანდი არ გამო-  
იყვანოთ, თორემ თქვენვე შეგაჭმევთ.

ყველანი — ჭადას გამოვიყვანთ, ჭადას.

მასხარა — ჭადას თუ გამოვიყვანთ, თქვენ აღარავინ შეგაჭ-  
მევთ... ისე გამოვიყვანეთ, რომ შიგ გულში მოხვდეს. ბა-  
ტონები მონების ტანჯვით ატარებდნენ დროს. ისეთი  
დროც იყო, როცა თავის გასართობად მხეცს მიუყრიდნენ  
ხოლმე მონებს გასასრესად. ჩვენც მონები ვართ დღეს  
და ვეცადოთ თვითონ ჩვენც გავსრისოთ ის მხეცი, რო-  
მელიც დაბუდებულია ჩვენი მაყურებელი ბატონების  
გულში — ჩვენ უნდა ვებრძოლოთ თეატრონს იქით მო-  
კალათებულ მხეცს. რა ვთქვი, გაიგეთ?

ყველანი — გავიგეთ! გავიგეთ!

მასხარა — მაშ შევიდა თქვენს ყურში?

- როყოყო — შევიდა და იქ დაგვიბუღდა, თავებში.
- მასხარა -- ეცადეთ თავიდან კუჭში არ გადაბუღდეს, თორემ იქიდან გარეთ გამოვა ისევ.
- ყველანი — მართალია... (დარცხენით იცინიან).
- მასხარა — ეს როგორ მიბრეცილა შენი ბერიკო, ხიხო?
- ხიხო — ბატონის საბძელს დავამგვანე, შენი ჭირიმე.
- მასხარა — ამას კი ულვაშებზე ლობიო ჩამოსწუწია.
- კიკო — მაშა! გლახაკი იმიტომ გაჩენილა, თავის სიცოცხლეში სულ ლობიოს შეჭამანდი ჭამოს.
- მასხარა — ეს ყოყინას რქები რაღასა ნიშნავს შენს ბერიკოზე, როყოყო?
- როყოყო — იმასა, მეზობელო, რომ ჩვენი დიდებულ-აზნაურები კამეჩებივითა ყრიან და იცოხნებიან, ლაფში ჩაფლული ურემი კი შინ მიტანილი ჰგონიათ... მემრე ამ რქებზე კვერიას წამომაცმევთ, თავს გავიქნევ და ვნახოთ საითა მხრიდან დაეცემა მიწაზე: კარგი მოსავლიდან თუ ცუდიდან.
- მასხარა — ბარაქალა! კარგია! აბა ეს რაღაა დოყო, შენი ბერიკოსათვის რომ შუბლზე ნიორი მიგიკერებია ღილივით?..
- დოყო — ფე ჩვენი ცხოვრების სიმწარისა და სიმყარალის ნიშანია, მეგობარო.
- მასხარა — ბოყო, ეს თხის წვერები და მაიმუნის ცხვირი რაღაა შენს ბერიკოზე?
- ბოყო — ეგა? ეგა... ეს ჩვენი უსაქმო ბატონების სიყვარულია; ჩემო კეთილო.
- მასხარა — კარგია... რიკო, შენს ბერიკოს კი ულვაშები მოჩხუბარ კატას მიუგავს.
- რიკო — ჩვენს მოჩხუბარ მოურავებს დავაჯავრე, შენი ჭირიმე.
- მასხარა — მაშ, მზადა ჰყოფილხართ!
- ყველანი — მზადა ვართ, მაშ! (ლაპარაკის დროს თან ფანდურს უკრავენ და ზედ მღერიან კუბლეტებს).

აზნაურების საქმეა  
 გვერდზე დახურვა ქუდისა,  
 ქალებში გავლა-გამოვლა,

გადაკიდება ჩსუბისა.  
ბიჭო, ჩვენი თავადები  
უწრუწუნებენ ქორებსა,  
ნეტა კი მოვესწრებოდეთ,  
ტყეში დასდევდნენ ლორებსა.

## მეორე მოქმედება

ჩაუარდნილი კალოა. აქეთ-იქით ფერდობებია. ფერდობებზე ხალხი ზის ფეხმორთხმული. ზევით ფეხზე დგანან. ერთ მხარეს ბატონიშვილია თავის ქილიფთარით, მეორე მხარეს რევაზი. ზაქარია და ოთარი ცალკე არიან. ერთ მხარეს წინა რიგში სხედან დედაკაცები, ქალები და ბავშვები. მეორე მხარეს კაცები. კიდაობაა. ბეგო მაწუნწარას ძე და შავი კაცი კიდაობენ. იქვე ზის მედლოე ლეკი. საჭიდაოს მღერიან გლეხები. თვალსაჩინო ადგილზე დგას გაკეთებული ბერიკა. ნაბადი აქვს წამოსხმული. ამ მოქმედებაში ბერიკები ნიღაბში არიან.

ხ ა ლ ხ ი — გააშველეთ!

რ ე ვ ა ზ — არ გააშველოთ! ჩემი ფალავანი სჯობნის.

გ ლ ე ხ ი — თქვენი კი არა, ჩვენი სჯობნის: ორი ფალავანი გაგილახათ ბატონებს ბეგომ, შავ ფალავანსაც გაგილახათ.

ხ ა ლ ხ ი — გააშველეთ!

რ ე ვ ა ზ — არ გააშველოთ!

გ ლ ე ხ ი — ჩვენ გაზაფხული ვართ, გლეხები, თქვენ — ზამთარი, ბატონებო! გაზაფხული გაიმარჯვებს!

ხ ა ლ ხ ი — გააშველეთ!

გააშველებენ. მედლოე ლეკი ტაშს უკრავს. ბეგო და შავი ფალავანი ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით ემშვიდობებიან. ბეგო ჩოხას ჩაიცვამს. და ხანჯალს შემოირტყამს. შემდეგ მას რკინას მიუტანენ და მოლუნავს.

ხ ა ლ ხ ი — ბეგოს გაუმარჯოს!

(შემოდის ქალურად ჩაცმული ბერიკა. ბეგო გამოეკიდება).

ბ ე გ ო — გოგოვ, მოიცა ცოტა ხანს.

ბ ე რ ი კ ა — რა გინდა.

ბ ე გ ო — მინდა წამომყვე ცოლადა.

ბ ე რ ი კ ა — არ მინდა.

ბ ე გ ო — დედინაცვალს მოგაშორებ.

ბ ე რ ი კ ა — არ მინდა!

ბ ე გ ო — შეგინახავ ვარდისკონებრ.

ბ ე რ ი კ ა — არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!

ბ ე გ ო — გოგოვ, რად მილობავ გზასა?

ბ ე რ ი კ ა — რა ვიცი?

ბ ე გ ო — რად არ ნდომობ ჩემებრ ქმარსა?

ბ ე რ ი კ ა — რა ვიცი?

ბ ე გ ო — რისთვის მასხამ ცეცხლზე წყალსა?

ბ ე რ ი კ ა — რა ვიცი, ბიჭო, რა ვიცი!

ბ ე გ ო — იქნებ ჩემ გარდა სხვა გინდა?

ბ ე რ ი კ ა — არ მინდა!

ბ ე გ ო — იქნებ აზნაური გინდა?

ბ ე რ ი კ ა — არ მინდა!

ბ ე გ ო — იქნებ მეფის შვილი გინდა?

ბ ე რ ი კ ა — არ მინდა!

ბ ე გ ო — მას უყვარხარ, შენ არ გინდა?

ბ ე რ ი კ ა — არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!

ბ ე გ ო — მაშ, მომხვეი ბროლის ყელსა.

ბ ე რ ი კ ა — არ მინდა.

ბ ე გ ო — ვაჰმე დედიჩემის ღმერთსა! (იძრობს ხანჯალს).

ბ ე რ ი კ ა — ვაიმე დედავ, რათა, ბიჭო?

ბ ე გ ო — საქმეს ვიზამ საზარელსა!

ბ ე რ ი კ ა — რათა, ბიჭო?

ბ ე გ ო — ხანჯლით გამოვიჭრი ყელსა!

ბ ე რ ი კ ა — რათა, ბიჭო?

ბ ე გ ო — ჩემს საფლავზე მძლი ხოლმე!

ბ ე რ ი კ ა — ვაიმე დედავ, რათა, ბიჭო?

ბ ე გ ო — შენთვის მკვდარი მომიგონე!

(ბეგომ ვითომ თავი უნდა მოიკლას, ხანჯალს მიიღერებს, ქალი დაი-  
კერს).

ბ ე რ ი კ ა — ჩემო კარგო ნეფიონე.

ბ ე გ ო — გენაცვალე!

ბ ე რ ი კ ა — ეგ მე ეხლა გავიგონე.

ბ ე გ ო — გენაცვალე!

ბერიკა — მე მანანა არ გეგონო.

ბეგო — გენაცვალე!

ბერიკა — უმანკო ვარ სანთოსავით.

ბეგო — გენაცვალე!

ბერიკა — და თუ ფეშანგი არა ხარ...

ბეგო — გენაცვალე!

ბერიკა — შენთვის მინდა ჩემი თავი.

ბეგო — გენაცვალე!

გოგოვ, სიკვდილს დამიხსენი,

შენ ჩემი ხარ და მე შენი!

(გადახევეა ბეგო ბერიკას).

კიკო — როყოყო, დაირუხრუხე, დაირუხრუხე, ვითომ ქექა-ქუხილია. ვერა ჰხედავ ცა და ქვეყანა ქორწილდებიან?!

როყოყო — რუხ-რუხ-რუხ...

კიკო — შენ კიდევ, დოყო, წვიმა მოიყვა, წვიმა.

(დოყო კოკით წყალს შემოიტანს).

როყოყო — რუხ-რუხ-რუხ...

(ხვევნის დროს ბერიკას მანდილი მოეხდება და ბეგოს წინ ბერიკაცი აცხადდება).

ბეგო — დახე ჩემს ბედსა! ერთი ქალი ძლივს დავიყოლიე ამ გაზაფხულზე სიყვარულში და ისიც ბერიკა არ გამოდგა!

რიკო — ეგ იმიტომ, რომ როყოყომ კარგად ვერ დაირუხრუხა. მაგდენ ქუხილს ჩვენი ვირიცი გამოუშვებდა.

როყოყო — წადით იქით! თვითონ არ ვარგინართ და მე მამბრალეებთ! გადით! უნდა რქა გავიქნიო და ზედ წამოცმული კვერია ძირს გადავაგდო, ვნახოთ საითა მხრიდან დაეცემა მიწაზე (გაიქნევს და კვერიას ჩამოიგდებიან რქიდან) სწორედ დაეცა, სწორედ. კარგი მოსავალი იქნება.

კიკო — წვიმა მოიყვა, დოყო: დაალბე დედამიწა (დოყო დაახამს როყოყოს წყალს).

როყოყო — რას სჩადით, კაცო, მე რომელი დედამიწა მნახეთ, აგე რა ლამაზი დედა დგას. (ლამაზ გოგოს) მოდი, გოგოვ, დაგალბო, კაი მოსავალს მოიყვან. (თამაშობს).

ხიხო — წადი, შე თავქარიანო, შენა, ჭკუა ფეხებში წაგსვლია. (ხელსა ჰკრავს).



რ ო ყ ო ყ ო — ვაიმე, დედავ!

(როყოო ვითომ შეშინებული მოჰკურცხლავს და ისევ თავის ალაგს დადგება. უვილ-ხივლით და ყივიანთ ჩამოიბენენ ბერიკები ფერლობებს ყოველის მხრიდან. უწესრიგოდ აირევიან თეატრონზე და შემდეგ ყველა თავის ალაგს დაიქვრს. ბოლოს შემოვა ვირი).

ხ ი ხ ო — აი რა ჭკვიანი ვირი გვყავს: თვითონ დააქვს თავის ფეხით ჩვენი ბარგი. ჰაცე, ვირო.

ვ ი რ ი — ჰა, როგორ მიუაპუნებ, მართლა ვირი ხომ არ გგონივარ?

ხ ი ხ ო — მამ არა და, შენ ნუ მომიკვლები, ბატონიშვილი მიგდინხარ, ჰაცე!

(გაჰყავს ვირი. ბოყ და როყოო შეხედებიან ერთმანეთს).

ბ ო ყ ო — გამარჯობა, როყოო.

რ ო ყ ო ყ ო — გაგიმარჯოს, ბოყო.

ბ ო ყ ო — სად მიხვალ, ტყეში?

რ ო ყ ო ყ ო — მა რა, ღრეში?

ბ ო ყ ო — რა უნდა მოიტანო, ფიჩხი?

რ ო ყ ო ყ ო — მა რა, ჭინჭარი?

ბ ო ყ ო — რა უნდა ააშენო, სახლი?

რ ო ყ ო ყ ო — მა რა, სალორე?

ბ ო ყ ო — შიგ უნდა დადგე?

რ ო ყ ო ყ ო — მა რა, ხის კენწეროზე?

ბ ო ყ ო — შენი ცოლი ორსულადა ყოფილა.

რ ო ყ ო ყ ო — მა მუდამ ბერწი ხომ არ იქნებოდა.

ბ ო ყ ო — ორი ვაჟიშვილი ჰყოლია.

რ ო ყ ო ყ ო — მა ერთი რად უნდოდა.

ბ ო ყ ო — ერთი მოჰკვდომია.

რ ო ყ ო ყ ო — არ იცი, დედა ორივეს ვერ გაზრდიდა?

ბ ო ყ ო — მეორეც მოჰკვდომია.

რ ო ყ ო ყ ო — არ იცი ძმა ძმაზე ინალვლებდა.

ბ ო ყ ო — შენი ნიშა ხარი დაუკლავთ.

რ ო ყ ო ყ ო — დედას ორი ვაჟიშვილი მოუკვდეს და ნიშა ხარი არ დაჰკლან?!  
ბ ო ყ ო — შენი წილი კერძი შეუნახიათ.

რ ო ყ ო ყ ო — ჩემი ნიშა ხარი დაჰკლან და ჩემი წილი კერძი არ შემინახონ?!  
ბ ო ყ ო — შენი წილი კერძი კატას შეუქამია.

რ ო ყ ო ყ ო — მა რა, კატას ჭამა არ უნდოდა?

ბ ო ყ ო — კატას ახრჩობენ.

რ ო ყ ო ყ ო — მა რა კეთილს დააყრიდნენ.

ბ ო ყ ო — განა მართლა ახრჩობენ?

რ ო ყ ო ყ ო — მა ი შენი ერთი კერძის გულსათვის დაახრჩობდნენ? გამიშვი ერთი, კაცო, რას მაყბედებ, არავინ მომისწროს.

ბ ო ყ ო — სადღა მიეჩქარები?

რ ო ყ ო ყ ო — ჟანგიანი ლურსმანი დამრჩა სამკვდურში და მეშინიან არავინ წაიღოს.

ბ ო ყ ო — აი, შე კრიჟანგო, შენა. ჟანგიანი ლურსმნისთვის იმ სიშორედ წასვლა ღირს? (ყურში უჩურჩულებს) არ გჟიჟურება? ის საქმე დაიწყე და გამდიდრდები.

რ ო ყ ო ყ ო — რა საქმე?

ბ ო ყ ო — დაიწყე ენატანიობა.

რ ო ყ ო ყ ო — რას ამბობ, კაცო, გამიშვი ერთი!

ბ ო ყ ო — დაიცა, შე სულელო, გითხრა (დაიპერს). ყოველდღე ბატონთან იქეიფებ, ცოლს კარგა ჩააცმევ, ფულებში იკოჭავებ და რა? გასაკეთებელი არაფერი გექნება.

რ ო ყ ო ყ ო — მაშ მუქთად მომცემენ ფულსა?

ბ ო ყ ო — ცოტა საქმე გექნება: დააბეზლებ ძმას, დას, დედას, მამას, შინაურსა და გარეულს... ენატანიობაზე ადვილი რა არის?!

რ ო ყ ო ყ ო — რას ამბობ, კაცო?! ბატონი ხომ არა ვარ, მაგის მეტი საქმე არა მქონდეს?! გამიშვი ერთი, ჩემი ჟანგიანი ლურსმანი მირჩვენია მაგნაირ ფულსა.

(ხალხიდან გადმოხტება ხიზო, ხელში გუთნისმაგვარი კაეი უჭირავს).

ხ ი ხ ო — რად მიხდენთ, კაცო, ნათესებს, ჰა?

ბ ო ყ ო — ნათესებს, რა ნათესებს?

ხ ი ხ ო — როგორ თუ რა ნათესებს? აი აქა, თესია, აი!

ბ ო ყ ო — რა თესია?

ხ ი ხ ო — რა თესია და ზოგიერთი ჩვენი მოურავის სისაძაგლე-როცა ამოვა, ახალ ხილად უნდა მივართვა ბატონიშვილსა. აიფხიკენით, უნდა მოვრწყვა (მოუქნევს კავსა და გარეკს-მერმე კავს ბებერ სალომესთან მოუკიდებს).

პ ი რ ვ. დ ე დ ა კ ა ც ი — უი დამიდგეს თვალი, ბებერ სალო-  
მედან მიჰყავ კვალი.

ხ ი ხ ო — აი, აი, აქედან უნდა წამოვიყვანო წყალი მოსარწყა-  
ვად.

რ ო ყ ო ყ ო — რას სჩადი, კაცო! ეგ წყალი სულ ამოგიხმობს  
ნათესებს — მლაშეა.

ხ ი ხ ო — მართლა? მაშ აქედან წამოვიყვან.

მ ე ო რ ე დ ე დ ა კ ა ც ი — უი ქა, ლამაზ ქეთოსთან მოუკი-  
დია გუთანი.

ხ ი ხ ო — აქედან კიდევ სულ რძე წამოვია. (რიკო ბერიკა შემოიტანს  
სიმინდის ქეჩეხს და ჩაურკობს მიწაში. ხიხო უბად დაინახავს  
ქეჩეხს.) ჰე-ჰეი-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ჯერ არ მომირწყავს. ამოდენა  
გაიზარდა და რომ მოვრწყავ, მაშინ რალა იქნება!.. უნდა,  
გავთოხნო (მღერის და თოხნის).

გთოხნი და გთოხნი, სიმინდო,  
ტაროს დაისხამ მსხვილსაო,  
ქეჩეჩით ხარებს დამიძღობ,  
მჭადით კი დედამთილსაო.

(გამოჩნდება ტახი და დააკაპუნებს).

კბილებს ტყუილად ილესავ,  
ტყვიას შეგაქმევ რბილსაო...

ი შეჩვენებულმა ჩემმა დედაკაცმა რად დამიგვიანა სა-  
დლი?

(კიკო შემოარბენინებს ქამს).

კ ი კ ო — აჰა, აი, შენმა დედაკაცმა შილაფლავი გაგიკეთა.

ხ ი ხ ო — რას ამბობ, კაცო, ჯერ ხომ არ მოემკვდარვარ! ან  
თითონ რატო არ ჩამომიტანა?

კ ი კ ო — თითონ? თითონ გაგიქდა.

ხ ი ხ ო — რათა, კაცო?

კ ი კ ო — იმიტომ რომა, შეთქმული ცხვარი დაუკლავთ ღმერ-  
თის დაუკითხავად.

(ხიხო სასაცილოდ დაიღრიჭება და თვითონაც გაგიქდება).

კ ი კ ო — ერიჰაა, ესეც გაგიქდა. ამისთანა კაი საქმელი მოგი-

ტანე და რა გავგიყებს, შე პირდაღლო... ესენი თუ გავგიყდ-  
ნენ, მე ხომ ჰკვიანი ვარ. მოდი და მე შევკვამ ამ მშიერ  
კუჭზე (ვამს).

არა, მეც რომ გავგიყდე, ჰკვიანი ვინღა იყოს! მოიცა,  
ღმერთო, ჯერ შევკვამ და მერე გამავიყე... აჰა, შევკვამე, მაშ  
მე, დავიჯერო, ესლა გიყი ვარ? იფ, რა გამოვძეხ! თქვენ  
ეგრე გავიყდით ხოლმე, როცა კერძს მოგიტანენ! დაახრ-  
ჩოს ხარი თივამა... არა, კი რაღაცა აწეულივითა ვარ  
თავში! ხალხო, აბა შემომხედეთ, გიყი ხომ არა ვარ?..  
არა, რაც უნდა გიყი ვიყო, თქვენზე ჰკვიანი მაინც კი  
ვიქნები. (ხიხოს) ვაი, შე ფეთხუმო, შენა! ასეთი კა  
საქმელი მაქამონ და გავგიყდე? რას მიქვიან ღმერთი,  
თუ მშიან? იმან ჩემზე კაი ჰამა იცის? (ხიხო ზის და  
იხილება).

ხ ი ხ ო — შუალამე რომ წამოვა,

დამეხვევიან ტილები,  
საწყალი ხიხო ბერიკა  
ვზივარ და სულ ვიხილები,  
თითო-აგეთი ჩამოდის,  
როგორც ბეგლარის შვილები.

(შემოვარდება სიმინდში ტახი)

კ ი კ ო — ადე, შე ჯიშვასაწყვეტო, რას იხილები. შენი სიმინ-  
დი ტახს წაუხდენია.

ხ ი ხ ო — ტახს წაუხდენიაო? მომეციოთ აქ ჩემი თოფი! (წამოხ-  
ტება და აიღებს ხელში მზესუმზირას ძირს) აბა შემომხედე,  
მგონი ჰკვანზე ვარ, არა?

კ ი კ ო — შენ რომ ჰკვანზე იყო, ამისთანა გემრიელ შილაფლავს  
მე შემაჰმევედი? (ტახი დააკაუნებს).

ხ ი ხ ო — დახე ამ სატიალოს, როგორ იწვევს სიმინდში. მაგან  
არ იცის, რომ ეს თოფი გატენილი მაქვს.

კ ი კ ო — თოფი, შენ ნუ მომიკვდები, ალი-ყული-ხანის ნაქონი  
იქნება.

ხ ი ხ ო — (სინჯავს მზესუმზირას ძირს) თხუთმეტი თავი მზესუმზირ-  
რა ება ამ ოხერსა, იგრე გავარდება, როგორც მუხი.

კ ი კ ო — ფრთხილად! რატო ისე წარამარა ატრიალებ, არ

გაგივარდეს. მევეცალო, თორემ ცოტა შერევილია და მე არ დამცეს.

(სიცილით გადის, ტახი კბილების კაპუნით უახლოვდება სიმინდს. ხიხო დაიქნევს მზესუმზირას ძირს, რომელიც ნაცრით არის გატენილი, და გაამტყერებს, ტახი დაეცემა).

ხ ი ხ ო — მოვეკალ! იპ, რა ტახი გავშლართე. რა მწვადებს დავატრიალებ!.. მოდი და ნურავის გავაგებინებ: გავათრევ და მარტო ჩემი ოჯახისთვის მოვიხმარ. (ღინგიდან გასწევს და ტყავი წასძვრება კაცს) უპ, რა მიქნია ეს! ღორის ტყავში შემძვრალი მეზობელი მომიკლავს... მიშველეთ, ძმებო, დავიღუპე! (შემოცვივია ბერიკები) ეს რა მომივიდა, კაცო, ეს რა მომივიდა!

კ ი კ ო — რაღა რა მოგივიდა: კიდევ კარგი, დროზე გაგეცალე, თორემ მე მომარტყამდი მა თოფს. სხვა გზა არ არის, უნდა ვიტროთ.

კუბოს მაგივრად გეჯას შემოიტანენ, იმაში ჩაასვენებენ. ორი ბერიკა დაჭდება კუბოსთან და ტირიან. ტირილს აჯავრებენ იქვე მყოფ სოფლის მოტირალ დედაკაცებს.

ხ ი ხ ო — შვილო, შვილო, შვილო! რა კარგი იორღა იცოდი, შვილოო...'

დ ე დ ა კ ა ც ი ხ ა ლ ხ ი დ ა ნ — (თავის ამქრებს) დამიდგეს თვალი! ჩვენ გვაჯავრებენ, ქა, სოფლის მოტირალ დედაკაცებს.

კ ი კ ო — შვილო, შვილო, შვილო! ქათმების პარვა გიყვარდა და მეზობლებს აღარა შეარჩინე რა... (გაიპარება ერთი ახალგაზრდა ხალხიდან).

პ ი რ ვ ე ლ ი დ ე დ ა კ ა ც ი — უი, ქაა, მე მაჯავრებენ ეს დასახრაკავები.

ხ ი ხ ო — შვილო, შვილო, შვილო! პოსტოლინანთ ქვრივს რომ გადაჰპაროდი, გამოგდგომოდნენ და ძეძვები შინ მოიტანე... (გაიპარება ერთი შუახნის კაცი ხალხიდან).

მ ე ო რ ე დ ე დ ა კ ა ც ი — ვაი, მეხი კი დაგაყარეთ მაგ თავში! მეცა მწვდნენ.

რ ი კ ო — შვილო, შვილო, შვილო... ლობიოთი რომ გაძლებო-

დი, იმ ღამეს სახლში ველარავინა ვრჩებოდით... (გაპარება ხალხიდან ხანში შესული კაცი).

მ ე ს ა მ ე დ ე დ ა კ ა ც ი — დაიწვიო და დაიხრაკეთ, მეც გადმომკრეს (მოისმის შორიდან ოიანა-ბუიანას ხმა).

ხ მ ა — წვლიილი სავაალწორო... (ბერიკები უცბად შესწყვიტენ ტირილს).

ბ ე რ ი კ ე ბ ი — მოდის... (წამოკვივიან ზეზე, მკვდარიც წამოხტება, გეჯას ზურგზე მოიგდებს და გარბიან).

ხ ა ლ ხ ი — მოდის, ოიანა-ბუიანა მოდის!

(ხალხი ხან აქეთ იყურება, ხან იქით, არ იციან, საიდან შემოვა).

ხ მ ა მ ა ს ხ ა რ ი ს ა — წვლიილი სავაალწორო. გვილისტები, ქვლივისტები, ყაითნები, ალშიები, წვლილ-წვლილები, მსხვილ-მსხვილები — წვლიილი სავაალწორო... (გატეხილი ქვევრის პირიდან გამოძვრება).

ხ ა ლ ხ ი — გაუმარჯოს!

რ ე ვ ა ზ ი — ოიანა-ბუიანა!

მ ა ს ხ ა რ ა — მაგ სახელს ნუ ამბობ ფათელაკიანია.

რ ე ვ ა ზ ი — მე სახელს არ ვამბობ: მე ვამბობ თათრულ სიტყვას: იქით-აქეთ.

მ ა ს ხ ა რ ა — მართლა? იქით! აქეთ! (იქით რევაზზე მიიშვებს თითს, აქეთ — თავის თავზე).

რ ო ყ ო ყ ო — ძმობილო, რა არის (აწავრებს) „წვლიილი სავაალწორო“... წვრილი სავაპრო-თქო. რა გაქვს მაგ ბოხჩაში?

მ ა ს ხ ა რ ა — ამ ბოხჩაში? ამ ბოხჩაში ღმელთი გწყალობდეს, ლო ბლომად მიწყყია ჩვენი ბატონებისაგან მოტყუებული ქვლივ-ობლებისა და პირველ ღამეს გამოცვეთილი პატალძლების წყევლა-კრულვანი!

რ ო ყ ო ყ ო — მერე, ვინ იყიდის მაგნაირ საქონელს?

მ ა ს ხ ა რ ა — თუ ალავენ იყიდის და ღმელთი გწყალობდეს: ისეთ ღილებად შევუბნო ჩვენს ბატონებსა ღამის საცვალზე, ლო ველაღას დღოს გაიხსნან.

რ ო ყ ო ყ ო — კარგია! მერმე? შენ ებრაელი ვაჭარი ხარ, ლენგერი?

მ ა ს ხ ა რ ა — არა! (მოიხდის ლენგერის ქედსა და შორს გადასტოროც-

ნის, თან გააყოლებს ადლსა და ზემო ტანსაცმელს. გაფტრავს ბოხნას, საიდანაც გადმოვარდება მისი ქული და ნაბადი. დაიხურავს ქულს, წამოისხამს ნაბადს.) მე გახლავარ ოიანა-ბუიანა, მაგრამ მინდოდა კია ვაჭარი ვყოფილიყავი.

რ ო ყ ო ყ ო — რათა?

მ ა ს ხ ა რ ა — ტყუილები ბევრი მეცოდინებოდა, დამპალ ფართალს საღ საქონელზე ძვირად გავყიდდი და ბედნიერად ვიცხოვრებდი ბატონიშვილის გვერდით. (იქ მყოფი ვაჭრები შეიშმუშნებოან).

რ ო ყ ო ყ ო — სანამ მეტყოდი, გამოცნობილი მქონდა ეგ სიტყვები.

მ ა ს ხ ა რ ა — კარგი გამოცნობა გცოდნია.

(გადმოფრინდება ხალხიდან მანანა).

მ ა ნ ა ნ ა — აბა, თუ კარგი გამოცნობა იცი, ერთ გამოცანას მოგახსენებ.

ხ ა ლ ხ ი — გააგდეთ, თორემ ცუდს იტყვის რასმე.

მ ა ნ ა ნ ა — ერთი გამოცანა, მხოლოდ ერთი! (აპბობს).

ორას ბროლსა და ბურთ შუა  
ზის იაგუნდის ლალია...

ხ ა ლ ხ ი — გააგდეთ! გააგდეთ!

(გაღწობება ფეშანგი).

ფ ე შ ა ნ გ ი — მართალია, ბოლომდე არ ათქმევინეს მანანას, მაგრამ მე აქედანვე გამოვიცნობ...

მ ა ს ხ ა რ ა — ხალხნო! თავად ფეშანგს მაშინაც სცოდნია გამოცანის გამოცნობა, როცა ბოლომდეც კი არ არის ნათქვამი. მოდით და მე ერთ პატარა გამოცანას ვიტყვი თვეიდან ბოლომდე. ის გამოიცნოს ფეშანგმა.

ხ ა ლ ხ ი — თქვი, თქვი.

მ ა ს ხ ა რ ა — ლამაზი ქალის გულ-მკერდი

ბიჭისთვის საფრთხეს ამზადებს,  
ის რა კაცია, ვაჟკაცი,  
ვერ ყნოსდეს იას და ვარდებს,  
ცოლი გაეჭყეს ლამაზი,  
მეძავ ქალებში ჩავარდეს.

ბ ე ბ ი — ფეშანგს მოარტყა!

რ ე ვ ა ზ ი — შაბაშ! ოიანა-ბუიანა!

მ ა ს ხ ა რ ა — ფეშანგი, გამოიცანი?

ფ ე შ ა ნ გ ი — მაგას არ შეგარჩენ, მასხარავ! შე ბენიავ! გამიშვი-  
ვით! (იწევს).

ბ ე რ ი კ ე ბ ი — (იპერენ) ქურდს ქუდი ეწვის; ჰარიქათ, წყალი!

მ ა ს ხ ა რ ა — მე ხომ არ მითქვამს, ფეშანგი-მეთქი. თუ ნიორი  
არ გიჭამია, პირი რად გიყარს? ხა-ხა-ხა-ხა!

ფ ე შ ა ნ გ ი — გამიშვით! მე ვუჩვენებ მაგ ბეშტიას!

რ ე ვ ა ზ ი — ფეშანგ, როგორა ბედავ ჩემი საყვარელი ბერიკის  
შეურაცხყოფას?!

ფ ე შ ა ნ გ ი — გამიშვით!

ბ ი ს ხ ო — ჰკვიანად, თავადო, თორემ ბატონი გაგიჯავრდება.

მ ა ს ხ ა რ ა — დამშვიდდი, თავადო! თუ ცოტას მოითმენ, შენს  
გასამხაროსაც ვიტყვი ოიანა-ბუიანა! (ფეშანგი გაჰყავთ).

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მასხარავ!

მ ა ს ხ ა რ ა — აქ გახლავარ, ბატონიშვილო.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ა, ისა თქვი... ის... დამავიწყდა... აი ის...

მ ა ს ხ ა რ ა — დიახ, ბატონიშვილო, სწორედ ის უნდა მოგახ-  
სენო...

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — რაო?

მ ა ს ხ ა რ ა — (გაიკიშება სათქმელად, ყველანი მოუთმენლად ელიან, რას  
იტყვისო, თავს გაიქნევს) ვაჰ, სიბერევე! ველარ მომიგონია.  
(მოიკაკეება წელში, შემდეგ ისევ უცბად გასწორდება სათქმელად)  
„ლექსი ზანზართა მეფის შვილზე“.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — აჰეთი რამ ჯერ არ გამიგია.

მ ა ს ხ ა რ ა — მაშ გაიგე.

იყო ხელმწიფე ზანზარი,  
მას შვილი ჰყავდა ქებული,  
დღედაღამ ძილით ტყვრებოდა,  
დათვივით გასუქებული.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — (შეუფოთებული ქილიფთარს) ქილიფთარ.  
ჩემზე ხომ არ ამბობს?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ ი — არა, ბატონიშვილო, ზანზართა მეფის  
შვილზე მოგახსენებს.



ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ჰოო?...  
მ ა ს ხ ა რ ა — ხოლო თუ გაიღვიძებდა,

პირს დააღებდა მთქნარებით:  
მის ხახა გეგონებოდათ  
ბნელ ჯოჯოხეთის კარები.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ეს ნაღდად მე არა ვარ.

მ ა ს ხ ა რ ა — შემდეგ პირისა დაბანას  
ის ანდომებდა ხანს გრძელსა:  
ცხრა კვერცხის გულით იბანდა  
ფუნთუშა პირსა და ხელსა.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ვინა, ქილიფთარ? (ხელეზე იყურება) ჩემ-  
ზე ხომ არ ამბობს?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — არა, ბატონიშვილო, შენ ათი კვერცხის გუ-  
ლით იცი, ხოლმე პირის ბანა.

მ ა ს ხ ა რ ა — შემდეგ საკმელად სუფრის თავს  
ლორევით წამოჯდებოდა:  
სთქვეფდა და ჰსვლეპდა უწყვეტლივ,  
მაგრამა როდი ძლებოდა.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ქილიფთარ, ჩემზე ამბობს.

ტ ა ხ ი — (წინ წაღება) ჩემზე მოგახსენებს.

მ ა ს ხ ა რ ა — შემდეგ, ვით ვირი ნაცარში,  
დოშაკზე გაგორდებოდა  
და მისი მუცლის ქუხილი  
კიდიდან კიდეს სწვდებოდა.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — (შეწუხებული) ქილიფთარ!

ქ ი ლ ი ფ თ ა რ ი — შენ არა, ბატონიშვილო...

ვ ი რ ი — (წარსდგება) ჩემზე ამბობს, ჩემზე, ნაცარში რომ ვიცი  
ხოლმე გაგორება.

მ ა ს ხ ა რ ა — მაღალი ღმერთის მმოსავი,  
იყო მორწმუნე მეტადა:  
მას სჭირდა ქრისტიანობა  
ტვინის უწამლო რეტადა.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ეს კარგია, მე მგვანებია. მაგრამ რეტად  
რაღადა სჭირდა ქრისტიანობა; ქილიფთარ?

- ქ ი ლ ი ფ თ ა რ — ბოლო იმას ეკუთვნის, ბატონიშვილო, ზან-  
ზართა მეფის შვილსა.
- მ ა ს ხ ა რ ა — ხოლო როს მოგვადგებოდა  
ურდო ხალხების მყლაპავეთა,  
ის ყურში მახათს ირჭობდა,  
ან კიდევ ბუზებს ყლაპავდა.
- ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ეგ კი ვერაფერი შვილი ყოფილა. მე  
არა მგავს, არა, ქილიფთარ?
- ქ ი ლ ი ფ თ ა რ ი — ჰა?! (ხალხი იცინის, დიდებულები აღშფოთებულ-  
ნი ირიან).
- ჩ უ რ ჩ უ ლ ი — სულ ბატონიშვილზე ლაპარაკობს (შემოვარ-  
დება ხიხო).
- ხ ი ხ ო — ბედნიერება, მეგობარო, ბედნიერება!
- მ ა ს ხ ა რ ა — ბედნიერება?
- ხ ი ხ ო — დიახ, შენს ნათლულს — მშვენიერ ლელას ჯვარი  
დაუწერია.
- მ ა ს ხ ა რ ა — ვისზე, ბიჭო, ვინმე ბედოვლათზე ხომ არა?
- ხ ი ხ ო — თანდილას ბიჭზე.
- მ ა ს ხ ა რ ა — ჰოო, თანდილას ბიჭი, მარჯვე ბიჭია, ყოჩაღ,  
ლელა!
- ხ ი ხ ო — ავე, მოდიან კიდევ მაყრიონით. (შემოდიან).
- მ ა ს ხ ა რ ა — (მიეგებება) შვილებო! შვილებო! იბედნიერეთ,  
შვილებო! მაგრამ, შვილებო!.. (სიჩუმე) სიყვარულით გაპ-  
ყევით ერთმანეთს?
- მ ე ფ ე-დ ე ღ ო ფ ა ლ ი — მაშა!
- მ ა ს ხ ა რ ა — მაშ ეგ სიყვარული ცხოვრებაშიც უნდა გაამარ-  
თლოთ, თორემ თუ პირველი ღამის შემდეგ ერთმანეთს  
ჭამა დაუწყეთ, სიყვარულით შეკრულ ცოლქმრობას ფა-  
სი დაეკარგება და მაჭანკლები უფრო ძვირად დააფასე-  
ბენ თავიანთ საძაგელ შრომას.
- მ ე ფ ე-დ ე ღ ო ფ ა ლ ი — მართალია!
- მ ა ს ხ ა რ ა — ისიც მართალია, რომ ცოლის შერთვა კუჭის  
გადმობრუნება არ არის — მოვალეობაა!
- მ ე ფ ე-დ ე ღ ო ფ ა ლ ი — მართალია!
- მ ა ს ხ ა რ ა — დიახ, მართალია! სიძევ, შენ კისრად გაძევს მო-

ვალეობა. ამ მოვალეობას შვილებით აავსებს შენი მამა-  
კაცობა...

ს ი ძ ე — (დარცხენით) მართალია!..

მ ა ს ხ ა რ ა — მართალია და ის, შვილებო, უნდა გაზარდოთ.  
მემრე ის შვილები მარტო თქვენ არ გეკუთვნით. ისინი  
ჩვენიც არიან — ხალხისა.

მ ე ფ ე-დ ე დ ო ფ ა ლ ი — მართალია!

მ ა ს ხ ა რ ა — რაკი ეგ მართალია, ისიც მართალი იქნება, რომ  
უთქვამთ: ქალსა ძაღლიც არ შეჰყეფსო. თუ აგრეა,  
ძაღლზე უკეთესი უნდა გაჰხდე, სიძევე, და ცოლს მოექცე  
თავაზით, დათმობით, სიყვარულით. ოღონდ თავზე არ  
უნდა დაისვა.

მ ე ფ ე — მართალია!

მ ა ს ხ ა რ ა — ის უფრო მართალია, რომ არც ცოლმა უნდა  
დაისვას ქმარი თავზე. ქალს უფრო დიდი და ძნელი საქ-  
მე დააკისრა ბუნებამ. ქალი ხშირად მამაკაციც არის,  
დედაკაციც. ჩვენ კი მხოლოდ მამაკაცები ვართ. ქალი  
გვიზრდის მოწვეულ თაობას... მეუღლეები ხართ, შვილებ-  
ო, და თანაბრად უნდა გაუწიოთ ერთმანეთს უღელი,  
მაგრამ კამეჩებად არ უნდა იქცეთ.

მ ე ფ ე-დ ე დ ო ფ ა ლ ი — მართალია!

მ ა ს ხ ა რ ა — სიძევე, მზითვისათვის არ დაიწყო ვაჭრობა!

წაიყვან ტურფა, ლამაზი,  
გაზრდილი ხებიერობა,  
რად გინდა ქალის მზითვევი,  
შინ გქონდეს ბედნიერებაო.

— უთქვამს ხალხს. შენზე და ჩემზეც ჰკვიანია ხალხი.  
მას უნდა დაუჭეროთ.

მ ე ფ ე-დ ე დ ო ფ ა ლ ი — გვჯერა!

მ ა ს ხ ა რ ა — მაშ ერთიც დამიჯერეთ: ქმარს—სხვა ქალთან  
სიამოვნებას და ცოლს — სხვა მამაკაცთან ტუნტულს  
თქვენი შვილები და თქვენი ოჯახი გერჩივნოთ. აქ არის  
თქვენი ბედნიერება და ქვეყნის სიკეთე. სხვების დევნა  
და გარყვნილება უსაქმურებსა და ბატონებს შეჰფერის.

მ ე ფ ე-დ ე დ ო ფ ა ლ ი — მართალია!

მ ა ს ხ ა რ ა — მართალი რომ არ იყოს, ამდენს არ ვილაპარაკებ-  
დი. კარგი ქმრის დაღუპვა შეუძლიან ცუდ ცოლს. ტყუი-  
ლი ნათქვამი კი არ არის:

ღმერთო, ნუ მისცემ ვაუკაცსა  
ცოლსა ყბედსა და მძინარსა,  
ის მოჰკლავს, ის დააბერებს,  
ის მისცემს წყალსა მდინარსაო.

მაგრამ ცუდ ქმარსაც შეუძლიან კარგი ცოლის დაღუპვა.  
ამაზე გამოუთქვამთ ქალებს ლექსი:

ღედავ, რად მიმე ვაუკაცსა  
ლოთსა, ცრუსა და უგნურსა,  
ოჯახი დამიწიოკა,  
მე დავემგვანე მუგზურსაო.

მაგრამ ერთი რამე უნდა დაისწავლოთ: კარგ ცოლს შე-  
უძლიან ცუდი ქმარი გააკარგოს. კარგ ქმარსაც შეუძ-  
ლიან ცუდი ცოლი მოარჯულოს. მაგრამ თუ ორივენი  
ცუდები ხართ, შვილებო, მე ველარაფერს გიშველით.

მ ე ფ ე-დ ე დ ო ფ ა ლ ი — კარგია, კარგია!

მ ა ს ხ ა რ ა — უფრო კარგი იქნება, თუ თქვენს სიკარგეს შემ-  
დეგშიაც გავიგებ. იბედნიერეთ, შვილებო!

ხ ი ხ ო — (მივა ტიბერასთან) ბატონო, ეგ ყმაწვილი ფეშანგის  
საყმოდანა ბრძანდება და აბა ერთი ჰკითხე, ჯვარი რომ  
დაუწერია, ფეშანგის საჩექმე მიტანილი აქვს?

ტ ი ბ ე რ ა — კარგია, გულს გავუხეთქავ. (მივა სიძე-პატარძალ-  
თან) სიძე, ჯვარი რომ დაგიწერია, ფეშანგის საჩექმე მა-  
ტანილი გაქვს?

ს ი ძ ე — დიახ! მივაცეცხლე!

ტ ი ბ ე რ ა — მაშ პირველი ღამეც იმას უნდა მიაცეცხლოს  
მაგ შენმა პატარძალმა!

ს ი ძ ე — იქით მომშორდი, თორემ მე ვიცი, მიცეცხლება ვი-  
საც უნდა. ვინ ოხერი ხარ! რა გესაქმება! მოურავი ხარ  
ფეშანგისა?

ტ ი ბ ე რ ა — დიახ, მოურავი ვარ!

ს ი ძ ე — ძალიან დიდი ვინმე კი გდებულხარ, შენ ნუ მომი-

კვლები! ჯერ ფეშანგი რა არის, იმისი მოურავი რა უნდა იყოს?!

პ ა ტ ა რ ძ ა ლ ი — მენი კი დაგაყარეთ ორივეს.

ტ ი ბ ე ი რ ა — ფუჰ, რა ტყუილად გაველანძღვინე!

ხ ი ხ ო — არ შეარჩინო, ბატონო!

ტ ი ბ ე ი რ ა — ვის უბედავ შენ მაგასა?

ს ი ძ ე — ვისა და შენისთანა ვირსა!

ტ ი ბ ე ი რ ა — შენ ჰეი! იცი რას გიზამ?

ს ი ძ ე — ხვლიკის ჯოგი არ დამიფრთხო.

ტ ი ბ ე ი რ ა — ხვლიკის ჯოგსაც დაგიფრთხოვ და ამ პატარა-ძალსაც წაგართმევ! (ხელს წაავლებს).

ს ი ძ ე — წერას ნუ აუტანიხარ, ბატონო.

ტ ი ბ ე ი რ ა — წამოდი.

ს ი ძ ე — დამეხსენ, ბატონო, თორემ მწვადივით აგაგებ ამ ხან-ჯალზე.

ტ ი ბ ე ი რ ა — ვისა? აზნაურსა?

ს ი ძ ე — გამშორდი აქედან!

ტ ი ბ ე ი რ ა — მაგას კი არ შეგარჩენ (ძიწვეენ ერთმანეთზე, შემოდის აბდულ-მირზა).

ა ბ დ უ ლ-მ ი რ ზ ა — სმენა და გაგონება! მე ვარ აბდულ-მირზა, შაჰის ვეზირი. ხანმა გამომგზავნა, შარშანდელი ხარკიო.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ხარკიო? (დაღონდებიან ღიღებულები).

ა ბ დ უ ლ-მ ი რ ზ ა — მაგრამ ესეც დამაბარა ხანმა, თუ ხარკის გადახდა ემძიმათ, პატარძალი გამომიგზავნონო. (ღიღებულებს გაეხარათ).

მ ა ს ხ ა რ ა — რომელს ინებებთ, ბატონებო?

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — გაუგზავნეთ პატარძალი, ხარკი ჩვენ რად უნდა გადავიხადოთ?

ს ი ძ ე — (გამწარებული) ოჰ, თქვენნი!.. ყველაფერს რომ ჩვენი კისრიდან იღებთ! როდემდის უნდა ვზიდოთ ეს დამცირება?.. ბარემ გათავდეს ყველაფერი (იძრობს ხანჯალს და გაქანდება ბატონებისაკენ).

მ ა ს ხ ა რ ა — (წინ გადაელობება) მეტი არ მოგივიდეს! მტერ-მოყვრობასა ვთამაშობთ მხოლოდ. (შეშფოთებულ ბატონებს)

რად შეგეშინდათ, ბატონებო, თქვენს გასართობადა  
ვხუმრობთ. ხა-ხა-ხა-ხა! (იციინის).

ბ ე რ ი კ ე ბ ი — ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

(იციინიან ღიღხანს. პატარძალი მიჰყავს აბღულ-მირზას და სასიძო დალო-  
ნებული გადის შიშველი ხანჯლით).

რ ე ვ ა ზ — რას იციინით?

მ ა ს ხ ა რ ა — არ მოგწონთ? მაშ ვიტყვით.

(ასტეხენ საშინელ ტირილს ყველანი).

რ ე ვ ა ზ — რა გატირებთ?

მ ა ს ხ ა რ ა — შაჰინ-შაჰი მომკვდარა.

რ ე ვ ა ზ — მერე ეგ არის სატირელი?

მ ა ს ხ ა რ ა — სატირელი ეგ კი არ არის, სატირელი ის არის,  
რომ იქაური შაჰინ-შაჰი მომკვდარა და აქაურები კი ისე-  
ვა ცოცხლობენ.

(ისევ მორთავენ ტირილს).

რ ე ვ ა ზ — გაჩუმდით!

მ ა ს ხ ა რ ა — აჰა, გავჩუმდით. რას მიბრძანებთ, დიდო ბა-  
ტონო?

რ ე ვ ა ზ ი — პირობა დაგავეწყდა?

მ ა ს ხ ა რ ა — არა, პირობამდე ჯერ არ მივსულვარ და ეხლა  
მოგახსენებ!

(დამშვიდდებიან).

რ ე ვ ა ზ — თქვი მხიარული და სასიამოვნო.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — დიახ, მხიარული და სასიამოვნო.

მ ა ს ხ ა რ ა — როგორ ინებებთ: არაკებით თუ გამოცანებით?

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი — როგორაც სჯობდეს.

ხ ა ლ ხ ი — გამოცანებით.

მ ა ს ხ ა რ ა — გამოცანებით? ძალიან კარგი.

გამოცანას მოგახსენებთ,

ბევრი არაფერია:

გლახის შრომით იკვებება,

ისევ გლახის მტერია —

ქოდალო რომ აღარ ეყო,

ქიზიყს გადმოერია, —

საქართველოს შესაქმელად  
ყელიც მოუღერია...

რ ე ვ ა ზ — ფრთხილად, მასხარავ! ეგ დაგავალე?

მ ა ს ხ ა რ ა — უკაცრავად, დიღო ბატონო, ძაღლის ბატკანო  
ვის უნახავს? ცოტა ჩემებურმა წამძლია და ვალიც არ  
მმართვებს შენი — რააა მთხოვ?

ხ ა ლ ხ ი — „ჩრდილები!“ „ჩრდილები!“

მ ა ს ხ ა რ ა — დაჩუმდით! (სიჩუმე) ერთი უყურეთ: თითონვე  
იქცნენ ჩრდილებად.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ხა-ხა-ხა-ხა!

მ ა ს ხ ა რ ა — მაგრამ მალე გაქრებიან ეს ჩრდილები.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ვის დასცინის, ქილიფთარ?

რ ე ვ ა ზ ი — გაცხარდი, ქილიფთარ.

ქ ი ლ ი ფ თ ა რ ი — გავცხარდე, ბატონიშვილო?

(ატყდება კიდევ ყაყანი: „ჩრდილები“, „მწყრები!“).

ხ ა ლ ხ ი — მწყრები ააფრინოს.

მ ა ს ხ ა რ ა — მწყრები ავაფრინო?

ხ მ ე ბ ი — აქედან, მაინდან.

მ ა ს ხ ა რ ა — (დიღებულუმს) ბატონებო, აქ თქვენი ყურმოკრი-  
ლი მონები არიან და რა აფრენა შეუძლიათ მონებს  
(დიღებულუმს ეამებათ), ხოლო თუ მაინდან ავაფრენ-  
მწყრებს, ვინლა დარჩება? (დიღებულუმს ეწყინათ, გლეხებს  
ეამებათ).

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — (ჯერ გაიცინებს, მერე ქილიფთარს) ვის დას-  
ცინიან, ქილიფთარ?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ ი — ყველას, ბატონიშვილო, გავცხარდე?

რ ე ვ ა ზ — გაცხარდი! (თვალით ანიშნებს ქილიფთარს, გაცხარდით):

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — არა, ნუ გაცხარდები, რამეთუ ბენია  
არს ეგე და ბეშტია: ამოო არს ენითა ცემა ჰაერისა და  
ბაგეთა ბგერა მათი.

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — მაშ დავმშვიდდე, ბატონიშვილო?

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — დამშვიდდი, ქილიფთარ; როცა გი-  
თხრა, მაშინ გაცხარდი.

მ ა ს ხ ა რ ა — დავაშავე რამე, ბატონიშვილო?

რ ე ვ ა ზ ი — დიახ, დააშავე და ძალიანაც დააშავე... მასხარავ!  
პირობა!

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — სულ ჩვენზე რად გვაცინებ? არა სჯობია სხვაზე გავაგვინო?

მ ა ს ხ ა რ ა — მაშ ნება მიბოძე, წავიდე, თორემ მეშინიან ხუმრობის ცეცხლი არა სწვდეს სიგიჟის წამალს. (მიდის).

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მოიცა, მე ჯერ ხეირიანად არც კი გამიცინია და შენ მიდიხარ?

მ ა ს ხ ა რ ა — (მობრუნდება) მე მასხარა ვარ, ბენია: ბატონთა ბერიკა. მხოლოდ გიყვებსა და სულელებს ეწყინებათ ჩემი ხუმრობა, ამიტომ ჭკვიანებში ვოხუნჯობ ხოლმე. ნება მიბოძეთ, წავიდე.

რ ე ვ ა ზ ი — ჩვენ სულელებად გვთვლი?

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ქილიფთარ, ნახე? მე უფრო ჭკვიანი გამოვდექ: არ მეწყინა მაგისი ხუმრობა.

მ ა ს ხ ა რ ა — გეფიცებით სოლომონ ბრძენს, თქვენზე ჭკვიანი კაცი ჩემს მეტი არავინ მინახავს ჯერ ქოდალოში. ჩემზე ჭკვიანებს დავეძებ და თქვენს მეტსა კი ვერავისა ვპოულობ.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ჩრდილები გააკეთოს, ქილიფთარ.

ხ მ ე ბ ი — ჩრდილები!

მ ა ს ხ ა რ ა — იხილეთ!

(მუნჯად თამაშობენ, თუ გლახს როგორ აწევს მღვდელი, აზნაური, თავადი, ნოინი, მეფე და გარეშე დამპყრობი).

ხ ი ს ო — ეგ გახლავთ ქართველი გლახი. მაგას ერთპირ ტყავს მამასახლისი აძრობს, მეორეს დიამბეგი, მესამეს — მღვდელ-დიაკვანი, შემდეგ ზედ აწევს (აწვებიან) აზნაური, თავადი, შოურავი, მეფე და გარეშე დამპყრობი...

რ ე ვ ა ზ ი — გაცხარდი, ქილიფთარ!

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — შენ დაგცინიან, ბატონიშვილო. გავცხარდე?

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მოიცა ჯერ სულა ვნახოთ და მერე გაცხარდი. ხა-ხა-ხა-ხა!

რ ე ვ ა ზ — შეაჩერეთ!



ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — არ შეაჩეროთ! (გლახი დაწვება, რაკი ვერ შეიმაგრებს და დაინგრევა ზედახორა).

ხ ი ხ ო — გლახი, რა თქმა უნდა, დაწვა, მაგრამ ისევე ადგება. ვუსურვოთ, ადგეს უმუქთანხოროდ.

(გაკეთებული ბერიკის ნაბდის ქვეშიდან გამოვა რევაზის სახე, მივა და გლახს დააწვება, ვეღარ ადგესო).

რ ე ვ ა ზ — შეაჩერეთ!

ხ ი ხ ო — ეგ არაფერია. (შემოდის შფის სახე) ეს მამაშენია, ბატონიშვილო, დიდებულთაგან დაქუცმაცებული საქარ-თველოს შემკრები და ძალის მიმცემი მამაშენი. ეს მოურავი არც მას დააყრის ხეირს; ზურგიდან ჩასცემს ხანჯალს, როცა შაჰინ-შაჰის ურდოები მიადგებიან თბილისს. (რევაზის სახე ხანჯალს ჩასცემს მეფეს ზურგში).

რ ე ვ ა ზ — ოიანა! (თან ხელს აუქნევს — იქითო).

მ ა ს ხ ა რ ა — ბუიანა! ბუიანა! ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ბარემ შენც ნახე, რა გემოსია ღალატი!

(ბატონები მიდიან საქაროდ. ოიანა-ბუიანა ყინადა დგას და გამარჯვებული იცინის. ბერიკები გაკეთებულ ბერიკას მოხდიან ნაბადს, ბერიკის ქულს, რჩება მარგილზე ჩამოგებული თივა და შარგილის წვერზე ჩამოცმული ძაღლის დაღრეჯილი კენხხა).

— ჩვენს ბერიკობას კარგი მოსავალი აქვს წრეულს.

## მესამე მოქმედება

(ქოდალო. რევაზის ციხე-კოშკი. შემოდინ მთვრალი რევაზი და აზნაური).

რ ე ვ ა ზ — არა, არ შევარჩინ... ეს უღვაში არა მქონდეს, თუ შევარჩინო... ბატონიშვილი გამიორგულა... ეს ოხერი იმდენი ღვინო დამილევნია, ჯავრისაგან ფეხზე ვეღარა ვდგები...

პ ი რ ვ ე ლ ი ა ზ ნ ა უ რ ი — არა უშავს რა... ჩვენ მიგიყვანთ სახლში...

რ ე ვ ა ზ ი — თქვენ თქვენი თავი მიიყვანეთ სახლში... ისე არ წახდება რევაზი, თქვენი წასაყვანი გახდეს.

მ ე ო რ ე ა ზ ნ ა უ რ ი — ჰო, მაგარი კაცი ხარ... დიახ, დიახ, მაგარი...

რ ე ვ ა ზ — წადით... აქედან უნდა თვალი გადავენოთ; არსად წაიქცეთ.

პირველი აზნაური — ჩვენი ბატონი ტყუილად კი არა ხარ... უნდა იკვიპატრონო! (ორივე აზნაური გადის ბარბაცით).  
რევაზ — (წაიჭყევა) ეგეც არაფერი... სუფთა ჰაერზე უფრო მალე გამომნელდება... შემრე ავდგები და შევალ შინ... მაგრამ იმას არ შევარჩენ... (ამოუშვებს ხერინვას. შემოდიან გლეხები).

პირველი გლეხი — აი, ბინდბუნდმა მოაღწია და მაინც ვერ გავძეხ სიხარულით. სულ თეატროზე მინდა ყოფნა (დაინახავს წაქცეულ რევაზს) უჰ!.. შინამდე ველარ მიუღწევია მთვრალსა და თავისი კოშკის კარებში წაქცეულა... ნათამაღარი იქნება... იქნება სხვა არის? ბატონია.

მეორე გლეხი — ბატონი ამასა და დარღუბალა.

პირველი გლეხი — სუ!.. დღეს რომ ოინი უყო ამას მასხარამ!

მეორე გლეხი — ვენაცვალე იმის ღმერთს... წავიდეთ.

პირველი გლეხი — ოლონდაც; წავიდეთ, თორემ ეს ფხიზელიც საშიშია, მთვრალიც და მძინარიც (გაღიან.)

სიმღერა — (ისმის გარედან).

ვაჰ, მშვიდობით, ქეიფო,  
კახურის სმავ ჯამითა,  
მე ისედაც მთვრალი ვარ  
ბოლმითა და ჯავრითა.

(სიმღერა მიწყდება. შემოდიან ბეგო და მასხარა).

მასხარა — უნდა წავიდეთ. ამაღამვე უნდა წავიდეთ, მაგრამ სად დავკარგე სანთო?

ბეგო — იქითა კოშკში იყო.

მასხარა — იქითა კოშკში მივალ, აქეთა კოშკში წავიდაო, აქეთა კოშკში მივალ — იქითაში წავიდაო... მე იმის ძებნას მოვუწოდებ ამაღამ, აბა წაიკითხე რასა მწერს ბატონი შვილი.

ბეგო — (კითხულობს) „ხუმრობა შენი საშიში არს ყოველთათვის, თუმცა მრავალი სიკეთე ვცანი მასში და თვალნი ამეხილნეს საქმეთა ზედან. ხუმრობით სიმკაცრე ჩემდამი ჭარბად არს და ესე არ ვარგა. აღარ ინებო. შვიდმაისობას მოღი ჩემთან სამხიარულოდ გლეხის მოსაყ-

ლისათვის. ბატონიშვილი“. ამ წიგნში რა ჰქვიათ სჩანს  
ეს დასაქცევი.

მ ა ს ხ ა რ ა — მასხრობს, მეგობარო, მასხრობს.

ბ ე გ ო — ჩვენი ხუმრობა ჰქვაში ისე დასჯდომია, ასე გონია,  
ცხვარჰამია ბატონიშვილი. კი არა, დიდი მეცნიერი იყოს.

მ ა ს ხ ა რ ა — რას იზამ, ჩვენ თავს ვიგიჟიანებთ, ეგ თავს  
იჰქვიაანებს.

(დაინახავს რევანს), უჰ, სად გდებულა.

ბ ე გ ო — წავიდეთ! (გალიან).

ს ი მ ლ ე რ ა — მამ მშვიდობით, ქეიფო,  
კახურის სმავ ჯამითა,  
მე ისედაც მთვრალი ვარ  
ბოლმითა და ჯავრითა.

(შემოდის ფეშანგი).

ფ ე შ ა ნ გ ი — რა იქნა ის მასხარა! ის ბრეცია! ისე დაეუბრეც  
ი ყბებსა, ველარასოდეს ველარ გაისწოროს... სად არის—  
მეთქი... საძირკვლიანად უნდა ამოვაცილო ის ბაიყუშო  
ენა!

(მღერის).

აჰ, მშვიდობით, ქეიფო,  
კახურის სმავ ჯამითა,  
მე ისედაც მთვრალი ვარ  
ბოლმითა და ჯავრითა.

(კოშკიდან ჩამოდის სანთო).

აბა ის ვინ არის?.. კაბა აცვია, ქალი იქნება... მოიცა, ვინა  
ხარ? ოო, სანთო! შენა ხარ? სად არის მამაშენი?

ს ა ნ თ ო — მეც იმას დავეძებ... ამალამ უნდა წავიდეთ, მაგრამ  
შენ რათა ხარ გაჯავრებული?

ფ ე შ ა ნ გ ი — მამაშენის ნახვა მინდა, ისე მაგრა უნდა ჩაეიკრა  
გულში, რომ სულ გავუქეპყო ი გველსოკოსავით წოწ-  
ლოტინა თავი.

ს ა ნ თ ო — რათა, ფეშანგ?.. ეგრე გაჯავრებული ჩემს სი-  
ცოცხლეში არ მინახინარ.

ფ ე შ ა ნ გ ი — შენ ძალიან კარგი გოგონა ხარ, ძალიან მომ-  
წონხარ, მაგრამ მამაშენმა მაწყენინა... ისე მაწყენინა,  
რომ... ძალიან მაწყენინა!

ს ა ნ თ ო — როგორ?

ფ ე შ ა ნ გ ი — გამლანძღა... ტყუილად გამლანძღა... ძალიან გამლანძღა... ცილი დამწამა... ვითომ ქალების მოყვარული ვიყო...

ს ა ნ თ ო — რაც უნდა ცილი დაგწამოს — მამაჩემი იქნება იგი, მამაშენი, მე მაინც... როგორა ვთქვა?..

ფ ე შ ა ნ გ ი — მოგწონვარ?.. მაშ, მოდი, ერთი ჩაგიკრა გულში.

(შემოდის მასხარა, რომელიც დანახავს მათ. ისინი ვერა ხედავენ მასხარას, სანთო შეამჩნევს რევაზს).

ს ა ნ თ ო — დიდი ბატონი! (გაიქცევა).

ფ ე შ ა ნ გ ი — (გაეკიდება) სანთო!

მ ა ს ხ ა რ ა — (გაშოვა) ვაიმე, შეილო, ვაიმე!.. ამას რაღა ვუშველო? საით წავიდე?.. ვინ მომცემს ამის წამალს? ვაიმე, შეილო, ვაიმე!.. ვაააიმე... ვა-... ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა. ჩემ სიცოცხლეში სულ სხვას დავცინოდი და რა უშავს, ცოტა ჩემზედაც გავიცინო. ჰა-ჰა-ჰა-ჰა. (გალის ისევ იქით, საიდანაც შემოვიდა).

ფ ე შ ა ნ გ ი — (შემორბის გაბრაზებულ) დიდი ბატონი ამასა და დარღუბალა! ისე გამექცა, ერთი კოცნაც ვერ მოვასწარი... მაგრამ ის ხომ გავიგე, რომ მოვწონვარ... ჩემი საქმე გაჩარხულია... გამექეცი, მაგრამ შენზე ვიყრი მამაშენის ჯაერს! (გამოჩნდება ტიბეირა). ამიტომ თავს მოვიხბრი... უეჭველად მოვიხბრი...

ტ ი ბ ე ი რ ა — ვის წინ მოიხბრი თავს, ფეშანგი?

ფ ე შ ა ნ გ ი — შენა ხარ, ტიბეირა?.. აი ამის წინ (უჩვენებს რევაზს).

ტ ი ბ ე ი რ ა — ნათამადარია! ალბათ ამის ცოლსა ჰგონია, რევაზი განაგრძობს მესამე წყობის დათრობასო, ეს კი აქ გაშხლართულა, თავისი კოშკის კარებში.

ფ ე შ ა ნ გ ი — უეჭველად უნდა მოვიხბარო თავი.

ტ ი ბ ე ი რ ა — რათა?

ფ ე შ ა ნ გ ი — რაღა საკითხავია? არ იცი, რათა?

ტ ი ბ ე ი რ ა — მაინც რათა?

ფ ე შ ა ნ გ ი — ამასთან რამე გავიგვა? ამან ყველა დიდ ბატონს აჯობა და რა ვართ ჩვენ?

- ტ ი ბ ე რ ა — ეგრე სჭირს შენი ჰკუა?
- ფ ე შ ა ნ გ ი — დიახ. შენ კი არ გინდა, თავი მოიხარო რევაზის წინაშე?
- ტ ი ბ ე რ ა — პირიქით, მირჩევნია სადმე ჩაუჯდე წვრილ ორლობეში და სული ფაშეებიდან გამოვადინო.
- ფ ე შ ა ნ გ ი — ჩუმად! არ ელვიძოს... შიშისაგან გამოვფხიზლდი... ეგ კაი აზრია, მაგრამ მეშინიან.
- ტ ი ბ ე რ ა — მძინარე ბატონისა? ღვინით გაფუებულს ისე სძინავს, ზარბაზანიც ვერ გამოაღვიძებს... არათფერი აზრი. არ მოგდის მაგ თავში?
- ფ ე შ ა ნ გ ი — არ მესმის.
- ტ ი ბ ე რ ა — ეს მთვარიანი ღამეც ხელს შეგვიწყობს...
- ფ ე შ ა ნ გ ი — ვერაფერი ვერ გამიგია...
- ტ ი ბ ე რ ა — რა ვერ გაგიგია... მოდი ეს ქოფაკი ჩავაძალოთ.
- ფ ე შ ა ნ გ ი — ჩუმად! არ გაიგონოს... შენ ამბობ ჩავაძალოთო, მაგრამ რისთვის? იქნებ გვაპატიოს?
- ტ ი ბ ე რ ა — რა უნდა გაპატიოს? ისა, რომ გარყვნილი ხარ? გამიგონე: რევაზისაგან არც მე ვარ ბედნიერი და არც შენ.
- ფ ე შ ა ნ გ ი — მართალია. მერე?
- ტ ი ბ ე რ ა — მერე ისა, რომ თუ ვაჟკაცი ხარ, ეხლა კაი დროა ამ ძაღლის ზევით გასაგზავნად (აჩვენებს ცას).
- ფ ე შ ა ნ გ ი — ჩუმად! რამოდენას ჰყვირი... თავის მოსახრელად მოვედი და... მართლა კარგი კია, კაცმა თავი კი არ დახაროს, უფრო მაღლა ასწიოს... აი, ასე...
- ტ ი ბ ე რ ა — მოჰყე რაღა სიბრძნეს! აი, მე ხანჯალს ვიღებ ამ ქარქაშიდან იმ ქარქაშში ჩასაგებად (უჩვენებს რევაზს).
- ფ ე შ ა ნ გ ი — მოიცა, ეგ რომ მოგკლათ, მთელი ქვეყანა შეინძრევა.
- ტ ი ბ ე რ ა — მთელი ქვეყანა არა, მაჩვის კარაქი არ გინდა.
- ფ ე შ ა ნ გ ი — ჰო! ჰო! მთელი ქვეყანა შეინძრევა. ბატონიშვილი გაწყრება, მოგვძებნიან... დაგვიჭერენ... თვალებს დაგვთხრიან... ამას ის არა სჯობია, თავი მოვიხაროთ?..
- ტ ი ბ ე რ ა — ეგ მკვდარი იქნება და ამაზე იქით ვილასი გე-

შინიან? მოვკლათ და თავისუფალ გლეხებს დავაბრალოთ, ყმებს ვიშოვით.

ფეშანგი — მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობ... მონებრებელი კაცი ხარ... მოვკლათ და თავისუფალ გლეხებს დავაბრალოთ. ყმებს ვიშოვით.

ტიბერი — ჰა! ჩქარა! რაკი პირიდან ამოვიდა სიტყვა — „მოვკლათ“, უნდა მოვკლათ.

ფეშანგი — მე მოვკლავ...

ტიბერი — თუ მაგას გაჰბედავ, გმირს დაგიძახებენ და რევაზის შემდეგ შენ იქნები პირველი თავადი ქიზიყში... მე გაეიხედ-გამოეიხედავ, არავეინ მოდიოდეს (ტიბერია გაღის).

ფეშანგი — (ხანჯალს ამოიღებს. აქეთ-იქით იყურება) ღმერთო და ბედო!

ოლოლი — მესბორეეე...

ფეშანგი — (შეკრთება) ოლოლი იძახის... ძნელი საქმე ვიკისრე... ვილაცა მოდის, მგონია... არა, არავეინ არის. გული შიგ ყელში მეტყინება... მაგრამ ამის შემდეგ ხომ მე ვიქნები პირველი თავადი ქიზიყში... გასკერი, ჩემო ხანჯალო!

(უცებ გამოცხადდება მიფარებული ტიბერია და აღმართულ ხელში ხელს უტაცებს ფეშანგს).

ტიბერი — რას სჩადი, შე ოჯახდაქცეულო! გაუშვი ხანჯალს ხელი! გაუშვი-მეთქი! (იბრძვიან).

ფეშანგი — ვაიმე, წამიცადა...

ტიბერი — გაუშვი, თორემ გამოგფაშვავ... როგორ გაუბედე ჩემს ბატონს! ხალხნო! მიშველეთ, ბატონსა ჰკლავენ! არ მოგაკვლევიანებ, ფეშანგ, ჩემს ბატონს... გაუშვი-მეთქი, ხანჯალი!

(ვიდილის ღროს ტიბერია ფეხს გაკრავს რევაზს, გამოიღვიძოს).

ფეშანგი — ვაიმე, დედავ, კიდევ შემაცდინა!

ტიბერი — დიდო ბატონო, გამოიღვიძე!.. გკლავენ... რამ დაგაძინა ასე მაგრამ.. მიშველეთ!.. გაუშვი ხანჯალი, ფეშანგ!

ფეშანგი — არ გავუშვებ!

ტიბერი — აი, თუ არ გავუშვებ!

«მუცელში მუხლს ატაკებს და გააშვებინებს. ტიბეირა ხანჯალს  
გააქცევს და ფეშანგი გამოეკიდება, მაგრამ ისევე მალე  
შემობრუნდებიან რევაზთან).

ფ ე შ ა ნ გ ი — წამიცადა... კიდევ წამიცადა.... გამასულელა...  
გამაბრიყვა. რაღა უნდა ვქნა?

რ ე ვ ა ზ ი — (წამოიწვეს).

ფ ე შ ა ნ გ ი — ძილი გაამოს, დიდო ბატონო.

რ ე ვ ა ზ ი — ვინა ხარ შენა?.. რაღაც ყვირილი ისმოდა.

ფ ე შ ა ნ გ ი — ძილი გაამოს, დიდო ბატონო.

რ ე ვ ა ზ ი — ფეშანგ, შენა ხარ?

ფ ე შ ა ნ გ ი — დიახ, ძილი გაამოს.

რ ე ვ ა ზ — დიდი ხანია, რაც გათენდა?

ფ ე შ ა ნ გ ი — დიდკაცთა ვახშობა იქნება... მთვარიანი ღამე  
გახლავთ...

რ ე ვ ა ზ ი — დიდკაცთა ვახშობა? მემრე. ამ დროს რისთვის  
გარჯილხარ?

ფ ე შ ა ნ გ ი — გარეთ მწოლარე რომ გნახე, გაპატრონობდი...

რ ე ვ ა ზ ი — რათ კანკალებ?

ფ ე შ ა ნ გ ი — იმიტომ, რომ შენს წინაშე დამნაშავე ვარ.

რ ე ვ ა ზ ი — სხვა არაფერი?.. ცარიელი ქარქაში რაღა გკი-  
ლია? რა უყავ ხანჯალი?.. (ფეშანგი დაიბნევა).

ფ ე შ ა ნ გ ი — ხანჯალი?

რ ე ვ ა ზ — რა გაკანკალებს?..

ფ ე შ ა ნ გ ი — ბევრი ღვინო დავლიე და ენა მებმება... დიდო  
ბატონო, მე შენი ერთგული ვარ... ხალხი გაფუქლა.  
ტყუილად აბეზღებენ.

ე რ თ მ ა ნ ე თ ს — აღარავის დაეჭვრება.

რ ე ვ ა ზ ი — ხანჯალი სადა გაქვს-მეთქი?

ფ ე შ ა ნ გ ი — ხანჯალი?.. არ უნდა მეთქვა, მაგრამ ვიტყვი,  
ოღონდ დაბეზღებად ნუ ჩამომართმევ. ტიბეირა მოვიდა  
აქა, მან შენზე ცუდი სიტყვა თქვა, შენ დასაცავად ამო-  
ვიღე ხანჯალი, მაგრამ მთვრალს რაღაცნაირად წამგლიჯა  
და გაიქცა.

რ ე ვ ა ზ ი — მართალს ამბობ?

ფ ე შ ა ნ გ ი — სიმართლესაც დაგიმტკიცებ და ერთგულებასაც.

რ ე ვ ა ზ ი — ეგ მხოლოდ ეყენებიანი სიტყვებია.

ფ ე შ ა ნ გ ი — საქმითაც დაგიმტკიცებ. გეფიცები ამ ახალ-გაზრდა ულვაშს.

რ ე ვ ა ზ ი — ასეთი უეცარი ცვლილებები ხდება ხოლმე ადამიანში. მე ვიცი, ტიბეირა ჩემი მოკეთე არ არის, არც შენა ხარ ჩემი მოკეთე და არ დავიჯერებ შენს სიტყვებს, სანამ საქმეს არ დავინახავ...

ფ ე შ ა ნ გ ი — დამავალე, დიდო ბატონო.

რ ე ვ ა ზ — რა დავავალო?

ფ ე შ ა ნ გ ი — რაცა გნებავდეს. დღეის იქით შენი მტერი ჩემი მტერია.

(შემოდის ტიბეირა მზიარული და გამარჯვებული).

ტ ი ბ ე ი რ ა — დიდო ბატონო, შენი ერთგული ყმა მოვალე ვარ მოგახსენო! აი ამ ხანჯლით თავად ფეშანგს მოკვლა უნდოდა შენი.

რ ე ვ ა ზ ი — გმადლობ, მაგრამ ეგ არაფერია... დღეს არავისი დასჯა არ მსურს... ხანჯალი დაუბრუნე პატრონსა და ცოტა ხანს ფეშანგთან დამტოვე მარტო. (ტიბეირა ხანჯალს დასდებს და გაკვირვებულ-გაწბილებული გადის). ფეშანგ, აიღე შენი ხანჯალი... მაშ საქმითაც დამიმტკიცებ ერთგულებას?

ფ ე შ ა ნ გ — ოღონდ დამავალე და სპილოს ძლიერება ჩამიდგება ძარღვებში, ლომის სიფიცხე და გველის ჭკუა.

რ ე ვ ა ზ — მაშ კარგი... შენ უნდა მასხარა მოჰკლა.

ფ ე შ ა ნ გ ი — სხვა არაფერი?

რ ე ვ ა ზ — სხვა არაფერი და თუ ამას გააკეთებ, საუკეთესო მეგობარი იქნები ჩემი.

ფ ე შ ა ნ გ ი — დიდი სიამოვნებით!

რ ე ვ ა ზ — მოიტა ხელი!

(მისცემენ ერთმანეთს ხელს, ამ დროს შემოდის მასხარა. რევაზი და ფეშანგი მხარიმხარს გადაბმული გადიან, მასხარას ვერა ჰხედავენ).

მ ა ს ხ ა რ ა — საკვირველია! რამ დაამეგობრა ეს თხა და მგელი!.. რაღა არ ხდება ამ ცოდვით სავსე ქვეყანაში! ფუჭ, სანთოს დავეძებ და ამათ კი ვპოულობ. სანთო! სადა



ხარ? ნათქვამია: გდიე, გდიე, ვერ დაგეწიე, დავექი და მოგიცადეო. მეც დავჯღები და მოვუცდი.

(დაჭდება კუნძზე, თავს ჩაღუნავს და დაფიქრდება. შემოვა სანთო.

მამას დაინახავს, მასხარა ვერ ხედავს. სანთო ყურს უგდებს

მამის ნაღვლიან ლექსს).

ძალლი ჭოპოსანს ლოკავდა,

ენიდან სისხლი სდიოდა,

იმას კი ასე ეგონა,

ჭოპოსანს გამოსდიოდა.

ს ა ნ თ ო — (მივა მამასთან და გამოეცხადება) რაზე ამბობ მაგას, მა-  
მაჩემო?

მ ა ს ხ ა რ ა — ოო, ჩემო პეპელავ! მოფრინდი? ისე, კარგი შაი-  
რია... გულზე მხვდება... მე ქვეყანა მიყვარს, ქვეყანას კვ  
ვეჭავრები.

ს ა ნ თ ო — მემრე? მაგიტომ გადიმტერე ფეშანგი? რას გერ-  
ჩოდა?

მ ა ს ს ა რ ა — ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

ს ა ნ თ ო — რას იცინი?

მ ა ს ხ ა რ ა — დაგეძებ, დაგეძებ... ჭია-მაიაც კი გამოვაფრინე  
შენსკენ და...

ს ა ნ თ ო — მე კიდეც შენ დაგეძებ.

მ ა ს ხ ა რ ა — მართლა?

ს ა ნ თ ო — დიახ... ერთი სათხოვარი მაქვს...

მ ა ს ხ ა რ ა — რა?

ს ა ნ თ ო — ნუ წავალთ ამაღამ საქობოში, ხვალ საღამოს-  
თვის გადადებ.

მ ა ს ხ ა რ ა — რათა?

ს ა ნ თ ო — ისე... არ გეშინიან, მტერი რომ გაიმრავლე? უნდა  
შეურიგდე ფეშანგს.

მ ა ს ხ ა რ ა — აი მაგისი მეშინიან მხოლოდ, სხვა არაფრისა.

ს ა ნ თ ო — რისა?

მ ა ს ხ ა რ ა — იმისა, რომ შერიგებასა მთხოვ ფეშანგთან, რო-  
მელიც გულუბრყვილო ქალების შეცდენაზე ფიქრობს.

ს ა ნ თ ო — არა, მამაჩემო. ქალიშვილი ვარ, მაგრამ იმდენი  
კჶუა შემწევს, ეშმაკს ნახტომი შევაშლევინო.

მასხარა — ეს ისე გამოდის, რომ ეშმაკზე უარესი ყოფილხარ.

სანთო — არა.

მასხარა — მაშ რა?

სანთო — შენზე ამბობენ, ხარიტონა ძლიერ ჭკვიანი კაცია, კარგად ხუმრობსო.

მასხარა — მერმე?

სანთო — მერმე... შვილი ვარ შენი და სხვა არაფერი... ხა-ხა-ხა-ხა!

მასხარა — აღარ ვიცი, მე ვატყუებ, თუ ეს მატყუებს.

სანთო — ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

მასხარა — რას იცინი?

სანთო — ხუმრობით ვიცინი, მამაჩემო — შენსავით, ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

მასხარა — სანთო, ორი კვირისას მოგიკვდა, შვილო, დედა. იმის შემდეგ დედაც მე ვარ შენი და მამაცა... ამიტომ მე დამიჭირე... ნუ აპყვები გარყვნილ თავადებს... აი, ეს ჯვარი ბატონიშვილმა მაჩუქა კარგი ხუმრობისათვის. შვიდმთისობასაც ვარ მასთან მიწვეული. კიდევ მაჩუქებს ჯვრებს, ხატებს და ამ საჩუქრებს ოქრომჭედლებს გადავადნობინებ და ძვირფასი სამკაულებით მოგრთავ... წავიდეთ.

სანთო — ამაღამ მაინც ნუ წავალთ. ხვალ საღამომდე ნება მომეცი ვიხტუნო აქა და ვინც ჩემს ხტუნვას აპყვება, რა გენაღვლება, მოიტეხოს კისერი.

მასხარა — წავიდეთ, გენაცვალოს მამაშენი, წავიდეთ! (გაღიან).

(მანანას სიცილ-ხარხარით შემოსდევს ფეშანგი).

ფეშანგი — ო-პო-პო-პო-პო-პო-პო! რა გაქცევა გცოდნია, მანან. ჩემი მწევარიც ვერ გაჯობებდა. ახლა რა გაწრთვნილი მწევარი მყავს და! სულ შუბლში მიყურებს.

მანანა — მართლა?

ფეშანგი — მართლა, მაშ! მერმე იცი, რათ მიყურებს შუბლში?

- მ ა ნ ა ნ ა — როგორ არ ვიცი: შიგ ბევრი მწყურები გისხედან და იმიტომ.
- ფ ე შ ა ნ გ ი — გაქცევაში სწორედ ჩემს მწვევარსა ჰგევხარ... რევანში და ზაქარიამ რომ გიყიდეს ქუთაისში სამოდ...
- მ ა ნ ა ნ ა — მერე შენ რა?
- ფ ე შ ა ნ გ ი — აი რა (უნდა აკოს).
- მ ა ნ ა ნ ა — ნუ თავხედობ, თავადო!
- ფ ე შ ა ნ გ ი — თავხედობა რას მიქვიან, ლამის დედალსავით დაგედევნო, მაგრამ ვშიშობ, სულ არ გამიფრინდე... (დაარტყამს ხელს მკერდზე) იფ! რა მკერდია!
- მ ა ნ ა ნ ა — ფრთხილად!
- ფ ე შ ა ნ გ ი — ზედ ციხე-ქალაქი აშენდება.
- მ ა ნ ა ნ ა — ფრთხილად-მეთქი!
- ფ ე შ ა ნ გ ი — რა დროს სიფრთხილეა, ლამის დამალი ჩამომივიდეს (ეცემა კიდევ საკონელად).
- მ ა ნ ა ნ ა — აი, თუ არ მომეცლები (გაარტყამს ყბაში), მოგხვდა? (მანანა გადის).
- ფ ე შ ა ნ გ ი — ვაი... შე კახპავ!.. რა ძიან გამარტყა... ვაიმე... (ყბაზე ხელს მიიდებს და დაიჩოქებს. შემოდის სანთო).
- ს ა ნ თ ო — რა დაგემართა, ფეშანგ?
- ფ ე შ ა ნ გ ი — არაფერი!.. კბილი ამტკივდა უცბად.
- ს ა ნ თ ო — ნეტავ არ მეშინოდეს, მალამოს დაგდებდი...
- ფ ე შ ა ნ გ ი — (წამოხტება) ნუ გეშინიან, გენაცვალე. აი მარტო მაგ სიტყვამ დამიამა ტკივილი, სანთო!
- ს ა ნ თ ო — ფრთხილად, არ დაგვინახონ.
- ფ ე შ ა ნ გ ი — ვინ დაგვინახავს, ყველა სახლშია შებუღებული.
- ს ა ნ თ ო — მამაჩემს გამოვეპარე.
- ფ ე შ ა ნ გ ი — რა ვქნა, სად შეგხვდე, რომ არავისი გეშინოდეს. უშენოდ ვერ გამიძლია, სანთო.
- ს ა ნ თ ო — არა მჯერა ეგ სიტყვა, ფეშანგ.
- ფ ე შ ა ნ გ ი — აი, თუ არა გჯერა. (ხელს მოხვევს საკონელად. ამ დროს შემოდის მასხარა და დაინახავს).
- მ ა ს ხ ა რ ა — ამასაც მოვესწარ? ვაიმე, შვილო! (თავს ისევ ისაფრებს და ჩუმად ზეერავს, სანთო ნებას არ აძლევს-კონისას).
- ს ა ნ თ ო — გამიშვი... დაგვინახავენ.

ფ ე შ ა ნ გ ი — ვინ დაგვინახავს ამ შუალამისას?

ს ა ნ თ ო — მამაჩემი!

ფ ე შ ა ნ გ ი — მაშ სადა გნახო, რომ არ დაგვინახონ?.. რას გაჩუმიდი? მითხარ... შენთან ბედნიერება მინდა დიდხანს და უშიშრად — სად გნახო-მეთქი?

ს ა ნ თ ო — შეიღმთისობის წინა ღამეს მოდი ჩემთან საქობოში.

ფ ე შ ა ნ გ ი — მამაშენი?

ს ა ნ თ ო — მამაჩემი შინ არ იქნება. მიწვეულია ბატონიშვილ-თან. მოსავლის დღესასწაული უნდა იმხიარულონ... მარტო მე ვიქნები!.. (სანთო უცბად გაიქცევა, ფეშანგი გასდევს უკან).

მ ა ს ხ ა რ ა — (გამოცხადდება, თითს მიიღებს შუბლზე) მაშ ეს ადამიანია? აბა შეხედეთ, რასა გავს. შუბლი გარეცხია! წელში მოხრილა! სხეებს დასცინის თვით დასაცინი, ჩამობდღენილი, გაძარცვული... აღარც სვინდისი, აღარც ნამუსი... შარვალი აცვია და თავისი თავი კაცი ჰგონია. ხა-ხა-ხა-ხა! (შემოდის ბეგო).

ბ ე გ ო — რას იცინი? ვის დასცინი?

მ ა ს ხ ა რ ა — ჩემს თავს... ერთი უყურე რასა ჰგავს... ხა-ხა-ხა-ხა-ხა! აქამდე სხვას დაეცინოდი და ახლა ჩემს თავს დაეცინი. რა მასხარა ვარ, ხალხნო! (შემოლიან) მოდით და გაიცინეთ! საკუთარი სისხლი ამიჯანყდა და ჩემი ლალატი ჩემივე ღვიძლებიდან მომდინარეობს.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ?

მ ა ს ხ ა რ ა — ხა-ხა-ხა-ხა-ხა, ოიანა-ბუიანა!...

## ბ ა ტ ი ნ ე ბ ა

(მამალი სამჯერ იყვილებს და გათენდება. ჩუმად შეხედებიან ერთმანეთს დედა-შვილი, სიღო და უთრუთი, ბაძო და თაფლო. ისევე ჩუმად მოვა მათ სანახავად ბაძოს მამა, მოხუცი ზაზო, ბერიკებს მიხიზნებული).

ს ი დ ო — შენ გენაცვალოს დედა, 'შვილო...

უ თ რ უ თ ი — აღარ შემიძლიან, დედა... აღარ შემიძლიან... ველარ დავუდგები ბატონს... მიშველე რამე, დედი...

ს ი ლ ო — რა გიშველო, შვილო (მოთქმით ტირის). დაიწვას და დაიხრაკოს ჩვენი ცოდვით ჩვენი ბატონი, შვილო... რა შეეცოდე ამ შავი ღლისათვის ღმერთსა, შვილო...

უ თ რ უ თ ი — ნუ ტირი, დედი, თორემ მეც ვიტყვებ ამოდენა კაცი... (შემოდის ერთი მხრიდან რევაზი, მეორიდან ზაქარია).

რ ე ვ ა ზ — შენ ეი, უთრუთ!

ზ ა ქ ა რ ი ა — კიდევ შეხვდით ერთმანეთსა?

რ ე ვ ა ზ — უთრუთ! გაყრილობაში შენ მე მერგე და ხომ გამოგიცხადე, ჩემ განაყოფთან არა განახო-მეთქი!

ზ ა ქ ა რ ი ა — სილო, შენც დაისწავლე. ჩემი ძმა ჩემი მტერია და ჩემმა ყმამ უნდა ფეხი ამოიკვეთოს ჩემი მტრის ყმიდან. ერთად აღარა განახოთ.

ს ი ლ ო — რა ვქნა, ბატონო, უთრუთი ჩემი შვილია, ჩემი ღვიძლი და ჭიგარი — როგორ დავთმო? თუ თქვენ დაგიკარგავთ ერთმანეთი ძმებს, ჩვენ მაინც ნუ დაგვაკარგვინებთ დედაშვილობას.

რ ე ვ ა ზ — ბევრს ნუ ყბედობ, აღარა განახოთ ერთად!

რ ე ვ ა ზ — შენც, მოხუცო ზაზო, აღარც შენა განახო შენს შვილთან. ბაძოს ვერ გავანთავისუფლებთ.

(გაღიან რევაზ და ზაქარია).

ს ი ლ ო — უი, მიწამ კი იცოთ პირი ორივეს, აჰა!

ბ ა ძ ო — (ტირის).

ზ ა ზ ო — ნუ ტირი, შვილო, ასეთი ბედი გვარგუნა ღმერთმა... დამშვიდდი, დაივიწყე ყველაფერი.

ბ ა ძ ო — ეეჰ, მამაჩემო, შენ შენი ღლეები გავითავებია და ადვილად იძახი... ვინ იცის, სად გადამაგდონ და სად გამყიდონ? როგორ უნდა ავიტანო?

ზ ა ზ ო — აიტან... შეეჩვევი ყველაფერს... ჩვენც ასე ვიტყოდით ხოლმე ახალგაზრდობაში. მაგრამ ყველაფერს შევეჩვიეთ...

ბ ა ძ ო — (მიუბრუნდება უთრუთს) უთრუთ, შენც ხომ ჩემს ღლეში ხარ.

უ თ რ უ თ — შენ რა ღლეში ხარ?

ბ ა ძ ო — თავისუფალი გლეხი ვიყავი, გოგო მოვტაცე ბატონსა და ყმად დამიჭირა ამისათვის.

უთრუთ — შენ რალაცა მაინც დაგიშავებია და მე რისთვის უნდა ვიტანჯო? იმიტომ, რომ გაყრილობაში დედაჩემი ზაქარიას ერგო და მე რევაზსა?

ბაძო — ჰოდა, მოდი ეგრე გავაკეთოთ, აღარ ვიტანჯოთ.

უთრუთ — როგორა?

ბაძო — ხიხო ბერიკა მოდის! (შემოდის ხიხო უნიღბოდ).

ხიხო — ახლა, რო იცოდეთ, რა ვაჭრები ჩამოსულან იმერეთიდან! იგეთი მწევრები ჩამოუყვანიათ ყმებში გადასაცვლელად, რო!..

სიღო — უი დამიდგეს თვალი, შვილო... (ტირის).

ხიხო — ნუ ტირი, ყური დამიდგდე, თიანა-ბუიანამ გამომგზავნა, თქვენი გაყიდვა უნდათ და უნდა გაიპარნეთო.

ყველანი — რანაირად?

ბაძო — ბატონის ბრძანებით ნება არა გვაქვს, გალავანს გავცდეთ.

ხიხო — ბერიკულად ჩაგაცმევთ და გაგაპარებთ. მასხარამ დაგვარიგა. წავიდეთ.

(გაღიან. მეორე მხრიდან ჟრიაჟულით შემოდიან ახალგაზრდა ბიჭები და გოგოები).

პირველი ახალგაზრდა — აბა, ბიჭებო, გაზაფხულის დღესასწაული თავდება და ერთი კაი დრო კიდევ გავატაროთ.

მეორე ახალგაზრდა — დრო გავატაროთ, მე ვიცი, წითელს არ მოხადოთ.

პირველი ახალგაზრდა — უეჭველად წითელს უნდა მოვხადოთ? აი, ჩვენს სანდრიას ვუთხრათ, ჩონგურზე „სებრო“ იმღეროს.

ქალები — სებრო კი არა, მანანას ლექსი.

ბიჭები — არა, სებრო იმღეროს.

ქალები — მანანას ლექსი.

ბიჭები — სებრო!

სანდრია — (მართავს ჩონგურს, ეშხადება. ბიჭები სებროს სთხოვენ, გოგოები მანანას ლექსს).

სებრო!

სებრო, სებრო ლალისებრო,

ქალო შე ლერწაჲსებრო.  
 ზურგზე გაყრია გიშერი,  
 დაწნული მათრაზისებრო,  
 შუბლზე გადაგდის ნათელი,  
 მოკისკისე ცისკრისებრო.  
 მას ქვევიდან ორი წარბი  
 გაწოლილა დრუბლისებრო.  
 მას ქვევიდან ორი თვალი  
 რა მწველია ცეცხლისებრო.  
 მას ქვევიდან ცხვირი გაზის,  
 გამოქნილი ხუროსებრო,  
 მას ქვევიდან ტუჩები გაქვს,  
 ჩააწუნნი შაქრისებრო,  
 აქეთ-იქით ლოყები გაქვს,  
 ჩასაკბეჩი ვაშლისებრო,  
 მას ქვევიდან ერთი ყელი  
 იყურება ბროლისებრო,  
 მას ქვევიდან... (ხალხს) წავიდეთ ქვევით?

ქ ა ლ ე ბ ი — უი ქა, როგორ იქნება?!

ბ ი ჭ ე ბ ი — წადი!

ს ა ნ დ რ ი ა — მას ქვევიდან ერთი ყელი

იყურება ბროლისებრო.

მას ქვევიდან ორი ძუძუ

გიყუდია კოკისებრო.

მას ქვევიდან ერთი კუჭი

შეკრულია ღილისებრო... კიდევ წავიდეთ

ქვევით?

ქ ა ლ ე ბ ი — არა, არა!

ბ ი ჭ ე ბ ი — წადი, წადი!

ს ა ნ დ რ ი ა — მას ქვევიდან ერთი კუჭი

შეკრულია ღილისებრო.

მას ქვევიდან მუცელი გაქვს  
საკურდღლაო გორისებრო.  
მას ქვევიდან ერთი... ჰა, კიდევ წავიდე?

ქ ა ლ ე ბ ი — აღარ წახვიდე.

ბ ი ჭ ე ბ ი — წადი, წადი!

ს ა ნ დ რ ი ა — მას ქვევიდან ერთი ხევი...

(ქალები დაიწვილებენ და გაცვივიან გარეთ, სანდრია დაათჳებს ლექსს).

მას ქვევიდან ჰარნუნანე,  
ოდელია დილისებრო,  
ერთნაირად გამოდიან  
ყმაც და მეფეც ფუტკრისებრო.

პ ი რ ვ ე ლ ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა — ბიჭებილა დავრჩით. მო-  
დით, ბიჭებო, ეხლა შიგჭიდილა ჩავაბათ.

ხ მ ე ბ ი — ჩავაბათ, ჩავაბათ.

პ ი რ ვ ე ლ ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა — ვინ ვის დავჭიდოთ?

ხ მ ე ბ ი — გრაგა და ხლართა.

გ რ ა გ ა — ხლართას დავეჭიდებთ?

პ ი რ ვ ე ლ ი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა — რატომო, შე ვირის და-  
ლაბანდო. ცხვირს ისე იწევ ზევით, ასე გგონია, ორ  
სახედარში არ ეყიდნო შენს ბატონსა.

გ რ ა გ ა — მე ორ სახედარში მაინცა ვარ ნაყიდი და აზირ შე-  
ნი თქვა? მამაშენის ჩოკინას წიხლი მიერთყა ბატონის  
კოკისათვის წყალზე და იმ გატეხილ კოკაში დავინარ-  
ჩუნა ბატონმა. ვის დასცინი, შე ვირის წიხლად ნაყიდო,  
შენა! (იციინან).

ყ ვ ე ლ ა ნ ი — შიგჭიდილა, ბიჭებო, შიგჭიდილა!

(ამ დროს მოესმა ბერიკების ხან სწორი და ხან მრული სიმღერა  
„მგზავრული“).

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ბერიკები მოდიან! (აიშლებიან).

ბ ე რ ი კ ე ბ ი ს ს ი მ ღ ე რ ა — ლაშქრად წასვლა მას უხარის;  
ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო,  
დაბრუნება და შინ მისვლა,  
ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.



(შემოდინან ნილაბში. ჯოხის ცხენებზე სხედან და თოფებად ჰკიდიათ  
ნაცრით დატენილი მზესუმზირას ძირები).

ბ ე რ ი კ ე ბ ი — მივდივართ, მივდივართ! მივდივართ!

(შუაში ჰყავთ ბერიკულად ჩაცმული ბაძო, უთრუთი და თაფლო).

ხ ი ხ ო — ეხლა ჩვენ უექველად მივდივართ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მივდივართ! მივდივართ! მივდივართ!

დ ო ყ ო — ჩვენ მივდივართ პირდაპირ განჯაში, შაჰინ-შაჰს იქ  
უნდა დავხედეთ.

ბ ო ყ ო — არა! სჯობია ისევ თბილისთან დავუცადოთ.

რ ო ყ ო ყ ო — იი-ხვი-ხვი-ხვი! ტბრრ, შე ოხერო, შენა. მოესწ-  
რები გაჰქენებას.

ხ ი ხ ო — როყოყო! წინიდან მომაცალე ეგ შენი მერანი, თო-  
რემ ეგ ისეთი პატრონსასიკვდილემ მერანი გყავს, რომ  
სუყველა მხრიდანა ჰხიხინებს.

რ ო ყ ო ყ ო — ტბრრ... იგრე გავაფრენ, ქორიცი ვერ დამეწიოს,  
მაგრამ იმას რომ დავინახავ, გამოვიპარები.

კ ი კ ო — მე მაგრე არ მოვიქცევი — პირდაპირ შიგ ყურის-  
ძირში დავცემ ამ ჩემ დამბაჩას, აი, ასე... (დაიქნევს ნაცრით  
გატენილ მზესუმზირას და აამტვერებს იქაურობას).

ყ ვ ე ლ ა ნ ი — აი, დავწყევლა ჩემმა გამჩენმა, თვალები დავგე-  
თხარე მტკრით.

კ ი კ ო — ჰოდა, აბა! ჯერ აქ რამოდენა მტკერი ავადინე და იქ  
რალა იქნება!

ხ ი ხ ო — ტბრრ... შე საშამფურეგ, შენა!

დ ო ყ ო — მაშ მივდივართ! მივდივართ! განჯაში!

ბ ო ყ ო — არა! სულაც არ არის საჭირო იქ წასვლა.

დ ო ყ ო — რატომაო, ბოყო?

ბ ო ყ ო — იმიტომაო, დოყო, რომა... თუ გინდა შენ განჯაში  
წაბრძანდი საომრად, მე კი ქორწილში წავეთრევი.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მაშ მივდივართ! მივდივართ!

დ ო ყ ო — მივდივართ პირდაპირ საქობოში, გამარჯვებულნი!

(წინ ტახი გაღის სარდალივით. მიჰყავთ გადაცმულები და ყველაზე  
უკან გაღის ვირი. სულ ბოლოს მასხარას შემოჰყავს სანთო).

ს ი მ ღ ე რ ა — მოვდივართ, მოგვიხარიან,  
მოგეყავს დედალი ხოხობი.

მ ა ს ხ ა რ ა — წამოდი! წამოდი! წამოდი!

ს ა ნ თ ო — (უკან იყურება) ხელი გამიშვი, მამაჩემო, თორემ ასე ეგონებათ, ძალით მიმათრევ.

მ ა ს ხ ა რ ა — ხა-ხა-ხა-ხა, ეგონოთ.

ს ა ნ თ ო — რას იცინი?

მ ა ს ხ ა რ ა — კი არ ვიცინი, ვმღერი (აჯავრებს ბერიკებს).

მოვდივართ, მოგვიხარიან,  
მოგვყავს დედალი ხოხობი...  
მოგვყავს დედალი ხოხობი...  
- ხა-ხა-ხა-ხა, ხა-ხა-ხა-ხა,  
ხა-ხა-ხა!

(გაღიან. ბუნდადღა ისმის ბერიკების სიმღერა. კოშკის თავზე გადმოღვე-  
ბიან რეეაზი და ფეშანგი).

რ ე ვ ა ზ — თქვენი წასვლა და აღარ დაბრუნება. აი ღალატი  
თუ გნებავთ, ამას ჰქვიან... ჩემს სიცოცხლეში ასე არავის  
უღალატნია ჩემთვის... რა მიყო მაგ მასხარამ?! წავიდ-  
ნენ... ფეშანგ!

ფ ე შ ა ნ გ — აქ გახლავარ!

რ ე ვ ა ზ — გახსოვს რა დაგავეალე?

ფ ე შ ა ნ გ — მახსოვს მაშ! როგორ არ მახსოვს... რა ლუკმა ვი-  
პოვნე... სანთო!.. შეიდმამისობამდე!..

## მეოთხე მოქმედება

სოფელი საქობო. გზაჯვარედინთან ოიანა-ბუიანას სახლი.

ვენახები, ღობეები. სანთო ტრიალებს კარზე.

ს ა ნ თ ო — რაღა მეშველება... მამაჩემი ისევ შინ არის და  
მართლა რომ მოვიდეს ი გამოჩერჩეტებული ფეშანგი,  
დავიღუპები. დილას უნდა წასულიყო ბატონიშვილისას,  
მაგრამ აი, ღამდება და ის ისევ აქ არის... რაღა მეშვე-  
ლება.

(ისმის გზირის ძახილი გორიდან გაჟიანურებით და საზარლად).

გ ზ ი რ ი ს ხ მ ა — ჰეე, ხალხნოოოო...

ს ა ნ თ ო — გზირი იძახის.

გ ზ ი რ ი ს ხ მ ა — არ გეყურებათ?.. ტიბაანო, მირზაანო, მაჩ-  
ხაანო... (მომდევნო სიტყვები გაურკვეველია).

ს ა ნ თ ო — ველარ გავარჩიე, რას იძახის, რა უნდა იყოს? ხვალ შეიდმანისობაა და შეიდმანისობას ხომ სოფლობას არ დაიძახებდნენ (გამოვა მასხარა).

მ ა ს ხ ა რ ა — რათა დგეხარ, შვილო, კარებზე?

ს ა ნ თ ო — გზირმა დაიძახა და ყურს ვუგდებდი.

მ ა ს ხ ა რ ა — რა დაიძახა?

ს ა ნ თ ო — ვერ გავარჩიე... მამაჩემო, რატომ არ წახვალ ბატონიშვილისას?

მ ა ს ხ ა რ ა — ძალიან გინდა, რომ წავიდე?

ს ა ნ თ ო — რატომაც არა! შენ რომ მითაარ. საჩუქრებში მოგიტანო...

(შორიდან ისმის მუშების სიმღერა).

მ ა ს ხ ა რ ა — შედი შინ. მუშები ბრუნდებიან ვენახებიდან და ქალის დანახვაზე ყვირილით იციან ხოლმე გულის მოფხანა.

ს ა ნ თ ო — (შედის შინ).

მ ა ს ხ ა რ ა — მეთექვსმეტე მაისს უყურებს და იმოდენა ეშმაკობა აქვს უკვე, თითქოს მოხუცებული მეორედ გაყმაწვილებულაო. ტყუილად ეა არ უთქვამთ: ახალგაზრდა ქალის თითო თვალში ათი წყვილი ეშმაკი ბუდობსო.

გ ზ ი რ ი ს ხ მ ა — ჰეე, ხალხნო... ქოდალოდან ბატონები ჩამოვიდნენ და გზებია შეკრული... (მეტი აღარ ისმის. მხოლოდ გაურკვეველი ძახილია).

მ ა ს ხ ა რ ა — ველარ გავარჩიე. (შემოდის ხიხი).

ხ ი ხ ო — ხარტონ, ბატონები ჩამოსულან. გაუგიათ. რომ გამოპარული ყმები აქ იმალებიან და მათ დასაჭერად გზებია შეკრული.

მ ა ს ხ ა რ ა — შეატყობინე ყველას, თავს უშველონ. დაეხმარეთ. ცხენები დაახვედრეთ სოფლის ბოლოში. გზა-გზა ნუ წავლენ, ვენახებზე ჩაიარონ. თუ ამაღამ მოახერხებენ იორს გასვლას, გადარჩებიან. წადი! (მუშების სიმღერა ახლოვდება) მამითადიდან ბრუნდებიან მუშები. (შედის შინ).

ს ი მ ლ ე რ ა — მამითაღს ვიყავი, გავთოხნე

ვენახი ოხერ-ობლისა,  
წელში გავმართე საწყალი,  
ვალი გადამხდა სოფლისა.  
საწყალსა კაცსა ვინ მისცემს  
აღების ღამეს ღვინოსა,  
პური ჭამოს და წყალი სვას,  
დაწვეს და დაიძინოსა.

ტ მ ე ბ ი — სანთო! სანთო! ღამაზო სანთო! კარზე გამოიხედე,  
გოგოვ, თვალს წყალი დავალევეინოთ. (სიმღერით გაივლიან.  
ბეგო განგებ ჩამორჩება უკან, ვითომ ქალმის თასმას ისწორებს).

ბ ე გ ო — მითომ თასმა შემეხსნა რალა! ჩემი თვალისა რომ  
აღარ მრცხვენიან! ნეტაი ერთი გამოიხედავდეს და... (ის-  
წორებს თასმას) ახლა როდემდისღა უნდა ვისწორო ე თას-  
მა!.. რას იტყვიან, აქამდე ვერ გაისწორაო? ოჰ, ღმერთ-  
მა გიშველოს: თადე მოდის. გამარჯობა შენი, თადე.  
კაი დროს შეგხვდი. (ხელს ჩამოართმევს).

თ ა დ ე — ნელა, შე ოჯახ... აშენებულო... ვინ გაიგონა ხელის  
აგრე ჩამორთმევა: კინაღამ ისრიმივით გამწურე!

ბ ე გ ო — შენ რომ დაგინახამ, ცხვირის დაცემინება მომინდე-  
ბა ხოლმე.

თ ა დ ე — ეი! რათა?

ბ ე გ ო — ბურნუთის კოლოფსა ჰგევხარ.

თ ა დ ე — განა რაკი პატარა ტანისა ვარ, შვილოსა, იმიტომ  
უნდა დამცინო?

ბ ე გ ო — არ დაგცინი, ვსუმრობ... სხვა? რასა იქ და როგორა  
ხარ, ჩემო თადე?

თ ა დ ე — აქ რასა მკითხავ, შე მამაცხონებულო, დღეს სულ  
შენს გვერდით არა ვთოხნიდი ი ქვრივის ვენახსა?

ბ ე გ ო — სიყრმეს გეფიცები, არ დამინახხიარ.

თ ა დ ე — როგორ არ დაგინახივარ, დამცინოდი კიდეც, რა  
ჭინჭრაქასავით იქნევ ბოლოსაო.

ბ ე გ ო — მართლა? ჰო, მომაგონდა! მომაგონდა!

თ ა დ ე — რა ვქნა... რატო იგრე აქეთ-იქით იყურები!..

ბ ე გ ო — დედაშენი როგოა?

თ ა დ ე — მე და ჩემმა ღმერთმა; შენ ქვეაზე არა ხარ ღღესა; დედაჩემი შარშან არ დავასაფლავეთ?!

ბ ე გ ო — ვაი დედოფლის ღმერთსა! რატო აგრე ამერია დავ-თრები?.. უყურე: რალაცას ცეცხლი ეკიდება დაღეს-ტანში.

თ ა დ ე — ცეცხლი კი არა. ბადრი მთვარე ამოდის.

ბ ე გ ო — ყოჩაღ! გამოიცანი... მართლა მთვარე ამოდის. ყური დამიგდე. ავი სული დამაწვა იმ ღღეს... გაზაფხულდა და ისინიც წამოიშალნენ ჯოჯობეთიდან, ქვეითა ვენახს... ვშარავდი ტყის პირში. შინ წამოსვლა დამეზარა და იმ ღამეს იქ დავრჩი. მარნის გვერდით დამეძინა. შუალამისას მოვიდა ი ოხერი და გვერდით მომიწვა.

თ ა დ ე — რა?

ბ ე გ ო — ავი სული. იგეთი მძიმე იყო, როგორც წისქვილის ქვა. ნელა-ნელა ავიხედე. შემატყო თუ არა, წამოხტა და ტყეს ეცა... მეორე ღამესაც იქ დავწექე, მაგრამ თან ხან-ჯალი ვიქონიე. მეძინა, მაგრამ ხელი ხანჯალზე მევლო. შუალამისას მოვიდა და ისევ მომიწვა გვერდით.

თ ა დ ე — ის ოხერი, ისა!

ბ ე გ ო — იგეთი ცივი იყო, როგორც ყინული! წამოვიწიე თუ არა, წამოხტა და რო დავაკვირდი, დავინახე ლურჯი კატა. თვალების მაგივრად მწვანე ნაკვერჩხლები ესხნა. კუდი მალა აიფშიკა და უკან-უკან წავიდა ტყისკენ. ფისო, ფისო! — დავუძახე, — სად მიხვალ, შე ოხერო, ქოხი თავგებით არის სავსე-მეთქი. ძალიან დავუყვირე და როგორც იყო მოვიტყუე ახლოს. თავზე ხელი გადავუსვი, მაგრამ უეცრად შეღწავლა და ჩემი ხელი სულ მთლად ჩაიგდო პირში. გავიქნიე — გამოვიქნიე, დავე-ჯაჯვურე და ხელი გავინთავისუფლე. მაგრამ რა ვნახე: კატა კი არა, ჩემი ტოლი ვაჟკაცი მებრძოდა.

თ ა დ ე — კატა რა იქნა?

ბ ე გ ო — ვაჟკაცად იქცა-მეთქი, აკი გეუბნები? ხან მე დავრიფხელი, ხან იმან. ბოლოს ცალი ხელით დავიქირე. მეორეთი ხანჯალი ამოვიღე და, როცა ყელში მწვდა დასახარხო-ბად, ვატაკე მუცელში, საზარლად დაიღწავლა და სისხ-

ლივით წითელი ენა სუფრასავით გადაბაფარა თავზე.  
მერმე ხელი გამიშვა და ლაწალუწით წავიდა ტყეში.  
სისხლში და ოფლში ვიყავი გაწურული, მაგრამ მზე რომ  
ამოვიდა, რის ოფლი, რის სისხლი...

თ ა დ ე — სიზმარში ხომ არა ნახე?

ბ ე გ ო — აბა, მამ, ბავშვი ხომ არა ვარ, მაგისთანა რამეები  
მომელანდოს.

თ ა დ ე — გული კი ამიკანკალე ე შებინდებისასა და!

ბ ე გ ო — ყური დამიგდე, ნამდვილს გეტყვი. მივდიოდი შარა-  
ზე... (გამოდის სანთო) ერთ მარანში შარაზე... ერთ შარა-  
ზე... მარანში... (უყურებს სანთოს) მშვიდობით, თადე... წა-  
დი, არ შეგეშინდეს...

თ ა დ ე — დახე ამას! სანთოსა ლოდინებია და პაპაჩემის  
ზღაპრებს კი მიაძობდა ჯოჯოხეთის გოდრიდან. ღმერ-  
თმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ მე რა შუაში ვიყავი  
(გადის).

ბ ე გ ო — სანთო.

ს ა ნ თ ო — შენა ხარ, ბეგო?

ბ ე გ ო — ღმერთი სახელს ნუ მოგიშლის, ერთი ნიტრით წყალი  
დამალევიანე.

ს ა ნ თ ო — ამ წუთას! (შედის შინ).

ბ ე გ ო — მართალია, არ მწყურიან, მაგრამ...

(სანთო გამოიტანს წყალს ნიტრით).

ბ ე გ ო — აი, დიდი მადლობელი ვარ! (მიიყუდებს ნიტრას და  
სეპს ხარბად, თან სანთოს დაჰყურებს ნიტრის ზევიდან).

ს ა ნ თ ო — უი დემიდგეს თვალი, რა ძანა სწყურებია! სავსე  
ნიტრა სულ გამოსცალა!

ბ ე გ ო — აი, ცხონდეს დედიშენის სული! რა გემრიელი იყო!

ს ა ნ თ ო — შენმა მზემ!

ბ ე გ ო — მე და ჩემმა ღმერთმა!.. სანთო, მოდი ამ სიკეთეს-  
თან მეორე სიკეთეც მიყავ.

ს ა ნ თ ო — რა?

ბ ე გ ო — პატარა ხანს ჩამოვჯდები და... და თუ არ მიწყენ,  
გეტყვი რასმე.

ს ა ნ თ ო — მითხარ, ვიცი, ცუდს არაფერს მეტყვი.

ბ ე გ ო — მამაშენი შინ არის?

ს ა ნ თ ო — ცუდი ხომ არაფერი უნდა თქვა?

ბ ე გ ო — არა, ისე გკითხავ... შინ ხომ არ არის-მეთქი... თუ შინ არის, პატარა საქმე მქონდა და დავისვენებდი კი-დეც.

ს ა ნ თ ო — მამაჩემი ამაღამ სხვაგან მიდის... დავუძახო?

ბ ე გ ო — ნუ დაუძახებ. შესაძლოა ეჩქარება და ხელს შევეუშ-ლი... თუ გკითხოს, უთხარ ბეგო იყო-თქო.

ს ა ნ თ ო — სხვა არაფერი?

ბ ე გ ო — თუ ნებას მომცემ...

ს ა ნ თ ო — რა?

ბ ე გ ო — ?!

ს ა ნ თ ო — გეშინიან?

ბ ე გ ო — არ ვიცი. მგონი კიდეც გეშინიან, კიდეც მრცხვენიან, კიდეც მეძნელება: მინდა ისე ვთქვა, არც მწუვადი დავწუა და არც შამფური...

ს ა ნ თ ო — როგორ მაშინებ!

ბ ე გ ო — ნუ გეშინიან... მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უქანო.

ს ა ნ თ ო — რაზე ამბობ მაგას?

ბ ე გ ო — ნუ აღელდები.

ს ა ნ თ ო — არა ვლელავ...

ბ ე გ ო — ფეშანგი რად დაგიმეგობრდა ამ ბოლო დროს?

ს ა ნ თ ო — რადა მკითხავ?

ბ ე გ ო — ჯერ პასუხი მითხარი და...

ს ა ნ თ ო — მაგის პასუხს ვერ გეტყვი.

ბ ე გ ო — თუ შენი თავის და მამიშენის მტერი არა ხარ, მი-თხარი პასუხი.

ს ა ნ თ ო — თვითონ არ იცი? სიყვარულისათვის...  
ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

ბ ე გ ო — რალას იცინი! შენი ვერაფერი გამიგია. სანთო! გატ-ყუებს... არ ენდო!

ს ა ნ თ ო — შენ გენაცვალე, ბეგო, მაგას ნუ გამაგონებ.

ბ ე გ ო — ნეტავ არ მეთქვა!

ს ა ნ თ ო — ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

ბ ე გ ო — რას იცინი! მაშინებს შენი სიცილი... (ისმის ძახილი).

მ ა ს ხ ა რ ა — სანთო!

ს ა ნ თ ო — მამაჩემი მეძახის... (ბეგო აღდება და ნელა მიდის: სან-  
თო თავისთვის) საწყალი ბიჭი!.. შენ კი გენაცვალე მაგ  
დალონებაში!

(გამოდის მასხარა).

მ ა ს ხ ა რ ა — ვინ იყო, შვილო?

ს ა ნ თ ო — ბეგო, მამაჩემო. აგერ მიდის. (შედის შინ).

მ ა ს ხ ა რ ა — ბეგო!

ბ ე გ ო — (შობრუნდება) გამარჯობა!

მ ა ს ხ ა რ ა — რაკი ბელმა შენი ფეხით მოგიყვანა აქ, ღღეს  
ჩემი უნდა იყო.

ბ ე გ ო — აგრე იყოს. რა გაგიჭირდა?

მ ა ს ხ ა რ ა — არაფერი... შენ ჩემი მოყვარე ხარ?

ბ ე გ ო — თავიდან ფეხებამდე.

მ ა ს ხ ა რ ა — მაშ წადი ეხლავე შინა, დააგდე ეგ თოხი და შე-  
ნი გათქმული გველტუჩა თოფი მოიტანე აქ. ღღეს უნდა  
მსხვილფეხა ნადირზე განადირო.

ბ ე გ ო — ვერაფერი გამიგია.

მ ა ს ხ ა რ ა — მერმე გაიგებ. წადი ჩქარა. ქვაზე დავაწინწყ-  
ლებ და სანამ აშრება, აქ უნდა გაჩნდე. სახლში ნუ მოხ-  
ვალ.

ბ ე გ ო — ვერაფერი გამიგია...

მ ა ს ხ ა რ ა — სახლში ნუ მოხვალ... წამო, გიჩვენო, სადაც  
მოგიცდი...

(გადადიან გატეხილ ღობეზე. შემოდის ფეშანგი. კარს უკაკუნებს სანთოს).

ფ ე შ ა ნ გ ი — სანთო! (სანთო საჩქაროდ გამოვან).

ს ა ნ თ ო — უი დამიდგეს თვალი! მართლა მოხვედი, შე ჩუბ-  
ჩუბო შენა? გეხუმრე, გეხუმრე! მამაჩემი არ წასულა.

ფ ე შ ა ნ გ ი — არც წავა?

ს ა ნ თ ო — არ ვიცი. (შედის ისევ შინ).

(ფეშანგი მიიმალება ორღობეებში. ისევ შემოდინ მასხარა და ბეგო  
საიდუმლო ლაპარაკით).

მ ა ს ხ ა რ ა — ჩუმად უნდა მოხვიდე... გზადაგზა ნუ წამოხვალ.  
ზევითა გატეხილიდან შემოდი ამ ვენახში და ისე მოდი  
დანისნულ ალაგას. აბა ჩქარა! (ბეგო გადის) სანთო! (სანთო  
გამოდის).



ს ა ნ თ ო — რა გინდა, მამაჩემო?

მ ა ს ხ ა რ ა — მომეცი, შვილო. ჩემი გულა-ნაბადი. მივდივარ ბატონიშვილისას.

ს ა ნ თ ო — (ვახარებულო) თუ ბატონიშვილი გაგიწყრეს, მამაჩემო, დაგვიანებისათვის, ასე მოახსენე, ჩემი ქალის უქეიფობამ დამაგვიანა-თქო. (შევა გულა-ნაბადის გამოსატანად).

მ ა ს ხ ა რ ა — როგორ მარიგებს კიდევ! ამ ექვსიოდე თვეში იმოდენა გამოცდილება შეუძენია, თითქოს ეგ მშობელი იყოს და მე შვილი. (სანთოს გამოაქვს მისი გულა-ნაბადი).

ს ა ნ თ ო — ესეც შენი გულა-ნაბადი... ჩქარა წადი, ნულარ დაიგვიანებ.

მ ა ს ხ ა რ ა — მარტოკას არ გეშინიან?

ს ა ნ თ ო — უი ქა! რისა უნდა მეშინოდეს, პატარა ხომ აღარა ვარ?!

მ ა ს ხ ა რ ა — ხომ არავინა გყავს დაბარებული?

ს ა ნ თ ო — რას ამბობ, მამაჩემო! ვინ უნდა მყავდეს დაბარებული?

მ ა ს ხ ა რ ა — იმისთანა საექვო პირზე კი არ გეუბნები — ღმერთმა დაგიფაროს! — აი, ვინმე მეზობელი ქალი, დობილი თუ გყავს-მეთქი დაბარებული.

ს ა ნ თ ო — არა, მარტო ყოფნა მირჩევნია.

მ ა ს ხ ა რ ა — მაშ შედი შინა და ურდულთ მაგრა ჩაკეტე კარი: მეტისმეტად უშიშარი ხარ და შესაძლოა დაგავიწყდეს კარის დაკეტვა. მინდა გული დავაჭერო, რომ დაკეტილში დაგტოვე. (სანთო შედის და შიგნიდან გაუყრის ურდულს). ჩაკეტა, მაგრამ გაღებაც ხომ ისევე ადვილია (საჩქაროდ გადავა ვატეხილ ღობეზე).

(შემოდინა ბაძო, უთრუთი და თაფლო).

ბ ა ძ ო — მოდით, მოდით, მოდით. საით უნდა წავიდეთ, უთრუთ? სად დაგვახვედრებენ ცხენებს?

უ თ რ უ თ ი — ამ ვენახებზე უნდა ჩავიაროთ. სოფლის ბოლოში გველის ხიხო ბერიკა ცხენებით...

ბ ა ძ ო — წავიდეთ. (დინახავს მასხარას სახლს). ხარიტონას სახლი! ჩვენი ოიანა-ბუიანა! როგორ უნდა დავევიწყოთ მაგ კაცის ამავი!

(შემოდის სიღო ტირილით).

ს ი დ ო — შვილო, უთრუთ, შვილოო...

უ თ რ უ თ ი — ჩუმაღ, დედი... ჩუმაღ იტირე, არავინ გაიგოს...

ს ი დ ო — ჩუმაღ როგორ ვიტირო, გულ-ღვიძლი მეწვის, ცეცხლი მეღება. შვილოო... ცოცხალი მეკარგები, შვილოო...

ბ ა ძ ო — თაფლო, მოდი ახლო. ერთხელ კიდევ უნდა გაკოცო ჩვენს მიწა-წყალზე, თორემ ვინ იცის რა გელის უცხოეთში. (კოცნის).

თ ა ფ ლ ო — ბაძო, მომკალ, ან მეც წამიყვა თან... ბაძო... ბაძო... გვეედრები, ბაძო...

ს ი დ ო — შვილო უთრუთ, შენ გენაცვალოს შენი დასამიწებელი დედა... (ტირის).

ბ ა ძ ო — უთრუთ, გამოემშვიდობე და წავიდეთ.

თ ა ფ ლ ო — ბაძო...

ს ი დ ო — სად მიხვალთ, შვილოო...

უ თ რ უ თ ი — საქართველოში არავინ გვაყენებს, დედი! ან უნდა გადაგვასახლოს ან უნდა თვითონ გავეჩქეთ ჩვენს აუტანელ ბატონებს უცხოეთში.

ს ი დ ო — ვაიმე, შვილო...

უ თ რ უ თ — აქ ნულა სტირი, დედი! (თვითონაც ტირის). აბა, კიდევ მაკოცე და შინ რომ მიხვიდე, იქ იტირე: მაგრამ იცოდე, სხვაგან უფრო ბედნიერი ვიქნები, დედი! მშვიდობით...

თ ა ფ ლ ო — ბაძო... მშვიდობით... (გადიან. სიღო ტირილით გააცილებს).

ო ლ ო ლ ი — მეხბორეეე... მეხბორეეე...

(გამოჩნდებიან ლოხესთან ბეგო და მასხარა).

მ ა ს ხ ა რ ა — რა თავზე დაგვლნავის ეს ოხერი! რას მოასწავებს ნეტა? არ მეგონა, თუ ეგრე მალე მოხვიდოდი... მოიტა აქ თოფი. (ბეგო მისცემს თოფს).

ბ ე გ ო — რომ მკოდნოდა, თუ აგრე იყო საქმე, უფრო ძაან გავტენიდი... სამგლე ტყვია დევს შიგა.

მ ა ს ხ ა რ ა — მეტი არ უნდა. ისიც მაგ ზომის ნადირია... აბა ეხლა ვისაფროთ ეგ მავკლიანი ლობე და გავკმინლოთ სული... ჩემი სახლის კარებსა ხედავ?

ბ ე გ ო — ვხედავ.

- მ ა ს ხ ა რ ა — ე გ ის წყაროა, სადაც უნდა გამოვიდეს ჩექმე-  
ბიანი ნადირი... მოვეფაროთ. (ეფარებიან).
- ო ლ ლ ი — მეხბორევე... (გამოიხედავს .სანთო).
- ს ა ნ თ ო — წასულა... მთვარე მარჩბივთან მისულა და ოლო-  
ლი მეძახის... (შედის შინ).
- მ ა ს ხ ა რ ა — ხედავ, რა მოუთმენლად ელის გულში ჩასახუ-  
ტებლად ჩემს მტერს, ჩემს მოსისხლეს... რა ვქნა, ბეგო?
- ბ ე გ ო — ჩუმაღ, ნადირი არ გაათრთხო.
- მ ა ს ხ ა რ ა — ზედ გულის ფიცარზე უნდა დავასვა ტყვია.
- ბ ე გ ო — ვისა? -
- მ ა ს ხ ა რ ა — მაინც რომ არ ვიცი, ვისა: ჩემს ასულს თუ მის  
საყვარელს.
- ბ ე გ ო — მაშ მე მომეცი ეგ თოფი: მე უფრო კარგა გამო-  
ვიცნობ, ვისაც ეკუთვნის ტყვიის დასმა გულის ფიცარზე.  
(გამოართმევს თოფს).
- მ ა ს ხ ა რ ა — ჩუმანღ, მოღის!  
(შეშოდის ფეშანგი).
- ფ ე შ ა ნ გ ი — რაკი გადავწყვიტე — გადავწყვიტე. ჭერ უნდა  
სანთო მოვისურვილო, თორემ თუ მამა მოეუკალ, მერმე  
სათოფედაც აღარ მიმიშვებს. (დაუკაუნებს კარს. სანთო პა-  
სუხს არ აძლევს.) სანთო! (პასუხი კიდევ არ არის.) ხომ არ მო-  
მატყუა? სანთო!
- მ ა ს ხ ა რ ა — უყურებ ჩემ ქალს! წელან თვითონ ეძებდა,  
ახლა კიდევცა ნაზობს და კარზე მოსულს არაფრად აგ-  
ღებს.
- ფ ე შ ა ნ გ ი — სანთო! (კარს უკაუნებს).
- მ ა ს ხ ა რ ა — როგორ შეწუხდა! იქნებ მართლა მოატყუა. გაა-  
მასხარავა — სასაცილოდ აიგდო?.. კიდევ ვილაცა მოღის!  
(შეშოდის რევაზ.) ღმერთო, რას მოვესწარ! მთელი კრებუ-  
ლი ჰყოლია მოწვეული დიდებულებისა. როგორც  
როსკიპს, უნამუსოს...
- ბ ე გ ო — ჩუმაღ!
- რ ე ვ ა ზ — (ფეშანგს) ვის უკაუნებს კარს?
- ფ ე შ ა ნ გ ი — ჩემს სატრფოს.
- რ ე ვ ა ზ — ეგ დაგავალე? ბაძოს გამოგიყენე მღევრად და შენ  
ლამაზებს უკაუნებს კარს?

ფეშანგი — გთხოვ, ნუ წამართმევ ახალგაზრდას ნეტარების  
წუთებს!.. პირობის ანგარიშს ხვალ ჩაგაბარებ.

რევან — მერე, შენ გაგათელინებ მშვენიერ სანთოს?

ფეშანგი — რევან!

რევან — გასწი აქედან!

მასხარა — მოიცა, ბეგო, არ ესროლო: რევანში მესარჩლება.

ფეშანგი — მაშეგრე, ჰა?

რევან — ბედოვლათო! გასწი-მეთქი!

ფეშანგი — ოოჰხ, შენი... (გაღის).

მასხარა — გადაარჩინა ჩემი ასული რევანმა. ათასი ბორო-  
ტების ჩამდენს თუ სიკეთეც შეეძლო, არ დავიჭერებდი.

ბეგო — მაგრამ იქ რაღადა ღვას?

(რევანში ჭერ კარს უკაქუნებს. მერე მიაწვება. კარი შეიხსნება.

სანთო გარეთ გამოვარდება).

სანთო — ხომ გითხარ, ფეშანგ, მომშორდი-მეთქი... (რცნობს  
რევანს, განცვიფრდება.) ღმერთო, მიშველე! შენ რაღა გინდა  
ჩემგან, დიდო ნოინო?

რევან — იგივე, რაც ფეშანგის.

სანთო — გამშორდით! (შებრუნდება სახლში. რევანს უნდა შეჰყ-  
ვეს, მაგრამ სანთო არ უშვებს).

რევან — მავას აკადრებენ ბატონსა? უნდა გაშალო ორივე  
ხელი და მითხრა: მობრძანდი, დიდო ბატონო!

სანთო — სანამ იკენესე! (სანთო რევანს არ უშვებს და გარეთ არის  
ძიძგილი).

მასხარა — (ბეგოს) დაუმიზნე!

სანთო — რას სჩადი, ბატონო, შვილად გეკუთვნი!

რევან — ნუ ჯავრობ, ლამაზო. სულ ერთია, ამალამ ჩემი  
უნდა იყო.

სანთო — ცოცხალი თავით არ დაგნებდები.

მასხარა — ოჰ, შე ძაღლის კერძო! დაუმიზნე!

ბეგო — ვშიშობ, ძიძგილში იმას არ მოვარტყა, ვიპაც ვიცავ.

სანთო — არ დაგნებდები!

მასხარა — ესროლე! (გავარდება თოფი. სანთო შეჰკვივლებს და  
შინ შევარდება. რევანში დაეცემა. მასხარა მივარდება რევანს.)  
მოგხვდა? ჩაძაღლდი, ქოფაკო! გაფუჭებულო! მოღალა-

ტევ... გამყიდველო!.. მტარვალო... ეს მოვიშორე, მაგრამ  
ის რომ გამეჭკა!..

(თოფის ხმაზე კროვდება ხალხი).

ზ მ ე ბ ი — რა ამბავია?

— მოუკლავთ!

— ვინ მოუკლავთ?

— დიდი ბატონი მოუკლავთ!

ზ ა ზ ო — უჰ, რევაზი მოუკლავთ! როგორ გადიხდის იმის სა-  
სისხლოს ჩვენი სოფელი?! ვინ მოკლა, ვინა?

(უფრო და უფრო ემატება ხალხი. ცალ მხარეს გლახობა იყრის თავს,  
მეორე მხარეს მღვევარი და დიდებულები, რევაზის ამაღა. გლეხებს ხელში  
უჭირავთ თოხები, ბარები, კიგოები, ჭოხები და ფიწლები. ისმის გაუთავე-  
ბელი ყაყანი. შემოდის ტიბერია).

ტ ი ბ ჟ ი რ ა — რა ამბავია?

მ ა ს ხ ა რ ა — არაფერი, მონადირეები ნანადირევს იყოფენ.

ტ ი ბ ჟ ი რ ა — ეს ვინ გაშხლართულა? მკვდარია, კაცო?!

მ ა ს ხ ა რ ა — არა, ძილობანასა თამაშობს და სიზმარში ჩემს  
სანთოს ეხვევა.

ტ ი ბ ჟ ი რ ა — ვინ მოკლა?

მ ა ს ხ ა რ ა — მე!

ბ ე გ ო — არა, ეგ ცრუობს, მე მოვკალ.

(შემოვარდება ხმალამოლებული ფეშანგი).

ფ ე შ ა ნ გ ი — ვინ მოკლა ჩემი ბატონი, ვინა?.. ჩავაქვავოთ!

ზ ა ზ ო — ჩაქვავებაზე ნუ იქნება, თორემ საქობოში თქვენი  
ჩასაქვავებელი ქვაც ჰყრია. (შორს ვილაცას დაინახვენ).

ხ მ ე ბ ი — ვინ მოდიან? (ყველა იქით იყურება, შემოდიან მეფის  
შიკრიკები).

ე რ თ ი შ ი კ რ ი კ ი — მასხარას სახლი ეს არის?

მ ა ს ხ ა რ ა — დიახ, ეგ გახლავთ. თქვენც ხომ იმის ასულთან  
არა ხართ დაბარებულნი?

შ ი კ რ ი კ ი — ბატონიშვილის გამოგზავნილები გახლავართ და  
მასხარასთან გვაქვს საქმე. რომელია მასხარა?

მ ა ს ხ ა რ ა — აქ ყველა მასხრები ვართ წუთისოფლისა. თქვენ  
რომელს ეძებთ?

შ ი კ რ ი კ ი — ოიანა-ბუიანას!

მ ა ს ხ ა რ ა — მე გახლავართ.

შ ი კ რ ი კ ი — ბატონიშვილმა აი ეს ჯვარი გამოგვატანა შენ-  
თან: ამისი მადლი გაგიწყრეს, თუ არ წამოხვიდეო.

მ ა ს ხ ა რ ა — მე ყველანაირი მადლი გამწყრალი მაქვს, მაგრამ  
მანინც წამოვალ... წავიდეო, ბეგო! ხალხნო! მშვიდობით!

(გაღიან).

## ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო

ქედელს იქით გამოშვერილია კაკლის ფართე ტოტები. იქვე დამზადე-  
ბულია წამების ხირხლები. მარტო ხიხო ზერიკაა უნილობოდ. ის უსტვენს  
და თამაშობს. შემოდის ზაზო.

ზ ა ზ ო — რა გათამაშებს, შე დასაქცევო, შენა.

ხ ი ხ ო — საქორწილოდ ვემზადები და თამაშობასა ვსწავლობ.

ზ ა ზ ო — რა დროს თამაშობაა, კაცები უნდა აწამონ.

ხ ი ხ ო — ჯერ ხომ არ უწამებიან? როცა აწამებენ, მაშინ  
ვიტირებ... (ისევა ცეკვავს). სად იყავ, ზაზო?

ზ ა ზ ო — სადღა არ ვიყავ! ამდენმა უბედურებამ ამ მოხუცე-  
ბაში სულ გამაპატარაბიქა... ვირზედაც კი შევჯექი  
გუშინ..

ხ ი ხ ო — შერმე?

ზ ა ზ ო — ყველა მხრიდან მოდიან: საეკლესიონიც, თავისუ-  
ფალნიც, ყმებაც.

ხ ი ხ ო — უჰ, შენ კი გენაცვალე მაგ თეთრ წვერებში! ისე  
გაგბარდნია, ასე ჰგონია, პირში ბატკანი უჭირავსო.  
(გადაეხვევა).

ზ ა ზ ო — დაიცა, ბიჭო, არ წამაქციო. რა დროს ხუმრობაა,  
ლამის კაცები გამოგვაცალონ ხელიდან.

ხ ი ხ ო — ნუ გეშინიან, მოხუცო. სიყრმეს დავიბნელებ,  
სიყრმეს და კაცებს კი არავის მივცემ... (გაიხედავს) უჰ,  
რამდენი ხალხი მოდის! მთელი ქიზიყი დაძრულა.

(შემოდის ხალხი აქეთ-იქიდან).

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი — აქ უნდა იყოს სასამართლო?

მ ე ო რ ე გ ლ ე ხ ი — ჰო, აი ამ კაკლის ტოტებქვეშ (აყაყან-  
ლებიან).

- ქიზიყელი გლეხი არ იყო ჩვეული ჩაგვრას.
- არც გადასახადი ვიცოდით, არც წელში მოხრა.
- არც სამსჯავროს გზა.
- თავისუფლები ვემსახურებოდით ქვეყანას.
- რევაზმა შეგვაჩვია მონობას.

(აურზაურით შემოდის ზაქარია).

**ზ ა ქ ა რ ი ა** — ჩემი ძმის სისხლი აუწყავია!  
 ჩემის ძმის სისხლი უზომელია!  
 ჩემი ძმის სისხლი უწონარია!  
 ჩემი ძმის სისხლი უფასო არის —  
 არვის შევარჩენ ჩემი ძმის სისხლსა!

**ტ ი ბ ე ი რ ა** — ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ!.. ცოცხალი ქირი-  
 ვით ეჯავრებოდა და ეხლა კი... არა, გლეხებთანა სჯობია  
 მხარის გაბმა.

**ზ ა ქ ა რ ი ა** — ვაიმე, ძმაო! უშენობა როგორ დაგვეტყო.  
 გათამამებულან გლეხები. თქვენ ჰეი, გლეხებო, ვინ მოგ-  
 ცათ ნება სასამართლოში რომ მოგროვილხართ ჰიგო-  
 ბარებით და თოხებით?

**ზ ა ზ ო** — ეს იარალი წმინდა იარალია: ამ იარალით ვასმევთ,  
 ვაცმევთ და ვაჭმევთ ქვეყანას. ამ იარალს სამართლიანი  
 სამართალი არ აგვიკრძალავს.

**ზ ა ქ ა რ ი ა** — ვაიმე, ძმაო რევაზ! ნეტა დაგანახვა, რა ამაყად  
 ლაპარაკობენ გლეხები შენს შემდეგ. არა, არ ვაპატიები-  
 ნებ ბატონიშვილსა. (გაღის).

(შემოვარდება იფრინდა).

**ი ფ რ ი ნ დ ა** — სამართალი მოდის, აღექით ფეხზე.

**პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი** — იიი, სულ ფეხზე არ ვდგევართ?!

(შემოდინან ბატონიშვილი, ქილიფთარ და დიდებულები,

მოუსხდებიან მაგიდას).

**ქ ი ლ ი ფ თ ა რ** — ბატონიშვილო, დამნაშავენი გველებივით  
 გამწარებულები არიან და მოურიდე, თორემ შეურაცხ-  
 გყოფენ... ჩვენ გავსამართლებთ.

**ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი** — რას ამბობ, ქილიფთარ? თქვენს ხელში  
 რომ ჩავაგდო, ხომ მართლა აწამებთ?

**ქ ი ლ ი ფ თ ა რ** — ჩვენ ისე მოვექცევით, როგორც კანონში  
 წერია...

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — კანონში რომ წერია, ის ქოთანია და მოსამართლე მექოთნე: ყურს საითაც უნდა, იქით გამოაბამს. მე უნდა ვიყო დღეს მოსამართლე.

ხ მ ე ბ ი — მოგვეცით სამართალი!

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ერნო და ბერნო! არარაი არს დაფარული, რომელი არა გამოცხადდეს და არა საცნაურ იქნას. ყოველივე ცხად არს და ცნობილ, ხოლო ნება არს ღეთისა, შერისხულთ სთქვან სინანული წინაშე ქვეყნისა და სამართლისა. მოიყვანეთ უბედურნი: მასხარა და ბეგო მაწუნწარასძე.

ზ ა ქ ა რ ი ა — ჩემი ძმის სისხლი მარტო წამებით და სინანულით არ აიწყება.

გ ლ ე ხ ე ბ ო — ალბათ ჩვენს ყმობას მოითხოვს სასისხლოდ.

ხ მ ე ბ ი — მოჰყავთ!

(შემოჰყავთ მასხარა და ბეგო, როცა ბატონიშვილის წინ წარსდგებიან, მასხარა დააკვირდებან ბატონიშვილს და უეცრად გაიცინებს).

მ ა ს ხ ა რ ა — ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — რას იცინის, ქილიფთარ, ხომ არაფერი მაცხია?

მ ა ს ხ ა რ ა — დიახ, გაცხია და ვერ გაიცლი.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — რაო?

მ ა ს ხ ა რ ა — ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა!

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — რა გიხარიან, შე დარისხულო?

მ ა ს ხ ა რ ა — ის მიხარიან, რომ სიკვდილის მეტი აღარა მაქვს რა. რას წამართმევთ?!

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — დამცინის, ქილიფთარ?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — ცოტა შერეკილივითა ლაპარაკობს, ბატონიშვილო.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მართლა?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — დიახ, მართლა. სამართალში ტყუილს ხომ არ ვიტყვი!

მ ა ს ხ ა რ ა — ეჰ, სამართალო! რამდენი კაცი მოვიდა ამქვეყნად და რამდენი წავიდა ისე, რომ შენი სახე ნახა. ნეტავ სადა ხარ?

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მე მეუბნები?



- მასხარა — სიმართლეს ვეუბნები და უსამართლობა მომშტერებია.
- ბატონი შვილი — საწყალი! გადარეულა. მაგრამ კვიანურად რალათა ლაპარაკობს, ქილიფთარ?
- დიდებულები — განჩინება წაიციოთხეთ.
- ბატონი შვილი — დამნაშავენი პატიებასა და სინანულს ითხოვენ.
- მასხარა — ტყუილია. დამნაშავენი ასამართლებენ უდანაშაულოთ და უდანაშაულონი პატიებას არ ითხოვენ.
- ბატონი შვილი — რას ამბობს, ქილიფთარ? ვერ გამიგია... ჩაწერე მაგისი გვარი. თქვი შენი გვარი და სახელი.
- მასხარა — თიანა-ბუიანა.
- ბატონი შვილი — ეგ მასხრობის სახელია, ნათლობისა თქვი.
- მასხარა — ორივე მასხრობაა.
- ბატონი შვილი — რაო, ქილიფთარ?
- ქილიფთარ — ურევს, ბატონიშვილო.
- ბატონი შვილი — აბა სწორედა თქვი შენი სახელი.
- მასხარა — ქიზიყელი გლები, მასხარა თიანა-ბუიანა.
- ბატონი შვილი — საძაგელი ენა გაქვს. სწორედ არაფერს ამბობ.
- მასხარა — დიახ, საძაგელი ენა მაქვს და ამ საძაგელი ენით მრავალი ზაქი მოუნელებინებია ჩვენი ზაქიჰამია ბატონიშვილისათვის.
- ბატონი შვილი — დამცინის, ქილიფთარ?
- ქილიფთარ — არა, ბატონიშვილო, ჰაერსა ნაყავს ენით!.. ხუმრობს.
- მასხარა — დიახ, ხუმრობს და ლექსებსაცა წერს თურმე.
- ბატონი შვილი — ვინა?
- მასხარა — ჩვენი ბატონიშვილი.
- ბატონი შვილი — ოლოლო, შენა! შეგცდა, ლექსებს კი არა, ლოცვებს.
- მასხარა — თუნდ ლოცვები იყოს, თუნდ ლექსები — სულ ერთია.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — რა მალე გასულა ხალხში ჩემი ლოცვების ამბავი!

მ ა ს ხ ა რ ა — დიახ, რაკი ჩვენი ბატონიშვილი ლოცვებს დასწერს — მინდორში პური დაუთესავად ამოვა და გლეხს ღალა აღარ გადახდება. ერთი ადამიანიც აღარ დაიკვნესებს ცის ქვემოთში, იორი და ალაზანი რძედ მოსქდება და მისი სატახტო თელავი თვალ-მარგალიტით მოვარაყდება... რა ჭირად უნდა ქვეყანას მისი ლოცვები!

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — გაგიყდა?

მ ა ს ხ ა რ ა — დიახ, დიახ, გაგიყდა.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ვინა?

მ ა ს ხ ა რ ა — ჩვენი ბატონიშვილი.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — გაგიყდა, ქილიფთარ?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — დიახ, ძალიან აურია ყვავის ნავალივით.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ვეღარა სცნობ ბატონიშვილსა?

მ ა ს ხ ა რ ა — ვერა. სად არის?

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — აი, მე ვარ.

მ ა ს ხ ა რ ა — ცრუობ. შენ ბატონიშვილი კი არა, ურმის თვალი ხარ, ურმის თვალი, რომელიც ყოველ წუმბეში, ყოველ ჭუჭყში, ყოველ სიბინძურეში მიგორავს და ზურგიით მიაქვს ჩვენი ქვეყანა კლდეში გადასაჩეხად.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — (განრისხებული ადგება) როგორ გაბედე და როგორ მოჰკალი?

მ ა ს ხ ა რ ა — მე არ მომიკლავს.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — მაშ ვინ მოკლა?

მ ა ს ხ ა რ ა — გველტუჩა თოფის ტყვიამ.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — (განრისხებული) სინანულს იტყვი თუ არა?

ხ მ ე ბ ი — განჩინება!

მ ა ს ხ ა რ ა — სინანულს ვიტყვი (ბატონიშვილი დაჯდება.)

ჯავრი მჭირს, ჯავრი მამბერებს  
ერთის ბებერის თხისაო,  
დაიცა მოიზრდებიან,  
თხაო, ლეკვები მგლისაო,  
რო გახვალ საძოვარზედა,  
მოგივლენ გორის პირსაო.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — სინანულია, ქილიფთარ? (შეწუხებულ  
ქილიფთარს ვერ აუხსნია) ეგ რისთვის თქვი?  
მ ა ს ხ ა რ ა — ბატონიშვილის გართობისათვის.  
ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! კარგია!  
მ ა ს ხ ა რ ა — ყორნები ჩამოსხდებიან,

არ ცაირევენ ძერასა.  
კაცი ვერსაით წაუვა  
თავის ბედისა წერასა.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ეგ რილასთვისა თქვი?  
მ ა ს ხ ა რ ა — იმ ყორნებისათვის, რომლის თავიც ბრძანდება-  
ჩვენი ბატონიშვილი. თიანა-ბუიანა!  
ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ქილიფთარ, ამდენს შეუტრაცხე მოფენ-  
და შენ კი ერთხელაც არ გაცხარებულხარ. შენც გადა-  
მიდექ?  
ქ ი ლ ი ფ თ ა რ — განჩინება! (ყაყანი ხალხში).  
მ ა ს ხ ა რ ა — სიკვდილს წინ მათქმევეინეთ სინანული.  
ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — თქვას, ქილიფთარ.  
დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი — განჩინება!  
მ ა ს ხ ა რ ა — ჩემი აზრები, გულიდან თავში აცოცებულნი,  
გარეთ გამოსასვლელად, თქვენის შიშით შიგ იყინე-  
ბოდნენ, ჟანგდებოდნენ, ჭკნებოდნენ, მაგრამ დღეს, გან-  
ჩინების წინ უნდა ვთქვა. თქვენ, რომელნიც ერთმანეთსა  
და ერთმანეთის ოჯახებს აწიოკებდით მხოლოდ იმისა-  
თვის, რომ ყოველ თქვენთაგანს მეფობა უნდოდა სა-  
ქართველოში...

დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი — სიცრუეა!..  
გ ლ ე ხ ე ბ ი — მართალია!  
დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი — განჩინება, განჩინება წავგვიკითხეთ!  
ხ მ ე ბ ი — ჩუმად!

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ქილიფთარ, შენ მითხარ, გაგიჟდაო,  
მაგრამ ჭკვიანურ აზრებსა ლაპარაკობს?!  
მ ა ს ხ ა რ ა — თუ დიდებულებს გიყვართ თქვენი თავი, ჩვენ —  
გლეხებსაც გიყვარს ჩვენი თავი, ჩვენი ოჯახი, ჩვენი  
შვილები. თქვენ, დიდებულები, წესად დამდებნი ადამია-

ნის ყიდვა-გაყიდვისა. ენდრონიკაშვილის ფეხით შემო-  
იჭერთ ჩემს წმინდა ოჯახში და როდესაც მან ხელი  
აიღო ჩემი ნამუსის გასაძარცვავად, — ცოფიანივით ჩა-  
ვაძაღლე!

(აურზაური დიდებულებში).

დიდებულები — განჩინება, სასიკვდილო განჩინება!

ზაქარია — ძმის სისხლი მიზღეთ, ძმის სისხლი!

(შემოდის ხიხო ბერეკა ნილაშვილი)

ხიხო — ბატონიშვილო, ჩვენი. სამართალიც მობრძანდება.  
ფეხზე ადექით!

(შემოდის ყროყინით ვირი. ბატონიშვილიც და სხვებიც

მართლა ფეხზე ადგებიან გაკვირვებულნი).

ბატონიშვილი — ეს რა ამბავია?

ხიხო — არაფერი, დაბრძანდით.

ბატონიშვილი — ქილიფთარ, ბერიკობასა თამაშობენ?  
მაშინ სასამართლო ხვალისათვის იყოს.

ქილიფთარ — არ შეიძლება, ბატონიშვილო.

დიდებულები — სამართალი დღეს უნდა გათავდეს.

ბატონიშვილი — მაშ გააგდეთ ვირი.

ხიხო — ვერა, ვირს ვერ გააგდებთ: ეგ წმინდა ვირია, ის ვი-  
რია, რომელზედაც ქრისტე იჯდა.

ვირი — ვაყი-ვუყი-ვეყი-ვოყი!

ბატონიშვილი — ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა-ხა! რა სასაცილოდა  
ყროყინობს.

ხიხო — აბა უყურეთ, ყურებზედაც კი ჰკილია ზარები. (შემო-  
დის ტახი.) ესეც ამისი დამცველი გახლავთ. ესეც, ბატო-  
ნიშვილო, ის ტახი გახლავთ, რომელმაც მაჰმადის გვამი  
ამოაგდო დინგით საფლავიდან. (აქეთ-იქით მოუღგებიათ ბე-  
გოსა და მასხარას.) ესენი ერთ ეზოში გაიზარდნენ და ერთ-  
მანეთსა პატრონობენ.

ზაქარია — ბატონიშვილო... (ვირი ყროყინობს).

ვირი — ვაყი-ვუყი-ვეყი-ვოყი!

ზაქარია — ბატონიშვილო, ეს ვირი...

(ვირი ყროყინობს. არ აცლის ლაპარაკს, როცა ყროყინს  
გათავებს, ზაქარია იწყებს ლაპარაკს. ვირი ხელახლა ასტეხს

ყროყინს).

ზ ა ქ ა რ ი ა — ბატონიშვილი... ტახი და ვირი...

ვ ი რ ი — (ყროყინობს) ვაყი-ვუყი-ვეყი-ვოყი... თფრ... თფრ...  
თფრ....

(გაბრაზებული ზაქარია წინ წამოიწევს, მაგრამ ტახი ეშვს  
გაქარავს. ყოველის მხრიდან წივილ-კივილით შემოცვივიან  
ბერიკები. გლეხები დაატრიალებენ კეტებს).

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ქილიფთარ, ხალხი გაგიყდა?

ქ ი ლ ი ფ თ ა რ — ცხარე ბერიკაობასა თამაშობს, ბატონიშვი-  
ლო, მაგრამ საქმე გაგიყებასაა მისული.

ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი — ჰოდა, აბა! მეც გამაგიეთე! ბერიკების  
ამყოლო კაცი ჰქვიანი იქნება? (ტახის კაპუნი, ვირის ტლინკე-  
ბი, აურზაური.) სად გაგონილა ბერიკების გასამართლება.  
მათთვის კანონი არ დაწერილა, ქილიფთარ, წავიდეთ  
(გაიპარებიან).

ხ მ ე ბ ი — დაიძრნენ, იკადრეს.

(ყველაფერი დაშოშმინდება, ბერიკები მოიხდიან ნიღაბს).

ხ ი ხ ო — მეფეებსაც სცოდნიათ გაქცევა.

ხ ა ლ ხ ი — გაუმარჯოს მასხარას და ბეგოს!

ბ ე გ ო დ ა მ ა ს ხ ა რ ა — ჩვენ ისევე თავისუფლები ვართ.

ზ ა ზ ო — მე ამის შემდეგ სიკვდილისა აღარ მეშინიან. სი-  
ცოცხლე შენდა, საყვარელო ადამიანო! (გაღებზევა).

მ ა ს ხ ა რ ა — სად არიან ბაძო, თაფლო და უთრუთი?

ზ ა ზ ო — ვერ გავაპარეთ იმ ღამეს, ჩემო კეთილო, მაგრამ  
კარგად კი დავმალეთ. ახლა აქ არიან ჩვენს სოფელში.

მ ა ს ხ ა რ ა — წადი და ეხლავე მოიყვანე სუყველა აქ! (ზაზო  
გაღის.) სიცოცხლე თქვენცა, ქიზიყელებო!

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი — ჩვენ ქიზიყელები ვართ!

არც არავის ყმად ვყოფილვართ,

არც არავინ ყმად გვყოლია,

ძველი პური, ძველი ღვინო

წლითწლობამდე გაგვყოლია.

ხ ი ხ ო — აბა უყურეთ ამ ვირს, რა ჰქვიანი ყურები აქვს.

ვ ი რ ი — ისე ამბობ, თითქოს ტყუილი იყოს.

ხ ი ხ ო — ეს რომ არ ყოფილიყო, ვერ გავაქცევდით ბატონებს.

ვ ი რ ი — მაშ! იცოდეს ჩემმა გრძელმა ყურებმა!

ტ ა ხ ი — არც მე ვარ ნაკლები ბიჭი! ეშვები კუდაბზიკა აზნაურის უღვაშებს არ მიგავს?

მ ა ს ხ ა რ ა — ხალხნო! იქნებ არ იცით, ერთი ხალხური სიბრძნე უნდა გითხრათ.

ხ ა ლ ხ ი — გვითხარ! გვითხარ!

მ ა ს ხ ა რ ა — (ამბობს ყინჩად):

კაცი უნდა კაცისათვის  
თავი ჭირთა არ დამრიდად,  
გული მისცეს გულისათვის,  
სიყვარული — გზად და ხილად.

ხ ა ლ ხ ი — გაგვიგია, გაგვიგია!

მ ა ს ხ ა რ ა — ეგ ცოტაა, რომ გაგვიგიათ. უნდა დაიჯეროთ კიდევ, საქმედაც აქციოთ და წინაც უნდა გაიმძღვაროთ ცხოვრებაში მეღროშესავით.

ხ ა ლ ხ ი — ვაშა ოიანა-ბუიანას!

(შემორბის სანთო).

ს ა ნ თ ო — მამაჩემო! (გადაეხვევა).

პ ი რ ვ ე ლ ი გ ლ ე ხ ი — ზოგი ჭირი მარგებელიაო. ალბათ ამასაც არგო ამ ჭირმა.

ს ა ნ თ ო — მამაჩემო, მე ის აღარა ვარ, რაც ვიყავი: მოვქკვიანდი.

მ ა ს ხ ა რ ა — ძალიან კარგი, მაგრამ თუ ყველა შენისთანა ტუტრუცანა გოგონას მოქკვიანებისათვის თითო ნოინის მოკვლა დაგვჭირდა, აღარც ერთი დიდებული აღარ დარჩება საქართველოში.

ს ა ნ თ ო — უფრო კარგი... აი ბეგოც. ბეგო, ნათქვამია ფერი ფერსაო...

ბ ე გ ო — მადლი ღმერთსაო... (სანთო მიეყუდება ბეგოს).

მ ა ს ხ ა რ ა — ქორწილში არ დამპატიყებთ?

ზ ა ზ ო — (შემოდის) აი ბაძო, უთრუთი და თაფლოც.

მ ა ს ხ ა რ ა — შეილებო, მწუხარება ეშმაკებს გადავულოცოთ და დღეს წყვილი ქორწილი გადავიხადოთ.

ხ ი ხ ო — (ზაზოს) აკი გითხარი, საქორწილოდ ვემზადები-მეთქი. აი რა კარგი მოსავალი მოგვივიდა წელს. იმიტომ მოხდა ასე, რომა ყველიერში ბერიკა გავაბანეთ. მოდით და, სანამ ქორწილს ვიზამდეთ, ეხლაც დავაბანოთ ბერიკა, უფრო კარგი მოსავალი გვექნება. აგე, ყანებს კაი პირი უჩანთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გავაბანოთ, გავაბანოთ! ხიხო, გავაბანოთ!

ხ ი ხ ო — რათა, კაცო! ჩემზე ქუჭყიანი სხვა ვერავინა ნახეთ?

კ ი კ ო — როყოყო, დაირუხრუხე! შენ წყალი მოიტა, დოყო, კოკით.

რ ო ყ ო ყ ო — (უნდა დაირუხრუხოს. ამ დროს მართლა იქუხებს. დოყო მობრუნდება უკან, რაღა მე დავირუხრუხო, თითონა რუხრუხებს ცაო).

ზურგი-ზურგი მაგარა,  
ჩვენი ყანა გამძღარა,  
ეშმაკისა დამპალა.

ხ ი ხ ო — მე გაბანებას გადავრჩი... ეხლა? ეხლა რაღა ვქნათ, ბიჭებო?

კ ი კ ო — ეშმაკი დავაბათ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დავაბათ, დავაბათ, ხიხოს ზურგზე დავაბათ.

ხ ი ხ ო — ვაიმე დედავ, რათა, კაცო! რა ყველაფერს ჩემიდან იწყებთ, ბარემ ქორწილიც ჩემიდან დაიწყეთ.

კ ი კ ო — წაიკუხე, ბევრს ნუ ლაპარაკობ (წააკუხებენ) ეგრე! (სუყველანი თითოს დააფურთხებენ) რიკო, აბა დაეკარ ზურგზე! (რიკოსაც გულაღმა წააწვენენ წაყუხულ ხიხოზე და თითო-თითოდ გადაახტებიან).

ვ ი რ ი — ვაყი-ვუყი-ვოყი-ვეყი! თფრ... (გადახტომას ათავებენ).

ხ ი ხ ო — ჩუქშ, შე სატიალო. გაზაფხულია და ამასაც მოუნდა ქორწილი.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — აბა ეხლა ქორწილი, ბიჭებო, ქორწილი!

ხ ი ხ ო — ჰა, რა იგაყვირებთ! მიფრთხილდით, თორემ ეშმაკი აქა მყავს მიბმული, თუ გაუშვი, სულ დაგიწიოკებთ პატარძლებს. მემრე ი ოხერმა ბუზალაკივით შიგ ლაჭებში იცის შეძრომა. მემრე, რაკი შეძვრება, ველარც ბერიკის გაბანება უშველის და ველარც გარეცხვა. აბა წა-

ვიდეთ ქორწილში! (მოახტება ვირს) ჰაცე, ვირო!  
ს ი მ ლ ე რ ა ჩავეუხტით ნოინ ბატონსა,  
თავს დაეანგრიეთ ბანია,  
წავართვით, წამოვიყვანეთ  
ჩვენი ერთგულნი ძმანია.

მ ა ტ ი ა ნ ე

ესე ამბავი მოჰხდა ყიზიყსა შინა, ვ  
თთვესა, კ დღესა, ჩღჟვ წელსა.



## ბიორგი მესამე

(ისტორიული ღრამა ნ მოქმედებად)

### გომჯედიანი პირნი:

მემატიანე

გიორგი მესამე — საქართველოს მეფე.

დემნა — გიორგი მესამის ძმისწული.

თამარი — გიორგი მესამის ქალი.

რუსუდანი — გიორგი მესამის და.

ივანე ორბელი — დიდებული, ყოფილი გამგებელი სომხეთისა.

ბაადურ ორბელი — სახლთუხუცესი.

ლიპარიტ ორბელი — დიდებული.

მაიკო ორბელი — ივანე ორბელის ქალი, დემნას მეუღლე.

ორბელი ორბელი — ორბელთა გვარიშვილი.

თოტორმე — გააზნაურებული მდაბიო.

გლახა — გაგლეხებული აზნაური, ორბირი.

ხარატო — მეფის შესაპყრობად მოსყიდული პირი ორბელთაგან.

ძიო და ჯიო — ხარატოს შვილები, მეფის შესაპყრობად დათქმულები.

ყუბასარ

პაატა

ჭიაბერ

ზაქარია მხარგრძელი

დიდი გამრეკელი

გრიგოლ ანელი

სარგის ქანელი

} გიორგი მესამის სარდლები.

} ორბელთა მომხრეები; შემდეგ გიორგის ერთგულნი.

ანანია დვინელი  
ქავთარ  
კასან კაენისა  
ჭაეახნი  
კახა შვილებით

} დიდებულნი.

დიდებულნი, დარბაისელნი, შიკრიკნი, მეომარნი, სხვათა სახელმწიფოთა ელჩნი და სხვანი.

ამბავი მეთორმეტე საუკუნის მიწურულისა.

## მოქმედება პირველი

### სურათი პირველი

გიორგი მეფის სასახლე. ცალ მხარეს მემართიანის საკანია, მეორე მხარეს — მეფის დარბაზი, სადაც ივანე ორბელი, სახლთუხუცესი ბაადურ ორბელი და მანდატური ორბელი შეხვდებიან ერთმანეთს.

მ ა ტ ი ა ნ ე — (წერს და შემდეგ კითხულობს)

„კაცთა ძლიერთა და ახოვანთა, სიმდიდრესა ზედა მკლავისა თვისისა მოქადულთა და სიმრავლესა ზედა ერისა აღზავებულთა, შეპყრობა მეფისა ეგულებოდათ“.

ი ვ ა ნ ე ო რ ბ ე ლ ი — ბაადურ, მარქვი დამდაბლებულს, ვითარ გულისხმოფ:

გიორგი მეფე კვლავ დაგტოვებს სახლთუხუცესად, შემდგომ იმისა, რაც ამაყად და ყინჩად უთხარ — სახელქებული ორბელების გვარისა ვარო?

მან ამ სიტყვაზე გულმრისხანედ შეიკრა შუბლი, მაგრამ დუმილით მოიმწყვდია შიგნით გულისთქმა, რადგან ზრახვანი უკეთურნი დაფარული აქვს.

ბ ა ა დ უ რ ო რ ბ ე ლ ი — დაფარული აქვს... დიახ, დიახ, დაფარული აქვს.

ი ვ ა ნ ე — ხედავ, ორბელთა გვარის კაცნი მან თითო-თითოდ, ზედმიყოლებით გაალაგა ამ სასახლიდან,

და როგორ ფიქრობ, ჩვენი დევნა ამით გათავდა?

კიდევ შეგიშენევს ორბელთა გვარის ამაყ დიდებულს,

თუ გაგაძევებს შენც ჩემსავით და თავის გვერდით დიდის-პატივით დასევამს ვინმე ნაყიფჩაყარსა?!

ბ ა ა დ უ რ — დიახ, არ მოსწონს, რომ ჩვენ ტახტის წილში  
კუდგეგართ...

ი ვ ა ნ ე — აი, ხომ ხედავ — რა ვიყავი და რაღა დავრჩი:  
მე — გამგებელსა სომხითისას — დღეს სულ უბრალო  
დიდებულადაც აღარა მთვლის — განქრა სახელი  
სხივოსანი, ქვეყნად ქებული!

ბ ა ა დ უ რ — შენ უეჭველად მართალს ბრძანებ, ჩემო ივანე...

ი ვ ა ნ ე — გულისხმას მოდი: გამარჯვებით დაბრუნდა მეფე  
და გამარჯვებას გარდაგვიქცევს ჩვენ სატანჯველად:  
აგვაწიოკებს, დაგვამდაბლებს და მიმოგვფანტავს —  
გულზვიადები, მედიდურნი და მრუდნი ხართო.

ბ ა ა დ უ რ — დიახ, ეგ ვიცი და ამიტომ გადავწყენე  
გლები თოტორმე — მანდატურად დადგინებულ  
გიორგის მიერ, და მის ნაცვლად დავსვი ორბელი,  
შთამომავალი უძველესი დიდი გვარისა.

მ ა ტ ი ა ნ ე — (წერას ათაებს და კითხულობს)

„ინება გაწურთა ლიპარიტისა დავით აღმაშენებელმან,  
ამისთვისცა პერობილ ყო იგი ჟამს რაოდენმე, რომელი  
კმა იყო განსასწავლელად გონიერისა ვისმე; და ესრეთ  
მომტკიცებული მრავალთა და მტკიცეთა ფიცთა მიერ და  
ერთგულობისათვის ღმრთისა შუამდგომელად მომცემი  
განუტევა იგი, მაგრამ არ დასცხრა იგი ლიპარიტი და მე-  
ფემან ცნო, რამეთუ კუდი ძაღლისა არ განემართების,  
არცა კირჩხიბი სწორედ ვალს, მეორე წელს კუალად  
შეიპყრა. ორ წელს პერობილი ყო და საბერძნეთს  
გაგზავნა“.

ი ვ ა ნ ე — ჩვენც ეგ მოგველის... (ბუკის ხმა).

ო რ ბ ე ლ ი — ბუკის ხმა არის... მეფე მობრძანდება.

(შემოდის მეფე გიორგი).

ბ ა ა დ უ რ — მეფეს გაუმარჯოს!

ი ვ ა ნ ე — მეფეს სიცოცხლე! მეფეს დღეგრძელობა!

ო რ ბ ე ლ ი — გაუმარჯოს! ვაშა!

გ ი ო რ გ ი — მადლობელი ვარ!

ი ვ ა ნ ე — მოგვილოცნი! გამარჯვება!

ბ ა ა დ უ რ — ვაშა უძლეველს!

ო რ ბ ე ლ ი — ამინ!

გ ი ო რ გ ი — ჩემო ბაადურ, საქართველოს სახლთუხუცესო,  
დიდადა გმადლობ! მიხარია აქ ყველას ნახვა!  
გმადლობ უფალსა, რომ ყველანი მშვიდობით დამხვდით,  
დღეს ერთმანეთის დიდ სიხარულს გავიზიარებთ!

ბაადურ ჩემო! (ჯოცნის) შენც, ივანე ორბელთა შეილო  
(ჯოცნის),

დიახ, გილოცავთ საქართველოს მტრების დათრგუნვას!..

ჩვენი სამეფოს ქვაკუთხედნო და საფუძველნო,

უეჭველია თქვენი მეფის გარეთ ყოფნის დროს

შინ ყველაფერი წესიერად მართეთ, განაგეთ

და დღევანდელი დღის ზეიმის მეტი რა გეშარებებს?!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დიახ, ზეიმი!

— სიხარული!

— ბედნიერება!

(ორბელი, გიორგის უკან დგას მარტო, განცალკევებით).

გ ი ო რ გ ი — მამულიშვილნო, ძმანო ჩემნო, ქართლოსის ძენო!

გარეშე მტრები ძირსა ყრიან დამარცხებულნი.

ახლა ჩვენ უნდა ისლა გვექონდეს საზრუნავ-ფიქრი,

უძლეველობა დავიმკვიდროთ სამარადქამო.

ჩვენთა წინაპარ ხეთებს უნდა მივბაძოთ ჩვენცა

და მიღებული დიდი სიბრძნე სუმერებისა,

რომელთა სისხლი ქართველთა სისხლს მეტად წააგავს,

დავრგათ, გავზარდოთ, ავაყვავოთ და ბნელ ურდოებს

არ მივცეთ ნება მბრძანებლობა გასწიონ ჩვენზე —

ჩვენ ჩირაღდანი უნდა ვიყოთ წინწაძლოლილი!

(უცხად თვალს მოჰკრავს ცალკე მდგომ ორბელს, ის თოტორმე  
ჰკონია).

ოჰ, მაპატიე, მაპატიე, ჩემო თოტორმე!

შენ დამავიწყდი მოკეთეთა ამ სიმრავლესი...

(გაეშურება მისკენ საალერსოდ. ახლო რომ მივა, მიხვდება, რომ  
ეს თოტორმე არ არის).

შეეცდი? (ბაადურს) ბაადურ! ამ კაცს ვერ ვიცნობ,

ვინ არის იგი?

ბ ა ა დ უ რ — შენი სასახლის მანდატური, გვარად ორბელი.

გ ი ო რ გ ი — სად არის თოტორმე?

ბ ა ა დ უ რ — თოტორმე?... თოტორმე აღარ გახლავს...

გ ი ო რ გ ი — როგორ?

ბ ა ა დ უ რ — იმის მაგიერ ორბელი დავსვი. აი ეგა.

(ორბელი წინ წამოდგება).

ო რ ბ ე ლ ი — ორბელი გახლავარ.

გ ი ო რ გ ი — თოტორმე?

ბ ა ა დ უ რ — გადავაცენე.

გ ი ო რ გ ი — რისთვის?

ბ ა ა დ უ რ — ნაყმევმა გლეხმა ცერ იშვნია მეფის სასახლე და მეც ვერ გკადრე გვერდით ყოლა ყურმოჭრილ ყმისა.

გ ი ო რ გ ი — რას ამბობ შენა?

ბ ა ა დ უ რ — შენსა დიდებას შევუფერე შთამომავლობით დიდგვარიანი.

გ ი ო რ გ ი — აქ მომიყვანეთ თოტორმე ახლავ!

ხ მ ე ბ ი — თოტორმე! თოტორმე! (შემოდის თოტორმე).

თ ო ტ ო რ მ ე — მიბრძანე, მეფევ! (დაიჩოქებს).

გ ი ო რ გ ი — შენ, მანდატურო, რად პირველი არ მომეგებე?

თ ო ტ ო რ მ ე — მე მანდატური აღარა ვარ, გამაყენეს.

გ ი ო რ გ ი — ეეჰ! ბაადურ! (შეაჯანჯლარებს თითქოს ალერსით).

ამ ნეტარ-ტკბილი გამარჯვების ნერწყვის ჩაყლაპვაც ვერ მოვასწარი, რომ სიმწარე შემომავებეთ.

გმადლობ, ბაადურ! მეფე ომში რა გამიგულეთ,

კიაკოკონის დასანთებად ჩალა-ბულათა

ბულულები დგმას შეუდექით ჩემს სასახლეში?!

თოტორმე, დადექ შენს ადგილზე, როგორც იყავი,

და უჩემოდ განჩინებული აქ არასოდეს არ დავინახო-

(ორბელი გადის. კიდევ ბუკის ხმა).

რა ხმაა ეგე?

თ ო ტ ო რ მ ე — დარბაზად გიწვევთ ბუკის ხმა, მეფევ.

დარბაზის ირგვლივ ხალხი იცდის შენს სანახავად.

გ ი ო რ გ ი — არ ვულალატებ წინაპართა ამ ჩვეულებას.

წავიდეთ, ძმანო, გამარჯვების დარბაზობისთვის.

(ყველანი გადიან ივანე ორბელისა და ბაადურის გარდა).

ი ვ ა ნ ე — ახლა, ბაადურ? სანუგეშოს რაღას ხედავ?

ბ ა ა დ უ რ — ბრმასავითა ვარ კინკლაობის ამ უკუნ ბნელში  
და ისე ვატყობ, თითქო უნდა ჩავბარდე უფსკრულს.  
გადაეფოფრა სამეფო ტახტს და დიდებულნი,  
ოღესმე ტახტის სამკაულნი, შემოგვიფანტა...

ი ვ ა ნ ე — აი მაგიტომ მომისმინე... შენ უნდა ერთი პატარა  
საქმე გამიკეთო.

ბ ა ა დ უ რ — ბრძანე.

ი ვ ა ნ ე — დღეის შემდგომად მეფე აღარ გიურევებს შენა,  
დაგიდგა ყაში განკითხვისა...

ბ ა ა დ უ რ — დიახ; მეც ვიცი... მაგრამ რა ვქნა?

ი ვ ა ნ ე — არ გამცემ?

ბ ა ა დ უ რ — არა.

ი ვ ა ნ ე — მეფის ბეჭედი მინდა მხოლოდ, სხვა არაფერი (ბა-  
აღური დაფიქრება).

მ ა ტ ი ა ნ ე — (კითხულობს დაწერილს)

ხედვიდა რა მეფე დავით ესეოდენტა ზეგარდმოთა  
ღმრთისა მიერ წყალობათა, შეწევნათა, ძლევათა და გა-  
მარჯვებათა თვისთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა  
სამეფოთა ქუეყანათა, ქალაქთა და ციხეთა, რამეთუ არა  
იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მი-  
სსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და  
დამპირველად და კვალად თვით მის თანა მყოფად და მო-  
ლაშქრედმცა კმა ეყვნეს, განიზრახა სიერცითა გონებისა-  
თა, რამეთუ სხუაებრ არა იყო ღონე. და უწყოდა კეთი-  
ლად ყივჩაღთა ნათესავის სიმრავლე და წყობათა ბინა  
სიმზნე, სისუბუქე და მიმოსლევა, სიფიცხე მიმართებისა,  
ადვილად დასამპირველობა და ყოვლიურთ მოზავებ-  
ლობა ნებისა თვისისა...“ (შემდეგ ისევ განაგრძობს წერას).

ი ვ ა ნ ე — ძალიან მცირე სათხოვარია... რატომ დაფიქრდი?

ბ ა ა დ უ რ — მცირეა, მაგრამ ძალიან მძიმე.

ი ვ ა ნ ე — იჩქარე, ბაადურ, უსარგებლოდ დროს ნუ დაე-  
კარგავთ... ეს სამარცხვინო ყოყმანი და ორჭოფობა ჩვენ  
არ შეგვშვენის!

ბ ა ა დ უ რ — ნუ ამჩქარებ...

ი ვ ა ნ ე — მერყეობას გამოეთხოვე:  
მეფის ბეჭედი დამიკარ აქ.

ბ ა ა დ უ რ — მანდ?.. რა წერია?

გამაგებინე!

ი ვ ა ნ ე — დაჰკარ-მეთქი! მერე გაიგებ.

განა ივანე ისეთ რამეს ჩაგადენინებს,

იგი შენთვისაც სახეირო არ იყოს დიდად?

ბ ა ა დ უ რ — აჰა და დაეკარ! (დაკრავს ბეჭედს).

ი ვ ა ნ ე — სხვა არაფერი.

მ ა ტ ი ა ნ ე — (დაწერილს კითხულობს)

„და მეფემან თხოვა სამღვდელლოთა, რათა ეკლესიათა შინა ელოცნათ ასე: „ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემიქცევისა და ქრისტიანობის დამტკიცებისათვის უფლისა მიმართ ვილოცოთო“.

ბ ა ა დ უ რ — ბეჭედი კი დაგიკარ, მაგრამ სული სად წავა ჩემი: ჯოჯობხეთში თუ სამოთხეში?

ი ვ ა ნ ე — ხორცი იკითხე, სულს რას დაეძებ?

ბ ა ა დ უ რ — ეხლა მაინც წამიკითხე, შიგ რა წერია.

ი ვ ა ნ ე — მაგის დრო არის?

ბ ა ა დ უ რ — რად მიყვირი?

ი ვ ა ნ ე — იმიტომ, რომ აღარა მკითხო.

ბ ა ა დ უ რ — წელან რა ტკბილად, რა ალერსით მეხვეწებოდი...

ი ვ ა ნ ე — ეეჰ, მოხუცო! სულ გამოჰყრუვდი! წელში მოდრეკილს აღარც თვალთ გიჰრის, აღარც გონება და იმის მეტი არა იცი რა — რა სვა, რა ჭამო.

ბ ა ა დ უ რ — ეხლა დამცინი?

ი ვ ა ნ ე — არა, მოყვარეს პირში უძრახე, მტერს ზურგს უკანო!

უნდა ძალ-ღონე მოიკრიბო და მტკიცედ გაჰყვე იმ სამღვთო საქმეს, რომელსაც ვიწყებ. მომყევი უკან.

(მივლენ მატიანესთან).

მ ა ტ ი ა ნ ე — (კითხულობს თავისთვის)

„მეფემან ბრძენმან განდევნა და ექსორია ქნა ყოველნი მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით მჯდომარენი“...

(ისევ განაგრძობს წერას).



ივანე — რასა წერ, მოხუცო?

მატიანე — ჭეშმარიტებას.

ივანე — რას ეძახი ჭეშმარიტებას? რასაც ძლიერნი გავალბენ?

მატიანე — ყველაზე ძლიერი არის სინდისი — იგი მავალებს სიმართლე ვწერო.

ივანე — ცრუობ! ძლიერი მეფის უსვინდისობას ეხმარები.

მატიანე — ცილისწამებას ერიდე, თორემ მოგეკითხება..

ივანე — წაიკითხე, რას წერდი ახლა?

მატიანე — (კითხულობს)

„ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება არს პირველით-განვე თვისთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა“...

ივანე — სხვა სათქმელი ველარა ჰპოვე?

მატიანე — ეგე ბერძენთა კილვაა ქართველთა მიმართ და დიდი დავით აღმაშენებლის მიერ წინაგანსაკრძალვად თქმული, რაიცა ამჟამადაც სწორად ხვდა მიზანსა თვისსა.

ივანე — მაგისტრის იღვწი?

მატიანე — მშვიდობისათვის! მშვიდობისათვის! მშვიდობისათვის!

ეკლესიათა შინაც ლოცვაა მშვიდობისათვის.

ივანე — რას უშველის ლოცვა, ოდეს მეფეთა სიტყვა და ფიცი ვაჭართა სიტყვებზე უფრო ცრუა და მაცთუნებელი.

მატიანე — ვითარ?

ივანე — ეს ამბავი გამოგრჩენია და უნდა ჩასწერო.

მატიანე — რა?

ივანე — (უკითხავს ბეჰედარტყმულ სიგელს)

„მეფემან დიდმან, მპყრობმა შეიდავ სამთავროსამან, დემეტრეს ძემან უმრწმემსმან დავდევი ფიცი წინაშე ღვთისა, სამართლისა და ქვეყანისა, რომ აღვიყვანო ტახტსა ზედან დავითისასა ძე მისი დემნა, ოდეს მოვა პასაკსა შინა“.

ამ ფიცსა ახლავს მინაწერი აღსასრულები:  
„ხოლო უკეთუ გიორგიმან რაიმე ღონით,  
მანქანებითა, ან სიხარბით მეფობისათა,  
ანუ რაიმე მზაკვრობითა უარი უყოს  
ჩემთან დადებულს ფიცსა ამას, მაშინ ყოვლითა  
წმიდითა ჯვრითა და მადლითა კრულ იქნას იგი  
და განკვეთილი წესისაგან ქრისტიანეთა.

ხოლო ვალად ვდებ ივანე ორბელს, კაცსა მორჭმულსა  
დახმარებითა ყოველით და ძალმომრეობით  
საესებით სრულყოს დემნასათვის ანდერძი ესე“.

აი გიორგის ხელმოწერა, ბეჭედიც მისი.

მატიანე — არა სარწმუნო არს ეგე.

ივანე — გიორგის შიშით არა გჯერა? დაგაჯერებთ!

მატიანე — მატიანე სასწორია სამართლისა ქეშმარიტი!  
განვედით ჩემგან!

(გარედან ისმის დემნას ხმა).

დემნა — სიხარული და ბედნიერება! სიხარული და ბედ-  
ნიერება! (შემოდის) გამარჯვება!

ივანე — მაშინ იქნება გამარჯვება, ოდეს გიორგი  
მამიშენის ტახტს დაგიბრუნებს ანდერძის კვალად.

დემნა — ეს გამარჯვება თავდებია მაგისი სწორედ!

ულდიგუზის სპას დავეც რისხვა გაუფონარი  
და ჩემს გმირობას სასახელოს მეფე კვირობდა:  
მკოცნიდა შუბლზე, მეხვეოდა და მადიდებდა.

ამის შემდგომად ნუთუ ტახტსა არ დამიბრუნებს?

მაგრამ, სიმამრო, მე არ ვიცი, მართლა კი ფიცი  
დასდო გიორგიმ მამაჩემთან ჩემი მეფობის?

ივანე — აი, ურწმუნოვ; დაიჯერე და მოითხოვე (უჩვენებს სი-  
გელს).

განა ანდერძიც რომ არ იყოს, ტახტის მემკვიდრე  
კანონიერი შენ არა ხარ?

დემნა — დიახ, მე ვარ და ბიძაჩემი არ მეტყვის უარს.

ივანე — ნეტარ არიან მორწმუნენი, მაგრამ, სიძევ... (დაფიქრ-  
დება).

დემნა — რა?

ივანე — არაფერი. აქ ყველაფრის თქმა არ იქნება.  
ის ხომ ცხადია, რომ პასაკში შენ მოსული ხარ.  
მეუღლეცა გყავს სადედოფლო, ასული ჩემი.  
გიორგი მეფის პირობა კი მხოლოდ წერილ არს.  
(შემოდის დემნას მეუღლე მია).

აი, მეუღლე მოგივიდა.

მაიკო — დემნა!

დემნა — მაიკო! (გადაეხვევიან ერთმანეთს).

ივანე — ბაადურ, ცალკე მინდა მოვეთათბირო. (გაღიან).

მაიკო — ნუთუ აქ მოსვლა შენთვის უფრო სასურველი იყო  
უწინარესად, ვიდრე ჩემთან?

დემნა — ნუ გამიწყრები,

აქ მოვაშურე უწინარეს მხოლოდ იმისთვის.

რომ შემდეგ უფრო გრძლად შევიტყობ შენს ახლოს  
ყოფნა.

იმისათვისაც მოვედი აქ, რომ მატთანემ

სწორე ამბები მოისმინოს ჩემი გამირობის

და იმისთვისაც, რომ გავიგო: ნამდვილად მე ვარ

ტახტის მემკვიდრე, თუ ეს მხოლოდ თქმულება არის.

მაიკო — მერე?

დემნა — გავიგე: მამაშენმა დამისაბუთა.

მაიკო — მამ მოგილოცავ გამეფებას დავითის ტახტზე (გადა-  
ეხვევიან).

### სურათი მეორე

გიორგის სასახლის კარიბჭესთან

ივანე — ბაადურ, აბა გაისინჯე ჭიბები:

ბაადურ — რათა?

ივანე — ბექედი ხომ არ წამოგყვა?

ბაადურ — კიდევ ხომ არ გასურს, რამ სიცრუე დავისა-  
ბუთო?

თავს რათ იწუხებ, დიდებულო, ამ ბექედისათვის?

ივანე — ბექედისთვის კი არა, შენთვისა ვწუხ!

ბაადურ — ვითარ?

ივანე — აკი გითხარი, დაბერდი-მეთქი. ვშიშობ, მაგ შენმა დაბნეულობამ არ ჩააგდოს გიორგი ექვში. შენთვისაც ვწუხვარ და თვითონ ჩემთვისაც... რა უყავ-მეთქი? (ბადურ ჭიბეებს ისინჯავს).

ბაადურ — შემინახნია...

(შემოდის თოტორმე).

თოტორმე — დარბაზობა დაიწყო უკვე...

აქ რად ბრძანდებით?

ივანე — პირობა გვაქვს ორბელთ —

აქ შევიკრიბოთ, შემდეგ ერთად ვეწვიოთ დარბაზს.

თოტორმე — შენა, ბაადურ?

ბაადურ — მე დესპანთ ველი. როცა მოვლენ, ჩვენც გეახლებით.

(თოტორმე გადის).

ივანე — ოდესმე ყმასა ყურმოჭრილსა, აღზვავებულსა გიორგის მიერ უნდა მდაბლად მისცე პასუხი ყველა კითხვაზე. დამდაბლება ამაზე მეტი?!

ბაადურ — მობრძანდებიან დიდებულნი. (შემოდინა: ლიპარიტ ორბელი, ანანია დვინელი, სარგის ჭანელი, დიდი გამრეკელი, გრიგოლ ანელი, ქეთარი და სხვანი).

ყველანი — აქა მშვიდობა!

პასუხი — მშვიდობის დღეს გისურვებთ თქვენცა.

ანანია — აი, გეახელით. რა სათქმელი გაქვთ?

გრიგოლ — სათქმელი უნდა ითქვას სწრაფად. ბრძანეთ, უფალნო.

დიდი გამრეკელი — ღმერთს ნუ შესცოდავთ და მართალი თქვით: ნამდვილი არის ის თქმულება, ვითომ გიორგი მეფეს დაედოს ფიცი დავითთან დემნას გამეფებაზე?

ივანე — დიდი ივანე ორბელი არასოდეს არა სცრუობდა. აი საბუთი. (უჩვენებს სიგელს) გიორგი მეფეს ჩაკეტილი ჰქონდა ცხრაკლიტულს, მაგრამ მე იგი გამოვიხსენ ცხრაკლიტულიდან, ვით ძვირფასი ტყვე. აჰა იხილეთ: (გადასცემს სიგელს, რომელიც ხელიდან ხელში გადადის).

დიდი გამრეკელი — რაღაც არ მომწონს. (შემოდის დემნა).

- დ ე მ ნ ა — სალამი თქვენდა, დიდებულნო! აქ რათ ზეიმობთ თქვენ გამარჯვებას, ოდეს მეფე დარბაზში გელით?
- ი ვ ა ნ ე — ეეჰ, ახალგაზრდავ, ჭკუა ვერ გიჭრის: კი არ ვზეიმობთ გამარჯვებასა — ვემზადებით გამარჯვებისათვის.
- დ ე მ ნ ა — ვერ გამიგია თქვენი ენა — გამაგებინეთ.
- ლ ი პ ა რ ი ტ — შენ არა ფიქრობ მეფობაზე? მემკვიდრე ხარ შენ!
- დ ე მ ნ ა — რასაც თქვენ იტყვით, მეც თანახმა ვარ!
- ს ა რ გ ი ს ჭ ა ნ ე ლ ი — თუ შენ აქამდე მტრებს ებრძოდი გმირ-ვაჟკაცურად გიორგი მეფის გვირგვინისათვის, ახლა პირიქით: უნდა ებრძოლო თვით გიორგის გვირგვინისათვის.
- დ ე მ ნ ა — ვებრძოლო ბიძას? ვითომ რისთვის? არა, ბატონო, ისე ვუყვარვარ ბიძაჩემს, რომ იმასთან ბრძოლა გვირგვინისათვის არასოდეს არ დამჭირდება!
- ი ვ ა ნ ე — ოჰ! რა ბავშვი ხარ!.. დიდებულნო, ამ ახალგაზრდას ნურაფერს ვკითხავთ: ჩვენ ვიზრუნოთ, ჩვენ გავაყეთოთ, რასაც გვავალებს მისი მამის წმიდა ანდერძი.
- დ ე მ ნ ა — მე არაფრად მთვლით?.. მეფედ მსვამთ და არაფრად მთვლით?
- ი ვ ა ნ ე — დიახ, მეფე ხარ და როდესაც ავიყვანთ ტახტზე, გიორგი მეფეს არ შევარჩენ ჩემს დამდაბლებას.
- გ რ ი გ ო ლ ა ნ ე ლ ი — არც მე!
- ქ ა ვ თ ა რ ი — მეც ასე ვიქმ!
- ა ნ ა ნ ი ა დ ვ ი ნ ე ლ ი — მეც არა ვარ მის მოყვარული. არც მე შევაწევ გაძევებას ჩემსას დვინიდან.
- ი ვ ა ნ ე — ყველას წინაშე დამნაშავე არის გიორგი, ნუ ვაპატიებთ! ნუ შევარჩენთ თავგასულობას!
- ყ ვ ე ლ ა ნ ი — დიახ, ეკუთვნის! (მოდგება მათთან გლახა).
- ი ვ ა ნ ე — ვინა ხარ შენა, რა გინდა ჩვენთან?
- გ ლ ა ხ ა — გლახა გახლავარ. პატარა აზნაური ვიყავ. დიდი ბატონი მივჯოხე და ამისათვის გამაგლახავეს. ახლა მოქიდავე კამეჩის ხალისით ჩავიდენდი ისეთ რასმე, რისთვისაც ისევე გამააზნაურებდნენ.

ივანე — მოდი, მოდი! უფრო დიდ ბატონს გაგაჯობინებთ და როცა დემნას დაესვამთ, აზნაურობა დაგიბრუნდება.

გლახა — ვინ არის დემნა?

ივანე — ვინც უნდა იყოს, მე რაც ვითხრა, ის გააკეთე.

გლახა — სხვა არაფერი?

ივანე — დაიქი ქისა, ოქროა შიგ. როცა განიშნებ, უნდა იყვირო, ფიცგამტეხი არის გიორგი, ვაშა დემნასა. ქეშმარიტსა მემკვიდრესა-თქო! გაიგე?

გლახა — დიახ, შევისმინე და ოქროსავით დავაწკრიალე: მოლალატე არის გიორგი, ფიცის გამტეხი, გაიძვერა, მიმტაცებელი, და კიდევ იმდენ რასმე ვიტყვი შემადრწუნებელს, რომ იქნებ თვითონ შენც დაიცო ყურებში თითი.

ივანე — რა გქვიან შენა?

გლახა — დეე მერქვას, რაც მე დავირქვი — გლახა.

ივანე — გლახა, ახლავე წადი დარბაზს. ჩვენც მოვალთ იქა. თუ დაგჭირდება ეგ ყვირილი, ყვირილში უნდა აიყოლიო კიდევ სხვებიც, შენისთანანი.

იმათ სამსახურს დააფასებს დიდი ორბელი!

(გლახა გადის).

ლიპარიტ — აქ რაღას ველით?

ივანე — დროა, წავიდეთ.

(გადიან ბაადურის გარდა).

ბაადურ — დიდმა ივანემ დიდი საქმე დაიწყო მტკიცედ.

მწკლარტ გუნებაზე მაყენებს ეს და აშეარად ვგრძნობ, რომ ყველაფერი დამაწვება მე, სახლთუხუცესს.

(შემოდის ფოტორპე).

თოტორმე — აქ რისთვის დგებარ მოწყენილად, სახლთ-უხუცესო?

მისთვის ხომ არა, რომ გიორგიმ არ შეიწყენარა

შენ მიერ ჩემი უსაბუთო გადაყენება?!

ბაადურ — დესპანებს ველი.

თოტორმე — განსენ შუბლი, შენც გაიხარე.

აბა გაჰხედე ქუჩა-უბნებს დედაქალაქში:

ქვეყანა ხარობს გამარჯვებას, შენ რა გაწუხებს?

ბ ა ა დ უ რ — მე? არაფერი.

თ ო ტ ო რ მ ე — დარბაზიდან ამ სასახლემდე  
გატენილია მაყურებელი ხალხით ქუჩები,  
მის ნაპირები, ნაპირზე მდგომ სახლთა ბანები.  
და თვით ხეების კენწეროზეც აცოცებულან.  
რათა იხილონ გამოვლისას დიდი ხელმწიფე,  
ღიახ, ხელმწიფე, დამთრგუნველი ქართველთა მტრების,  
ხელმწიფე, რომლის სიბრძნითა და გმირ-ვაჟკაცობით  
დარუბანდის თავს ყინჩობს ღროშა საქართველოსი!

ბ ა ა დ უ რ — მადლობა ღმერთსა!

თ ო ტ ო რ მ ე — ღიახ, ღიახ, მადლობა ღმერთსა!  
აბა რა იყო, რასა ჰგავდა ქვეყანა მაშინ,  
ღემეტრე მეფის უფროსი ძე რომ დაჯდა ტახტზე!  
გამეფდა ძარცვა. დაუძღურდა სამშობლო ჩვენი  
და სამეფო ტახტს დაეხვივნენ უკეთურები;  
გარეშე მტერსაც აეშალა ხელახლა მაღა,  
მაგრამ აღვიდა ტახტს თუ არა გიორგი მეფე,  
დამშვიდდა ხალხი კმაყოფილი, დამარცხდა მტერიც.

ბ ა ა დ უ რ — სამაგიეროდ წყენა ისმის დიდებულეებში.

თ ო ტ ო რ მ ე — იმისათვის, რომ მე შენდობა. არა, ბაადურ?  
მაშ რისთვის, რისთვის, აბა რისთვის

გადამაყენე?

ბ ა ა დ უ რ — განაწყენებულ დიდებულებს მოვუღებ გული.

თ ო ტ ო რ მ ე — ისინი მუდამ ნაწყენები არიან ხოლმე,  
თუ სუყველანი მეფეებად არ სხედან ტახტზე.  
განა არ გახსოვთ: ტახტისათვის თვით ძე დავითი  
თავის ღვიძლ მამას აუჯანყდა. დიდებულებიც  
ესოდენ იყვნენ მეფობისათვის სულწასულები,  
და ყველა მათგანს ასე სურდა ტახტზე დაჯდომა,  
რომ აიძულეს შემდგარიყო ღემეტრე ბერად.  
მაშინ გიორგი, უმცროსი ძე ღემეტრე მეფის,  
ჩუმაღ და ღინჯად უყურებდა ძმისა საქციელს...

ბ ა ა დ უ რ — შენ ყველაფერი ისე კარგად და ვრცლად  
გცოდნია,  
თითქოს სწავლული მოსულიყო დღეს იყალთოდან.

თოტორმე — გლახი ვარ, მადრამ გაგებაც მაქვს,  
დასწავლაც ვიცი...

ორბელთა თესლის ჩაგონებით ქმნა ეს დავითმა,  
მადრამა ტახტის ძალადობით ხელში ჩამგდებმა  
სვებედნიერად ვერ იმეფა და მოკვდა მალე:  
მაშინ დაბრუნდა მონასტრიდან დემეტრე ისევ,  
თან მოიყოლა უმცროსი ძე, გიორგი თვისი,  
თვით დასვა ტახტზე და მის შემდეგ ბედნიერია  
ქართველი ერი. გამარჯვება გამარჯვებასა  
ფეხდაფეხ მოსდევს დღესაც იმის ზეიმად არის  
იგი დარბაზში. თვითონაც ხომ ეს კარგად იცი!

ბაადურ — უცხო ქვეყნების დესპანები მობრძანდებიან! (შე-  
მოდინ).

თავდესპანი — სალამი უმორჩილესი!

ბაადურ — პატივცემულნო! მეფე ჩვენი დარბაზად გახ-  
ლავთ. თუ იმის ნახვას იქ ისურვებთ, წინ წაგიძღვებით.

### სურათი მესამე

დარბაზის კარიბჭესთან

(აქ არის ორბელთა მთელი გვარი მომხრეებითა და დემნათი).

თოტორმე — ერნო და ბერნო! დიდებულნო და ერის  
კაცნო!

მეფეს სხვა ქვეყნის დესპანებთან აქვს

დარბაზობა.

მის დასანახად აქ მოსულებს ცდა მოგიხდებათ.

ხალხი — გვიჩვენეთ მეფე!

— გაუმარჯოს გიორგი მეფეს!

თოტორმე — მამულიშვილნო! თქვენი დგომა, თქვენი  
ლოდინი

დარბაზის ირგვლივ, ბანებზე და გზის ნაპირებზე  
ამაო არის.

ხალხი — მეფე! მეფე! მეფე გვეჩვენოს! (შემოდის გლახა).

გლახა — მე ახლა ვხვდები, რომ სულელი ვინმე ვყოფილ-  
ვარ.



ხ ა ლ ხ ი — მეფევ ძვირფასო!

— სანატრელო!

— გვეჩვენე, მეფევ!

გ ლ ა ხ ა — რა სიყვარულით, აღტაცებით ეძახის ხალხი, მეფევ, გვეჩვენე, ნეტარო და საყვარელოო, მე კი... მე უნდა დავუძახო მას მოღალატე? როგორ მოვიქცე... მოდი, მასაც ვასიამოვნებ, იქნება იმან უფრო ბევრით დამასაჩუქროს?

ხ ა ლ ხ ი — მეფევ, გვალირსე შენი ნახვა!

— ერთ წამას, მეფევ! (გამოდის მეფე).

— ვაშა გიორგის!

— გაუმარჯოს!

— დიდება მეფეს!

გ ლ ა ხ ა — (მივა, დაუჩოქებს და მეფეს წასჩურჩულებს).

მეფევ, რაღაცას გიპირებენ ორბელნი შენა!

თ ო ტ ო რ მ ე — მემრე ვერა თქვი?! დაიკარგე. (პანლურს ამოკრავს).

გ ი ო რ გ ი — ხალხო კეთილო! დიდად გმადლობთ

ერთგულებისთვის!

ეგ ერთგულება, სიყვარული და თავგანწირვა

წინ მიმიძლოდა დიდ ბრძოლებში და გავიმარჯვე.

კვლავაც თქვენით მხნე, ზურგმაგარი და მადლმოსილი

ჩვენს მტრებს იარაღს სამუდამოდ დავაყრევინებ!

ხ ა ლ ხ ი — ვაშა გიორგის!

— გაუმარჯოს!

— სიცოცხლე მეფეს!

გ ი ო რ გ ი — მამულიშვილნო! მომეცით დრო, რათა მივიღო

წარმოგზავნილი დესპანები უცხო ქვეყნების!

(შედის დარბაზში).

სურათი მეოთხე

და რ ბ ა ზ შ ი

გ ი ო რ გ ი — მსურს ამ დარბაზში მოვისმინო განადგურება უსჯულოების! გარდახვეწა ჩვენი ქვეყნიდან!

ყ უ ბ ა ს ა რ — მეფეო, ახლა გეახელით ბრძოლის ველიდან.  
გავანადგურეთ ნატამალი მტერთა ბრბოების.  
მიწაზე მხოხავ ქვეწარმავალს მოვწყვიტეთ წელი  
და დავემორჩილდა.

გ ი ო რ გ ი — იგი უნდა სულ განადგურდეს.

ყ უ ბ ა ს ა რ — ტრაპიზონიდან მოყოლებით დარუბანდამდე  
შენი სახელით თაყვანს გვცემენ კულამწვარები.

ი ვ ა ნ ე — (თავისიანებს)

ხედავთ, ვითარის გულდილობით გრგვინავს ყივ-  
ჩაყი?!

ყ უ ბ ა ს ა რ — თვალ-მარგალიტნი, საუნჯენი უძვირფასესნი  
მოგართვით შენთა სალაროთა დასამდიდრებლად!

გ ი ო რ გ ი — დიდება შენდა! ეგ ამბავი სასიხარულო  
იყოს უკვდავი სახსოვარი შენი ჩემლამი  
ერთგულებისა! მაგ შრომისათვის გეკუთვნის ჩემგან  
აი ეს ჯილდო, სახსოვარი სამარადისო.

(აჯილდოვებს).

ჩემო ძმისწულო, ჩემო დემნა, შენი გამირობაც,

შენი ქვეყნისთვის გაწეული ვაჟკაცობანი

გულში ჩამიდგა სიამაყის ნეტარ ნათელად.

თუ ყივჩაყელი ერთგულებას უწევს ქართველ ტახტს,

შენ უფრო მეტი ერთგულება გმართებს იმისთვის.

ეძიე ხედარი უკეთესი, რომ პატივი ხელმწიფებრივი

დაიმსახურო ხალხისა და მეფის წინაშე.

აჰა, შენც ჯილდო მამობრივი სიყვარულისა —

მე შენს გამირობას არასოდეს არ დავივიწყებ.

(აკოცებს).

ი ვ ა ნ ე — სრულწლოვანია, მეფეე, დემნა. (მტკნარი სიჩუმე).

გ ი ო რ გ ი — დიახ. მერე რა?

ხ მ ე ბ ი — ფიცი! პირობა!

გ ი ო რ გ ი — რაო?.. ფიცი?.. არ მესმის. რას მთხოვთ!

ხ მ ე ბ ი — დავითთან ფიცი, მისი ანდერძი...

გ ი ო რ გ ი — რა ფიცს მამწყრალეზთ,

ან რომელ ანდერძს? არაფერი არ გამეგება?

ლ ი პ ა რ ი ტ — ფიცი: „როს დემნა შეიქმნება სრულ ასაკისა,  
აღვიყვან მეფედ ტახტსა ზედან დავითისასო“.

გ ი ო რ გ ი — ოო, მიგიხვდით! ახლა დემნას იხლით მიზეზად  
აღშფოთებისა, აღრევის და ამტუტებისა,  
რათა ამღვრეულ წყალში ზევით ამოტივტივდეთ?  
ამაო მახე გიფიქრიათ, ორბელთა ძენო,  
მაგისი აღარ მეშინიან. ვანთავისუფლებ  
თვით იმათაც კი, აღრევისთვის პურობილნი რომ მყავა.

ხ მ ე ბ ი (გიორგის მომხრეოვან) — მეფე ტყუევდება.

— არ ივარგებს.

— გულკეთილობას მალე მტრობით გადაგიხდინან.

გ ი ო რ გ ი — დეე სიკეთე მტრებმა მტრობით გადამიხადონ,  
ოლონდ პირდაპირ — დაფარულად ნუ იქნებიან.  
უბრძანეთ: პურობილთ მიანიჭონ თავისუფლება.

თ ო ტ ო რ მ ე — ვუბრძანებ, მაგრამ ორბელთა ხმას რა პა-  
სუხს აძლევ?

გ ი ო რ გ ი — ბოროტი კაცი ლხინის ჟამსაც ბოროტი არის,  
ამ დღისთვის შინც დავიწყნოდათ შუღლი და მტრობა!  
ძმანო, ტკბილად და სიყვარულით ვიყვნეთ დღეს ერთად,  
ყოველი ცოდვის განტევების დღე იყოს დღესა.  
ჰე, მომღერალნო! საამისო თქვით სიმღერები.

ს ი მ დ ე რ ი ს ხ მ ა — ძმანო, რა სჯობდა ძმობასა,  
ერთმანეთისა ყმობასა.

გ ი ო რ გ ი — არ დავივიწყოთ ის გმირები. მტერთან ბრძო-  
ლებში თავი რომ დასდეს. დიდება მათ! ხსოვნა მათ  
სახელს.

ს ი მ დ ე რ ა — დიდება იმათ სახელსა,  
ვინც ხალხს შესწირა დღენია,  
ხალხისა გულში მათ ხსოვნა  
მზის სხივივითა ჰფენია.

(დემნა განზე გაიყვანს ივანეს).

დ ე მ ნ ა — ჩემო სიამარო, მე უარს ვყოფ შემკვიდრეობას.  
ჩემი გულისთვის რად ავწეწოთ ქვეყანა ესე —  
დაწყნარებული, გამარჯვებით დადინჯებული,  
განმტკიცებული და შორსმჭვრეტი უკეთესისკენ?

ი ვ ა ნ ე — ამისთვის კი არ მოგათხოვე ჩემი ასული.  
უარი გეთქვა მეფის ტახტზე. გადაირიე?

აღარ გაჰბედო მაგისი თქმა, თორემ ხვალევე  
განგაქორწინებ.

გ ი ო რ გ ი — შვილებს გვმართებს, არ დავივიწყოთ  
ჩვენნი წარსულნი, წინაპარნიც. ვინც ჩვენ სამეფო  
გადმოგვცა ხელში და ვინც იგი კეთილად მართა.  
სამარადისო ხსენება მათ!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — სამარადისო ხსენება მათ!

გ ი ო რ გ ი — მე პაპაჩემის, დავით დიდის, აღმაშენებლის  
ბული თან დამდევს და მუდამყამს ჩამძახის ყურში:  
არ დაივიწყო, ლოცვასავით მუდამ გახსოვდეს,  
ვინცა იღვწოდა საქართველოს მოკრებიისათვის.  
ერის მთავარნო, აზნაურნო და ყოველივე  
აქ მბრძანებელნო, ყველამ ერთხმად შევეძახოთ მათ  
სულს:  
იყავით ნეტარ, თქვენთა შვილთა მტერნი მიდრიკნეს.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — იყავით ნეტარ...

ს ი მ დ ე რ ა — დიდება გმირთა თავდადებულთ მთლიანო-  
ბისთვის, მშვიდობისათვის, მოყვრობისთვის, უკვდავე-  
ბისთვის.

გ ი ო რ გ ი — ძმანო! ვახსენოთ დღევანდელ დღეს ცოდვილთა  
სულნიც. დაე, ისინიც განტყვებულ იქნენ იმისთვის.  
რომ მათი საქმე უძს გონიერი იმ მაგალითად, რომ სა-  
მართალი უსამართლოს თავის ხვედრს მისცემს.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — აღმოფხვრა მათი!

გ ი ო რ გ ი — კმარა! ახლა კი ვისურვებდი: ეთქვა ყველას,  
ვისაც რა სათქმელი აქვს.

ბ ა ა დ უ რ — ახალგაზრდა მგოსანი შოთა! (შოთა ყველაზე უკანა  
დგას).

შ ო თ ა — (წინ წამოდგება)

დრო იპყარ ხელთა,  
გონებაბნელთა  
დაეც თავზარი  
აოხრებითა.

გმირ-ვაჟკაცობით,  
მოსილი შობით  
იყავ საზარი  
გალომებითა.

გალაღებული,  
ხმაღაღებული  
ქრისტეს მხეღარი  
იყავ გზნებითა.

აწ კი შვებული,  
გამარჯვებული  
მშვიღად იღასი,  
იღაღებ გულსა,  
შენ გაქებს ერი  
ღღეს ბეღნიერი,  
საუნჯეს ჩვენღა  
მონიქებულსა.

გრაცხთ ბნელის ნაცვღად  
მოსულსა ნათღად,  
ვინც სიბრძნე ღვთისა  
მოგვიშაბაშა.

ვინც ტკბილი ენით,  
ღვთით მონაღენით  
აღგვიხვნა თვალნი,  
აგვიკაშკაშა.

ღა გეუბნებით  
ღღეს ყვეღა ქებით:  
იყავ ღღეგრძელი!  
ვაშა ღა ვაშა!

გ ი ო რ გ ი — ხოტბა კარგია, მაგრამ გადაქარბებული არ უნღა იყოს. მწერალი ღა მწერღობა, მხატვრობა ღა გაღობანი ყვეღაფერზე მაღღაა, ხოლო სულ ზევით სამშობღოა.

ბ ა ა ღ უ რ — მეფევე, მთარგმნელსაც აქვს სათქმელი.

მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი (წინ წამოღგება) — ჰომეროსის თარგმანს მოგახსენებთ:

„მრავაღფეროვან ღაღაღისით მზე აღმობრწყინღა,

ოკეანეთგან აღძრა ღღისა აღიაქოთი

ღა რა ღაჰღინა ზღვის კაღთებზე სხივები წმიღა.

უთხრა სიციოცხღეს მშვენიერსა სიტკბო ღა შფოთი.

ფეტიღამ ამცნო მზის ამოსვღა მთიღან მჩქეფ ღვარებს

და სხივდატეხით დაეფინა მირმინდონთ მხარეს.  
პატროკლემ ველზე დაცემული იპოვნა შვილი.  
ტიროდა იგი, მწუხარების ცეცხლით ავსილი,  
და მირმინდონნიც, მის წუხილით შეჭირვებულნი,  
ეხვივნენ გარე, როგორც მთვარეს ვარსკვლავთ კრებულნი.  
ვერცხლისფეხება იგი იდგა კრებულთა შორის,  
დამტირებელი ღვიძლი შვილის, მზის თანასწორის;  
„შვილო, ძნელია შენი გდება ტიალ მინდვრებში,  
მაგრამ არ ძალმიძს არ დაგტოვო კვლავ უპატრონოდ,  
რამეთუ ღმერთთა ნებითა ხარ შენ ამგვარ დღეში.  
რამეთუ არ გვიძს ღმერთთა სურვილს დავეპატრონოთ,  
აღსდექ, მიიღე: პელეონო, ჰეფესტასაგან  
ეს საჭურველი, საკვირველი, საუკეთესო,  
რა ბრწყინვალეაბაც არ ნახულა ნაშობ ყმათაგან,  
რამეთუ ღმერთად ქვეყანაზე შენცა ეთესო...“

გ ი ო რ გ ი — ბარაქალა, ბარაქალა! სულ გადმოთარგმნე და  
ისწავლეთ მაგალითი: იქ ღმერთები ებრძვიან ერთმანეთს  
ადამიანთა სახით, აქ კი, ჩვენს ქვეყანაში, ადამიანები  
დიდებულების სახით — მეფეებს მეფობისათვის, ტახ-  
ტისათვის. ამიტომ არც მრავალღმერთიანობა ვარგა და  
არც მრავალმეფიანობა.

ბ ა ა დ უ რ — დესპანები გეახლენ, მეფეო!

გ ი ო რ გ ი — რომელი ქვეყნიდან?

ბ ა ა დ უ რ — რომელშიაც ძველად ღმერთები ებრძოდნენ  
ერთმანეთს: ბიზანტიიდან.

გ ი ო რ გ ი — კიდევ?

ბ ა ა დ უ რ — დესპანი სელჩუკი ემირისა, დიდი სულთნისა  
და სხვანი.

გ ი ო რ გ ი — უბრძანეთ მოსვლა.

ბ ა ა დ უ რ — გთხოვთ.

(შემოდინ თითო-თითოდ. პირველად შემოდის ბიზანტიის დესპანი).

ბ ი ზ ა ნ ტ ი ი ს დ ე ს პ ა ნ ი — მეფევე!

სიცოცხლე მეფეს, ბრწყინვალესა და ძლევამოსილს!

ჩემი ხელმწიფის, კეისრისგან მაქვს მონდობილი;

აღფრთოვანებით მოგილოცო გამარჯვებანი

ზედან ბრბოების უსჯულოთა და ღვთის მგმობელთა.

ყოველ ჟამს იყო კეისარი გულით კეთილი მიმართ მეფეთა ერთმორწმუნე ივერიისა. ნიშნად ძმობისა, მიიღე ძღვნად თვალ-მარგალიტი ძნიად პოვნილნი ფსკერთა შინა ოკეანეთა.

გ ი ო რ გ ი — თავმდაბლად ვმადლობ კეისარსა ესოდენ ძღვნისთვის; ერთგულებაჲა მოახსენე ჩემგან გულწრფელი (დესპანი ვალის.) მტრებთან თქმული, ძმებთან უნდა სხვანაირად ვთქვა. გვახსოვს სიმუხთლე ჩვენდა მიმართ ბიზანტიელთა კეისრებისა, რომელთა სჯულს ჩვენცა ვლალადებთ...

ი ვ ა ნ ე — (საიდუმლოდ) ლიპარიტი, გესმის? იქონიე შენ დესპანებთან ურთიერთობა, დაგვჭირდება მათთან კავშირი. ხელავ. ზევიდან როგორ დაჰყეფს უცხო ქვეყნებსაც? ამ გულდიდობას არც ისინი აპატიებენ.

გ ი ო რ გ ი — ჩვენცა გვაქვს აზრი და გონების სხივით გასლენა ღროთა წყვილიადის გასაგებად, რომ წინა კაცი უკანა კაცის ხიდი არის. ჩვენ ვიციტ კარგად, თუ რაისანთვის გურგენ მეფეს, მეფეს აფხაზთა მაგისტროსობას კეისარი აძლევდა, ხოლო მის შვილსა ბაგრატს დაადგენდა კურაპალატად. ეს ვუწყით ჩვენა: მამა-შვილის გადამტერება ძალას მატებდა კეისარსა მონადსაყოფად აფხაზთა მეფის და სრულიადსაქართველოსას.

ლ ი პ ა რ ი ტ ი — დღეს უკეთესი სურვილებით მოვიდა იგი.

გ ი ო რ გ ი — მისსა უკეთეს სურვილებსა მრავალგზის ვიცნობთ, გამოგვიცლია. ისიც ვიციტ, რომ კეისარი ქართველ განდგომილთ და ურიცხვ მტრებს ეხმარებოდა. გვახსოვს გიორგის მეორისა ომები მასთან, ქრისტიანებმა ქრისტიანნი რომ მოაოხრეს და მონადა ქმნეს ერთმორწმუნე ივერიელნი.

გ ი ო რ გ ი ს მ ბ ა რ ე — წინა ამბავი უკანა კაცთ გამოვეყენოთ.

ბ ა ა დ უ რ — სელჯუკთ ემირის მოციქული.

(შემოდის ემირის დესპანი — ალა-სად-არსან).

გ ი ო რ გ ი — რა უნდა ემირს?

ბ ა ა დ უ რ — (უკითხავს ემირის ფირმანს)

„მოვიდა ჩვენთან მოციქული თქვენი სულაბერ

და მოგვახსენა ყოველივე თქვენ მიერ თქმული.  
გვიამბო, ვითქვამთ: „სელჯუქები ერი არ ხართო“.  
მართალი არის, არ ვიყავით სელჯუქნი ერი,  
ვიდრე მაღალმა და ძლიერმა ღმერთმა ხელითა  
მაჰმადისითა გზად მართალსა არ მიგვიყვანა  
და, უძღურების სიმდაბლიდან ამოყვანილნი,  
არა გვქვენა ძლიერ ისლამისა მართლმორწმუნებით.

მერე თქვა თქვენმა მოციქულმა, თქვა, რომ თქვენ  
ითხოვთ მშვიდობიანად მორიგებას ძლიერ ემირთან.

გიბარებ: არც მე, არც ჩემთან მყოფ კეთილმორწმუნეთ  
ამისდა სამტროდ არა გვაქვს რა. გიგზავნით თქვენად  
იბნ-აბდულ-ჰამიდს, სჯულთ მეცნიერს საუკეთესოს და  
შესანიშნავ მკითხველთაგანს ყურანისასა. მას ვატან ამ  
წიგნს იმის ცნობად, იმის უწყებად. რათა დაგზავდეთ  
საუკუნო დაზავებითა. თუ მოისურვებ, ზავს დაგიდებს  
მტკიცეს სულთანნი; თუ ესე არა, მაშინ იგი პატიოსანი  
გამოგიცხადებს ომს გადამჭრელს სიმართლისასა, რამე-  
თუ ვუწყით: ურწმუნონი არა სთნავს ღმერთსა!

გ ი ო რ გ ი — დაიგვიანე, მოციქულო სულთანისაო, მე კი არ  
ვითხოვ დაზავებას — ის უნდა მთხოვდეს. ხოლო თუ  
უნდა შეწყნარება — ჯერ არას ვიტყვი.

(დესპანი გაღის).

ი ვ ა ნ ე — (ლიპარიტს) ჩვენ ეს ამბავი უსათუოდ გამოგვადგება.

გ ი ო რ გ ი — განდიდებული ერთის მარცხით. რაიც გიორგის  
უჩიშო გვარის დიდებულთა ერთმა უგნურმა  
ბილწი ლალატით მიაყენა — კვლავ გულზეიადობს.  
გიორგი მეფე არავის წინ ქედს არ მოიხრის  
და არცა ვის სთხოვს შერიგებას ურიგობისთვის.  
თუ უნდა ომი, დე, იომოს — მეც მზად დავხვდები.

ი ვ ა ნ ე — (საიდუმლოდ ლიპარიტს)

ეს უეჭველად დაგვჭირდება. წადი, ლიპარიტ, სელჯუქთა  
დესპანს აგრძნობინე, რომ მომხრეები და მშველენიცა  
ყვევართ სულთანს საქართველოში!

(ლიპარიტი გაღის).

ბ ა ა დ უ რ — აღარბადაგანის მოციქული.



აღარბადაგანის მოციქული — დიღო ხელმწიფევ!  
მიიღე ძღვენი, ფრინველები სხვადასხვაგვარი,  
ტურფანი ზედან სანახავად და მრავალფერნი.  
ამით ეძიებს მშვიდობასა ხანშარა შენთან:  
აღარც ულღოგუზს, არც შაპარმენს არღა ძმად იცნობს.  
გიორგი — ძალა აღმართს ხნავს — მოახსენე მადლობა ჩემი.

(აღარბადაგანის დესპანი გაღის).

ბაადურ — ოვსეთისაგან.

ოვსეთის დესპანი — დიღო ხელმწიფევ! ჩვენ, ოვსები.  
კვლავ შენთანა ვართ — მოხუცებიდან ვიდრე ჯერ არ-  
შობილ ყრმათამდე. გიორგი მეფის ერთგულება დავი-  
დეთ რჯულად.

გიორგი — გმადლობთ! გმადლობთ!

ბაადურ — მთა.

მთიული — შენი კენესამე, დიღო ხელმწიფევ!

ნუმცა მოგვაკლებ ძმობას სალაშქროდ.

ჩვენი მკლავები დადუნდების, თუ არ გვაომებ.

ფარს უანგი შასქამს, დაჩლუნგდების ხვარასაულიც.

ლაშარის ჯვარიმც მწყალობელი იყოს შენზედა

მუდამ, როგორც დღეს. ჩვენ შენთანა ვართ.

ძღვნად კი მცირელი რამ მოგართვით: ჯიხვი და შურთხი.

გიორგი — შეხვეწილებო, მიუვალთა მთათ ჯურღმულებში.  
მიიღეთ ჩემგან უმდაბლესი ძმური მადლობა.

ბაადურ — ლეკეთისაგან.

ლექთა დესპანი — ლექთა ქვეყანა,

შენი დისწულის საბრძანებლო, რომელიც იხსენ

შორით მოსული ხაზარების თავდასხმისაგან,

გიძღვნის მადლობას და ფიცსა სდებს ერთგულებისას.

არღა აიღო ჩვენზე ხელი მფარველობისა

და ათი ათასს მიიმატებ რჩეულ შუბოსნებს:

დარუბანდიდან წარმომგვაღენთ მეხსა და მედგარს;

თუ გაგიბედავს ვინმე, მეფევ, ავად ხსენებას.

გიორგი — იმდენს ნუ რტყვიო, რამდენიცა არ შეგიძლიანთ.  
გისურვებთ აღთქმულ ფიცის მტკიცე პატრონად ყოფნას!

ბაადურ — გათავდა!

ი ვ ა ნ ე — მეფევ! სრულწლოვანი გახდა მემკვიდრე.

გ ი ო რ გ ი — ვის უწოდებთ თქვენ მემკვიდრესა?

ხ მ ე ბ ი — დემნაა, დემნა.

გაუმარჯოს დემნას!

ბ ა ა დ უ რ — გაჩუმდით!

ყ უ ბ ა ს ა რ — მეფე მეფობს, სხვა რაღად გინდათ!

ხ მ ე ბ ი — გაუმარჯოს გიორგი მეფეს!

ყ უ ბ ა ს ა რ — სმენა და გაგონება!

ხ მ ა — ფიცი გასტეხა მეფემ.

— სიცრუეა!

— განდგომილება! განდგომილება!

— სიკვდილი განდგომილებს!

— გაუმარჯოს გიორგი ბრძენსა!

— ტახტი დემნას! ნამდვილ მემკვიდრეს!

— ფიცი! ფიცი!

ყ უ ბ ა ს ა რ — ხალხო, სიჩუმე!

ბ ა ა დ უ რ — სიჩუმე!

წესიერება დაიცავით! (სიჩუმეა).

ი ვ ა ნ ე — წესიერება მეფეს სთხოვეთ. მომყეთ, მომხრენო!  
(გადიან ორბელნი).

გ ი ო რ გ ი — არ დამაცადეს დამთავრება ამ ზეიმისა, ორბელ-  
თა გვარმა ამბოხება დაიწყო კვალად. ორგულბუნება  
არს პირველთაგანვეო. ეს მართალია. მაგრამ ამ ბუნებას  
ორგულობისას ისე ამოვგლეჯ ორბელთ, რომ ორგულნი  
ორგულობის შიშით საფლავშიც თრთოდნენ!

## მოქმედება მეორე

### სურათი პირველი

ივანე ორბელის სასახლე. მაიკო და დემნა.

მ ა ი კ ო — ჩემო კარგო, ჩვენს ცხოვრებას უამინდობის რაღაც  
კია შეუჩნდა და ღრღნის. სულ შფოთავ, სულ რაღაცას  
ელი... როდისღა უნდა დამშვიდდე? მშვიდობიანი ცხოვ-  
რება არ გვიწერია?

დ ე მ ნ ა — ვინ იცის! მაგრამ ბოლო კეთილია... საქართველო-

ში დღემდე არც ერთი მემკვიდრე მშვიდობიანად არა ყოფილა და მე რა წითელი კოჭი ვარ! მე ერთსა ვნატრობ...

მაიკო — რას ნატრობ?

დემნა — ნეტავ მემკვიდრე არ ვყოფილიყავ!

მაიკო — არეულად ლაპარაკობ. მე სწორედ იმისთვის მიყვარხარ, რასაც შენ უარჰყოფ. შენ უნდა დაიმკვიდრო სამეფო ტახტი (კონის). ყველაფერი უნდა იკისრო, არაფერს არ უნდა დაერიდო, ოღონდ დაიბრუნო მამიშენის სამეფო ტახტი. (კიდევ კონის შემოდის ივანე).

ივანე — ნეტაი თქვენა! ვითომ დიდ საქმეს აკეთებდნენ! დემნა! (მაიკო და დემნა განზორღვებიან უცბად ერთმანეთს). მოეშვი ჩემს ასულს, მაია, დაგვაცალე საქმე. (მაიკო გადის). დემნა, აღარა გნახო ჩემს ასულთან, სანამ მტკიცე ფიცს არ მომცემ ერთგულებისას.

დემნა — მე ერთგული ვარ შენი, ცამდე ერთგული.

ივანე — მემკვიდრეობის მიღებაზე უარს რათ ამბობ?!

დემნა — ჩემო სიმამრო! გმადლობთ, რომ შენ ჩემთვის ზრუნავ,

რომ მეხმარები მაგ საქმეში, მაგრამ წყევლასა და კრულვას ვუთვლი მამაჩემსა, რომელმაც ჰირად და სავაგლახოდ დამიტოვა მემკვიდრეობა.

არ შეიძლება ვულაღათო მაგ წყეულ ანდერძს?!

ივანე — მაშ მეც მლაღატობ!

დემნა — ღმერთო, ღმერთო! რა დავაშავე

ამ ტანჯვისათვის? რათ ჩამაგდე ამ უღვთო ცეცხლში?

დიდო ბატონო სომხითისავ, ორბელთა ძეო, სახელგანთქმული, დიდი გვარის დიდო ივანე, მიბრძანე, რაც გსურს, დამავალე მტერთა ბრბოებში, ვით მხნე მკურავი ზღვის მორევეში, გადავერიო ხმალამოწვდილი მხიარულად და უშიშრად, ოღონდ დამხსენი მამიჩემის ტახტსა და ანდერძს.

ივანე — ასე მლაღატობ თავგანწირვით და მედიდურად?

დემნა — არა!

ივანე — პასუხი მითხარ სწორედ! სწორედ და მოკლედ! იღებ თუ არა მამიშენის მემკვიდრეობას?

გიორგი მეფეს, მიმტაცებელს, უნდა წავგლიჯოთ.

- დ ე მ ნ ა — ეგ რამდენ სისხლად დაგვიჯდება, ბატონო ჩემო?
- ი ვ ა ნ ე — რა გეკითხება?
- დ ე მ ნ ა — ჩემი საქმე სხვას ვისა ვეკითხო?
- ი ვ ა ნ ე — აღარა განახო ჩემს ასულთან, აღარც გავიგო შენი პირიდან მისი სახელი!
- დ ე მ ნ ა — რათა, ბატონო?
- ი ვ ა ნ ე — იმად, რომ იგი ღირსი არის დედოფლობისა.  
და არა ტახტით გადაგდებულ ყმის ცოლობისა?
- დ ე მ ნ ა — (დაფიქრდება).  
აი მიზეზი რა ყოფილა ყოფნა-არყოფნის!  
ან მეფის ტახტი და მაიკო, ან არაფერი —  
სრული წარხოცვა ამქვეყნიდან, არარაობა!  
როგორ მოვიქცე? რა ვირჩიო? რა გზას დავადგე!  
მეფესთან ბრძოლა ტახტისათვის და მაიკოსთვის,  
თუ მონად ქცევა, სიმდაბლე და არარაობა?  
გიორგი მეფე? შემიწყნარებს?.. მაგრამ მაიკო?..  
ოჰ, მაიკო! სიყვარულის მონა ვყოფილვარ.
- ი ვ ა ნ ე — რამ დაგაფიქრა?
- დ ე მ ნ ა — თანახმა ვარ.
- ი ვ ა ნ ე — მაშ მომე ფიცი.
- დ ე მ ნ ა — ვფიცავ!
- ი ვ ა ნ ე — ასე არა! მღვდელ-დიაკვანო! (შემოდინა შემოსილი მღვდელი და დიაკვანი.) მღვდელ-დიაკვანო! დააფიცი ჯვრისა და სახარების წინაშე. (მღვდელ-დიაკვანი ჯვარსა და სახარებას აღაპყრობენ.) დაიფიცე!
- დ ე მ ნ ა — ვფიცავ!
- ი ვ ა ნ ე — მოიტა ხმალი! ჩემი შენკენ, შენი ჩემკენ! გამოსახე ჯვარი! გულში მახვილი მოღალატეს, ფიცის გამტეხს. გაიმეორე შენც.
- დ ე მ ნ ა — გულში მახვილი მოღალატეს.
- ი ვ ა ნ ე — ამინ! (მღვდელ-დიაკვანს) გმადლობთ, მამანო! გასამრჯელოს მოგართმევენ!
- დ ე მ ნ ა — კიდევ დამიშლი შენს ასულთან ცოლქმრობის აღერსს?
- ი ვ ა ნ ე — ცოლქმრობა თქვენი უნდა იქცეს მეფედედუფლობად.

დემნა — მეფედელუფლობამდე?

ივანე — სხვას არას ფიქრობ მაგის მეტსა?! ოოჰ, ახალ-  
გაზრდავ!

დემნა — ნუ შემიგინებ ახალგაზრდობას!

ივანე — შევუდგეთ საქმეს... აი ისინიც...

(შემოდინან ლიპარიტ ორბელი, სარგის ჭანელი, გრიგოლ ანელი,  
ანანია დვინელი, ბაადურ ორბელი, დიდი გამრეკელი, ქავთარ.  
ბოლოს შემოიპარება გლახა. მოთარებით ყურს უგდებს).

ყველანი — აქა მშვიდობა.

ივანე — თქვენდა მშვიდობა. ყველანი ბრძანდებით?

ყველანი — დიას, ყველანი.

ივანე — დაბრძანდით!.. (დასხდებიან.)

შევუდგეთ საქმეს.

ანანია — გვიბრძანეთ.

ივანე — დიდებულნო! გიორგი მეფის გადაგდება ჩვენი ტახ-  
ტიდან ძნელი საქმეა. ამას მარტო ჩვენ ჩვენი ძალებით  
ვერ მოვახერხებთ. ამიტომ უნდა მოვიშველიოთ გარეშე  
ძალაც. შენ, ანანია, ადარბადაგანს უნდა წახვიდე. იქაუ-  
რები დაითათბირო, გადმოიბირო და შეითანხმო, თან  
დაარწმუნო, რომ გამარჯვება აუცილებლად ჩვენი იქნება.

ანანია — კარგი. ამისთვის რას დავპირდე?

ივანე — ყველაფერზე თანხმობა უთხარ... ქავთარ, შენ  
წახვალ ბიზანტიაში, უეჭველია, კეისარი ყოყლოჩინობას  
გიორგისას გაიგებს მალე და ჩვენს თხოვნაზე მის წი-  
ნააღმდეგ უარს არ იტყვის.

ქავთარ — სამაგიეროდ რა აღვუთქვა?

ივანე — გიორგისაგან წართმეული ზღვის ნაპირები.

- ლიპარიტ, წახვალ შენ სულთანთან. ის ნაღდად ჩვენი  
მოკავშირეა. სიხარულით შეეგებება ჩვენს ამბოხებას  
გიორგისა ასალაგმავად.

ლიპარიტ — სულთანს რა მივცეთ?

ივანე — გადავარდნა გიორგი მეფის

მისთვის უფასო და უკვდავი ჩილდო იქნება.

ხოლო შემდგომად მოვრიგდებით, უეჭველია.

დანარჩენებმა, ვისაც ვისთან გემარჯვებოდეთ,

აკეთეთ საქმე, სადამდეც კი მიგიწვდებოდნენ  
სიტყვა თუ ხელი. გაისარჯეთ, ნუ დაიზარებთ.  
ენაწყლიანი ლაპარაკით, მაგალითებით  
სარწმუნო ქმენით ყველასათვის ჩვენი სიმართლე.  
ხალხისა გულში აღაგზნეთ და აღმართეთ ცეცხლი  
გიორგი მეფის ცოდვიანი საქმის შემწველი.  
მიმოაფრინეთ შიკრიკებიც ყველა კუთხისკენ  
ამავე მეფის ფიცგამტეხი ამბის განთესვად...  
საქართველოში თვით ხეებიც, უსულო ქვანიც  
უნდა ამხედრდნენ უსამართლო ბატონის წარღვნად!

დიდი გამრეკელი — მერე, ივანე, მაგისათვის დავ-  
ხარჯოთ უნდა ჩვენი მიწა-წყლის ნაწილები ძნიად  
ნაშოვნო?

ივანე — მუქთად არავინ არ გვიშველის, შველა კი, შველა  
აუცილებლად საჭიროა... აუცილებლად!  
ჩვენ უნდა მეფე შევიპყრათ და განვსაჯოთ კიდეც.

დიდი გამრეკელი — (გაიყვანს გრიგოლ ანელს ცალკე და  
საიდუმლოდ) გრიგოლ ანელო, მე არ მომწონს და არცა  
მჯერა ეს საქმე რაღაც იდუმალი, გაურკვეველი. რაღაც-  
ნაირად მეჩვენება, თითქოს თანდათან მივტოპავდე და  
ვეფლობოდე უცნაურ ბნელში.

გრიგოლ ანელი — ეს არც მე მომწონს.

დიდი გამრეკელი — ხომ არა ვცოდავთ ღვთის წინაშე,  
დიდო ივანე?

ივანე — ღმერთს ისა სცოდავს, ვინც ივანეს ამ ცილსა  
სწამებს.

გრიგოლ ანელი — სხვისა ცოდვაში არ გაგვირიო.

ივანე — ნუ გაერევით,  
გვეცოდინება, რომ მხდალნი და მშიშარანი ხართ...

ყველანი — კიდევ რას გვეტყვი?

ივანე — აღარაფერს. რაც გადავწყვიტეთ და დავალება ვი-  
დეთ კისრად, ის ავასრულოთ. (გადიან ყველანი. ბაადურ  
მიღის ყველაზე ბოლოს.) ბაადურ!

(ბაადური მობრუნდება, ამ დროს გამოჩნდება გლახა.)

გლახა — ეხლა რო მნახონ, რა ვუპასუხო? (ისევ მოეფარება).

ბ ა ა დ უ რ — რას მიბრძანებ?

ი ვ ა ნ ე — შენ ჩემთან დარჩი... სად არიან დაპირებულნი?

ბ ა ა დ უ რ — მათ მოსაყვანად მივდიოდი.

ი ვ ა ნ ე — შემოიყვანე.

ბ ა ა დ უ რ — (კარებიდან ანიშნებს) მოდით! მოდით! (შემოდის ხარატო შეილებით).

ი ვ ა ნ ე — ვინა ხარ შენ?

ხ ა რ ა ტ ო — გაგლებებული აზნაური.

(კიდევ შემოიხედავს გლახა. შემდეგ მოფარებით ყურს უგდებს).

ი ვ ა ნ ე — ვინ გაგაგლება?

ხ ა რ ა ტ ო — გიორგის პაპამ: პაპაჩემს ჩამოართო აზნაურობა განდგომისათვის. მას შემდეგ გლებები ვართ. ბაადურმა აგვიყვანა მეფის სამსახურში.

ი ვ ა ნ ე — სული სულს იცნობსო, ნათქვამია. სწორედ მიგიგნია, შენი წამალი ჩვენა გვაქვს.

ხ ა რ ა ტ ო — მეც ასე მჯერა.

ი ვ ა ნ ე — მორიელის ნაკბენს მორიელივე მოარჩენს: განდგომისათვის გაგლებებულ აზნაურს განდგომავე გაააზნაურებს... შენებია ეს ვაჟები?

ხ ა რ ა ტ ო — დიახ, ბატონო.

ი ვ ა ნ ე — რისთვის მოხვედით?

ხ ა რ ა ტ ო — ბაადურმა დაგვაგალა.

ი ვ ა ნ ე — რა დაგავალათ?

ხ ა რ ა ტ ო — რაც შენ დაავალე მას.

ი ვ ა ნ ე — რა დავავალე მე?

ხ ა რ ა ტ ო — როდესაც დიდი ბატონი ორბელი ჯანყისათვის ხალხს მოამზადებს (საიღუმლოდ), მე და ჩემს შეილებს ვალადა გვძევს დათვი დავაბათ სასახლეში.

ბ ა ა დ უ რ — მეფეზე მოგახსენებენ.

ი ვ ა ნ ე — მერე როგორ მოხდა, რომ მეფის გვერდით მის სამსახურის ღირსი გაგხადეს?

ხ ა რ ა ტ ო — ასე მოახსენა ბაადურმა ხელმწიფეს: ეს მდაბიონი შენს ერთგულებას ნატრულობენო. იმას ხომ უყვარს მდაბიოებით გარემოცვა — იმ წამსვე შეგვიწყინარა.

ი ვ ა ნ ე — კარგი მახეა. მაგრამ უფროთხილდით: თქვენს მახეში

თქვენვე არ გაებათ. თქვენ ფეხი ხართ ჩვენი და თქვენი  
გაბმა ჩვენი გაბმაც იქნება.

ხ ა რ ა ტ ო — მოხერხებაც გვაქვს, შნოც და უნარიც.

ი ვ ა ნ ე — (მიმართავს ახალგაზრდებს) — თქვენა, კაბუყებო! რის-  
თვის გარჯილხართ?

ო რ ი ვ ე — მამაჩვენისთვის.

ი ვ ა ნ ე — შენ რა გქვიან?

ძ ი ო — ძიო.

ი ვ ა ნ ე — შენა?

ჯ ი ო — ჯიო.

ი ვ ა ნ ე — შენ რის შემძლე ხარ, ძიო?

ძ ი ო — ქორს დავეწევი.

ი ვ ა ნ ე — შენა ჯიო?

ჯ ი ო — სპილოს დავიჭერ ფეხდაფეხ.

ი ვ ა ნ ე — სწორედ რომ თქვენი დასაჭერი სპილო გვყავს.

ჯ ი ო — სად არის ეგ სპილო?

ი ვ ა ნ ე — მამათქვენი გიჩვენებთ.

ჯ ი ო — დავიჭერთ და ცარიელ ბაგაზე დავაბამთ.

ი ვ ა ნ ე — ასე ჰქმენით. წადით და ელოდეთ სამსახურის წუ-  
თებს. ღმერთმა გამარჯვება მოგცეთ! (გაღიან. ივანე მარტო  
რჩება. გლახა გამოჰყოფს თავს).

გ ლ ა ხ ა — იფ! რა ამბები ვიცი! მეფეს რომ ვუთხრა, ოქროს  
გვირგვინს დამადგამს, მაგრამ ორბელებმა რომ გაიმარჯ-  
ვონ? (გაუჩინარდება).

ი ვ ა ნ ე — საქმე კარგა ეწყობა, მაგრამ საკვირველია ადამიან-  
ის ბუნება: ვიცრუე და ჩემი სიცრუე შემდეგ თვითონაც  
მჯერა, როგორც ხალასი სიმართლე. დემნას მამას არავი-  
თარი ფიციარ ჩამოურთმევია გიორგი მეფისთვის და  
არც ჩემთვის დაუვალეზია რამე... მაგრამ რა საფიქრ-  
ბელია ეხლა ეს?

(შემოვარდება გლახა).

გ ლ ა ხ ა — დიდო ბატონო!

ი ვ ა ნ ე — რა იყო?

გ ლ ა ხ ა — არაფერი.

ი ვ ა ნ ე — საიდან გაჩნდი?



- გ ლ ა ხ ა — რომ იცოდე, რა ამბავი მოგიტანე, ხელახლა ამი-  
სებდი ქისას ფულით.
- ი ვ ა ნ ე — რა ამბავი მომიტანე?
- გ ლ ა ხ ა — გიორგი მეფემა თქვა, ივანე ორბელი დიდი გაიძვე-  
რააო.
- ი ვ ა ნ ე — მეტი არაფერი?
- გ ლ ა ხ ა — მაგაზე დიდი ფერი რაღა უნდა იყოს! ჭერჭერო-  
ბით ეს იკმარე და შემდეგ სხვა იქნება.
- ი ვ ა ნ ე — ვინ შემოგიშვა ჩემს სასახლეში?
- გ ლ ა ხ ა — შენმა ქისამ. აი (უჩვენებს) აქა წერია შენი სახელი.  
მე შენს სიკეთეს არ დავივიწყებ.
- ი ვ ა ნ ე — ვინ შემოგიყვანა-მეთქი აქ?
- გ ლ ა ხ ა — აკი მოგახსენე, შენმა ქისამ, დაცარიელებულმა  
ქისამ.
- ი ვ ა ნ ე — რა გინდა?
- გ ლ ა ხ ა — შენი კარგად ყოფნა. გმადლობთ, რომ შენმა ქისამ  
აღამიანად მაქცია, სამსახურიც გამიჩინა. კიდეც რას და-  
მავალებ?
- ი ვ ა ნ ე — ესე იგი, ფული გინდა, არა?
- გ ლ ა ხ ა — შენ ამბობ, თორემ მე ვგ არ მითქვამს.
- ი ვ ა ნ ე — რაც მოგეცი, იმის რა გამიკეთე? მეფეს რაღაცა  
წასჩურჩულე მაშინ. რა უთხარი?
- გ ლ ა ხ ა — მოწყალება ვთხოვე. ამისთვის ჰანღური მკრეს და  
შემდეგ ყველაზე ბევრს მე ვყვიროდი, მეფე მოლაღალტეა-  
მეთქი. კისრის ძარღვები დავიწყვიტე ყვირილით.
- ი ვ ა ნ ე — არ მატყუებ?
- გ ლ ა ხ ა — როგორ გაკადრებ?
- ი ვ ა ნ ე — მე იქ შენი ხმა სულ არ გამიგია.
- გ ლ ა ხ ა — ჭვარზე დავიფიცავ, რომ მართალს მოგახსენებ.
- ი ვ ა ნ ე — ჭვარზე გაგაკრავ, ჭვარზე, თუ თაღლითობა შეგატყე.
- გ ლ ა ხ ა — შენი ხმალი და ეს ჩემი კისერი — დამკა, თუ  
ვცრუობდე.
- ი ვ ა ნ ე — მაშ კარგი... კიდეც გიბოძებ საჩუქარს მხოლოდ...
- გ ლ ა ხ ა — რაა, ბატონო?
- ი ვ ა ნ ე — შენამდე ვინ იყვნენ აქ?
- გ ლ ა ხ ა — შენს მეტი აქ არავინ არის.

ივანე — შენამდე-მეთქი.

გლახა — ჩემამდე შენ გეცოდინება, მე აქ არ ვიყავ, ვინ იყო აქა?

ივანე — არავინ.

გლახა — არეულად რად მელაპარაკები?

ივანე — აგრევე შენა!

გლახა — ნუ ამრევ, თორემ შენვე იზარალებ. დამავალე რამე.

ივანე — მოკლედა თქვი. ფული გინდა! აჰა! (აძლევს). იმასვე გავალე, რაც გევალა!

გლახა — (გარბის ყვირილით) გიორგი მეფე მოლაღატეა, ფიცის გამტეხი! გაუმარჯოს დემნას!.. (ისევ შემოდის) კარგი, მაგრამ, გიორგიმ რომ გამიგოს, ხომ დავიღუპე. ვინლა შემიშვებს სასახლეში! მაშინ ამბავი როგორღა მოგიტანო?

ივანე — ძალას ვინ გატანს, შენც ნუ იყვირებ. წყნარად იყავ სასახლეში და იქაური ამბები წყნარად მომიტანე.

გლახა — ეგ დიდებულია. ამას იქით შენი ქისა და შენი ჭკუა მექნება.

ივანე — როცა ყვირილი იყოს საჭირო, ყელს ნუ დაზოგავ.

გლახა — აკი სხვანაირად მოვრიგდით.

ივანე — რატომაო?

გლახა — ყელი მომშლია და ღრიჭინებს.

ივანე — ასე უეცრად რამ მოგიშალა?

გლახა — შესაპოვნება უნდა.

ივანე — ჰოო, გავიგე... ხელადით ღვინო!

გლახა — რა დიდი გაგება მაგას უნდა, ბატონო: ურემს თუ არ შეუსაპოვნეს, ღრიჭინს დაიწყებს და ღერძიც გადაიწყება. (შემოუტანენ ღვინოს).

ივანე — აჰა, დალიე!

გლახა — ცხონდეს ჩვენი წინაპრების სული! (დალევს) ახლა ყველაფერი რიგზე იქნება: აღარც ღრიჭინს დაიწყებს და აღარც გადაიწყება. ახლა ურმის გადაბრუნებასღა უნდა უცადო.

ივანე — მაგისას კიდევ ცალკე მოითხოვ ალბათ.

გლახა — როცა გადაბრუნდება, მერე ვილაპარაკოთ! (გარბის).

სურათი მეორე  
გიორგი მეფის სასახლე

(თოტორმე და გლახა შეხედებიან ერთმანეთს).

თოტორმე — ვინა ხარ, გიჟო, შენ?

გლახა — თვითონ ვინა ხარ?

თოტორმე — ერთი კუდამდე ტყავგამძვრალი გლეხი ვიყავი. ჩემმა ბატონებმა ხან ერთ დიდებულთან მამბრძოლეს, ხან მეორესთან. მერე მეფესთანაც მაქიდავეს. სულ შემომეტვრა რქები. ბოლოს ვყარე ტლინკები და მეფეს მივეცი მხარი.

გლახა — მაშვირი ყოფილხარ?

თოტორმე — ვირიცა ვარ და მგელიც მეფის სასიკეთოდ.

გლახა — აი, გენაცვალე მაგ ტლინკებში! მეც ასე ვქენ.

თოტორმე — ერთ დროს ისე აირია ქვეყანა, რომ ყველა თავის თავს მეფეს ეძახდა.

გლახა — საქართველოში მეფეზე ქვევით ყოფნა არავის უნდა.

თოტორმე — ვენაცვალე გიორგი მეფეს.

გლახა — რათა?

თოტორმე — იმათ, რომ ზოგს ყური აუწია, ზოგს დააქრა კიდევ ყურები, ზოგს შეუკვეცა ფრთები და ფეხებსაც რომ შემომამტვრევდეს, კარგი იქნებოდა.

გლახა — ავიც იმან იცის და კარგიც. მეფის მორჩილი უნდა იყოს ყველა.

თოტორმე — მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება.

გლახა — ნამდვილი ბრძენი ყოფილხარ. იყალთოში იქნები გაწრთვნილი.

თოტორმე — ვირის ბაგაში გავიზარდე და იქვე გავიწრთვენი... მეფე მობრძანდება... შენთან ლაპარაკში დამავიწყდა ყველაფერი... (დაიძახებს) ამალა! (ყველგან ჩადგება მკველი.) სალამი და სიცოცხლე მეფეს! (შემოდის გიორგი და შემოსდევს ხარატო თავისი შვილებით).

გიორგი — ხარატო, სეიდაბადის მოედანზე წადი. იქ ზეიმი აქვს ხალხსა და დაიცავი წესრიგი შენი შვილებით. წესრიგის დროშა მალლა უნდა გეჭიროს. გამარჯვებულსა და

- მტკიცე ქვეყანაში უწესრიგობა არ უნდა იყოს. გაიგე?
- ხ ა რ ა ტ ო — დიახ, ბატონო! გავიგე. (გაღის და გასდევნენ შვილები).
- გ ი ო რ გ ი — თოტორმე, შენ სასახლეში დარჩი. მიხედლე საქმეს. (თოტორმე გაღის.) რა იცი, გლახა?
- გ ლ ა ხ ა — ცუდს რამეს გიპირებენ, მეფევე, ორბელნი.
- გ ი ო რ გ ი — რას?
- გ ლ ა ხ ა — ცუდი რომ არის, ვიცი, მაგრამ რა არის, ეს კი აღარ ვიცი, ვერ გავიგე.
- გ ი ო რ გ ი — საჩუქარი და გასამრჯელო ხომ არ არის საჭირო კარგა გაგებისათვის?
- გ ლ ა ხ ა — რა მოგახსენოთ, დიდო მეფევე...
- გ ი ო რ გ ი — რას ილურსები ჭაკი ცხენივით... აჰა, ჯილდო (აძლევს ქისას).
- გ ლ ა ხ ა — ყველაფერს კარგად შევატყობ. მეფევე... (მიღის. შემდეგ ისევ მობრუნდება) ცუდ საქმეს გიწყობენ ორბელნი. მეფევე, ძალიან ცუდს!
- გ ი ო რ გ ი — რას?
- გ ლ ა ხ ა — ეგ მერე იყოს. (მიღის).
- გ ი ო რ გ ი — მოიცა! გლახის სამოსში იარე ისევ. ღამეები ათიე გომურებში...
- გ ლ ა ხ ა — რა უნდა ორბელებს გომურებში?
- გ ი ო რ გ ი — სიტყვას ნუ მაცლი პირიდან. ღამეები ათიე გომურებში და ფარეხებში, ქონმახებშიც და ორბელებთანაც. ისინი გომურებიდან და ქონმახებიდან შემომიტევენ.
- გ ლ ა ხ ა — მიგიხვდი, მეფევე! ასე ვიქმ! (გაღის).
- გ ი ო რ გ ი — განტევებულებმა გადმოაბიჯეს თუ არა დილეგთა დირეს — „იწყეს განზრახვად ბოროტისა უფლისა მიმართ“... ჰოი, დიდებულნო! ჰოი, ორბელნო, ყვავე-ყორნებივით რომ დასტრიალებთ საქართველოს თვითმპყრობელის ტახტს, რათა აქციოთ იგი მძორად, ყვავეთა საჯიჯგნად და ფეხქვეშ სათრევად! თოტორმე! (შემოდის თოტორმე).
- თ ო ტ ო რ მ ე — გისმენ, მეფეო!
- გ ი ო რ გ ი — სად არის ბაადურ? (შემოდის ბაადურ).
- ბ ა ა დ უ რ — აქ განლავარ.

გ ი ო რ გ ი — რა ამბავია ქვეყანაზე?

ბ ა ა დ უ რ — ოსანა ცათა შინა, მშვიდობა და სათნოება კაც-  
თა შორის ქვეყანასა ზედა.

გ ი ო რ გ ი — მართალს ამბობ?

ბ ა ა დ უ რ — დიახ, მართალს. რამეთუ თვალნი ჩემნი მეტს  
ვერაფერს ხედვენ და ყურნი ჩემნი მეტს ვერაფერს ის-  
მენენ.

გ ი ო რ გ ი — აბა, პირდაპირ შემომხედე. (უყურებს მკაცრად.)  
თვალეებში მიყურე! თვალეებში-მეთქი! (ხანგრძლივი მზე-  
რა.) შენი თვალეები იმ ეტრატსა ჰგავს; სადაც მრავალ-  
ჯერ დაწერეს, წაშალეს კიდევ; ძველ ნაწერს ზევიდან  
ახალი დააწერეს და ყოველივე არეული გველ-ბაყაყებით  
სავსე გუბესავით ღვას. საკმარისია შევარხიო, რომ ჰიმყ-  
რალეც წამოიშალოს.

ბ ა ა დ უ რ — შეარხიე ბარემ.

გ ი ო რ გ ი — ბებერო თხავ! (ხელსა სტაცებს წვერში და დააჩოქებს)  
ორბელთა შორის მოსისინე ცბიერო გველო!  
რად არა ზიხარ შენს სოროში ან ცხელ ყორეზე —  
მზის სხივებიდან მხოლოდ მზამის შესამზადებლად?!

ბ ა ა დ უ რ — ჩამომავალი სახელგანთქმულ ორბელთა გვარისა,  
ამასთანავე ნათესავი, თესლი და მოდგმა  
თვით ხელმწიფესი, დემეტრესი, მამაშენისა,  
ნუთუ ღირსი ვარ ესოდენი შეურაცხყოფის?  
მერე რისთვისა? უმიზეზოდ და უსაბუთოდ!

გ ი ო რ გ ი — ადექი ფეხზე... (აყენებს) ძალიანაც ნუ გამიწყ-  
რები

გამოსაცდელად გაგირისხდი, თორემ მე ვიცი,

ორბელთა შორის ერთადერთი შეუძმწიკლავი:

პატიოსანი და ერთგული შენა ხარ ჩემი.

მე ისიც მჯერა, რომ განზრახვას ჩემდამი ბოროტს

თვით მოღალატე ორბელთაგან არ დამიმალავ!

არა, ბაადურ?... რა თქმა უნდა... ხოლო ხუმრობა

ეს ჩემი ქცევა, არ ჩაიღო გულში ბოროტად.

(ღარბაზის ღია კარიდან შემოვარდება ისარი და ბაადურის ფეხთან  
დაეცემა. ისარს შემოსდევს რუსუდანი. ბაადური ისარს აიღებს და მიაწე-  
დის რუსუდანს).

რ უ ს უ დ ა ნ ი — უკაცრავად, ბატონებო. ეს შენი მოუსვენარი თამარის საქმეა, ჩემო ძმაო გიორგი. ატეხილა, მოისარი უნდა ვიყო — ისრის ტყორცნასა სწავლობს. ვერც მოვაშლევინე და ვერც გავიგე, თუ რისთვის უნდა... მაპატიეთ, ბატონებო! ხელი შევიშალეთ!

გ ი ო რ გ ი — ასე, ბაადურ... მჯერა, რომ არაფერს დამიმალავ... ისიცა მჯერა, რომ რალაცას აპირებენ.

ბ ა ა დ უ რ — თუ ერთგულება გწამს ჩემი — არაფერს აპირებენ.

გ ი ო რ გ ი — შენი სიტყვა ისე მწამს, როგორც შენი ერთგულება... წადი და მოუარე სასახლის მსახურთ... გულისყური გქონდეს, იქნებ გაიგო რამე...

(ბაადურ გადის).

თ ო ტ ო რ მ ე — მეფევ, სარდლები გეახლნენ.

გ ი ო რ გ ი — უბრძანე. (შემოდიან ეუბასარ, პაატა, კიაბერ და სხვანი).

ყ ვ ე ლ ა ნ ი — სიცოცხლე მეფეს!

გ ი ო რ გ ი — გამარჯვება სარდლებს! (დაეწყობიან მეფის ირგვლივ).

ქ ი ა ბ ე რ — მეფევ! ნათქვამია: სიფრთხილეს თავი არ ასტიკვავო. ჩვენ გეახელით სიფრთხილისთვის. ხალხში ხმა დადის, ამ ხმას თან დასდევს რალაც ანდერძნამაგი ვითომ დემნას მამისა, გიორგის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდაკრული. მითქმა-მითქმაა ყველგან ხალხში, ზოგნი ერთმანეთს არწმუნებენ და ზოგნი უარს ჰყოფენ, ვითომ გიორგი მესამეს ფიცი დაედოს, შემდეგ გაეტეხოს იგი. ღვთისმგმობელსა და მოღალატეს გიწოდებენ, მეფეო.

გ ი ო რ გ ი — თქვენ როგორ გგონიათ?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — სიცრუეა!

გ ი ო რ გ ი — არა! უარისყოფა უცბად ცბიერთა და ორგულთ შეშვენის. ჯერ უნდა კარგად გამოიძიოთ, დარწმუნდეთ და მერე უარჰყოთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — სწორეა... მაგრამ...

ქ ი ა ბ ე რ — სიცრუეა, აშკარა სიცრუეა, ამას გამოძიება აღარ სჭირდება.

გ ი ო რ გ ი — მჯერა, რომ ჩემზე ბევრი ცილისწამება დადის ხალხში, ისიც მჯერა, რომ ამას სჩადის დიდებულთა ერთი ბანაკი.

ყ უ ბ ა ს ა რ — ჩვენი ერთგულება გჯერა, მეფეო?

გ ი ო რ გ ი — თქვენი ერთგულება ამას იქით გამოჩნდება. უნდა დამეხმაროთ და გამოვარკვიოთ: რა არის მართალი და რა არის ტყუილი ჩემზე შეთხზულ ცილისწამებაში.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გვიბრძანე, მეფეო!

პ ა ა ტ ა — მტერი გვიჩვენე და დაგიმტკიცებთ ერთგულებას!

გ ი ო რ გ ი — მტერს მოსაეს ჭორის, ცილისწამებისა და ტყუილის მანტია და უჩინარად დაიარება ხალხში. უნდა მოეხსნათ იგი მანტია და დაინახავთ. ჯერ პატარაა ის, თანდათან იზრდება და შესაძლოა ისე გაიზარდოს, რომ თვითვე გამოჩნდეს. ჩვენ იგი მანამდე უნდა გამოვაჩინოთ, რათა მსხვერპლი ნაკლები იყოს.

ყ უ ბ ა ს ა რ — რა ვქნათ, მეფეო?

გ ი ო რ გ ი — უნდა უბრძანო ყივჩაყელებს, არ მოიშორონ მხარ-ილიიდან შვილდ-ისარნი და პოლექიკნი. ყოველდღე გქონდეთ ვარჯიში და მზადყოფნა ბრძოლად. ერთი წუთითაც მოსვენება არ მისცეთ მებრძოლთ, რომ საომარი სისწრაფენი არ მოუდუნდეთ.

ყ უ ბ ა ს ა რ — ერთი რწმენა მაქვს, მეფეო, მხოლოდ და ესე რწმენა

თავის განწირვა არის შენთვის — მეტი რა გითხრა?!

გ ი ო რ გ ი — პაატავ ჩემო, სირცხვილია: ქართველთა მხედრობა

ნაკლები იყოს მამაცობით ყივჩაყელებზე.

თქვენი მამულის, მიწა-წყლასა მთლიანობისთვის

თქვენ უფრო გამართებთ ერთგულება და ვაჟაკობა.

შენც, ვით ყუბასარს, გევალება სიფხიზლე დიდი,

თვალები უნდა კურდღელსავით გახელილ გქონდეს

თვით მაშინაც კი, როცა გძინავს. მტრებს არა სძინავთ,

უცდიან ამინდს შესაფერისს, რათა იგრგვინონ...

შენცა, ჭიბბერ, ამას გეტყვი ცხენოსან რაზმებს

ყველაზე უფრო მეტი ვალი აწევთ ბრძოლის დროს —

მტერი არ უნდა წაგივიდეს ცოცხალი თავით!

ქ ი ა ბ ე რ — ხელმწიფევე ჩემო, სარდალთ კრება აქამდგომელი  
ნებას მიბოძებს, მოგახსენო მათი სახელით:  
ჩვენ ვანაცვალებთ ჩვენს თავსა და  
გამოცდილებას  
გიორგი მეფეს, საქართველოს ტახტზე  
მჯდომარეს.

გ ი ო რ გ ი — მაგ აღთქმისათვის დიდად გმადლობთ, მაგრამ  
გაფრთხილებთ: მტერთა შორის ყველაზე საზიზღარი და  
საშიში არის შინაით გამცემი.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ჭეშმარიტია!

ქ ი ა ბ ე რ — ვინ არის იგი?

გ ი ო რ გ ი — ის ნათლადა ჩანს, მაგრამ მახე მის დაგებული?  
უნდა მოვძებნოთ, უნდა ვპოვოთ, უნდა  
ამოვხსნათ.

(შემოდის რუსუდანი).

რ უ ს უ დ ა ნ ი — დიდებულთ კრებულს ვთხოვ, მაპატიოს  
კანდიერება აქ შემოსვლისა მცირეოდენი სათქმელისა-  
თვის.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ბრძანეთ.

რ უ ს უ დ ა ნ ი — გიორგი მეფის ასულ თამართან მოვიდა  
ახლა ივანე ორბელის ქალიშვილი მაიკო, დემნას მეუღ-  
ლე. მან ბევრი იტირა და ბევრი ითხოვა. უთხრა თა-  
მარს: მამაშენს მეტად უყვარხარ და შენს თხოვნას  
დაყვებაო.

გ ი ო რ გ ი — რა სთხოვა?

რ უ ს უ დ ა ნ — სთხოვა... ვითომ დემნას მამას ფიცი ჩამოერთ-  
მიოს თამარის მამისათვის... ჩემი ძმისათვის...

გ ი ო რ გ ი — ეგე მტერი!

რ უ ს უ დ ა ნ ი — ვითომ ფიცი ჩამოერთმიოს: დემნას ასაკში  
მოსვლამდე მე ვიმეფებ და შემდეგ მას აღვიყვან ტახტ-  
ზეო. მაიკომ შეავედრა თამარი მამას, რათა აღთქმული  
ფიცი აღასრულოს მეფემ... პატიოსანო კრებულო, რას  
იტყვით ამაზე?

გ ი ო რ გ ი — თვითონ რა უპასუხა, რა უპასუხა თამარმა?

რ უ ს უ დ ა ნ ი — მან არაფერი არ უპასუხა: არც „ჰო“ უთხრა,



არც კიდევ „არა“. ხოლო ასულის წასვლისას მითხრა: როგორც საქართველოს მთლიანობისთვის და ძლიერებისთვის სჯობია, ისე უნდა მოიქცეს მამაჩემიო.

ყველანი — შესანიშნავი პასუხია. მტერიც ნაპოვნი არის.

ჭიბერი — ჯერ აკვნის სუნი არ გასცლია და სობრძნე უთქვამს.

ყუბასარი — ეგ აზრი უნდა წავიმძღვაროთ.

პაატა — გზადა და ხიდად ვიქონიოთ.

გიორგი — მეც გეთანხმებით.

### სურათი მესამე

სენაკი გიორგი მეფის სასახლეში

გიორგი — (მარტო) ისე დაბნელდა, რომ ვეღარ ვიცნობ ვინ არის სანდო.

არა, გიორგი არ წახდება ისე საბრალოდ, რომ სიბნელეშიც სიმართლის გზა ვერ

გაიკვლიოს.

სახეს შევიცვლი და ჩემსავ მტრებს ჩემს წინ ისე ვალაპარაკებ, ისე ვამხელ, ვით თავის თავთან.

(შემოდის რუსუდანი).

რუსუდანი — რა ამბავია, ძმაო ჩემო, ჩვენს თავზე ესა?

გიორგი — მეფობა უნდათ, ჩემო დაო, მეფობა უნდათ.

მართალია ის, რომ კანონით სამეფო ტახტი

დემნას ეკუთვნის, მაგრამ აბა ვიანგარიშოთ

რამდენ სიგლახეს, სიბნელეს და უბედურებას

მოუტანს ჩვენს ერს ამ კანონის ნებაზე გავლა!

განა ივანეს — ორბელთა თესლს — დემნას

დარდი აქვს?

ან განა მისთვის მიათხოვა მას თავის ქალი.

შეყვარებულნი ყოფილიყვნენ ბედნიერები?

არა, რუსუდან, არა, არა! მას დემნა უნდა

მხოლოდ იმისთვის, თვით გამეფდეს და

საქართველო

დაუნაწილოს თავის მომხრეთ და პაწაწინა,

საკოჰავებელ მეფეებად დასხას ისინი,  
რომ შემდეგ იწყონ ურთიერთშორის შუღლი და  
მტრობა,  
რაც გარეშე მტრებს აღუძრავდა დაპყრობის  
მადას.

მე ეს მაწუხებს, თორემ ვფიცავ თვით  
საქართველოს.  
მე მეფედ ყოფნა არ მიზიდავს, არც მიხარია.  
რუსუდან! მხოლოდ მოვალედ ვთვლი ჩემს თავს  
დავიცვა

ერის სიმრთელე, სიძლიერე და უკვდავება.  
რუსუდან — რაკი შენ ასე სწორად გესმის მოვალეობა,  
აქეც მოიქეც! ამის მეტი არა მეტქმის რა.  
გიორგი — ღღეს ზეიშია გამარჯვების სეიდაბადზე,  
წადით იქა და მე ხვალამდე ნუ მომაკითხავთ.

(რუსუდანი გადის).

თოტორმე! (თოტორმე გამოდის) ყველამ იცოდეს, რომ ღღეს  
მეფე ხალხში არ გავა მის ზეიმზე.

(თოტორმე გადის. გიორგი გასაღებით გააღებს სენაქის კარს).

გიორგი — გამოლდი, გამოლდი. ვნახოთ რა შემიკერე.

(შემოდის კონი).

კონი — ბერიკა შეგიკერე. მეფეო, ბერიკა. ისე მოგკაზმო,  
რომ ვერც ერთი გლახა ვერ შეგედრებოდეს დედამიწის  
ზურგზე. დაბრძანდით.

(მეფე დაჯდება. კონი კაზმავს).

გიორგი — ისეთ გლახადაც ნუ მაქცევ, არავინ გამიკითხოს.

კონი — ასეთ გლახად რომ გაქციო, ხომ თვითონაც გაუკითხავი დავერჩები. აი, ეს ოთხმოცი წლის კაცის ქალარა ჩამოიცვით თავზე; ესეც, ჭუჭყში და ნაცარში მუდმივად გდებისგან შერუჯული წვერ-ულვაში.

გიორგი — თიხის სუნი ადის და ყნოსვა არ დამიკარგოს ეშმაკის პოვნისა...

კონი — თხა ეშმაკის სახისაა და მალე მიგიყვანთ ეშმაკთან. აი, ესეც ძონძმანძები აკინძულნი ერთმანეთზე, ჩაიცივი.

გ ი ო რ გ ი — სახელოები ვერ მიპოვნია, რომ გავყო ხელი.  
 ჭ ო ნ ი — სამაგიეროდ იმას გაპოვნინებს, რის საძებნელადაც მიბრძანდები... აი, ესეც ქალამნები, ბერძნული ქალმე-  
 ბია, თითები გამოჩნდება, მაგრამ არა უშავს რა! ამ თითე-  
 ბითაც უნდა დაინახო, ვისი დანახვაც გნებავს. (მორთავს).  
 გ ი ო რ გ ი — ძალიან კარგი. ახლა შენ ისევ ჩაგკეტავ სენაკში  
 ხვალამდე, როგორც საიღუმლოს. არც შენ გენდობი.  
 ხვალ რომ გაგიხსნი სენაკის კარს, საიღუმლო შემდეგაც  
 უნდა შემინახო, თორემ ისეთ საიღუმლოში ჩაგსვამ, სა-  
 იდანაც ველარ ამოდიან. გესმის?

ჭ ო ნ ი — მესმის.

გ ი ო რ გ ი — სასმელ-საჭმელი საკმაო გაქვს?

ჭ ო ნ ი — მაქვს.

გ ი ო რ გ ი — მაშ შედი! (ჭონი შედის, გიორგი დაკეტავს კარს.) ნაბრ-  
 ძანებია, რომ დღეს მეფე ხალხში არ გავა ზეიმზე. ამი-  
 ტომ იქ ყველა უფრო გულახდილი, შეუზღუდველი და  
 თავისი ბუნებისა იქნება. ახლა აქედან ისე უნდა გავი-  
 დე, არავინ მნახოს... თუმცა რა უშავს? განა ცოტა გლა-  
 ხები შემოდიან ჩემთან სასახლეში და ნაწყალობლები  
 ისევ გადიან გარეთ? დეე, მეც ერთი მათგანი ვეგონო  
 მნახველს. (ამაყად გადის).

### სურათი მეოთხე

#### სეიდაბადის მინდორი

დღეობა და ზეიმი გამარჯვებისა. გართობა-თამაშობა. სუფრაა  
 გაშლილი. ხარატო და მისი ვაჟიშვილები ბოლთასა სცემენ. თამადა  
 განაგებს წესრიგს. თამადად არის ახალგაზრდა ზაქარია მხარგრძელი.  
 ისმის გარედან „გააძვრინა“, „ვერ გააძვრინა“.

ხ ა რ ა ტ ო — (შვილებს)

მეფემან ბრძანა, წესრიგის დროშა მალლა უნდა გექი-  
 როთო, თქვენ კი მიგიყუდებიათ ხეზე და დასეირნობთ.

(დროშა მიყუდებულია ორკაპ ხეზე).

ძ ი ო — მეფეს რო ყური ვუგდოთ!

ჯ ი ო — ყველაფერი რომ ავასრულოთ!

ხ ა რ ა ტ ო — (საიდუმლოდ) ღალატი. რომ გაგიგიათ, აშკარად  
კი არ ვარგა. ფარულად უნდა.

ძ ი ო — ო!

ჯ ი ო — ი!

ხ ა რ ა ტ ო — დასანახავად და მოსატყუებლად მაინც უნდა  
დაიჭიროთ ხელში წესრიგის დროშა.

ძ ი ო — ეჰ! ვინ უნდა დაინახოს!

ჯ ი ო — ვისა სცალიან მაგისტვის!

ხ ა რ ა ტ ო — მეფის ასული თამარი და მისი მამიდა აქ არიან.

ჯ ი ო — თამარი მოისართა მზერით ისეა გართული, რომ და-  
ნარჩენი წყალსამც წაუღიაო, ფიქრობს.

ხ ა რ ა ტ ო — ჯაშუშები?

გ ლ ა ხ ა (შემობის) — ვერ გააძვრინეს!

ხ ა რ ა ტ ო — რა გაღრიალებს! დაიცავი წესრიგი! ვერა ხე-  
დავ წესრიგის დროშას?

გ ლ ა ხ ა — აბა?

ხ ა რ ა ტ ო — აგერ სად არის მიყუდებული.

გ ლ ა ხ ა — აფრიალებულისაც არ მეშინიან და მიყუდებულისა  
შემეშინდება? (გარბის) ვერ გააძვრინეს!

(ხარატოს შვილები შემოიტანენ წესრიგის დროშას, ისევ გაიტანენ  
და შემდეგ ისევ უღროშოდ დასეირნობენ. დროშას ხანდახან მოსაჩვენებ-  
ლად ატარებენ).

1-ლ ი ხ მ ა — ვერ გააძვრინეს!

მ ე-2 ხ მ ა — გააძვრინეს!

ხ ა რ ა ტ ო — ამდენი ხანია ისვრიან და ბეჭედში მაინც ვერ  
გააძვრინეს ისარი.

1-ლ ი ხ მ ა — ვერ გააძვრინეს!

მ ე-2 ხ მ ა — ბეჭედი მრუდედ დგას, გაასწორეთ!

1-ლ ი ხ მ ა — ბეჭედი სწორედ დგას, მოისარნი მრუდობენ.

მ ე-2 ხ მ ა — ორბელთა მოისრენი არ იმრუდებენ. გაასწორეთ  
ბეჭედი!

პ ი რ ვ ე ლ ი — სწორეა, სწორე! (ისმის ლართა ღმუილი და ისართ  
შხუილი). ვერ გააძვრინეს!

მ ე ო რ ე — გააძვრინეს!

პირველი — ტყუილია, ტყუილი! (შეზღუდის რუსედანი და აზნაურები).

რუსუდანი — ვეღარ გავუძელ და მოვცილდი. იქნებ ახლა მაინც დასტოვოს მოისართა შეჯიბრის მინდობი.

აზნაური — მეფე არ გაწყრეს, დედუფალო. შენგან მიკვირს თამარის დატოვება მარტოდ.

რუსუდანი — მარტოდ რად არის: გვერდით ახლავან ჭიანჭურის ასული მირანდა, ყუბასარის მეუღლე სანდუხტ. საარგისის ქალები და ახალგაზრდა მგოსანი შოთაც.

აზნაური — თამარის გვერდით როცა ვერ გხედავ, მარტო მგონია.

რუსუდანი — თამარი მარტო არასოდეს არ არის: როცა მის გვერდით სულიერი არავინა დგა, უერთგულეს და უთრგუნველ მეგობრებად ახლავან საკუთარი ფიქრები და საკუთარი ჭკუა. მე მაინც თვალს არ ვაშორებ.

პირველი — გააძვრინეს!

მეორე — ვერ გააძვრინეს!

პირველი — შარია ორბელებზე — გააძვრინეს!

რუსუდანი — კბენა დაიწყეს ორბელთა.

აზნაური — რათა, ბატონო?

რუსუდანი — იმიტომო, — მითხრა თამარმა, — საქართველოში პირველობა ორბელებს უნდათ და ვერ კი პირველობენო.

აზნაური — მერე, ცუდია, რომ პირველობა უნდათ?

რუსუდანი — სწორედ მეც ასეთი კითხვა მივეცი თამარს და მიპასუხა: არა, ცუდი არ არის, მაგრამ შეჯიბრმა და სურვილმა ბოროტი სახე არ უნდა მიიღოსო.

აზნაური — ხედავთ, ბატონო! ყიფიანთ მხედრები უფრო მარჯვე არიან. რატოა ასე, დედოფალო?

რუსუდანი — თამარისავე აზრით, იმიტომ, რომ ერთი უფროსის მორჩილება იციან.

(სუფრის თამადა ზაქარია მხარგრძელს წამოდეგა).

ზაქარია — გაუმარჯოს კარგ მეომარს, მარჯვე მოისარს, საქართველოს დამცველს, მეფის ერთგულსა და მამულისთვის თავგანწირულს!

ჟ ე ე ლ ა ნ ი — გაუმარჯოს!

(შემოდის გლახად გადაკმული გიორგი მეფე).

გ ი ო რ გ ი — გაიკითხეთ გლახაკი, გაიკითხეთ!

ზ ა ქ ა რ ი ა — გლახა, მოდი აქ! (გლახა მივა სუფრასთან).

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — დიდებულნო, დარბაისელნო და აზნაურნო, დიდნო და პატარანო, იცოცხლეთ და იმრავლეთ, იმრავლეთ და იბედნიერეთ. მოიღეთ მოწყალება.

მ ა ი კ ო ო რ ბ ე ლ ი — ინებე, მოხუცო! (მიაწედის მოწყალებას).

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — ღმერთმა ქალობით ბედნიერი გამყოფოს. თუ გათხოვილი ხარ, შვილო, გაგამრავლოს, თუ გაუთხოვარი — კარგ ბედს შეგყაროს მამა უფალმა.

ო რ ბ ე ლ ი — მიიღე, მოხუცო! (მიაწედის მოწყალებას).

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — ღმერთმა შენი ყრმობით ბედნიერი გატაროს ამ ქვეყანაში, საითაც წახვიდე, გამარჯვებული გამყოფოს.

ო რ ბ ე ლ ი — გიორგი მეფეზეც?

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — ღმერთმა ისე გაგიმარჯვოს, როგორც შენი ქვეყნის სიმართლე და სიმართლე მოითხოვდეს.

ო რ ბ ე ლ ი — გესმით! ესეც გიორგი მეფესავით უსტვენს. შენ მართლა გლახა ხარ?

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — ჰმ! ნამდვილი გლახობა ვის ესახელება, ბატონო. რომ ტყუილი მოიგონოს?! გაიკითხეთ გლახაკი, გაიკითხეთ...

ლ ი პ ა რ ი ტ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი — კარგი დალოცვა გცოდნია, მეც დამლოცე, მოხუცო. (აწედის მოწყალებას).

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — მამა უფალმა დაგლოცოს, თვალის სინათლე ნუ მოგაკლოს, ამ მშვენიერსა და ბედნიერ ქვეყანაში მზის სინათლით გაგაძლოს ღმერთმა. რასაც გულით ინატრებდე და ისურვებდე — აგისრულდეს. ქეშმარიტების გზაზე გატაროს სიმართლის ღმერთმა და აგაცდინოს ყოველგვარი ბოროტი აზრი. მადლობას მოგახსენებთ მოწყალებისათვის. (მიბრუნდება წასასვლელად).

ზ ა ქ ა რ ი ა — მოიცა, გლახა! ღვინო დაგვილიე და ისე წადი. კარგი მეომრების სადღეგრძელოა.

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — გაუმარჯოს კარგ მეომრებს, სამშობ-  
ლოს დამცველებს და მეფის ერთგულებს... (სვამს).

ზ ა ქ ა რ ი ა — ყოჩაღ, გლახაე!

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — ძაღლს უთქვამს, ღმერთო, პატრონი  
მიმრავლე, ყველა თითო ლუკმას მომიგდებს და მადლარი  
ვიქნებიო. მეც ასე ვისურვებ — იმრავლეთ, იმრავლეთ.

ზ ა ქ ა რ ი ა — სიტყვამრავალა ყოფილხარ! (შაფუდის პურს).

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — გლახები სულ სიტყვამრავლები არიან.  
მადლობას მოგახსენებ ლუკმა პურისათვის, მაგრამ ცო-  
ტა გუდაშიაც რომ ჩამედო ხვალისთვის...

ზ ა ქ ა რ ი ა — ეხლავე! (მოხსნის გუდას და შიგ უწყობს სხვადასხვა  
საჭმელებს) ეს ხვალისთვის, ეს ზეგისთვის, ეს მაზეგისთვის,  
ესეც მაზეგის ზეგისთვის...

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — იცოცხლე და გაიხარე! იცოცხლე და  
გაიხარე!

(ზაქარია გუდას აუვებს და მოკიდებს ზურგზე).

ო რ ბ ე ლ ი — გლახავ, შენ ქართველი ხარ?

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — არა, ქართველის გლახაკობა არ  
გამიგია.

ო რ ბ ე ლ ი — მაშ ვინა ხარ, სადაური ხარ?

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — ბიზანტიელი ვარ. სამოც წელს ვგლა-  
ხოვდი ბიზანტიაში. მაგრამ იქ მეფეებმა ისე გაამწარეს  
ხალხი, რომ მოწყალებას აღარავინ იძლეოდა. იქიდან  
სომხეთში გამოვიქეცი. გზაში კიდევ გამქურდეს და მხო-  
ლოდ საქართველოში გავიძღე კუჭი. ღმერთმა ააშენოს!

ო რ ბ ე ლ ი — ეხლა ხომ სავსე გაქვს გუდა?

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — ღმერთი მოგცემდეთ სამაგიეროს:  
ღიახ, სავსე მაქვს.

ო რ ბ ე ლ ი — მაშ იქით მოუსვი, საიდანაც მოსულხარ! (პან-  
ჩურსა კრავს. გლახა შეუბღვერს, ორბელი ხანჯალს იძრობს და  
სიბრტყივ გაართყვამს ზურგზე. მოუსვი-მეთქი.

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — ყოჩაღ, ვაჟკაცო! როგორ მომერიე?  
ან იქნებ ამას ეძახით თქვენში დაერდომილის ქრისტიან-  
ულად შეწყალებას?! აჰა, და ბარემ მომკალი კიდევ.  
(მიუშვებს მკერდს) ჩამეც გულში ეგ ხანჯალი!

ორბელი — ვერ უყურებთ ამ გლახას!

გიორგი გლახა — ჩამეცი-მეთქი!

ორბელი — ბიჭოს!

გიორგი გლახა — თუ შენ გგონია, გმბობად და ვაჟაკობად ჩაგეთვლება ოთხმოცი წლის დავრლომილი, ტიტველ-შიშველი გლახაკის გულის განგმირვა — ჩამეცი გულში ეგ ხანჭალი!.. ვითომ გიორგი მეფე დაგიმარცხებია.

ორბელი — ეს როგორი გლახაა?! (ხანჭალი გავარდება ხელიდან).

გიორგი გლახა — ან იქნებ დაგენანა ეს მოწყალება. წაილე უკან! (იხსნის გუდას).

ზაქარია — არ გვაკადრო! (გუდას ისევ მოჰკიდებს ზურგზე ზაქარია).

ორბელი — კაცო! (ათროლდება).

გიორგი გლახა — აილე ხანჭალი!

ორბელი — ეს ვინა ყოფილა?

გიორგი გლახა — აილე-მეთქი ხანჭალი... (თვითონ აილებს გიორგი გლახას).

ზაქარია — მე მომეცი. (ზაქარია ჩამოართმევს ხანჭალს გიორგი გლახას).

გიორგი გლახა — მადლობას მოგახსენებთ პატივისცემისთვის. (მიღის, თან იძახის) ვინა ხართ. ქრისტიანი, გაიკითხეთ გლახაკი, გაიკითხეთ გლახაკი!

ზაქარია — გლახავ, მობრუნდი უკან!

გიორგი გლახა — (მობრუნდება) დღევანდელ დღეს ვეჩქარები და ბევრს ნულარ მომაცდენთ.

ზაქარია — მოდი ახლოს. (გლახა მივა) ორბელო, ამ ხანჭალს ვერ მიიღებ მანამდე, სანამ ამ გლახაკის წინაშე ბოდიშს არ მოიხდი საჯაროდ.

ორბელი — ბოდიში გლახაკის წინაშე?!

ზაქარია — რა ვიკვირს? თუ შენ არ შეგრცხება მაგ მოხუც გლახაკზე ხანჭლის ამოღება, არც ბოდიშის მოხდა უნდა შეგრცხვეს. მოიხადე ბოდიში!

ორბელი — ოოხ, თამადავ! თამადა რომ არ იყო...



- ზ ა ქ ა რ ი ა — მაინც მოგახდევინებდი ბოდიშს. ჩქარა, ბო-  
დიში!
- ო რ ბ ე ლ ი — (მასხრულად) ბოდიშს ვიხდი, უცნაურო გლახაკო!
- გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — (ორბელს) შენ რაც უნდა ბოდიში მოი-  
ხადო, მაინც კაცი არა ხარ, ის კი (ოთხით უჩვენებს ზაქარიას),  
ის კაცია. (მიბრუნდება და მიდის ძახილით) გაიკითხეთ გლა-  
ხაკი, გაიკითხეთ გლახაკი... (გაღის).
- ზ ა ქ ა რ ი ა — ორბელო, გლახას წინ მოგახდევინე ბოდიში.  
მაგრამ ეგ არა კმარა.
- მ ა ი კ ო — აპატიეთ!
- ყ ვ ე ლ ა ნ ი — ვაპატიოთ, ვაპატიოთ!
- ზ ა ქ ა რ ი ა — რაკი ყველას სურს — მიპატიებია. (მოაწვდის  
ხანჯალს).
- ხ მ ე ბ ი — სიმღერა! (მღერიან სუფრულს).
- ზ ა ქ ა რ ი ა — ყველას სადღეგრძელო გაიხელით, ახლა შემოდ-  
ლიან ერთიკ კიდევ ვთქვა. გაუმარჯოს ქვეყნის წესრიგს.  
წესიერ სახელმწიფოში პირველი არის წესი. თუ ქვეყანას  
წესი არა აქვს — ის სახელმწიფო არ არის. ქვეყანა ჭრე-  
ლია, ათასი და ათი ათასი არეული აზრის ადამიანი და-  
დის შიგ. ამქვეყნად ცუდი უფრო ბევრია, ვიდრე კარგი.  
ათასში ერთი თუ გამოერევა კეთილი ჭკუისა. ათასი  
უჭკუო და არეული ჭკუისა ერთ ჭკვიანს უნდა მორჩი-  
ლებდეს. დამორჩილებისათვის კი საჭიროა წესი. გაუ-  
მარჯოს წესსა და მის დამცველებს!
- ყ ვ ე ლ ა ნ ი — გაუმარჯოს!
- ზ ა ქ ა რ ი ა — ხარატო, თქვენი სადღეგრძელოა. დაიჭით ყან-  
წები! (მოაწვდის ხარატოსა და მის შვილებს).
- ხ ა რ ა ტ ო — მადლობას მოგახსენებთ. (დაღვევს ყველანი).
- ზ ა ქ ა რ ი ა — ორბელო, წესის სადღეგრძელოა.
- ო რ ბ ე ლ ი — ჩვენს ქვეყანაში არ არის წესი და რაც არ არის,  
იმისი სადღეგრძელო არ უნდა დაილიოს.
- ზ ა ქ ა რ ი ა — პატიებამ გაწყინა? დალიე-მეთქი.
- ო რ ბ ე ლ ი — დავლევ, მაგრამ იმისი სადღეგრძელო არ  
იქნება.

ზ ა ქ ა რ ი ა — უწესობისთვის სასჯელი ორბელს.

ხ მ ე ბ ი — ეკუთვნის. მეორედ პატიება აღარ ივარგებს.

ზ ა ქ ა რ ი ა — მარილწყალში ჩაურიეთ ღვინო, მოუკიდეთ ნა-  
ცარი და ჯამით მიეცით ორბელს. (შემოაქვთ ჯამი, იქვე  
აუარევენ).

ო რ ბ ე ლ ი — გადამემტერე?

ზ ა ქ ა რ ი ა — შენი მტრობა არავის ჩაეთვლება ვაჟკაცობად.  
შენი მტერი შენვე ხარ თვითონ.

ო რ ბ ე ლ ი — რა გინდა ჩემგან?

ზ ა ქ ა რ ი ა — შენი მორჯულება.

ო რ ბ ე ლ ი — ასეა?

ზ ა ქ ა რ ი ა — ასეა! დამმორჩილდი!

ე ვ ე ლ ა ნ ი — დამორჩილდი წესს.

ზ ა ქ ა რ ი ა — ერთხელ გაპატიე, მეორედ აღარ გაპატიებ.  
დალიე!

ო რ ბ ე ლ ი — კარგი. (დაღევს) მე კაცად აღარ ვვარგევარ. აქაც  
დამჩაგრეს.

(ისმის მოისართა ყიყინა. ლართა ღუილი, ისართ შხუილი).

პ ი რ ვ ე ლ ი — გააძვრინა!

მ ე ო რ ე — ვერ გააძვრინა!

რ უ ს უ დ ა ნ — ვინ გააძვრინა?

ა ზ ნ ა უ რ ი — ვერ დაინახე?

რ უ ს უ დ ა ნ — დავინახე.

ა ზ ნ ა უ რ ი — მაშ რათა მკითხავ?

რ უ ს უ დ ა ნ — ჩემს თვალს ვამოწმებ.

ა ზ ნ ა უ რ ი — რათა?

რ უ ს უ დ ა ნ — თამარს უთქვამს ჩემთვის ხშირად: არც  
სხვას უნდა დაუჯერო და არც მარტო შენს თავს უნდა  
ენდო.

(შემოდის გიორგი გლახა).

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — გაიკითხეთ დავრდომილი! მიიღეთ  
მოწყალეობა!

რ უ ს უ დ ა ნ ი — ყველა თავისას ჩიოდა, მენახირჯ ბუზა-  
ლაქსაო. ეს გლახა თავისას გაიძახის.

ა ზ ნ ა უ რ ი — ასე ყოფილა წუთისოფელი.

რ უ ს უ დ ა ნ — ჭეშმარიტად.

ა ზ ნ ა უ რ ი — ნეტაი გლახები აღარ არსებობდნენ.

რ უ ს უ დ ა ნ — თამარსაც ბევრჯერ უნატრია ეგ.

ა ზ ნ ა უ რ ი — მერე?

რ უ ს უ დ ა ნ ი — მერე ასე მითხრა: შესაძლო არის ჩვენს ქვე-  
ყანაში მოეწყოს საქმე ისე, გლახებმა კარიკარ აღარ  
იარონ, მაგრამ ეგ სახეირო არ იქნება ჩვენთვისაო.

ა ზ ნ ა უ რ ი — რატომ?

რ უ ს უ დ ა ნ ი — მაშინ მთელი ქვეყნის გლახები სულ სა-  
ქართველოს მოაწყდებიანო.

ა ზ ნ ა უ რ ი — მართალი უთქვამს.

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — გაიკითხეთ მოხუცი.

რ უ ს უ დ ა ნ ი — რა საცოდავი სანახავია! გლახა, მოდი აქ!  
(გლახა მიდის რუსუდანთან).

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — შეიბრალებთ, შეიბრალებთ გლახაკი!  
(რუსუდანი აძლევს მოწყალებას). ღმერთი იყოს შენი მწყა-  
ლობელი.

რ უ ს უ დ ა ნ ი — როგორა თრთის, ცახცახებს, ფამფალებს,  
გგონია, ეს-ეს არის წაიქცევაო და არ კი იქცევა. ახალ-  
გაზრდობასთან ერთად დაუქარგნია ყოველი თავმოყვა-  
რეობა და ერთი სათქმელიდა აქვს: გაიკითხეთ, გაიკი-  
თხეთ! (ლართა ღუილი, ისართ შხუილი).

პ ი რ ვ ე ლ ი — გააძვრინა!

მ ე ო რ ე — ვერ გააძვრინა!

ა ზ ნ ა უ რ ი — ფუჭი ყოფილა.

(შემოვარდება მეორე აზნაური).

მ ე ო რ ე ა ზ ნ ა უ რ ი — დედოფალო! საშინლად აუტყდა  
მოისრობის სურვილი თამარს.

რ უ ს უ დ ა ნ ი — მართლაც რომ დიდად საშინელი სურვილი  
ასტეხია.

მ ე ო რ ე ა ზ ნ ა უ რ ი — შეილდ-ისარს ითხოვს, უნდა ბე-  
ჭედში გავაძვრინოო. თან გავგაფრთხილა, მამიდაჩემს  
არ აცნობოთ, თორემ სურვილის ნირს შემიშლისო.  
(გადის).

რ უ ს უ დ ა ნ ი — რაკი ღმერთს მისი სურვილი საკვირველი და

საკეთილო მადლით შეუმოსნია, დეე. თავისი ჭკუით  
იაროს დღეის შემდეგ!

ორბელი — გველის წიწილა! ახლა ეს არის და ამის შემდეგ  
რალა იქნება? ძუძუმწოვარა ისარშიაც კი გვეცილება.  
(შემოდის მესამე აზნაური).

მესამე აზნაური — ხალხნო! მეფის ასული ახალგაზრდა  
თამარი შვილდისრითა დგას. დამპური შეჯიბრება მოი-  
სურვა ყვიჩაყებთან, ქართველებთან და ორბელთა სა-  
ხელგანთქმულ მოისრეებთანაც.

(შემორბის მეოთხე აზნაური).

მეოთხე აზნაური — არა, ასე არა! თამარმა სთხოვა არა  
ჯიბრისთვის, არამედ ტკბილი გართობისათვის, დროს  
ტარებისათვის, სიხარულისათვის, ლაღობისათვის და  
იშისთვისაც, რომ ქალსაც ძალუძს ის გააკეთოს, რასაც  
კაცები იკვებნიან.

ხმები — ბრძნული აზრია მაგ საქციელში.

მეოთხე აზნაური — კიდევ თქვა ასე: თქვენ გამოსცა-  
დეთ თქვენი თავი და რაც დილას აქეთ თვალყურს ვა-  
დევნებ, ერთი ისარიც ბეჭედში ვერავინ გააძვრინაო.  
ახლა მე ვცდი თავს და ნუ ჩამითვლით ქალის ცოდვად,  
თუ დაემარცხდით.

ორბელი — მაშ ჩვენ ულვაში არა გვქონია, არც გვხურებია  
თავზე ქული, რომ შეგვეცილა ქალი მოისრობაში.

(შემოვარდება მეორე აზნაური).

მეორე აზნაური — ხალხნო, ყურადღება!

(ყველანი იყურებიან, სადაც შეჯიბრი ხდება)

ისარი ასწია... ისარს განხედა... მოსწია შვილდსა... ლარმა  
იღუველა!..

ხმები — გააძვრინა! ბეჭედში გააძვრინა!

რუსუდან — ღმერთო! კეთილი იყოს ეს სასწაული.

(შემოდის ყვიჩაყი. ორბელი მოაბრუნებს). (რუსუდანი გადის ამალით).

ორბელი — შენ ეი, ყვიჩაყო! შენი ბრალია ყველაფერი.

ყვიჩალი — მე მეუბნები?

ო რ ბ ე ლ ი — დიახ! (შეჰოდის გიორგი გლახა).

ყ ი ვ ჩ ა ლ ი — მე რა შუა ვარ?

ო რ ბ ე ლ ი — ის გველის წიწილაა და შენ იმისი დაქირავე-  
ბული ხარ.

ყ ი ვ ჩ ა ლ ი — რას მედავები?

ო რ ბ ე ლ ი — აყირავებული ვარ და მერიდე.

ყ ი ვ ჩ ა ლ ი — შენ თვითონ მერიდე, თორემ აყირავებულის  
დაყირავება ვიცით, მე რა დაგიშავე?

ო რ ბ ე ლ ი — იმან დამიშავეა, მაგრამ შენზე ვიყრი ჭავრს.  
გიორგი მეფის სადღეგრძელოდ ნაცარტუტაში არეული  
მარილი დამალევიენეს.

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — გაიკითხეთ! გაიკითხეთ! (ბოლომღე  
რჩება სცენაზე).

ო რ ბ ე ლ ი — ამ გლახის წინაშეც ბოდიში მომახდევინეს —  
სულ შენი ბრალია, დაქირავებულო! შენ რომ არა ჰყავდე  
მეფეს, თავზე ვერ წაგვაჯდებოდა! (თავს წაადგება ზაქარია  
მხარგრძელს).

ზ ა ქ ა რ ი ა — აქაც დაიწყე უწესობა?

ო რ ბ ე ლ ი — აქაც ხომ თამადა არა ხარ?

ზ ა ქ ა რ ი ა — აქ თამადა აღარა ვარ, მაგრამ მეფისა და მისი  
წესის ერთგული ვარ.

ო რ ბ ე ლ ი — ვითომ რა კაი ვინმე ყოფილხარ! ფიცის გამტე-  
ხი მეფის ერთგული!

ზ ა ქ ა რ ი ა — ჭორია ეგ!

ო რ ბ ე ლ ი — რა არის ჭორი?

ზ ა ქ ა რ ი ა — რასაც შენ ამბობ.

ო რ ბ ე ლ ი — ფიცის გატეხვა ჭორია?

ზ ა ქ ა რ ი ა — სიცრუეა და თუ მართლა გატეხა კიდევ, აღმათ  
ასე სჯობდა.

ო რ ბ ე ლ ი — ფიცის გატეხვა უნდა სჯობდეს ფიცის შენახვას?

ზ ა ქ ა რ ი ა — ფიცი ისე უნდა დაფასდეს, როგორც ქვეყ-  
ნისთვის სჯობია.

ო რ ბ ე ლ ი — მაშ ხან ისე და ხან ასეო.

ზ ა ქ ა რ ი ა — დიახ, დიახ, ხან ისე, ხან ასე — როგორც  
აჯობებს.

ო რ ბ ე ლ ი — მაშ ასე, რაღა?

ზ ა ქ ა რ ი ა — დიახ, ასე. უსამართლობაა უსამართლოთათვის, მაგრამ რას იზამ! ასე ამბობენ, დეე გიორგი ვისთანაც უნდა ტყუოდეს, ოღონდ ქვეყანა კარგად იყოსო.

ო რ ბ ე ლ ი — ეს სულ ამათი ბრალია, ამ ყივჩაყუბისა! (მიიწევს ყივჩაყუბე).

ზ ა ქ ა რ ი ა — ფრთხილად, ორბელო!

ო რ ბ ე ლ ი — თავს წაგვასხდნენ! (ხმები აქეთ-იქედან).

ხ მ ე ბ ი — დემნა უნდა გამეფდეს!

— ფიცი შესრულდეს!

— ანდერძი!

ო რ ბ ე ლ ი — გიორგი მეფე ყივჩაყთა მეფეა!

ხ მ ე ბ ი — ჩვენი მეფე გვინდა! დემნა!

ზ ა ქ ა რ ი ა — დამშვიდდით!

ო რ ბ ე ლ ი — თქვენ დამშვიდდით! ჩვენ არ დავმშვიდდებით! (ხმაღს იშიშვლებს).

(ორად იყოფა ბანაკი).

ზ ა ქ ა რ ი ა — ჩააგეთ ხმალი!

ო რ ბ ე ლ ი — არ ჩავაგებთ!

(იწვევენ ერთმანეთზე ორბელისა და ზაქარიას მომხრეები).

ხ მ ე ბ ი — წესრიგი!

(წესრიგის მდროშენი მხოლოდ სეირს უყურებენ. დროშა აყუდია).

ო რ ბ ე ლ ი — გიორგი მეფემ ორბელებზე უკეთ არ იცის მართვა!

ხ მ ა — წესრიგი!

ო რ ბ ე ლ ი ს მ ხ ა რ ე — ჩააგეთ ხმლები!

ზ ა ქ ა რ ი ა ს მ ხ ა რ ე — ვინც პირველმა ამოიღო, იმან ჩააგოს ხმალი.

ხ მ ა — წესრიგი!

ო რ ბ ე ლ თ ა ბ ა ნ ა კ ი — სიმართლე ჩვენკენაა! (იქნევენ ხმაღს).

(ქალის ხელი დროშას გადაიტაცებს ხის კაპიდან ისე, რომ მას ვერ დაინახავენ).

- ზ ა ქ ა რ ი ა ს მ ხ ა რ ე — უმეცრად უსამართლონი ხართ!  
 — არ ვაპატიებთ ღვთის გმობას!  
 — არც თქვენ გეპატიებათ გიორგის გმობა.  
 — ღიღებულების გაძევებას არ შევარჩენთ!  
 — დაგვენბდით!  
 — არ დაგნებდებით!  
 — მტრების მოყვრები ხართ თქვენ!  
 — თქვენს მოყვრობას მტრის მოყვრობა სჯობია.  
 — მტრის მოყვრობა ლუპავს საქართველოს!  
 — თქვენმა ბატონობამ უარესად დალუპა იგი!  
 — სცრუობთ!  
 — ჩააგეთ ხმალი!

(შემოდის აზნაური).

ა ზ ნ ა უ რ ი — ხალხნო! გაიხედეთ! გაიხედეთ! არ გრცხვენინანთ! ვის უჭირავს წესრიგის დროშა?.. მისი პატრონი აქ დასეირნობს თავის შვილებით.... დროშა კი... ხედავთ? აღუმართავს ლამაზად თამარს და მოგიწოდებთ წესრიგისაკენ.

(ყველანი იქით იყურებიან. მშვიდდება შფოთი).

ო რ ბ ე ლ ი — გველის ნაშობი! მის სილამაზეს როგორ სუყველა ემორჩილება!

გ ი ო რ გ ი გ ლ ა ხ ა — გაიკითხეთ! გაიკითხეთ!

### სურათი მეხუთე

გიორგი მეფე თავის ოთახში

გ ი ო რ გ ი — (ხელში უჭირავს თავისი მათხოვრის გულა და სინჯავს ნაგლახაყევს) ერთბაშად სამი კურდღელი დავიჭირე: მტრების ზრახვა და მიზნები ჩემი ყურით მოვისმინე. ხარატო გავიცან. ამ გულაშიც ჩამიწყეს ყოველივე ის, რითაც საზრდოობს ჩემი ერი. იფ, კაი ღუმაა! კაი მოვლილი ცხვარი გვეოლია. ეს საწყალი ოჯახის ძღვენია! ეს თონე-

ში შემწვარი გოჭია! ბიჭოს! ნახუქებითა და ქაღებით  
აუესიათ ჩემი გულა. ეს ნიგვზითა და თაფლითაა შეზავე-  
ბული. ყოჩაღ! ეს საკმელი ველარ გამომიცვნია! (გემოთი  
ნახავს) უჰ, უჰ, უჰ! რა გემრიელია! მაგრამ რა არის? არც  
სპარსულსა გავს, არც თურქულს, არც ქურთულს, არც  
ინდოჩინურს — ეს ახალი რაღაცა მოუგონიათ. ნეტავი  
ვისგან ისწავლეს ქართველთა? (იღებს კიდევ) ეს კი...  
(ნახავს გემოთი) უჰ, რა მწარეა? ცარიელი წინაა. მაგრამ  
ვერ გამომიცვნია რა არის! არა, აქ ისეთი რამეებია, რაც  
მე ჯერ არ მინახავს. აშკარაა, ჩემი მზარეული ჩამორჩა  
ქვეყანას...

რ უ ს უ დ ა ნ — (შემოდის) მშვიდობა შენდა, ჩემო ძმაო.

გ ი ო რ გ ი — რას მეტყვი?

რ უ ს უ დ ა ნ — რა გაქვს მაგ გულაში?

გ ი ო რ გ ი — მაგისტვის მოხველ?

რ უ ს უ დ ა ნ — არა.

გ ი ო რ გ ი — რისთვისაც მოხველ, იმაზე მელაპარაკე.

რ უ ს უ დ ა ნ — ეს უფრო საყურადღებოა.

გ ი ო რ გ ი — ეს გულა ჩემმა მეგობრებმა შემომიგზავნეს იმის  
საჩვენებლად, თუ რით არსებობს ქართველი ერი.

რ უ ს უ დ ა ნ — მომწონს ეგ ხერხი.

გ ი ო რ გ ი — შენ რისთვის მოხველ?

რ უ ს უ დ ა ნ — არაფერს მკითხავ?

გ ი ო რ გ ი — ჰკვიანი მყევხარ, დაო, მაგრამ რა გკითხო? საქ-  
მე გექნება.

რ უ ს უ დ ა ნ — მე კი მეგონა, შენ გექნებოდა ჩემთან საქმე.

გ ი ო რ გ ი — რა საქმე?

რ უ ს უ დ ა ნ — გუშინ სეიდაბადის მონდორზე ვიყავ ლხინში.  
იცი?

გ ი ო რ გ ი — არა.

რ უ ს უ დ ა ნ — იქ ბევრი რამ მოხდა ისეთი, რაც შენ უნდა  
უეჭველად იცოდე.

გ ი ო რ გ ი — რა?.. თუმცა ნუ მეტყვი...

რ უ ს უ დ ა ნ — რატომ?

გ ი ო რ გ ი — შენ სწორედ მეტყვი. მანამდე მინდა სხვებს გა-



მოკვითხო, რათა გავიგო. ვინ რამდენს მატყუებს, ბოლოს შენს ნათქვამზე შევამოწმებ ყველას.

რ უ ს უ დ ა ნ — მე კი მეგონა, შენი ასულის კარგი აღზრდისთვის ახლავე შემაქებდი.

გ ი ო რ გ ი — სახარებაში წერია, „საქმემან შენმან გამოგაჩინოსო“. შენმა საქმემ თუ გამოგაჩინა, ჩემი ქება რაღად გინდა.

რ უ ს უ დ ა ნ — კარგი და წაეალ (გაღის. გიორგი ზარს ჩამოჰკრავს. შემოდის თოტორმე).

გ ი ო რ გ ი — თოტორმე, ხარატო მომგვარე! (თოტორმე გაღის) ვნახოთ, რას მეტყვის გუშინდელზე. (შემოდის ხარატო) მე შენ წესრიგისთვის გაგგზავნე სეიდაბადის მინდორზე. მომახსენე: რა ნახე, რა გააკეთე და რა გაიგე?

ხ ა რ ა ტ ო — რა ვნახე, რა გავაკეთე და რა გაიგე? ვნახე ბედნიერი ღლეობა. თვითონაც. ბევრი ვიმხიარულე და გიორგი მეფის ქება-დიდების მეტი არაფერი გამიგია. ესოდენ იყო სიხარული ხალხთა, რომ ქერქსა შიგან თვისასა ველარ ეტია.

გ ი ო რ გ ი — რას ნიშნავს „ქერქსა შიგან თვისასა ველარ ეტია?“

ხ ა რ ა ტ ო — ცოტაოდენი შელაპარაკება მოუხდათ ხმლებით, მაგრამ ეს... სიმთვრალით მოუვიდათ და არა მტრობით... ცოტაოდენი წესის დარღვევა მეც მომიხდა სიმთვრალით... პატიებას გთხოვ, მეფეო.

გ ი ო რ გ ი — ხმლებით შელაპარაკება...

ხ ა რ ა ტ ო — აკი მოგახსენეთ: ერთმანეთის სიყვარულით, სიხარულით და არა მტრობით. ცოლ-ქმრის ჩხუბი სულელს მართალი ეგონაო. ეს შელაპარაკება, შესაძლოა, სულელს მართალი ეგონოს.

გ ი ო რ გ ი — კარგი.

ხ ა რ ა ტ ო — შენმა ასულმა თამარმა გმირობა ჩაიდინა...

გ ი ო რ გ ი — მაგას თავი დავანებოთ და სწორედ მითხარ: შენ მართალს ამბობ?

ხ ა რ ა ტ ო — დიახ.

გ ი ო რ გ ი — მაშ დაგიჯერო?

ხ ა რ ა ტ ო — დამიჯერე ისე. როგორც შენს თავს დაუჯერებდი.

გ ი ო რ გ ი — კარგი, მჯერა! (ხარატო ვადის).

ახლა აშკარად არის, რომ მახეა ჩემთვის დაგებული, მაგრამ როგორ და რა სახით, ვერ გამიგია. (შემოკრავს ზარს. თოტორმე შემოდის).

თ ო ტ ო რ მ ე — გისმენ, მეფეო!

გ ი ო რ გ ი — ერთადერთი ნუგეში ხარ შენ. შენ ყველაფერი სწორედ მიამბე. აქ მე შენს მეტი არავინა მყავს სწორი და მტკიცე, გარდა სარდლებისა და მხედრებისა. შენ გაბარია სასახლე, ფხიზელი თვალ-ყური და ფეხდაფეხს დიდე ხარატოს. ეგ უნდა იყოს ერთ-ერთი საფრთხე. იცოდე, საფრთხეს ორგან უნდა ველოდეთ: შიგ სასახლეში და იმის გარეთ. თუ აქ შეგვიქმნან, იყოლიე რაზმი მუდამ მზად და ხელში გეპყრას საგანგაშო ზარების თოკი!

თ ო ტ ო რ მ ე — მონა ვარ შენი! მაგრამ მარტო რას გავაკეთებ?

გ ი ო რ გ ი — მარტო არა ხარ. ნაბრძანები მაქვს სარდლები-სათვის: ზარის განგაში აშლის მხედრობას დასახმარებლად.

თ ო ტ ო რ მ ე — გლახა ვინ არის?

გ ი ო რ გ ი — ცრუ და ორპირი. იმაზე ითქმის: არც აქეთ არის, არც იქითაო, ეგ ბოლოს იქით იქნება, ვინც გაიმარჯვებს.

თ ო ტ ო რ მ ე — რა ვუყოთ მერე?

გ ი ო რ გ ი — არაფერი. საქმის მალე მომწიფებისთვის ასეთებიც საჭირონი არიან, მხოლოდ კარგა უნდა იცნობდე მათ და იცოდე მათი მოქმედება. (შემოდის გლახა).

თ ო ტ ო რ მ ე — გლახა გეახლა.

გ ლ ა ხ ა — მომილოცნია მეფევ, მომილოცნია.

გ ი ო რ გ ი — რა?

გ ლ ა ხ ა — თამარის ვაჟკაცობა... კინალამ მომკლეს გიორგი მეფისთვის.

გ ი ო რ გ ი — მართლა?

გ ლ ა ხ ა — დიას.

გ ი ო რ გ ი — გმადლობ ერთგულებისთვის... რისთვისა გკლავდნენ?

გ ლ ა ხ ა — იძახდნენ, დემნა გვინდა მეფედო...

გ ი ო რ გ ი — კიდე?

გ ლ ა ხ ა — სიმთვრალეში მეტი ვერაფერი გავარკვიე... მხოლოდ რალაცეები რომ არის, ეს აშკარაა...

გ ი ო რ გ ი — კარგი იქნება, ცალი ყბით ლაპარაკს ვადაეჩვიო. ილაპარაკე ორივე ყბით სიმართლე.

გ ლ ა ხ ა — მაგას მე უსათუოდ ვიზამ!

## მესამე მოქმედება

### სურათი პირველი.

გიორგი მეფის სასახლე. დემნა და მაიკო შეხვდებიან ერთმანეთს.

მ ა ი კ ო — რა დაგემაართა, ჩემო დემნა, მეუღლევ ტყბილო, ტახტის ვარსკვლავო, სანატრელად ამომავალო?

დ ე მ ნ ა — კარგი, მაიკო.

მ ა ი კ ო — ამიხსენი, რამ გამოგცვალა?

რაც თქვენ ომებში გამარჯვებულნი იმხიარულეთ დღესასწაულად, მაგ შენს შუბლზე ღიმილის შუქიც აღარ მინახავს ასაკისა შესაფერისი.

ვინ არ იგონებს შენს ზარიანს სიცილს და ხარხარს!

ვინ არ იგონებს ოხუნჯობას შენსას მხიარულს თვით მაშინაც კი, ოდეს სიკვდილს შენკენა ჰქონდა გაწვდილი ხელი სიციოცხლიდან ჩამოსაწყვეტად?! რამ გამოგცვალა! რამ შეგშალა? რამ გინაცვალა?

დ ე მ ნ ა — მაიკო!

მ ა ი კ ო — რა უყავ-მეთქი მხიარული ბუნება შენი?!

შენი მეუღლე მონატრულიც გამხადე ნახვის და მივიწყებულ საფლავივით დამაგდე მარტო.

დ ე მ ნ ა — ნულარა მტანჯავთ!

მ ა ი კ ო — თვითონ შენვე სტანჯავ შენს თავსა!

დღესასწაულის დასრულებამ რად დაგამწყუხრა?!

განა იმიტომ იბრძოდი, რომ გამარჯვებულსა გეგლოვნა იგივე გამარჯვება ჩემ საღონებლად?!

დ ე მ ნ ა — ღმერთო, დამიხსენ!

მ ა ი კ ო — ბიძაშენი, მიმთვისებელი

შენი ტახტისა, ნეტარებს დღეს: მეფე აფხაზთა,  
რანთა, კახთა და სრულიად საქართველოსი.

დ ე მ ნ ა — ჰოი, მაიკო!

მ ა ი კ ო — შენა? შენ რასა ფიქრობ? არ გრცხვენიან შორი-  
დან მზერა შენი გაძარკვის, მოტყუების და დამცი-  
რების?!

დ ე მ ნ ა — რა გინდათ ჩემგან?

მ ა ი კ ო — შენი ფეხით რაკი მოსულხნარ

აქ ბიძაშენთან, ფასი უნდა დასდო შენს მოსვლას  
და აქ თავმოყრილ დიდებულთა კრების წინაშე  
ითხოვო იგი, რაც გეკუთვნის კანონიერად —  
უნდა ითხოვო ტახტი, მამის ნაანდერძევი.  
რასაც შენ ითხოვ, ის შენია, თვით შენი თავი!

დ ე მ ნ ა — გიორგი მეფეს მიზნადა აქვს, ჩვენს ქვეყნად დარგას  
მონათესავე სუმერების წესწყობილება,  
ოცდათხუთმეტი საუკუნით წინწაწეული  
სიბრძნით, სიმტკიცით, სიძლიერით, კაცთმოყვარებით  
და განათლებით, სადაც ხალხნი ურთიერთ შორის გაი-  
ხარებენ, როგორც ერთი დედის შვილები, აღჭურვილები  
თანასწორი უფლებებითა...

მ ა ი კ ო — მაგასა გკითხავ?

დ ე მ ნ ა — (განაგრძობს უფრო მხურვალედ)

სუმერთა სიბრძნე აითვისეს შემდეგ ხეთებმა  
და ხეთები ხომ წინაპრები იყვნენო ჩვენი...  
გიორგი მეფეს მიზნები აქვს საკაცობრიო...

მ ა ი კ ო — ჩემი პასუხი არის ეგა?..

დ ე მ ნ ა — ჰოი, მაიკო!..

მ ა ი კ ო — მე არ შევარჩენ სხვას არავის ჩემს დედუფლობას!

(გადის დემნა და გასდევს მაიკო. შემოდის თოტორმე, ბაადურ,  
ნიშანს მისცემს და შემოდინან ორბელთ მომხრეებით).

ბ ა ა დ უ რ — დაეწყენით ტახტის ერთ მხარეს.

ს მ ე ბ ი — მარჯვენა მხრიდან დავეწყოთ.

— არა, მარცხნიდან.

— მარჯვნიდან.

- მარცხნიდან.
- ჩვენ მარჯვენა ვართ ტახტისა.
- მარჯვენად არა გვცნობენ.
- მარცხნიდან დავეწყოთ.

თოტორმე — დავა მოსპეთ და მარცხნიდან დავეყენით!  
(გაღის).

ბაადურ — ნუ აწყენინებთ მეფეს, მარცხნიდან დადექით.  
დიდი გამრეკელი — მე მარჯვნიდან ვიწყებ. ასე შე-  
ფერის დიდ გამრეკელს.

ყველანი — მარცხნიდან.  
დიდი გამრეკელი — თუ მარჯვნიდან არ გვაკუთვნებთ.  
მაშინ მარცხნიდან პირველი დავდგები მე.

ქავთარ — პირველობა მაინც შენ არ გეკუთვნის.  
დიდი გამრეკელი — რა ბრძანებაა! დიდი დავითის კა-  
რის დიდებულთა შტო ვარ და არ მეკუთვნის?

ბაადურ — არ გეკუთვნის: ეგ ადგილი იმისია, ვინც არ  
მოსულა ჯერ.

დიდი გამრეკელი — ვისი?  
ბაადურ — დიდი ივანე ორბელის.

ყველანი — მართალია, იმისია.  
(ღანარჩენ ადგილებზე უსიტყვოდ და დაბალი ხმით დავობენ ერთმან-  
ეთში და ვერა რიგდებიან).

ლაპარაკი ერთმანეთში:

- არა, ბატონო.
- რა ბრძანებაა.
- როგორ გეკადრება.
- დემნას მამასთან პირველი ვიყავ.
- სისხლით ნათესავი ვარ მემკვიდრისა.

— ჩემი ფასიც ვიცი და ჩემი ადგილიც.  
— გვარიშვილობას არ დავიმცირებ (შემოდის თო-  
ტორმე).

თოტორმე — მეფე მობრძანდება! (ყველა თავის ადგილზე გას-  
წორდება. სიჩუმე).

(გიორგი შემოვა, მდაბლად სალამს მისცემს კრებულს და ავა ტახტზე.  
მეფეს შემოსდევენ და მარჯვნივ დგებიან მეფის დიდებულები: ყუბასარ,  
კიაბერ, პაატა, ზაქარია მხარგრძელი და სხვანი).

ყველანი — მეფეს სიცოცხლე!

(ამ დროს მეორე მხრიდან შემოდიან ივანე ორბელი და დემნა. ივანე მარცხნიდან პირველი დგება. დემნა სულ ბოლოში).

გიორგი — სრულად ბრძანდებით?

ბაადურ — დიახ, მეფეო!

გიორგი — ახსენეთ ღმერთი და მიბრძანეთ, რისთვის გარჯილხართ?

ვიცი, ცუდს რასმე არ ისურვებთ. დაუკითხავად და უფიქრებლად არ დაიწყებთ რასმე ქვეყნისთვის.

ეს მტკიცედ მჭერა, რადგან სინდისს ვიცნობ მე  
თქვენსას,  
ველი თქვენს სიტყვებს... რათა სდუმხართ?... თქვით:  
რა გინდოდათ?

ლიპარიტ — ცოტაის თქმა გვსურს, ხელმწიფეო.

გიორგი — მერე, რას უცდით?

ლიპარიტ — დემნა იტყვის.

ხმები — დემნა, რას უცდი?

დემნა — აქ ყველა ჩემზე უფროსია, მე რად უნდა ვთქვა პირველმა სიტყვა? თქვენა თქვით, თქვენ!

გიორგი — ბაადურ, მარჯვი,  
რასა ნიშნავდა შენი სიტყვა: „ტახტის დიდებულთ  
მამაშვილური თათბირი სურთ გიორგისთანო?“  
მითხარ მიზანი თათბირისა, რომ მის შემდგომად,  
რაც ერს უჯობდეს, ის ვირწმუნო და დავადგინოთ.

ბაადურ — თვით მე არ ვიცი, შენ რა გითხრა, ხელმწიფე  
ჩემო.

გიორგი — რა? შეგეშინდა?

ბაადურ — რისა, მეფევე? მისი ხომ არა,  
რომ თავგანწირვით გემსახურე ამ სიბერემდე.

გიორგი — მერე?

ბაადურ — მერე ვის ძალუძს მისაყვედუროს:

მეფისთვის თავი არ გასწირა შესაფერისად,

ან სამშობლოსთვის არ იბრძოდა ერთგულებითო?!

გიორგი — ერის სამსახურს, მისთვის შრომას რისთვის  
მაყვედრით?

ეგ სამსახური წმინდაა და ყველას გვძევს ვალად.

- ი ვ ა ნ ე — ჩვენ თუ ეს ვალი მოვიხადეთ მის წინ პირნათლად,  
მეფემაც უნდა მოიხადოს მოვალეობა.
- გ ი ო რ გ ი — თქვით, რა ვალი მძევს?
- ი ვ ა ნ ე — იმ ვალს, მეფევ, სახელი ჰქვიან.
- გ ი ო რ გ ი — დაასახელე.
- ი ვ ა ნ ე — სრულწლოვანი შეიქმნა დემნა.
- გ ი ო რ გ ი — მეორედ მესმის თუ მესამედ... მერე? რა გინდათ?
- ი ვ ა ნ ე — კითხე დემნას!
- გ ი ო რ გ ი — რა გინდა, დემნა? (დემნა არ პასუხობს) ჩემო დემნა!  
მიიხარ, რა გინდა? (დემნა ისევ სდუმს) რა გინდათ-მეთქი!  
ბიძაშენი რას ზოგავს შენთვის. მიიხარ, რა გინდა?
- დ ე მ ნ ა — არაფერი! მხოლოდ მინდოდა,  
რომ საქართველო ყოფილიყო მტკიცე და მთელი!  
უძლეველი და ბედნიერი! სხვა არაფერი!
- ი ვ ა ნ ე — შენ სცრუობ, დემნა! მშიშარა და მხდალი  
ყოფილხარ!
- შენ ითხოვ ტახტსა მამაშენის ნაანდერძევსა!  
რამდენჯერ გითქვამს საყვედური ჩემთვის ასეთი:  
დაეპატრონა მამაჩემის ტახტს გიორგიო...
- დ ე მ ნ ა — არ დაუჯეროთ! ეგ არ მითქვამს! არ დაუჯეროთ!  
(შფოთი მარცხნით).
- ი ვ ა ნ ე — მაშ მოვიგონე?
- დ ე მ ნ ა — ბიძაჩემო, მე გეტყვი მართალს.
- გ ი ო რ გ ი — ნულარას იტყვი! ყველაფერი მესმის მე კარგა!
- ხ მ ე ბ ი — პასუხი.
- გ ი ო რ გ ი — ჰეი, ივანე! შენ მოაწყე ეს თამაშობა,  
განდგომილების სურვილებით სნეულო მონავ!
- მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ — მართალი არის.  
სირცხვილია ერის ღალატი.
- გ ი ო რ გ ი — განდგომილობას თქვენსას მტრები რომ  
გაიგებენ,  
გაეხარდებათ. მოკრებავენ ხელახლა ჯარებს,  
მიმოფანტულთ და დაქსაქსულებს გიორგის  
მიერ,  
თქვენი გულისა საამოდ და თვის სასარგებლოდ

მოგივლენ სტუმრად, სადაც შემდგომ  
გარდიქცევიაწ  
ბოროტ მასპინძლად, ქართველ ტომის  
ამოსაგდებლად.

მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ — ერის ღალატი ქვიან ამას.

გამყიდველები!

გ ი ო რ გ ი — ესა ხართ თქვენა და გგონიათ, თქვენს  
ეშმაკობას  
ვერ გაგიგებლით, საჯაროდ რომ თავს

იკატუნებთ!

ფრთხილად, ივანე! შენ მომიწყე ეს თამაშობა,  
მაგრამ იცოდე, ამ თამაშას თვით ითამაშებ!

ი ვ ა ნ ე — მე სხვას არაფერს არ გიშევებ, გარდა იმისა,  
რომ მოველ შენთან, თაყვანი გცე და მოგითვალო  
ჩემი შენდამი პატრონყმური ერთგულებანი.

გ ი ო რ გ ი — მეფე აფხაზთა, რანთა, კანთა, მეფე სომხითის,  
მეფე ქართველთა, შარვანშა და კვლავაც

შაჰინშა

მეფე ყოვლისა თვითმპყრობელი აღმოსავლეთის  
და დასავლეთის შენ უმეცრად და მსუბუქქუად  
მიგიჩნევივარ, შენი თავი კი ბრძენად და მძიმედ...  
ერიდე შენს მტერს — შენი თავის უგუნურებას!

მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ — ჰეშმარიტია!

ღ ი დ ი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — მართალია გიორგი მეფე!

გ რ ი გ ო ლ ა ნ ე ლ ი — მეც ასე მჭერა!

ი ვ ა ნ ე — მე უბრალო ვარ!

ხალხი მოითხოვს კანონიერ მემკვიდრეს ტახტზე:

დიდნი, მცირენი სულ ამაზე ლაპარაკობენ.

ლაპარაკობენ იმასაც კი, თითქოს, ხელმწიფეც,

შენ მოგეწამლოს დემნას მამა, რომელმაც ტახტი

შენ ჩაგაბარა შვილისათვის ასაკს მოყრამდე,

მე იმათ ნათქვამს მოგახსენებ. მე რა ბრალი მაქვს?!

გ ი ო რ გ ი — პილატესავით ხელს რად იბან, თქვი გაბედულად,  
რომ სხვის პირიდან შენი გულის ნადებს იძახი,



რომ თვით შენ გინდა, დემნას მიეცე სამშობლო  
ჩვენი

ორბელთა მეფის სათამაშოდ და გასართობად.

მარჯვნიდან — სწორეა.

მარცხნიდან — არ არის სწორე.

მარჯვნიდან — მეფე სწორეა!

გიორგი — რომელთ არ გახსოვთ შეჭირვება ქართველთა  
სპათა,

საცა წასწვდების ისპირის მთა სპერისა ზღვასა,  
ან ის ღირღალნი, მღვიმეები ფეხმიუკარნი,  
რომ ამოივსო ქართველ გმირთა ძვლითა და  
ხორცით

მტრებთან ბრძოლის დროს? კლდენი წყლტუ.  
სალნი,

ნიაშორთაგან და ფსიტთაგან ძნიად სავალნი  
ჩვენ გავიარეთ, ჩვენ გაეზანეთ ოფლით და  
სისხლით.

რისთვის? სამშობლოს შეკრებისთვის,  
გავრცობისათვის.

და თქვენ მოითხოვთ ამდენ მსხვერპლით  
ნაშოვნი მიეცე

ორბელთ ნაშეერთ ერთმანეთში  
დასარიგებლად?!

მარჯვნივ — არა და არა.

გიორგი — გახსოვთ ანისი? დვინი? განძა და დარუბანდი,  
სპერისა ზღვიდან მოყოლებით გურჯენისამდე!  
რამდენი ბრძოლა! რამდენი დღე შავი და ბნელი,  
რაოდენ გმირთა სიცოცხლისა დამზნელებელი  
გადამხდა მეფეს იმისათვის, რომ ბრწყინვალეობა  
მეტე მიმეცა ქართველთ მეფის გვირგვინისათვის.

ივანე — ჩვენც იქ ვიყავით, იქ ვიბრძოდით მხნედ და გმი-  
რულად!

გიორგი — მერე მაგისტვის მეფეებად დაგხბათ ყველანი?

ივანე — მაგას ვინა გთხოვს?

გიორგი — ვიცი, ვიცი, რასაც მოითხოვ —

შენ ითხოვ, ესდენ დიდი მსხვერპლით შეკრული  
ერი

გადავცე დემნას ორბელთ მოდემის  
დასაჯიჯგნავად.

დ ე მ ნ ა — მე არ მსურს ეგა!

გ ი ო რ გ ი — რომელ უგნურს სჯერა და ფიქრობს,  
რომ სიმაგრეებს საქართველოს მთლიანობისას  
მივცემ მიპყრობად ხელთა შინა გოგო-ბიჭების?!

მ ა რ ჯ ვ ნ ი დ ა ნ — სიბრძნეა!

დ ი დ ი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — ტახტი ისევ გიორგი მეფეს!  
გ რ ი გ ო ლ ა ნ ე ლ ი — გაუმარჯოს გიორგი მეფეს! (დიდი  
გამრეკელი და გრიგოლ ანელი გადავლენ გიორგის მხარეს).

ბ ა ა დ უ რ — დიდო ხელმწიფევ! ცბიერებად ნუ ჩამომართმევ  
ამგვარ თათბირის მოწყობისთვის ბოდიშის მოხდას.  
კვლავ მოგახსენებ ჩვენს სიყვარულს და ერთგულებას!

გ ი ო რ გ ი — ნეტაი აგრემც ყოფილიყო! (გაღიან ყველანი მარ-  
ცხენანი).

მაგათ ჰგონიათ, არ ვიცოდევ, რას ამზადებენ.

პაატავ!

ყუბასარ!

ჭიაბერი!

ზაქარიავ! მოდით აქ ჩემთან! (ისევ შემობრუნდებიან).

ყ ვ ე ლ ა ნ ი — გვიბრძანე!

გ ი ო რ გ ი — თქვენს მეტი არავინ იყოს! (მცველებს) მცველე-  
ბო, დაისვენეთ! (მოიხსნება მცველი რაზმი) ხომ მოისმინეთ  
თქვენი ყურით?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დიახ.

გ ი ო რ გ ი — ხედავთ, რაოდენ ცილს მწამებენ?!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ვხედავთ.

გ ი ო რ გ ი — მარტო დანახვა კი არა კმარა. უნდა მზად იყვნეთ  
ყოველი დღისთვის, ყოველი წამისთვის და ყოველი წუ-  
თისთვის. ჩვენ არ ვიცით, რაზედა ვდგევართ, ან როდის  
იწყებს იგი გამოცლას ჩვენს ფერხთაგან. თვალი და ყუ-  
რი უნდა გაიმახვილოთ და მახვილსაც პირი კარგა  
აუწყოთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დიახ.

გ ი ო რ გ ი — გაქცეულ მტრების გარდახვეწა ხუ გაგახარებთ.  
საკმარისია ცოტოდენი ბინდბუნდი ჩამოწვეს ჩვენს  
ქვეყანაში არეულობისა, რომ გარდახვეწილი მხეცები  
ისევ გამოძვრნენ სოროებიდან.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — უეჭველია.

გ ი ო რ გ ი — არეულობის ნიშნები უკვე არის. ჯორებს არ  
აპყვეთ. ნათქვამი მაქვს და კვლავ გიმეორებთ: საფრთხეს  
გაცნობებთ ზარების განგაში სასახლიდან.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ვიცით.

გ ი ო რ გ ი — ნათქვამია, სანამ ხმალი მოვიდა, ენამ მოსკრა  
თავით.

ენას არ აპყვეთ. იქონიეთ საამისო სიღინჯე ისევე, რო-  
გორც აქამდე. იცოდეთ, ზშირად ენა მოპასუხის მოსატ-  
ყუებლად იმის წინააღმდეგს ამბობს, რაც გულში უდევს.  
ნათქვამს ყური დაუგდეთ, მაგრამ ართქმული განსკვრი-  
ტეთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დიახ!

(შემოდინ დიდი გამრეკელი და გრიგოლ ანელი).

დ ი დ ი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — მეფევ, შეგვინდე კადნიერება და  
მომისმინე.

გ ი ო რ გ ი — ბრძანე.

დ ი დ ი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — მე, ანელი და სარგის ჭანელი  
გამოვერიდეთ მოსისინე ორბელთა მოდგმას,  
რადგან სიცრუე ვპოვეთ მათში და შეწყნარებას  
გთხოვეთ უმორჩილესს. შენთვის ერთგულ ყმებად  
გვიგულე.

გ რ ი გ ო ლ — წმინდის გულით და ნათელი ჭკვით ვაღიარებ,  
რომ

წყვეულ ორბელთა ბნელ ბანაკში მხოლოდ  
ბუ-ჭოტებს  
და ქვეწარმავალთ შეუძლიათ ჰაერის სუნთქვა.

გ ი ო რ გ ი — წადით და გწამდეთ, მოყვრებნათვის ღია მაქვს  
გული. (გაღიან).

მეფიცებიან, მაგრამ უნდა იქვით ვუყუროთ:  
მერყევი ხალხი მერყეობას არ ჰკარგავს ხოლმე.

ყველანი — შენი სიტყვა ხმალია ჩვენი.

კარგადამც განახეთ! (გლიან ყველანი. მეფე მარტო რჩება).

გიორგი — ნეტა ვინ არის, ვინა ნატრობს მეფედ ყოფნასა?  
იმ გლახაკებმა, მეფედ ყოფნას რომ ოცნებობენ,  
რომ იცოდნენ, თუ რა მძიმეა გვირგვინი ჩვენი,  
ბედნიერებად ჩასთვლიდნენ თავს თავისი

ხვედრით.

(შემოდის თოტორმე).

თოტორმე — დიდ ამბებს მოგახსენებენ, მეფევ. სულთანი-  
საგან მოსულა კაცი ორბელებთან. დახმარებასა პირდე-  
ბაო გიორგის წინააღმდეგ. ბაადურს უნდა კავშირი  
ჰქონდეს ამ ბნელ საქმესთან.

გიორგი — გმადლობ, თოტორმე, წადი. (ჩამოკრავს ზარს. შე-  
მოდის ბაადურ).

ბაადურ — რას მიბრძანებ, მეფეო?

გიორგი — რა გადასწყვიტეს შენმა მოგვარე დიდებულებმა?

ბაადურ — შენი სიკეთე და კარგად ყოფნა. დასჯერდნენ  
შენს სიტყვებს! სხვას რას ინებებ?

გიორგი — შენს გაახალგაზრდავებას!

ბაადურ — რად აგრე, მეფევ?

გიორგი — იმად, რომ იქნებ გაგისწორდეს კული.

ბაადურ — დამცინი?

გიორგი — სამაიასაც გაცეკვებდი.

ბაადურ — პატივი დასდე ჩემს ჭალარას.

გიორგი — ამაზე მეტი პატივი გინდა?

ბაადურ — ვერ გამიგია...

გიორგი — ვერ გაგიგია, რისაგანა ვარ, არა?

ბაადურ — რად აკადრებ შენს თავსა, მეფევ!

გიორგი — თუ შენ გაკადრე, რატო ჩემს თავს აღარ ვა-  
კადრო?

ბაადურ — უცნაურ აზრებსა ბრძანებთ...

გიორგი — შეშლილივით, არა?

ბაადურ — ნუ ბრძანებთ, მეფევ... რისგან არის?

გიორგი — თქვენი აღთქმული ერთგულებისგან...

ბაადურ — რისთვის მომიხმე?

გ ი ო რ გ ი — უნდა გეჭიდო...

ბ ა ა დ უ რ — მმმეფევე! რას ბრძანებთ!

გ ი ო რ გ ი — აქ კი არა — მინდორში.

ბ ა ა დ უ რ — ბატონო ჩემო...

გ ი ო რ გ ი — შეატყობინე ყველა ჩემს მტერს სასიხარულოდ.  
გიორგი მეფე შეიშალა და აღარ იცის,  
ვის გადულოცოს საქართველოს ხელმწიფობა-  
თქო.

ბ ა ა დ უ რ — დამშვიდდი, მეფევე!

გ ი ო რ გ ი — დიახ, დიახ... შენ მართალს ამბობ:

მომქანცა ესდენ უკუღმართმა ცხოვრებამ ჩვენმა —  
ღლედალამ ფიქრმა, ზრუნვამ, შრომამ და მტრებთან

ბრძოლამ.

მე ველარ ვზიდავ ესოდენ ტვირთს, მძიმეს და ძნელსა.

თავი ვერ იტანს ამდენ ფიქრთა არევ-დარევას,

რომ ველარ სწვდება ვერც ხელი და ვერც თვალი ჩემი

ჭრელთავა ხალხის აურაცხელ ნდომა-სურვილებს.

რა უნდათ ჩემგან? რა სწყურიათ? რა მიზნები აქვთ?

სადა აქვს ბოლო იმათ ბრტყელ-ბრტყელ

მოთხოვნილებებს?

მათ სურვილების ძირგავარდნილ ჭურს აღუვსებელს

ვინ, ვინ აღავსებს? ამიხსენი...

ბ ა ა დ უ რ — მე რას მემდური?

გ ი ო რ გ ი — მე ჩემი ბოღმა, დუმილის დროს დაგროვებული,

მინდოდა შენ წინ დამეხარჯნა დასამშვიდებლად.

აჰა, დავხარჯე და დავმშვიდდი... წადი, ბაადურ.

ბ ა ა დ უ რ — წავალ, მეფეო, მაგრამ მაინც ვერ გამიგია,

რისთვის მიწყრები, რა ცოდვა მაქვს, რა გააჯავრე?

გ ი ო რ გ ი — სულ არაფერი. ეს მე მხოლოდ ხასიათად მჭირს.

განა არ იცი: რაც უფრო მეტს ვჯავრობ და

გკიცხავ,

მით უფრო მეტად და გულწრფელად მიყვარხარ

მეფეს.

ბ ა ა დ უ რ — სწორედ მეც ასე: ხასიათად მჭირს:

რაც მეტს გაჯავრებ, უფრო მეტად სიკეთე მინდა! (გაღიხ).

გ ი ო რ გ ი — ოჰ, ეს წყეული! მტრის ქული და გრძნეულთა  
ხლანჯი?

ხელში მიპყრია, მაგრამ მაინც ვერ ამოეხსენი.  
აღარ იციან, ხალხი როგორ გადამამტერონ —  
უამი მაქვს და არც ვიცი, რასა შობს იგი. (გაღის).

(გლახა და თოტორმე შეხვდებიან ერთმანეთს).

გ ლ ა ხ ა — გამარჯობა, ბიჭო!

თ ო ტ ო რ მ ე — გაგიმარჯოს!

გ ლ ა ხ ა — არ შეიძლება, ერთი რამ გკითხო?

თ ო ტ ო რ მ ე — რატო არა.

გ ლ ა ხ ა — არ გამიჯავრდები?

თ ო ტ ო რ მ ე — რატო არა.

გ ლ ა ხ ა — ეი! „რატო არა“-ს მეტი არაფერი იცი, ბიჭო?

თ ო ტ ო რ მ ე — რატო არა.

გ ლ ა ხ ა — რა იცი?

თ ო ტ ო რ მ ე — არაფერი.

გ ლ ა ხ ა — ეი, რა დოყლაპია ყოფილხარ!

თ ო ტ ო რ მ ე — დოსაც კარგა ვყლაპავ და ერბოსაც.

გ ლ ა ხ ა — ძან ბიჭი ბრძანებულხარ! მეტი არაფერი იცი?

თ ო ტ ო რ მ ე — რატო არა.

გ ლ ა ხ ა — აბა თუ იცი, რას ფიქრობენ ორბელები?

თ ო ტ ო რ მ ე — მე არ ვიცი, თვითონ რასა ვფიქრობ და იმათი  
რა უნდა ვიცოდე?

გ ლ ა ხ ა — მეფის გამოცვლა უნდათ, შე დრინქო, შენა!

თ ო ტ ო რ მ ე — ეგ ხომ მეც ვიცი.

გ ლ ა ხ ა — მერე და შენ ვისი მხარე ხარ?

თ ო ტ ო რ მ ე — რატო ეგრე შეკითხები. ვისი მხარეც შენა  
ხარ, მეც იმისი მხარე ვარ.

გ ლ ა ხ ა — რა იცი, მე ვისი მხარე ვარ?

თ ო ტ ო რ მ ე — ვისი მხარეც მე ვარ, შენც იმისი მხარე ხარ.

გ ლ ა ხ ა — ჰოდა, ვისი მხარე ხარ შენ?

თ ო ტ ო რ მ ე — გიორგი მეფისა, შენა?

გ ლ ა ხ ა — მე მემრე გეტყვი.

თ ო ტ ო რ მ ე — უყურე ამას!

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ — თოტორმე! (თოტორმე გაღის).

გ ლ ა ხ ა — ყველაფერზე ეტყობა, რომ დრო უნდა შეიცვალოს. როგორ მოვიქცე, რომ არც ბეწვი დამეწვას და არც ტყავი? თავის გადარჩენაზე უნდა ვიფიქრო მხოლოდ. ბიჭი ის არის, ვინც თავს გადაირჩენს ახლა. მაგრამ მართო თავის გადარჩენა ხომ არ არის საქმე. გადარჩენის შემდეგ ხომ დარჩენაც არის საქირო. იქვე გლახად ხომ არ დავრჩები?.. ჰაა, გლახავ, სიგლახე არ მოგივიდეს! სასწორს იქით არ დააწვე, საითაც არ უნდა გადაინაროს. (გაღის. მეორე მხრიდან შემოდის თოტორმე).

თ ო ტ ო რ მ ე — შენ ეი, გლახავ!.. წასულა. არა, რაღაც არ მომწონს მაგისი იწილო-ბიწილო. ვისი მხარე ხარო, მეკითხება. ამას რაღა კითხვა უნდა! ლუკმა-ლუკმადაც რომ ამკუწონ, გიორგი მეფეს არ ვუღალატებ. სრა-სასახლესა და თვალ-მარგალიტს რომ დამპირდნენ ორბელები. მაინც არ მივემხრობი. გიორგი მეფეს არავისში და არაფერში არ გავცვლი. მაშ!.. ერთი მოვძებნო ის გლახა. (თოტორმე გაღის. მეორე მხრიდან ბააღურს შემოყავს ხარატო).

ბ ა ა დ უ რ — ხარატო.

ხ ა რ ა ტ ო — არავინ იყოს... (ათვლიერებენ.) გისმენ.

ბ ა ა დ უ რ — მეფის თავს რაღაც უკეთური ამბავია: არეულა და ლაპარაკობს.

ხ ა რ ა ტ ო — რას მავალეებ?\_

ბ ა ა დ უ რ — (ჩუმად) წასვლის დროს ივანე ორბელმა დამავალა, ერთი დღე-ღამით გაგვზავნო მასთან შენი შვილებით. განთავისუფლებთ ერთი დღე-ღამით. ოღონდ არავინ განახოთ იქ მისულები: ღამე მიდით და ღამე წამოდით.

ხ ა რ ა ტ ო — შენი ჭირის სანაცვლო ვიყო (ბააღურ გაღის.) აბა, ჭყლინტებო! (შემოდის შვილები.) დადგა დრო-ჟამი, როცა თქვენი ვაჟკაცობით სავსე ჭურს სარქველი უნდა მონადოთ. ვნახავ, რა შვილებიც ბრძანდებით. მომყევით უკან! (გაღიან).

## სურათი მეორე

ივანე ორბელის სასახლე

(ივანეს შემოქყავს მთვრალი ღემნა)

ივანე — ყოჩაღად დაადგი ფეხი, არ წაიქცე.

ღემნა — ახლა კი მივხვდი, რომ ჩემს სიმამრთან ბრძოლა არ შეიძლება არც ღვინის სმაში და არც კიდევ...

ივანე — არც კიდევ...

ღემნა — ღვინომ გონი წამართვა... ეხ, სიმამრო... დაღიე, თუ გიყვარვარო... ესეც დავლიე... ეს არის სიყვარული?.. ფეხზე ველარა ვდგები...

ივანე — რაღა საჭიროა ფეხზე დგომა, შენს საწოლთან მიგიყვანე...

ღემნა — აბა?

ივანე — ორი ნაბიჯიც და...

ღემნა — სად არის მაიკო... რატომ ყურს არ მიგდებს?..

ივანე — რა ყურის გდება გინდა, დაწექ და დაიძინე...

ღემნა — ჰო, მაგრამ...

ივანე — აქეთ გადმოადგი ფეხი...

ღემნა — მაიკო მინდოდა...

ივანე — გამოფხიზლებამდე რად გინდა... რას გარგია?..

ღემნა — ჰო.

ივანე — აბა შედი, შედი შენს ოთახში...

ღემნა — ჰო.

ივანე — აი ასე... (შეიყვანს ოთახში).

ხმა გარედან — მიბრძანდით, მიბრძანდით, მანდ არიან.

(შემოდის ხარატო თავისი შვილებით).

ხარატო — (ათვალიერებს დარბაზს)

რა კარგია დიდებულად ყოფნა! სახლიც კარგი აქვს, კარიც კარგი აქვს, გაგონებაცა აქვთ მისი — ყველა მათ შეყურებს, სიკვდილიც მათ ხელშია და სიცოცხლეც ყველაზე მალლა დგანან, იმ სიმალღეზე, რომ მოძულე



ფურთხს ვერ აუწევს იქამდე, ძალიან გულითაც რომ უნდოდეს...

ძ ი ო — რასა ბურტყუნებ?

ხ ა რ ა ტ ო — რა შენი საქმეა? სასახლეში რომ შეგიყვანე, შენი თავი დიდებული ხომ არა გგონია — ყველაფერი იცოდე. შენ ნიკორა კამეჩივითა ხარ: ყურში ხელს რომ წაგავლებენ უნდა წაყვე, საცა შეგაბამენ, უნდა შეება და შენ არ გეკათხება იმ ურემზე, რომელშიც შენ აბიხარ, რა ძევს და სად მიგაქვს.

ჯ ი ო — შენ მამა ხარ ჩვენი! — (გაჰოღის ივანე).

ი ვ ა ნ ე — თქვენ უკვე აქ ხართ?

უ ვ ე ლ ა ნ ი — განლავართ, ბატონო!

ი ვ ა ნ ე — ხარატო, რასაც თქვენ გააკეთებთ, თქვენს მეტმა და ჩემს მეტმა არაეინ უნდა იცოდეს... არა, სჯობია თვითონ ჩვენც აღარ ვიცოდეთ... ხოლო ყოველივე გიორგი მეფეს უნდა დაეაბრალოთ: ვითომ იმან მოგზავნა ვილაცა კაცნი საიდუმლოდ...

ხ ა რ ა ტ ო — დიან, მაგრამ რას მავალებ?

ი ვ ა ნ ე — დემნა ძალზე მთვრალია და უგონოდ სძინავს ამ ოთახში. ისეა მთვრალი, პირში ენა აღარა აქვს...

ხ ა რ ა ტ ო — მერე რა ვუყოთ?

ი ვ ა ნ ე — თვალები უნდა დასთხაროთ... აი შანთები... (მისცემს).

ხ ა რ ა ტ ო — ტახტზე ვილას აიყვანთ?

ი ვ ა ნ ე — მაგასვე. ბრმა უფრო კარგა მეყოლება ხელში. მაგის სახელით მე ვიმეფებ და თქვენც იხეირებთ.

ხ ა რ ა ტ ო — დიან... შენი ასული?

ი ვ ა ნ ე — ის მე წვეულებაში გაგვზავნე და ამალამ არ მოვა.

ხ ა რ ა ტ ო — კარგია...

ი ვ ა ნ ე — მე წავალ... (მიდის).

ხ ა რ ა ტ ო — ბატონო... (ივანე მობრუნდება) გზა გამოვიარეთ...

ი ვ ა ნ ე — ჰო, თქვენ გეშიებათ... ახლავე... მე თვითონ მოგართმევთ ჩემის ხელით... (გაღის).

ხ ა რ ა ტ ო — თქვენ ეი, ბიჭებო, ყროყინის მეტი არაფერი რომ არ იცით.

ჯ ი ო — ჰა?

- ხ ა რ ა ტ ო — ღვინოს დაღვეთ?  
 ჯ ი ო — ოხრად!
- ხ ა რ ა ტ ო — საქმე რომ აგერიოთ?  
 ჯ ი ო — არა.
- ხ ა რ ა ტ ო — ძიო, შენ რაღას იზამ?  
 ძ ი ო — ყველაფერს.
- ხ ა რ ა ტ ო — „ყველაფერს“. გაიგე ახლა, რა არის ეს „ყველა-  
 ფერი“. ვინ არის იმის თავმდებელი, რომ ამ „ყველაფერში“  
 ჩემი კისრის მოტეხაც არ იყოს?
- ძ ი ო — ჰა?
- ხ ა რ ა ტ ო — შენ არ გეუბნები... კაცმა რომ სიმართლე თქვას,  
 ყველაფერს შეჩვევა სცოდნია. დიდხანს ვერ გავძლებ;  
 თუ არავინ წავახრჩე, ან არ გამოვშიგნე.
- ჯ ი ო — ჰა?
- ხ ა რ ა ტ ო — შენ არა. შენ როცა გკითხო, მაშინ მიპასუხე.  
 (შემოდის ივანე და შემოაქვს საქმელი, ღვინო).
- ი ვ ა ნ ე — აბა, დასხედით, დასხედით.
- ხ ა რ ა ტ ო — ხომ არავინ მოვა აქ?
- ი ვ ა ნ ე — ღმერთმა დაიფაროს! არა!
- ხ ა რ ა ტ ო — ყოყინებო, აბა დასხედით და საჩქაროდ!
- ძ ი ო — საჩქაროდ! (დასხდებიან და საჩქაროდ ჰამენ).
- ჯ ი ო —
- ი ვ ა ნ ე — (დაუსხამს ღვინოს) მიირთვით!  
 (ძირ უხმოდ გამოსახავს რაღაც საღვებრძელოს და დაღვეს).
- ი ვ ა ნ ე — (კიდევ დაასხამს) მიირთვით!
- ხ ა რ ა ტ ო — გაუმარჯოს ღემნას! (გადაჰკრავს).
- ი ვ ა ნ ე — (დაისხამს თავისთვისაც) გაუმარჯოს! (დაღვეს).  
 ერთი რამ უნდა გკითხო.
- ხ ა რ ა ტ ო — ნურაფერს მკითხავ, კითხვის გუნებაზე არა ვარ  
 ახლა.
- ი ვ ა ნ ე — მაშ მე წავედი... (მიდის. შემდეგ მობრუნდება) ჰო,  
 მშვიდობით, მე თქვენ ველარა გვნახავთ...
- ხ ა რ ა ტ ო — რაო? ველარა გვნახავ?!  
 ი ვ ა ნ ე — (ჩუმაღ) გიორგის ტახტიდან რომ ჩამოვიღებთ, მერე  
 სულ ჩვენთან არ იქნები? მე ვამბობ მანამდე ვერა გნა-  
 ხავთ-მეთქი.

ხ ა რ ა ტ ო — გავიგე, გავიგე.

ი ვ ა ნ ე — (მოიმარჯვებს ხელადას ლენის დასახმელად) თითო-  
თითოც.

ხ ა რ ა ტ ო — ნადიმს ნულარ გავგიგრძელებ.

ი ვ ა ნ ე — მართალი ხარ. მე წავალ. დანარჩენი თქვენ იცით.  
(გაღის).

ხ ა რ ა ტ ო — აბა, ყინტორებო, ივარგეთ! (შედიან დემნასთან. იქი-  
დან ისმის ბრძოლის ხმები).

დ ე მ ნ ა ს ხ მ ა — ვინა ხართ, რა გინდათ?

ხ ა რ ა ტ ო ს ხ მ ა — გიორგი მეფესა ჰკითხე, იმან იცის.

დ ე მ ნ ა ს ხ მ ა — რას სჩადით... ვააი. თვალებსა მოხრიან!  
მიშველეთ!

ხ ა რ ა ტ ო ს ხ მ ა — ველარაფერი გიშველის! (ისმის ბრძოლა და  
დემნას ყვირილი. ცოტა ხანს შემდეგ თვალების მოხრელება გამო-  
დიან და დემნა ისე მაგრა ჩაბლაქებულია ხარატოს, რომ სცენაზე  
ძლივს გაივლებინებს. დემნა ღრიალით დაეცემა ძირს).

დ ე მ ნ ა — მიშველეთ! თვალები დამთხარეს! მიშველეთ!

ხ ა რ ა ტ ო — რა გაროყინებს, შე კამეჩო! გიორგი მეფის ბრძა-  
ნება შევასრულეთ, სხვა ხომ არაფერი? (გადახტება  
სარკმლიდან).

დ ე მ ნ ა — ვააი, მიშველეთ! მიშველეთ. ვინა ხართ ქრისტიანი!  
მიშველეთ!

(შემოცვივან ივანე და ხალხი).

ი ვ ა ნ ე — რა ამბავია?

დ ე მ ნ ა — მიშველეთ!

ი ვ ა ნ ე — რა მოხდა... წაიქეცი?..

დ ე მ ნ ა — თვალები დამთხარეს ბიძაჩემის მოგზავნილებმა.

ი ვ ა ნ ე — ოჰ, ჯოჯოხეთის ტარტაროზო! როგორ გაიმეტე  
ძმისწული! ხალხნო, მოდი, ნახეთ და მოისმინეთ! (გროვ-  
დება ხალხი) ან ეს სარკმელი ვინ დასტოვა ჩაუკეტავი, რომ  
შემომძვრალან.

დ ე მ ნ ა — ბიძაჩემო! ოოჰ, ბიძაჩემო! შენი სისხლი და წორცი  
ვიყავი, რად დამიბნელე უდროოდ მზე!

ი ვ ა ნ ე — ხალხნო! ერნო და ბერნო! დიდნო და პატარანო!  
ცაო და მიწაე! დადექით ყალყზე! მკვდრებო, ადექით

თქვენი საფლავიდან, იხილეთ ესე საშინელება: გიორგი მეფემ თვალნი დაუესო თავის ღვიძლ ძმისწულს.

დ ე მ ნ ა — რა მიყავ, ბიძავ!

ი ვ ა ნ ე — ბატონიშვილო, არ შევარჩინთ გიორგი მეფეს მაგ ბოროტებას!

დ ე მ ნ ა — მერე, ეგ მე თვალებს ამიხელს? (შემოვარდება მაიკო).

მ ა ი კ ო — დემნა! დემნა!

დ ე მ ნ ა — რისთვის დამტოვე, მაიკო, მარტო?

მ ა ი კ ო — რა უყავ მშვენიერი თვალეები, დემნა?

დ ე მ ნ ა — ბიძამ წამართვა...

მ ა ი კ ო — წყეულიმც იყოს! წყეულიმც იყოს! ქვეყანას მოვლოთ ეს ამბავი.

დ ე მ ნ ა — მე რაღას მიშველის ეგ?

მ ა ი კ ო — ტახტს დაგიბრუნებს ხალხი.

დ ე მ ნ ა — შენ ისევე ტახტს სჩივი?

მ ა ი კ ო — აღარც თვალეები და აღარც ტახტი?

დ ე მ ნ ა — დამიბრუნეთ სინათლე!

მ ა ი კ ო — წამოდი-მეთქი... (მიყავს).

ი ვ ა ნ ე — სად მიგყავს, სადა?

მ ა ი კ ო — თავის ბიძასთან: დე დაინახოს თავისი თვალით თავისი საქმის საშინელება. იხილოს ხალხმაც.

ი ვ ა ნ ე — სულელო! მობრუნდი თუკან. ვინც საჭიროა, მან უკვე იცის. შეიყვა სახლში. (მაიკოს გაჰყავს დემნა) ეგ ახლა უნდა კალთაში მყავდეს, სანამ სამეფო ტახტზე ავიყვან. ტყუილად ფიქრობს გიორგი მეფე. ბრმას ვერ დავსვამ ხელმწიფედ ტახტზე. ჩემის თვალეებით დავანახებ მაგას ყველაფერს, ხოლო სამეფოს მასზე ნაკლებ არ ვუპატრონებ.

(შემოდის შიკრიკი).

შ ი კ რ ი კ ი — დიდო ივანე, კაცი გეახლათ სულთანისაგან.

ი ვ ა ნ ე — რაო?

შ ი კ რ ი კ ი — შემოუთვლია: დიდი ჭარით უკვე მზადა ვარ ორბელთა დახმარების გასაწევად.

ი ვ ა ნ ე — დიდი მადლობა მოახსენეთ მას ჩემ მაგიერ და დავალეთ ჩვენსა საზღვრებთან ბრძოლად მზად ყოფნა.. (შიკრიკი გადის. გარეთ ისმის ყიჟინა და წყრომა ხალხისა).

კვარს და მაშხალებს მოუმატეთ. რომ სინათლეზე  
ყველამა ნახოს ბოროტება უსაზარლესი.

ღ ე ლ ვ ა გ ა რ ე თ და ს ა ს ა ხ ლ ე შ ი — ბოროტება გაუ-  
გონარი.

— უსჯულოება!

— უკაცურობა განუსაზღვრელი!

— წყეულიმც იყოს გიორგი მეფე!

— სიკვდილი იმას!

— ზიზღი და ფურთხი სისხლიან მეფეს!

ი ვ ა ნ ე — ხალხნო! გიორგი გადაყლაპვას უქადის ყველას.  
დიდებულებო! ჭერი უკვე მომდგარა ჩვენზე.

ხ მ ე ბ ი — ჩვენ დავასწროთ!

— დავასწროთ!

ი ვ ა ნ ე — გრიგოლ ანელიც დიდ გამრეკელს ჩაუდგა წილში  
და გვიღალატეს. ჩვენი რისხვა მოღალატეებს!

ყ ვ ე ლ ა — ამინ!

ი ვ ა ნ ე — შენ, ლიპარიტ, აშაღე რისხვად  
შენი ერთგული ქვეშევრდომნი და ყველა გარე  
დაპირებულნი. ამ ორ დღეში უნდა მოვასწროთ  
და განზრახვანი სასიკეთო საქმედ ვაქციოთ.  
აბა, საქმეზე სუყველანი! (მიღიან).

### სურათი მესამე

გიორგი მეფის სასახლე

გ ი ო რ გ ი — (მარტო)

ავი ამინდის წინამძღვარი ნიშნები აჩნდა.

როცა ფუტკარი მინდვრებიდან მოჰკურცხლავს სკისკენ,

ბოლობეჭედაც იწყებს ფრენას აღმა და დაღმა,

როდესაც მუმლი ფულუროში შეიხიზნება,

კოლო-ბუზებიც ფოთლების ქვეშ შეასხდებიან

და ბაყაყები ქვის ქვეშიდან გამოძვრებიან;

იმას ნიშნავს, რომ მალე წვიმამ უნდა დაუშვას...

(შემოდის ბააღურ).

ბ ა ა დ უ რ — ისევ გლვიძავს, ხელმწიფეო?

გ ი ო რ გ ი — ვერ დავიძინე.

ბ ა ა დ უ რ — ღამე წავიდა... მოსვენებას როდისღა ფიქრობ?

გ ი ო რ გ ი — სამეფო საქმემ მომქანცა და გამიფრთხო ძილი, მოქანცულს შემდეგ უფრო კარგა დამეძინება...

რად არა ჩანან ხარატო და მისი შვილები... (შემოდის ხარატო).

ხ ა რ ა ტ ო — დიღო ხელმწიფევე, აქ გახლავართ... რას დამავალებ?

გ ი ო რ გ ი — ფხიზლად იყავით.

ხ ა რ ა ტ ო — სიფხიზლეში ჩვენ ვინ გვაჯობებს!

ბ ა ა დ უ რ — დროა, ხელმწიფევე, მოისვენო.

ხ ა რ ა ტ ო — ვიფხიზლებდი შენი მშვიდობიანი ძილისათვის.

გ ი ო რ გ ი — ნახვამდის.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ღამე მშვიდობისა... (მეფე შედის საწოლში).

ხ ა რ ა ტ ო — (საიღუმლოდ ელაპარაკება ბაადურს)

მე შევასრულე დავალება.

ბ ა ა დ უ რ — შესრულებას ბევრი გიკლია კიდევ.

ხ ა რ ა ტ ო — ერთზე მოგახსენებ.

ბ ა ა დ უ რ — საქმე მეორეა! მეორე უნდა ამალამ შეასრულო.  
(იღუმალად გამოჩნდება თოტორმე. ყურს უგდებს).

ხ ა რ ა ტ ო — ნუ ავჩქარდებით.

ბ ა ა დ უ რ — უეჭველად ამალამ!

ხ ა რ ა ტ ო — რა ნიშანს მაძლევ?

ბ ა ა დ უ რ — თეფშს დავკრავ ორჯერ.

თ ო ტ ო რ მ ე — გავიგე. (მიიმალება).

ბ ა ა დ უ რ — გამოღვიძება არ დააცადოთ.

ხ ა რ ა ტ ო — რომ შემოგვაკვდეს?

ბ ა ა დ უ რ — ეგ არა კქნათ. ისიც ისე უნდა დავსაჯოთ, როგორც მან გვიყო.

ხ ა რ ა ტ ო — გადავდოთ ხვალისთვის. წავიდეთ. (გაღიან).

(სხვადასხვა მხრიდან შემოდიან გლახა და თოტორმე).

თ ო ტ ო რ მ ე — გლახა რაღაც ჩურჩული ისმის, ფაციფუცი და იღუმალი მითქმა-მოთქმა სასახლეში. არა იცი რა?.

გ ლ ა ხ ა — ვიცი.

თ ო ტ ო რ მ ე — რა იცი?

გ ლ ა ხ ა — რას მომცემ, გითხრა?

თ ო ტ ო რ მ ე — რა გინდა?

გ ლ ა ხ ა — აზნაურობას მომცემ?

თ ო ტ ო რ მ ე — რატო არა.

გ ლ ა ხ ა — ერთ ქისა ოქროს?

თ ო ტ ო რ მ ე — რატო არა.

გ ლ ა ხ ა — გაძევებული დიდებულის მამულს?

თ ო ტ ო რ მ ე — რატო არა?

გ ლ ა ხ ა — მზეთუნახავ ასულს?

თ ო ტ ო რ მ ე — მითხარ, რა იცი, თორემ თვითონ გაგხდი მზის  
უნახველს!

გ ლ ა ხ ა — ჩუ, ბიჭო! რა გაჯავრება გცოდნია!

თ ო ტ ო რ მ ე — მითხარ, რა იცი?

გ ლ ა ხ ა — დაიკარგე! რა უნდა ვიცოდე! ან რის მოცემა შე-  
გიძლიან შენ: ყვავს რა აქვს, კაჭკაჭს რა უნდა მისცეს!

თ ო ტ ო რ მ ე — მითხარ, რა იცი-მეთქი!

გ ლ ა ხ ა — ახლავე წავეალ ორბელებში და გავიგებ. (გაღის).

თ ო ტ ო რ მ ე — რა ცრუ ვინმეა! ურმის კონკილასავით ქა-  
ნაობს სასახლისა და ორბელებს შორის... თვალს არ მო-  
ვაშორებ მე ამათ! (გაღის).

ხ ა რ ა ტ ო — (შემოდის თავისი შვილებით) აბა, შვილებო! შვილე-  
ბო-მეთქი — ყოტებო! თქვენ ერთი საქმე კარგა გააკე-  
თეთ და ეხლა მეორეზეა მიმდგარი ჭერი. კარგად უყა-  
რაულეთ მეფეს: არავინ არაფერი აწყენიოს! გესმით?

ო რ ი ვ ე ნ ი — ჰმ!

ხ ა რ ა ტ ო — ჰოო, ასე: მუნჯურად უნდა ყველაფერი, როცა  
მეფესა სძინავს.

(გარედან ისმის თოტორმეს სიმღერა).

თ ო ტ ო რ მ ე ს ს ი მ ღ ე რ ა — ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა,  
ციდან ჩამოესმა რეკა.  
იალბუზზე ფეხი შედგა,  
დიდმა მთებმა იწყეს ღრეკა,  
დიდმეფობა დაიმტკიცა,  
ყველა მტრები გადარეკა.

ხ ა რ ა ტ ო — შეჩვენებული თოტორმე! ისევა ღვიძავს. უნდ-  
ლებო, ძილს ხომ არ ფიქრობთ! (შვილები თავს გაიქნევენ  
უარის ნიშნად.) ხომ ხედავთ თოტორმეს. რომ იტყვიან,  
კვერცხში წივისო, ეგ არის სწორედ. არავის დაუვალეზია,  
მაგრამ მაინცა ფხიზლობს. რაც უნდა მტერი გძულდეს,  
იმისგან მაინც უნდა ისწავლო რამე. გაიგეთ? (შვილები  
თანხმობას გამოხატავენ.) ყოჩებივით რომ იქნეთ თავს, უნდა  
გასწოთ კიდეც ყოჩობა. (შვილები თავის ქნევით გამოხატავენ  
თანხმობას.) ასე. (შემოდის ბაადურ და შემოჰყავს კაცები. მუნჯუ-  
რად ანიშნებს, ესენიც მოიშველიეო).

ბ ა ა დ უ რ — გაიგე?

ხ ა რ ა ტ ო — არხეინად! დიდებულის წოდება ხომ მზადა  
გაქვს ჩემთვის!

ბ ა ა დ უ რ — არხეინად! აბა შენ იცი! (გაღის).

ხ ა რ ა ტ ო — ჩემი გადიდებულების პირველი საფეხური აღ-  
ვილი იყო, ვიდრე მეორე. ამ კიბის ეს მეორე საფეხური  
თუ ჩამიტყდა — მშვიდობით ყველაფერი! მაშინ კისერი  
უნდა წავიგრძელო, როგორც დასაკლავმა მამალმა...  
(სიჩუმე) ეტყოდა, თოტორმემ დაიძინა.

(დაჰკრავენ ორჯერ თეფშს სასახლეში).

ხ ა რ ა ტ ო — ორი თეფში! აბა, ბიჭებო, შევეკრათ გიორგი!  
(გახსნიან ფარდას. მეფე ფეხზე დახედებათ. ასტყდება საგანგაშო  
ზარი. შემოიჭრება თოტორმე თავისი რაზმით. გარს ერტყმიან  
ბოროტგანზრახთ).

თ ო ტ ო რ მ ე — შეჩერდით! (შემოვარდება ბაადური).

ბ ა ა დ უ რ ი — დავილუბე!

თ ო ტ ო რ მ ე — არ გატოკდეთ! დაყარეთ იარაღი!

(იარაღს ყრიან ხარატოს შვილები და მისი ასაბიები).

ხ ა რ ა ტ ო — საფეხური ჩამიტყდა.

გ ი ო რ გ ი — ოოჰ, შე როკაპო! გაიძვერავე და არამზადავ!  
მშვიდობის ღამე რომ მისურვე, შენა გგონია, გიორგი  
მეფემ არ იცოდა, რას უმზადებდი? შეეკარით ყველა და  
დილეგში უკარით თავი! (შეჰკრავენ.) ბოროტებას რომ სახე  
ჰქონდეს — ორბელთ ნაშიერთ ემგვანებოდა. დღე არ



დარჩათ და არცა წუთი, რომ სიაყვაცე არ ეფიქრათ საქართველოსთვის მხოლოდ იმიტომ, რომ დიდგულად ეკვებნათ ხალხში: ჩვენ მბრძანებელნი ვიყავით და ახლაც ვართო.

(შემოდინ ყუბასარ, ჭიაბერ, პატა, ზაქარია და სხვ.).

ყუბასარ — მეფევ, მხედრობა შენი მტკიცე უკვე ფეხზეა.

გიორგი — ამათ რა ვუყოთ? (შემოდის რუსუდანო).

რუსუდანო — ჩემო ძმაო, შენი ასული სწუხს და მძვინვარებს!

გიორგი — მოკვლა უნდოდათ, ჩემო დაო, ამათ შენი ძმის და გეკითხებით აქ მბრძანებლთ: რა ვუყო ამათ? (ღუპილი.) თქვენ გეკითხებით ერის კაცნო: რა ვუყო ამათ? (ღუპილი.) შენ მაინც მითხარ, ჩემო დაო. რა ვუყო ამათ?

რუსუდანო — მე ვერას გეტყვი. ამას წინათ, როს სცნო თამარმა სახლთუხუცესის ბაადურის მუხანათობა, მე შევეკითხე: რა სჯობია, რა უყოს-მეთქი? მან მიპასუხა: ნურას უზამს, რადგან ეგ მხოლოდ კულის წვერია იმ გველისა, რომელსაც თავი შესაძლო არის, ჩვენი ქვეყნის იქით ჰქონდესო. ხოლო როდესაც ხელში იგდებს თავით ფერხთამდე, მაშინ სასჯელი თავისთავად გამოჩნდებაო.

ყველანი — მართალი უთქვამს.

გიორგი — მაშ შემიწახეთ ჯოჯოხეთის ეს ბელზებულნი ჩვენთვის კეთილ და საბოლოო დასრულებამდე.

(შემოდის შიკრიკი).

შიკრიკი — დიდოო მეფევ, ხმა მოვიდა: დიდმა სულთანმა გადმოლახაო საქართველოს საზღვრები ბრძოლით.

გიორგი -- აბა, სარდალნო! ერთგულება მიჩვენეთ თქვენი! (სარდლები საჩქაროდ გადიან).

## მოქმედება მეოთხე

### სურათი პირველი

ბრძოლა სამშვილდეს ციხესთან. ორბელს შემოსდევს თოტორმე ბრძოლით. ლართა ღუილი, ისართ შხუილი და ბრძოლის ხმა. ყიყინა. ქონგურებიდან გამოდის ისრები.

ორბელი — მე არ გავტყდები. არც დაგნებდები, გიორგი მეფის ყურმოჭრილო ყმავე!

თოტორმე — შენ ვილას ყმა ხარ?

ორბელი — არავისი. ორბელთა გვარის ვარ! სიკვდილი გიორგის ყმებს!

(ბრძოლა).

თოტორმე — მე ყმა ვარ, მაგრამ არც ორბელებისა, არც გიორგი მეფისა, მე საქართველოს მთლიანობისა და კეთილდღეობის ერთგული ყმა ვარ. დაყარე იარაღი!

ორბელი — მეხი დავაყარე იმ ორბელს, რომელიც შენ წინ დაპყრიდეს იარაღს! თავსლათი დავასხი იმ საქართველოსაც, რომლის ერთგული ყმაცა ხარ შენა. ორბელებზე ერთგული ვინა ყავს საქართველოს?!

თოტორმე — განა არა! იმიტომ არ ასწეწეთ დაწყენარებული ქვეყანა და გარეშე მტერსაც დაუძახეთ! გასჭერ, მახვილო!

ორბელი — ხმალი ვერ გაგიჭრის ორბელებზე.

თოტორმე — ჩვენი ხმალი სამშობლოს მტერს ყოველთვის გასჭრის, ვინც უნდა იყოს იგი.

ორბელი — ჩვენი ტყავი შეუუვალია თქვენი მახვილისთვის! გაკვეთე, ხმალო!

თოტორმე — ვერ მოგართევს! ჩვენ დაჯავშნულები ვართ! (ორბელს დაარტყამს).

ორბელი — მაგ ჯავშანს აგხდით!

თოტორმე — სანამ იკვნესეთ! (დაკრავს).

ორბელი — ვერ გასჭრის-მეთქი!

თოტორმე — ციღევ დაკრავს) აი თუ ვერა! (გასძახებს თავისიანთ) ჰეი, ვაეკაცნო! თოტორმე მოგიწოდებთ: კაფეთ და კაფეთ ორბელნი, როგორც ტოტები ჭყიმისა.

ორბელი — ნუღარ მომკლავ!

თოტორმე — წავიდა შებრალების დრო! მოკვდი (ჩასცემს მახვილს) მოკვდა. აფსუსი არ არის, ეს საქართველოს მიწაზე ეგდოს! წავიღებ და სულთანთან გავატან მისიანს ვისმე. (გაათრევს).

ხმა გარედან — მეფეს უშველეთ!

— აქეთ! აქეთ!

(მეფე და მისი რაზმი შემოჰფანტავს ურდოს. ასევე მეორე მხრიდან დიდი გამრეკელი, თოტორმე და ზაქარია მხარგრძელი იმწყუდევენ მოწინააღმდეგეს).

თოტორმე — შეჩერდით! მოისმინეთ რჩევა მეფისა! (ხრლებს დაუშვებენ).

გიორგი — სულთან-ემირთა ნაშვირნო! ბნელნო და მრულნო! უცხოელთადმი თქვენი ქვეყნის მიმყიდველებო! სისხლით ვაქრებო! სანიმუშო გაიძვერებო! დაგვენბლით! კმარა ესოდენი ძმათა სისხლის ღვრა!

დიდი გამრეკელი — დაგვენბლით!

მტრის ბანაკი — არ დაგვენბდებით!

ზაქარია მხარგრძელი — სულ ამოწყდებით, თუ არ დაგვენბდებით!

მტრის ბანაკიდან — არ დაგვენბდებით ცოცხალი თავით! (შემოდის პაატა).

პაატა — მომილოცნია! დამარცხდა სულთანის ჯარი. ციხე-ლა იბრძვის!

(ბრძოლის ხმა გარედან. პაატა ისევ გადის).

გიორგი — უგნურნო, დაგვენბლით!

მომწყვდეულთა განი — ორბელთა ერთგულებას არ ვუღალატებთ.

(გარედან ბრძოლის ხმა).

გიორგი — ბოროტებასაც სასახელოდ მიუჩნევია თავის განწირვა. რაკი ასეა — გაიწირენით! (სწევენ ხმლებს, მარამ დიდი გამრეკელი შეაჩერებს).

დიდი გამრეკელი — შეჩერდით! აგერ, შეხედეთ, ციხიდან თოკით ძირს ეშვებიან. ცუელანი იქით იყურებიან. შემოდის ღემნა. მას მხრებში თოკი აბია, შემოჰყავს ანანია ღვინელს).

ღემნა — მე უბრალო ვარ, ბიძაჩემო, მე უბრალო ვარ! მაპატიე, შემინდე ბედკრულს.

ანანია ღვინელი — მეფეო, დიდი ხნის ხვეწნა-მუდარით ძლივს ვიხელთე თოკი საიდუმლოდ და ჩამოვეუშვი პატიების სათხოვნელად. მეც მაპატიე.

ღემნა — მე უბრალო ვარ, ბიძაჩემო! მე უბრალო ვარ!

გ ი ო რ გ ი — ძმისწულო! (ხელს მოხვევს) ახლა მემკვიდრე აქ არის, ვილასთვის იბრძვის ორბელნი? წაიყვანეთ ღემნა და უპატრონეთ! (გაჰყავთ).

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ — მოვშალეთ ქონგურები.

მ ე ო რ ე ხ მ ა — ერთი კედელი გადმოინგრა.

1-ლი ხ მ ა — გაიღო მეორე კარი!

ქე-2 ხ მ ა — ციხე დაგვნებდა! (შემოდის პაატა).

პ ა ა ტ ა — სამშვილდის ციხემ თავი დახარა შენს წინაშე, მეფეო!

გ ი ო რ გ ი — დაყარეთ იარაღი თქვენც! (მოწინააღმდეგე იარაღს დაყრის. ერთის მხრივ შემოდინან ყუბასარ, მეორე მხრივ — კიაბერ თავისი მხედრებით. კიაბერს შემოჰყავს განდგომილი ორბელები).

ქ ი ა ბ ე რ — აი ტყვექმნილი დიდებულნი, ჩემო ხელმწიფევე: ორგულნი და განდგომილნი, ორბელები — მიიღეთ განსჯად ბოროტისათვის, შენი მართლმსაჯულებისათვის. (შემოყავთ ივანე, ბაადურ, კახაი შვილებით და სხვანი).

გ ი ო რ გ ი — ერნო და ბერნო! აი მტერი! წელში მოხრილი დგას ჩემს წინაშე, მაგრამ ჩვენი ქვეყნის გულ-ღვიძლში გაჩხერილია ის ისარი, მე რომ მესროლეს.

ვინ ამოიღებს მას იქიდან უმტკივნეულოდ?

ადამიანი ჭიდილის დროს ვერა გრძნობს ტკივილს,

ხოლო შემდგომად საგრძნობელი და საწუხარი

განდება ხოლმე. სახელმწიფოც ასეა სწორედ.

ჩვენსა ქვეყანას ამ გულღრძო და უმეცართაგან

დადინებულმა ძმათა შორის სისხლის წვიმებმა

დასაცემად და დასაშლელად მოუღპვეს ძირი,

იგი ნახევრად თითქმის უკვე წაჩოქილია.

ვინ გამოსძებნის ამის წამალს? ვინ აღადგენს მას?

ან რამდენი დრო დასჭირდება ამ ჭრილობების

მოშუშებასა? მიპასუხეთ თქვენ, გამყიდველნო;

მოლალატენო! ცბიერნო და გაიძვერანო!

ი ვ ა ნ ე — დამარცხებულებს რაღა გვეთქმის? რა გვეკითხება?

გ ი ო რ გ ი — თქვენი წამება, თქვენი სისხლი გამოისყიდის კარსმოყენებულს ზიანსა და უბედურებას? რისთვის აწე-

წეთ ეს ქვეყანა? იმისათვის, რომ უცნაურად დანიშნონ  
გიორგის წინ მოსულიყავით?

ი ვ ა ნ ე — შენ გაიმარჯვე. პატივებს არა ვთხოვლობ.

გ ი ო რ გ ი — არა თხოვლობ! დიახ, დიახ, არა თხოვლობ,  
რადგანაც იცი, რომ გიორგი ამ დანაშაულს არ აპატიებს  
აღარავის აღარასოდეს! შენ ისიც იცი, პატივებს რა მოს-  
დევს ხოლმე: ხელახლა ჯანყი, უწყობა, განდგომილობა  
და უცხოეთში გარდახვეწა შველის სათხოვნად.

ზ ა ქ ა რ ი ა — დიახ, მეფეო, — ლიპარიტი გარდაიხვეწა.  
მტრების ბანაკში გადასულა იგი ფარულად და, რა თქმა  
უნდა, თავს ამოყოფს იგი ჩვენს მტრებთან.

გ ი ო რ გ ი — ღონისძიება იმისათვის შემდეგ ვეძიოთ. ახლა  
პყრობილნი გაიყვანეთ სამსჯავროს ადგილს.

(პყრობილები გაჰყავთ).

გული მელევა, მიღონდება და ამომწვივის.

წივილი იგი ცისკიდურებს ღრუბლებად სწვდება,  
და პირქუშდება, გაწყრა კიდევ, გაკრა ტალ-კვესი  
და დაიქუხა, თითქოს გრძნობდეს იგიც ამ შავს ღღეს —  
ჩემი გული და მშობელი ცა გაერთიანდნენ!

ორივე გრგვინავს და მრისხანებს — ნეტაი რისთვის?

სამუდამჯამო დაღუპვისთვის თუ სამუდამო

გამოდარების წინაჟამის ჩასაგონებლად!

ჰკვავ და მარჯვენავ, საქართველოს დახსენით ჰირნი!

### სურათი მეორე

სხვა ადგილი. თბილისი. ქექა-ქუხილია.

გ ი ო რ გ ი — მოსამართლენო, დიდებულნო და აქა მყოფნო!

აი ყველანი, ვინც ქართველ ხალხს მტრობას უწყევდა.

ამათ უნდოდანთ საქართველო დაენაწილნათ

და ნაწილებზე თითო-თითოდ მსხდარიყვნენ მეფედ.

შემდეგ დაქსაქსულთ ერთმანეთში ებრძოდნათ მარად

ყმების და მიწის წასართმევად, ხოლო გარეშე

მტრების წინაშე ყოფილიყვნენ ქედმოდრეკილნი,

როგორ გგონიათ, მტრები არიან ეს გარეწრები?  
ყველანი — მტრები არიან!

(შემოდის რუსუდანი).

— უმეცრად უსამართლონიც.

გიორგი — რა ვუყოთ ამათ?

მიპასუხეთ, რა ვუყოთ ამათ? (ღუმლის შემდეგ ჩურჩული):

— რა სასჯელი მივაკუთვნოთ?

— როგორ სჯობია?

დავსაჯოთ?

რას მოგვიტანს მათი დასჯა?

იქნებ არ სჯობდეს?

მეფემ უფრო უკეთ არ იცის?

გიორგი — ვერ მოიფიქრეთ? გადაწყვიტეთ, რა ვუყოთ

ამათ? რასა სდუმხართ! ხმა ამოიღეთ! რა ვუყოთ-მეთქი?!

(სდუმან და ერთმანეთს უყურებენ. მეფე მიმართავს თავის

დას რუსუდანს).

დაო რუსუდანი, შენ მაინც მითხარ, მირჩიე რამე!

(თავჩაქინდრული დგანან ივანე, ბაადურ, ხარატო თავის

შვილებით, მაიკო და სხვანი).

რუსუდანი — აი ამ წუთას ჩემთან იყო შენი თამარი

და ეგ საკითხი, მართლა ძნელი, იმასაც ვკითხე.

ასე თქვა: დიდი საქმისათვის პატარა უნდა

გაიწიროსო. საქართველო უფრო დიდია,

ვიდრე მოღალატე ორბელთ გვარეულობა

და მამამ ორში ერთი უნდა აირჩიოსო:

ან საქართველო, ანდა გვარი ორბელებისა —

ორივე ერთად არასგზით არ მოთავსდებო.

შენ რომელს არჩევ? საქართველოს თუ მოღალატეებს?

მე (თავისთავზე ამბობს) საქართველო მირჩევნია.

შენ შენი ჭკვა გაქვს.

გიორგი — თქვენ რომელს არჩევთ, დიდებულნო?

ყველანი — თამარის სიტყვას.

— გაუმარჯოს საქართველოს!

— სიკვდილი მოღალატეებს! (ქუხილი ძლიერდება).

გიორგი — ოოჰ, როგორა სქექს! თითქოს ზეცაც გვიდას-

ტურებდეს: გაუმარჯოს საქართველოს მთლიანობას!  
თუ ცოდვას ვჩადი, ცაო, თავში დამკარი მეხი, გამანად-  
გურე, სანამ მონა შემოგცოდავდე!.. გაიყვათ ტყვენი,  
განამზადეთ სასჯელისათვის.

ი ვ ა ნ ე — რა სასჯელსა გვდებ?

გ ი ო რ გ ი — საკითხავი აღარა გაქვთ რა.

ტ ყ ვ ე ბ ი — ბრწყინვალე მეფევ!..

ე რ თ ი ტ ყ ვ ე თ ა გ ა ნ ი — გვაპატიე... შეგვინდე უგნურთ.

გ ი ო რ გ ი — თქვენ ვინ შეინდეთ, რომ შენდობას მოითხოვთ  
ჩემგან?! გაიყვათ-მეთქი!

მ ა ი კ ო — ნუთუ, ხელმწიფევე, გეკადრება დიაცის დაჯა?

გ ი ო რ გ ი — კეთილ ყანაში ღვარძლის თესლი არ უნდა  
დარჩეს.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — აღმოიფხვრას!

გ ი ო რ გ ი — ხმა ღეთისა და ხმა ერისაო -- აღმოიფხვრას!

მ ა ი კ ო — ვაი შენ, ჩემო დედოფლობავ!

ი ვ ა ნ ე — გიორგი მეფემ თავის ძმისწულს წარსტაცა ტახტი,  
დაუვსო თვალნი, ღვთაებრივი გატეხა ფიცი...

გ ი ო რ გ ი — ოჰ! თქვენ გულღრძონო! თქვე ნაშობზო იქედ-  
ნეთანო. სიცრუეს მაინც არ იშლიან... გა! გაიყვანეთ!

(გაჰყავთ ყველანი).

დარბაისელნო! ღვარძლის თესლი უნდა მოისპოს,  
მაგრამ ერთი რამ, როგორც სიბრძნე, უნდა იცოდეთ.

უნდა იცოდეთ, რომ ამბოხნი, განდგომილობა  
მხოლოდ და მხოლოდ ორბელებისა ზნე კი არ არის —  
საყოველთაო ზნეა იგი, ყველაში ბუდობს.

და თუ მკაცრსა ვიქმ მე დღეს სასჯელს ორბელთა მიმართ,  
მისთვის კი არა — მათი მოდგმის მოსპობით მოვსპობთ  
განდგომილობის ბუნებასა საქართველოში.

არამედ მისთვის, ყველამ თავის თვალთ იხილოს,  
თუ როგორ უნდა ორგულთ დასჯა, განადგურება,  
რათა ამ ხილვით ბევრს ახლა და ბევრს მომავალშიც

წავართვა მადა მოღალატურ ამბოხებისა  
და შევაგონო საბოლოოდ, რომ ჩვენს მიწაზე  
ყველა დიდგულა მეფობაზე არა ფიქრობდეს.

ყველანი — ამინ!

გიორგი — მაშ მომეცით იმის უფლება  
სასჯელი ესე მოგახსენოთ უსასტიკესი.

ყველანი — ბრძანეთ!

(ქუხილი).

გიორგი — ჰოი, როგორა ჰქუხს, თითქოს ცას სურდეს დე-  
დამიწის მეხით განკვეთა! თოტორმე!

თოტორმე — მიბრძანეთ, მეფევ!

გიორგი — ყველა პყრობილნი კლდიდან უნდა ძირს გად-  
მოჰყაროთ! დანაშაულის ფასი ნახოს მთელმა ქვეყანამ!  
(ქუხილი, თოტორმე გადის).

ულმობელი ვარ დღეს უსაზღვროდ, ვით ჰქეჟა-გრგვინვა,  
მაგრამ სანაცვლოდ მას მოჰყვება მზიანი დარი,  
რაიც ქვეყანას ააყვავებს, გააძლიერებს  
და შეუშურალებს სისწლიანს და ცრემლიან თვალებს.  
ამ სიმკაცრისთვის გული არვის აგიკანკალდეთ!

ყველანი — მეფევ, სიმართლე მუდამ მკაცრი და სასტიკია.  
(გაღიან ყველანი. გიორგი მარტო რჩება).

გიორგი — ცავ, მოგრაგნილო, დაიგრგვინე უფრო სასტიკად!  
სულ ჩამოყარე, რაც მეხი და მედგარი შეგწევს!  
ისე ჰქუხ, თითქო ინგრეოდეს მთელი სამყარო,  
მაგრამ არც ერთი წინწყალიც არ ჩამოუგდია.  
(შემოდის გლახა).

გლახა — მეფევ, მრისხანე ცისქვეშ მარტო რისთვის ბრძან-  
დები?

გიორგი — გასწი აქედან, მეტიჩარავ!

გლახა -- ერთსაც გეტყვი და მერე გამაგდე. ხარატოსა და  
მის შვილებს შენი შეპყრობა უნდოდათ. (გადის).

გიორგი — მე მარტოდ ყოფნა ამის შემდეგ არ მეშინიან:  
სამეფოს მტრები მუჟაში მყავს გამომწყვდეული,  
რათა მოვფშენიტო, ვით თავთავი რამ გულდაფშუტა!  
ქვეყანა ესე ბოროტთაგან განწმენდილია,  
მაგრამ სიმკაცრეს ესოდენსა შემინდობს ხალხი?  
ცაო, დანსაჯე თუ ცოდვები ცოდვილს აღარ  
მეპატიება! ცავ, მიწაზე განრისხებულო,



ჩამოიქეცი! (საშინელი გოიალი და წივილი).

ჩამოიქცა! აღსრულდა იგი,

რის ასრულებაც მზარავდა და მეძნელებოდა.

ქართველი ხალხის მშვიდობისთვის და კაცთა შორის  
სათნოებისთვის შევასრულე ეს საქმე ძნელი.

ვიცი, ამისთვის შემოიჭაგრებს ღღეს შემხედველი,

მაგრამ მის ნაყოფს, ტკბილს, იგემებს შთამომავლობა.

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ — ქვეყნის წინაშე მოიხადა სასჯელი  
მტერმა.

გ ი ო რ გ ი — (იზორებს) „ქვეყნის წინაშე მოიხადა სასჯელი  
მტერმა“.

(შემოდის თოტორმე).

თ ო ტ ო რ მ ე — მიბრძანდი, მეფევე. სასახლეში. საქმე გა-  
თავდა.

გ ი ო რ გ ი — საქმე გათავდა — მათი საქმე, მაგრამ მათ შემ-  
დეგ ჩემი იწყება... გამანებე თავი. თოტორმე! (თოტორმე  
აღის) მისწყდა ქუხილი, ცის ძირებში ჩაწვენენ ღრუბ-  
ლები და ელვა იქლა იკლაკნება წამხდარ მტერივით,  
ახლა ვიგრძენი, რომ ღღე უკვე დასრულებულა: ჩა-  
მოწვა მწუხრი, ჩემი გულიც მოიცო მწუხრმა და აღარ  
ვიცი, ვის შევჩივლო ჩემი ცოდვები, ან რა ცოდვა მაქვს,  
რა ვუწოდო ჩემსა საქციელს. ჩემი ძმისწული... საქართ-  
ველო... ქართველი ერი... ერთიანობა ქართლის ძეთა...  
მის ძლიერება... მე ამის მეტი არაფერი ცოდვა არა მაქვს.

ხ მ ა ი ღ უ მ ა ლ ი — არ გეყურება?

გ ი ო რ გ ი — ვინა ხარ შენ?

ხ მ ა ი ღ უ მ ა ლ ი — ხმაზე მიცანი. თუ საქართველოს მოკე-  
თე ხარ.

გ ი ო რ გ ი — ვინ უნდა იყო? ვერ გავარკვიე მე შენი ხმა, მით-  
ხარ გარკვევით:

რას მავალე, ან რას მიქადი, რას მოასწავებ?

განა შენი ხმა რომ ვერ ვიცნო, აღარ ვიქნები

ის, რადაც გინდა მე ჩამთვალო შენ ქეშმარიტად?!

ხ მ ა ი ღ უ მ ა ლ ი — შენ ჩემი სული უნდა გედგას, როდესაც  
ფიქრობ ერთიანობას, სიძლიერეს საქართველოსას.

გ ი ო რ გ ი — დიდი დავითის, აღმშენებლის ხმას მაგონებ

შენ. თვით მამაჩემსაც ჰგავს შენი ხმა, ხმავ იღუმალო. მარჯვი ვინა ხარ? გეფიცები ყველა საფიცარს, რომ მე შენს სიტყვას შევიგონებ, თუნდ იგი სიტყვა ჩემს წინააღმდეგ მომართული იყოს მახვილად.

ხ მ ა ი დ უ მ ა ლ ი — ტახტი ხელიდან არ გაუშვავ! არც სუსტს ჩაუგდო! სუსტი ტახტზე ვერ იბოგინებს. საქართველოსთვის ბრძოლა, სიმკაცრე, სისხლი — ცოდვად არ ჩაგეთვლება.

გ ი ო რ გ ი — მადლი შენს მოსვლას, შენსა რჩევას, მაგრამ ამიხსენ, ვინა ხარ შენა, ზენაარო და უხილავო?

ხ მ ა ი დ უ მ ა ლ ი — მე ვარ ამ ქვეყნის მეფეყოფილთ გამოცდილება! მე გამიგონე და შენს სახელს შთამომავლობა ხატად დაიდგამს და ერის ბედს მას შეავედრებს: არვინ დაზოგო საქართველოს განმტკიცებისთვის!

გ ი ო რ გ ი — მერე?.. მერე?.. აღარას ამბობ?.. ნუთუ იმდენად დაეუძღურდი, რომ მოჩვენება ნამდვილ ხმად მესმის?

დ ე მ ნ ა ს ხ მ ა — მე მსხვერპლად გავხდი ცბიერ ორბელთ მოშურნეობის:

აქლემებს შუა გავიჭყლიტე, როგორც კოზაკი!

გ ი ო რ გ ი — ეგ შენი ცოდვა კისრად ედოს, დემნავ, ივანეს.

ი ვ ა ნ ე ს ხ მ ა — არ მოგასვენოს ივანეს ცოდვამ!..

გ ი ო რ გ ი — ნუ მომასვენოს, ოლონდ მოისვენოს ქართველმა ერმა.

ბ ა ა დ უ რ ი ს ხ მ ა — ბაადურისა ჭადარა თავი გდევდეს ფეხდაფეხ და გიძახოდეს: ნუმც მოგიყრია ჩემი სწორიო..

გ ი ო რ გ ი — მოწყდით თავიდან!

მეზარებოდით ქვემძრომელნი მე სიცოცხლეში და ახლა უფრო მეზარებით — განვედით ჩემგან!

## მოქმედება მეხუთე

### სურათი პირველი

(გიორგი მეფის სასახლე. დიდებულნი, აზნაურნი, დარბაისელნი, გარე-შენი და შინაურნი. იქ არის ახალგაზრდა პოეტი შოთა რუსთაველიც).

თ ო ტ ო რ მ ე — თქვენ დიდებულნო, სპასალარნო,

დარბაისელნო,

სამეფო ტახტის შინაურნო და გარეშენო!  
მეფე გიორგის დაუბრუნდა ჯანკეთილობა  
და გეახლებათ სადარბაზოდ. მობრძანებამდე  
თვითონ გიორგი გთხოვთ იმსჯელოთ, თუ ვის  
დასვამდით  
ღირსეულ მეფედ ქართლის ტახტზე გიორგის  
შემდეგ.

ხ მ ე ბ ი — რაო?

- ვის გაუგია!
- რა ბრძანებაა?
- სიცოცხლე მეფეს!

ღ ი დ ი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — დროს ნუ დავკარგავთ. რაკი უბრძანებია მეფეს, ვითათბიროთ და უკეთესი აზრი გამოვარჩიოთ. ჩვენ ყველანი მეფის ერთგულნი და გულისყური ვართ, მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მსურველნი. მაგრამ გვამით უკვდავი არავინ არის. დავით აღმაშენებელი მძლეთამძლე იყო, მაგრამ იგიც აღსრულდა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ გიორგიც გვამით მოკვდავია. მერე? ვინ იქნება იმის შემკვიდრე? აი, ამისთვის დიახაც გვმართებს ბჭობა-თათბირი.

(ყველანი შეიშუშუნებიან, ერთმანეთს შესედავენ. გაისმის ჩურჩული):

- დროული არის ამის თქმა?
- შენ რას იტყვი?
- თვითონ რას ფიქრობ?
- უცნაურია.

ჭ ი ა ბ ე რ — მართალსა ბრძანებს გამრეკელი. მერე?

ღ ი დ ი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — გიორგი მეფეს ძე არა ჰყავს. ცვალებდავისილი დემნა ღიდი ხანია მოკვდა. არც სხვა შტო არის მეფეთა გვარისა. მაშ ვინ იყოს გიორგის შემდეგ?

ყ უ ბ ა ს ა რ — გიორგი მეფე ცოცხალი გვყავს...

ღ ი დ ი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — (სიტყვას ჩამოართმევს) კვლავაც ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, მაგრამ შემკვიდრე? შემკვიდრე ვინ იქნება?

ყ უ ბ ა ს ა რ — გამორჩევანი ნაადრევია.

ღ ი დ ი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — მერე ვვიან იქნება. დაგვიანებას ნაადრევი სჯობს.

ყველანი — მართალია.

ზაქარია — დარბაისელნო, დიდებულნო, აზნაურნო, დიდნო და მცირენო, მე ყრმა ვარ და ნუ ჩამითვლით სიტყვას დედის წინ კვიციის ხტომად და მოგახსენებთ: დიდი სარდალი ყუბასარი მართალს არ ბრძანებს. მე ასე ვფიქრობ: სწორედ ახლაა დრო მემკვიდრის გამორჩევისა, ვიდრე მეფე გიორგი ჩვენს შორის არის, რადგანაც მისი არჩევანიც საჭიროა ამისათვის.

ყველანი — სიმართლეა.

ჭიანჭერი — დიას! მართალი ბრძანებაა, მაგრამ ვინ უნდა იყოს მემკვიდრე — ეგა თქვი.

სარგის — ქალი ხომ ვერ გაგვიწევს პატრონობას, არც არის წესი ქალის მეფედ დასმა.

პაატა — არ ყოფილა ამის მაგალითი.

შოთა — ყოფილა: ეგვიპტეში კლეოპატრა იჭდა დედოფლად.

ხმები — მაშ ჩვენშიც შეიძლება.

შოთა — შეიძლება.

დიდი გამრეკელი — კარგის მიბაძვა სასურველია.

შოთა — ხეთებსაც ჰყვანდათ დედოფალი ხელმწიფედ და ჩვენც ხომ ხეთების შთამომავლობისა ვართ!

პაატა — მაშ მივბაძოთ!

ყუბასარ — მეფის აზრი ყველას აჯობებს. მაგრამ ვინ ეტყვის?

თოტორმე — თვით მეფემ ამისთვის ისურვა დარბაზობა ესე. ამისთვის სურს თათბირი თქვენთან, რათა რჩევა გთხოვოთ და სჯა-ბაასით ჭეშმარიტება ვპოვოთ. მეფე მობრძანდება!

(შემოდის გიორგი).

გიორგი — სიცოცხლე და გამარჯვება დარბაისლებს!

(ტახტის ორივე მხარეს დამსახურების მიხედვით ღებვიან დიდებულნი, აზნაურნი, სარდალნი და სხვანი. გიორგი ყველაზე უკანა ღება).

თოტორმე — აბრძანდი, მეფევე, სამეფო ტახტზე.

გიორგი — არა, მე ტახტზე ველარასდროს ველარ მიხილავთ.

ყველანი — (შეშფოთლებიან) რას ბრძანებ, მეფევე!

ყ უ ბ ა ს ა რ — ცარიელ ტახტს ვით ვემსახურო?

ჭ ი ა ბ ე რ — უშენოდ ხომ უთავონი ვართ!

გ ი ო რ გ ი — დარბაისელნო, საყვარლებო, ერთგულნო ჩემნო!

მე, დიას, მჭერა, რომ აქ ყველა გულწრფელი არის,  
მწამს, გულწრფელადაც შეწუხდებით, რომ მე

დღეიდან

სამეფო ტახტზე ველარა მნახავთ ველარასოდეს...

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მეფევ, ნუ ბრძანებ!

გ ი ო რ გ ი — მოითმინეთ! სამეფო ტახტსა,

რომელიც ასე შორთულია თვალ-მარგალიტით  
და რომელიც ბევრს უღვიძებდა მადას,

წყურვილსა,

დაუფლებსას სულმდებლური

გულდიდობისთვის,

ქართველთა სისხლიც შეეფრქვია ჩემივე ხელით.

ამიტომ, ძმანო, ნულარა მთხოვთ ტახტზე

დარჩენას...

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მაგ არსასმენელს ნუ გვაგონებ, მეფევ ბატონო!

გ ი ო რ გ ი — მე შევაფრქვითე-მეთქი სისხლი ქართველებისაც.

მხოლოდ იცოდეთ, რომ ეს სისხლი მე გავიმეტე  
ჩემი ქვეყნის და ჩემი ტახტის სიმტკიცისათვის.

ეს იყო მსხვერპლი, მსხვერპლი დიდი თქვენს

სადღეგრძელოდ.

არის თქმულება: ერთხელ ვითომ აგებდნენ

ციხეს,

მაგრამ რამდენიც ააშენეს — დაინგრა ისევ.

ბოლოს გაიგეს, რომ მიზეზი ისა ყოფილა.

რომ იმის კედელს თურმე უნდა შიგ დაატანონ

ყრმა დედისერთა სიმტკიცის და სიმაგრისათვის.

ჩვენს სამეფოში ტახტს ამგვარადვე დაჰქირდა

მსხვერპლი.

ორბელთა გვარი მტრად ჩაუდგა ქართველთ

სამეფოს,

და, როგორც იცით, მოვსპე იგი, მოვსპე

სრულიად...

ჰო, მოგონებავ!.. სიმწარემ შენმა ლამის  
დამახრჩოს...

(დაფიქრდება).

ყველანი — გისმენთ, მეფეო!

გიორგი — ხედავთ, ტახტი ცარიელია!

ყველანი — დიახ.

გიორგი — ვინ უნდა დასვათ? ვის იტყოდით ამ ტახტის  
ღირსად?

ყველანი — შენს მეტს არავის!

ჭიაბერ — მეფევ, აბრძანდი შენს ადგილზე!

გიორგი — არა!

ჭიაბერ — მეფევ, რად გეტოვებ უპატრონოდ, აბრძანდი  
ტახტზე!

გიორგი — არა!

ყველანი — (დაემხოზიან) გევედრებით მუხლმოდრეკილნი!

გიორგი — არა!

ყუბასარ — მეფევ, ნუ გეწირავ...

გიორგი — არა-მეთქი!

ყუბასარ — რად გეტოვებ ბნელში, სადაც შენი ჭკვა არ  
/ ანათებს! მეფევ, აიღე სკიპტრა შენი.

გიორგი — არა!

ჭიაბერ — მაშ ჩვენც ხელს ვიღებთ ყველაფერზე: დავყრით  
იარაღს.

გიორგი — ნუთუ ჩემს მეტი ჩვენს მიწაზე სხვა არავინ  
მოიპოვება, რომ ხელმწიფედ გამოდგებოდეს?  
მე მინდა, ჩემსავ სიცოცხლეში თვითონვე ვნახო,  
ვის იტყვით მეფედ, ვის აირჩევთ, რომ ჩემს  
შემდგომად

გიორგის საქმეს ღირსეულად გაუძღვებოდეს,  
თუნდ იგი მეფე მეფეების სისხლის არ იყოს,  
მინდა გავსინჯო თქვენი ჭკუის ავლა-დიდება,  
რომ სამარეში ჭირნახული მშვიდად ჩავიდე.

ჭიაბერ — ასე მოვიქცეთ, მაგრამ სანამ ცოცხალი გეყევხარ,  
შენ გვიპატრონე.

გიორგი — არა, ნათქვამს აღარ გადავთქვამ.

აისხით ისევ იარაღი.

ქ ი ა ბ ე რ — ხელმწიფეე ჩვენო...

გ ი ო რ გ ი (სიტყვას ჩამოართმევს) — აისხით-მეთქი იარაღი! (აისხამენ).

როგორც აქამდე, ამის შექმდეგაც ეყმეთ სამშობლოს.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — მემკვიდრე, მეფეე?

ქ ი ა ბ ე რ — ვის გაუგონოთ სხვას შენს მეტს სიტყვა?

გ ი ო რ გ ი — მე გარდავსულვარ, სიბერე მჭირს ქირთა უფრო  
ძნელია,

დღეს არა, ხქალე მოვკვდები — სოფელი ასე  
მქმნელია;

რალა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია,  
ისეთი დასვით ხელმწიფედ, მზე იყოს  
საწუნელია.

შ ო თ ა — მაგას ნუ ბრძანებ, მეფეო, ჯერ ვარდი არ

დაგეჭკნობია,

შენი თათბირი ავიცა სხვისა კარგისა მჯობია,

განა ღირდა კი სათქმელად, რაიცა გულსა გლმობია?

სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია,  
არ გათნევს, იცის მეფობა, უშენოდ გვითქვამს კვლავ  
ღია,

შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზეებრ განაცხადია:

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია!

ყ ვ ე ლ ა ნ ი — თამარი! თამარი ტახტზე!

— თამარი მეფედ!

— სმენა!

ქ ი ა ბ ე რ — დარბაისელნო! ვინ არის ისეთი, ეს არჩევანი არ  
მოსწონდეს?

ყ ვ ე ლ ა ნ ი — არავინ!

ხ მ ე ბ ი — თამარი მეფედ!

— თამარი მეფედ!

გ ი ო რ გ ი — მე ვიზიარებ თქვენს არჩევანს... მოიყვათ იგი!  
(რუსულანს გამოჰყავს თამარი და აჰყავს ტახტზე).

გ უ ნ დ ი — (მღერის)

თამარ ქალო, ქვეყნის თვალო!

საქართველოს მეფე ხარო.

მეფე თამარისთანა,  
ამომავალი მზისთანა,  
ვინ არის ქვეყნად მისთანა —  
თამარ ქალო, ქვეყნის თვალო,  
საქართველოს მეფე ხარო!..

გ ი ო რ გ ი — დეე, ის სისხლი, ის ცრემლები, რაც დაიღვარა,  
შეუშროს ხალხსა ამ ნეტარმა, მზიურმა დარმა!  
დ ი დ ი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — თამარის მეფედ ყოფნისათვისა  
კეთილმწყემსობისათვის, ერსა შინა თვისსა სიყვარულისა  
და მშვიდობის დამკვიდრებისათვის, ვიყვნეთ ერთგულნი  
მარად.

ხ ა ლ ხ ი — ამინ! დიდება თამარს!  
(შემოაქვთ გვირგვინი, გიორგი ჩამოართმევს).

ქ ი ა ბ ე რ — ქართველთა ძლიერებისათვის, შინაური და გარე-  
ული მტრების დათრგუნვისათვის ერთგულება შევფი-  
ცოთ თამარს!

ხ ა ლ ხ ი — ვფიცავთ!

(გიორგი მეფეს ააქვს გვირგვინი და თავისი ხელით ადგამს თამარს. ამ  
დროს გუნდი გალობს)

დიდება თამარს, მეფედ კურთხეულს!  
დიდება ნიჰსა, ცით მოვლინებულს!  
დიდება ერსა ქართველს, მშობლიურს!  
დიდება თამარს, ხალხისგან რჩეულს!

დ ი დ ი გ ა მ რ ე კ ე ლ ი — მეფე აფხაზთა, რანთა, კახთა, სე-  
ფე სომხითის, ჰერეთისა, აღმოსავლეთისა და დასავლე-  
თის, მეფე შვიდთავე სამთავროსი და სრულიად საქართ-  
ველოსა თამარი დაიცავით. მრავალყამიერ!

გ უ ნ დ ი — მრავალყამიერ!

თ ო ტ ო რ მ ე — დიდებულებო! დადგენილ არს სახლთუხუცე-  
სად პაატა. სმენა იყოს და გაგონება!

პ ა ა ტ ა (წინ წამოღგება) — ერო კეთილო, გადამტანო მრავალ  
პატიეთა,  
მწუხარებათა, ვაებათა და სიძნელეთა,  
გისურვებ მყობადს სანატრელსა, სასიხარულოს,



სასიხარულოს დიდთათვის და მცირეთათვისაც.  
რომელს არ უნდა მშვიდობა და ბედნიერება?  
მშვიდობა ერის შიგნით, გარეთ — მთელს ქვეყანაზე?!  
რომელს არ უნდა ძმათა შორის ნამდვილი ძმობა?  
ძმობა მშობლური სიყვარულით და ურყეველი?!  
ეს ყველას გვინდა, და რაც გვინდა, უნდა ვეძიოთ.  
ვეძიებდეთ და ვპოვებთ კიდეც გარდაუვალად.  
ერნო და ბერნო, დიდებულნო, დარბაზის ერნო,  
მოვალენი ვართ, ფიცი დავდოთ ერთგულებისა.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — დავდოთ ფიცი!

პ ა ა ტ ა — თამარის დროშის ქვეშ ყველანი თანასწორ ვიყვნეთ  
და თანასწორის მორჩილებით ვემსახურეთ მას.

ყ ვ ე ლ ა ნ ი — ფიცი! (დაიჩოქებენ და გალობენ):

ვფიცავთ მეფესა ნათელსა,  
კეთილად მოვლინებულსა,  
ერისთვის ვაძლევთ სიცოცხლეს,  
ტახტისთვის კიდეც ჩვენს გულსა.

გ ი ო რ გ ი — ასულო ჩემო, ივერიის მეფედ ცხებულო!  
ნება მიბოძე, სიტყვა გითხრა უკანასკნელი  
და დავასრულო სამსახური ჩემი ერის წინ.  
სიცოცხლეშივე შენ გაბარებ ჩემს საქართველოს  
მისთვის კი არა, არ შემეძლოს კვლავ მისი  
მართვა.

არა, მე უნდა გამოგცადო შორიდან მზერით,  
შესძლებ თუ არა შენი ქვეყნის ბედის გამართვას,  
მის წაყვანასა დიდებისა და ძლევის გზისკენ?  
თუ შენ შეგატყე უძლურება, უსუსურობა,  
აბნევე-დაბნევა და გარდიქეც დიდებულთ შორის  
ბურთად, კამათლად, საქართველოს დაქსაქსვის  
დედად,  
შენც იმგვარადვე გადმოგტყორცნი მაღალი  
კლდიდან,

ვით გადმოვტყორცნე მოლაღატეთა  
გვარეულობა!

ასე ვიქმ, რადგან საქართველო უფრო დიდია.

ვიდრე თამარი, ან სხვა ვინმე მის დიდებული...  
ახლა წავალ და მონასტერში შევდგები ბერად,  
რათა იქიდან შენს მეფობას ვადევნო თვალი!

თ ა მ ა რ ი — მშობელო ჩემო! შენი სიტყვა, შენნი საქმენი  
და თვით მუქარა მომავალში მექნება სიბრძნედ.

გ უ ნ დ ი — დიდება თამარს მეფესა,  
ლედასა საქართველოსას,  
ხალხმა დაადგა გვირგვინი,  
თავისი მადლით შემოსა.

გ ი ო რ გ ი — შენ დიდება, შვილო, თამარ, მე კი... (ყველანი მის-  
კენ იზამენ პირს) მშვიდობით... მშვიდობით... მშვიდობით...

(გიორგი მძიმე-მძიმედ დაიხვეს უკან, უკან-უკან წავა, კარებთან  
უეცრად მიბრუნდება და გავა. ყველანი თავს დახრიან, დროებით  
დაეშვება. შემდეგ უცბად ისევ თამარისკენ იბრუნებენ პირს, დრო-  
შები აღიმართება და დაიგუგუნებს სიმღერა):

გ უ ნ დ ი — თამარ ქალო, ქვეყნის თვალო,  
საქართველოს მეფე ხარო.  
მეფე თამარისთანა,  
ვინ არის ქვეყნად მისთანა!

(ფარდა ჩამოეშვება, სცენაზე კვლავ გრძელდება დიდების სიმღერა.

ფარდაზე წარწერა):

მ ა ტ ი ა ნ ე — გიორგი მესამე იყო მეფეთა შორის ყველაზე  
სასტიკი, მაგრამ ყველაზე მართალი, ქორონიკონი ჩროჭ.

յՕԵՄԾԿՆՅՈՒԿՏԻ  
ԵՂԻՈՏՅՈՒ





## პართული ხალხური თეატრი

(ბერიკობა. ყვენობა. მუნჯი სცენები)

მთავრობის სოფელ კაკაბეთის მცხოვრები, ყოფილი ულარი-ბენის გლეხი ალექსი დავითის ძე ქიტიაშვილი, 70 წლისა:

ბერიკობა იცოდნენ ყველიერში. მართალია, კარგი ბერიკა არ ვიყავ. მაგრამ მაჩანჩალა მაინც ვყოფილვარ დიდი ბერიკებისა. მე უფრო ძროხაში დავდიოდი ან ცხვარში და, ხომ იცი, ჭალა, სადაც ზამთრობით არის ხოლმე ცხვარი და ძროხა, ნახევარი დღის სავალზეა სოფელს მოშორებული.

მაგრამ ყველიერში იქაც არ ვიშლიდით ჩვენსას: მწყემსები შევიკრიბებოდით ერთ დიდ ბინაში, მოვუსხდებოდით გარშემო ცეცხლსა და ვხუმრობდით. ვშაირობდით, ვთამაშობდით. ათას სასაცილო რამეებს ვეუბნებოდით ერთმანეთს, ვიბრიცებოდით, მუნჯადა ვქადაგობდით, ათას ვისმე ვაჯავრებდით და მუცლები ხელში გვეჭირა სიცილით.

ახალწლის დღეს ერთი ბინა მიულოცავდა მეორეს, ორივენი ერთად მესამესთან მივიდოდით მოსალოცად. მემრე სამივენი ერთად — მეოთხესთან და იქ დავიდებდით ბინას, სადაც უფრო ხალვათობა იყო. გავშლიდით საერთო სუფრას, ყველა იქ მოიტანდა თავის ხარჯს; მემრე თამადა ლექსად იტყოდა გრძელ სადღეგრძელოს და ამ სადღეგრძელოში იმ ლურსმანსაც კი მოიგონებდა, რომელიც ნალბანდისაგან იყო რომელიმე ვირის ჩლიქში ჩამსჭვალული.

ერთხელ მე ვიყავ თამადა. აბა იქ, ჭალაში, იმდენ ღვინოს ვინ მოგვიტანდა, დილაზე გვესვა. ჰოდა, რომ დავატყე, ღვინო თავდებოდა, ავიღე ჭამი და ვთქვი: „ღმერთმა აღღეგრძე-

ლოს ის მექათმე, რომელსაც თავში მამალი უყვივის და გულში-  
დედლები კვერცხებს უდებენ-შეთქი“.

ექვთიმიაანთ ცხვირამ შემატყო, რომ ღვინო გათავდა და  
ხუმრობით გამეშაირა:

თამადავ, ღვინო დაასხი,  
სულ-გული გადამელია,  
თათრები ხომ არ გგონივართ,  
აქ ყველა ღვინის მსმელია.

მე გავბრაზდი:

წითელი ღვინით სავსე მაჭვს  
შვიდი საპალნის ქვევრია,  
თუ არ გეყოფა წითელი,  
თეთრი ხელუხლებელია.

წამოხტა კუმბაჩა (ყაცის გამოცვლილი სახელია) და მეხივით

დაგვეცა:

თქვენი პირიდან ჩემამდე  
არ არი დიდი მანძილი.  
თქვენ რომ შაირობთ, განა მე  
ენა მაჭვს გამოკვანძილი!  
აგრე ამოვყრი ლექსებსა,  
ვით გაზაფხულზე ღანძილი.

მე გამოვეპასუხე:

ბიჭო, ენა თუ აგქავდა,  
გამეჭიბრე სიტყვაშიო,  
შენისთანა მოშაირე  
სამი მიდევს ნიფხავშიო..

იმან მითხრა:

მე შაირი არ მინდოდა,  
მათქმევეინე ძალათაო,  
ძალლის ნეხვი შეგაჭამე  
ოცდაათი კალათაო.

მე ვუპასუხე:

ძმაო, ტყუილად ამიტყდო,  
ტყუილად გახდი ურჩიო,  
ბებია შენის კულის ქვეშ  
შეგაყოფინე ტუჩიო.

ამაზე მიპასუხა:

ეგ შაირი ერთხელ გითქვამს,  
მაგრამ აღარ წამოგცდესო,  
თორემ იმდენ მთხლეს შეგაქმევ,  
თოკიც ველარ შამოგწვდესო.

საქმე რომ ძაან არ გაფუჭებულიყო, წამოდგა ქანჭიბუქას  
ბიჭი და ორივეს ლაპარაკი შეგვიცვალა:

ვაი ის თქვენი მძახალი,  
რა ქალი არი, რა ქალი!  
დილით რო მქადი ვაჭამო,  
სალამოს ისევ აქ არი,  
იგრე მიირთმევს ფეტვის მქადს,  
როგორც ყინვარი შაქარი,  
გადაეჩვია ბოსტანში,  
გამიქრო ხახვი, ქარხალი —  
ლამ-ლამე აღარ მასვენებს  
იმის ზარბაზნის ქახანი.

ამის პასუხად, რაკი იმან შაირი აგვიცდინა, ვთქვი:

მე სხვანაირი კაცი ვარ,  
მე არ შავდგები შარზედა,  
მე ქიზიყელი არა ვარ,  
შარი გავწიო გზაზედა.  
გარეკახელი არა ვარ,  
ჩიტი ვაფრინო ნარზედა,  
მე იმერელი არა ვარ,  
ქალებს ჩავუჯდე გზაზედა,  
არცა ვარ ფშავი, ხევსური;  
ფუტკარსა ვდიო კვალზედა,  
არცა ვარ სომხის ვაჭარი,

ღიპი გავიგდო განზედა,  
 არცა ვარ გლეხი ქართველი,  
 ვიდგე თავადის კარზედა,  
 არც აზნაური გახლავარ,  
 ძაღლები ვცვალო თხაზედა,  
 არცა ვარ გლეხი რაჭველი,  
 თოხი გავიდო მხარზედა.  
 ქალაქი გორი პატარა,  
 ქალი გამოდის შევთვალა,  
 ნეტა ვიცოდე, თბილისი  
 რომელმა კაცმა დათვალა?!  
 ქალაქად ფაქებ თბილისსა,  
 ქუთაისი კი გამქრალა,  
 სიღნაღში ამოვიარე,  
 მთლად წყაროები დამშრალა.  
 შირაქში გასვლა მინდოდა,  
 ლაფიან-ხევმა გამსვარა,  
 უჯარმაშიაც ამოველ,  
 ორი თათარი მამკვდარა,  
 სართაჭალა კი მეფურად  
 ზედ შარაგზაზე დამდგარა...  
 ხაშმელებო, თქვე პლუტებო,  
 სახლი გიდგათ ალიზისა,  
 ზეთის ხილი თუ დაგაკლდეთ,  
 კურკლი ჭამეთ შავი თხისა.

კუმბაჩა ხაშმელი იყო. ძაან ეწყინა ხაშმელებზე ნათქვამი  
 ლექსის ბოლო, მაგრამ ხუმრობაში ჩაყლაპა.

ახალწლის ამბები რომ გათავდებოდა, მემრე ყველიერი  
 მოგვადგებოდა კარზე. შევიკრიბებოდით, მოვირთვებოდით და  
 იქიდან წავიდოდით სოფელში, სადაც უფრო დიდ მოთამაშე-  
 ებს გადავაბამდით მხარსა.

ბერიკაობა ასე იყო: ჩავიცვამდით ტყავებს გადმობრუნე-  
 ბით, თავზე ბერიკოს ჩამოვიცვამდით და, სანამ სოფელში შე-  
 ვიდოდით, დინჯად მივდიოდით, ჭკვიანად, ხოლო სოფელში



რო შევდგამდით ფეხსა, მოვყვებოდით ხტუნვას. თამაშსა და მასხრობას, ვლაპარაკობდით შეცვლილი ხმით.

ჯერ სოფელს ჩამოუვლიდით. მივიდოდით ყველას ოჯახში, შიგ შევიდოდით, არავინ დამშლელი არ იყო. ვისაც ნებით გამოჰქონდა ხარჯი, ხომ კარგი, და ვისაც არ გამოჰქონდა, ვუცვივდებოდით სახლში და გამოგვქონდა მხოლოდ საჭმელი. თუ ხელცარიელი გამოვიდოდით, კარებში გვედგა ტახი და ისევ შინ შეგვაბრუნებდა, გამოიტანეთ რამეო.

როცა გამოვიტანდით, ცალკე კაცი გვყვანდა, ცხენზე ხურჩინგადაკიდებული, იმას ჩავაბარებდით და სანამ სულ არ მოვთავებდით კომლეულად, არ წავიდოდით საბერიკოზე. შევცვივდებოდით დუქანში. ერთხელ დუქნიდან გამოვიტანე დიდი დოში, დეარბენინებდი ხალხში და ვიძახდი: „რა დოში დავიჭირე წყალში, კაცო, ლურსმანზე იყო ჩამოკიდებული. ჰეი, ბაბრახავ, რატო იგრე იმრიზები, შენი თავი ამაზე კარგი დოში ხომ არა გგონია?!“ ერთი ბებერი დედაკაცი მოდიოდა. იმას გადავკიდე კისერზე და დავიძახე: „ბიჭებო, უყურეთ. დოშს დოში აჰკიდებია-მეთქი“.

ხალხი რომ ვაცინე, წავილე ის დოში და ისევ ალაგას დავკიდე: რაც ეს დოში აქედან წავილე, ალბათ დენგარას გული გახეთქილი ექნება-მეთქი.

— ძუნწი კარაპეტა ნუ გგონივართ, ნუ! — დაიძახა დენგარამ საჯაროდ და გამომირბენინა ის დოში ისევ, თან სხვა საჭმელებიც გამოაყოლა და ხმელი ხილიც ჩაგვიყარა ხურჩინში.

სახლებიდან მხოლოდ საჭმელები გამოგვქონდა: ყველი, ერბო, კარაქი, დო, მოხარშული ქათამი და ხანდახან მარანში ქვევრსაც მოვხდიდით ხოლმე.

— აბა, ერთი ვნახოთ, რამდენი ხელადა სვინდისი გიდევთ მაგ ბერიკოში, — გვითხრა ერთხელ კვეზერელმა, როცა მის მარანში მოვხადეთ ქვევრს. ექვსი ხელადა ჩავაწყეთ ტიკში და საყვედური გვითხრა, — სულ ეგ იყო თქვენი მუქარა და ტრახიო?

როცა სულ ჩამოვივლიდით სოფელს კომლეულად და მოვთავებდით, დაფა-ზურნით ან სიმღერით წავიდოდით სამებას გორაზე, სადაც საბერიკო იყო და იქ ხალხს ბევრს ვაცინებ-

დით. ისე იყო სამების გორა ხალხით გაჰყვდილი, რომ ნემსის ყუნწი არ ჩავარდებოდა. პავლიანთ რევებს გატყავებული კურდღელი ეჭირა, რომელსაც თავი ისევ ზედ ება, ყელში უჭერდა და ეკითხებოდა დედაკაცებს რიგრიგად: „დავახრჩო, დავახრჩო?“ დედაკაცები კიდევ ეუბნებოდნენ; „დაახრჩე და დაახრჩე, თვალი შენც დაგიღგება და მაგასაც“.

ერთი ბერიკა ჯოხს დააბჯენდა მიწას, მეორე ზედ დააწვებოდა და მითომ ხნავდნენ. ჩვენი ლენგერი იგეთ ოროველას შემოსძახებდა ხოლმე, რომ ხალხი სიცილით იფხრიწებოდა. ხან ვის აჯავრებდა ოროველას, ხან ვის. თითონ ისინიც იციონდნენ, ვისაც აჯავრებდა.

მოხნავდნენ, დაფარცხავდნენ, მემრე დაკვალავდნენ, ვითომ სიმინდი დათესეს და კიდევ ამოვიდა. ბერიკა კვალს ბებერი დედაკაცის ლაჯებიდან წამოიღებდა. მეორე ბერიკა დაუძახებდა:

— რასა შვრები, კაცო, მაინდან მლაშე წყალი გამოდის და სულ ამოვიხმობს ნათესებსო.

მაშინ ლამაზი გოგოს ლაჯებიდან მოუკიდებდა გუთანსა და თან დაიძახებდა:

— აქედან კიდევ სულ რძე წამოვაო.

ხალხი იცინოდა და ხშირად ქალები წივილ-კივილს ასტენდნენ ხოლმე, მაგრამ იმათ ყურს ვინ უგდებდა.

მერე მოვრწყავდით სიმინდს. სიმინდში შემოვიდოდა ღორი. ერთი ბერიკა ჯოხს დაუმიზნებდა, მეორე ქვას მიარტყამდა და ტახი გადიბრიცებოდა, მითომ მოკვდებოდა.

დაეუძახებდით მელორეს:

— მელორეეეეე...

მელორე ზის და არხეინად ჩონგურს უკრავს, თან დასძახის:

გიორგი გელანაშვილი —  
სარდალი მწყემსებისა —  
იგრე არიგებს მწყემსებსა,  
როგორც დედმამიშვილსა. /  
გიორგიმ ღორი აშალა,  
ნავალი ნახა მტრისა,  
დაუჩოქა და ესროლა,  
დაასო ძუძუს პირსა...

— მელორევე... — დაუძახებდით კიდევ.

მითომ ახლა მოჰკრა ყური. წამოხტებოდა მელორე და იქით კი არ გაიქცეოდა, საიდანაც ვეძახდით, სხვა მხარეს გაიხედავდა და გააგონებდა:

— ჰაე, უუ...

ბოლოს, როგორც იქნებოდა, გავაგონებდით.

მოვიდოდა და ვეტყოდით:

— ღორი მოვკალით და შენი ხომ არ არის?

მელორე სერს გაუსინჯავდა და იტყოდა:

— არა, კაცო, ჩემი არ არის.

დაუძახებდით კიდევ. პატრონი მოვიდოდა. სერს გაუსინჯავდა, იცნობდა და მერმე დავსხდებოდით და ვტიროდით:

ვაპ, ჩემო ღორო ქედაო,  
თორმეტი გოჭის დედაო,  
ჩალაუბნიდან წამოხველ  
აკურის ბოლოზედაო.

ერთ ბერიკას წამოასხამდნენ ფარდაგს, მითომ მღვდელი იყო, დააჭერინებდნენ ფუჩეჩის ჯვარს, მეორე ხელში ყურგამოკრულ ხელსახოცს დააჭერინებდნენ, შესვამდნენ ვირზე და ხალხში ჩამოატარებდნენ. ის „საცეცხლურს“ იქნევდა, ჯვარს უჩვენებდა ხალხსა და აქეთ-იქით მაყურებლებს ეუბნებოდა:

— გათხოვდით, შეილებო, ქორწილში დამბატიყეთ, თქვე ძუძუძაღლებო, მაშ დავიჭეოთ, თქვენ არაფერი გინდათ? გათხოვდით, მე ქორწილში ვიქეიფებ, თქვენ საბანქევო.

მე აღარ მახსოვს იმდენ სასაცილო რამეებს ამბობდა. იმისი ხუმრობა რომ მოსწყინდებოდა ხალხს, გაიყვანდნენ იქიდან, თუ სადმე გუბე იყო, იქ ჩააგდებდნენ, თუ არა და პირდაპირ გორიდან დააგორებდნენ ხოლმე. ერთხელ მე გოდორში ჩამსვეს და ისე დამაგორეს.

მკედლიშვილი ნიკოლოზ აბრამის ძე, 78 წლისა, კაკაბელი გლეხი, ნამამსახლისარი:

დიაბეგობას ცოტათი მოვესწარი. პატარა ვიყავი, მემრე ნაცვლობა იყო, ვიქნებოდი ათი წლისა. მემრე დადგა მამასახლისი. მახსოვს, პირველი მამასახლისი რა დიდი ამბით აირჩიეს. ეს პირველი მამასახლისი იყო ქიტესა ოქრომჭედლიშვილი. მეორე მამასახლისად აირჩიეს შარმაზან ოქრომჭედლიშვილი, მესამე მამასახლისი იყო ლუარსაბ თამაზაშვილი, რომელსაც შამილის დაჭერის დროს ალაში სჭეროდა. ლუარსაბ თამაზაშვილის შემდეგ სოლომონ ოთიაშვილი იყო, რომელმაც ორი ყავლი გაათავა. ოთიაშვილის შემდეგ მამასახლისად აირჩიეს სოლომონ მჭედლიშვილი, იმის შემდეგ იყო ქიკაძე. ორი ყავლი იმან გაათავა, იმის შემდეგ მიხო მჭედლიშვილი იყო, მიხას შემდეგ ისევ სოლომონ მჭედლიშვილი იყო, მერე მიხაკო მღებრიშვილი, მერე ლუარსაბის ძმა სოლომონ თამაზაშვილი. მემრე მე ვიყავი. ჩემს შემდეგ იყო ისევ მიხა ოქრომჭედლიშვილი. მემრე გიგოლა კვეზერელი, მემრე აირჩიეს საქულა ოსიპოვი და იმაზე გათავდა მამასახლისობა.

ლეკს როცა დავრჩით, ხარკს ვიხდიდით, ლეკიდან სამი კაცი მოდიოდა, ორი კრებდა ხარკს, ერთი იასაული იყო და ამათ პატრონობდა. ამის შემდეგ, ბერიკაობაში, ამ ამბავს სამი კაცი გვაგონებდა: ორი ბერიკა, რომელთაც სახლიდან ხარკი გამოჰქონდა და ერთიც ტახი — იასაული, რომელიც მათ იცავდა, პატრონობდა. როცა ლეკები ხარკს იღებდნენ, სახლებში ძალით შედიოდნენ და იასაულის ბრძანებით გამოჰქონდათ. თუ სახლში შესული ლეკები ვერაფერს გამოიტანდნენ, იასაული ისევ შეაბრუნებდა და არ მოეშვებოდა, სანამ არაფერს გამოიტანდნენ. ამ ამბავს გვისახავდნენ ბერიკები და ტახი. ტახი გარეთ იდგა და ბერიკებს შინ შეგზავნიდა. თუ ცარიელები გამოვიდოდნენ, ისევ უკან შეაბრუნებდა, გამოიტანეთ რამეო.

ბერიკები ყველიერის ორშაბათს შეემზადებოდნენ, ხუთშაბათს წავიდოდნენ სოფელში დასასვენებლად. ყველას ოჯახიდან გამოიტანდნენ ხარჯს. როცა ხარჯს სულ მოაგროვებდნენ, დაგზავნიდნენ დანიშნულ ადგილას, ხოლო თითონ წავიდოდნენ საბერიკო ადგილზე, სადაც გამართავდნენ ლხინსა და ხუმრობას.

ძალიან გვაცინებდნენ ხუმრობით, მაგრამ შიგადაშიგ მწვავე-მწვავეებსაც გვეტყოდნენ ხოლმე მოხელეებს. მე რომ მამასახლისი ვიყავი, პავლიაანთ ჭრელომ ჯაჭვი გადაუგდო ყელზე სიხოსა და უთხრა:

— აჰა, ყელზე შაიბიო.

სიხომ უპასუხა:

— შე ოხერო, ძაღლი ხომ არა ვარ, ჯაჭვი შავიბა ყელზე-დაო.

ჭრელომ მოუჭრა სიტყვა:

— განა მარტო ძაღლებს აბიათ ჯაჭვი, მამასახლისებსაც აბიათ ყელზედაო.

მემრე ორმა ბერიკამ საიღამლაც მოიტანეს მტვრიანი ქეჩა, დაარტყეს ჯოხი და იგეთი მტვერი ავარდა, გეგონებოდა, ნაცრის გულა გახეთქესო.

— უჰ, საიდან მოიტანე, შე ჯიშძაღლო, ეს ქეჩა, რა მტვრიანიო.

— ოთიიანთ ოჯახიდან გამოვიტანე, აგე, ახალი პატარძალი რომ მოიყვანესო.

— უჰ, რა ზარმაცი პატარძალი ჰყოლიათო, — უპასუხა მეორემ და ქეჩა გრძელ ჭიგოზე ჩამოჰკიდეს, ფერდაზე დაურტყეს და დაარტყეს „ზარმაცი პატარძლების საქმე“.

ვიღაც პატარძლის პატრონს ეწყინა ესა და ჩხუბი ჩავარდა.

ეს ჩხუბი ბერიკებმა გაუტრიზავეს და რაც უფრო ძაან გაცხარდა ნაწყენი, იმათ უფრო მეტი გაგვაცინეს იმაზე. მემრე შეჰყვნენ და ვინც კი ამ საქმეში ჩაერია, ყველა გაამასხარავეს.

ბერიკებს ძაან უყვარდათ, თუ ჩაერეოდა ვინმე. ზოგს ძალითაც ჩაითრევდნენ ან ჩაიტყუებდნენ, წაიცდიდნენ და მემრე გააპამპულეებდნენ.

მემრე მოხნავდნენ მითომ და სთესდნენ. ნათესში ტახი შევიდოდა, მოჰკლავდნენ. მემრე ტიროდნენ: ლეკების იასაული მოვკალით და სისხლს აიღებენო.

როცა ხალხს დააოსებდნენ სიცილითა და საღამოც მოატანდა, საბერიკოზე სიმღერით წავიდოდნენ, სადაც ხარჯი ჰქონდათ შეგროვილი. იქ კარგ ქეიფს გადაიხდიდნენ, დროს გაატარებდნენ.

ასეთი წესი ჰქონდათ.

მოკრეფილი ხარკი უქვეყნლად ერთად უნდა შეეჭამათ, შინ წაღების უფლება არა ჰქონდათ. ხშირად გარეშე ხალხსაც დაჰპატიებდნენ ხოლმე, თუ ისეთი პატივსაცემი ჰყავდათ. ქეიფის დროს აზრიან სადღეგრძელოებს ამბობდნენ და იმ ხალხს უსურვებდნენ გამდიდრებას, რომელმაც მათ ხარკი ნებით მისცა.

ნიკოლოზ მჭედლიშვილს შევეკითხე: ხომ არაფერი იცი თეატრისა-მეთქი და მიპასუხა:

განა ქორწილი თეატრი არ არის?

ერთ ამბავს გეტყვი და შენ კარგად ჩაწერე.

ერთი მოკლე კატო იყო, მაჭანკალი. იმან მაზნაურის ლამაზი ქალი გაურიგა ერთ მახინჯს, რომელსაც გამოცვლილ სახელად დაღია ერქვა. ეს ქალი მართლა მთვარესავით ქალი იყო. მას ნაწუანთ ბიჭი ჰყვარებოდა. ისიც ლამაზი ბიჭი იყო, მეცხვარე.

არც ქალის ხვეწნამა და არც ბიჭის სურვილმა არ გასჭრა.

დაღიას მაყრები შაბათ საღამოს მოვიდნენ ქალიანთას. იქ იქეიფეს ისე, რომ ქალი არ გამოვიდა. კვირას ჯვარი უნდა დაეწერათ. ქალი ძალად შესვეს ცხენზე, წაიყვანეს და დასწერეს ჯვარი.

ისევ ქალიანთას მობრუნდნენ ეკლესიიდან, იქ იქეიფეს, ისადილეს.

დაიბარეს პატარძლის დედ-მამა, დაალოცვინეს ჯვარდაწერილნი და ქალი, როგორც წესი იყო, დაამწყვდიეს „ცხრაკლიტულში“ დედამ, მაჭანკალმა და პირისფარეშმა.

სიძემ რო სახლში წასაყვანად მოიკითხა პატარძალი, პატარძლის მპყრობელთ პირის სანახავი მოითხოვეს. მოვიდა: სიძე, დედასაც აჩუქა ფული, მაჭანკალსაც და პირისფარეშსაც — გამინთავისუფლეთო ტყვეო, მათ გაანთავისუფლეს „ტყვე“, მაგრამ თვითონ „ტყვემ“ — პატარძალმა სთხოვა პირისსანახავი.

— შენ უნდა მეც მომცე პირისსანახავიო.

— რა უნდა მოგცე?

— პირისსანახავში მომშორდი თავიდან, მე შენი ცოლობა არ მინდაო, — უთხრა ქალმა.

— რას ამბობ, ქალო, მახარობელი უკვე გავგზავნე ჩვენსას. ცუდს როგორ ეტყვის, როცა კარგისთვის იყო გავგზავნილი და ეხლა გველიანო... ოღონდ ეხლა ნუ შემარცხვენ და მემრე რაც გინდოდეს, ისა ქენიო, — უთხრა საქმრომ.

ნეფე-დედოფალი შესხდნენ ცხენებზე, წინ მზითვი გაიმძღვარეს, მემრე მაყრიონმა შემოსძახა მაყრული და თოფის სროლით გასწიეს სიძიანთკენ. დედოფალს, როცა თავის სახლიდან მოდიოდა, ჯამით ღვინო მიუტანეს, დალია სურვილისამებრ და ჯამი უკან გადააგდო: — მშვიდობითაო.

სიძიანთას ივახშმეს და ბოლოს თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ. ისეთი წესი იყო, რომ მაყრები მეორე დღეს დაუპატიჟებლად უნდა მოსულიყვნენ ისევე ქორწილში. მათ მისვლის დრო იცოდნენ და არ უნდა დაეგვიანათ. თუ ვინმე დაიგვიანებდა, დააბამდნენ, ან ფეხს ჩამოუბამდნენ კისერზე და მოატარებდნენ უბანს: „ტუხალი გვეყავს, პურს არა სჭამს, ცოტა ხილის მოყვარულია და იქნებ მოწყალებად გაიმეტოთ მსხალი, ვაშლი და ამისთანებიო, როგორმე უნდა შევიღეროთ ეს ტყვეო“. ამაზე ხალხი იცინოდა და თან გამოჰქონდა ხილი. ასე მოაგროვებდნენ ხილს, აჰკიდებდნენ თვითონ ამასვე და მიართმევიანებდნენ ნეფე-პატარძლისათვის სუფრაზე.

როცა ერთ მაყარს ასეთი დაგვიანებისათვის შემოატარეს უბანი და ნეფე-პატარძალს მიართვეს შეგროვილი ხილი, გახურებული ქეიფი იყო. ნეფე-დედოფალი გვირგვინებით ისხდნენ ერთად. ადგომის უფლება არა ჰქონდა ნეფეს, სანამ მღვდელი არ მოვიდოდა და ახლად გვირგვინს არ უკუთხოვებდა. მაშინ შეეძლო ნეფეს ამდგარიყო და მასპინძლობა გაეწია სტუმრებისათვის. თუ მღვდელი არ მოვიდოდა, მაშინ ნეფეს გვირგვინს მოჰპარავდნენ თავიდან. დაუმალავდნენ და ამის გამო შეეძლო ნეფეს ამდგარიყო, მითომ გვირგვინის საძებნელად.

პატარძალმა პატარა გოგოს დაუძახა და რაღაცა ჰკითხა.

გოგომ უთხრა: თონეს ეხლა ჩაუკიდეს და ჯერ კარგა არ გახურებულაო. როცა გახურდესო და ცოტა ჩაიწიოს ცეცხლი, შემატყობინეო, უთხრა პატარძალმა.

სიძე შეწუხდა და ზრუნვითა ჰკითხა:

— რა გინდა, რა დააბარე გოგოსაო.

პატარძალმა უთხრა:

— ჯერ არაფერი მინდა და როცა მომინდება, გეტყვიო.

სიძე დამწვიდდა და განაგრძობდა ქეიფს, თან მღვდელს ელოდა გვირგვინის შესაცვლელად, მაგრამ მღვდელი არ მოვიდა. პატარა გოგო შემოვიდა და რაღაცა უთხრა პატარძალს.

პატარძალმა გარეთ გასვლა მოითხოვა, მაგრამ სიძემ იუარა, საცაა მღვდელი მოვა და სანამ გვირგვინს არ მიკუროთხებენ, ნუ ადგებიო.

დედოფალმა წესი დაარღვია, არ დაიშალა და ადგა. თან დედამთილი გაჰყვა. მაგრამ როცა თონესთან მივიდა, უეცრად გადაყირავდა შიგა. აქეთ-იქიდან ეცნენ საჩქაროდ. ამოიღეს, მაგრამ თვალები უკვე ჩაშრეტოდა. ბრმა და შუტრუსული პატარძალი საგლოვი და სატირელი გახდა.

ეს ამბავი გააბერიკეს ერთხელ ბერიკებმა. არ ვიცი, ვინ იყვნენ ეს ბერიკები, ძნელი გამოსაცნობები იყვნენ. ზოგნი ამბობდნენ, რომ იმათში იმ ქალის საყვარელი ბიჭიც ერიოაო, რომელსაც დაღუპული ქალი უყვარდაო. ისე მშვენივრად გააბერიკეს ეს ამბავი, რომ ზოგი ტიროდა და ზოგი სიცილითა კვდებოდა. ბოლოს ისე ააღელვეს ხალხი, რომ მაჭანკალი მოკლე კატო უნდა ჩაექვავებინათ, მაგრამ დროზე გაიგო და სადღაც დაიშალა.

წმინდა ორშაბათს სოფელი ორად გაიყოფოდა. ერთი ცალკე აირჩევდა ყვინს, მეორე — ცალკე, მითომ სხვადასხვა სახელმწიფოები იყვნენ. გავიღოდნენ დიდ მინდორზე. მოპირდაპირე ყვინის წინ სხვადასხვა ალაში ერჭო. მათ მეალმეები ჰყვანდათ ანუ ალაშდარები. თითოს თავისი მეთვალყურეცა ჰყავდა, რომ ალაში არავინ მოსტაცოს.

გაიმართებოდა ომი.

ერთი ყვინი დაეჭიდებოდა მეორეს, რომელიც წააქცევდა, ეს მხარე გამარჯვებული იყო. თუ ვერც ერთი ვერ წააქცევდა, მემრე მეალმეები იჭიდავებდნენ. რომელი მეალმეც წააქცევდა, წაქცეულის ალამს ის წაიღებდა.

მეალმეების შემდეგ ხალხი ჰიდაობდა.



გამარჯვებული მხარე დაადებდა ხარკს, მემრე მოჰკრებდა და ღროს გაატარებდა.

ლევან პეტრეს ძე კანჯარაული, ვერხვიანელი გლეხი, 92 წლისა:

ბერიკეები ვიყავით ავღვიანთ ლუკა, ჭიკაძიანთ დენაოზი, ჭიტიანთ დავითი და სხვები. ჩაეცმევედით ბერიკას ქალურად, მითომ ყრუც იყო. შედიოდა ოჯახებში და გამოჰქონდა. რო უჭავრდებოდნენ, იმას ვითომ არ ესმოდა, მაინც გამოჰქონდა და გამოჰქონდა. როცა კარგა მოვავროვებდით და თავის ალაგას დაევზავნიდით ხარჯს, წმიდა მარინეზე მოეუყრიდით ხალხს თავსა და ვაცივებდით. წმიდა მარინეზე იგეთი ალაგია, როცა ვთამაშობდით, ყველას თვალი გვიდგებოდა დასანახად.

გადმოდგებოდა ჩვენი ქალურად ჩაცმული ბერიკა და მითომ მამამთილს დაუძახებდა:

— მამამთილო!... ნოდარი მამამთილოო! მამამთილოო, ხომ არ დაჰყრუვდი, მამამთილოო...

ავღვიანთ ლუკა მითომ მამამთილი იყო და არ ესმოდა ქალის ძახილი. ბოლოს მითომ გაიგო, გააგონებდა:

— რა იყო, გოგო? — თან იქითკე მიუშვევრდა ყურს, საინდანაც არ ეძახდნენ.

— სახედრები ხომ არ გინახავს, მამამთილო, სახედრები.

— რას ამბობ, გოგო?

— სახედრები, სახედრები, სახედრები!

— რას ამბობ, გოგო! ინდოურები?

— ინდოურები კი არა, სახედრები, სახედრები, მამამთილო.

— ღორები, გოგო?

— ღორები კი არა, ვირები, ვირები...

— ციკნები... ციკნები არ დამინახავს, შვილო.

— ციკნები კი არა, მამამთილო, ვირები, ვირები.

— ჰოო, ვირები? ვირები აქა მყავს, შვილო, დამწყვდეულები.

— სადა, მამამთილო?

— ე მაგრე გამოდი გატეხილზე, კინკრიანში შემოხვალ და მემრე შიგ შემოლა, შვილო.

მითომ გოგო შემოვიდა.

აბა სად გყავს, მამამთილო, დაჭერილები.

— შენ ჩვენი ცქვიტას ცოლი არა ხარ, გოგო?

— დიახ, მამამთილო!

— დახე იმ დასაქცევსა, რა კვნიწა გოგო მოუყვანია! მემრე, შე დასაქცეო, იგრე როგორ ჰქენ ქორწილი, მე არ დამიძახე. განა მე კი ვერ ჩამოვუვლიდი ლეკურს. იგრე დავტრიალდე, როგორც ლეკის ომში ვტრიალებდი ხოლმე ხმლითა.

— რას ამბობ, მამამთილო! აბა ეხლა მეთამაშე, მაშ.

ითამაშებდნენ ორივენი. მოხუცი მაშინვე წაიქცა, ქალმა ააყენა, კიდეც წაიქცა, კიდეც ააყენა. მემრე კაბაზე შეებლაუჭა, მითომ უნდა ეკოცნა, მაგრამ კაცს კაბა გასძვრა და სიცილით იხოცებოდა ხალხი.

მემრე მოვიდა ავლენიანთ ლუკა ჩემთან და მითხრა: ჩვენთან რატომ არ მოდიხარ, მოდი, უნდა გაგყიდო, გოდორში ჩაჯექიო. ჩავჯექი გოდორში. დეკანოზმა ამწია და ამკიდა ლუკას. ლუკამ წამილო და ფერდაზე დამაგორა. გორვით ჩავედი ოთიანთ ფიჩხებზე. ამაზე მთელი ხალხი იცინოდა. მე არ ვიცოდი, მაშინ „გაყიდვა“ რას ნიშნავდა და თურმე გადაგდება უნდოდა ჩემი.

მჭედლიანთ ქიტესასა ჰქონდა გამართული კუკნები. ფიცარზე რალაცნაირად ისხდნენ და ქვეშ რიკივითა ჰქონდა ჩამოშვერილი, იმ რიკზე ბაწარი იყო გამობმული და ის ბაწარი იმ თითზე ჰქონდა გამობმული, რომლითაც ჩანგურს უკრავდა. ჩანგურს რომ უკრავდა, კუკნები სასაცილოდა ხტოდნენ და ტლინკავდნენ. როგორც ჩანგურს დაუკრავდნენ, ისინიც ისეთამაშობდნენ.

მიხა ივანეს ძე ჯილაური — მომღერალი, ერთ დროს უღარიბესი გლეხი, 70 წლისა, კაკაბელი:

ბერიკობა რომ გათავდებოდა. წმინდა ორშაბათს გაიმართებოდა ყეინობა. სოფელი ორად გაიყოფოდა. ორივე მხარე აირჩევდა თავის ყეინს. ყეინად მულამ კარგ მოჭიდავეს აყენებდნენ. ყეინსა ჰყავდნენ: მეალმენი, მწერელი, ამორჩეულია კაცები და გზირები. ამორჩეული კაცები გააწერდნენ ხარჯს, გზირები მოჰკრეფდნენ. ვინც არ გადიხდიდა ხარჯს, დაიბარებდნენ ყეინთან და ჰკითხავდნენ მიზეზს, თუ რატომ არ გადიხადეს ყეინის ხარკი.

რა მიზეზიც უნდა ეთქვა არგადამხდელს არგადახდისათვის, ყეინი მაინც მოსთხოვდა გადახდას და თუ იქაც უარს იტყოდა, არჩეულ კაცებს ჯამით ედგათ წყალში გახსნილი მურჩი, ან პირდაპირ კუპრი. შიგ ჩააწობდნენ კომბლის თავსა და უჯანიდან წაუსვამდნენ ზურგზე ან ზურგქვევით. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მან ყეინს ურჩობა გაუწია და ყველას შეუძლიან მას თავში ჩაარტყასო. ხოლო ვინც მორჩილებას გამოუცხადებდა ყეინს, მას დიდის პატივით მიიღებდა და როგორც მორჩილს, თავისიანებში ჩააყენებდა.

როცა ასე ყველას ხარკს გადაახდევინებდნენ, ორივე ყეინი გავიდოდა თავისი ხალხით სამების გორაზე ან საბერიკო კალოზე და იქ გაიმართებოდა ყეინების შეხვედრა, შებრძოლება.

წინ-წინ ჩამოატარებდნენ ღვინოს ან არაყს და მემრე ყეინები დაიჭიდებოდნენ.

ყეინების წინ დარქობილი იყო ალმები და მათვე წინ ედგათ ფლავით თავმობმული სინები.

ერთი ყეინი ერთ მხარეს იყო, მეორე — მეორე მხარეს. დაიჭიდებოდნენ, რომელიც წააქცევდა. ის მეორის ჰიგოდან მოხსნიდა ალამს და წაიღებდა. ეს ნიშნავდა ალმის წართმევას, მოპირდაპირის დამარცხებას.

ამისთანა შემთხვევებში იყო ხოლმე ჩხუბი. წაქცეულის მხარე შარზე შედგებოდა, კარგა ვერ იყო წაქცეული, ზურგი ვერ დააკვრევიანო, ან სხვა რამე მიზეზს მოიგონებდა. მაგალითად თქვენ ყეინს ჩონჩღედა ჰქონდა ჯამარი შემორტყმული და ბოშად შემორტყმულს ხელს კარგა ვერ ავლებდაო. ათას სხვა ამნაირ მიზეზებს იგონებდნენ. იყო ნამდვილი ომი და დავიდარაბა. ორივე მხარე ლელავდა. შფოთავდა.

როცა კი კარგა გამოიჩვენებოდა ერთი ყეინის მეორეზე გამარჯვება, დამარცხებული სადღაც მიიმალებოდა და შემდეგ მხარეები განაგრძობდნენ ჭიდაობას.

თუნდაც დამარცხებული ყეინის მხარეს გაემარჯვნა, ამის შემდეგ მაინც დამარცხებულად ითლებოდა ის, რომლის ყეინიც წააქციეს.

როცა ყეინობა გათავდებოდა, გამარჯვებული მხარე მოკრეფილ ხარჯზე იქეიფებდა. ხშირად გამარჯვებული მხარე დამარცხებულს წაართმევდა მოკრეფილ ხარკს, ზოგჯერ კი მორიგდებოდნენ და ერთად იქეიფებდნენ ხოლმე.

ალექსი შიოს ძე ამბარღანიშვილი, 80 წლისა. კაკაბელი, ღარიბი გლეხი:

შვილო, ბერიკობაც და ყეინობაც გონებიდან გადავარდნილი მაქვს. რაღა მახსოვს? მაგრამ თუ მომაგონდა რამე, გეტყვი. რა ვიცი, თუ გამოსადეგი იქნება შენთვისა, ჩაწერე.

ყველიერის კვირაში, შაბათს და კვირას გაიმართებოდა ხოლმე ბერიკობა, ხოლო ყეინობა ორშაბათს ღღეს იცოდნა. როცა დიდმარხვა შეიკვრებოდა.

შაბათს სამი ან ექვსი კაცი ჩამაიცომდა თავზე ბერიკოს, ჩაიცვამდნენ გადაბრუნებით ტყავებს. გაიგდებდნენ წინ ტახსა და წავიდოდნენ სოფელში ხარჯის მოსაკრეფად. თითონ ხალხი მხიარულად ხვდებოდა ბერიკების მოსვლას. თვითონვე გამოჰქონდათ საჩუქრები, მაგრამ ბერიკებს მაინც უყვარდათ სახლში შევარდნა და ძალით გამოტანა. ეს იმათი წესი იყო. პატრონიც ყასიდად უჯავრდებოდა. ისე უჯავრდებოდა ბერიკებს, ასე გონია, მართლა მტერი მოუვარდაო. თან კი შიგადაშიგ იცინოდნენ. როცა ბერიკებს ვერ შეიკავებდა სახლის პატრონი და კარებს შეუღებდნენ, ოჯახის პატრონი გულხელდაკრეფილი უყურებდა, როგორ აქოთებდნენ მის თარო-თახჩებს და როგორ გამოჰქონდათ იქიდან ნახალ-ნუხალი. რო

დაგენახა ეს ამბავი, იტყოდი, მტრის ჯარი მოსდებია სოფელს გასაძარცვავადო. თუ ბერია სახლში ვერაფერს საკბილოს იპოვნინდა და ცარიელი გამოვიდოდა, ტახი ისევ შიგ შეაგდებდა, ცარიელი აღარ გამოხვიდო.

ხანდახან ეს სანახავი ურუანტელივით იყო, მაგრამ მემრე ბერია იქვე, გაძარცული ოჯახის წინ იგეთ სასაცილო რამეს გააკეთებდა, რომ პატრონს გულანად გააცინებდა, რომ ეს ნამდვილი ამბავი კი არა, ხუმრობა არის. მაგალითად, ბოლოს გამოვიდოდა ერთი ბერია, რომელსაც სახე ექნებოდა მოთხუპნული, ან მურით, ან ნივრის გალები ექნებოდა მხარილლივ ჯვარედინად გადაგდებული, როგორც მღვდელმა ოლარის გაკეთება იცის ხოლმე...

ან კიდევ ბერიკოს უკულმა ჩამოიცვამდა თავზე იგრე, რომ ცხვირ-პირს ზურგისაკენ მოიქცევდა და იძახდა: უკულმართი ცხოვრება ვარო, უკულმართად დაბერდიო და სხვა. ან კიდევ შიგ რომელიმე ქალის კაბას ჩაიცვამდა, შუბლზე წიწაკას მიიკრავდა და ყვიროდა: „მოვიდა ცხარე პატარძალი“.

ვინ იცის, კიდევ რას არ გააკეთებდნენ. რაღა მახსოვს, შვილო. როცა ხარჯს აიღებდნენ და თავის ალაგას დაბინავებდნენ, ბერიკები ბერიკული სიმღერებით, ან დაფა-ზურნით წავიდოდნენ საბერიკოზე, იქ მთელი ქვეყანა იხუტვებდა და მოიყრიდა თავს.

საიდანღაც მოიტანდნენ ბერიკები მტერიან ქეჩას, დაკრავდნენ ჯოხსა და იგეთ მტვერს დააყენებდნენ, იტყოდი ქარბუქიაო.

— უჰ, რა მტერიანია, საიდან გამოიტანე, კაცო?

— საიდან გამოვიტანე და ბაღდადანთ ოჯახიდან. ახალი პატარძალი რომ ჰყავთ.

— მართლა, კაცო, ფუჰ, რა წელანგარა პატარძალი ჰყოლიათ. ლოგინში ქეიფი უყვარს და ამისი დაბერტყვა ეზარება. ხალხიდან დაიძახებდა ქალურად ჩაცმული ბერია:

— ეჰეი, ვის დასცინით! წელანგარა მე კი არა ვარ, ჩემი მულია.

— შენი მულია და აჰა, იმან ბლერტოს.

გადაუგდებდნენ ქეჩას.

კიდევ ბევრ ამისთანა რამეებს ამბობდნენ, მაგრამ რაღა მახსოვს, სად დაისწავლის კაცი.

შაბათსა და კვირას ეს ამბავი იყო, ხოლო წმინდა ორშაბათს მოვიდოდა ყვინი. ყვინსა ჰყვანდნენ ნაზირ-ვეზირები, მწერლები, გზირები და ამორჩეული კაცები. ეხლა ისინი გააწერდნენ ხარჯს. ვინც არ გადაიხდიდა ბერიკობის დროს, დაიბარებდნენ, გადაახდევინებდნენ. თუ არც მაშინ გადაიხდიდა, ზურგზე მურს წაუსვამდნენ, ან კუპრს, ან საქონლის ნეხვს და ისე გაუშვებდნენ.

ხალხი ორად იყოფოდა და ორივე მხარეს თავისი ყვინი ჰყვანდა არჩეული. ორივეს ჰყვანდა მეალმე. ქიგოზე ალაში (ხელსახოცი) იყო გაკეთებული და ყვინის წინ ერჭო.

ჯერ ყვინები იჭიდავებდნენ. რომელიც გაიმარჯვებდა, ის ბოლომდე გამარჯვებულად ითვლებოდა. ანგარიშში არ ჩაიდებოდა, თუ ცალკე მოჭიდავეები გაიმარჯვებდნენ. რომელი ყვინიც გაიმარჯვებდა, დამარცხებულის ალამს ის წაიღებდა.

ხანდახან გამარჯვებულ ყვინზე იგრილებდა ხალხი, ხარკსაც წაართმევდა და თვითონ მასაც შესვამდნენ ვირზე უკულმა და შემოატარებდნენ სოფელს.

ყვინები სოფელში ზოგჯერ აქლემებით მოჰყავდათ. ბევრი რამეები სხვაც იყო, მაგრამ სად დამახსოვლებოდა. ესეც მიკვირს, როგორ მოვიგონე.

ელისაბედ გიორგის ასული ეშმაკურაშვილი, 78 წლისა, ყანდაურელი კოლმეურნე ქალი:

როცა, შვილო, გოლვა შეგვაწუხებდა, შევიკრიბებოდით სოფლის ოცამდე დედაკაცი, ან ორმოცამდე, ხან ასამდეც, გაკეთებდით წმინდა ელიას და წინ გავიმძღვარებდით.

ხელებგაშლილი ელია ხალხს ძალიან მოსწონდა და მთელი სოფელი დაგვედევნებოდა ხოლმე უკან.

დიდება და დიდება,  
ღმერთსა დიდება,  
ღმერთო, მოგვე მოწყალება —  
ღმერთსა დიდება,  
ნუ აიღებ ჩვენზე ხელსა,  
ღმერთსა დიდება,

ჩვენო წმინდა ელია,  
რისთვის მოგიწყენია,  
ჩვენი თეთრი ბერწი ფური  
შენთვის მოგვირთმევია.  
აღარ გვინდა გორახი,  
ახლა გვინდა ტალახი,  
დიდება და დიდება,  
ღმერთსა დიდება...

თან ვმღეროდით და თან ლაზარეს წყალს ვასხამდით. ხოლო თუ წვიმა შეგვაწუხებდა (მოიჭარბებდა) და ნოტიო იქნებოდა, ლაზარეს მშრალად ვატარებდით და ვმღეროდით:

ლაზარ მოდგა თაროსა,  
დაემგვანა მთვარესა,  
ლაზარ დადგა კარსა,  
აბრიალებს თვალსა.  
ცხავი აცხავებულა,  
წვიმა მოჩქარებულა,  
აღარ გვინდა ტალახი,  
ახლა გვინდა გორახი,  
დიდება და დიდება,  
ღმერთსა დიდება.

ამ დიდებისათვის ხალხს ჩვენთვის გამოჰქონდა პური, სიმინდი, ფეტვი, ღვინო, ყველი, ერბო და რაც კი სულადი გააჩნდა, ვისაც რამდენი სურდა, რამდენიც შეეძლო.

ერთხელ შვიდოცდარვა (148) დედაკაცი შევიკრიბეთ. ოთხი-ხუთი კაცი გაგვიძლვა წინა და ჩავედით თათრების სოფელში, თან ხატი გავიყოლეთ წინ, სანამ თათრებში წავიდოდით, ჩვენი სოფელი მოვიარეთ, იქიდან ჩავიარეთ ნაწყლობში (შუა მინდორია), იქ დიდი პარაკლისი გადავიხადეთ.

იაზმის წყალი გვაბკურა მღვდელმა. ამ ამბავზე, რაც კი მინდორში ხალხი იყო გაშლილი სამუშაოდ, სულ ჩვენთან მოვიდა ხარ-გუთნით. ურმით და ცხენით. შვიდოცმა დედაკაცმა

შავად ჩაცმულმა დააბნელა მინდორი. ომი გეგონებოდა და მათი ფეხის მტვერი ღრუბელივით დადგა ცაში.

როცა მღვდელმა ხატი გვიკურთხა, ზედ სანთელი მივაკარით და გავწიეთ თათრების სოფელ მულანლოსაკენ, იორს გაღმა. ეს სოფელი თორმეტი ვერსით არის დაშორებული ჩვენი სოფლიდან.

თათრებს ეს ამბავი წინ-წინვე გაეგოთ და იერის გამოღმა ურმები დაგვახვედრეს. გადაგვიყვანეს იორში და სოფლის პირში დიდის ამბით დაგვხვდნენ. თათრის შვიდი სოფელი აყრილიყო და სულ ცხენებით დაგვხვდნენ, ზედ შეგვსვეს და ისე დაგვატარეს შვიდი სოფელი. ჩვენ ვმღეროდით სიმღერასა და იმათაც უხვად გამოჰქონდათ პური, ყველი, ჟებო, კარაქი და ათასნაირი სასმელ-საჭმელი, საჩუქრები.

პირველ შეხვედრასთან ამ შვიდი სოფლის ხალხმა ჩვენს ხატს დაუჩოქა და რაღაცა თავისი ლოცვა თქვა.

ვიღაცა ალაღია თალიფ-ოღლიმ განკარგულება გასცა, მთელ სოფლებში, თათრის ეზოებში ძაღლები დაებათ, რომ ჩვენთვის არა დაეშავებინათ რა, რადგან თათრებს ძალიან ავი ძაღლები ჰყავთ.

მემრე წაგვიყვანეს სოფელში და ანგარიშშიუწვდომელი საჩუქარი მოგვცეს: ცხვარი, ძროხა, მოზვერი და მატყლი არ დაითვლებოდა. მემრე ეს თავიანთი ნაჩუქარი თვითონვე წამოგვიღეს ურმებით და საქონელიც თვითონ გამოარეკეს, თორემ ჩვენ რას წამოვიღებდით იმდენს.

დიდება რომ ჩამოვიარეთ, მემრე დიდი ქეიფი გაგვიმართეს შიგ სოფელში, გვეხვეწნენ, ღამეც დავრჩენილიყავით, მაგრამ არ დავრჩით.

დილით ჩასულებმა საღამომდე დავყავით იქ; ვისადილეთ. ათასნაირი ფლავი მოგვიტანეს და საღამოთი წამოვედით.

თათრებმა ურმები შეგვიბეს და ფეხით ჩასულები ურმებით ამოგვიყვანეს ჩვენს სოფელში. იქიდან მეორე დღეს ამავე თათრებმა ურმებითა და ცხენებით აგვიყვანეს კავთაში (წმინდა გიორგის სალოცავია მთაში) და იქ ჩვენთან ერთად მოისპინეს პარაკლისი, რის შემდეგაც ძალიან დიდი ქეიფი გავმართეთ.



იმ დამეს იქ დავრჩით წმინდა გიორგის სალოცავში და მეორე დღეს დილით ჩვენს სოფელში წავედით, თათრები — თავიანთ სოფელში. სადამოთი, შვილო, იგეთი წვიმა მოვიდა, რომ ძვალში და რბილში გაგვიარა.

როცა მოკვდებოდა ვინმე, ვინც კარგი მოტირალი დედაკაცები ვიყავით, წავიდოდით, ვიტირებდით და პატივსაც ვცემდით მკვდარს, მემრე დავბრუნდებოდით შინ.

სადამოთი ჭირისუფალი კაცს გამოგვიგზავნიდა და შეგვატყობინებდა — „ხვალ არსად წახვიდეთო“. ეს იმის ნიშანი იყო, რომ მეორე დღეს დამარხვაზეც უნდა გვეტირნა.

ზოგს ძალიან გულით ვიტირებდით ხოლმე, ისე ვიტირებდით, რომ სულ ცრემლითა დნებოდა მთელი ხალხი; ერთი მოვთვლიდით მოთქმით, დანარჩენები ბანს ამბობდნენ.

მშობელი თუ იყო, იმის სიკარგეს, შვილებისათვის თავდადებას, მხნეობას ვიგონებდით და ვტიროდით. თუ ახალვაზრდა იყო, იმის აუყვავებლად დაჰქნობასა ვტიროდით და ასე გავაპატიოსნებდით ხოლმე მიცვალებულს; თუნდაც ცუდი კაცი ყოფილიყო, რამე კარგი უნდა მოგვეგონებინა ამისი. თუ ბავშვი იყო, მაშინ ორივე ძუძუებითა ვტიროდით და ვატირებდით სხვებსაც. შინაურსა და გარეულს. ამას, შვილო, ჩვენ „ზარს“ ვეძახდით და ჩვენზე კიდევ იტყოდნენ „მოზარეები“ არიანო.

ერთი კაცი ტახში იჯდა, ერთი ბერიკო მითომ მელორე იყო, ხელში ჩონგური ეჭირა, უკან დასდევდა ტახსა და უკრავდა. ორი ბერიკა ხნავდა, ერთი სთესავდა. მემრე დედაკაცებიდან კვალს წამოიღებდნენ, უნდა მოვრწყაო; მეორე იძახდა: ეგ მლაშე წყალია და სიმიანდს გაგიხმობსო. ამ დროს ტახი გამოჩნდებოდა. მემრე გათოხნიდნენ, მემრე ტახი შევიდოდა სიმიანდში, პატრონი ეძახდა მელორეს, მელორეს ვითომ არ ესმოდა: ჩონგურს უკრავდა და მღეროდა. მემრე, მითომ მელორემ ძახილს მოჰკრა ყური, ყურს მიუგდებდა სხვა მხარეს, ახლა სხვა მხარეს გაიქცეოდა, მითომ იქიდან ესმოდა. მემრე. ამასობაში პატრონი თოფს ესროდა ღორს და მოჰკლავდა. შიგ რომ კაცი იჯდა, ის გამოხტებოდა და ტახს იქ გაუშვებდა. კიდევ დაუძახებდნენ მელორეს, მელორე მოვიდოდა.

— ვისია, კაცო, ეს ღორი?

მელორე ღორს სერს გაუსინჯავდა

— ჩემი არ არის.

ახლა მეორე მოვიდოდა, ბოლოს პატრონი გამოჩნდებოდა. პატრონი რომ იტყოდა, ჩემიაო, მისდგებოდნენ და სახრითა სცემდნენ.

პატრონი ყვიროდა:

— რათა მცემთ, კაცო, მიჩივლეთ. კანონი არ არის?

— კანონში ქრთამს მისცემ და ისევ შენ გაგამართლებსო.

— ბატონის მელორე ვარ, კაცო, რათა მცემთ?

ამას რომ იტყოდა, მელორეს გაუშვებდნენ და ის გაიქცეოდა ბატონთან საჩივლელად.

მაშინ ბერიკები მოუსხდებოდნენ ღორსა და ტიროდნენ:

ბატონის ღორი მოგვიკლავს,

ვაჰ, ჩვენსა დედასაო,

იმის მელორესაც ვცემეთ,

ვაჰ, ჩვენსა დედასაო,

ეხლა ბატონი დაგვარტყამს

თავში ხვედასაო...

ამ ტირილში ბატონიც მოვიდოდა, ისინი ხხლა ბატონს ტიროდნენ:

რალა ვუყოთ ამ ჩვენს ბატონს,

ამ თეთრწვერასაო,

ვაიმე, თუ შეაჭამონ

ყვავს და ძერასაო.

— რასა ტირით, თქვე ოხრებო, — ეტყოდა ბატონი.

— შენა გტირით, ბატონო, შენ...

— ჰაი, თქვე მამაძალლებო, ჩემი ღორი მოჰკალით, ჩემს მელორესა სცემეთ და ისევ მე დამციინითო?!.

მათრახით დაუწყებდა ცემასა და ბერიკები იგრე სასაცილოდა ხტოდნენ, რომ ხალხი იხოცებოდა სიცილით.

ბეჟან დავითის ძე თათრიშვილი — ველისციხელი ასაწლის მოხუცი:

აი, შვილო, ამ ჩემი სახლის საჩხების დირე რვა ადლი სიგ-  
რძეა, ეს ხე, შვილო, აქვე მოვკერით, ამ ჩვენი ეზოს ბოლოში.  
იმას იქით იგეთი ტყე იყო, რომ ერთხელ შვიდასი სული ღო-  
რი დამიფრთხო ნადირმა და შიგ ვერ შევედით, ნახევარზე  
მეტი დამეფანტა.

ჩემამდე არ ყოფილა ყიდვა-გაყიდვა, ყველაფერი აქ იქსო-  
ვებოდა, იკერებოდა და კეთდებოდა. საქონელს ერთმანეთში  
ვცვლიდით. მაშინ ქალაღი არ იყო, ხბოს ტყავზე ვწერდით,  
მელანს — თხიფსელას მტევენებს გავწურავდით, ავადუღებ-  
დით და ვაკეთებდით. შიგ ბატის ფრთას ვაწობდით და ისე  
ვწერდით.

მაშინ ჩვენი სანახაობა და დროს ტარება, გართობა იყო:  
ნიშნობა, ქორწილი, დღეობა ეკლესიაში, აღდგომა, ჭიდაობა,  
შობა-ახალწელიწადი, ცეკვა-თამაში, ბურთაობა, ჭირითი, თო-  
ფის ნიშანში სროლა, ვირილლეტაობა და ვინ მოსთვლის, შვი-  
ლო, ბევრი აღარ მახსოვს... ველარ მომიგონია.

მაშინ, შვილო, როცა შამილი დაეცა საქართველოს, მეც  
ვიყავ ლეკის ომში.

როცა რუსმა გაიმარჯვა და დამშვიდდა ქვეყანა, ფულიც  
შემოვიდა, ღორის ხორცი ორ კაპიკად ღირდა გირვანქა, ძრო-  
ხისა და ცხვრისა ოთხ კაპიკად.

ბერიკაობა დიდი გართობა იყო ხალხისათვის ყველიერ-  
ში...

ბერიკები დადგებოდნენ რომელიმე სახლის კარებში და  
ლოცვასავით იტყოდნენ: „ღმერთო, მიეცი ამ ოჯახს ქონება და  
დოვლათი, რომ თვითონაც უკლებლად ჰქონდეს და სხვისთვის-  
საც გაიმეტოსო“. თან უკრავდნენ დაფა-ზურნას.

ბერიკაობის მემრე გაიმართებოდა ყეინობა.

სოფელი ორად გაიყოფოდა.

ერთი მხარე მითომ საქართველო იყო, მეორე მხარე —  
სპარსეთი.

ჯერ ყეინები იჭიდავებდნენ, ორივე ქვეყნის თავკაცები და  
მემრე ხალხი.

ერთხელ ყეინობაში ერთი მხარე საქართველო იყო, მეორე  
მხარე რუსეთი. ერთ ბერიკას ჩვენი პრისტავის ტანისა-

მოსი ჩააცევს და რუსის მეფეს დაამგვანეს. ამ პრისტავის მოკაზმულ ყეინს ეჭიდნენ. კიდეც წააქციეს, კიდეცა სცემეს და ბოლოს ახტალაში ჩააგდეს.

ეს ამბავი რომ შეიტყუეს რუსის მოხელეებმა, საყვედური გამოგვიცხადეს და იმის შემდეგ აქ მოშალეს ყეინობა...

ჩემს პატარაობაში ძაანა თამაშობდნენ ბერიკები და დედაჩემსაც უთქვამს, რომ წინათ სხვანაირადა თამაშობდნენო. ერთი ხუმარა ჰყოლია ერეკლე მეფეს. გლეხი ყოფილა და ბოღბისხევიდან წაუყვანია. თურმე კარგადა ხუმრობდა. მეფემა ჰკითხა: ვინა ხარო? იმან უპასუხა: ისა ვარო. მეფემ კიდეცა ჰკითხა: ვინა ხარო? იმან ახლა — „ესა ვარო“ — უთხრა, მეფემ მესამედ ჰკითხა: ვინა ხარო? იმან კიდეც უპასუხა: ისიცა ვარ. ესეცა ვარო. ამაზე ერეკლემ ოიანა-ბუიანა დაარქვა მეტსახელად და წაიყვანა თავისთან, ქალაქში.

დედაჩემისთვის უამბნია ქიზიყელ დედაკაცს, რომელსაც ერეკლე მეფე უტირნია თელავში: როცა ირანის შაჰმა კაცი გამოუგზავნა ერეკლე მეფეს, ის კოჯორში იყო. კოჯრიდან ზადამოყამს წამოვიდნენ მეფე და ხუმარა. როცა ქალაქს გადმოჰხედეს, ცივმა ნივმა დაუბერა და ხუმარამ უთხრა მეფეს. ბატონო, ცხენს უკან ნაბადია ჩაკრული, მოჰხსენ და წამოიხსნი, თორემ შეგცივაო. ერეკლემ დაინახა იქიდან მახათის წვერზე მწყემსებს ცეცხლი ენთო, ხელები გაიშვირა, მითომ ზედ გათბა, ხან ერთი მხარი მიუშვირა, ხან მეორე და თქვა: აი გავთბი, აღარა მცივაო.

ხუმარამ ხმა-კრინტი, ენა არ დასძრა. ჩავიდნენ თურმე ქალაქში.

მეორე დღეს მეფემ უბრძანა, კარგი სადილი დაამზადეთ სტუმრებისთვისო.

გავიდა ხანი და ხუმარასა ჰკითხა: რასა შვრება ჩვენი სადილო?

იხარშებაო, — უპასუხა ხუმარამ.

კიდეც გავიდა ხანი.

კიდეც იკითხა მეფემ: — ჰა, სადილი მზად არ არისო?

ხუმარამ კიდეც უპასუხა: — იხარშებაო.

მეფეს მოთმინება დაეკარგა და შუბლშეკვრით უთხრა: რა დაემართა ი სადილს, აქამდე ვერ მოიხარშაო?

ხუმარამ გულზე ხელი დაიდო, დახარა თავი და სთაოვა მეფეს: მობრძანდით, ბატონო, და ნახეთ, როგორ გაცხარებით იხარშება, თუ არა გჯერაო.

მეფე გაკყვა.

ხუმარამ შეიყვანა ოთახში და რასა ხედავს: დაბლა იატაკზე დაუკრავს წმინდა სანთელი და ქერში, სამი ადლის სიმაღლეზე დაუკიდნია ქვაბი:

— აი იხარშებაო.

— როგორ? — განრისხდა მეფე: — განა ეს წმინდა სანთელი იმ სიმაღლეზე ჩამოკიდებულ ქვაბში მოხარშავს რასმე?

— რატომ არა, ბატონო, — დაამშვიდა ხუმარამ, — თუ შენ კოჭრის მთიდან მახათაზე დანთებულ მწყემსების ცეცხლზე გათბებოდი, განა ეს წმინდა სანთელი უფრო ძლიერი არ არის? ამ სიმაღლეზე ვერ მოჰხარშავს საკმელსაო?

მეფე ის-ის იყო, მართლა უნდა განრისხებულყო, რომ ხუმარამ მეორე კარი შეაღო სამზარეულოში და მოახსენა:

— ეგ ხუმრობა გახლდა, ბატონო, და აქ მართალი არის, სადილი მზად გახლავსო.

— ჰაი-ჰაი შენ, ოიანა-ბუიანაო, — უთხრა მეფემ და კარგი ხუმრობისათვის მხარზე ხელი დაარტყა.

ერთხელ, მე მახსოვს, ჩვენს სოფელში ჯამბაზები დადიოდნენ და ერთ კაცს სამსაყნიანი ხის ფეხები ჰქონდა. დადიოდა ამ სიმაღლე ხის ფეხებით და სადაც ლამაზი ბალკონი იყო, იქ ჩამოჯდებოდა და ხის ფეხებს მეორე სახლზე გააწყობდა ხოლმე. მთელი სოფელი უკან დასდევდა ამ კაცსა და იდგა ერთი ყრიამული, ყივილ-ხივილი.

ეს კაცი მთელ სოფელს ჩამოივლიდა და ხალხს სულ იმ ჯამბაზებთან მირეკდა. ისინი დაბლობში გააბამდნენ თოქსა და ზედ დადიოდნენ. ხალხი ფერდობებზე იყო მიმსხდარი და უყურებდა.

გაბმული თოქის ქვეშ მასხარა იდგა და იძახდა ორ სიტყვას: ჰუნარ-ჰუნარის! ეს თათრულია და იმასა ნიშნავს, რომ ისევ ყოჩაღად და გამარჯვებით დაბრუნდი უკანაო...

ვინ იცის, შვილო, კიდევ რეებს არ აკეთებდნენ წინა დროს. ასე მოგახსენებენ: თამარ დედოფალს ისეთი კედელი უნდა შემოეგლო მთელი საქართველოსათვის, რომ ფრინველიც ვერ

გადმოფრენილიყო, მაგრამ მემრე იფიქრა, ჩემი სახელმწიფო ჯერ პატარააო და თურმე შემდეგ მისი გადიდებისათვის ომებში დაიღუპა.

ბაბო პატას ასული სულხანიშვილი, — კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის და, 62 წლისა, სოფ. აწყურის მკვიდრა (თელავის რაიონი):

ბერიკაობა იცოდნენ ჩვენში. ოთხფეხიან ვირს ისე გააკეთებდნენ, რომ ნამდვილი ვირი გეგონებოდათ. შუაში კაცი ვირში ისე იყო ჩამჯდარი, რომ თავის ფეხით დადიოდა, მაყურებლებს კი ისე ეჩვენებოდა, თითქო ვირი თვითონ დადისო. ეს ვირი ყველაფერს აკეთებდა, რის გაკეთებაც კი შეუძლიან ნამდვილ ვირს — ყროყინობდა კიდეც.

ბიჭები ჩაიცვამდნენ ქალაქურად, დადიოდნენ და აჯავრებდნენ ზოგიერთ სასაცილო ქალებს. აჯავრებდნენ აგრეთვე ცეკვას, სიმღერას, ლაპარაკს, ჯავრობას და ზოგჯერ ასეთ რამესაც: მითომ საპატარძლოა, საქმრო მოუვიდა. საპატარძლოს უნდა საქმროს დაანახვოს, თუ როგორი კარგი დიასახლისია — წამოავლებს ცოცხს ხელსა და წაღმა-უკულმა ჰგვის სახლს. სიძესაც გაარშიყება მოუნდება მითომ, ადგება და თავის საპატარძლოს ეუბნება:

— მოვიდე, ცოცხი შეგიჭამო!

— უი ქა, ჩვენებიანთ ვირი ხომ არა ხარ?

— ეჰეი, ვის დასცინით! — იტყვის ვირი და ორივეს ტლინკებს მიაყრის.

ბერიკეები ათასნაირი იყვნენ: ძაღლისა, ვირისა, ბებერი კაცისა. ხან პირდაპირ ზედ პირზე ჰქონდათ გაწყობილი თეთრი მიტკალი თავიანთ ბუნებრივ სახეზე. იყო ასეთი ბერიკა — „უკულმართი ცხოვრება“. პირისახე ზურგისაკენ აქვს მიქცეული.

ყვინობა წმინდა ორშაბათს იცოდა. მოვიდოდა ყვინი თათრულად ჩაცმული. აქლემზე იჯდა. ცალ ხელში ქალალდი ან დახვეული ხის ქერქი ეჭირა, როგორც დურბინდი, მეორე ხელში — ტყვილი ხმალი. მრისხანედ დაათვალიერებდა

ხალხს და ვისაც თვალში ამოიღებდა, გასცემდა ბრძანებას: მაგას ამდენი პური, ამდენი ყველი, ამდენი ერბო გამოართვითო. საკლავებსაც შეაწერდა. ვეზირები ანუ გზირები დატრიალდებოდნენ და ახდევინებდნენ შეწერილ ხარჯს.

გამოჩნდებოდა ხოლმე ვინმე გაბედული ახალგაზრდა, რომელიც ხარჯზე უარს ეტყოდა, ყეინს გამოიწვევდა ბრძოლაში. ხალხი გაიყოფოდა ორად: ერთი მხარე ყეინისკენ იყო, მეორე — ახალგაზრდა მეთამბოხისაკენ. დაიჭიდებოდნენ ყეინი და მეთამბოხე. ჭიდაობის დროს ხალხში დიდი შეხლამემოხლა იყო ხოლმე და ბოლოს, როცა რომელიმე გაილახებოდა, უფრო მეტი შფოთი და დავა ასტყდებოდა ხალხში. ორივე მხარე თავისას დავობდა. ბოლოს მაინც საქმე ქეიფითა თავდებოდა.

დედაჩემი სოფელში განთქმული მოტირალი იყო, როგორც მეტყველებით, ისე ხმითა და კილოთი. დედაჩემი იცნობდა იმ დედაკაცის შვილს, რომელმაც ერეკლე მეფე იტირა თელავში.

ილიკო თადეს ძე სინჯიაშვილი, 85 წლისა, ანაგელი გლეხი:

ბერიკაობა და ყეინობა ბევრი მინახავს. ყეინობის დროს ბევრჯერ კაცი მოუკლავთ, მაგრამ მკვლევლობისათვის სამართალს პასუხი არ მოუთხოვნიან. ეხლა რომ ყველა სოფელში თეატრია, კლუბი და ათასი სხვა გასართობები, ჩემს დროს მაგნიირის ხსენებაც არ ყოფილა. ჩვენი გასართობი იყო ქეიფი, დროს ტარება, ქორწილი, ნათლობა, აღდგომა და დღეობები. აქ, ქიზიყში, ოჩხარი იცოდნენ კიდევ. ოჩხარი ნიშნავს ქეიფს, რომელსაც გამართავდა უსაქონლო კაცი. ეს უსაქონლო კაცი დაჰპატიჟებდა საქონლიან ხალხს და გამოუცხადებდა: ოჩხარზე მობრძანდითო. ოჩხარზე მობრძანება იმას ნიშნავდა, რომ ამ უსაქონლოს (იქნებ საქონლიანს, რომელსაც რაიმე უბედურება შეემთხვა და სულ გაუწყვიტა საქონელი) უნდოდა მესაქონლე გამხდარიყო. როდესაც შექეი-

ფიანდებოდნენ დაპატიუებული მესაქონლეები. ვისაც რამდენი შეეძლო და რამდენის სურვილიცა ჰქონდა, იმდენს შესწირავდა საქონელს.

ერთხელ თურმე ასეთი ოჩხარი გამართა ერთმა უსაქონლომ. ბევრი განთქმული მესაქონლე მოვიდა ამ ოჩხარზე. ყველა ისე იყო გამოწყობილი, რომ ზედ ეტყობოდა, ვინ რა შეძლებისა იყო, ზოგი სულ მუხასის შალებში და ვერცხლის ქამარ-ხანჯალში იჯდა.

ერთი ბანძულაკებიანი დაბღვნილ-დაკონკილი კაციც მოვიდა მათთან და სულ ბოლოში დაჯდა. იმას ყურადღება არავენ მიაქცია და ისე ჰყავდათ გვერდზე მოქცეული, ასე გონია, აქ არც კი არისო. როცა ყველამ თავის სურვილისამებრ შესწირა უსაქონლოს, წამოდგა ეს ბანძულაკებიანი კაცი და გადასძახა იქ მყოფთ:

რა მოგახსენოთ, ბატონო,  
ალგეთი დიდი მთა არი,  
მაგრამ პატარა წყარო აქვს.  
იმასთან წყარო რა არი!  
სამასი სული ძროხა მყავს,  
მისი ნამატი სხვა არი,  
ათასი სული ცხვარი მყავს,  
იმის ბატკანი სხვა არი,  
ხუთასი სული ღორი მყავს,  
იმისი გოჭი სხვა არი,  
სამოცი სული მწყემსი მყავს,  
მოშადავათე სხვა არი,  
ასი მეც მამირთმევეია,  
მითომ თავს ჯდომა რა არი?!

ამნაირი ბერიკაობით ამ კაცმა იგეთ იშტაზე დააყენა შერცხვენილი მესაქონლეები, რომ კიდევ წაუმატეს წინანდელ საჩუქარს.

ლევან გიგოლას ძე გულაღაშვილი, 58 წლისა, კაკაბელი.



ბევრჯერ მეც ვთამაშობდი ბერიკას, ერთხელ ჭუქოს ბიჭს ტიკი გაებერნა და ხალხს ეძახდა:

— მოდი, კაცო, მოდი, დალიეთ, იცოცხლეთ და მაცოცხლეთ, იცოცხლეთ და მაცოცხლეთო.

თითონაც სვამდა მითომ და სხვებსაც ასმევდა, თან ყურში ჩუმად ეუბნებოდა: სუღიათ ამირჩიეთო. ტიკი თანდათან იცლებოდა. როცა ტიკი სულ დაიფუჟა, მითომ სუღიათ აირჩიეს.

ცარიელი ტიკი ტყავქვეშ ჩაიკეცა და მასრას უბიდან მოაყოფინა თავი. დაჯდა სუღიათ და ხალხს ასამართლებდა მითომ. აქათ-იქილან ქრთამებსაც იღებდა:

— შენ მტყუანი ხარ!

— რათა, კაცო?

— იმიტომა, რომა შენ ცოტა მომეცი ქრთამი, — ეტყოდა ყურში.

შიგადაშიგ მასრას ჩაჰბერავდა და მუცელი უსივდებოდა, მითომ ქრთამებისაგანა სუქდებოდა. როცა სულ გაიბერა, ერთი გლეხი გაამტყუნა, შენ ძალიან ბევრს მაწუხებ და ამიტომ მტყუანი ხარო.

ამ გლეხმა ამოიღო ჯიბის დანა, დაქანდა და ატაკა მუცელში: მთელი ჩემი ქონება შენ შეგაქამე და მაინც გამამტყუნეო. ჭუქოს ბიჭი თან იფუჟებოდა და თან ამბობდა: ვაი რა ტიკი გამიფუჟესო.

ხალხი იცინოდა.

მერე მოვკალით ტახი. მითომ კაცი გამოდგა და დასამარხად მოვიყვანეთ მღვდელი. ვუთხარით, უპატრონო გამოდგა და უფასოდ დამარხეო. მღვდელმა გვითხრა, სადა მცალიან მუქთად დამარხვისათვის, ფასიანებიც ვერ მომისწვრიაო.

მღვდელმა წასვლა რომ დააპირა, მეორე ბერიკამ დაიჩხავლა:

— ანდერძი!

მღვდელმა მოიცადა.

— მღვდელო, ანდერძში თავის ქონებას სულ შენ გაბურგებს.

— აბა, წაიკითხე, რასა, ბიჭოო... — დაიწყო მღვდელმა მაშინვე ლოცვა და საცეცხლურის ქნევა.

ბერიკამ დაიწყო ანდერძის კითხვა:

— ათი ქათამი დამრჩა სახლში, სულ მღვდელს მიეცეს ჩემი ტაბლისათვის.

— აცხონე, უფალო, აცხონე, უფალო! — იძახდა მღვდელი.

— ორი ხბოიანი ფური რომ მყავს, ისიც მღვდელს მიეცეს ჩემი სულის მოსახსენებლად.

— გაცხონოს უფალმა, გაცხონოს უფალმა, — იძახდა მღვდელი.

— ოთხი ქედილა რომ მყავს, ისიც მღვდელს მიეცით ჩემს საკურთხებლად.

— ხსენება და კურთხევა ამისი უკუნითი უკუნისამდე!

— ჩემი ცხენიც მღვდელს მიეცით!

— სული ამისი მარჯვნივ დაჯდეს უფალთან. ხსენება და კურთხევა მარადის. ცხონება სამოთხეში!

— ხუთასი თუმანი ვალი რო მაქვს, ის უნდა გადაიხადოს მღვდელმა.

— ფუ, ეშმაკო! ფუ, ეშმაკო! ფუ, ეშმაკო! წაწყდი! წაწყდი! წაწყდი! ჯოჯონეთში ჩავარდი, შე სულძაღლო, — მიაგდო საცეცხლური მღვდელმა მიცვალებულს და გაიქცა

ხალხი სიცილით კვდებოდა.

იკოდნენ ჩრდილების თამაში ანუ მუნჯი სცენები.

გაცეცხლებული თამაშით გარს უვლიან ერთ ბერიკას, მითომ ის ალავერდის ტაძარია. რამდენჯერმე რომ შემოუვლიან, ერთი ბერიკა დაეცემა ქადაგად მის კარებში — კარებად ის მხარეა, საითაც პირი აქვს. ბერიკა, რომელიც ტაძარშია, მიბრუნდება. ქადაგად დაცემული გიჟივით წამოვარდება და ახლა იქით გაიშხლართება, საითაც პირი აქვს „ტაძარს“. ის კიდევ მიბრუნდება, ამაზე ხალხი იცინის. მემრე „ტაძარი“ დადგება და ქადაგად დაცემული სასაცილოდა ფართხალობს, თავს მიწას ახლის, ხელს გულის ფიცარზე იბრაგუნებს და მემრე დაიძახებს:

„ჰეი! ჰეი! ჰეი! მომიტანეთ, დამიკალით შავი კურატი, თეთრი ფური, წითელი ღვინო! მე ჰამა-სმა არ მინდა, თქვე ოხრებო?“

მას თავზე ადგა თავისი ამქარი და როცა ქადაგი გაჩუმდებოდა, ის ხელებით მუნჯურად აჩვენებს პატრონს: მოუყვათ, დაუკალით, ღვინო დაგვაღვინეთ და ღმერთს ესიამოვნება, ამისათვის ისევ კეჟუაზე მოიყვანსო...

მემრე ყველანი დავაჯავრებდით, თუ ღამე რომელი ხე როგორ იდგა და რასა ჰგვანდა. ხანდახან იმასაც გავაკეთებდით, თუ ეს ხეები ღამე ქარში როგორ ირყეოდნენ, ხმასაც გამოვიღებდით, როგორც ხემ იცის ხოლმე; სესიკელაანთ ბანკა ისე კარგად აჯავრებდა ცალხელაანთ საბძელს, რომელიც ღამე ქარში ფამფალებდა და ქრაჭუნობდა წასაქცევად, რომ ხალხი სიცილით იხოცებოდა.

ხუმარებმა იცოდნენ მუნჯი ლაპარაკი, რომლითაც ათას რამეს გამოხატავდნენ, ხშირად ვილაცის საქციელს გვიამბობდნენ მუნჯურად, მიხვრა-მოხვრით, გრეხა-პრანჭვით და იმდენს გვაცინებდნენ, რომ ზოგი სიტყვიერად ვერ გვეტყოდა იმდენს. მუცლები ხელში გვეჭირა ხოლმე სიცილით. მახსოვს, ამათ ერთხელ ერთ ბებერს დააჯავრეს, თუ ცოლი როგორ გაუგორდა ხან ერთ მხარეს, ხან მეორე მხარეს. სღია ამ მოხუცმა და ისე მოიქანცა და წაიქცა, რომ ვერათფერი იკიანა. ჩვენში ვილაცა ყოფილიყო ასეთი მოხუცი.

ვასილ იასონის ძე ბაზიერაშვილი, 80 წლისა, გურჯაანელი:

განა მე ვიფიქრებდი, თუ ჩემი ნათქვამი ლექსი ან ბერიკების სათქმელი საჭირო იქნებოდა? ეს რომ მცოდნოდა, ბევრ რასმე დავისწავლიდი, მაგრამ რაც გამიგია ჯა დამინსომებია, შვილო, იმას გეტყვი. შეიძლება ბევრი რამ სწორედ ველარ მოვიგონო და ამიტომ ხომ არ გამიწყრებით? რა ვქნა, როგორც დამახსომდა და რასაც მოვიგონებ, იმას გეტყვი.

ერთი ის მახსოვს კარგა, რომ ორი მოპასუხე მასხარა კაცი გვეყვანდა და ისინი ძალიან ხშირ-ხშირად გოგო-ბიჭის სიყვარულს თამაშობდნენ ხოლმე.

ერთი ბიჭურად იყო გამოწყობილი, მეორე ქალურად და ვითომ ერთმანეთი უყვარდათ.

რაც მახსოვს, ჯერ ის ჩაწერე და თუ რამე მოვიგონე, მემრე იმას გეტყვი.

ქალ-ვათის სიზვარული

- გოგოვ, მაიცა ცოტა ხანს.
- რა გინდა?
- მინდა გამამყვე ცოლადა.
- არ მინდა!
- დედინაცვალს მოგაშორებ.
- არ მინდა.
- შეგინახავ ვარდის კონებრ.
- არ მინდა!
- ტანთ ჩაგაცმევ სულ ფარჩებსა.
- არ მინდა!
- არ მოგაკლებ ჩიტის რძესა.
- არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!
  
- ჩამოგიწნავ ხუჭუჭ თმებსა,
- არ მინდა!
- მე ჩაგაცმევ ტანსაცმელსა!
- არ მინდა!
- გასმევ უკვდავების წყალსა.
- არ მინდა!
- არ მოვუშვებ შენთან ქარსა
- არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!
  
- მძივს შეგიბავ ბროლის ყელსა.
- არ მინდა.
- ფეხთ ჩაგაცმევ ქოშებს ჭრელსა.
- არ მინდა!
- ჩამოგკიდებ საყურებსა.
- არ მინდა!
- ბეჭედს გიძღვნი სანატრელსა!
- არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!
  
- სახლს აგიგებ საკუთარსა.
- არ მინდა!
- ქვეშ გაგიგებ ოქროს ხალსა.

- არ მინდა!
  - აგიკრელებ დერეფანსა!
  - არ მინდა!
  - დაგამგვანებ დედოფალსა.
  - არ მინდა!
  - შენ ერთს განაცვალე თავსა.
  - არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!
- 
- გოგოვ, რად მილობავ გზასა?
  - რა ვიცი!
  - რად არ ნდომობ ჩემებრ ქმარსა?
  - რა ვიცი?
  - რად მიშორებ მე საწყალსა?
  - რა ვიცი?
  - რისთვის მისხავ ცეცხლზე წყალსა?
  - რა ვიცი, ბიჭო, რა ვიცი?
- 
- იქნებ ჩემ გარდა სხვა გინდა?
  - არ მინდა!
  - იქნებ ლაზროს ბიჭი გინდა?
  - არ მინდა!
  - მას უყვარხარ, შენ არ გინდა?
  - არ მინდა, ბიჭო, არ მინდა!
- 
- მაშ მომხვიე ბროლის ყელსა.
  - არ მინდა!
  - დაგიკოცნი შავ თვალეზსა.
  - არ მინდა!
  - წელზე მოგხვევ ამ მკლავეზსა.
  - არ მინდა.
  - გავახარებ დედაჩემსა.
  - არ მინდა, ბიჭო, არ მინდა.
- 
- ვახმე, დედიჩემის ღმერთსა!
  - რათა, ბიჭო?

- საქმეს ვიზამ საზარელსა.
- რათა, ბიჭო?
- ბნელად გამითენდა დღესა.
- რათა, ბიჭო?
- დანით გამოვიჭრი ყელსა.
- რათა, ბიჭო?
- ვეთხოვები დედაჩემსა.
- რათა, ბიჭო?
- გეთხოვები ჩემს დამწველსა!
- რათა, ბიჭო?
- ჩემსა გულის საყვარელსა,
- ვაიმე, დედავ, რათა, ბიჭო?
  
- მკვდარი მაინც უემიბრალე!
- ვაიმე, დედავ!
- ცრემლით კუბო დამინამე.
- ვაიმე, დედავ!
- ყვავილები დამაყარე,
- ვაიმე, დედავ!
- საფლავზედაც მოდი ხოლმე.
- ვაიმე, დედავ!
- შენთვის მკვდარი მომიგონე.
- ვაიმე, დედავ, რათა, ბიჭო?

(ბიჭმა დანა ამოიღო ვითომ გულზე დასარტყმელად, მაგრამ ქალმა ხელი უტაცა, მოუალერსა და დაამშვიდა).

- ეგ ამბავი, ჩემო ტოლე...
- გენაცვალე!
- მხოლოდ ეხლა გავიგონე!
- გენაცვალე!
- ზოგ-ზოგები არ გეგონო!
- გენაცვალე!
- მანკო არ ვარ მე იმთავით.
- გენაცვალე!

- და ეშმაკი თუ არა ხარ...
- გენაცვალე!
- შენთვის მინდა ჩემი თავი!
- გოგოვ, სიკვდილს დამიხსენი!
- გენაცვალე!
- შენ ჩემი ხარ და მე შენი.
- გენაცვალე!
- მომენდე და მომეკარი!
- გენაცვალე!
- შენ ცოლი ხარ და მე ქმარი!
- გენაცვალე!...

(გადახეივნიერ თომანეთს და იმდენი ჰკონეს, სანამ ქალურად ჩაცმულ ბიქს ტანისამოსი არ ჩასძვრა. ხალხმა იცინა ბევრა).

#### უაინოზა ხევი

(გენერალ უაზბეგის დროს)

შაჰაზმიან ყენს.

მოხეურ ურემში (ორთვალა, ცხენის ურემია) ყირაზე ჩასდგმიან გაღერძილ თვლებს ისე, რომ ერთი თვალის სიპრტყივ დევს ურემის ლართხაზე, მეორე სიპრტყივ არის აშვერილი ზევით. ზევითა თვალზე ფეხმორთხმითა ზის ყენი და ასე ატარებენ სოფლებში.

ყენსა ჰყვანან ჩაფრები, გზირები, ექიმი, ატუტანტები, ვეზირები, მინისტრები, ცოლიც და შვილიც.

ყენს თავისი ამაღა წინ მიუძღვის, ვინც შეეყაროს გზაში, თავის სურვილით ხარკი შეაწეროს. უცნობი კაცი თუ შეეყაროს, წაიყვანოს: ატუტანტმა, გამომძიებელმა და სხვა კაცებმა კარგა გამოჰკითხოს და, თუ ძალიან შორეული არ აღმოჩნდის, ხარკი შეაწეროს, ან დააჯარიმოს. მგზავრი გახუმრებისათვის ფულს გადაიხდის.

ვილაც შეიპყრიან უანდარმებმა, მიყვანიან ყენთან. ყენმა დურბინდით კარგად აათვალიერ-ჩაათვალიერის, შემდეგ

ძალიან განრისხდის, ფეხზე წამოდგის და უბრძანის ქანდარმებს:

— მაგას ამწუთსავ გადაახდევინეთ ნახევარი კვერცხი.

კიდევ სხვა ტყვე მოიყვანეს ქანდარმებმა: ამან გაპარვა იფიქრა და ქათამზე უარი თქვაო. ყვენი ძალიან განრისხდის და სამი გოდორი ქათმის სკლინტი შეაწერის ჯარიმად. ტყვე შეეხვეწის:

— ოლონდ სკლინტიდან ამომიყვანე და სამ ქათამს მოგართმევო.

საიდანღაც უეცრად სხვა ყვენი გაჩნდის და გაჰხდის ომი. ერთი ყვენი რომ დამარცხდის, მეორე დიდ ქეიფს იზმოდის.

მერე დიდის ამბით მოვიდის ყვენი თავის ამალით და დაბრძანდის ყველაზე დიდ ბანზე, რომელიც იყვის სოფელში, სტეფანწმინდაში. იქიდან ღურბინდით გაიხედის-გამოიხედის, დაბლა შეგროვილ ხალხს დასკვივლის: გადასახადი გადაიხადოლით ყველამაო? ხალხი გაიცინის. რომელიც ძალიან გაიცინის, დაუძახის. მას ყაზახები აიყვანიან ბანზე ყვენთან, გამოჰკითხის: რაისთვის იბაციინეო ასე ძალიან. გამოიძიიან, მემრე ჯარიმა დაადვიან და გაუშვიან. ამ დროს ვიღაც დედაკაცმა ყვენის დროშა მოიპარის. მაშინვე აფრინის ქანდარმები და დედაკაცი მოპარული დროშით მოიყვანის. დააჯარიმის, დიდი ხარჯი შეაწერის და ზეკუცია ჩაუყენის სახლში.

ყვენს ექიმი გვერდით ახლავს.

ვინმე გაუხდების ავად, ექიმი გასინჯავს, გამოჰკითხავს, რა სტკივა, რათ სტკივა, როდის აქეთ სტკივა. ვილაცას დააჯავრიან. მემრე ექიმი წამალს მისცემს: აქვს დაფქული წიწკა. ცხვირში შეუყოფდის გახვრეტელ ჩხირს, საღაც დაფქული წიწკაა, შეუბერს და შიგ შეაყრის. ავადმყოფი დაიწყებს ცხვირის ფრუტუნს და მერე უჩივლებს ყვენთან, ექიმმა ვერ მომარჩინაო.

ექიმს დააჯარიმებენ, ვერ მოარჩინეო.

მერე ყვენი აიყრება. ხალხი თან გაჰყვების. გზადაგზა ხალხი მიემატების, მოიტანიან გადასახადი. ვინც არ მოიტა-



ნის გადასახადი, ტყვედ წაიყვანის, რაით იწყინა ხარჯის და-  
დებაო.

ყენი რომ უკან დაბრუნდის და ტახტზე დაჯდის ისევ. ვილაცას შუშუნა შეუჩუჩუნებია ტახტისთვის და, როცა დაჯდის ყენი, აფეთქდის. ძალიან განრისხდის ყენი, უბრ-  
დანის, — დამნაშავენი მაშინვე დაატყვევიან. თუ გაიქციან. სახლში მიუვარდიან, ზეკუცია ჩაუყენიან. ზეკუცია სახლში არ შეუშვიან და კარი ჩაიკეტებინ, მაშინ ბანიდან მოექციან— ბანიდან ყაზახი ჩაპყოფს ხიშტს, დიასახლისი ხიშტზე ხაბიზ-  
გინებს აუგებს და ისიც აიტანს მალლა. მემრე დიასახლისი შუაში დასდგამს გობით ხაბიზგინებს. ყაზახი ჩაპყოფდის ხიშტსა და აილის ხიშტის წვერით ხაბიზგინები. მალლა აიტანდის და სჭამდის.

მოვარდის ყენთან ეანდარში და უთხრის:

— დიდებულო ყენო, დიდი გენერალი გიორგი ყაზბეგი გიბრძანებს!

ყენი ძალიან განრისხდის.

ამ დროს გავარდის გიორგი ყაზბეგის რკინის პატარა ზარბაზანი.

ყენი უფრო განრისხდის:

— ვინ ჰბედავს ზარბაზნის სროლას?!

ამ დროს მოვიდის გიორგი ყაზბეგის ასაბია დროშით ყე-  
ენტან. დროშა დააყენის ძირს და თან ხელით მაგრა შეი-  
პყრის.

ყენის ასაბიაც მასთან მოვიდის ახლოს, მას ხელში დამ-  
ბაჩა უბყრია. ის დამბაჩა წამლით გავუტენეთ, შიგ ერთი მუქა  
ქვიშა ჩავუყარეთ.

ყაზბეგის ასაბიასთან რომ მივა, პირით ხაბიზგინი დაცოხ-  
ნის, მემრე უეცრად შეაყარის თვალებში. ის რომ თვალებს  
დახუჭავს, ყენის ასაბიამ დამბაჩა დაახალის დროშას —  
ცარიელი ჯოხილა დარჩის.

გენერალ ყაზბეგს ეს ძალიან ეწყინების და რკინის ზარ-  
ბაზანს ზედიზედ გაისროლის.

ამ დროს მივა ზეკუცია, ყენის ამფეთქებელთან რომ იყო

და თან მოიყვანის დაჭრილები. ყენი მაშინვე თავის ყაზახებს „ჟესტის“ ჯერებს დაჰკიდებს.

ამ დროს გენერალ ყაზბეგის ზარბაზანი კიდევ გავარდის. ყენს აქვის ერთი ხის ზარბაზანი. გასტენენ წამლით, მემრე შიგ ბევრ ნაცარს ჩაჰყრიან და რომ გაისროლოს, ისეთი ბუნგალი გაიღის, სუყველამ თვალეები დახუჭოს. კიდევ გავარდის გენერლის ზარბაზანი და ომი გაჰხდა.

ომი რომ გაჰხდის, ერთიმეორის ოჯახებში შევიდის ხალხი და ზოგთა რა მოიპარიან ხუმრობით, ზოგთა — რა. ქურობის დროს ვისაც შეიპყრიან, ჯარიმას დააწერიან ან ზეკუციას დაჰკრიან.

ომი რომ გაჰხდა გენერალ ყაზბეგთან, ყენმა გაიმარჯვის. უბრძანებს ყენი ატუტანტს:

— შეჰკარით იგი და აქ მომიყვანეთ!

წავიდიან ჟანდარმები, შეჰკრიან და მოიყვანიან გენერალ ყაზბეგს ყენთან. ყენი გაცინებისათვის ბევრს აჰხედ-დაჰხედავს ყაზბეგს. ხან, მითომ შეეშინდის მისი პაგონებისა, უკან გადახტის, ხან გაურისხდის და ბოლოს ჩამოხრჩობა მიუსაჯის. გენერალი თოკით ჩამოჰკიდის სახრჩობელაზე (თოკი აქვს მობმული და სახრჩობელაზეა გადაგდებული წვერით, კაცი მიწაზე დგას). ყენს სახრჩობელა მუდამ მზადა აქვს.

— რამდენს გადიხდი, აღარ ჩამოგახრჩო, — ეუბნება ყენი ყაზბეგს.

ყაზბეგი მხოლოდ პაპიროზს გააბოლებს და არაფერს უბასუხებს. მაშინ მოვარდის ყაზბეგის ცოლი. ათი თუმანი მისცის, ორი ვედრა ღვინო, ორი ვედრა არაყი და დაიხსნა ქმარი. ახლა ცოლი შეიპყრის:

— რაისთვის წაეშველე დამნაშავე ქმარსაო.

ფეხთ გაჰხდიან ყაზბეგის ცოლსა. ასაბია ტიტველა ფეხით თოვლში ჩააყენებს, მერე ჩამოხრჩობა გადაუწყვიტის და ახლა ქმარი დაუთვლის ყენს ხუთმეტ თუმანს, ექვს ვედრა ღვინოსა და დაიხსნის ცოლს.

გამარჯვებული ყენი ნადავლით და ნაალაფარით აიყარა და წასასვლელად მოემზადის. უცბად გზირი მოვიდის და მოიტანის ამბავი: დედაკაცების ჯარი შემოგვრტყმია გარსაო.

ჩვენი დაპყრობილი ალაგები ახლა მათ უჭირავთ და „გრანიცა“ დაკეტილიაო.

ყვენი გაჯავრდის. აიყარის. ცალ მხარეს გაპგზავნის მილიცია, ცალ მხარეს ტრაქნიკები და ყაზახები. მაგრამ ორივე გზა შეკრული დაპხვდა: დედაკაცების ქარი დგას დიდი ჯობებით ყველგან.

მაშინ ყვენი მესამე მხარეს წავა — იქ უფრო ძალიან შეკრულია გზა. დედაკაცები ქვასა სტყორცნიან ყვენს.

რაკი ყვენს „გრანიცა“ ყველგან შეკრული დაპხვდის, მოლაპარაკდის. მაგრამ დედაკაცები არ დასთანხმდებიან. ჯოხს ატრიალებენ და ქვასა სტყორცნიან. კაცები თოფს გასცილიან ჰაერში, მაგრამ დედაკაცები არ შეშინდებიან, უფრო გაცხარდებიან, გამწარდებიან და თავსაც გაუტეხიან კაცებს.

ამ დროს ერთი კაცი მოვა საჩქაროდ, თავის ცოლს ყურში ეტყვის: „დედაკაცი, წადი სახლში, რა შენი საქმეა ომიო“. ის დედაკაცი თავიანთ ყვენს ეტყოდის და დიდ ჭარიმას შეაწერიანბდის თავის ქმარზე.

დედაკაცების ქარი ძალიან აყვირდის და გაბრაზდის.

კაცების ყვენი გაგზავნის შუამავლებს.

გაიმართა მისვლა-მოსვლა, მოლაპარაკება.

დედაკაცები ერთ ქალად მისწერენ ყვენს:

„ყველაფერი უნდა აგვისრულდეს. თუ არ აგვისრულდეს, ცოცხლის თავით ველარ წახვალო“.

ყვენმა პირობა მოსთხოვა. დედაკაცებმა უპასუხეს:

„ჩვენ უნდა მოგვცე, რაც ხარკი მოგიკრეფია. გაანთავისუფლე შენი ტახტის ამფეთქებელი და თქვენთვის, რაც ზედ გაცვიათ, ის შეგვიწვიაო“.

— ოღონდ ომი ნუ გაპხვდება თქვენი თხოვნა შეგვისრულებიაო, — გაუგზავნის პასუხს ყვენი.

ამის შემდეგ ხალხი იშლება. ყველა თავ-თავის სახლში მიდის.

ჰყავთ მედუღუკეები. როცა დრო მოვა, დაუკრიან დუღუკს და დუღუკის დაყვირებაზე ჯერ მილიცია მოვა დანიშ-

ნულ ადგილას, მემრე ხალხი მიჰყვება მათ უკან. ესენი რომ გაერთიანდებიან, ატუტანტთან წავიდებიან. ატუტანტი გამარჯვებულ ყვენთან წაიყვანს ხალხს, იქიდან ყვენს წამოიყვანენ და სადაც დიდი ბანია, ან კალო, იქ გამართიან ქეიფი.

ბანზე ყვენი ზის, ძირს კალოზე — ხალხი (დედაკაცებთანად). ქეიფში ყველა მოვიდის. ქეიფის დროს ყველაფერს ისე იზმენ, როგორც ნამდვილად ყვენის მოსვლის დროს.

## პართული წეს-ჩვეულებანი კახეთში

### ალავერობა

ალავერდის ტაძარი. ურმების ქარავანი. ქალები სხედან შიგ. დაირა-ტაში. ჭვილი ბიჭები ცხენებით არიან. მიაჭენებენ. გაუსწრებენ ურმებს, ისევ დაუტრიალდებიან. ალავერდის ტაძრის გარშემო დგას აუარებელი გამოშვებული ურემი. საქონელი გარეკილია საძოვარზე. ყოველი ურმის წინ ცეცხლი ანთია და მზადდება საჭმელი. ტაძრის ირგვლივ და შიგ ტაძარში უამრავი ხალხია. ერთგან დაირა-ტაშია, მეორეგან — ტაშ-ფანდურა, მესამეგან — დოლი, მეოთხეგან — ზურნა, მესტირე ყოველი გაშლილი სუფრის სტუმარია.

ყველგან ცეკვავენ.

ვაჭრებსაც გაუშლიათ სავაჭრო ნივთები და ყვირიან: აქეთ კაი ხილი, ხმელი ხილი, დოში, თევზი, ტკბილეული! გამოფენილია ნამგალი, თოხი, ბარი, იარაღი ყველანაირი, სასმელი და საჭმელი.

ზოგ ადგილას ცეკვაა, ზოგ ადგილას — ჭიდაობა.

### ჭიდაობა

ამ ჭიდაობასა ჰყავს თავკაცები. ესენი ეძებენ მოჭიდავეებს. იპოვნეს. ერთმანეთი აჩვენეს. ორივე თანახმაა. გადაადრეს ჩოხები და შეუცვალეს. ტიტველა ტანზე ჩააცვეს ჩოხები. დაუკალთავეს და ქამარი მაგრა შემოარტყეს. ხალხს განი უთხრეს. ხალხმა განი დაადლო კალოსავით. მომწესრიგებლები სახრეებით, მათრახებით წრეს აგანივრებინებენ.

კარგა დიდი წრე გაკეთლა.

გადმონტა ერთი მხრიდან ერთი მოჭიდავე, მეორე მხრიდან — მეორე. შეითამაშეს. მერე ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს. ცოტა დაშორდნენ და დაეტაკნენ ერთმანეთს. ერთმა ფეხში სტაცა ხელი, მაგრამ ხალხმა შეჰყვირა: წესი არ არის! ყოველ უწესობაზე ხალხი შეჰკივლებს — ხალხია მსაჯული.

მომღერლები საჭიდაოსა მღერიან:

ჰარალე, ბანებო,  
გოგუებო, ქალებო.  
ბანი მითხართ, ბანელებო,  
თქვე პირდაუბანელებო.  
აქედან გორი შორია,  
შიგ მარგალიტი — ბროლია,  
თქვენ სანახავად მოვსულვარ,  
სხვა საქმე არა მქონია...

სანამ ჰიდაობენ, ნელა და დინჯადა მღერიან. ერთმა გაიმარჯვა. გამარჯვებულმა წაქცეული წამოაყენა, გადაეხვია, ერთმანეთს აკოცეს. გამარჯვებული შეხტა. მომღერლებმა საჭიდაო საცეკვაოდ გადააქციეს და გამარჯვებული ცეკვავს.

გაუსვი და გამოუსვი,  
ვითომ ჰიანურია,  
მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ,  
ისიც შინაურია.  
ეს ბიჭი კარგა თამაშობს  
ფეხის ფრჩხილებზე დგება,  
ამან რომ ფეხი იტკინოს,  
გოგონას დაბრალდება.  
გენაცვალე, ქერის პურო,  
ანაცერო დიკისა,  
გოგოვ, შებრალეა გქონდეს  
პირტიტველა ბიჭისა.  
მინდორში დამძინებოდა,  
დამხვეოდა ჰინჰველა,

## გოგოვ, შენ კი ჩაგიგორდი ქვეშსაგებში ტიტველა.

ერთგან ჯირითია.

ჯირითსაც თავკაცები ჰყავს. თავკაცები ეძებენ მსურველებს. მსურველები ჩნდებიან. ერთი ვერსის მანძილზე ნიშანი ზის მინდორში. იმ ნიშანზე გზაში გდია ქული ან რაიმე ნივთი. კიდევ დგას სიმინდის ქეჩეჩი, კიდევ შემდეგ ზის ჯამი ან თეფში. ორი ცხენოსანი დაიძვრის ადგილიდან ერთ წუთს რომელიც წინ მოვიდა ბოლო ნიშანთან. იმან მარტომ უნდა გააჯირითოს ცხენი ხელახლა: გზაში გაქენებული ცხენიდან ქული უნდა აიღოს, დაიხუროს, მერე ხმალი იძროს, ქეჩეჩი გასჭრას, მერე თოფი უნდა ესროლოს თეფშს.

ეს ყველაფერი შეასრულა სამიდან ერთმა. სახელიც გაითქვა. გამარჯვება მიულოცეს.

### მონები

ალავერდის ტაძარსა ჰყავს თავისი მონები, შეთქმულები, მონებსა ჰყავთ უფროსები. მონებმა აირჩიეს უფროსი. მიუტანეს დიდი ხალხა. ხალხაზე ყველამ თავისი ნიშანი მიაკრა. მიაბა, ჩამოჰკიდა: ზოგმა სარტყელი, ზოგმა ქამარი, ზოგმა თავშალი, ზოგმა მერდინი და ეს კრელი დროშა დააქერინეს უფროსს. უფროსი მიდის წინ. უკან მისდევენ ამ დროშაზე აკინძული ნიშნების პატრონები. დროშას წინ მიუძღვის ცეკვით ახალგაზრდა მონა. უკრავს დოლი ან ზურნა. უვლიან გარშემო ტაძარს. სამჯერ შემოუარეს. ტაძრის კარებთან დაეცა ქადაგი. ხალხი ზედ აბოტებს გაშხლართულ ქადაგს. მერე განს დაადებენ. ქადაგი იწყებს ლაპარაკს. ალავერდი ალაპარაკებს.

ეკლესიის გალაგანში ისმის მოქეიფე ხალხის სიმღერები: მრავალყამიერ, ჩაკრულო, სუფრული, ხეურო, ჩანგურო, ღმერთო-ღმერთო, გუშინ შვიდნი გუჭრანელნი, მოკლე მრავალყამიერ, დიელო.

იქვე მოშორებით ფერხულია. მღერიან ფერხულს. სხვაგან

ქალები ნიშხა-ნიშხასა თამაშობენ. მესტვირე სუფრას აპატი-  
ოსნებს. ღამის თევის შემდეგ უკან დაბრუნდებიან.

### გუთანი და ჟანის მკა

დილა სისხამზე მორეკეს გუთნეული. მეხრეებმა შეაბეს.  
გუთნისდედამ სახნის-საკვეთი გაასწორა გასაღებით. მეხრეები  
შეუდგნენ. გუთნისდედამ პირჯვარი გადაიწერა, დაუძახა:

— გაუჯავრდით!

მეხრეებმა ჰაე-ჰე-ჰე დასძახეს, მოიქნიეს სახრე, ღვედ-  
გაიჭიმა და გუთანი მოეკიდა. გუთნისდედამ ოროველა შემოს-  
ძახა: რვაჯერ შემოუარეს და ხარი დაასვენეს.

შენი ჭირიმე, გუთანო,  
გათლილო იფნის ხისაო,  
შენ აჭმევ პურსა ცოცხალსა,  
დამმარხველი ხარ მკვდრისაო.  
გადი-გამოდი, გუთანო,  
ღირღიტავ, ბანი უთხარო.  
სახსნის-საკვეთო, გაუსვი,  
რომ კაჭაქს ძირი უთხარო.

თითონაც პური გატეხეს...  
თესლი გადაიბნა.  
დაფორცხეს.  
ჯეჯილი გამარგლეს.  
დაიხორბლა. ოდოში მოწვეს.  
ყანები გაიჭრა.

### ჟანის მკა

დილა-სისხამზე მივიდა თორმეტამდე კაცი. დაიწერეს პირ-  
ჯვარი, ახსენეს ღმერთი.

— ღმერთო, გვიშველე! — თქვეს და შეუდგნენ მკას.

ორს მოაქვს სვე. ერთმანეთს ეჯიბრებიან. მეძნეური უკან  
მოსდევს. ერთი ულოსა ჰგრეხს, მეორე ძნასა ჰკრავს. მესამე



სადილს ამზადებს. ურემი დგას. გვერდით ცეცხლი ანთია; ზედ ქვაბით საკმელი იხარშება. ისმის მუშის ყიჟინა.

მეძნეურს გაშლილი ულო უჭირავს. ორნი ან სამნი მიურბენინებენ ხელეურს, ჩაუდებენ ულოში, იქვე სიმღერას იტყვიან. მეძნეური შეჰკრავს ძნას, დასევამს, მეორე ულოს ამზადებს, მომკელები ათავებენ მოკლე სიმღერას და უბრუნდებიან ყანას.

იწყება ახალი შეჯიბრი მესვეურთა შორის.

— ჰეეჰ! ჰოოჰ!

— ჰეეჰ! ჰოოჰ!

— ჰადა! ჰოდა!

— ჰადა! ჰოდა!

მესვეური გავიდა ბოლოში და კაი ამბავი დაიძახა. ყველანი გავიდნენ ბოლოში. იქ ერთად შექუჩდებიან. იტყვიან მოკლე სიმღერას. შემდეგ დაპყვნენ, დაათეულეს. მივიდნენ ურემთან. ქარი ამოიღეს. ნამგალი გალესეს სიმღერით:

გლესავ და გლესავ, ნამგალო,  
ნამგალო, ჩემო რკინაო,  
გაგლესავ და მიგაყუდებ,  
ნამგალო ჩემო რკინაო.

ისევ წამოდგნენ და მეორე ნახევარს მოექცნენ თავიდან. დასძახეს ერთმანეთს:

ჰერი, ბიჰო, ბერია,  
გამოგვიხტა მწყერია,  
ყანის მკაში რას მაჯობებ,  
ნამჯას გიგავ წვერია.

ან კიდევ:

მოუსვით, ბიჰო, ნამგალსა,  
სვე სულ წინ წავაყენოთო,  
მოეძებნოთ ქალი ლამაზი,  
გორაზე დაეაყენოთო.

მემრე მღერთან ყანურს. თან მკიან. გაიტანეს კიდეც სვე.

— აბა, ბიჭებო, ესლა პური შევჭამოთ, — თქვა პატრონმა. მუშა სიმღერით მიდის სუფრასთან, რომელიც უკვე გაშლილია. ჭამეს პური, იმღერეს. შემდეგ ნამგლებს პირი შეუღეს და ცოტა წაიძინეს. გამოიღვიძეს, ხელახლა შეუდგნენ მკას. გაათავეს. დალამდა. მინდვრებიდან ძნით დადებული ურმები მოდის და ისმის ურმული:

გასწი კამეჩო, რქიანო,  
შენი მეუღლე მქვინო.  
ხვალ უნდა კალო შევაბა,  
გასწი, არ დამაგვიანო.

### ლ ე წ ვ ა

დილა სისხამზე ჩაუშალეს კალოს.

კვერი გაასრიალეს. უქციეს. სამჯერ ორთითით. ორჯერ ნიჩბით. შეხვეტეს, შეგავეს, გაანიავეს. პური შეზიდეს ბელეშში. წისქვილი ჰფქვავს.

თონე ხურს.

ჩააკრეს.

ამოჰხადეს.

სუფრაზე ჯვარედინად დააწყეს.

### ვენახი და რთველი

გასხლეს. შესარეს ვენახი. დაბარეს, გათოხნეს. ყურძნის დაყვავილებამდე შეწამლეს. შეწამვლის დროს გლეხი მღერის:

ღმერთმა რომ კაცი დაბადა,  
სულ მუდამ უნდა ზრუნავდეს.  
სიცოცხლე იმასა ჰქვინან,  
თითისტარივით ჰბრუნავდე.

დაიხორშლა მტევანი. თვალი შევიდა. ვენახს უკვე ყარაული უდგება. მოწეულ ყურძენს ეტანება ქათამი, ძაღლი, მგელი, ადამიანიც.

ყურძენი დამწიფდა. დაკრეფის დროა.

გოდრები მოძებნეს. ახალიც დაწნეს.

მარანი შიგნიდან: ქვევრები, საწნახელი, სარცხი, ხაპი, ლასტები. ქვევრში კაცი ზის, რეცხავს და თან მღერის:

ნოემაც ერთხელ ინება  
ყურძნის წვენის გემოვნება,  
— ჰარიჰარალე!

მეორე კაცი ქოცობსა რეცხავს გრძელი სარცხით ზევიდან.

მესამე საწნახელს ასუფთავებს: წყალს ავლებს. შიგ გარეცხილ ლასტებს უგებს, ჩადის უფენს ნაპირებში. მეოთხე უკვე გარეცხილ ქვევრში ზის.

ურმები მიდის ვენახებისკენ. ზოგში ქალები, ბავშვები და მოხუცები სხედან. ზოგზე ცარიელი გოდრები და საკრეფლები აწყვია. მხიარულებაა, ყიჟინა. რთველში მიდიან.

ვენახში გაშლილია ხალხი. ჰკრეფენ. ივსება საკრეფლები, ივსება გოდრები. იჭრება კრჩხები, აკიდობები. გოდრები ზურგით გამოაქვთ ნაპირზე. ისმის სიმღერა:

ვკრიფოთ და ვკრიფოთ ყურძენი,  
კარგა დავავსოთ გოდრები,  
გავავსოთ ნავიც ყურძნითა,  
ზედ შევაყენოთ მოყვრები.  
ლუკმას შეაქმევს საწყალსა,  
გაიხარებენ ობლები...

ნაპირზე ჩამოატარებენ ურემს. დაუწყობენ გოდრებს. მოაქვთ მარანში. ჩაჰყრიან საწნახელში. საწნახლიდან ღარია ქვევრში მიშვებული. საწნახელს ავსებენ. ბიჭები ფეხს დაიბანენ, შედგებიან საწნახელზე, დაჰკრავენ ფეხსა და ტკბილი ჩქაფანს გაიღებს ქვევრში.

ფეხსა სცემენ ბიჭები. თანა მღერიან.

მასპინძელი გარეთ მწვადებს აშიშხინებს. ბიჭები კარგა რომ მოიღლებიან, შემოარბენინებს მწვადს შამფურით. გაუშვერს სათითაოდ.

- წააძრე! — ეტყვის. თან პურსა და მარილს დაუდგამს საწნახლის პირზე. ბიჭები თან ჭამენ, თან განაგრძობენ ბუქნას საწნახელში.

გადააბრუნებენ ჭიქას. გადმოაბრუნებენ — გაიწურება.

ჭაჭას დააყრიან ქვევრს.

ერთი კვირის შემდეგ მაჭარია.

ორი კვირის შემდეგ გადაიღებენ ღვინოს.

გლახის კარწინ ავლებენ ჩურჩხელებს. ჭიგოებზე ჰკიდია მზეზე გასაშრობად. არაყიც გამოჰხადეს.

### ქორწილი

რთველის შემდეგ აწყება ქორწილები.

მშობლებმა გაიგეს, რომ მათ შვილებს ერთმანეთი უყვართ, ან თვითონ მშობლებს უნდათ თავისი შვილი დააქორწილონ. მშობლები ერთმანეთს კარგა გაიცნობენ და მორიგდებიან. ვაჟი მიუტანს ნიშანს. ნიშნის მიტანა, აშკარაა, ხდება სტუმრებით, სიმღერებით, ღვინის სმით, ცეკვა-თამაშით.

მზითევსა ცოტაობენ სანეფოს მშობლები.

ამაზე თამადა ლექსს ამბობს:

ნეფეო, ღმერთმა შენ მოგცეს,  
ბედი და ბედნიარობა,  
გვერდს გეჭდეს გვირგვინოსანი,  
გაზრდილი ნებიარობა —  
რათ გინდა ცოლის მზითვევი,  
შინ გქონდეს გემრიალობა.

სტუმრები იშლებიან.

ქალის მშობლები მზითევს ამზადებენ. ვაჟი სახლს ალაამაზებს. ისიც ემზადება ქორწილისათვის. დანიშნის დღიდან ქალს თავისი შინა მასწავლებელი, მომვლელი თუ პირის ფარეში სულ თავს დასტრიალებს. მასწავლებელი, რომელმაც ან წერა-კითხვა ასწავლა, ან ხელსაქმე, ახლა ელის თავისი. ამავის დაფასებასა და გამოჩენასაც. მას ეამაყება, რომ კარგი საპატარძლო გამოზარდა, კარგი ოჯახის ქალი გამოიყვანა. ყვე-

ლას უჩვენებს — ჩემი გაზრდილია, ვასწავლე ყველაფერათ. ჭრა-კერვაც იცის, ქარგვაც. ოჯახის მოვლაც, ზრდილობაც აქვსო და სხვა.

ამიტომ წაყვანის წინ საპატარძლო მასწავლებელთან გადაკყავთ. სამეფო მიდის მასწავლებელთან (ანუ მღაღესთან) და იქიდან გამოისყიდის მას. პირის სანახავს მისცემს. მერე პატარძალს წაიყვანენ მშობლების ოჯახში. დანიშნულ დროს სასიძო მაყრებით მოდის პატარძლანთან; იქ იქეიფებენ, კარგა შეზარხოშდებიან. ამ დროს ცალკე ოთახში პატარძალსა რთავენ... მორთეს. სიძეს ატყობინებენ: დედოფალი ტყვედ არისო.

სასიძო მაშინვე წამოხტება და მონახავს თავის ნესტანდარეჯანს და საჩუქრებით დაიხსნის მას: ჯერ პირის სანახავს გადიხდის, მღაღე (მასწავლებელი) მოითხოვს, ამდენი და ამდენი შრომა გამიწევია — ვასწავლე: შეუქერე, დავხურე, მოვრთეო. იმასაც მისცემს საჩუქარს.

მაყრები თუმცა კარგა შეზარხოშდნენ, სიძემ არც პური შეჭამა, არც ღვინო დალია. ამიტომ სიღედრს ეუბნება: მე თქვენსა პური არ მიჭამიაო. ამაზე სიღედრი საჩუქრად უწერს: ცხვარს, ძროხას, ცხენს, ხარს შეძლებისდა კვალობაზე.

შემდეგ სასიძო გაიყვანს პატარძალს იმ ოთახში, საიდანაც უნდა ეკლესიაში წაიყვანონ ჯვარის დასაწერად. ნეფე-დედოფალი ერთად დადგებიან. კარებში საპატარძლოს ღვინით სავსე ჯამს მიუტანენ, რამდენიც უნდა დალევს და ჯამს უკუღმა გადააგდებს სახლში — მშვიდობითაო.

შესვამენ ნეფე-დედოფალს ცხენებზე, ნათლია ანუ მეჯვარე ნეფეს მოუდგება გვერდით, წინ მიდიან, უკან მაყრიონი მისდევს მაყრულით. პატარძლის მაყრები ცალკე არიან, ნეფისა — ცალკე. მაყრულს ორპირად მღერიან, ნეფისა და დედოფლის მაყრები სიმღერაში ერთმანეთს ეჯიბრებიან.

თოფის სროლით მიიყვანენ მაყრები ნეფე-დედოფალს ეკლესიაში. ეკლესიაში მღვდელი ასრულებს თავის წესს: ნეფე-დედოფალს ადგამს გვირგვინს, მეჯვარე შეუცვლის: ნეფეს მოჰხდის, დედოფალს დაადგამს, დედოფალს რომ მოჰხდის, იმას კიდევ ნეფეს დაადგამს. ასევე შეუცვლის ბეჭდებსაც მეჯვარე. გათავდა ჯვარისწერა. ეკლესიიდან ისევე ქალიანთან

მიჰყავთ ჭვარწერილები, წინ მახარობელს აფრენენ — მოდი-  
ანო. მახარობელს კარგი ცხენი ჰყავს. მახარობელი ეზოში  
თოფს დასცლის. ნეფე-პატარძალი მოჰყავთ მაყრულით:

მოვდივართ, მოგვიხარიან,  
მოგვყავ დედალ-მამალი ხოხობი.

პატარძლიანთას მოვიდნენ. მშობლები ეგებებიან სიხარუ-  
ლით, ხვევნა-კოცნით. ჩამოჰხდებიან. სუფრაა გაშლილი. იქეი-  
ფებენ კარგად. ნეფე ითხოვს თავიანთსა წასვლას. შეიქნება  
ქალის გამოთხოვება თავის სახლთან, სადაც გაჩნდა, გაიზარდა,  
ხვევნა-კოცნა, ტირილი.

გამოვლენ, შესხდებიან ცხენებზე.

ახლა ნეფიანთსა აფრენენ მახარობელს. ყველაზე წინ კი  
ურმით მზითევია გაგზავნილი. მეურმემ მიიტანა, მაგრამ ურემს  
არ ანებებს, სანამ არაფერს აჩუქებენ. ურემს გამოოსყიდიან.  
მახარობელიც მივა. დასცლის თოფს:

მე ვარ მახარობელი,  
სახლის გამხარებელი,  
ამიხვიეთ მხარიო,  
გამისტუმრეთ მთვრალიო.

თასით ღვინოს დააღვეინებენ. მკლავზე დაახვევენ წითელ  
ბაღდადს და ისევ უკან გზავნიან. გზაში მიეგება ნეფე-დედო-  
ფალს და ახლა იმათ ახარა: სახლში კარგად არიან და სიხარუ-  
ლით გელიანო.

სახლს რომ მიუახლოვდნენ, წინ გადაუდგებათ მახლობე-  
ლი დედმამიანი ქალი და ტკბილეულს მიაგებებს: ასე ტკბილად  
დაბერდითო. სახლის კარებში ნეფე-დედოფალი ამოდებული  
ხმლების თაღქვეში გაივლიან და შინ შესული ნეფე ჯამს ან  
თეფშს გასტეხს ფეხით. ხმალამოდებულები შეჰყვებიან შინ  
ნეფე-დედოფალს, სამჭერ შემოატარებენ კერას სიმღერით:

ახალი პატარძალი ვარ,  
შემომატარეს კერასა...

ტახტი ფარდაგებითა და ხალიჩებით არის მორთული, კედ-

ლებზედაც არის აკრული ხალიჩები. ტახტზე მუთაქები აწყვია, ნეფე-დედოფლისთვის ბალიშებია დაწყობილი დასაჯდომად. მაგრამ ბალიშებზე პირქვე წევს ბიჭი, რომელსაც ზურგზე უწყვია ხელები მუქით. სანამ ბიჭს მუქში ფულს არ ჩაუდებენ, არ ადგება. ბიჭი ადგება საჩუქრის შემდეგ. ბალიშები უნდა გამოსყიდოს ქალის მაყარმა. ბიჭი რომ ადგება გამოსყიდვის შემდეგ ნეფე-დედოფალი დაჯდება, ნეფეს ხელი უკიდია დედოფალზე.

სიძეანთას არის დიდი ქორწილი.

ბალიშებზე რომ დასხდებიან, მშობლები ეხლა აქ მიულოცვენ ხევენა-კოცნით. იწყება ქეიფი.

დედოფალს გვერდით მიუჯდება მეჯვარე, ნეფეს — ეჯიბი. მერე დაიწყება საერთო მილოცვა. მილოცვა ასეა: ვაშლში გარშემო ჩაარკობენ ვერცხლისა თუ ოქროს ფულს, ვაშლს საამურად მორთავენ ოქრო-ვერცხლითა და მიაართმევენ ნეფე-პატარძალს — ბედნიერად და ასე ლამაზად გამყოფოთ ღმერთ-მამო. დაჰკრავენ დაირა-ტაშს. გაიმართება ცეკვა. პატარძალს აცეკვებენ. ერთი წუწკი სტუმარი ურევია მაყრიონში, მეორე ოხუნჯი. წუწკი უყურებს მოცეკვავე პატარძალს და ეუბნება ჩუმად ოხუნჯს:

- ნეტაი შიშველა მაჩვენა, ეს პატარძალი რა ლამაზია..
- რას მომცემ, შიშველი გაჩვენო?
- რასაც კი მთხოვ!
- მაშ დავნაძლევდეთ.
- კარგი.
- ოღონდ არ მომშორდე. რას მაძლევ?
- ცხენს მოგცემ.
- კარგი.

ცეკვა გათავდა. დასხდნენ სუფრაზე.

პატარძალს ნება არა აქვს ნეფეს ელაპარაკოს. ელაპარაკება ან მდადეს, ან მეჯვარეს (ანუ ნათლიას). პატარძალი მორცხვობს, არაფერსა სჭამს. შესთავაზებენ, მაგრამ ყველაფერზე დიდის მადლობითა და ღიმილით უარს ამბობს. მაშინ ორი ქალი მივა დარბაისლებთან, ე. ი. ნეფის მხლებლებთან და სთხოვენ. პატარძალი მოგვეცით ცოტა ხანსო. გადაიყვანენ ქალებ-

ში და უეჭველად ერბოკვერცხს მოართმევენ. ამის შემდეგ ყველაფრის ჭამის ნება აქვს.

წუწკი: — აბა პა, მიჩვენე ეგ ქალი ტიტველა.

ოხუნჯი: — დამაცადე, თითონ გეტყვი, როცა დრო იქნება.

წუწკი: — ჩემი თავი ხომ არ უნდა დაახანჯვლინო ნეფეს?

ოხუნჯი: — არა, ორივეს ერთადა ნახავ ტიტველას.

ნეფე აიშლება თავისი მხლებლებით და კარგი პურ-მარილი და ღვინო მიაქვთ იახტანით მახლობელი მკვდრის საფლავზე. პანაშვილს იხდიან, მოიხაენიებენ და ბრუნდებიან შინ. სანამ შინ მივა, ნეფეს მეზობელი სთხოვს თავისი გვირგვინით შევიდეს მასთან სახლში. შევიდა. მეზობელმა დალოცა, რომ გვირგვინით შევიდა მასთან სახლში. შემდეგ ნეფე მივიდა თავის სახლში.

იწყება სადილი. დაწყებამდე იმართება შესაწირავი.

ერთი დაიძახებს:

— მდიდარ მეცხვარე ზაქარიაშვილს მოურთმევია ორმოცი სული ცხვარი.

— ზვრების პატრონს თანდილაშვილს მოურთმევია ათი თუმანი.

— დიდი ჯოგის პატრონს ნიკოლას მოურთმევია კაი შეკაზმული ცხენი.

— პატარძლის ნათლიას მოურთმევია ოქროს სამაჯური.

— დერციკ გიორგას მოურთმევია ჩოხა-ახალუხი.

შესაწირავი გათავდა. სხდებიან. იწყება სადილი.

ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოა.

ისმის მრავალყამიერ, სუფრული, ჩაკრულო და ყველა ხალხური სიმღერები.

სადილიდან აიშლებიან.

იმართება ცეკვა-თამაში.

ხუმრობით (სანამ სტუმრები ცეკვავენ) დაიჭერენ ნეფე-დედოფალს და მიაკრავენ ბოძზე. არ გაუშვებენ, სანამ კარკძღვენს არ მართმევენ.

საქორწილო პურისმცხობელი დედაკაცები, რომლებიც სამ დღეს მუქთადა მუშაობენ, სთხოვენ სტუმრებს თითო-თითოდ შეიარონ საპურისმცხობელოში, ვარცლზე მიიწვევენ, რაშიც



პური იზილება. დაალოცვინებენ ნეფე-დედოფალს, რის შემდეგაც სტუმარი საცერში ჩაუგდებს ფულს.

ქორწილი მაინც ძღვენათ თავდება. ნეფე-დედოფალს მოკრთმევენ ძღვენს: რგვალი პურის გულში ჩარჭმულია საგანგებოდ გაკეთებული ტოტებიანი ხე. ამ ტოტებზე ჩამოკიდებულია ან ჩამოცმულია, რაც კი შესაძლოა საჩუქრად გამოდგეს; სანთლებით არის გაჩაღებული პურიც და ხეც.

— სამი ღლეა ვქეიფობთ და ჩვენი მიცვალებულები კი არ მოვიხსენეთ. — ამბობს ნეფე, — აბა სამღვთო.

სამღვთო დაჰკლეს. მოიწვიეს მახლობლები, ნათესავეები და მოიხსენიეს ორივე ოჯახის (პატარძლიანთ და სიძიანთ) მიცვალებულები.

ამის შემდეგ მიდიან ისევ ქალიანთას. ოღონდ მსოლოდ მახლობლები. მეკვარე, ქალის დობილები და ახლო ნათესავეები. ქალიანთას კიდევ მართავენ პატარა, მაგრამ მყუდრო ქეიფსა და თავდება ქორწილი. ამ ღამეს ყველა მახლობლები იქ არიან.

წუწკი: — აბა როდისღა მიჩვენებ მაგ ქალს ტიტველას.

ოხუნჯი: — დამაცადე.

ოხუნჯი სთხოვს ნეფიანთ, ორი დაკარგული სტუმარი ამალამ შეიღარონ და იქ დააძინონ. შუალამე გადავიდა. ყველა ლოჯინში ჩაწვა და უნდა დაიძინონ. ნეფე-დედოფალიც ახლად გახდილები არიან. ოხუნჯი ყვირის:

— ჰარიქათ ჩქარა, ცამ პირი გაიხსნა და ღმერთი გამოჩნდა.

ყველაზე წინ პატარძალი გამოვარდება ტიტველა. იძახიან:

— ღმერთმა გადმოჰხედა პატარძალს. ბედნიერი იქნებაო და გამოცვიცან.

— შეხედე. შეხედე. — წაჰკრავს მუჯლუგუნს ოხუნჯი წუწკს.

— აბა სად არის ღმერთი? ვერაფერსა ვხედავ, — ამბობს სიძე.

— მე დავინახე. — იძახის პატარძალი.

— რაღა შენ დაინახე და მე ვერა? — ამბობს სიძე.

— შენ ღმერთი გვერდში გიდგა, ცაში რაღას დაინახავ? — უპასუხებს ოხუნჯი.

— ძალიან მალე შეიკრა ცამ პირი, — წყრება პატარძალი-  
— შევიდეთ, შევიდეთ, არ შეგცივდეს, — ბრაზობს სიძე-  
შედიან, ყაყანებენ.

მღაღე იძახის: დაიძინეთ, ნულა ხმაურობთ, წეფე-დედო-  
ფალს ეძინებაო, — და იწყებს „იავნანას“.

იძინებენ იავნანათი და თავდება ქორწილი.

## მისა ჯილაურის გუნდი

(მოგონება)

1927 წელს ძველმა საზოგადო მოღვაწემ ნიკოლოზ ერისთავმა თბილისში სალიტერატურო საღამოს გამართვა განიზრახა. საღამო ეწყობოდა მსახიობ გიორგი იორდანიშვილის სახელზე. ნ. ერისთავმა მეც მთხოვა ამ საქმეში დახმარება. მე ვურჩიე საღამოს პროგრამაში შეეტანათ ქართული ხალხური სიმღერები კახელ გლეხთა გუნდის შესრულებით.

კოლას ძალიან გაეხარდა. ტაში შემოჰკრა სიხარულისაგან და მკითხა:

— კი მაგრამ, ვინ გინდა გამოიყვანო, სად არის ეს გუნდი?

— შიდა კახეთში განთქმულია გლეხი მომღერალი დედას ლევანა. იმას ჰყავს თავისი შეწყობილი მომღერლები. ისინი შეიძლება ჩამოვიყვანოთ.

კოლას ისე მოეწონა ეს ჩემი აზრი, რომ გადამეხვია და მაკოცა. გადავწყვიტეთ და იმავე დღეს დეპეშა გავუგზავნე თელავში გიორგი ბურჭულაძეს, რათა მას შილდიდან წამოეყვანა დედას ლევანა.

გიორგი ბურჭულაძემ მესამე დღეს ჩამომგვარა დედას ლევანა და მისი პირველი მოძახილი შილდელივე გლეხი ალექსა ელოშვილი.

რა თქმა უნდა, მარტო ორნი გუნდურ სიმღერას ვერ იტყოდნენ, მაგრამ მე ასე მქონდა განზრახული, რომ მათ ბანებს აქვე, თბილისში ვუშოვიდი.

დედას ლევანა და ელოშვილი ჩემსას ჩამოვიდნენ. მე

ეცხოვრობდი ფუნქციულორის სადგურის წინ, შიო ჩიტაძის ჩიხში. ჩამოსულები ჩემთან მოვათავსე. მათი ჩამოსვლისთანავე დავეუძახე ჩემს მეგობრებს და მომღერლების გამოსაცდელად პატარა წვეულება გავაწყვე. დედას ლევანას სიმღერა მე გაგონილი მქონდა 1908 წელს და ვშიშობდი, ვაითუ ახლა ისეთი ხმა აღარა ჰქონდეს და ხალხის წინაშე არ შევრცხვე-მეთქი.

მართლაც, დედას ლევანა უკვე 89 წლისა იყო, ელოშვილი კიდევ უფრო მეტისა და ამ ქეიფებში გაცვეთილ ხალხს რაღა ხმა უნდა შერჩენოდა?! იმღერეს სიმღერები. ამ სიმღერებში მოჩანდა უზარმაზარი გენია ქართველი ხალხისა. მისი კულტურა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში გულით ნატარი ტანჯვაც და სიხარულიც, კვნესაც და სიცილიც, მაგრამ ლევანას გაბზარული ხმა, ხოლო ელოშვილის აქა-იქ ხრინწიანი წაბორძიკება მალონებდა, გულს ვიიმედებდი იმით. რომ ამ ძველი ოსტატების ყელში რაც უნდა მრუდედ ამოსულიყო სიმღერა, მაინც ერთხანტელს მოჰგვრიდა მსმენელთ. ის დედას ლევანა, რომელსაც მე ვიცნობდი ბავშვობაში, აღარ იყო. მას თავისი პეწი დაჰკარგოდა, ხვერდი გადასცვეთოდა ხმაზე, მაგრამ სიმღერას ისევ ისე მშვენიერად და ოსტატურად მღეროდა. მან მთლიანად მაინც ვერ დამაკმაყოფილა, ამიტომ იმ დღესვე საღამოს მატარებლით ვაფრინე ჩემი უმცროსი ძმა დიმიტრი ჩემს სოფელში — კაკაბეთში, სადაც ცხოვრობდა სამოცი წლის მოხუცი მომღერალი მიხაჭილაური. დიმიტრის დავავალე: როგორმე ჯილაური ხვალ აქ უნდა მომგვარო-მეთქი.

მეორე დღეს, საღამოს ექვს საათზე ჩემმა ძმამ მოიყვანა ჩემთან მიხა ჯილაური. მომღერლებს გავაცანი ერთმანეთი და ვამღერე. როცა მიხამ დაიწყო „ჩაკრულო“, დედას ლევანამ ყბა დააღო და, ცოტა არ იყოს, ეწყინა. მიხას ხმა ზარივით გაისმა, ოთახი გაავსო, ვერ დაეტიო შიგა და გაიჭრა გარეთ. დედას ლევანას შევატყვე, ეწყინა, მეორე აღარ უთხრა.

— ლევან, — ვუთხარი მე, — შენ შენს ჭეილობაში მიხასა სჯობდი, შენი სახელი ქვეყანამ იცის, მაგრამ რა არის. რომ ახლა ოცი წლით შენზე უმცროსს შენზე უკეთესი ხმა

ჰქონდეს?! თქვენ ხომ ერთი დედის შვილები ხართ, ნუ გაუწევთ ჯიბრს ერთმანეთს. ეს ჩვენს საერთო საქმეს ავნებს.

მან დამიჯერა, ოღონდ ის კი მითხრა. მაგასთან შეჩვეული არა ვარ, ხმას შეწყობა უნდა, რადგან გარე კახეთში სხვანაირად მღერიათ ერთსა და იმავე სიმღერებს და შიდა კახეთში სხვანაირად. ამიტომ შეიძლება ვერ შეგუწყოთ ერთმანეთს ხმა, კილო კილოს ვერ მივუყენოთ და სიმღერა გაგვიფუტდესო.

დავსხი ისევ სუფრაზე. ჩემთან იყვნენ სტუმრები: ვახტანგ კოტეტიშვილი, მიხეილ საყვარელიძე, ჩემი უმცროსი ძმა დიმიტრი, ბიძაშვილები — გიორგი და ნიკო. ეს ხალხი საქმარისი იყო ხალხური სიმღერის სათქმელად.

დავლიე ლევანას სადღეგრძელო და ვთხოვე მიხა ჯილაურს, „მრავალჯამიერი“ დაეწყო. ლევანას მოძახილი დავაღალე. მიხამ დაიწყო, ლევანამ მეორე უთხრა და ჩვენ ალექსი ელოშვილთან ერთად ბანი ვუთხარით. მიხამ აარაკაკ-ჩაარაკ-რაკა, ლევანამ შეუტია თავისი მედიდური ხმით, ჩვენც კარგად ვუთხარით ბანი, — და ჩემს სახლს გარედან ალყა შემოარტყეს მსმენელებმა. გარედან გვიკვეთავენ, ესა და ეს სიმღერა თქვითო.

ბევრი სიმღერა ვთქვით. ლევანა და მიხა მშვენივრად შეეწყვნენ ერთმანეთს. გამეხარდა, ცამდე ავიწიე. ამალამ თავს ვისახელებთ ხალხური სიმღერებით-მეთქი.

სუფრიდან ავდექით და მე დედას ლევანასთან, მიხა ჯილაურთან და ელოშვილთან ერთად პირდაპირ თეატრში წავედით, დანარჩენები კი, ვისაც ბანი უნდა ეთქვა, წავიდ-წამოვიდნენ და დამპირდნენ, რომ ნახევარ საათში ყველანი მოვიდოდნენ თეატრში.

მივედით რუსთაველის თეატრში. შესავალი გაჭედილი იყო ხალხით. გვიცნეს, გზის მოცემა უნდოდათ, მაგრამ განსვერ აგდებდნენ, რადგან ტევა აღარ იყო. ლევანაც და მიხა ჯილაურიც გაკვირვებულები იყვნენ, მაგრამ ეს ხალხი იქ სხვა რაიმესათვის ეგონათ მოსული.

ძლივს შევედით თეატრში. ეს „გასტროლიორები“ მთელ თავის სიცოცხლეში პირველად იყვნენ არამც თუ სცენაზე.

არამედ თეატრშიც. ამიტომ ძალიან გახეტებულები იყვნენ, ყველაფერს გაკვირვებული თვალით უყურებდნენ და ათასნაირ რამეებს მკითხავდნენ.

შევედით თეატრში და ლოდინი დაეუწყეთ ბანებს. ნახევარ საათში უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ კარგა ხანი გავიდა და ჯერ არსად ჩანდნენ. ცოტა შევფიქრიანდი და კარებისაკენ გავექანე, მაგრამ დედას ლევანა, ჯილაური და ელოშილი თავს არ მანებებდნენ. წამავლეს ხელი და სულ უკან დამდეგდნენ; ამ „ტყეებში“ და „სახლებში“ დავიკარგებითო, ან ვაითუ შენ ვეღარ გვიპოვნოო. მათი თან ტარება კიდევ ვაივავგლახი იყო.

ვიდრე ამბავს გავაგრძელებდე, ერთი გარემოება უნდა გავაცნო მკითხველს: ხალხური გლეხური სიმღერები ქალაქში დამახინჯებული და ამიტომ სახელგატეხილი იყო. ლოტბარები ასწავლიდნენ ხალხურ სიმღერებს თავიანთ გუნდებს და ამღერებდნენ შეცვლილი სახით. მე ამისთვის მინდოდა დამეპირისპირებინა ნამდვილი ხალხური სიმღერა და მისი ხალხური შესრულება. ამიტომ პირველი განყოფილებისათვის მოვიწვიეთ ხალხური სიმღერების გუნდი ალექსანდრე მაისურაძის ლოტბარობით. აი ეს ალექსანდრე იყო იქა და იმას შეეჩივლე, ბანები უნდა მოსულიყვნენ, მაგრამ არ ჩანან და იქნებ შენ დამახმარო რამდენიმე ბანი-მეთქი. ალექსანდრე სიამოვნებით დამთანხმდა და პირველი ზარიც დარეკეს.

ფარდა რომ აიხადა, ალექსანდრე მაისურაძის გუნდს ყოველი სიმღერის გათავებისას ხალხი უყვიროდა: გაათავეთ, ჩქარა დედას ლევანა გვინდაო. ამით ალექსანდრე, ცხადია, ნაწყენი იყო. მან, როგორც იყო, დაასრულა პირველი განყოფილება, ფარდა დაეშვა. ანტრაქტი თხუთმეტ წუთს მაინც გასტანდა, მაგრამ ხალხი პარტერიდან არ იძვროდა. ისმოდა ტაში და ყვირილი:

— დედას ლევანა!... დროა! ჩქარა!

ჩემი ბანები კი არ მოვიდნენ, ალბათ ვერ შემოაღწიეს თეატრში. ვთხოვე რამდენიმე ბანი ალ. მაისურაძეს და ვეცადე კულისებში მათთვის მესწავლებინა რამენაირად ხმის შეწყობა. რალაც ვერ გამოდიოდა, მაგრამ თავს ვიმხნევებდი,

ვეუბნებოდი: მე მიგდეთ ყური, ბანს მე როგორც ვეტყვი, თქვენც ისე მომყევით-მეთქი. მაგრამ მეც ისე ვიყავ ალღევებული, რომ თვითონაც ველარ ვამბობდი სწორად ბანს. ხან ჩემი იმედი მქონდა, ხანი იმისი, რომ აჰა, ან ეხლა მოვლენ, ან ეხლა-მეთქი. ხალხმა კი ზაპლა წაიღო, ყვიროდა, აურზაურობდა — ჩქარაო. მოთმინების ფიალა აევსო ხალხსაც და მეც.

ბოლოს ავაწვევინე ფარდა და როცა ხალხი სულ დაწყნარდა და მოლოდინით გაიკმინდა, გავუძეხ წინ მომღერლებს და გავედი სცენაზე. სწორედ აფეთქებასა ჰგავდა პარტერში ავარდნილი ტაშის გრიალი. გაკვირვებული მომღერლები გახეტებული დადგნენ სცენაზე და არ იცოდნენ, რა ექნათ. მე ვუხსნიდი, ქუდი მოიხადეთ და ხალხს სალამი მიეცით-მეთქი. მაგრამ იმ აურზაურში ვერაფერი გავაგებინე. ბოლოს, როგორც იყო, ლევანამ ხელი ასწია ზევით, გაუმარჯოსო, დაიყვირა.

ხალხი დაწყნარდა. მომღერლები მათთვის გამზადებულ სკამებზე დავსხი და ვუთხარ:

— ლევან, მიხა დაიწყებს კახურს, შენ მეორე უთხარ, ჩვენც მოგყევით.

— კაცო, მე ამასთან შეწყობილი არა ვარ, — იუარა ლევანამ.

სისხლი თავში მეცა სიბრაზით. ვიცი, რათაც არ უნდა ლევანას იმღეროს ჭილაურთან.

— რა დროს ვაჭრობაა, კაცო! — ვუყვირი ლევანას სცენაზე და თან ვატყობ, რომ მაყურებლის თვალში ლამაზი სურათი არ იბეჭდება.

ლევანამ ისევ ალექსი ელოშვილი მიისვა გვერდით და საჩქაროდ შემოსძახა კახური მრავალყამიერი. ელოშვილმა ხრინწიანი ხმით აუწ-დაუწია, მისი ხმა ლევანას ზორბა და მედიდურ რუხრუხში აღარა ჩანდა.

მიხა ჭილაური მოიკუმშა, ეს პატარა ტანის კაცი უფრო დაპატარავდა და გაირიყა. გულხელდაკრეფილი იდგა განზე, როგორც ჭიტლაცამოკრული, გაძევებული და დაჩაგრული. მეც ავირიე. სიბრაზისაგან ოფლმა ხან ცივად დამწინწკლა.

ხან თბილად. ბანს ვეუბნებოდი, მაგრამ ვატყობდი, რომ ვერც მე ვამბობდი სწორად და ველარც მაისურაძის გუნდის წევრები. ჩემი გონება სულმთლად არეული იყო.

ვაივაგლახით, როგორც იყო, გავათავეთ სიმღერა. ხალხმა მაინც ტაში დაგვიკრა. ვილაცამ დაიძახა პარტერიდან: რომელია დედას ლევანაო. დედას ლევანამ ეს თავისებურად გაიგო. ეს უზარმაზარი კაცი წამოხტა საჩქაროდ, აიშვირა ხელი და დაიძახა: მე ვარ, მე! მთელი თეატრი ახარხარდა და გაიმართა ბაასი სცენასა და დარბაზს შორის. დედას ლევანამ რალაც ხელების ფარჩხვით დაიწყო პარტერიდან გადმოსროლილი კითხვების პასუხობა და, რამდენიც უფრო აღარ ემორჩილებოდა იგი ჩემს განკარგულებას, იმდენად უფრო მასხამდა ცივი ოფლი.

ამ დროს მიხა ჭილაური წამებულის ხატივით იდგა სცენის განაპირას და მორცხვად გაჰყურებდა ხალხს თეთრ წარბებქვეშიდან.

კახურმა მრავალჯამიერმა და საერთოდ დედას ლევანამ ვერ დააკმაყოფილა ხალხი. პარტერიდან მოდიოდა შეკვეთები: „ჩაკრულო“, „ჩაკრულო“ იმღერეთ! „ხეურო“, — იძახდა მეორე ჯგუფი. „ბერი კაცი ვარ“, — ისმოდა სხვა მხრიდან. როცა შევატყვე, რომ ყველაფერი ირეოდე, დავუძახე მიხა ჭილაურს:

— მიხავ, მოდი აქ!

გულხელდაკრეფილი და დაღონებული მიხა მოვიდა ჩემთან. ხელი ავწიე და საზოგადოებას დაწყნარება ვთხოვე. ხალხი დაშოშმინდა, დაწყნარდა და ბოლოს სულ გაიკმინდა. აფუნდრუკებული დედას ლევანაც დავსვი თავის ალაგას. ხალხთან ბოდიში მოვიხადე გუნდის არასრულყოფილობის გამო და შემდეგ მოვახსენე:

— ახლა მოუსმინეთ კაკაბელ გლეხს მიხა ჭილაურს. იგი იმღერებს ქართველი ერის საყვარელ მარტო-სიმღერას — „ურმულს“.

მიხა წინ წამოვაყენე და როცა სრული სიჩუმე ჩამოვარდა, ვანიშნე, დაიწყე-მეთქი. ის მორჩილად მადევნებდა თვალ-ყურს და ყველაფერს მიჯერებდა.



მიხამ ქამარში წინიდან ჩაიყარა ხელის ცერები და დინჯად. წყნარად, სწორედ ისე, როგორც მაისში ბულბულმა იცის გათენებისას, ამოიკაჯანა ურმული. მისთვის სახეში რომ შეგეხედნათ ამ ღროს, გეგონებოდათ, პირმოკუმული არისო და გაჰკვირდებოდით: მაშ საიდან ამოდის ასეთი ტკბილი, საამური, რაკრაკა ხმაო. მიხამ აუწია თანდათან, ზღვის შხეფებივით მიფანტ-მოფანტა საამური ჰანგები და გულ-ღვიძლი თან ამოაყოლა ამ ჰანგებს.

აქამდე სირცხვილის ოფლმოდებული და ნერვებაშლილი, ამ ჰანგების მოსმენით მეც ვიკურნებოდი, ვმშვიდდებოდი და თანდათან ვსწორდებოდი წელში, რომ ჩემმა ცდამ ამაოდ არ ჩაიარა.

ოთხჯერ დააბრუნა მიხამ სიმღერა. მღეროდა ჩემს ლექსს, რომელიც ადრევე ვასწავლე:

გასწი, კამეჩო რქიანო,  
შენი მეუღლე მქვიანო.  
გამიყვა სამშვიდობოში.  
ობლები მიმელიანო.  
ნეტაი წუთისოფელი  
რად არის მოუწყობელი,  
კაცი კაციანა მქამელი,  
ძმა ძმისთვის ავის მდომელი?  
ვარსკელავო, ცაზე გადმოჩექ,  
მთვარევე, წამოდექ წინაო,  
გზა გამინათე უვალი,  
დროზე მივიდე შინაო.  
ნეტა არავინ ჩიოდეს,  
სუყველა სწორად დიოდეს,  
სადაც ეკალი სთესია,  
თავთუხი ამოდოდეს!..

გაათავა მიხამ, მაგრამ როგორ გაათავა ისეთი ტაში დაჰკრა ხალხმა, რომ სინარულთან ერთად შიშმაც ამიტანა: ასე მეგონა, დაანგრევენ თეატრსა-მეთქი.

მიხას ოთხჯერ გაამეორებინეს ურმული. კიდევ რომ

ოთხოვდნენ მის მღერას, ხალხს მოვახსენე: არის მეორე სიმღერაც, არანაკლებ საყვარელი, ვიდრე ურმული-მეთქი, და დავასახელე ოროველა, გუთანზე რომ მღერის გუთნისდედა. მიხას ოროველაც რამდენჯერმე გაამეორებინეს, და რომ ხალხი სულ არ გამძღარიყო, ფარდა ძალად ჩამოვაშვებინე.

ასე დავასრულეთ პირველი კონცერტი რუსთაველის თეატრში 1927 წლის მაისში.

თეატრიდან რომ გამოვედი და ჩემსას წავედი, ვზაში ხალხი აგვედევნა. ტაშს გვიკრავდნენ და იძახოდნენ: ვაშა, ჭილაურო! ყოჩაღ, მომღერლებო! თითქმის ნახევარი თეატრი უკან გამოგვყვა და მიგვაცილა სახლამდე. ღამის თორმეტი საათი იყო, შინ რომ მივედი. ხალხი ჩემი სახლის წინ გაჩერდა. დედას ლევანას ვუთხარ, აქ მაინც იმღერე-მეთქი მიხასთან. ლევანა დამეთანხმა. ჩემი სახლის ზევითა აივანი გადიოდა ფუნიკულიორის წინ გაშენებულ ბაღზე, და თავს დაჰყურებდა შიო ჩიტაძის ჩიხს, რომელიც ხალხით იყო სავსე. ჩვენ გავედით აივანზე და ჭილაურმა დაიწყო „ჩაკრულო“. ლევანამ მეორე უთხრა. ხალხიდან ვიღაც უცნობები ამოვიდნენ და მითხრეს, ბანს ვეტყვითო. ღამის თორმეტ საათზე გაიმართა ჩემს ბინაზე მეორე კონცერტი, რომლის მოსასმენადაც აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი.

ამჟამად შესანიშნავად უთხრა ლევანამ. მეორე მოძახილი ჭილაურს და ეს კონცერტი ბევრად დაემჯობინა თეატრში გამართულს. უკეთ რომ ვთქვათ, აქ გაიმართა ნამდვილი კონცერტი, რომელიც ღამის სამ საათამდე გაგრძელდა. სამ საათზე, როცა დავატყვე, ხალხი აღარ აპირებდა წასვლას, მომღერლებს სახლში შევუძახე და ხალხს გამოვუცხადე: ეს საშინაო კონცერტიც დასრულდა-მეთქი. თან იმედი მივეცი, მოკლე ხანში კიდევ გავმართავთ კონცერტს ოპერის თეატრში-მეთქი. ხალხი დიდი ტაშითა და ვაშას ძახილით დაიშალა.

ამის შემდეგ გავიდა რვა თუ ცხრა თვე.

1928 წლის იანვრიდან გადავწყვიტე გამემართა ხალხური სიმღერების კონცერტი, მაგრამ დედას ლევანა აღარ ჩამომეყვანა. მარტო ჭილაურიც ცოტა იყო აღმოსავლეთ საქართველოს სიმღერებისათვის. კიდევ სხვა ვინმეც იყო საჭირო.

ამიტომ გავყევ სოფლებსა და გავიგე, რომ ხაშში ვინმე გიორგი ეპიტაშვილს ჰყავს გუნდი. შევიაჩე ხაშში. გიორგის გაეხარდა ჩემი მისვლა, ჩემი მიზანიც მოეწონა და საჩქაროდ შეკრიბა თავისი გუნდის წევრები. გამოვცადე ისინი და მომეწონა. განსაკუთრებით კარგად მღეროდნენ სიმღერებს: „ფაშური“, „ძლიერ სტიროდა“, „მაყრული“, „ძმებო, რა სჯობდა ძმობასა“ და სხვ. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ „ფაშური“. ეს სიმღერა იმერეთიდან გადმოსულა აღმოსავლეთში და მათ გაუკახურებიათ. იგი შემდგომ კონსერვატორიამ ფირფიტაზე ჩაიწერა.

მე და გიორგი ეპიტაშვილი შევთანხმდით, რომ, რაწამს დავიბარებდით, ჩამოსულიყვენ თბილისს. ისიც ვუთხარ გიორგის, რომ კაკაბეთიდანაც იქნება მეორე გუნდი მიხა ჯილაურის-მეთქი.

რაკი ორი გუნდი შევამზადე და შევიპირე კიდეც, დავბარუნდი თბილისში და შევეუდექ სამზადისს. 1928 წლის 11 თებერვლისთვის ავიღე კონსერვატორიის დარბაზი საკონცერტოდ. ორივე გუნდს შევატყობინე და გავუგზავნე გზის ფული. ჩემთან ჩამოვიდა სულ ცამეტი კაცი. ორი კაციც თბილისში მივუმატე, მესტვირეები.

კონცერტმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. აქ აღარც ბანები გვაკლდა, აღარც ვინმეს ჯიბრი და პამპულაობა იყო. გლეხები მორიდებით ასრულებდნენ ჩემს მითითებას. მათი ყოველი სიმღერა იფარებოდა ტაშის ქუხილში და კონცერტი ნამდვილ გამარჯვების ზეიმს წარმოადგენდა.

იმ ღამეს დამშვიდებული მივედი სახლში. ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ უჩანდა, მით უმეტეს, რომ კონცერტს ბევრი კომპოზიტორი და გავლენიანი პირი დაესწრო, რომელთაც გამამხნევეს და დახმარებასაც დამპირდნენ.

მეორე დღეს ავიღე ნებართვა, ეს გუნდი ყველა სასწავლებელში მომეტარებინა. ამისი ნება სიამოვნებით დამრთეს, ხელი შემეწყეს, წამახალისეს კიდეც და ფრთაშესხმული შევუდექ ამ საქმეს.

სკოლებში გავმართეთ რამდენიმე კონცერტი.

შემდგომში ხაშმელები ჩვენს გუნდს ჩამოშორდნენ. სამა-

გიეროდ მას შეემატა რამდენიმე მომღერალი სოფელ შაშიანიდან. მართალია, მათში არავინ იყო მიხა ჯილაურისთანა, მაგრამ მაინც კარგი გუნდი შეიკრიბა. შაშიანელები ბევრ ისეთ სიმღერას მღეროდნენ, რაც არც ხაშმელებმა იცოდნენ, არც კაკაბელებმა.

მორიგი კონცერტი გაიმართა სახელმწიფო ოპერის თეატრში, 1928 წლის სამ აპრილს. კონცერტმა კვლავ დიდი წარმატებით ჩაიარა. განსაკუთრებით მოსწონდათ მიხა ჯილაურის სიმღერები და ამეორებინებდნენ კიდევც. ეს, ცოტა არ იყოს, არ სიამოვნებდათ შაშიანელებს. მაგრამ რას იზამ, ნათქვამია, მჯობნის მჯობნი არ დაილევიაო. ამ კონცერტში მომღერალთა დაჯგუფება და ერთგვარი შეჯიბრება არ მოეწონა გაზეთ „მუშის“ კორესპონდენტს, ვინმე „დამსწრეს“. მაგრამ მე იმიტომ დავაჯგუფე და ორივეს იმიტომ ვამღერებდი ერთსა და იმავე სიმღერას, რომ ხალხისთვის მეჩვენებინა, თუ როგორი განსხვავება შეიძლება იყოს ერთი და იმავე სიმღერის შესრულებაში. ამას ჯიბრი კი არ ჰქვია, ესაა ქართული ხალხური სიმღერების შესრულების პრაქტიკული განსხვავებები.

ამის შემდეგ მე უფრო დიდი წრე მოვხაზე და გუნდში გურულებიც მოვიწვიე. გურულების გუნდს ხელმძღვანელობდა ალექსანდრე მახარაძე, რკინიგზის მუშა. საერთოდ, ამ გუნდის მომღერლები იყვნენ რკინიგზის მუშები, მტვირთავები: ერმილე საყვარელიძე, პორფირე ბერძენიშვილი, ლომთათიძე და სხვები.

რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა საქართველოს სხვა კუთხის მომღერლებიც მიმემატებინა და გუნდში წარმოდგენილი ყოფილიყო ქართლიც, ფშავ-ხევსურეთიც, იმერეთ-სამეგრელო, სვანეთი და აჭარაც. მაგრამ მე ამას როგორ შევძლებდი?! იმიტომ მე ავიღე ორი უკიდურესი კუთხე, შეგკარი მთლიანი გუნდი გურულებისა და კახელებისა. აქვე ჩავუმატე ქართული ხალხური მუსიკის ძირი — მესტვირე. მესტვირედ ხან იოსება მეპურე მყავდა, ხანაც ბიჭია. ორივენი ნაძალადეგში ცხოვრობდნენ. ვმართავდით კონცერტებს სხვადასხვა კლუბში. გვთხოვდნენ, უფრო ხშირად გვევლო მათთან.

1929 წლის 3 აპრილს ოპერის თეატრში გაიმართა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ხალხური მუსიკის საღამო. თეატრი გაივსო აუარებელი ქრელი ხალხით. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვეს თათრის აშულებმა და მიხა ჭილაურმა. ამის შემდეგ ერთი თვეც არ გასულიყო, რომ ამიერ-კავკასიის ცაკის ყრილობა გაიმართა და ყრილობის დასასრულს მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი. ეს იყო 1929 წლის 6 მაისს. იმავე წელს თბილისში გაიმართა საქართველოს მომღერალთა გუნდების ოლიმპიადა. ჩვენმა გუნდმა სულ სამი სიმღერა შეასრულა: „კახური მრავალჯამიერ“, „ბერი კაცი ვარ“ და „მკის სიმღერა“. გუნდს აქაც დიდი წარმატება ჰქონდა. მიხა ჭილაურს მეორეს ეუბნებოდა ჩემივე განაყოფი ახალგაზრდა ბიჭი ივანე მჭედლიშვილი. ჟიურის ანგარიშში, რომელიც გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა, კომპოზიტორი კოტე მეღვინეთ-უხუცესი აქებდა ამ ახალგაზრდას და მოითხოვდა, მისთვის ყურადღება მიექციათ.

შემდგომში გუნდის მთლიანობა დაირღვა. დაიწყო თავ-წვერაობა, მითქმა-მოთქმა. ვილაციებმა აამხედრეს გუნდის ზოგიერთი წევრი: ვინ არის მჭედლიშვილი, ეგ პოეტია, მომღერალთა გუნდთან რა ესაქმებაო. მე ჩამოვშორდი გუნდს და თუ მას მანამდე ერქვა მჭედლიშვილის გუნდი, შემდგომში ჭილაურის გუნდი უწოდეს. ბოლოს ეს გუნდი გაერთიანდა ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლში, რომელსაც კირილე პაჭკორია ხელმძღვანელობდა.

აქვე მინდა ერთი პატარა ამბავიც გავიხსენო. 1931 წელს მე განვიზრახე ქართული ხალხური სიმღერები შემესწავლებინა ქართული ოპერის ცნობილი მომღერლებისათვის. თავი მოვიყარეთ სახელგანთქმულ მომღერალთან სანდრო ინაშვილთან, რომელიც დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამ საქმეს. სანდროსთან მოვიდინენ: ნ. ქუმსიაშვილი, დ. ანდლულაძე, დ. ბადრიძე, ს. გოცირიძე, შ. ცირდილაძე, პ. ამირანაშვილი და კიდევ ოთხი თუ ხუთი სხვა ახალგაზრდა. როდესაც ვუთხარ, ზეპირად შეგასწავლით-მეთქი, მათ უარი განაცხა-

დეს, უნოტებოდ ვერ ვისწავლითო. ნოტებზე გადატანა. იკისრა ახალგაზრდა კომპოზიტორმა გრ. კილაძემ.

სიმღერას მარტო ჩემგან ვერ ჩაიწერდა, რადგან ერთი კაცის სიმღერისაგან მთლიან შთაბეჭდილებას ვერ მიიღებდა. ამიტომ მე მივიყვანე ჩემი უმცროსი ძმა დიმიტრი, ჩემი ბიძაშვილები ნიკო და გიორგი, ჩვენ ოთხი კაცი ვმღეროდით და გრ. კილაძემ ნოტებზე გადაიღო თხუთმეტამდე კახური ხალხური სიმღერა. ამას თითქმის ნახევარი წელი დასჭირდა. ჩაწერის შემდეგ ოპერის მომღერლები შეუდგნენ სიმღერების შესწავლას. რამდენიმე შედარებით მარტივი სიმღერა შეისწავლეს, მაგრამ ისეთი რთული სიმღერები, როგორც არის „ჩაკრულო“, „კახური მრავალჯამიერ“, „ღმერთო, ღმერთო“ და სხვები, ძნელი დასაძლევია გამოდგა. საქმეს აბრკოლებდა კიდევ ისა, რომ მომღერლებს ყოველდღე არ ეცალათ, მერე საზაფხულო გასტროლებზე გაიფანტნენ და დაიშალა საქმე. გრიშა კილაძეს კი შერჩა ჩვენი — ძმებისა და ბიძაშვილების ნამღერიდან ჩაწერილი ნოტები. გამოიყენათუ არა მან რაიმეში შემდგომ ისინი, ეს აღარ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, ამ ამბის დაწერამდე ვერ მოვესწარი.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

იოსებ მკედლიშვილი (ზ. კუბმურიძე)	3
<b>მოთხრობები</b>	
შევარდენი	9
თეთრი მდინარე	26
მონადირის დღიურიდან	109
ბუნების წილში	165
<b>პიესები</b>	
ოიანა-ბუიანა	184
გიორგი მესამე	266
<b>ეთნოგრაფიული წერილები</b>	
ქართული ხალხური თეატრი	365
ქართული წეს-ჩვეულებანი კახეთში	405
მიხა ჭილაურის გუნდი	419

Иოსиф Николаевич Мчедლიшვილი

Оиана-Буиана

(Рассказы, пьесы, письма)

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджანიшვილი. 5.

1966

რედაქტორი ლ. ფოფხაძე  
მხატვარი ლ. გუდიაშვილი  
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე  
ტექნიკური რედაქტორი ვ. ჭიჭინაძე  
კორექტორი კ. მაისურაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 15/VIII-66 წ. ქალაქის

ზომა 84×108. ნაბეჭდი თაბახი 22.35.

სააღრ.-საგამომ. თაბახი 19.29.

უე 02707. ტირაჟი 5000. შეკვ. № 1308.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“

თბილისი, მარჯანიშვილის 5.

სტამბა № 1, თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1, Тбилиси, ул. Орджоникидзе № 50.